



ჯადოსნური
წიგნები



წიგნი
მეორე

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი 1994

84 რფ 1
ჯ 137

შემდგენლები: მიხეილ ჩიქოვანი, ვახტანგ ჩიქოვანი

შესავალი და შენიშვნები დაურთო
მიხეილ ჩიქოვანმა

რედაქტორი პროფ. ალ. ლლონტი

მხატვარი ზ. ნიშარაძე

U $\frac{4702170000-91}{M-602 (08)-94}$ 94

ISBN 5-505-01903-x

© ვ. ჩიქოვანი,
კოოპერატივი „არილი“, 1994

თერთმეტი კმა

ამ რამდენიმე ასეული წლის წინათ იყო ერთი მეფე, რომელიც მეტად ჭიუტი ხასიათის იყო, ამაყი. არავის იბრალებდა და მთელი მოსახლეობა შეწუხებული ჰყავდა, იმათ გარდა, ვინც დღე და ღამე მის ქება-დიდებაში იყო. ამ მეფეს ხალხმა მეტსახელად ჯოჯოხეთა დაარქვა.

ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი. მას თერთმეტი ვაჟიშვილი ჰყავდა და ერთი ქალი. ღარიბი თავისი შვილებით მეფის ყოველგვარ განკარგულებას ასრულებდა, მაგრამ ის კი ველარ შეუსრულა, როცა ჯოჯოხეთამ მისი ათი ვაჟი ერთად მოსთხოვა. ჯოჯოხეთა თავის ქალს ათხოვებდა და მზითევში სიძეს რამდენიმე რჩეულ ვაჟკაცს ატანდა და მათ შორის მის ათ შვილსაც. ჯოჯოხეთა-მეფემ რომ უარი გაიგო, გაწყრა და ვეზირები გაგზავნა ამ კაცის ასაკლებად. ღარიბი ჰკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ მეფე კარგს არ დააყრიდა უარის თქმისათვის და ამიტომ თავისი შვილებით გაიხიზნა ერთ უდაბურ ტყეში და იქ გაიკეთა საფარი. მეფემ დაადევნა ვეზირები და ჯარი, მაგრამ, რადგან მათ აღრევე ჰქონდათ სიმაგრე გაკეთებული და შვილებიც კარგი მეომრები ჰყავდა, მეფის ჯარმა ვერაფერი დააკლო და უკან გაბრუნდა. ჩავარდა შური მეფესა და ამ კაცს შორის. შვილებით წავიდოდა ხოლმე, მეფის ხაზინებს დაეცემოდა, გამოითანდნენ, რაც კი რამ იყო, ფულს, ტანისამოსს, იარაღს თუ სხვა საჭირო რამეს და დაბრუნდებოდნენ უვნებლად. ასე რამდენიმე წლის განმავლობაში გაალარბა მეფე. ფულს და ტანისამოსს, რაც ზედმეტი ჰქონდა, ღარიბებს ურიგებდა, მდიდრებს კი, სადაც მოახლებდნენ, სიცოცხლეს უმწარებდნენ.

გავიდა წლები. დადარდიანდა ჯოჯოხეთა-მეფე. ბოლოს

მეფემ მოიფიქრა ერთი ხერხი. გაგზავნა თავისი ერთგული ვეზირი ამ კაცთან და სთხოვა, რომ დაბრუნებულიყო თავის სახლში: დღეიდან არაფერს გერჩიო. გარდა ამისა, თუ ნებას დართავდა, მის ქალს მეფე თავისი შვილისთვის თხოულობდა. შვილების მეტი წილი თანახმა იყო, რომ მეფეს შერიგებოდნენ. დავმოყვრდებითო, იძახდა ზოგი ძმა. ყველაზე პატარა ძმა ჯიხვა დაღვა უარზე.

— უთუოდ მოგვატყუებს, არც ჩვენს დას შერთავს თავის შვილს, ტყუილად შეგვირცხვენს დასა და ჩვენც არ მოგველის კარგი რამეო, არ იქნება მეფემ შური არ იძიოსო, ეუბნებოდათ ჯიხვა. მამა პატარა შვილის აზრისა იყო, მაგრამ უფროსმა შვილებმა ასე უსაყვედურეს: — განა როდემდის უნდა ვიყვნეთ ესე გადახვეწილები ამ უდაბურ ტყეში? ჩვენთვის არც ცოლ-შვილი და ოჯახი არის და არც ადამიანური ცხოვრებაო. თუ არ გინდა, ჩვენ წავალთ და თქვენ ორნი, მამა და შვილი, დარჩითო. ჯიხვამ უთხრა: — თქვენ წადით, მე არ წამოვალო. მამა ჩავარდა საგონებელში, არ უნდოდა წასვლა და შერიგება, შეუთვალა მეფეს: — შეგირიგდები, თუ ჩემს ქალს არ ითხოვთ რძლად და თუ ჩვენც ყველაფერს გვაპატიებთო. აგრეთვე, რაც ქონება გვაქვს წაღებული და ხალხზე გაცემული, თუ ამას არ წაართმევთ ხალხსაო. მეფე დასთანხმდა.

დაიძრა ღარიბის ოჯახი. ძველ ნაბინავარზე აინთო ცეცხლი, გაჩაღდა ცხოვრება. მეფე დაუტკბა, დაიახლოვა. ხშირად უძახდა ხოლმე ჯიხვას, როგორც კარგს მონადირეს, მომღერალსა და მოთამაშეს. ჯიხვა თავისთან ჰყავდა მეფეს სადილზე, ვახშამზე. ჯიხვა ხშირად ხედავდა მეფის გასათხოვარ ქალს ზარას და ძალიან მოსწონდა, მაგრამ ვინ აღირსებდა მასთან დალაპარაკებას! ზიარასაც მოსწონდა ჯიხვა, მაგრამ იცოდა, მასზე არ გაათხოვებდა მამამისი და თავი მაღლა ეჭირა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ მეფე წავიდა ხაზინების დასათვალფერებლად და იქ უთხრეს, რომ ამ ხაზინიდან იმ კაცმა და მისმა შვილებმა ამდენ-ამდენი ქონება წაიღოო. აღეძრა შური და ერთ დღეს თავის მსლებლებს მოულოდნელად დააჭერიანა მამა-შვილები. ისა და მისი თერთმე-

ტი ვაჟი სათითაოდ ორმოში ჩაყარეს და მცველები დააყენეს. ქალი მიიყვანა მეფემ თავის ქალთან და მოახლედ დაუსვა. ვერ ნახა ძმებმა ერთმანეთი და არც იციან, თუ ვინ რა დამართა, არ იციან არც მამის და დის რამე და არც მამამ შვილების რამე. აგონდებათ უფროს ძმებს ჯიხვას სიტყვები, მაგრამ რას გააწყობენ ორმოში მყოფნი? წუხს მამა შვილებზე. წუხან ცალცალკე ორმოში შვილები მამაზე, დაზე. საკმელად ეძლევათ პატარა პური და თითო ლიტრა წყალი; გადის თვეები. ჩამოხმენ ყველანი ორმოში. წუხს ჯიხვა მეტად და აწყდება კედლებს. თხრის ხელის ფრჩხილებით ორმოს კედლებზე ნაჩვრეტებს, რომ ფეხი დაადგას, ამოვიდეს როგორმე, მაგრამ თითო საფეხურის გამოთხრას რამდენიმე თვე უნდა, ამ სიღრმე ორმოს როდის მოუთხრის საკმაო საფეხურებს! იცის ჯიხვამ, რომ დიდი ხანი მოუნდება იმ საფეხურების მოთხრას. ისიც კი გაიფიქრა, რომ შეიძლება ვერც კი მოასწროს საფეხურების მოთხრა და იქნება მალე მოკვდეს, მაგრამ იმედს არა ჰკარგავს და მუშაობს შეუსვენებლივ, თავგამოდებით, დღედაღამე მუშაობს, იმიტომ, რომ ამოვიდეს და გაათავისუფლოს მამა და ძმები.

ასეთ ფიქრებში გართულს და მომუშავე ჯიხვას რაღაც დაეცა თავზე. შემკრთალმა ხელი მოისვა და გაოცდა, როდესაც მან ხელი თოკს მოჰკიდა. აუსვა მალლა ხელი და დარწმუნდა, რომ ეს თოკი უეჭველად მალლიდან იყო. მოიბაწელზე, მოჰკიდა თოკს მაგრად ხელი, მიადგა ფეხები ორმოს კედლებს და რამდენიმე წუთის შემდეგ ამოვიდა ორმოდან. ნოტიო და უჰაერო ორმოში ნამყოფს, დასუსტებულს გული წაუვიდა ამოსვლისთანავე. ვიღაცამ ხელი მოხვია, აიყვანა და რამდენიმე ნაბიჯის იქით დააწვინა ნაბადზე. მოუსვა ცხვირზე სასუნებელი წამალი, მობრუნდა ჯიხვა. თვალი გაახილა, დაინახა მის გვერდით ადამიანი, მაგრამ ვერ იცნო. უცნობმა კიდევ დააღვეინა წამლები და ადგა ჯიხვა. დააქჷერდა სიბნელეში ადამიანს და იცნო, რომ მის გვერდით იყო მეფის ქალი ზიარა. შერცხვა ჯიხვას, რომ ქალთან ასეთი სიმხდალე გამოიჩინა და გული წაუვიდა, მაგრამ ზიარამ შენიშნა ეს და უთხრა: — დაყოვნების დრო არ არის, ცხენი მზად არის, უნდა წახვიდე სადმე, მოლონიერდი, ხალხი შეიძინე, იარაღი იშოვე,

მოდის და მამაჩემს ეომე. მე შიგნიდან მოგიწყობ ხელს. შენი ძმების, მამის და დის ნუ გედარდება, არ დავახოცინებ. დანარჩენი შენ იცოდე. მეფე უომრად არ დაგნებდება. მშვიდობითო, — უთხრა ქალმა. მოჰგვარა ცხენი, შესვა ჯიხვა, ერთი აკოცა და გამოისტუმრა.

მიდის ჯიხვა ცხენით და არ იცის, საით უნდა წავიდეს. ბევრი სიარულის შემდეგ ერთ ხის ძირში ნახა ერთი ახალგაზრდა კაცი, ძალიან მოეწონა შეხედულებით და მივიდა მასთან. ჩამოვიდა ცხენიდან. გაუშვა ცხენი ბალახზე და თვითონ ახალგაზრდა კაცთან მიბრუნდა. ძალიან დალონებული იყო ახალგაზრდა. ჯიხვამ ჰკითხა ვინაობა. ყმაწვილი ჯიხვას დააცქერდა და მასაც მოეწონა, ენდო გულის პასუხს, უამბო: — მე ერთი მძლავრი ხელმწიფის შვილი ვარ; მამაჩემი ორივე თვალებით ბრმა იყო და მოხუცებულიც ძალიან. მაინც არ მანებებდა მე მეფობას და ცდილობდა ისევ თავისი თვალების მორჩენას. რამდენიმე ექიმი წამლობდა, მაგრამ თვალები ვერ აუხილეს. ამჟამად მოვიდა ერთი ბერი, რომელიც დაჰპირდა მამაჩემს მორჩენას. ბერმა უთხრა მამაჩემს, რომ მას თვალები აეხილებოდა მაშინ, თუ სამოცი პატარა ქალის და სამოცი პატარა ვაჟის სისხლში იბანავენება. დაუჯერა მამაჩემმა ამ ბერს. გაგზავნა ჯარი თავის სახელმწიფოში და შეკრიბა ასოცი პატარა ქალი და ვაჟი. გაათიტვლეს ყველა ესენი და დაიწყეს სისხლის აღება. ტიროდნენ საცოდავი ბავშვები, იკლავებოდნენ სიმწარისაგან. შიგნით ბავშვები ტირიან და ეძახიან მშობლებს საშველად, გარეთ მშობლები ილადრიან პირსახეს. დამეწვა გული. ამერია გონება, შევევარდი მამაჩემის ოთახში, ჩამოვიღე ხმალი და შემოვკარ მამაჩემს, რომელიც ამდგარიყო და ლოგინში იჯდა, იმ მოლოდინით, რომ ებანავა და ახილებოდა თვალი, მაგრამ თვალები სამუდამოდ დავუყენე. გამოვედი იქ, სადაც ბავშვებს ტანჯავდნენ, მათაც დავუწყე ცემა ხმლით და გავათავისუფლე ბავშვები. ამ ხნის განმავლობაში მაინც მომკვდარიყო ათი ბავშვი. გამოვევარდი გარეთ და წამოველ, არ ვიცი, სად მივდივარ და ან საით წავიდე. სახლში რომ მივიდე, კარგი არ დამეყრება, ამიტომ გადაწყვეტილი მაქვს წავიდე სადმეო.

ჯიხვამაც უამბო თავისი თავგადასავალი და დაძმობილდნენ. ცხენები ახლო სოფელში იშოვეს და წავიდნენ ორივე-

ნი ერთად. იარეს დიდი ხანი და მივიდნენ ერთ სახელმწიფოში. მოვიდნენ ერთ ბებერთან და სთხოვეს შენახვა. მან შიილო. დარჩნენ რამდენიმე დღე, ათვალეირებდნენ ქალაქსა და სოფლებს. ერთ დღეს გაიარეს მეფის სასახლესთან და ნახეს, რომ სასახლის გალავანს მოაჯირად ადამიანის თავები ჰქონდა შემოვლებული. გაუკვირდათ ორივეს. მოვიდნენ თავიანთ ბებერთან და უთხრეს: — ბებია, გვითხარი რათა აქვს სასახლის გალავანს ადამიანის თავები შემოვლებული? — ბებერმა უარი უთხრა ამ კითხვაზე. მაგრამ არ მოეშენენ, განსაკუთრებით ჯიხვა და უთხრა ბებერს: — ჩემს თავსა ვფიცავ, თუ არ მეტყვი, კარგი არ მოგელის შენ შენი ოჯახითო. ბებერი შეშინდა და უთხრა: — გეტყვით, მხოლოდ თუ რაიმე



უბედურება მოგივიდეთ, ჩემი ბრალი არ იყოსო. შეჰპირდნენ ბიჭები, რომ ისინი ბრძოლისათვის არიან დაბადებულნი და არას ვიდარდებთ და არც შენ დაგაბრალებთო. ბებერმა უთხრა: — ამ ჩვენს მეფეს ჰყავს ერთი მშვენიერი ქალი. მას ვინც ითხოვს ცოლად, უარს არ ეტყვიან, მხოლოდ ერთის პირობით: ქალი ეტყვის ერთ გამოცანას და თუ გამოიცნობს, ცოლად გაჰყვება, თუ ვერ გამოიცნობს, თავს მოსჭრიან. აი,

ასეთი ხალხი ყველა ქვეყნიდან მოდის ქალის სათხოვნელად. ეუბნება ქალი გამოცანას, ვერ უხსნიან, თავს კრიან და სასახლეს გალავანზე უკეთებენო.

ბიჭებმა მოუსმინეს ბებერს და უთხრეს: ჩვენ ორივე თითქმის ტოლები ვართ და რომელი წავიდეთ მის სათხოვნელადო. ჯიხვამ უთხრა ხელმწიფის შვილს: — შენ როგორც ხელმწიფის შვილს გეკუთვნის, რომ ითხოვო და მე დაგეხმარები, თუ საჭირო იქნებაო. გათენდა მეორე დღია. წავიდნენ ორივე სასახლისაკენ. ჯიხვა გარეთ დარჩა და უთხრა, რომ თუ გამოცანა გითხრას, თუ გინდა იცოდე, ნუ უპასუხებ მაშინვე. უთხარი დრო მოგცეს მოფიქრებისა და გამოდი, მე მითხარი, რაშია საქმე. მე გული რაღაც ცუდს მეუბნება, რომ ის ქალი კეთილი სულის არ უნდა იყოს და არაფერი გავნოსო. ელის ჯიხვა გარეთ მოუთმენლად, დაღამდა, გამოვიდა ხელმწიფის შვილი დაღონებული. რა ამბავიაო? — ჰკითხა ჯიხვამ.

ერთი გამოცანა მითხრა. პირობა დავდეთ, თუ ვერ გამოვიცნობ, თავი უნდა მომჭრას. გამოცანა ასეთი არის: გამოცანი, ვინ იყო „სულამბარა და გულამბარაო“. წამოვიდნენ ბებერთან და უთხრეს ეს ამბავი. ბებერი ძლიერ შეწუხდა და არ იცოდა რითი დახმარებოდა. ვადა, მართალია დიდი ჰქონდათ — სამი თვე, მაგრამ არ იცოდნენ, თუ სად გაიგებდნენ სულამბარას და გულამბარას ამბავს. იარეს ბებერი სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ ამაოდ. გადის დღეები, კვირეები და ამბავს კი ვერსად მიაგნეს. იღუპება ხელმწიფის შვილი. ერთ დღეს ცალ-ცალკე წავიდნენ ამბის გასაგებად. ჯიხვა მალე დაბრუნდა ბებერთან. შევიდა შიგნით, ბებერი მარტოკა იყო. მივიდა ჯიხვა ბებერთან, ხელი მოავლო ხელში და ისე მაგრა მოუჭირა ხელი ბებერს, რომ ძვლებმა ჭახჭახი დაიწყო, ბებერმა ყვირილი მორთო. ჯიხვამ უთხრა: — აჰა, დაინახე, გინდა ეს ქისა ოქროთი სავსე და თუ გინდა სიცოცხლეს გამოესალმო? შენვე უნდა გვითხრა სულამბარას და გულამბარას ამბავიო. შეშინდა ბებერი, იფიქრა უეჭველად მომკლავს თუ არ ვუთხარიო. უთხრა: — გამიშვი და გეტყვიო.

ჯიხვამ გაუშვა. ბებერმა უთხრა: — სულამბარასა და გულამბარას ამბავი მე არ ვიცი, მხოლოდ გასწავლი ერთ ად-

გილს და თუ იქ შეხვალ, გაიგებ იმათ ამბავსო. ანიშნა ქალაქგარეთ რომ მაღალი გალავანია, იქ ცხოვრობს ერთი ვაჭარი და იმან იცის ეს ამბავიო. თუ როგორმე შეხვედი ამ გალავანში, გაიგებ, თუ არა, ვერაო. იმ ვაჭრისაა, აგერ ქუჩის ბოლოში რომ სავაჭრო აქვსო. ახლა შენ იცი. მხოლოდ რაკო



მიდინარ მაგ საქმეზე და ამხანაგის გულისთვის სდებ თავს, ერთ რამეში მეც დაგეხმარები. აბა ეს სამი ღერი ჩემი თმა შეინახე კარგად და სადაც ძალიან გაგიჭირდეს, გახსენი და სამჯერ დაუსტვინე, ოღონდაც ისეთ ადგილას, რომ დასტვენის ხმა გარეთ ჰაერზე მოხდეს და მე იმ წამსვე იქ გავჩნდებიო. გამოემშვიდობა ბებერს ჭიხვა და სთხოვა, რომ ხელმწიფის შვილი აღარსად გაეშვა.

დაყოვნების დროც არ იყო და წავიდა ჭიხვა, მოვიდა იმ გალავანთან. გალავანი ისეთი მაღალი იყო. რომ თვალი ვერა სწვდებოდა. შიგნით რა იყო არ იცოდა. უარა ჭიხვამ გარშემო, შესავალი ვერ იპოვა. დაბრუნდა უკან, მოვიდა იმ სავა-

ჰროსთან, სადაც ანიშნა ბებერმა, ნახა, რომ მხოლოდ ერთი კაცი იყო. შევიდა. სთხოვა ვაჰარს: — მე შორეული ქვეყნიდან ვარ, უსაქმოდ ვარ, მიმიღე შენთან მოსამსახურედ დუქანში.

ვაჰარმა უარი არ უთხრა, რადგანაც დუქანში კაცი უჭირდა. ადგილობრივები კი მას არავინ უღებოდა. იმ დღისით იქ იყო ჯიხვა. დაგავა. დაასუფთავა დუქანი. საღამოთი, როცა დაკეტვის დრო იყო, ვაჰარმა ჯიხვა დუქანში დატოვა, თვითონ გარეთ გამოვიდა, გარედან დაკეტა დუქანი და წავიდა. დარჩა ჯიხვა დაღონებული, მაგრამ რას იზამდა. იმ ღამეს ათასნაირ ფიქრებში გაატარა. გათენდა დილა, მოვიდა ვაჰარი, გააღო დუქანი და შეუდგა ვაჭრობას. მოვიდა საღამო და ვაჰარი ისევ ისე აპირებდა კარის დაკეტვას, მაგრამ ჯიხვა გარეთ გამოვიდა. შეეხვეწა ვაჰარს, რომ ერთი უპატრონო ვარ. აქ ნუ დამტოვებ, წუხელაც ათასი ეშმაკი მელანდებოდა და მაშინებდნენო. წამიყვანე თან, გეხვეწებით. ვაჰარმა უთხრა: — ნუ წამოხვალ, თორემ იქ უარესი მოგელისო. — რაც გინდა დამემართოს, არ ვიდარდებ, ოღონდ აქ ნუ დამტოვებ და თან წამიყვანეო. ვაჰარმა უთხრა: — რაც დაგემართოს, შენს თავს დააბრალეო. დაკეტა დუქანი და წაიყვანა. მივიდნენ გალავანთან. ამოიღო ჯიბიდან გასაღები და გააღო ერთი პატარა კარი. შევიდნენ ჯიხვა და ვაჰარი. მობრუნდა ვაჰარი და დაკეტა შიგნიდან.

გაიარეს ცოტა, ისევ გალავანი და პატარა კარი გააღო და კვლავ შიგნიდან დაკეტა. ასე გაიარეს თორმეტი გალავანი და თორმეტივე კარი შიგნიდან დაკეტა. მივიდნენ სახლთან, გააღო კარი და დაკეტა შიგნიდან, ისიც თორმეტი კარი და თორმეტივე დაკეტა, გასაღებები ჯიბეში ჩაიდო. მეთორმეტე ოთახში დასხდნენ ტახტზე. მოიტანა საჭმელი ვაჰარმა. ივანეშმეს, სხვა არავინ ჩანდა. აალაგა საჭმელი. ჩამოიღო ვაჰარმა კედლიდან ერთი რკინის მათრახი, რომელიც მკლავზე უფრო მსხვილი იყო. შეიხედა ტახტის ქვეშ და გამოიღო ერთი ადამიანი თავი. სახე კაცის იყო, დაღო მაგიდაზე. დაუწყო ვაჰარმა თავს ლაპარაკი, ეუბნებოდა: — რათ მიღალატე, რა დაგიშავე? რა გაგიჭირდა რომ ჩემი ღალატი გაბედეო, და მერე დაუწყო ლაძღვა-გინება, შემდეგ კი აიღო მათრახი და

სცემა იქამდის, სანამ დაილუებოდა. ვაჭარი დაჯდა, დაისვენა — თავი ტახტის ქვეშ შეაგორა და სხვა თავი გამოიღო. სახე ქალისა იყო. გრძელი თმა ჰქონდა. ვაჭარმა დაიჩოქა თავის წინ, იტირა დიდი ხანი, ტირილში ლულულულებდა რალაცას, შემდეგ კი აიღო მათრახი და იმასაც სცემა, სანამ დაილუებოდა. თავი ტახტის ქვეშ შეაგორა და თვითონ კი ტირილდა. ტირილით რომ გული იჭერა, უთხრა ჯიხვას: ახლა დაიძინე



ნე ემანდ ტახტზედა. მაგრამ ჯიხვამ უთხრა, მე არ დავიძინებ და არც წავალ აქედან ცოცხალი, თუ არ გავიგე მაგ თავების ამბავიო. ვაჭარმა უთხრა: — დაეხსენ მაგ ამბავს, ეს ამბავი არავისთვის მითქვამს და არც შენ გეტყვიო. — უნდა მითხრა, — უთხრა ჯიხვამ, თუ არა შენც მოგკლავ და ჩემ თავსაც მოვიკლავო. ვაჭარმა უთხრა: — მე შენ ვერ მომკლავ, და რაკი გინდა, რომ გაიგო ეს ამბავი, გეტყვი და შემდეგ კი შენც მოგკლავ და მესამე საცემი შენი თავი გამიხდებო. ჯიხვამ უთხრა: — მითხარი და შემდეგ ნება შენი არისო.

ვაჭარმა უთხრა: — ეს ერთი კაცი თავი ჩემი მოჯამაგირისა იყო, მეორე კი ჩემი ცოლისა. ჩემი მოჯამაგირე გავამდიდრე, მაგრამ მან სიკეთე ვერ დაინახა. შეიყვარა ჩემი ცოლი და ჩემს წინააღმდეგ შეკრიბეს ხალხი, მე უნდა მოვეკალი, მაგრამ მე დრო ვაჩვენებ; ორივე აქ მოვახელე და ორივეს თავი მოვკვეთე. ეს ამბავი მხოლოდ მეფის ქალს ვუამბე, რომელმაც მათ დააჩქვა სახელად გულამბარა და სულამბარა, რომლის გამოსაცნობად ბევრი ცდილა და ვერ გაუგიათ. ახლა რაკი შენ გითხარი და გაიგე ეს ამბავი, შენ სხვას ეტყვი და გამივარდება ცუდი სახელი. ამიტომ ახლა მოემზადე, შენც თავი უნდა მოგჭრაო. ჯიხვა დაფიქრდა, წასვლის საშუალება არ იყო! ვაჭარმა კი ხმალი ჩამოიღო კედლიდან და ემზადებოდა ჯიხვას მოსაკლავად.

ჯიხვა დალონდა, ფიქრებში წავიდა. მოაგონდა, რომ ხვალ გადიოდა სამი თვის ვადა და იცოდა, ხელმწიფის შვილს მოსჭრიდნენ თავს. მოაგონდა ბებრის მიცემული ბეწვებიც. გამხიარულდა, ვაჭარს უთხრა: — ნება შენი ასრულდეს, მომჭერი თავი, მხოლოდ ერთსა გთხოვ. ქრისტიანი ვარ, ორი წუთით გარეთ აივანზე გამიშვი, ვილოცავ მარტოკა და შემდეგ ნება შენი ასრულდესო. ვაჭარმა იფიქრა, ვერსად ვერ გავა და გავუშვებ, ილოცოსო. გაულო აივნის კარები, ჯიხვა გარეთ გავიდა, ჰაერს შეხედა. სამჯერ დასტვინა და წამზე ბებერი გაჩნდა, შეისვა ჯიხვა მხრებზე და გადააფრინა ერთ წამს თავისთან. ვაჭარი ელოდა დიდხანს, მაგრამ აღარ შევიდა ჯიხვა. გავიდა აივანზე და რაკი ველარ იპოვა, თვითონ მოიკლა თავი.

გათენდა დილა, ადგნენ ჯიხვა და ხელმწიფის შვილი, მივიდნენ სასახლესთან. შევიდა ქალთან, ქალმა უთხრა: — აბა, გათავდა ვადა, მითხარი ვინ იყო სულამბარა და გულამბარაო. თუ ვერ იტყვი, თავი უნდა მოგჭრაო. ხელმწიფის შვილმა უთხრა: — გულამბარა იყო ვაჭრის მოჯამაგირე, რომელმაც შეიყვარა ვაჭრის ცოლი. უნდა მოეკლათ ეს ვაჭარი, მაგრამ ვაჭარმა ორივე დახოცა და თავები დააჭრა. ეს ამბავი მარტო შენ გითხრა, შენ კი ეს გამოცანად გამოიყენეო.

— მართალია, — უთხრა ქალმა, — სწორედ გამოიცანი. პირობის თანახმად შენი ცოლი ვარო. შეიყვანეს ჯიხვაც, გადაიხადეს ქორწილი. მეფემ ქალს მისცა მზითევი, ჯიხვამ იმ

ვაკრის დუქანი გააღო და გამოიტანა ქონება. წამოიღეს რამდენიმე აქლემი ქონება და მოვიდნენ იქ, სადაც პირველად შეიყარნენ. ჭიხვამ უთხრა: — აქ შევიყარებით და შეიძლება აქვე გავიყარეთ, მაგრამ ჩვენი შრომა მუქთად ჩაივლის. კაცი გავგზავნოთ შენს სახელმწიფოში, რომ შეგიშვან შენ და ხელმწიფედ დაგსვან, თუ არა, უნდა ომით დავიმორჩილოთო. გავგზავნეს კაცი, მაგრამ უარი მოუვიდათ: ჩვენი ხელმწიფის მკვლელს არ შევუშვებთ ჩვენს სახელმწიფოშიო. მობრუნდა ჭიხვა ძმობილის სიმამრთან, წაიყვანა ჯარი და ორი დღის ომის შემდეგ დაუმორჩილა სახელმწიფო და ხელმწიფედ დასვა. ახლა უთხრა ჭიხვამ: შენს სახელმწიფოს გარდა რაცა გვაქვს ქონება ნაშოვნი, ყველა ძმურად უნდა გავიყოთო. რას ეტყოდა, როცა მეტი ჭიხვამ იწვალა და ყველაფერი ჭიხვას ნაშოვნი იყო. უთხრა: სიამოვნებით ვლებულობ მაგ წინადადებას, გაყავი როგორც შენ გინდაო!

ჭიხვამ გაყო ყველაფერი ორად. — ერთი რამეც გვაქვს გასაყოფი, ეს არის ქალი, ამაში მეც წილი მაქვსო. — ქალს ხომ ვერ გავყოფთ და გნებავს შენ დაგიტომობო. მაგრამ ჭიხვამ უთხრა: — არა, შუაზე უნდა გავჭრათ, ნახევარი შენ, ნახევარი მეო. შენი ნებააო, უთხრა ხელმწიფის შვილმა. ჭიხვამ ქალი დააყენა ფეხზე და უთხრა: — გასწორდი, უნდა გავჭრა შუაზეაო. დაუქნია ხმალი, შეშინდა ქალი და შიშისაგან პირიდან მწვანე ნალველივით შხამი ამოუვიდა. ხმალი ქარქაშში ჩააგო ჭიხვამ და უთხრა ხელმწიფის შვილს: აჰა, აი ახლა არის შენი ცოლი, რაც ბოროტება ჰქონდა გულში, ახლა ამოუვიდა და გაიწმინდა. ახლა გთხოვ, მომეცი ცოტაოდენი ჯარი, რომ ვიხსნა ჩემი მამა, ძმები და და, აგრეთვე ვიხსნა ხალხი იმ ჯოჯოხეთა მეფისაგან, დავამყაროთ ერთმანეთში მეგობრობა, ავაჯავოთ ჩვენი ქვეყანა. ხელმწიფის შვილმა შეკრიბა ჯარი, მოვიდნენ ჯოჯოხეთა-მეფის სამყოფელში, დაეცნენ სასახლეს, ჩამოაგდეს მეფე და გაანთავისუფლეს ჭიხვას მამა, ძმები და და. ჭიხვამ ჯოჯოხეთა-მეფის ქალი ზიარა შეირთო ცოლად. ჭიხვას მამა და ერთი-ც უფროსი ძმა ძალიან დასნეულებულიყვნენ ორმოში და მალე გარდაიცვალნენ. მეტერთმეტე ძმად გაიხადეს ხელმწიფის შვილი, შეაერთეს ეს სახელმწიფოები ერთად და აშენებენ საამურსა და ბედნიერ ცხოვრებას.

იყო ერთი ხელმწიფე. მას ვაჟიშვილი არა ჰყავდა. ვეზირები ჰყოლია ბევრი, მაგრამ ერთი ყველაზე მეტად უყვარდა. სულ ყოველთვის პირდებოდა, იმისთანა ადგილზე დაგასახლებ, რომ შენისთან მოსახლე სხვა არ იქნებო. ერთ დღეს უთხრა ამ ვეზირს. — წადი ჩემს წყაროზე, წყალი მოიტანეო. თავისი წყარო ჰქონდა მას. წაიღო თუნგი და გამოვიდა იმ წყაროდან სისხლი. გადაასხა. ამოიღო მეორე და კიდევ სისხლია; ამოიღო მესამე და კიდევ სისხლია. გაბრუნდა ცარიელი. — რა ჰქენი, ვერ მომიტანე წყალიო? — რაღაც სისხლი მოდის და წყალი არაო. — უპასუხა.

გაჯავრდა ხელმწიფე: — გაგიგონია, ჩემი წყაროსთანა წყალი არსად არის, სისხლს რა უნდაო! წადი ახლავე, თორემ მოგჭრი კისერსო!

წავიდა კიდევ სისხლი გამოდიოდა. დაიჩოქა და ეხვეწება: — რაც გინდა ის დამავალე, ოღონდ ჩემს თავს ნუ მოაკვლევინებ ხელმწიფესო. იქიდან ქაჯმა დაიძახა: კარგი, ოღონდ რაცა გთხოვო, შემისრულეო.

იმას უარს როგორ ეტყვის, დაჯდა და დაწერა პირობა. — რა ვუყო ამ პირობასო? — დაღევი ქვაზეო.

ახლა წამოვიდა წყალი და შემოიტანა. — ხომ არ მოდის ჩემი წყალი სისხლიანო.

ვერიზმა არ გაამხილა, რაც შეემთხვა. ამ ვეზირს ჰყავდა სოფელში საყვარელი ქალი. სთხოვა ხელმწიფეს, რომ ერთი დღის ვადით გაეშვა თავის სოფელში. — წადი, მაგრამ ბევრი არ დაიგვიანო.

ის ქალი ყოფილა ორსულად, ვაჟიშვილი დაბადებია, დიდი ხანი არ ენახა და მამისხელა გაზრდილა, მოწიფული ახალგაზრდა.

ილაპარაკეს ახლა ამ ქალმა და კაცმა — ერთი რამ მოვახერხოთ, იქნება ჩვენი შვილი წაიყვანოს ხელმწიფემ ვეზირად და ჩვენ სამოსახლო მოგვცეს და დავესახლებითო. დაბრუნდა ის კაცი ხელმწიფესთან და სთხოვა: — სუყოველთვის რომ მპირდებოდნი დაგასახლებო, სიკეთე მიქენი, ჩემი შვილი აიყვანე ვეზირად, მე სამოსახლო მომეცი და დავესახ-

ლები სადმეო. — საჩუქარს მოგცემ და დაესახლეო. — მე საჩუქარი არ მინდა, ოღონდ ჩემი შვილიც ჩემსავით პატივით იგულეო. — წადი და მოიყვანეო.

წავიდა ის კაცი, მოკაზმა მისი შვილი, ჩააცვებს კარგად, მიჰყავს წყლის პირზე. გამოიარა წყალზე და რაღაცამ დაიძახა წყლიდან: — ეე, რას შვრებიო! — რა არის, ჩემი შვილი მიმყავს ხელმწიფესთან, სხვა არაფერიო. — არა, ის შენი შვილი კი არ არის, ჩემი შვილია, აბა პირობა ნახეო.

ახლა მოაგონდა პირობა.

— ოო, მართალია, მართალი, შენია, ვერაფერს გეტყვიო.

— აბა, დასვი ქვაზეო!

დასვა ქვაზე და თვითონ წავიდა ხელმწიფესთან. მის შვილს წაუძღვა ქაჯი და წაიყვანა. მივიდნენ ზღვის პირზე. ახლა ამას სწუხს ბიჭი, ზღვაში დავიხრჩობიო. ქაჯმა უთხრა: — რა გატირებსო? — დავიხრჩობიო. — ნუ გეშინიაო.

შევიდა ქაჯი, ზღვა გაამაგრა, ფეხიც არ დაუსველდათ, გავიდნენ მეორე ნაპირზე. უთხრა ქაჯმა ბიჭს: — შენ დაჯექი, მოიცადე, ვიბანავებ, არსად წახვიდეო.

ბიჭმა შეხედა, დაბლა მეორე ნაპირზე ქალი ბანაობს, მიეპარა და ტანისამოსი მოჰპარა. ტანისამოსი შეინახა და თვითონ დაჯდა, სადაც ქალმა დააწყო ტანსაცმელი, ქალმა ბანაობა რომ გაათავა, გაიხედ-გამოიხედა და შეხედა ამ ბიჭს. დაიძახა: — ეი, ბიჭო, ტანისამოსი მომიტანეო! — მე რა ვიცი შენი ტანისამოსის?

— მომიტანე, თორემ ის ჩემი ძმია, ვინც მოგიყვანა, ვეტყვი და შეგჭამსო.

— არა, მე არ მომიპარავსო!

— მომიტანე, თორემ ინანებ, შენ დასაკლავად მიყავხარ იმ ჩემ ძმას და თუ არ მომცემ, უჩემოდ შენ თავს ვერ უშველი, თუ მომცემ, პირობას გაძლევ გიშველიო.

ამოიტანა ტანისამოსი. ქალმა უთხრა: — ერთ ოთახში ჩემი ძმია, მეორეში მე ვარ, მესამეში შენ იქნებიო. ის მოგცემს სამ კითხვას, ჩემს უკითხავად არაფერი უთხრა, მე მკითხეო. ქალი წავიდა. ისეთია თვალადი, ლამაზი. გამოვიდა ქაჯი, ჩაიცვა ტანისამოსი და წამოიყვანა მის სახლში. ერთ ოთახში შეაგლო ბიჭი, თვითონ მის ოთახში შევიდა, მოისვენა

და დაუძახა: — ბიჭო, მოდი აქო! აბა ერთ რამეს გეტყვი, თუ გააკეთებ, თავისუფლად გაგიშვებ და ჩემი ოჯახიდან რასაც ისურვებ გაჩუქებო. — რა არისო? — რა არის და ჩვენ რომ ზღვაში გამოვედით, იქ ქვედა სახლი ვერცხლის ააშენე, ხოლო ზედა — ოქროსი, თორმეტ-თორმეტი ფანჯარა გაუკეთე და ერთი კარიო. კარსა და ფანჯრის თავზე ყველგან გვეღვეშაპი, მგელი, ღათვი და სხვა მხეცები დააბი ჯაჭვით, ისე დაბრუნდი და რასაც ხელს მოჰკიდებ ჩემს ოჯახში, საჩუქრად მოგცემო. ამას ვერ შეასრულებდა, დაიწყო ტირილი. გამოვიდა მისი დის ოთახში.

— რა არის, რა გითხრაო? — ასე და ასე მითხრაო. — ამას გიშველი, მაგრამ მეორეს გეტყვი. დამიცადე აქაო. თითონ გავიდა, ქაჯს სძინავს. ამას ჰქონია ქისა. მოიპარა, გამოიტანა. უთხრა: — დადექი ზღვის პირზე, ამ ქისას უთხარი და ის ხუთ წუთში შეგისრულებსო. მერე ქისა მე ჩამაბარე, მას არ შეუტანო, თორემ შეგჭამსო.

წაიღო, დაჯდა ზღვის პირზე, ჩაუთქვა ქისას და ხუთ წუთში სახლიც გააკეთა, ყველა მხეცი იქ დააბა, ქისა დას მისცა. დამ წაიღო, დადო იქ, სადაც იდო. ქაჯმა კი ვერაფერი ვერ გაიგო. გამოედვიდა ქაჯს და დაიძახა: — ეე, ბიჭო, რა ჰქენი?! — გავაკეთე! — ეჰ, შენ როგორ გააკეთებდი, ჩემი ქისა გიშველიდა!

ქაჯის დამ პასუხი ასწავლა ბიჭს და მან ისე უპასუხა: — შენი ქისის მე არაფერი არ ვიცი, არც მინახავს, მე ვქენი ასეო! — შეისვენა, ამ ქაჯმა და ბიჭმაც და კიდევ დაუძახა: — აბა, ერთი კი გააკეთე, მეორესაც თუ გააკეთებ, რასაც ითხოვ, გაჩუქებო! — რა არისო? — რა არის და დიდი კლდეა ამ სახლის ახლოს. იმის თავზე სამი გოგოა: ერთი — წითელი, მეორე — შავი, მესამე — თეთრი. ისინი ჩამოიყვანე აქ და ორ რამეს გაჩუქებ, თანაც გაგათავისუფლებო.

გამოვიდა ბიჭი ქალთან. — რა გითხრა, ბიჭო? — ასე და ასეო. — ეს იოლია. კი გავაკეთებო, მაგრამ მესამეს უფრო ძნელს გეტყვისო; შენ აქ მომიცადეო.

გავიდა, სძინავს ქაჯს. მოჰპარა ჯიბიდან გასაღები, გააღო ზანდუქი, ზანდუქში კოლოფია, კოლოფში კიდევ პატარა კოლოფი, ამოიღო ის და შეიტანა.

— ამაში არის სამი მერცხალიო: ერთი — თეთრი, მეორე — შავი, მესამე — წითელიო. სანამდის კლდის ძირში არ მიხვიდე, კოლოფი არ გააღო. იქ დაჯექი, კოლოფი გააღე, შავ მერცხალს შავი გოგოს ჩამოყვანა უთხარი. წითელს — წითლისა, თეთრს — თეთრისა. ჩამოიყვანენ ისინი, შემდეგ მერცხლებში კოლოფში ჩასვი, მოიყვანე აქაო. წაიღო იქ და ისე გააკეთა, როგორც ქალმა დაარიგა. მერე კოლოფი დახურა, შემოუტანა ქალს და ისინიც შემოიყვანა. იმ ქალმა კი შეიტანა ზანდუქში, შეინახა ჩუმად. გასაღები ქაჯს ჯიბეში ჩაუდო და გამოვიდა. ქაჯმა რომ გამოიღვიძა, დაუძახა: — ეე, ბიჭო, მოდი აქაო! რა ჰქენიო? — ჩამოვიყვანეო. — ეჰ, შენ როგორ ჩამოიყვანდი მათო? — თუ არ გჯერა, აქ არიან. — მათ მარტო ჩემი მერცხლები ჩამოიყვანსო. — მე რა ვიცი შენი მერცხლები, თუ ირმები? მე ჩამოვიყვანეო. — აბა კაი ბიჭი ყოფილხარ, მესამეს გეტყვი, თუ გააკეთებ, მაშინ სამ რამეს მოჰკიდე ხელი ჩემს ოჯახში, გაჩუქებ და გაგათავისუფლებო.

ამის მეტი დავალების უფლება არა აქვს. — რა არის მესამე? — რაში მყავს თავლაში, გამოგიყვან უნაგირიანად, შეჯექი, გაასეირნე მინდორში და მერე თავისუფალი ხარო. გამოვიდა ბიჭი. — რა გითხრაო? — ჰკითხა ქალმა. — რაშენ შეჯექი, გაასეირნეო. — ოჰ, შე საწყალო, ეს არის ყველაზე ძნელიო. ამას რაში კი არ ჰყავს, ის თვითონ იქნება რაშიც, უნაგირიც, გამოძყვანიცო. იმაზე რომ შეჯდები, დაიღუპა შენი საქმე. მე გასწავლი, ისე თუ მოიქცევი, გადარჩებიო. — რაო? — რადა, წადი ბაზარში, თეთრი ნაბადი და ალმასის ნაჯახი იყიდე. ის რომ ვითომ გამოიყვანს რაშს, იფთხვინებს და გეტყვის: — აბა, ჩემო კარგო ბიჭო, შენ რომ იცი, ისე შეჯექ და თავისუფალი ხარ მაშინაო. ამ სიტყვამ გული არ ავამჩატოს. ავჯანდაზე რომ ფეხი შედგა, დაგაჩქარებს, არ შეჯდე უნაგირზე. უნაგირზე შეხტომამდე რაშს ნაჯახი შემოჰკარი ორ ფეხს შუა სამჯერ და დაიძახებს — რად მომკალო? შენ უპასუხე, — ეს გეკადრებოდა ჩემგანო. ის საჩუქრები ჩემს უკითხავად არ აიღოო.

ქაჯმა რაში შეიყვანა, ვითომ, დააბა. დაწვა თავის ოთახში და რომ გაიღვიძა უთხრა: კაი ბიჭი ყოფილხარო.

ქალმა დაარიგა ბიჭი: ორჯერ რომ გითხრას, რა გინდა სა-

ჩუქარი — ჩემი თავი სთხოვე ცოლად. ის გაჯავრდება, მაგრამ სამივე შეკითხვაზე ასე უთხარი, არ შეცდეთ. შენ დას თუ არ მომცემ, ქისა მაჩუქეო.

დაუძახა ქაჭმა: — პირველი საჩუქარი რა გინდაო?

— მეტი არაფერი, შენი და ცოლადო. — გაჯავრდა. — მეორე საჩუქარი რა გინდაო? — შენი და ცოლადო.

კიდევ გაჯავრდა და ჰკითხა — მესამე საჩუქარი რა გინდაო. — შენი და ცოლადო. — ამას არ მოგცემო. — აბა შენი ქისა მაჩუქე, რადგან იმას არ მაძლევო. — ო, შე მამაძაღლო, ჩემი ცხოვრება შენ გინდაო. წაიღო ქისა. მოვიდა ქალთან, ამან აკოცა და გაუშვა. მივიდა ზღვის პირზე, გაიარა ზღვა, ახლა ქისა აქვს. გავიდა ნაპირზე, სამი დევი სცემს ერთი მეორეს. — რას შვრებით თქვენ ამასო? — ვიყოფთ, მარა ვერ გავიყავითო. — რა გაქვთ გასაყოფიო? — კაი რამეო. — რაო? — ხალიჩა, ქუდი და სუფრა. — ხალიჩაზე თუ შეჯდები, სადაც გინდა, იქ მიგიყვანს; სუფრა მთელ ჯარს სადილს შეუმზადებს; ქუდი რო გეხუროს, ყველას შენ ხედავ და შენ ვერავინ გხედავსო. — მერე ამას ვერ იყოფთო? — ვერაო.

— მე გასწავლით გაყოფასო. ესენი დატოვეთ აქ, წადით მინდვრების ბოლოს, გამოიქეცით, ვინც მოასწრებთ, იმას გეჟნებათ უკეთესი, ამას რა გაყოფა უნდაო? — ოჰ, ამას რატომ ვერ მივხვდით ჩვენაო?

წავიდნენ ისინი. ამ ხალიჩაზე თვითონ დაჯდა, ის სუფრაც და ქუდიც აიღო, უთხრა — ხელმწიფის კარზე დამაყენეო. დევები იქ დარჩნენ. თვითონ ხელმწიფის კარზე გაჩნდა. ქუდი ახურავს, ვერავინ ხედავს, თვითონ ყველას ხედავს.

რა მოახერხოს? ხელმწიფეს სამზარეულო აქვს. ამ სამზარეულოში მუშაობს დედაბერი დევი, ძუძუები ბეჭებზე აქვს აკეცილი. შეეპარა, ძუძუზე კბილი დაადგა — შენ დედა და მე შვილიო! — ვინა ხარო? მოიხადა ქუდი, შეხედა. — რა გინდაო? — ეს ბარგი შემინახეო, მაჭამე და დედობა გამიწიეო. — ნუ გეშინია, მოვახერხებო.

არის აქ. ხელმწიფეს ციხე უდგას, ციხეს მცველები ჰყავს ყველგან. — რა ამბავია აქ ციხეში? — ამაში არის ხელმწი-

ფის ქალიშვილი და იმას დარაჯობენო. ყოველ დილით წონიან, თხუთმეტი გირვანქააო.

დაღამდა, ქუდი დაიხურა და უთხრა ნაევანშემეს ხალიჩას, ციხეში შემიყვანეო. აფრინდა და შეიყვანა. გოგოს სძინავს, აკოცა და დაბრუნდა. დილით გოგო აწონეს; არის ჩვიდმეტი გირვანქა. დააბრალო ხელმწიფემ ხალხს და დახოცა. მეორე ღამეს კიდევ ისე ქნა ბიჭმა. აწონეს კიდევ, არის ცხრამეტი გირვანქა. მესამე საღამოს სულ ყველგან მცველებიღა. გოგოც არ დაწვა. ბიჭიც იქ არის. გოგო დადის იქით-აქეთ, არ წვება. თვითონ არ იცის, რა დაემართა. გათენებისას მიეყუდა თავის ქვეშაგებს და ბიჭმა აკოცა. გოგომ დაიძახა: მიჩვენე თავი, არსად გაგიშვებო.

მოიხადა ქუდი და ეჩვენა. შეუყვარდათ ერთიმეორე. — აბა თავს ვუშველოთ, თორემ მამა მოგვკლავსო. დასხდნენ ხალიჩაზე და ბიჭმა უთხრა: — იქ წაგიყვანე, სადაც ადამიანი არ ყოფილაო. გაფრინდნენ. მიფრინდნენ ერთ ადგილას. ქისას უთხრა და გაჩნდა სახლი: ქვედა სართული ვერცხლი, ზედა — ოქრო. რამდენიც გინდა ოთახებია. სასმელ-საჭმელი უამრავი, ოღონდ არც ადამიანი და არც ფრინველი არ არის.

ქალის მამამ გაგზავნა მძებრები. ვერაფერი გაიგეს. ამ დროს დევის დედამ უთხრა ხელმწიფეს: კუბოში ჩამაწვინეთ, ზემოდან დაჭედეთ და წყალში ჩამაგდეთო. ეს იყო ბიჭის დედობილი. წყალი ზღვაში მიდის. დედაბერი ჩააწვინეს კუბოში. წაიღო წყალმა კუბო ზღვაში. ერთი პატარა დოქი ბანგი დაუდგეს თავქვეშ. წყალმა კუბო ზღვაში შეიტანა. ცოლქმარს მოსწყინდათ და ჩავიდნენ ზღვის პირას სათამაშოდ. შეხედეს კუბოა ზღვაში. ქმარმა თქვა: — გამოვიტან ამას, ამდენი ხანია არავინ გვინახავს, ცოცხალი თუ არ იქნება, მკვდარი ვნახოთო. ქალმა იკივლა: — არ გამოიყვანო, ინანებო. — აბა, მისი კი არ მეშინიაო.

გამოიყვანა, ახადა კუბო. ნახა მისი დედობილი. — ოჰ, საწყალო, რა დაგემართაო? — რა და ჩემი ცოდვა გქონდეს, გაიგეს, რომ შენ ჩემთან იყავი, სიკვდილი არ დამაჯერეს და ცოცხალი ჩამაგდეს წყალშიო. — აბა ნუ გეშინია, მე იმაზე უკეთ შეგინახვო, როგორც მკვიდრ დედასაო.

შეიყვანა სახლში. ემსახურა ოთხი-ხუთი დღე კარგად. ერთ საღამოს რომ დაწვნენ, მოსწყურდათ. დევის დედამ წყალი გადაღვარა და როცა წყალი მოითხოვეს, ბანგი დააღვივნა. იმ ხალიჩაზე გოგო დააწვინა, აილო სუფრა, ქული, ქისა და უთხრა ხალიჩას: — ხელმწიფის კარზე დამაყენეო. ის საწყალი კაცი დარჩა იქ ტიტველ მიწაზე. ახლა რა ქნას, გავიდა ერთი კვირა, არც საკმელი აქვს, არც სასმელი. დალონდა ისე, რომ სიარული არ შეუძლია. მინდორშია. ზევით ხე ჩანს. მივიდა იქ ოთხით. დაჯდა მის ქვეშ. ამის წვერზე ჩიტს ჰქონდა ბუდე და წიწილები ჰყავს. მათი დედა მათი საკმლის საძებრად წასულა. ბარტყებმა უთხრეს ერთმანეთს: — ამისი ცოდვა არ გადაგვარჩენს, ამისთანა საწყალი ქვეყანაზე არაფერი არ იქნებაო. ვკითხოთ დედაჩვენს; იქნებ მისი გადაყვანა მოხერხდესო. საღამო ღროს მოვიდა მათი დედა, საკმელი მოიტანა და წიწილებმა არ მიიღეს. — რა არი, რა გინდათ, რატომ საკმელს არა ჰამთო?

— რად გვინდა საკმელი, ყველა დაგვხოცე, საკმელი უსარგებლოა ჩვენთვისო. ხომ უყურებ ჩვენს ქვეშ საწყალი კაცი არისო. შენ მოხუცი ხარ და გეცოდინება მისი იქით გადამყვანელიო. — ამის გადაყვანა არ მოხერხდება იქით, ოღონდ სადაც გიორგობას იხდიან, ამ ჩვენს ზევით რომ თეთრი ქვაა, მიწა ამონგრევა, ქვა გასკდება, ამოვა თეთრი რაში, იმ ქვაზე დაჯდება, მაშინ მის ფეხებს რაშს თუ მოახვედრებს, გადავა იქითო. იქ თუ კარგად გავარდა და გაგორდა, მაშინ თავს უშველის, თუ არა, დაიღუბებაო. მივიდა ის ბიჭი მეორე დღეს, დაჯდა ქვაზე, აინგრა მიწა, გასკდა ქვა, ამოვიდა თეთრი რაში, მოახვედრა ფეხები, გადაყვა გადაღმა და დარჩა. რა ქნას ახლა, სიარული არ შეუძლია და საკმელი აქ არ არის, მიდის ისე, როგორც ოთხფეხი. მიდის, მიდის და მივიდა ტყის პირას. მწიფს თეთრი ლეღვი. დაიწყო ამის ჰამა, ფეხზე ადგა, ახლა სიარული შესძლო. ამ ტყეში თეთრი ლეღვიცაა და შავიც. სულ ერთი იქნებაო და შავი შეჰამა. ის რომ შეჰამა, რამდენი ბალანი თავში აქვს, იმდენი ნაძვი და ხე გამოუვიდა თავზე. სული უდგია და ტყე არის უბედური მისი თავი. — მაინც დაღუბული ვარო, ახლოს არის თეთრი ლეღვი, აილო, შეჰამა და მოუჩა თავი, გაეცალა ტყე. ახლა ბიჭმა

ერთი ჯიბე შავი ლელვი მოკრიფა, მეორე ჯიბე — თეთრი ლელვი. მიდის, მიდის. შევიდა სოფელში. თხოულობს პურის ნატეხს და აჭმევინ. ამოვიდა აქამდე, ხელმწიფის სამოსახლომდე. მისი დედობილი აქ მუშაობს. ჩავიდა და უთხრა: ჩემო დედობილო, კარგად მიყავიო.

— კარგი არ გიქენი, მაგრამ შენ ნივთებს დაგიბრუნებო. ხელმწიფისათვის არ მიუცია. დღისით ქუდი ახურავს და არავინ ხედავს. ღამე დედობილთან არის. სადაც ხელმწიფის ეკლესიის გზაა, იქ დუქანი გააკეთა. საჭმელი, სასმელი აქვს საუკეთესო. ერთ კვირას მიდიან ეკლესიაში, ნახეს დუქანი. — ვინ ააშენაო, აქეთობას შევიდეთო. წავიდნენ. წირვის შემდეგ შევიდნენ. ბიჭმა საუზმე გააკეთა, მოეწონათ. — აწი შენ უნდა გაგვიკეთო საჭმელიო. ასე დადეს პირობა. ოთხ-ხუთ დღეს კაი საჭმელი უგზავნა. ერთ დღეს შეურია შავი ლელვი და რომ შეჭამეს, თავზე ხეები დაესხათ. ამათაც ისე დაემართათ, რამდენიც ბალანი ჰქონდათ, იმდენი ხე-ტყე ამოუვიდათ. მოჰყავდათ ცისა და ქვეყნის ექიმები, ვერაფერი უშველეს, ჭრიან, ამოღის. ბიჭიც იქ არის. ბიჭმა თქვა: — მე მოვარჩენ და რას მომცემო? — ხელმწიფედ დაგაყენებო!

მისი მამაც აქ არის. ვერ იცნო შვილი. — შენ რას მოარჩენ, ექიმები ვერ არჩენნო.

ბიჭმა უთხრა: — მართლა მოვარჩენ, თუმცა არ ეკუთვნისო. ყველა შეეხვეწა: მოარჩინეო. — აბა, უღელი და კევრიო და ერთი მაგარი მათხარიო. დაადგა უღელი ცოლ-ქმარს, მიაბა კევრი, მათრახი ხელში აქვს, ურტყამს; თითო დარტყმაზე თითო თეთრ ლელვს აჭმევს, ეცლებათ თანდათან. განთავისუფლდნენ. მორჩინენ, უთხრეს — ხელმწიფედ დაჯექიო. — მე ხელმწიფობა არ მინდა, შენი შვილი მინდა ცოლადო.

აუსრულეს. მისი მამაც განთავისუფლეს და დარჩინენ იქ.

ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაპი

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდათ ერთი ქალიშვილი. მის უკეთესი ცასა და დედამიწას შუა არაფერი დაიბადებოდა. ამ ხელმწიფეს ღამით დაეცა რალაც და ქალი მოსტაცა. დაედევნენ, ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად ვერ ნახეს.

ამ დროს ცხოვრობდა თუმრე ერთი ტყის კაცი, რომელსაც ღვთისადმი პირობა ჰქონდა მიცემული: თავის ღლეში კაცთან არ გამოსულიყო და მუდამ ტყეში ყოფილიყო. მიწა-ადგილი ჰქონდა თავისათვის მიჩენილი, რადგან გარეშემო მოსაზღვრეები დევები ჰყავდა და მათ ხეებს არ აძლევდა მოსაჭრელად. ისეთი ღონიერი კაცი იყო, რომ ყველა დევს მისი ეშინოდა.

ერთხელ ეს კაცი წავიდა თავისი ადგილის შემოსავლელად: დევებმა ხომ არა გააოხრეს რაო. ერთის მხრით წყლის პირი იყო. ამ წყალს გაჰყვა. მზეც ჩასვლას დაეპირა. წყალს რომ დახედა ტყის კაცმა, სისხლით შეღებილი ნახა. გაუკვირდა: „ეს წყალი თეთრი იყო, ახლა რად არის წითელი, ეს უნდა ვნახო“. შეჰყვა წყლის პირს და დააღამდა. ერთ ადგილს მიაღწია და ნახა, რომ ორი დევი ერთმანეთს ეჭიდება. თურმე ამათი სისხლით ყოფილა შეღებილი წყალი. გაღმა რომ გაიხედა, დაინახა: დგას ნაპირზე რალაც მზესავით მოელვარე. ტყისკაცი მივიდა დევებთან, იძრო ლეკური, მოუქნია, ორივე დახოცა და წყალს მისცა წასალებად. ამ დროს გაღმიდან დაუძახა მან, მზესავით რო ბრწყინავდა: ქრისტიანი ხომ არა ხარო? — არ შეგეშინდეს, — უპასუხა ტყისკაცმა, — მე ქრისტიანი ვარ და შენ კი ვინა ხარ, მითხარო? — მე ვარ ხელმწიფის ასული. შენ რომ მოჰკალი, იმ დევმა მომიტაცა და აქეთ წამომიყვანა. ამ წყალთან მეორე დევი დახვდა და ჩემი წართმევა დაუპირა. იმ დროს იყო, შენ რომ მოუსწარი ჩხუბობდნენ და დახოცო.

ტყისკაცმა უთხრა ხელმწიფის ქალს: — მე ღვთისადმი მაქვს პირობა მიცემული, რომ ტყიდან არასდროს არ გამოვიდე. მინდორში გაგიყვან და შემდეგ შენს სახლში წადიო. მაგრამ ქალმა უპასუხა, შენი დაშორება არაფრით არ შემიძლიაო.

ტყისკაცმა წაიყვანა ქალი თავის სამყოფ ადგილას და დაიწყეს ერთად ცხოვრება. გავიდა ნახევარი წელიწადი. ქალი დაორსულდა. ბავშვის დაბადების დრომაც მოატანა. ტყისკაცმა უთხრა ქალს: — მე მარტო ვარ ამ ტყეში. შენ რომ დაწვები, კაცი გინდა ხელის მომწყობი. მე არაფერი არ შემიძლია. — მე შენთან უნდა მოვევდე, სხვაგან ვერსად ვერ

წავალო, — უთხრა ქალმა, მაგრამ ტყისკაცმა არ დაუჯერა: — შენ სახლში უნდა წახვიდე. მე ტყიდან გაგიყვან ლამით და შენი სახლის ახლოს მიგიყვანო.

ქალს რა უნდა ექნა: — კარგიო, უთხრა.

წაიყვანა ტყისკაცმა ლამით და მისი სახლის ახლოს დასტოვა. ამოიღო ჭიბიდან ერთი ბეჭედი, მისცა ქალს და უთხრა: — შენ დაგებადება ვაჟი; სახელა ხრისტაგანი დაარქვი. ეს ბეჭედი მაშინვე მარჯვენა ხელის თითზე წამოაცვი: მისდღეში არ წამოიძროს, — სულ თითზე ჰქონდესო.

ტყისკაცი დაბრუნდა თავის ადგილას. ქალი შევიდა თავის სახლში. დედ-მამამ რომ დაინახა, გაეხარდათ: ჩვენი ასული მოსულაო.

მეორე დღეს გამართეს დიდი წვეულება: ბევრი კაცი ჰყავდათ დაპატიებულნი. შუადღისას ქალს მუცელი ასტივდა. დააწვინეს ლოგინად და ეყოლა ვაჟი. დედამ თქვა: ამის სახელი ხრისტაგანი იყოს, რადგან ამისმა მამამ ასე დამაბარაო. ყველა თანახმა გახდა. მამის ბეჭედი მარჯვენა ხელის თითზე წამოაცვეს. გავიდა სამი თვე. ბავშვი კარგა ღონიერია. ხელმწიფეს გაუხარდა: ეს ვილაც ურიგო კაცის შვილი არ უნდა იყოსო.

ამდენი რა გავაგრძელო, ბავშვმა მინდორში თამაში დაიწყო სხვა ბავშვებთან. ერთ დღეს თავის ბაბუა-ხელმწიფეს უთხრა: — გამიკეთებინე ფოლადის მშვილდ-ისარი ისეთი, რომ წონით ორასი ფუთი იყოსო. — ძალიან კარგიო, — უბასუხა ბაბუამ, თუმცა შვილიშვილის ასეთი სურვილი ბაბუას არ მოეწონა, მაინც გააგზავნა კაცი მჭედელთან. გამოჰქედა მშვილდ-ისარი, მაგრამ მისი მოტანა საძნელო შეიქნა. გააგზავნა ხელმწიფემ კამეჩები ურმებით და დიდი წვალებით მოიტანეს. როდესაც ეზოში შემოვიდნენ, ბავშვმა დაინახა, გაიქცა, მიეგება ურემს. მოჰკიდა ხელი მშვილდ-ისარს და უცებ აიღო. ყველას გაუკვირდა: ეს ფარსავი კაცი არ იქნებო!

ხრისტაგანმა დაიკავა ხელში ისარი და ზევით აისროლა. უმზირეს სხვა კაცებმა, მაგრამ თვალიდან დაეკარგათ ისარი. დიდი ხნის შემდეგ ისარი მიწაში ჩაერჭო. ისარი რომ ამოეძროთ მიწიდან, სამოცი კაცი მივიდა, მაგრამ ვერაფერს გა-

ხდნენ. ამ დროს გაიქცა ხრისტაგანი, მივიდა და თავისი ისარი უცბად აიტაცა. ეს რომ ნახეს, ყველა ამბობდა: ეს უნდა იყოს ტარიელების ბატონიო.

ხრისტაგანმა დაიწყო სანადიროდ სიარული. ისეთი საღამო არ იქნებოდა, სხვადასხვა ნადირი არ მოეტანა. ახლა სრულიად გაიზარდა ხრისტაგანი. მისი ყველას ეშინია, რადგან იმის მსგავსი მაგარი ბავშვი დღემდის არავის ენახა.

ერთხელ ხრისტაგანი წავიდა სანადიროდ. იარა ბევრი, მაგრამ ვერაფერი მოკლა. საღამოს დაბრუნდა თავის სახლში. შარას რომ შეწუხებული მოდის, გაიხედა ერთი მინდვრისაკენ და დაინახა, რომ ქალს მხარზე უდგას. წყლით სავსე კოკა. ხრისტაგანმა იფიქრა: აბა, ამ კოკას მხარზე თუ დავატეხავო. ესროლა ისარი, მოარტყა კოკას და გატეხა. ქალი გაიწუწა. მიბრუნდა და უთხრა ხრისტაგანს: — დედა-შვილობას, ჩემი კოკა რომ არ გაგეტეხა, სხვა ვერაფერი ნახე სასროლიო? ახლანდელმა ბიჭებმა ხელზე ბეჭდის წამოცმა იცით; ეს ძველმა ტარიელებმა არ იცოდნენო.

ხრისტაგანმა არა უთხრა რა. წამოიძრო იმ წამს ბეჭედი და ჯიბეში ჩაიღო. მოვიდა თავის სახლში. იმ ღამეს გულჯავრიანმა დაიძნა. მეორე დილას წამოდგა. საქმელი ჭამა, დედას დაუძახა — აქ მოდიო. დედა მივიდა. — ერთს გკითხავ და არ დამიმალო: — უნდა მითხრა, ვინ არის მამაჩემი.

დედა შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა? უთხრა: — მამაშენი ტყის კაცია. ის მუდამ ტყეში ცხოვრობს. ღვთისადმი პირობა აქვს მიცემული, რომ კაცს არ ეჩვენოს. — საით არისო? — ჰკითხა ხრისტაგანმა. დედამ უთხრა: — ამა და ამ მხარესო, — და თითოთ აჩვენა.

მონახა ხრისტაგანმა თავისი რაში, რომელზედაც ჯერ არავინ მჯდარიყო. გამოიყვანეს რაში ჯაჭვებით. მივიდა ხრისტაგანი, გადაუსვა ხელი და უცებ უნაგირი დაადგა. აიღო თავისი შვილდ-ისარი და სახლში დაუბარა: „მამაჩემის საძნებულად მივდივარო“.

შეაჯდა რაშს, მოუქნია და წავიდა ზევით-ზევით ჰაერში. იმ ტყის ახლოს დაასკუბა ცხენი. შევიდა ტყეში, ეძია მამამისი, მაგრამ ვერა ნახა. მამამისი თურმე დევებს გაჰკიდებოდა, რადგან მათ ხეები დაეოხრებინათ. აქეთ რომ მობრუნდა ტყის

კაცი და მოდის, შეხედა, რაში ტყეში ბალახობს და ვაჟი თავისთვის დასეირნობს. — ჰეი! რა კაცი ხარ! — დაუძახა ტყისკაცმა. — ვინა ხარ, რომ ჩემს ტყეში შემოსვლა გაბედო? — მე ვარ, რა გნებავს? მობრძანდი, თუ რამე შეგიძლიაო! — დაუძახა ხრისტაგანმა. — ჩემი წამოძახება ხრისტაგან-ტარიელის მეტს სხვას ვერ უნდა გაებედნაო! — დაუძახა ტყისკაცმა.

მაგრამ ხრისტაგანმა არ იკადრა სახელის თქმა, აიღო თავისი ისარი და სტყორცნა ტყისკაცს. ტყის კაცმა ხელით დაიჭირა ისარი. უყურა ხრისტაგანის ხელს, მაგრამ ბეჭედი ვერ შენიშნა: „ეს ჩემი შვილი არ უნდა იყოს, თორემ ხელზე ბეჭედი ექნებოდაო“, იფიქრა. მოიმარჯვა ტყისკაცმა მშვილდისარი და ესროლა. მოხვდა ხრისტაგანს. წაიქცა და სული განუტევა. მოვიდა ტყისკაცი, დააქცერდა: მკვდარს, ხელები გაუსინჯა, მაგრამ ბეჭედი ვერ უპოვა. „ეგებ ჯიბეში რამე ედოსო“, იფიქრა. ჩაუყო ხელი ჯიბეში და ამოუღო საფულე. გახსნა და დაინახა მისი მონაცემი ბეჭედი. ერთი დაიღრიალა და თავი ხეს მიახეთქა. წაიქცა ზე-მეორე ხეს დაეტაკა, — მეორე წაიქცა, მესამე... და ასე ძირს დააგო მთელი ტყე, მობრუნდა ისევ ხრისტაგანთან, წაიშინა თავში ხელი და კიდევ შეჰბლავლა. ტარის ტყის კაცი განუწყვეტლივ და თავს ხეებს ახეთქებს. დევებს შეეშინდათ... „ეს რალაც კარგი ამბავი არ უნდა იყოსო“, — და ყველანი სხვა ადგილებში გადაცვივნენ.

ტყის კაცი უფრო და უფრო ბევრს ბლავის, ისე რომ ღმერთმა გაიგონა მისი ღრიალი. დაუძახა მტრედს და უბრძანა: „წადი, ნახე, რა არის, იმ კაცს რა უჭირსო“.

წამოვიდა მტრედი, ნახა, რომ მკვდარი მინდორზე დევს: ერთი კაცი მივა ახლოს, წაიშენს თავში ხელს, დაიწყებს ბლავილს, არტყამს ხეს თავს, წაიქცევა ხე და აქეთ-იქით ხეებსაც ანადგურებს. შემოელია ახლომახლო თავის მისართყამი ხეები. თუ რას შვრებოდა ეს კაცი, ყველაფერი ნახა მტერდმა. ისე უფრთხილდებოდა ტყის კაცი მკვდარს, რომ ზედ ბუზიც ვერ გადაიფრენდა.

წავიდა მტრედი და ყველა ეს ამბავი ღმერთს მოახსენა. ღმერთმა მისცა მტრედს ერთი ცხვირსახოცი და უთხრა: „შენ

ეს წაიღე ნისკარტია, მიდი მკვდრის ახლოს, დაუდარაჯე იმ კაცს: როდესაც წავიდეს ხეზე თავის მისახლეღად, მაშინ ეს ცხვირსახოცი ზევიდან დააგდე მკვდარს სახეზე. შენ თავს გაუფრთხილდიო“.

მტრედმა წაიღო ცხვირსახოცი, იხელთა დრო, დააფრინდა მკვდარს და ცხვირსახოცი სახეზე დაადო; თვითონ გაფრინდა. ტყის კაცი რომ მოდის და მოღრიალებს, ნახა მკვდარი ვაჟი ფეხზე დგას. გაექანა, ეტაკა, გადაკოცნა და ჰკითხა, — სახელი რა გქვიაო. — ხრისტაგანიო, — უთხრა მან.

ახლა ყველაფერი გაიგეს ერთიმეორის ამბავი, მამა და შვილი არიან. ხრისტაგანი ბევრ ხანს დარჩა მამამისთან. ბოლოს ტყისკაცმა უთხრა თავის შვილს: — შენ ახლა სახლში წადი და იცოდე ამხანაგად გაიხადე ბელთაგანი-ტარიელი, რუვი-ტარიელის შვილიო. გამოეთხოვნენ ერთმანეთს, წავიდა ხრისტაგანი თავის გზაზე.

მიდის ხრისტაგანი და ფიქრობს: „ბელთაგანი-ტარიელი უნდა მოვძებნო“. შემოუქნია რაშს და ერთი ზღვის პირას გადაახტუნა. გაჰყვა გზას, იარა, იარა ეს ღამე, დილა და შიადგა გზაჯვარედინს. ერთი გზისკენ რომ გაიხედა, რაღაც ყვავისოდენა გამოჩნდა. იფიქრა, ნამდვილად კაცი უნდა იყოსო. გაუქნია რაშს, მიადწიეს ერთმანეთს. ჰაერი მოაწვა ხრისტაგან-ტარიელს, ისე, რომ სიარულს უშლიდა, მაგრამ ხრისტაგანის ჰაერიც იქით აწვებოდა იმ მხრიდან მომავალ კაცს. ხრისტაგანმა იცნო: ნამდვილად ეს უნდა იყოს ბელთაგანი-ტარიელიო. ბელთაგანიც მიხვდა: ნამდვილად ხრისტაგანი-ტარიელი უნდა იყოსო.

მიუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ წინდაწინ გამარჯობა არც ერთმა თქვა და არც შეორემ. აუარეს გვერდი ერთმანეთს. მობრუნდა ხრისტაგანი და დაუძახა: — გამარჯობა, ძმაო, ბელთაგან-ტარიელო!

მობრუნდა ბელთაგანი და უთხრა: — გაგიმარჯოს ღმერთმა, ძმაო, ხრისტაგან-ტარიელო!

ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და გადაკოცნეს, დასხდნენ ერთ ხის ჩრდილში, მოისვენეს და დაიწყეს ლაპარაკი. ბელთაგანმა თქვა: — ერთ ადგილას დევები მოსახლეობენ. გარშემო გალავანი აქვთ და რკინის კარები კიღია. ეზოს ირგვლივ

გარედან ცხელი წყალი უდის, ისეთი, რომ რასაც მიესხმება, დასწვავს. ამ დევებს ჰყავთ ერთი ისეთი და, რომ მზე და მთვარესავით ბრწყინავს. მაგრამ რა გამოვიდა? წყალში არ გაისვლება; წყალში თუ გახვედი, გალავანში არ შეისვლება; იმიტომ რომ თითო ჭიშკარი ათასფუთიანი რკინისააო.

— აბა, ძმაო, ბელთაგან-ტარიელო, წავიდეთ იმ ადგილას; რაც დაგვემართება, ღმერთია მოწყალე, — უთხრა ხრისტაგან-ტარიელმა.

ადგნენ ტარიელები, შესხდნენ თავიანთ რაშებზე, გაუქნიეს და მივიდნენ დევების ახლოს, სადაც ცხელი წყალი ირგვლივ უვლიდა. იქ ბელთაგან-ტარიელმა უთხრა: — აბა, ძმაო, ეს არის ის წყალი. რით გაისვლება აქეთკენ? — ჰე, ძმაო ბელთაგან, — უთხრა ხრისტაგანმა, — მე რომ გითხრა „ჰეი“, იმ დროს რაშს მათრახი დაჰკარი ისეთი, რომ უმწარესი არ იქნებოდეს.

ხრისტაგანმა მოჰკიდა ხელი ბელთაგანის რაშის კუდის ძირს და დაუძახა: — ჰეი!

დაჰკრა ბელთაგანმა მათრახი რაშს. ამ დროს აიყვანა ხრისტაგანმა რაში კუდით და გაისროლა გაღმა. ბელთაგანი ამნაირად გაღმა გახტა.

ხრისტაგანმა დაჰკრა მათრახი თავის რაშს და გახტა გაღმა ნაპირს. ამ დროს დაღამდა. მივიდნენ გალავანის პირთან და იმ ღამეს იქ მოისვენეს. დილით, როგორც კი მზის სინათლე მოეფინა ქვეყანას, ადგა ორივე ტარიელი. ბელთაგანმა უთხრა ხრისტაგანს: — ახლა როგორ უნდა მოვიქცეთო? — წამო, ძმაო, აქეთ! — უთხრა ხრისტაგანმა. წავიდნენ რკინის კარებისაკენ. მოჰკიდა ხელი ხრისტაგანმა, ორივე კარი მოჰგლიჯა. მაგრამ ამ დროს დევები გამოღვიძებული არ ყოფილან. როდესაც შუა ეზოში შევიდნენ, გაიგეს დევებმა, გამოცვიდნენ ჯარეთ; მაგრამ ხრისტაგან-ტარიელი წავიდა წინ, იძრო ლეკური და დაერია დევებს. ორივე ტარიელი საღამომდის ჰკრიდა და ჟღერდა დევებს. ყველა გაწყვიტეს და ბოლოს სახლში შევიდნენ. ნახეს, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა, ისეთი ქალიშვილი. ქალს შეეშინდა.

— არ შეგეშინდესო, — უთხრეს ქალს ტარიელებმა და დააიმედეს. ტარიელები დაწვნენ ლოგინზე და მოისვენეს

დადლილებმა. მეორე დღეს დილით წამოდგნენ ტარიელები, საკმელი ჭამეს, გაიარ-გამოიარეს, მაგრამ ბელთაგან-ტარიელს ყველაფერი შხამად მიაჩნდა, რადგანაც ეს ქალი შეუყვარდა. ამასთანავე ხრისტაგანისაც ეშინოდა: ეგებ მას უყვარდეს და მას უნდოდეს ცოლადო.

შუადღეზე სახლში შევიდნენ ტარიელები და ეს ქალიც დასხდნენ ყველანი. ხრისტაგანმა თქვა: — ძმაო ბელთაგან-ტარიელო! ეს იყოს შენი ცოლი და ჩემი რძალი.

ბელთაგანს გაეხარდა, მაგრამ ქალს ცოტა ეწყინა, რადგან ხრისტაგან-ტარიელი უკეთესი იყო. ორი თვე ერთად იყვნენ. ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს: — მე, ძმაო, ახლა უნდა წავიდე. თქვენ იცით, როგორ ჰკვიანად იქნებითო.

გამოუყვანეს რაში ხრისტაგან-ტარიელს. ბელთაგანის ცოლმა გამოიტანა აბგით რაღაც საქონელი, მისცა ხრისტაგანს ხელში და უთხრა: — ამაში ძვეს სამნაირი ტანისამოსი: — ერთი — ოქროსი, მეორე — ვერცხლისა და მესამე — სპილენძისა.

გამოართვა ხრისტაგანმა აბგა და რაშს უკან დააკრა. ამოილო ჯაყვა, მისცა ბელთაგანს და უთხრა: — მე, ძმაო, გაჭირვებული ვიქნები, როდესაც ამ ჯაყვის პირი გასისხლიანდებო.

გამოეთხოვენ ერთმანეთს. წავიდა ხრისტაგანი თავის გზაზე.

ხრისტაგანმა მოუქნია რაშს და ზღვის პირს გადაახტუნა. გზას რომ მიდის, ერთი დედაბერი დაინახა და ჰკითხა: — ეს რა სახელმწიფოაო? — ეს შავი ხელმწიფის სახელმწიფოაო. — უთხრა დედაბერმა. — ამ ზღვის გაღმა რა არისო? — გაღმა თეთრი ხელმწიფეა. იქაურ სახელმწიფოს მცხოვრებლები ყველანი გახარებული არიან. იმ ხელმწიფეს ჰყავს სამი ქალიშვილი.

ეს რომ გაიგონა ხრისტაგანმა, დაემშვიდობა დედაბერს და გასწია. ცოტა რომ გაიარა, ხრისტაგანი გადმოხტა რაშიდან, ამოილო აბგიდან სპილენძის ტანისამოსი, თავისი ტანისამოსი გაიძრო და სპილენძისა ჩაიცვა. შეხტა ზღვაში რაშით, მოუქნია და გაღმა ნაპირს გავიდა. ერთი დღის გზა გაიარა ხრისტაგანმა, გადმოვიდა რაშიდან და უთხრა: წადი. იბალახე, როდესაც დაგიძახო, მაშინვე მოდიო.

რაში წავიდა საბალხოდ, ხრისტაგანი გაჰყვა მინდორს და ხელმწიფის სასახლეს მიუახლოვდა. ამ დროს მელორე თავის ღორებს მოერეკებოდა. ხრისტაგანმა უთხრა მელორეს: — შენი ტანისამოსი მე მომეცი და ჩემი შენა გქონდესო.

მელორე ცოტა ხანს გაჰკვირდა და შემდეგ უთხრა ხრისტაგანს: — ჩემი ტანისამოსი დაგლეჯილია, შენი კი სპილენძისა არისო. — შენ რას დაეძებ, — უთხრა ხრისტაგანმა.

გახადა მერე მისი ტანისამოსი და თავისი სპილენძის ტანისამოსი მისცა. ჩაიცვა მელორემ და წავიდა. ხრისტაგანმა კი მელორეს ტანისამოსი ჩაიცვა.

მიდის შარაზე მელორე და თან უკან იხედება, ეს სპილენძის ტანისამოსი ისევ არ წამართვასო. ამ შიშით გულში მელორე თავის სახლში მივიდა.

ახლა ამდენი რად მოგაწყინოთ, ხრისტაგანიც ხელმწიფის ჭიშკართან მივიდა. კარი გაღებული დახვდა. შევიდა შიგ. ხელმწიფის მოსამსახურეებმა რომ დაინახეს, ერთმანეთს დაუძახეს: „გლახაკი მოდისო“. ერთმა მოსამსახურემ თქვა: „ეს მე მინდა ჩემს დამხმარედ, საჯინიბოს გამოსაწმენდად მოვიხმარო“. მეორემ თქვა: „რას ლაპარაკობ, ეს მე მინდა ეზოს დამგველადო“. მეეტლე წამოესწრო მათ ლაპარაკს და მან წაიყვანა ხრისტაგანი ცხენების მომვლელად.

ხრისტაგანს ჰქონდა ხუჭუჭა თმა და ამისათვის მოსამსახურეებმა დაარქვეს სახელად „ქოჩორა“. არის ქოჩორა და წმენდს ცხენებს. ისეთი წმენდა იცის, უკეთესს კაცის ხელი ვერ გასწმენდს. ერთ დღეს ხელმწიფე სასეირნოდ წავიდა ეტლით. ცხენებს დაუკვირდა და მეეტლემ ჰკითხა: — ეს ცხენები ვინ გაწმინდაო? — ერთი გლახაკი მოვიდა, ქოჩორას ვეძახით, ისა მყავს ცხენების მწმენდავიო, — მოახსენა მეეტლემ.

საღამოს ხელმწიფე დაბრუნდა სასახლეში და ქოჩორა დაინახა. გაუხარდა ხელმწიფეს, ქოჩორა მზარეულს მიაბარა და უბრძანა: — ამას საკმელების კეთება ასწავლეო.

ქოჩორა ჰყავდა მზარეულს ერთი თვე და ყველაფრის კეთება შეასწავლა. ერთხელ მზარეული არ იყო და ქოჩორა მარტო აკეთებდა საკმელებს. გააწყვეს სადილი. ხელმწიფე

სუფრას მიუჯდა. საკმელები ერთი მეორეზე უკეთესი იყო. ხელმწიფემ მოიწვია ქოჩორა და უთხრა: — დღეს შემდეგ შენ იქნები ჩემი ბალის მუშების უფროსი; შენ უნდა მისცე მათ გეგმა, თუ როგორ უნდა ბალს კეთება.

მაღლი შესწირა ქოჩორამ ხელმწიფეს. მეორე დღეს დააყენეს ქოჩორა მებალედ. ქოჩორამ ისეთი ხელი გამოიღო, რომ ნახევარი წლის შემდეგ ბალში შესვლის ღირსი არავინ იყო.

შუა ბალში კასრები იდგა წყლის ჭურჭლებად. ამ ალაგას მუშები მოვიდნენ. ოცი კაცი კასრებს ეზიდებოდა, მაგრამ ერთი კასრი ისეთი ერია, რომ ასი კაციც ვერ აიღებდა. სალამოს ქოჩორა შევიდა ბალში, მიიხედ-მოიხედა, მოჰკიდა ხელი ამ დიდ კასრს, აიღო და მეორე ადგილას დადგა. ამ დროს ზემო სართულიდან ხელმწიფის უმცროსმა ქალმა დაინახა, რაც ქოჩორამ გააკეთა.

ცოტა ხნის შემდეგ ხელმწიფის ქალები ჩამოვიდნენ ძირს და წავიდნენ ბალში სასეირნოდ. ბალში რომ სეირნობენ, ამ დროს ქოჩორას თურმე ხის ძირში დასძინებია. წინ მიდის უფროსი ქალი, უკან მისდევს საშუალო და სულ ბოლოს — უმცროსი. ეს უმცროსი ქალი დააქკერდა ქოჩორას, რომელსაც გულ-მკერდგახსნილს ეძინა. ქალი დაუკვირდა და მიხვდა, რომ ურიგო კაცის შვილი არ იყო, ხოლო რაც ღონე ჰქონდა, ეს ხომ ისედაც იცოდა. ავიდნენ ქალები ზემო სართულზე. ამ უმცროს დას სულ ქოჩორას დიქრი აქვს.

გავიდა სამი დღე. ხელმწიფემ თავისი ვეზირები შეჰყარა და უთხრა: — ეს ჩემი ქალები ყველა ერთ დღეს უნდა გავათხოვო. — ძალიან კარგი, ბატონო. — მოახსენეს ვეზირებმა. — ყველა სახელმწიფოდან უნდა შეეყაროთ ახალგაზრდა კაცები, — თქვა ხელმწიფემ, — იმ დღეს წვეულება უნდა გავმართო, სტუმრები ყველა სუფრასთან დავსხათ. როდესაც შუა სმა-ჭამა იქნება, იმ დროს უფროსი ქალი შევიდეს, ერთი ვაშლი უნდა მივცეთ ხელში და ქალი დაჰყვეს სუფრას. ვისაც საქმროდ ამოირჩევს, იმას მისცეს თავისი ვაშლი. საშუალო და უმცროსიც ასე უნდა მოიქცნენო.

ვეზირები დათანხმდნენ. მეორე დღეს დააგზავნეს ყველა სახელმწიფოში ქალაღლები. დანიშნულ დროს გამართეს

ლხინი. მივიდნენ სტუმრები. ხელმწიფის შვილებიც არიან. სხვადასხვა სახელმწიფოდან. ვინც კი ვარგოდა, ყველა ვაჟი იქ იყო. დასხეს ყველანი. შუა სმა-ჭამა რომ შეიქნა, გამოიყვანეს უფროსი ქალი. აქეთ-იქით ორი კაცი მოჰყვება. მიიყვანეს, მისცეს ხელში ვაშლი და ხელმწიფემ უთხრა: — შვილო, ვინც შენ საქმროდ გინდა, მას ეს ვაშლი ხელში ჩაუდევო.

დაჰყვა ქალი სუფრას. ვაჟებმა ამ დროს უღვაშის გრეხა დაიწყეს; ზოგმა თავზე ხელი გადისვა, ზოგმა მაგრად ჩაახველა, ეგებ მე შემომხედოს ქალმაო; მაგრამ ის სულ იქით-იქით მიდის. იარა, იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. ყველამ ვაშა დაიძახა. ქალი და ის ორივე ზემო სართულში აიყვანეს. ეს ვაჟი გარეშე ხელმწიფის შვილი იყო.

ახლა სუფრას საშუალო ქალი დაჰყვა. ყმაწვილებმა მაშინვე დაიწყეს უღვაშის გრეხა, ვინ ხველება, ვინ ცხვირსახოცის ამოღება და ცხვირის წმენდა, იმიტომ რომ ის ცხვირსახოცები ყველა ძვირფასი იყო. იარა, იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. მაყურებლებმა ვაშა დაიძახეს. ეს ვაჟიც გარეშე ხელმწიფის შვილი იყო. ქალი და ვაჟი ორივე ზემო სართულში აიყვანეს.

ახლა მესამე ქალი, უმცროსი, მოიყვანეს და ისიც სუფრას დაჰყვა. ვაჟებმა დაიწყეს ქვეშ-ქვეშ ცქერა. არა მე მომცემს ვაშლს და არა მეო. მაგრამ ეს ქალი სულ იქით-იქით მიდის. ვაჟებს ტყუილად თვალები დაებრიცათ, ქალმა გაიარა სუფრა, მაგრამ ვაშლი არავისთვის მიუცია. ხელმწიფემ ჰკითხა თავის ქალს: — რა არი, შვილო, არც ერთი კაცი არ მოგეწონაო? — ყველანი არა სხედან სუფრასთანო, — უთხრა ქალმა. — დასხით ყველანიო, — ბრძანა ხელმწიფემ.

დასხეს ყველანი, გარდა ხელმწიფის მოსამსახურეებისა. — ჰე, შვილო, წადი ახლა! — უთხრა ხელმწიფემ ქალს.

ქალი დაჰყვა ხელმეორედ სუფრას, მაგრამ ვაშლი ახლაც არავის მისცა. — რა არი, შვილო, კაცი კიდევ აკლია? — კიდევ სრულად არა სხედან კაცები, — უთხრა ქალმა. — არავინ არ დატოვოთ, ვისაც კი უღვაში ასხია, — ბრძანა ხელმწიფემ.

მოიყვანეს ყველანი და დასვეს. დაჰყვა ქალი. ვაჟებმა ყურები ცქვიტეს, მაგრამ ამ ქალს მაინც არა ეშველა რა.

იარა, იარა, იარა, — მიაღწია ქოჩორას ახლოს. ხელი რომ ასწია, ყველას გაუკვირდა, მაგრამ ვაშლი ხელში ჩაუდო ქოჩორას. არც ვაშა დაიძახეს და არც არაფერი. ყველა ერთმანეთს მისჩერებოდა: რა ქნა, ჯიმაღურელი¹, ამ ქალმა? სულ დაღუპული არა ყოფილა!

ააყენეს ქოჩორა და მისი ცოლი. — საცხენე ფაცხა რომ იდგა, იქ წადიო, — უთხრა ხელმწიფემ: — ამისი ბედი გქონია: ყოველთვის მკვდარი იყავი და დღეს 'კი სულ მომიკვდიო.

ქოჩორა და მისი ცოლი ფაცხაში შევიდნენ და იქ დასხდნენ. ნარჩენი საკმელები მოსამსახურემ გობით მოუტანა. ტირის ქალი, მაგრამ რა ქნას? ქოჩორამ მოირთხა და კერიასთან ჩაჯდა. ეს ორი სიძე და მათი ცოლები ზემო სართულში დათამაშობენ.

გავიდა დრო და ხანი. ხელმწიფე ავად გახდა და ვერავითარმა ექიმობამ ვერ უშველა. დასხდნენ ვეზირები, ითათბირეს, როგორც უჯობს ამ ჩვენი ხელმწიფის ავადმყოფობასაო. ზევრი სხვადასხვა ილაპარაკეს, მაგრამ ერთმა თქვა: — ამა და ამ მთაში არის ერთი გარეული ღორი. იმის გულსა და ღვიძლს ვინ მოიტანს, თორემ ნამდვილად მოუხდება ხელმწიფესო. — ვინ მოიტანს და სიძეებით, — თქვეს ვეზირებმა.

უთხრეს ეს სიძეებს. გამოეწყო ორივე სიძე და წავიდნენ წამლის საშოვნელად. ეს რომ ქოჩორამ გაიგონა, ხელმწიფის ცოლს კაცი მოუგზავნა: „მეც მივდივარ და ცხენი მომეციო“.

ხელმწიფის ცოლმა თქვა: — მიეცით საფქვილე ცხენი. ეგებ სადმე დაიღუპოსო.

მოუყვანეს ქოჩორას ერთი მუნიანი ცხენი. დაუდგეს დაგლეჯილი უნაგირი. შეჯდა ქოჩორა და წავიდა. ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: „ქოჩორა მიჰქრის, მიაქენებს!“.

ქოჩორას ცხენი მიჩაქჩაქებს. იარა ქოჩორამ და იქ მივიდა, სადაც რაში დატოვა. დაუძახა რაშს. რაში მოვიდა. ცხენი

¹ ჯიმაღურელი — ღმერთო მომკალი (სიტყვა სიტყვით: ძმა მკვდარი; ძმა ნუ მომიკვდება).

იქ მინდორს დატოვა; დაგლეჯილი უნაგირი ტყეში შეინახა. ამოიღო რაშის ყურიდან უნაგირი და ტანისამოსიც. დაჰკრა რაშს მათრახი და რაში იმ მთაზე დასკუბდა, სადაც გარეული ღორი ცხოვრობდა. გადმოხტა რაშიდან და დაასადავა. თვითონ ჩრდილში დაწვა. გავიდა ცოტა ხანი და ორივე სიძემ თავი ამოჰყო. გაიხედეს, ნახეს: რაში ჩრდილქვეშ დგას და ერთ კაცს ჩრდილში სძინავს. კარგად რომ დაუკვირდნენ, თქვეს: „ნამდვილად წმინდა გიორგი უნდა იყოსო“. ჩამოხტნენ ცხენებიდან, დაიწყეს პირჯვრის წერა. მიუახლოვდნენ და დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა: — რა გინდათ, რა გაგჭირვებიათო? — ჩვენ მოვდივართ ამა და ამ საქმისათვისო, — ყველაფერი უთხრეს სიძეებმა. — ის ღორი აი, სად არისო; წადით, ან მოჰკალით, ანდა აქეთ გამორეკეთო, — უთხრა მათ ქოჩორამ.

წავიდნენ, მაგრამ ვერც მოკლეს და ვერც გამორეკეს. ადგა ქოჩორა, წავიდა. მოჰკლა ღორი და სიძეებს უთხრა: — გასჭვრით, გამოიღეთ გული და ღვიძლი!

მივიდნენ, გასჭრეს, შევიდნენ ღორის მუცელში და ძლივს გამოიღეს გულ-ღვიძლი. — მორდი აქ, — უთხრა ქოჩორამ უფროს სიძეს, — ცერი მაჩვენეო!

მოკიდა ქოჩორამ ხელი და ფრჩხილი ააძრო. — ახლა წადითო! — უთხრა ქოჩორამ.

დიდი მადლობა უთხრეს სიძეებმა ამ ღვთის სწორ კაცს და წამოვიდნენ. მოაწიეს შუა შარას, ძალიან ხათრიანად კი მოდიან. შევიდნენ ხელმწიფის ეზოში. აათამაშეს ცხენები და გადმოხტნენ. შემოეგებნენ სიღელრი და ცოლები. „მოვიტანეთო“, — უთხრეს სიძეებმა. ყველას გაეხარდა. მოხარშეს და აჭამეს. ხელმწიფეს. ხელმწიფე მორჩა. იყო დიდი სიხარული: „ჩვენი სიძეები ტარიელები! არიანო“, — ამბობდნენ.

ქოჩორა მთაზე რომ იყო, შეჯდა რაშზე, დაჰკრა მათრახი და სადაც მისი ცხენი იყო, იქ დაასკუბა. ტანისამოსი გაიხადა, ისევ რაშის ყურში შეინახა. უთხრა რაშს: „წადი იბალახეო“. დაიჭირა ცხენი, მოადგა დაგლეჯილი უნაგირი, წამოვიდა

1 გმირები.

ხელმწიფის სასახლეში. კიშკარს რომ შევიდა, ბავშვებმა დაინახეს. დაიწყეს სტვენა: „ქოჩორა მოდის, მოაქენებს, ღვიძლი და გული მოაქვს“.

ამ დროს ქოჩორას მეუღლემ გაიხედა ფაცხიდან. გული მოუკვდა: მიიფაფება ქოჩორა მისი ცხენით. სიძეებმა რომ დაინახეს, სიცილი დააყარეს. ხელმწიფის ცოლმა თქვა: — ეს კიდევ არ დაღუპულაო?

გადმოვიდა ქოჩორა ცხენიდან, შევიდა ფაცხაში, ცოლს უთხრა: — საჭმელი არა გაქვს რაო? — ეგერ თუჯია, ეგებ ცოტა რამე იყოსო, — უთხრა ცოლმა. ადგა ქოჩორა, გამოიღო თუჯია, შეჭამა საჭმელი და დაწვა ლოგინში.

გავიდა ერთი თვე. ხელმწიფე კიდევ ავად გახდა, თვალის სინათლე დაეკარგა. ისევ მოხდა ვეზირობა. ბოლოს თქვეს: — ამა და ამ მთაში ერთი ირემი არისო; მის რძეს თუ ვინმე მოიტანს, ის მოუხდებო. — ამას ვინ მოიტანსო, — თქვეს. — ვინ მოიტანს და ისევ სიძეებიო, — თქვა ერთმა.

უთხრეს სიძეებს; — კარგო, — თქვეს. გამოეწყვენენ, შესხდნენ თავიანთ ცხენებზე და წავიდნენ. ეს რომ ქოჩორამ გაიგო, ხელმწიფის ცოლს შეუთვალა: მეც მივდივარ და ცხენი მინდაო. — მიეცით ისევ ის ცხენი და უნაგირიო. — თქვა ხელმწიფის ცოლმა.

მოუყვანეს ქოჩორას ცხენი. შეჯდა ზედ და წავიდა. ბავშვებმა უსტვინეს. ქოჩორა მიდის მისი ცხენით. მივიდა, სადაც რაში ჰყავდა, იქ ჩამოხტა ცხენიდან, უნაგირი ტყეში შეინახა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა, ამოიღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანსამოსი. ჩაიცვა და შეჯდა რაშზე. დაჰკრა მათრახი, — გასწია რაშმა ზევით-ზევით ჰაერში და იქ დასკუბდა, სადაც ის ირემი იყო. რაში ჩრდილში დააყენა; თვითონაც მის ძირს დაწვა. გავიდა ცოტა დრო, მოვიდნენ სიძეები, ნახეს ყველაფერი.

— ხედავ, ძმაო, — უთხრეს ერთმანეთს: — ეს ნამდვილად ღმერთი უნდა იყოს, ჩვენი საქმე კარგად არისო.

მივიდნენ ახლოს. დაიწყეს პირჩვარის წერა და დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა: რა ამბავია, რა გინდათო? — მათ ყველაფერი უამბეს, რაც უჭირდათ.

ადგა ქოჩორა, წავიდა, დაიჭირა ირემი, მოწველა და რძე ღოჭში ჩაასხა. მისცა სიძებს და უთხრა საშუალო დის ქმარს — „აქ მოდიო“. მოჰყიდა ყურში ხელი და მარჯვენა ყური ააგლიჯა. „ახლა წადითო“, — უთხრა მათ. სიძეები წამოვიდნენ. მოიტანეს რძე, ჩაასხეს ხელმწიფეს თვალებში. ხელმწიფე მორჩა.

ქოჩორა კი შეჯდა რაშზე და იქ გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა დატოვებულნი. რაში საბალახოდ გაუშვა, ოქროს ტანისამოსი ყურებში ჩაუდვა. შეჯდა თავის მუნიან ცხენზე და წამოვიდა სასახლეში. ბავშვებმა უსტიინეს. ქოჩორას ცოლს გული მოუკვდა ამის გამო, მაგრამ რას იზამდა. შევიდა ქოჩორა ფაცხაში, შეჰამა ცივი ღომი და დაწვა ლოგინში.

გავიდა ბევრი ხანი. ერთხელ ერთმა ხელმწიფემ ამ ხელმწიფეს შემოუთვალა: „ამა და ამ დროს უნდა ვიომოთო“. ამ ხელმწიფემ თანხმობა მისცა.

მოვიდა დრო. წავიდა ხელმწიფე მისი ჯარით. მივიდნენ დანიშნულ ალაგს. მისი სიძეები ორივე, რასაკვირველია, იქ მიჰყავს. მოვიდა იქიდან ის ხელმწიფე თავისი ჯარით. დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ დროს ქოჩორამ ხელმწიფის ცოლს კაცი გაუგზავნა „ცხენი მინდა, მეც მივდივარ საომრადო“. — მიეცით: ეგებ სადმე გადაიკარგოსო.

ქოჩორა შეჯდა თავის ცხენზე. ცხენი წავიდა ჩაქჩაქით. ბავშვებმა სტვენა მორთეს: „ეჰე, ის დღეს ჯარს დაცხრილავსო!“.

ქოჩორა მივიდა იქ, სადაც რაში ჰყავდა. ცხენი მინდორში გაუშვა. რაშს დაუძახა. რაში მოვიდა. ყურიდან ამოუღო უნაგირი და ვერცხლის ტანისამოსი. უნაგირი რაშს მოადგა: ტანისამოსი თვითონ ჩაიცვა, შეჯდა რაშზე და გადაჰკრა მათრახი. რაშმა გასწია ზემოთ და იქ დასკუპდა, სადაც ხელმწიფეები ერთი მეორის პირდაპირ იდგნენ. ყველას შეეშინდა: — ეს რა ამბავიაო. სიძეებმა კი იცნეს ვაჟი: — ჩვენ რომ მთაზე ვხედავდით, ის არისო, — თქვეს თავისთვის.

ქოჩორამ იძრო ლეკური, დაერია იმ ხელმწიფის ჯარს და სულ მუსრი გაავლო. ვინც რომ გაიქცა, გაიქცა. დაჰკრა ქოჩორამ რაშს მათრახი და იქვე გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა დაშვებული. გამარჯვებული ხელმწიფეც მოდის სიძეებიანად.

ძლიერ გახარებული. მოვიდნენ სასახლეში. ხელმწიფემ თქვა: — დღეს ღმერთი შემეწია, ანგელოზი მომივლინა და იქაური ჯარი სულ ერთიანად დახოცა, ჩვენ კი თავისუფლად მოვედითო.

გავიდა დრო და ხანი. კიდევ შემოუთვალა იმ ხელმწიფემ ამ ხელმწიფეს: „უნდა ვიჩხუბოთო“. ამ ხელმწიფემ შეუთვალა — „კარავიო“.

დანიშნულ დროს წავიდა ხელმწიფე ჯარით და ორივე სიძით. იქიდან ის ხელმწიფე მოვიდა თავისი ჯარით. ამ დროს ქოჩორამ კაცო მიუგზავნა ხელმწიფის ცოლს: „მეც მივდივარ, და ცხენი მიბოძეთო“. — მიეცით, ეგებ დაილუპოსო, — ბრძანა დედოფალმა.

შეჯდა ცხენზე ქოჩორა და გასწია. შარას რომ მიდის, ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: ქოჩორა დღეს სულ ერთიანად ამოხოცავს იქაური ხელმწიფის ჯარებსო.

ქოჩორა მივიდა, სადაც რაში ჰყავდა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა. ამოუღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანისამოსი და გამოეწყო. შეჯდა რაშზე და ომის ადგილას გაჩნდა. ჩაერია შუაში, იძრო ლეკური და დაიწყო ჯარის ქლეტა. მეორე ხელმწიფემ იფიქრა: ნამდვილად ღმერთი მე უნდა მიწყრებოდესო. გაჰყვა ქოჩორა ჯარს და ერთიც არ გაუშვა ცოცხლად. ყველა რომ დახოცა, ქოჩორა მობრუნდა თავისი ხელმწიფისაკენ. ხელმწიფე მიეგბა. პატივი სცა დაჩოქებულმა, როგორც ღმერთს ისე. ქარქაშში ლეკურის ჩაგების დროს ქოჩორამ მარცხენა ხელის თითი გაიჭრა. ხელმწიფემ ყელსახვევი მოიხსნა და იმით თითი შეუხვია.

ქოჩორა შეჯდა რაშზე, დაჰკრა მათრახი და პირდაპირ სასახლეში წამოვიდა. შევიდა ეზოში და აათამაშა რაში. როდესაც ხელმწიფის ცოლმა, შვილებმა და მსახურებმა ეს დაინახეს, ყველანი მიიმალ-მოიმალნენ; შეეშინდათ. ქოჩორამ მოუქნია რაშს, ისეთი შეათამაშა, რომ ხელმწიფის მოსახლეობამ ცახცახი დაიწყო. ამ რაშის ნატორალი მიწას აჩნია. ბოლოს ქოჩორა გაექანა თავის ფაცხისაკენ. ჩამოხტა რაშიდან, გააღო კარი, შეიყვანა შიგ რაში და კუთხეში დააყენა. ქოჩორას შეუღლე შიშით მოკვდა: ვერ იცნო, ვინ იყო. ქოჩორამ უთხრა: — არ შეგეშინდეს, მე ვარ — შენი ქოჩორა!

ქალს გაუხარდა, მივიარდა, ჩაეხუტა მკერდში; კიდევ სტიროდა და კიდევ იცინოდა, რა უნდა ექნა, — არ იცოდა. ქოჩორა დაწვა ლოგინში. თავი ქალის კალთაში ჩადო. ქალმა აიღო ჩონგური, იწყო დაკვრა და დამღერება.

ხელმწიფის ცოლმა თქვა: „ვინ უნდა იყოს, ჯიბადურელი, ღვთის სწორი კაცი ფაცხაში რომ შევიდა და ჩემი დაღუპული ქალი მას ჩონგურს უმღერებსო?“ დედამ ქალს კაცი გაუგზავნა: — ვინ არის ეგ კაციო?

გაალო კარი გამოგზავნილმა კაცმა, შიგ რომ შეიხედა, ღვთისსწორი კაცი და მისი რაში დაინახა.

— რა გინდა? — ჰკითხა ქალმა.

— ქალბატონმა შემოგითვისა, ეგ კაცი ვინ არისო? — უთხრა გამოგზავნილმა კაცმა.

— ეს თქვენ არ გეკითხებათო. — უთხრა ქალმა.

ამ დროს მოაწიეს ხელმწიფემ და მისმა გამარჯვებულმა სიძეებმა. თავმა კაცებმა წინდაწინ გამოაჰქენეს ცხენები, რომ ხელმწიფის ცოლს ახარონ გამარჯვება. ეზოში რომ შემოვიდნენ, რაშის ნაფეხურებში ჩაცვივდნენ, რადგან მიწის გული დაგლეჯილი იყო რაშის ნატერფალებით. ხელმწიფემ დაუძახა: — ეს რა ამბავია? ღორები ხომ არ შემოცვენილან ეზოშიო?

ხელმწიფის ცოლი ზემო სართულიდან გამოვიდა წყნარად, ხელი პარზე მიიფარა და შორიდან დაუძახა: — სუ, სუ წყნარად! ღმერთი არის ფაცხაშიო!

ყველას შეეშინდა. ჩამოვიდა ხელმწიფე ცხენიდან, ავიდა ზემო სართულში და ჰკითხა ცოლს ამბავი. ცოლმა ყველაფერი უამბო, რაც ნახეს. ხელმწიფემ თქვა: ნამდვილად რომ მეხმარებოდა, ის ღმერთი უნდა იყოსო. — ხელმწიფემ კაცი მიუგზავნა: — მობრძანდიო, მაგრამ ქოჩორამ შემოუთვალა: — აქეთ მოვიდესო.

ხელმწიფე, მისი ცოლი, შვილები და სიძეები წამოვიდნენ ყველანი ერთად. შევიდნენ ფაცხაში, ნახეს სასწაული, დაიჩოქეს, ქოჩორამ უთხრა: — ადექით! მე ქოჩორა ვარ, ღმერთი არ გეგონოთო.

ადგნენ. ქოჩორამ უთხრა უფროს სიძეს: — რა უყავ თითის ფრჩხილი? — ამა და ამ დროს ქვაზე წავეიგლიჯეო, —

უთხრა მან. გაიცინა ქოჩორამ და უთხრა: — აი, შენი ფრჩხილი ქვაზე წაიგლიჯე, თუ მე აგაგლიჯეო?

მოკვდა სირცხვილით უფროსი სიძე, მაგრამ რა უნდა ექნა? ქოჩორას ვერაფერს გაუბედავდა, ახლა ქოჩორა მეორე სიძეს მოუბრუნდა: — რა უყავი ყურიო? — ამა და ამ დროს მთაში ქვაზე წაიგლიჯეო, — მიუგო იმანაც.

გაეცინა ქოჩორას და უთხრა: — აჰა, შენი ყური, ქვაზე წაიგლიჯე თუ მე მოგაგლიჯეო? დაიწვა სირცხვილით ესეც, მაგრამ რა უნდა ექნა?

ახლა ქოჩორა მიუბრუნდა ხელმწიფეს და ჰკითხა: — შენ რომ წინათ საომრად იყავი, მაშინ როგორი კაცი ნახე, რომ ჯეხმარებოდაო? — ტანისამოსი ყველაფერი ვერცხლისა ეცვაო, — უთხრა ხელმწიფემ:

— მეორედ რომ იყავი საომრად, მაშინ როგორი ტანისამოსი ეცვა იმ კაცს?

— ბატონო, თქვენი ტანისამოსის მსგავსი ეცვა.

— რა დაემართა იმ კაცს ლეკურის ჩაგების დროს?

— თითი გაიჭრა.

— მერე შენ რა ქენი?

— მე, ბატონო, ჩემი ყელსახვევით თითი შევუხვვიე.

— ეს ხომ არ არის? — აჩვენა ქოჩორამ შეკრული თითი.

ხელმწიფეს გაუხარდა, გადაეხვია, გადაკოცნა და ახლაკი გაიგეს, თუ რაში ყოფილა საქმე. ქოჩორა და მისი ცოლი მაშინვე ზემო სართულში აიყვანეს. სხვა სიძეები ცოლებიანად გადაიკარგნენ, კაცისათვის თავი რომ არ ეჩვენებინათ. ხელმწიფე და მისი ცოლი გახარებულნი იყვნენ, რომ ასეთი სიძე მისცა მათ ბედმა.

გავიდა ბევრი დრო და ხანი. ქოჩორა სანადიროდ დადიოდა. ნანადირევი ბევრი მოჰქონდა. ერთხელ მისი ცოლი ზღვაზე წავიდა საბანაოდ. ამ ქალს თმა ესხა ოქროს ძაფივით, ერთი თმა მოსძვრა და ზღვაში ჩავარდა. ეს თმა წყალმა აატივტივა და გაღმელი სახელმწიფოს ზღვის პირას გააგდო. ეს ნახა იქაური ხელმწიფის ვაჟმა. აიღო, გასინჯა და თქვა: ამ თმის პატრონი თუ ჩემი ცოლი არ იქნება, სიცოცხლეც აღარ მინდაო. მივიდა სახლში და ყველაფერი მამას უამბო. მამა შეწუხდა, შეჰყარა თავისი სახელმწიფოს ყველა კაცი და ჰკითხა:

— ვის შეგიძლიათ ჩემი დახმარებაო.

— მე მოგეხმარებო, — უთხრა ერთმა დედაბერმა. წაიყვანა ხელმწიფემ სახლში და ჰკითხა: — როგორაო? დედაბერმა უთხრა: — ერთი ჭიქა სასმელი მიშოვე ისეთი, ვინმე რომ დალევს, მაშინვე დააძინოსო. მეორე, — უთხრა დედაბერმა, — ისეთი ნავი მიშოვე, თვალისდახამხამებაში ასი ვერსია გაიაროსო. — ძალიან კარგო, — უთხრა ხელმწიფემ და მისცა ყველაფერი.

წამოვიდა დედაბერი. გამოვიდა ზღვაში ქოჩორას სახლის ახლოს. ნავი ნაპირზე მიაბა, კაცი რომ ვერ ნახავდა ისე. წამოვიდა სასახლისაკენ, შევიდა ეზოში, თან ჯოხზეა დაყუდებული, ვითომ მათხოვარია. დაინახა დედაბერი ქოჩორას ცოლმა და ჰკითხა: — რა გინდა, დედი, რისი მათხოვარი ხარო? — მე, შვილო, მოსამსახურედ დამიყენეო, — უთხრა დედაბერმა. — ძალიან კარგო, — დასთანხმდა ქოჩორას ცოლი. ამ დროს ხელმწიფე და მისი ცოლი მკვდრები იყვნენ. ქოჩორა საღამოს მოვიდა სანადიროდან. ნახა დედაბერი, გაუხარდა: მარტო ვიყავით და კაცი შეგვეძინაო. იმ დედაბერს გაუკვირდა ქოჩორას ძალა, იმდენი სანადირევეთ დატვირთული რომ მოვიდა. მეორე დღეს ქოჩორა ისევ წავიდა სანადიროდ. ეს დედაბერი მიუჯდა ამ ქალს და დაუწყო ლაპარაკი: — შვილო, ამ შენს ქმარს სული სად უდგია, ღონე სად აქვსო? — მე რა ვიციო, — უთხრა ქალმა. — შვილო, შენი ქმარი ერთი სული და გული არა ყოფილა შენთანაო, — უთხრა დედაბერმა. იმ დამეს მოვიდა ქოჩორა. რომ დაწვენენ, ქალმა უთხრა: — ქოჩორა, შენ მე არ გიყვარვარო. — რისთვისაო? — რისთვისაო და შენ სული და ღონე სადა გაქვს, მე არ უნდა ვიცოდეო?

— რისთვის გინდაო? — ჰკითხა ქოჩორამ და მისი საიდუმლო არ უთხრა. მაგრამ ცოლმა საშველი არ მისცა, და ბოლოს, ყველაფერი უთხრა. მეორე დილას ადგა ქოჩორა და წავიდა სანადიროდ. დედაბერმა ჰკითხა ქალს: — რა არის, რა გითხრაო? — ჩემი ღონე და სული, ერთი ღერი თმა მაქვს შუაგულ თავზე, ის თმა ყველა სხვაზე უმსხოსია, იმ თმას აბარიაო. როდესაც ის თმა მომძვრება, მაშინვე მოკვდებაო, — უთხრა ქალმა დედაბერს ქოჩორას ნაამბობი.

დედაბერს გაუხარდა. იმ საღამოს ქოჩორა მოვიდა სანადიროდან, დაწვა ლოგინში და დაიძინა. ეს დედაბერი მიქვაქვალდა კარადასთან, გამოიღო სასმელი, დაასხა ჭიქაში და უთხრა: „აი, შვილო, ეს ჩემი ნახელავი, დალიეო“. ქალმა ჩამოართვა, დალია და ძილი მოუნდა. დაწვა და დაეძინა. ამ დროს დედაბერი მიეპარა ქოჩორას, მოჰკიდა ხელი იმ თმას და უცბად ამოგლიჯა. ქოჩორა ერთი შეინძრა და რწყილივით სული განუტევა. დედაბერმა მოიტაცა ქალი. მიიყვანა ნავთან, ჩასვა შიგ და გადაკარგა მეორე სახელმწიფოში. ქოჩორას ის ერთი ღერი თმა თან წამოიღო და შუა ზღვაში გადააგდო. დედაბერმა ეს ქალი ხელმწიფეს მიუყვანა. გაუხარდათ ძლიერ და ბევრი საჩუქარი მისცეს დედაბერს. ხელმწიფემ უთხრა ქალს: — შენ მე რძალად მინდინარ, გვირგვინი უნდა ისკვნა ჩემს შვილთანაო. — მე არ შემიძლია გვირგვინის სკვნა, ჩემი ქმარი სამ წელიწადს, სამ თვეს, სამ კვირას, სამ დღეს, სამ საათსა და სამ წამს უნდა ვიგლოვოო. შემდეგ — კიო, — უთხრა ქალმა. — კარგიო, — უთხრა ხელმწიფემ. კარი შიგნიდან დაჰკეტა. ფანჯარა გაღებული აქვს დღისით და ღამით. გასცქერის ზღვის პირს და მუდამ სტირის. რაც დაემართა, ყველაფერი იცის, მაგრამ რას უშველის?!

გავიდა სამი წელი და სამი თვე. მოვიდა დანიშნული დრო. როდესაც ქოჩორა მოკვდა, ბელთაგან-ტარიელის ჯაყვის პირი გასისხლიანდა. შეჯდა რაშზე, მოუქნია და წამოვიდა ხრისტანგან-ტარიელის საქებრად. მიხვდა, რომ ნამდვილად მკვდარია. ამდენი რა გავაგრძელო, მოვიდა ხრისტაგანის სახლში. ავიდა ზემო სართულში, ნახა ხრისტაგანი მკვდარი. დაიტირა ადგა, დაიჭირა ხრისტაგანის რაში. ბელთაგან-ტარიელს გულმა უთხრა, თუ სად იყო, ხრისტაგანის თმა. გასწია ზღვისაკენ. ჩახტა წყალში, მოუხვა და იწყო ძებნა. ეძებდა და დაინახა — ერთ ადგილს ზღვის ძირში ქვიშაში თავი ამოეყო. ჩაყვინთა, წავიდა ძირს, მოჰკიდა თმას ხელი, გასცურა ნაპირისაკენ, შეახტა რაშს და მივიდა იქ, სადაც ხრისტაგანი მკვდარი ესვენა. ეს თმა სადაც ება, იქვე მიაღო. ხრისტაგანმა უცბად გაიღვიძა და თქვა: „ჰა, ჯიმაღურელი, როგორ დამძინებია“. მაგრამ კი იცოდა, რაც უქირდა. შეჯდნენ ტარიელე-

ბი რაშებზე, დაჰკრეს მათრახები და იქ გაჩნდნენ, სადაც ქალი ფანჯრიდან ზღვის პირს გასცქეროდა. ეს ის დროა, რომ ხვალ თავდება ქალის მიერ დანიშნული ვადა. ქალმა გაიხედა ზღვის პირისაკენ, დაინახა ორივე ტარიელი და ტირილს თავი დაანება, მოვიდნენ ტარიელები, შემოვიდნენ ხელმწიფის ეზოში. ხელმწიფემ, როდესაც დაინახა, თქვა: — ვინ არიან, აქ რომ შემოვიდნენო? — ხრისტაგანმა დაუძახა: მე ვარ და ჩემი ძმა ბელთაგან-ტარიელიო.

შევიდნენ სახლში, გატეხეს კარი, გამოიყვანეს ქალი მინდორში, დაუძახეს ხელმწიფეს: მოგვიყვანე ამის მომყვანი დედაბერიო. მაშინვე მოიყვანეს. ხრისტაგანმა რაშის კუდს მიაბა დედაბერი. შეჯდნენ რაშებზე. ხრისტაგანმა თავის ცოლი ხელში აიყვანა. დაჰკრეს რაშებს ტარიელებმა და წამოვიდნენ ფრენით. მოვიდნენ ხრისტაგანის ეზოში. იქ მოისვენეს ორი დღე-ღამე. მესამე დღეს წავიდნენ ყველანი ბელთაგანის სახლში. იქ რომ მივიდნენ, დიდი სიხარული შეიქნა. ბელთაგანის ცოლი მოეგება მის რძალს, გადაეხვივნენ ერთმანეთს და გადაკოცნეს. ერთი კვირის განმავლობაში იქ იყვნენ. ერთი კვირის შემდეგ ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს: — ჰე, ძმაო, ახლა წავიდეთ ჩემი დედისა და ბაბუას სახლშიო.

შესხდნენ რაშებზე, წავიდნენ და მივიდნენ ხრისტაგანის ბაბუას სახლში. ყველა ცოცხალი დაუხვდა: დედა, ბაბუა, ბებია და სხვა თავისიანები. მოეგებნენ, დაჰკოცნეს, გადაეხვივნენ. ხრისტაგანმა უთხრა ბაბუას: ეს არის ჩემი ძმა ბელთაგან-ტარიელი, ეს არის ჩემი რძალი, ეს — ჩემი ცოლიო.

იყო მხიარულება, დიდი ქორწილი, დიდი წვეულება. ისეთი ქორწილი ჰქონდათ, ჩიტის რძეც არ აკლდათ. მეც იქ ვიყავი ქორწილში. თქვენი გულიც მიხვდება, რა ამბავი იქნებოდა.

ივანე ფალავანი

იყო ერთი მეფე და ჰყავდა ერთი ფალავანი. ამ ფალავანს დეკაცი ერქვა სახელად. მართლაც რომ დევს ჰგავდა: მთელ სახელმწიფოში მისი მომრევი არ მოიპოვებოდა. დევ-

კაცს სახე კაცისა ჰქონდა, ხოლო ტანი კი დევს მიუგავდა და მასავით ხშირი ჯაგრითა ჰქონდა დაფარული.

მეფე ძალიან ამაყობდა ასეთი ღონიერი ფალავნით. თან კი ცდილობდა მის სახელმწიფოში მასზე უფრო ღონიერი ეპონა ვინმე. ეს სურვილი ისე აეკვიატა, რომ დღე და ღამ არ აძლევდა მოსვენებას. და აი, მეფემ გაგზავნა კაცები: წადით, მოიარეთ მთელი ქვეყანა და ისეთი კაცი მომგვარეთ, რომელიც ჩემს დეკაცს დაეჭიდოს და წააქციოსო.

წავიდნენ მეფის კაცები. მოიქანცნენ სიარულით, მაგრამ ვისა ჰქონდა თავი მოსაკლავი? შორს გავარდნილიყო დეკაცის სახელი და ვერავინ ვერ ბედავდა მასთან დაჭიდებას. და აი, მეფის კაცებმა ჩაუარეს ერთ პატარა ქოხს, ქოხის გვერდზე ერთი ბალლი ჩატუცქულიყო და თან პურსა სჭამდა. ეს რომ მეფის კაცებმა დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ. — რასა შვრები, შე საძაგელო, ადე, თორემ დეკაცი მოვა და გცემსო, — უთხრა ერთმა მეფის კაცმა. — ვერაფერსაც ვერ დამაკლებს თქვენი დეკაციო, — მიუგო ბიჭმა. მართლა, დეკაცის მოჭიდავე კაცს ვეძებთ და ხომ არ წამოხვალო? — უთხრეს დაცინვით. — რატომაც არაო, — მიუგო თამამად ივანემ (ასე ეძახდნენ ამ ბიჭს), — წამიყვანეთ თქვენს მეფესთანაო!

მეფის კაცებს ძალიან გაუხარდათ, რომ ისეთი კაცი იშოვეს, რომელიც დეკაცთან ბედავდა დაჭიდებას. — რა გვენაღვლება, თუ ეს კაცი დეკაცის შესაფერისი სულაც არაა, თვითონ ხომ ამბობს დავეჭიდებითო, — და ივანე მართლაც წაიყვანეს მეფესთან.

მეფეს რომ მიუყვანეს, ძალიან გაუკვირდა, ეს ბალლი რას გაუძღვებს ჩემს ფალავანსო, და შეეკითხა ივანეს. — შეეჭიდები დეკაცსაო? — რატომაც არა, თქვენი დეკაცი ვინა გდია, რომ ვერ დავეჭიდოო, — მიუგო ივანემ, — ოღონდ ერთი თვე თავის ნებაზე მიმიშვით სასმელ-საჭმელზე და წითელ ღვინოს ნუ მომაკლებთო.

მეფე დათანხმდა და ერთი თვე სულ ჭამა-სმაში გაატარა ივანემ; ერთ დღეში იმდენსა მატულობს, რასაც სხვები წლობით ვერა მატულობენ. დანიშნეს ჭიდაობის დღეც. უამრავი ხალხი მოზღვავდა ჭიდაობის საყურებლად და უშველებელი

წრე გააკეთეს. გადმოვიდა დეკაკი. გადმოხტა ივანეც, მაგრამ რა გადმოხტა, სულ მალა-მალა ფრინავდა და მთელ წრეს ისე უვლიდა. ამოდ აცეცებდა ჰაერში ხელებს დეკაკი ივანეს დასაჭერად, ვერაფრის გზით ვერ მოიგდო ხელში. უეცრად ივანე შეხტა მალა და მალლიდან დაეცა კაცს, დაეცა და კიდევაც მოიქვეშია. მაყურებლებმა ყიყინა და ტაში დასცხეს გამარჯვებულს, ხოლო დეკაკს კი „ბიობუუს“ ძახილი დაუწყეს. დამარცხდა დეკაკი და მეფემაც აღარ დააყენა იგი თავის ფალავნად. ახლა ივანე-ფალავანი დაიტოვა თავის კარზე მეფემ.

გაშვებულ ბუღასავით დადიოდა ივანე-ფალავანი სასახლის კარზე. არაფერს არ აკეთებდა, მაგრამ სასმელ-საჭმელი სულ თავზე საყრელი ჰქონდა. მხოლოდ ეს კია, რომ უამრავ ფალავანს, დაქადნებით მოსულს სასახლის კარზე, აჯობა და მრავალჯერ გაახრა მეფე. მეფეს ძალიან უყვარდა ივანე-ფალავანი და გვერდიდან არ იშორებდა.

ერთხელ სასახლის აივანზე ხელმწიფის ორი უფროსი ქალი გადმოდგარიყო (სულ სამი ქალი ჰყავდა მეფეს, რომელთაგან უმცროსი ძალიან მოსწონდა ივანეს და ქალსაც ივანეზე ჰქონდა გული შევარდნილი). ახლოს გაუარა ივანე-ფალავანმა და ერთი ორი მარილიანი სიტყვა გადაჰკრა.

იუკადრისეს მეფის ქალებმა: ვილაც გლეხის ბიჭია და შეხე, როგორ გაგვითამამდაო. — წადი, შე საძაგელო, აქედან, ჩვენი ტოლი ხომ არა ხარ, ასე თამამად რომ გველაპარაკებო, — უთხრეს მეფის ქალებმა და შებრუნდნენ სახელში. ამის შემდეგ აშურდნენ უფროსი ქალები ივანე-ფალავანს და ერთხელ, იმ მიზნით, რომ როგორმე დაეღუპათ და თავიდან მოეშორებინათ. შეუჩნდნენ თავის მამას: — იცი, მამავ, შავან და შავან ადგილას ერთი სამთავიანი დევი ცხოვრობს, ამ დევს ეზოში უკვდავების ვაშლი უდგას. ის ვაშლი ყოველ თვე ახალ ნაყოფს ისხამს და ვინც იმ ვაშლს შესჭამს, არასოდეს აღარ მოკვდება. რა კარგი იქნებოდა, მამავ, ის ვაშლი ჩვენ რომ გვედგასო.

— კარგი იქნებოდა შეილებო, მაგრამ აბა, ვინ გაბედავს იმის მოტანას, ვინაა გიყი, რომ ტყუილ-უბრალოდ გასწიროს სიცოცხლე და დევს თავი შეაკლასო?

— ტყუილ-უბრალოდ რადა? ჩვენი ივანე-ფალავანი განა ვერ მოერევა იმ დევსა, გაგზავნე და მოატანინეო, — მიუგეს ქალებმა.

მეფეს ჰკუაში დაუჯდა ქალების რჩევა და დაიბარა ივანე-ფალავანი. — მავან და მავან ადგილას ერთ დევს უკვდავების ვაშლი უდგა და ის ვაშლი, უნდა მოიტანო და ჩემს ეზოში დარგო! — დიდი სიამოვნებითო! — უპასუხა ივანე-ფალავანმა და გაემართა იმ ქვეყნისაკენ, სადაც ის დევი ცხოვრობდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიაღწია დევის სასახლეს და შევიდა მის ეზოში. უშველებლი ვაშლი იდგა დევის ეზოში და სულ წითელ-ყვითელი ვაშლი ესხა. ივანე-ფალავანმა ჰკრა ერთი წიხლი და მთელმა ვაშლმა გრიალი მოიღო ძირსა, ერთი ვაშლიც კი არ დარჩენილა ხეზე.

მიადგა ამ ვაშლს ივანე-ფალავანი და ერთიც არ გაუშვა შეუჭმელი. რომ გაძღა, წამოწვა ვაშლის ჩრდილში და დაისვენა.

დევი გარეთ რომ გმოვიდა, გაოცდა, ეს ვინ მოსულა აქო, — და დაუძახა: — ვინ ხარ, რომ ასე გათავხედებულხარ და ჩემი ეზო შემოგიღახიაო, — თქვა ესა და ეცა ივანე-ფალავანს. მოიქნია დევმა და ჩაასო მუხლებამდე მიწაში. ამოხტა ივანე-ფალავანი, მოიქნია დევი და ჩაასო ყელამდე მიწაში. შემოუქნია ხმალი და ორი თავი მოავდებინა. ის-ის იყო უნდა დევისთვის მესამე თავიც მოეგდებინებინა, რომ დევი შემოეხვეწა: — ოღონდ ნუ მომკლავ და შენი ყმა ვიქნებიო: ერთ ისეთ რაშს გაჩუქებ, რომ შიგ ჩაიხედო და რომელ ცხოველდაც ინატრებ, გადაიქცე, ჩაიხედო მეორედ და ისევ კაცად გადაიქცეო — კარგი, მიჩუქებია სიცოცხლეო, — უთხრა ივანე-ფალავანმა და გაუშვა დევი. გახარებულმა დევმა ივანე-ფალავანი სახლში შეიპატიჟა და აქეიფა. წამოსვლისას გამოიყვანა რაში და მისცა, ამოიღო სარკე და ისიც ივანე ფალავანს აჩუქა.

— ვაშლიც უნდა მომცე, იმისათვის გამომგზავნა მეფე-მაო, — უთხრა ივანე-ფალავანმა. — კარგი, მაგისთვის როგორ გაწყენინებო, — მიუგო დევმა და თავის ხელით ამოუგლიჯა ძირიანად.

გადაჯდა დევისეულ რაშზე ივანე-ფალავანი, ჩაიდო დევისეული სარკე ჯიბეში. გაიდო ვაშლი მხარზე და გამოსწია სახლისაკენ. — თუ რამე გაგიჭირდეს ჩემი სახელი ახსენე და იმ წამსვე იქ გაეჩნდებიო, — მიაძახა დევმა უკანიდან.

მოვიდა ივანე-ფალავანი და მოუტანა ვაშლი მეფეს. ჩაჰკრა მიწას ერთ ადგილას წიხლი და დარგო ეზოში.

გადიოდა დღები, თვეები, წლები, მაგრამ ვაშლი არა ჰყვოდა, არც ნაყოფს ისხამდა.

უკვირდა ყველას. — ალბათ ის ვაშლი არააო, — ამბობდნენ ერთნი. — თუ გინდა სხვაც იყოს, რატომ არ ხარობსო, — ჰკვირობდნენ მეორენი.

მაინც არ სცხრებოდნენ ქალები, უნდოდათ როგორმე თავიდან მოეშორებინათ ივანე-ფალავანი და აი, კვლავ შეუჩნდნენ მეფეს.

— მამავ, მავან და მავან ადგილას სამნი ძმანი დევები ცხოვრობენ და სამთავეს ოქროსფაფრიანი რაშები ჰყავთ. რა კარგი იქნებოდა, რომ შენა გყავდეს ის ცხენებიო. — აბა, ვინ მომიყვანს, შვილებო, ვისა აქვს თავი მოსაკლავი, ვინ შეებრძოლებათ მათო? — მიუგო მეფემ. — ჩვენი ივანე-ფალავანო, — უთხრეს ქალებმა, მავან ისეთი საშინელი დევი დამარცხა, რომ მათი დახოცვა იმას რა გაუხდებო.

მეფეს ქალების რჩევა ჰკუთაში დაუჯდა და ივანე-ფალავანი დაიბარა. — აქა და აქ რომ სამნი ძმანი ცხოვრობენ, მათი რაშები უნდა მომგვარო. — დიდი სიამოვნებითაო, — უპასუხა კვლავ ივანე ფალავანმა და გაემართა იმ ქვეყნისაკენ, სადაც დევები ცხოვრობდნენ.

შუა გზაზე თავისი ძმობილი მოაგონდა და იფიქრა: მოდი, ერთი ვახსენო, იქნებ დამეხმაროს ამ გასაჭირშიო. ახსენა დევი და მართლაც იმ წუთში გაჩნდა მასთან. — რა გაგიჭირებია, ჩემო ძმაო, როგორა ხარო? — რაღა რა გამჭირვებია, მეფემ მიბრძანა, აქა და აქ რომ სამნი ძმანი დევები არიან, მათი რაშები მომგვარეო. იქ მივდივარ და წამომყუევო. — ძალიან კარგიო, — უთხრა დევმა და გაჰყვა ივანე-ფალავანს.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მიუახლოვდნენ დევების სასახლესაც.

ივანე-ფალავანმა დევი თავის რაშინად ერთ კუნძულზე დასტოვა. გაავსო წყლით ჯამი და ზედ ერთი კელაპტარი დაარქო. — იყავი აქ, მე კი წავალ დევებთან საბრძოლველადო, უყურე ამ ჯამს და როცა ამ წყალმა გაწითლება დაიწყოს და კელაპტარი ჩაქრეს, ეს იმის ნიშანია, რომ მე მიპირს და მაშინ აუშვი რაში და მან თვითონ იცისო.

გასწია ივანე-ფალავანმა დევებისაკენ. ლამდებოდა. ივანე-ფალავანი სწორედ იმ გზაზე მივიდა, რომელიც დევების სახლისაკენ მიდიოდა და ჩასაფრდა ერთ მოხერხებულ ადგილას.

ვახშმობამ რომ მოატანა, ჩამოიარა უფროსმა ძმამ — სამ-თავიანმა დევმა და იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, სადაც ივანე-ფალავანი იყო დამალული, დევის რაშმა შეჭფრუტუნა და ფრთხობა დაიწყო. — აჩუ, შე სამგლევე, აქ რა ივანე-ფალავანი დაგიხვდებაო! — დასკყივლა რაშს დევმა. — აქა ვარ ივანე-ფალავანი და აბა, თუ ბიჭი ხარ, დამიხვდიო! — შესძახა ივანე-ფალავანმა. მიუხტა დევს და მაშინვე მოაყრევიანა თავები. წამოიყვანა მისი რაში და გაიარა ცოტა გზა. ახლა მეორე დევს ჩაუსაფრდა ივანე-ფალავანი. როცა მეორე ძმაც იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ივანე-ფალავანი იყო ჩასაფრებული, ცხენი შეუფრთხა და გზას აღარ გადის. — აჩუ, შე სამგლევე, აქ რა ივანე-ფალავანი დაგიხვდებაო! — დასკყივლა რაშს დევმა. — აქა ვარ ივანე-ფალავანო! — მიუგო ივანე-ფალავანმა, ამოფრინდა, მივარდა დევს და ხმლის ერთი შემოკვრით მოაგდებინა ექვსივე თავი ერთად.

აიარა ცოტა ზევით და ახლა მესამე დევს ჩაუსაფრდა. შუალაშემ რომ მოატანა, ჩამოიარა უმცროსმა ძმამ — ცხრა-თავიანმა დევმა. მოდის ცხენზე გადამჯდარი მთისოდენა დევი და მოლილინებს. იმ ადგილს რომ მოაღწია, სადაც ივანე-ფალავანი იყო ჩასაფრებული, მისმა რაშმაც შეჭფრუტუნა, შეფრთხა და აღარ გადის გზას. — აჩუ, შე სამგლევე, რა გემართება. აქ რა ივანე-ფალავანი დაგიხვდება წინაო, — დასკყივლა ცხენს დევმა. — აქა ვარ ივანე-ფალავანო, — შეუძახა ივანე-ფალავანმა და მიუხტა დევს.

მაგრამ სხვებსავეით ადვილი როდი გახდა ამ დევის მოკვლა. დევმა რომ ივანე-ფალავანს შეხედა, ერთი გაიცინა, სტა-

ცა ხელი, დაისვა ხელისგულზე და უთხრა: — ახლა რომ მინდოდეს, ხელისგულზე მოგფშვნეტდი და სუ ნაცარმტვრად გადაგაქცევდი, მაგრამ სხვანაირად უნდა მოგექცე, სხვანაირად უნდა მოგილო ბოლო, — და ივანე-ფალავანი დაახეთქა მიწაზე. მხრებამდე მიწაში ჩაეფლო ივანე-ფალავანი. ამოილო დევმა ხმალი და ის არის უნდა თავი მოსჭრას, რომ ივანე-ფალავანმა უთხრა: ჯერ ერთი შენი ყალიონი გამივსე და მომაწვეინე და მერე რაც გინდა ის მიყავიო. — კარგიო! — დასთანხმდა დევი, გაუვსო თამბაქოთი ყალიონი და მიაწოდა.

უშველებლი ყალიონი ჰქონდა დევს, ერთი კოდი თამბაქო ეტეოდა შიგ, და აი, ნელ-ნელა სწევს ივანე-ფალავანი, არ უნდა რომ მალე გაათავოს, რადგან გაათავებს თუ არა ყალიონის წევას, გათავდება მისი სიცოცხლეც.

ის ოხერი რაშიც რატომ აღარ ეშველება? ტყუილად ელოდება ივანე-ფალავანი. ნეტავი რა დაემართათ? ნუთუ მილალატა დევმა და აღარ აუშვა რაშიო? — ფიქრობს ივანე-ფალავანი.

ამ დროს კი დევს ღრმად ჩასძინებოდა და ვერ დაინახა, რომ ჯამში წყალი გაწითლდა და სანთელი ჩაქრა. ცხენმა ალლოთი იგრძნო თავისი პატრონის უბედურება და მორთო ჭიხვინი, მაგრამ რომ აღარავინ აუშვა, დაგლიჯა საბელი და გაიქცა ივანე-ფალავანის მისაშველებლად.

ის იყო ყალიონს ათავებდა ივანე-ფალავანი, რომ მოვარდა მისი რაში ჭიხვინით. მივარდა დევს, ჯერ ტორებით გაინაგვა და შემდეგ წიხლებიც კი მიიყოლა. მიუბრუნა კუდი ივანე-ფალავანს. ამოსწია კუდით და მიწიდან ამოიყვანა. მივარდა წაქცეულ დევს ივანე-ფალავანი და მოაჭრა ცხრავე თავი; წამოიყვანა მისი რაშიც და გამოსწია სასახლისაკენ.

დევების სახლს რომ მიუახლოვდა, იფიქრა: ერთი შევალ დევების სახლშიო. ამოილო ჯიბიდან სარკე, ჩახედა და კატად გადაიქცა, შეძვრა დევების ოთახში და წამოუტუტქდა კერას. სახლში დევების დედა და მათი ცოლები იყვნენ. — რატომ არ მოდიან ნეტავ ჩემი შვილები? — თქვა დევების დედამ, — მე რომ ისინი ვინმემ დამიხოცოს, გზაზე ცეცხლად დავენთები და შიგ ჩავწვავ იმათ მკვლელს. — მე კი, — თქვა უფ-

როსმა რძალმა, ქარიშხალს ავტეხავ, გზაზე ერთ წისქვილად ვიქცევი, შიგ რომ შემოვა, თავზე დავენგრევი და მოვკლავო. — მე ხიდად გავედები წყალზე, ზედ შედგება გასასვლელად და შიგ წყალში გადავადებო, — თქვა საშუალო რძალმა. — მე კი თოვლიან მთად ვიქცევი და ზედ გადასვლისას ჩემი ქმრის მკვლელს ზვავს ჩავაყოლებო.

კატა გამოიპარა გარეთ, ჩაიხედა სარკეში და კვლავ ივანე-ფალავნად გადაიქცა. შეჯდა თავის რაშზე და გაუდგა გზას.

გზაზე საშინლად აცივდა, რომ ივანე-ფალავანს სულ ბაგაბუგი დააწყებინა და აი, ივანე-ფალავანმა თვალი მოჰკრა უშველებლ ცეცხლს. „ის წყეული, დევების დედა იქნება“, — გაიფიქრა და შორს მოუარა, მაგრამ ცეცხლი კვლავ მის წინ აღიმართა.

მაშინ ივანე-ფალავანმა ახსენა თავისი ძმობილის სახელი და დევიც ივანე-ფალავანთან გაჩნდა. — მაპატიე, მაშინ დამძინებოდა და ველარ გავიგე სანთლის ჩაქრობა! — შეეხვეწა დევი. — მიპატიებია, ოღონდ ამ გაჭირვებიდან დამიხსენიო, — უთხრა ივანე-ფალავანმა, — გზაზე ვერ გავსულვარ, ეს ცეცხლი კი არა, დევების დედააო.

მაშინ დევმა ამოიღო ხმალი, შემოჰკრა ცეცხლის აღს და მათ წინ დევების მკვდარი დედა კი გაიშხლართა. გადმოაბიჯეს ზედ და წამოვიდნენ... უფრო აცივდა. ახლა ერთი წისქვილი დახვდათ წინ. დევმა დაარტყა ხმალი წისქვილს და წისქვილი უცებ დევების მკვდარ რძალად გადაიქცა: ეს რძალი უფროსი ძმის ცოლი იყო. ცოტა რომ გაიარეს, ახლა მდინარე დახვდათ წინ. ზედ ერთი ხიდი იყო გადებული. დაარტყა დევმა ხიდს ხმალი და ხიდი მკვდარ ქალად გადაიქცა. გაჰქრა მდინარეც.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, წინ ერთი თოვლიანი მთა აღემაართათ. დევმა ახლაც იშიშვლა ხმალი, შემოჰკრა მთას და მათ წინ ცხრათავიანი დევის ცოლი მკვდარი დაეცა. გადმოაბიჯეს მას და გამოსწიეს. სამშვიდობოზე რომ გამოვიდნენ, დევი გამოემშვიდობა და სახლში წავიდა, ხოლო ივანე-ფალავანმა კი თავის რაშებიანად მეფის სასახლისაკენ გასწია. მივიდა და მიუჩრეკა მეფეს ცხენები. ამის შემდეგ ხარობდა

მეფე ასეთი უშიშარი ფალანით და თავის ფალანს უხვად ასაჩუქრებდა.

უფროსი დები მაინც არ ასვენებდნენ და კვლავ შეუჩინდნენ მეფეს: — მავან და მავან ადგილას, ერთ ზღვაში აღმასისრქებიანი კამეჩები არიან და ისინი მოარეკინე ივანე-ფალანსო.

მეფეს ეს რჩევა ჰკუთა დაუჯდა, დაიბარა ივანე-ფალანსი და უთხრა: — აქა და აქ, ერთ ზღვაში აღმასისრქებიანი კამეჩები ცხოვრობენ და ისინი უნდა მომირეკო.— ძალიან კარგიო! — მიუგო ივანე-ფალანსმა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა რანაირად გამოიყვანდა ზღვიდან აღმასისრქებიანი კამეჩებს.

ადგა მეორე დილით ივანე-ფალანსი და გაემართა იმ ზღვისაკენ, სადაც ეს კამეჩები ცხოვრობდნენ.

შუა გზაზე რომ მივიდა, მოაგონდა თავისი ძმობილი დევი და ახსენა მისი სახელი. დევი იმ წამსვე ფალანსთან გაჩნდა. — რა გაგჭირვებია, ჩემო ძმობილო? — ჰკითხა დევმა.

ივანე-ფალანსმა უთხრა, რაც გასჭირვებოდა. დევმა მაშინ ეს ურჩია: — წადი, ის კამეჩები სადამოობით ზღვის პირას გამოდიან წყაროს წყლის სასმელად, რადგან ზღვის წყალი მლაშე-მწარეა და არ უყვართ. წაიღე ერთი ხარის ტყავი და ერთი ფუთი ლურსმანი, გადაათარე იმ წყაროს ის ტყავი და დაჭედე მიწაზე ლურსმნებით. როცა კამეჩები გამოვლენ, წყალი აღარ დახვდებათ, შეგეხვეწებიან, ოღონდ წყალი დაგვალევიან და შენი ყმები გავხდებითო.

მართლაც ივანე-ფალანსმა შეასრულა დევის დარიგება. იყიდა ლურსმანი, ტყავი, მივიდა წყაროსთან, გადაათარა ტყავი და ლურსმნებით დააჭედა.

სადამო რომ მოახლოვდა, კამეჩები მართლაც გამოცვივდნენ წყლის დასაღევად, მაგრამ წყარო რომ აღარ დახვდათ, დაღონდნენ და შეეხვეწნენ ივანე-ფალანსს: — ოღონდაც წყალი დაგვალევიან და შენი ყმები გავხდებითო.

ივანე-ფალანსმა კამეჩებს წყალი დაალევინა და შემდეგ წამოასხა სახლში.

ეს კამეჩები თურმე გულთმისნებიც იყვნენ და ივანე-ფალანსს უთხრეს: — სანამ ის ორი უფროსი და ცოცხალია,

მოსვენებას არ მოგცემენო; სულ მათი საქმეა ასეთ განსაცდელში რომ ხარ ყოველთვისაო. სასახლეში რომ მიგვრეკ, ორივეს რქებზე ავიცვამთ და მეფესაც თავიდან მოგაცილებთო.

მიიყვანა ივანე-ფალავანმა კამეჩები მეფის სასახლის კარზე. სასახლიდან ყველანი მათ სანახავად გამოვიდნენ. მაშინ კამეჩები გაექანენ, მეფის ორივე ქალიშვილი რქებზე წამოიცივეს და თვით მეფეც ზედ მიაყოლეს. ხალხმა მაშინ მეფედ ივანე-ფალავანი აირჩია. ივანე-ფალავანმა კი მეფის უმცროსი ქალიშვილი შეირთო ცოლად და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

მეორე დღეს, როცა ივანე-ფალავანის ცოლი ბაღში გამოვიდა, გაკვირვებით წამოიძახა: — ეს ვაშლი ვითომ არ ისხამდა და ახლა კი, შეხე, როგორ დახუნძლულაო. და მართლაც, უკვდავების ვაშლს ნაყოფი გამოესხა.

მეფე მუზარბიი

ყოფილა ერთი მეფე მუზარბიი. ერთი ქალის მეტი შვილი არ ჰყოლია. ჰქონდა დიდი კოშკი, საიდანაც მას ყოველ საღამოს უნდა გადაეკიჟინებია თავის სამეფოსათვის, რომ ამით შეეშინებია დევები, რომლებიც დაეცემოდნენ ხოლმე ამ მეფის სამფლობელოს მცხოვრებთ და ხოცავდნენ. თუ მუზარბიი დაიძახებდა კოშკიდან, იმ ღამეს დევები ვერ შებედავდნენ მის სამფლობელოში. ამნაირად, მუზარბიი ღამით იფარავდა თავის სახელმწიფოს ყვირილ-კიჟინით, სადაც კი ხმა მიუწვდებოდა. დღისით დაჰქონდა თავის მშვილდ-ისარი, და სადაც კი დევს მოატანდა თვალს, ჭლაკვივით თავს ჰგლეჯდა.

მუზარბიის ჰყავდა ცოლი, რომელსაც გული უცემდა ყველაზე უფროსი თორმეტთავიანი კაცა დევისათვის. ბოლოს მუზარბიის სიკვდილმა უსწრო, რაც ძლიერ გაუხარდა მის ცოლს. მას ხომ კაცა დევისადმი სიყვარული ჰქონდა, მაგრამ აქამდე ვერაფერი მოეხერხებია. ბევრს, ბევრს ეცადა მუზარბიის ცოლი, მაგრამ თავის გულისწადილი ვერ დაუმალა თავის ქალს, ქალმა შეატყო დედას, რომ მას დევი უყვარდა და

უთხრა: — ღმერთი გაგვიწყრა და მეფე გარდაგვეცვალა; აწი რისი მაქნისია აქ ჩვენი ყოფნა, დღეს-ხვალ დევები შეგვკამენ უმამაკაცოდ. უკეთესია წავიდეთ მთაში და ჩვენი მოკლე ხანი იქ გავატაროთ.

დედას ქალის აზრი სრულებით არ ეჭაშნიკა და უთხრა: — მე ახლა ისედაც ხანში შესული ვარ; გინდ დევმა წამილოს, გინდ სიკვდილმა, სულ ერთია. შენ, შვილო, რაც გინდა ისა ჰქენი, მე კი სად ვათრიო ახლა ჩემი დაავადებული თავიო.

ქალმა უპასუხა: — არ შეიძლება არ წამოხვიდე. ამ წუთს გამოეწყვე და წამომყევი, სადაც მე წავიდე, თორემ აქავე შენს წინ თავს მოვიკლავო.

დედას ეოცა ქალის ასეთი ლაპარაკი. გამოეწყვენ და წავიდნენ მთაში. ბარგი, რაც ვერ წაიღეს, დატოვეს. მთაში ერთი გამოქვამული იპოვეს და შიგ დაიბარგეს. ყველაფერი ეს ფარულად მოიმოქმედეს: დედა და შვილი სად წავიდნენ, არავის შეუტყვია. ჰკრეფდნენ ჭაფურჩას, აფენდნენ კლდეზე, ახმობდნენ და იმით ირჩენდნენ თავს.

გავიდა დრო და ხანი. ერთ დილას ქალი წავიდა ჭაფურჩას დასაკრეფად. ამ დროს დედას ვაჟი შეეძინა, ნახევრად ოქრო და ნახევრად ვერცხლი. დედამ აიყვანა შვილი და დიდი ქვის ქვეშ ამოლო. როგორც კი მოვიდა ქალი, მაშინვე მიხვდა თუ რა ამბავი მოხდა მისი წასვლის შემდეგ და დედას უთხრა: რა არის, რომ ფერი წაგსვლია? ახლავე მითხარი, თორემ შენს წინ თავს მოვიკლავო! — რა დამემართებოდა, შვილო? ერთი გლახა ბავშვი მეყოლა და ეგერ ქვის ქვეშ ამოვდევიო.

ქალი ეცა ქვას, ასწია და გამოიყვანა ვაჟი, ნახევრად ოქრო და ნახევრად ვერცხლი. ამ ქალს სიხარულით ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნადა. თქვა: ეს რაღაც ღვთის წყალობა არისო.

ბავშვია, მაგრამ რა ბავშვი: დღევანდელს ხვალინდელი სჯობს, ხვალინდელს — ზეგისა, როგორც მზეს — ისე მის პირსახეს თვალს ვერ გაუმართავ. სამი დღის სამი წლისას ჰგავდა, სიარული დაიწყო. ათი-თორმეტი დღის რომ გახდა, ნადირობა დაიწყო, აიღებს ჭოლოქს, ისვრის და ჩიტებს თა-

ვებსა ჰგლეჯს. ცოტა ხნის შემდეგ ამ ბავშვმა უთხრა თავის დას: — გამიკეთე სასროლი რამეო.

დამ მოსჭრა წნელი და გაუკეთა უბრალო მშვილდ-ისარი, მოიგლიჯა თავიდან თმა, დაგრიხა და მშვილდზე გაუბა. ამის შემდეგ ბავშვმა უკეთ დაიწყო ნადირობა. მიდის დილას, სალამოს ბრუნდება ნანადირევით დატვირთული და ამნაირად საკმელს არ აკლებს დასა და დედას. დედას ვაჟის სიმარჯვე დიდად არ უხარია. რაც ხანი გადიოდა, ბავშვი თანდათან შორს მიდიოდა სანადიროდ. სალამოობით დაყოვნება დაიწყო. ერთ მშვენიერ დილას წამოვარდა ალიონზე, უნდოდა იმ დღეს კიდე უფრო მეტი ადგილი შემოეკლო. მიდის ბავშვი და ერთ გორაკს მიადგა. გაიხედა და დაინახა: დგას შენობები, მამამისის კოშკი ცაში უწევს; ასეთი რამე თავის დღეში არ ენახა და გაკვირვებულია: რა არის, რომ ვნახეო, და ძლიერ უნდა გაიგოს, რა ამბავია, მაგრამ კაცი არაა, რომ ჰკითხოს. თვითონ ჩავიდეს გორაკიდან და ნახოს, ეშინია, მზე ჩასვლაზე და სახლში დროზე ვეღარ დაბრუნდება; იმისი და კვილს ასტეხავს. არადა რა ქნას? — რაც იქნება, იქნება, უნდა ვნახოო. თვალის დახამხამებაში ჩაირბინა მთა, მივიდა ერთ სახლთან, მაგრამ შიგ ვერავინ ნახა; აგრეთვე მეორეშიც. მესამეში ნახა, ზის კერიასთან ერთი დედაბერი.

მოიხედა დედაბერმა და ნახა, რომ კარზე მშვენიერი ვაჟი დგას და უთხრა:

— შვილო, ვილაც ქრისტიანის შვილი ხარ, თავი რატომ მოგძულები? აქ დევები მიდი-მოდინ და ადამიანებს ხოცავენ. ამ ადგილს ჩემს მეტი კაცი აღარ დარჩენილა და მეც ზვალ წამიყვანენ. ეს ხელმწიფე მუზარბიის სასახლეა, რომელიც უმემკვიდროდ ამოწყდა.

ბავშვმა ახლა ყველაფერი შეიტყო, ვინ არის და ვისი შვილია. გაუხარდა და დედაბერს გამოკითხა; როდის მოვლენ დევებით. წამოხტა და ისევ მთას გაეშურა დედასა და დასთან. გზა-გზა ცოტაოდენი წაინადირა. ვახშობისას ვაჟმა ჰკითხა დედას: დედი, მითხარი, ჩვენ საიდან მოვედითო. დედამ უპასუხა: ჩვენ არსაიდან არ მოვსულვართო.

დას უნდა ყველაფერი უთხრას ძმას, მაგრამ დედის ეშინია. ბავშვმა დედას მეტი აღარა ჰკითხა რა.

მეორე დღეს ალიონზე წამოხტა ბავშვი და წავიდა იქ, სადაც გუშინ იყო. როგორც კი დაინახა დედაბერმა, წამოვარდა და ბავშვს მიეგება. გადაეხვია, გადაჰკოცნა და ყველაფერი უამბო, რაც უნახავს, გაუგონია მუზარბიი ხელმწიფის შესახებ. ბავშვმა როგორც კი შეიტყო, მამამისის მშვილდ-ისარი კოშკში იღო, იმ წამს აირბინა და ჩამოიტანა. დედაბერს უთხრა: — როდესაც დევი მოვიდეს, სადაც ზიხარ, მანდედან არ დაიძრეო. თვითონ წავიდა და კარს ამოეფარა. ცოტა ხნის შემდეგ დევიც გამოჩნდა: მოდის და დედამიწას მოანგრევს. დევმა მოაწია კარამდის და დედაბერი რომ უნდა ჩაყლაპოს, ამ დროს ბავშვმა სტყორცნა ისარი და მიწაზე ტვინი დაუნთხია. მოეხმარა დედაბერი და დევი მიწაში დამარხეს. საბრალო დედაბერს აწი რალა უჭირს, რადგან ღმერთმა ასეთი მხსნელი მოუვლინა.

ბავშვმა მამამისის მშვილდ-ისარი იქვე შეინახა, აიღო თვისი მშვილდ-ისარი და სახლში წავიდა. გზაში დახოცა ცოტა ნადირი და წაიღო. მეორე დღეს ისევ წავიდა ბავშვი და ახლა მეორე დღეს დაუდარაჯდა.

დედაბერმა დაუძახა: მეორე დევი მოდისო. დაუგდო ყური, გაიგონა ბავშვმა დევის ხმა: აქეთ გამოდი, დედაბერო, და მითხარი, სად წავიდა ჩემი ძმაო. დედაბერს ვითომც არც გაუგონია. გულგახეთქილმა დევმა მოატანა კარებს და უნდა დედაბერი ჩაყლაპოს, ბავშვმა სტყორცნა ისარი და თავი წააგლიჯა. ესეც დამარხეს. ამნაირადვე მესამე დღეს მესამე დევიც მოჰკლა ამ ბავშვმა. დარჩა ყველაზე უფროსი კაჟა-დევი. ამ კაჟა-დევის თორმეტი თავი ება. მისი მოკვლა, როგორც ამბობდნენ, არავის არ შეეძლო. მეოთხე დღეს კიდევ მოვიდა ბავშვი და ამ მეოთხე დღეს დაუდარაჯდა: დღეს გადაწყდება ჩემი ბედისწერაო, ამბობს ბავშვი.

იძრა მიწა, სახლი, ყველაფერი ერთად. იკითხა ბავშვმა: ეს რა ამბავიაო? დედაბერმა უპასუხა: კაჟა-დევი მოდისო. მართლაც, მოდის ეს დევი და თან მოლრიალებს: — აქეთ გამოეთრიე, დედაბერო, და მითხარი სად წავიდნენ ჩემი ძმები, თორემ მეტი არ იქნება შენი ყოფაო?!

დედაბერს ვითომც არ გაუგონია. ეს დევი მოვარდა კარებს, გააღო პირი და რომ უნდა გადაყლაპოს დედაბერი,

ბავშვმა ამ დროს მშვილდ-ისრით თორმეტივე თავი დააყრევინა. შეხედა ბავშვმა, ნახა, რომ თორმეტივე თავი ისევ მოზრდია. შემოურბინა, აიღო ისარი და მეორედ თორმეტივე თავი წააგლიჯა. ისევ მოეზარდა. კიდევ გააყრევინა — კიდევ მოეზარდა. ასე არაფერმა უშველა: რამდენს გადასჭრის, იმდენი მოეზრდება. ამ დროს მოფრინდა ჭინჭრაქა, შემოჯდა კარს და დაიწყო ჭყვილი: „ნაცარ-ტუტა, ნაცარ-ტუტა!“ დაფაცურდა დედაბერი, დაავლო კეცს ხელი, ამოუსვა ნაცარ-ტუტას და, როდესაც ბავშვმა დევს თავები გადასჭრა, ზევიდან დააყარა. შემდეგ თავს აღარ ამოუყრია. მოეხმარენ ისევ ერთმანეთს ბავშვი და დედაბერი, დევი ლუკმა-ლუკმად დასჭრეს და ისიც დამარხეს.

დედაბერმა უთხრა ბავშვს, რომ ქვეყანაზე მეტი საშიში აღარაფერი არისო. დედაბერს სიხარულით ყველაფერი გადაავიწყდა, რაც შიში უნახავს: ჰკოცნის ბავშვს და თავს ევლება. ბავშვი დაღლილი საღამოს სახლში წავიდა. როგორც კი მივიდა, იმ წამსვე დაწვა. დამ ჰკითხა: — რა არის, დაღლილი და დასუსტებული რომ ხარო?

ბავშვმა იმ დღეს არაფერი არა თქვა. მეორე დღეს უნდოდა ისევ გამოეცადა დედა და ჰკითხა: — ვისი შვილი ვარ, მითხარო. — დედამ ისევ დაუმალა. ბოლოს ბავშვმა გაუცხადა დასა და დედას სად იყო ეს ოთხი დღე, ვინ ნახა და რა ჰქნა. დამ ვერ მოითმინა სიხარული და უთხრა: შენ ხარ იმ მუზარბიის შვილი, რომლის მშვილდისრით დევები დახოცეო.

დედამ თავი იმართლა, ვითომ მით, რომ არ უნდოდა მისი შვილი დევებს შეჰკვდომოდა. ბავშვმა წამოიყვანა დაცა და დედაც, გახარებული წამოვიდა თავის მამის სასახლეში. მზე რომ ჩავიდა, ავიდა კოშკის თავზე მამამისივით და ისეთი დაიკიჟინა, რომ ვარსკვლავებმა ცახცახი დაიწყეს. ხალხმა რომ ეს გაიგონა, გაიკოცა: ეს რა ამბავიაო? მუზარბიის რა გააცოცხლებდა, თუ არადა, ვინ უნდა მოსულიყო მის მაგიერო?

მეორე დღეს გააგებინეს ერთმანეთს, ყველას, მთაში ცხოვრობდა თუ ბარში. მოიყარეს თავი და წავიდნენ სასახლეში, რომ შეიტყონ ვინ მოსულა. როდესაც გაიგეს, რომ მუზარბიის შვილი მოსულა და სულ ყველა დევი დაუხოცავ-

სო, სიხარულით ცას ეწიენენ: მიულოცეს მუზარბიის შვილს ხელმწიფობა და გახარებული დაბრუნდნენ თავიანთ სახლში. ამ ბავშვის დედას არ გახარებია კაჟა-დევის მოკვლა. როდესაც შეიტყო, სად იყო დამარხული კაჟა-დევი, ყოველ დილას მიდიოდა და საფლავს წყალს აპკურებდა. მესამე დილას ქვევიდან ხმა მოესმა.

— ვინ მადლიანი ხარ, წყალს რომ მასხამ: არ შეიძლება ერთი მუჟა მიწა გადამფხიკო?

ქალმა მართლაც გადაფხიკა. ამ დროს გაიხსნა მიწა და დევი ამოვიდა. ამ ქალმა დევი ბუზად აქცია და კიღობანში ჩაკეტა, ცოტა ხანი რომ გავიდა, დედამ მიუტანა შვილს ცერის სიმსხო წულები და უთხრა: — შენ არა ჰგვეხარ მამაშენს: იმას აი, ამისთანა წულები ეცვაო.

შვილს ეწყინა, როგორ თუ მამაჩემს არა ვგვეარო. ჩამოართვა წულები — ჩავიცვამო. ჩაცმის დროს ფეხი გადაიგრიხა და კიდევაც მოიტეხა მარჯვენა ფეხი. დედა ეცა კიღობანს და ამოუშვა ბუზი. ბუზი დივად იქცა და დაეტაკა ბავშვს. შეიბნენ. აიყვანა ცალ ფეხზე მდგომარე ბავშვმა დევი და მუხლამდის მიწაში ჩაასო ბიჯგივით. ხედავს დედა, რომ აგერ-აგერ ბავშვი მოერევა დევს. მივიდა და ფეხქვეშ ფეტვი დაუყარა შვილს. მოუბრუნდა დევი ბავშვს და დასცა, დაადგა მკერდზე ფეხი და ნაგლეჯებად აქცია. დედა და კაჟა-დევი ზევით ავიდნენ კოშკში, მოვიდა და, დაინახა, რომ მისი ძმა აბედივით დაწეწილი გდია. შეკრიბა ელვის სისწრაფით ძმის ნაწილები, ტომარაში ჩააწყო და გაიქცა იმ მთაზე, სადაც წინათ იყვნენ. როდესაც მივიდა გამოქვაბულში, მაშინვე ძმის ნაწილები დააწყო და სამი დღე და ღამე გვერდში უჯდა, დასტიროდა და თვალცრემლიანი ღმერთს ევედრებოდა. მესამე დღეს შეინძრა ბავშვი და გაიღვიძა მძინარე კაცივით. ძმამ უთხრა დას: — ახლა მე წავალ სახლში და ცოტა ხნის შემდეგ შენც გამომყევით.

დამ დაუჯერა. ბავშვი ფარულად მივიდა სასახლეში და დედაბერს უთხრა: — შენ ირბინე და იძახე: მუზარბიი ამდგარა, მუზარბიი ამდგარა!

დედაბერმა დაუჯერა და გამოვარდა გარეთ კიჟინით. დედამ და დევმა რომ გაიგეს ასეთი ძახილი, გამოცვივდნენ გა-

რეთ. ამ დროს ბავშვი შეეპარდა კოშკში, გამოარბენინა მშვილდ-ისარი. სტორცნა კაჟა-ღევს და თორმეტივე თავი წააგლიჯა. მოირბინა დედაბერმა, ნალვერდალი დააყარა ღევს თავზე, მობრუნდა ბავშვი წვრილ-წვრილად დაკეპა ღევი, დაანთო დიდი ცეცხლი, დასწვა და ფერფლად აქცია. ამ დროს დაც მოვიდა. იმას ძლიერ გაუხარდა, ძმა რომ გამარჯვებული ნახა. დედამ, როდესაც გაიგო, რომ ღევი მოჰკლეს, ზევით კოშკში ავიდა და იქ ჩაიკეცა. შემდეგ ამ ბავშვს უთხრეს მისმა დამ და დედაბერმა:

— აქამდე სათქმელად ვერ გაგიბედეთ, თორემ მამაშენს ჰყავდა რაში, რომელიც ამა და ამ გვირაბში აბიაო. თუ იმ რაშზე შეჯდები, შემდეგ არაფერი გაგიჭირდებაო.

მუზარბიის მემკვიდრემ მაშინვე გამოიყვანა რაში და ზედ მოაფრინდა ჩიტვიით. რაში ავარდა და უნდოდა ცაზე მიესრისა მხედარი, მაგრამ ბავშვი მუცელ ქვეშ მოექცა; რაშს უნდოდა მიწაზე დაესრისა, ბავშვი გვერდზე მოექცა; მთაზე მისრესა მოუნდომა, მეორე გვერდზე მოექცა. მივიდა, თმით გამოათრია დედამისი და რაშის კუდს გამოაბა.

ჩემი არაკი გავათავე. წუხელ იქ ვიყავი, დღეს აქ მოვედი.

სამი ვაშლი, სამი ბროწეული
ღმერთმა ნუ მოგიშალოთ,
თქვენი ხელით მოწეული.

ღვევით სავსე ქული

იყო სამი ძმა. თქვეს ერთხელ ამ ძმებმა, მონი გავიყარნეთო. უფროსს ერგო სახლები, მეორეს — მამული, მესამეს — ერთი ქული. ეჩხუბება ეს ამ ძმებსა: — ამ ქულზე მოვხნა, დავთესო, ვჭამო, ვსვავო? ეს რა ღვთის წყრომიაო! — რაც არი! ეგ იყო შენი წილი, — უბასუხეს ძმებმა. — კარგო, კეთილად მოგახმაროთ თქვენი წილი და მე კი წავალო.

მიდის ერთ ტყიანში, დიდი ჯოხი უჭირავს ხელში. მაღალი ქული იყო, მოედო ხის ტოტებს, მოეხადა და ჩამოუვარდა. ეს ბიჭი ისედაც გაგულისებულა, დანა კბილს არ

უხსნის. აილო და თავისი ჯოხი ერთი ორჯერ დაარტყა ამ ქულს: შე ასეთო და ისეთო, თავზედაც არ ჩერდებიო?!

უცებ გამოვარდა იმ ქულიდან ორი უზარმაზარი დევი. — რა გაგიჭირდა, რომ გამოგვრეკე ამ ქულიდანაო? — როგორ არ გამიჭირდა, მშია და მწყურია, ამაზე მეტი რა უნდა მიჭირდესო?!

დატრიალდნენ ეს დევები, გაუშალეს სუფრა, აჭამეს და მერე ქულში შეძვრნენ ისევ ისე. თურმე რამდენი ბეწვიც არის ამ ქულში, იმდენი დევია შიგ. რამდენჯერაც დაარტყამ ჯოხსა, იმდენი დევი გამოვარდება.

დაადგა ეს კაცი გზასა. რამდენი წელიწადი იარა, რამდენი დღე, სულ სხვათა სახელმწიფოში გავიდა. ერთ ბებერ ქალთან მივიდა. — თუ შეიძლება დამაყენე, საჭმელი იმდენი მაქვს, შენც გაჭმევ და შენს შინაურებსაცო, იქნებ სულაც აქ დავრჩეო.

იქ ახლოს ხელმწიფის კოშკი დგას. იმ ხელმწიფეს კაი ქალი ჰყოლია. ამ ქალზე ბიჭმა თვალი დაიჭირა, მიგზავნა ეს ბებერი. — წადი, ხელმწიფეს უთხარი: შენი ქალი ჩემს მდგმურს მიათხოვეო!

წავიდა ბებერი. — ქალს მივცემ, მხოლოდ თუ იმისთანა სახლს დასდგამს, რომ მეორე იმგვარი სახელმწიფოში არავის ჰქონდესო. — კარგო, ეს ადვილი სამსახურიაო.

გამოვიდა ეს ბიჭი. გამოიტანა ეს ქული ღამე, მიადგა ერთი დიდ კეტითა. რამდენსაც დაარტყამს, იმდენი დევი გამოსცვივა, იმდენი, რომ ჭიანჭველებივით ირევიან. შემოუხზა ბიჭმა და უთხრა: — ამ ადგილზე ისეთი სახლი უნდა დადგათ დილაღე, რომ სახელმწიფოში მისი მსგავსი სხვა არ მოიპოვებოდესო — შესვლისა და გამოსვლის მეტი არა უნდოდეს რა ადამიანსაო.

ზოგი ხესა სთლის, ზოგი თიხას ზელავს, ზოგს ქვა მოაქვს... ასე იყო თუ ისე, რას გავაჭიანუროთ, ეს სახლი ააშენეს დევებმა და შევარდნენ უკან ქულში.

გაიღვიძა ამ ბიჭმა დილაადრიან, დაიჭირა განგებ ქაფჩა და მივიდა სახლთან. — ეს რა უცებ ააშენაო, — ფიქრობს ხელმწიფე. — ახლა ისეთი ხიდი უნდა დაიდგას, რომ ზღვას

გასწვდეს ნაპირიდან ნაპირამდეო, მაშინ მივცემ ჩემ ქალს, თუ არადა არაო.

დალამდა. დააყარა ბიჭმა ქუდს კეტი კიდევა და აბა, ხიდი გააშენეთ, ზღვას გასწვდესო.

ზოგი ხეს მოათრევს, ზოგი ლურსმანს, ან ფიცრებს. მანამ გათენდებოდა, გააკეთეს ხიდი და შევარდნენ ქუდში. ამ ბიჭმა დაიჭირა ჩაქუჩი და სცემს ტყუილუბრალოდ ლურსმანსა.

მივიდა ბებერი ხელმწიფესთან: — ხომ შეასრულა შენი სიტყვაო! — ახლა ისეთი ბალი უნდა გააშენოს, რომ ზოგი ხილი მწიფდებოდეს, ზოგი ყვაოდეს და ზოგს ფურცელი სცვივოდეს. გარშემო ღობეზე უნდა დახატოს ისეთი ბუღბუღები, რომ გალობდნენ სულაო.

წავიდა ეს ბიჭი, ხელმწიფის სახლის წინ დახაზა, ჩხირები ჩაარქო. რომ დალამდა, გამოიტანა ეს ქუდი, გამორეკა დევები: ბალი გააშენეთ ჩქარა, ზოგი მწიფდებოდეს, ზოგი ყვაოდეს, ზოგს ფურცელი სცვივოდესო.

დილით შევიდა ეს ბიჭი ბაღში და სეირნობს. მივიდა ეს ბებერი: — რას იტყვი, დიდო ხელმწიფევ, შენ სიტყვას ხომ არ გადახვალო? — ახლა ყაბულსა ვარ, მოიყვანეთ ვაჟიო.

მოვიდა ვაჟი და წამოიყვანა მეფის ქალი. ტირის ქალი, ცრემლად იღვრება.

— რა გატირებსო?

რა ატირებს და თურმე შავი არაბი ჰყვარობს ამ ქალსა. ის უნდა გამოიყოლოს მოსამსახურედ.

— ერთს კი არა, გინდა ხუთს გამოგაყოლებო.

წავიდნენ. გავიდა დრო და ჟამი. ერთხელ დაათრო ქმარი ქალმა და ჩააცივდა: — სადა გქონდა ეს ძალა, ეს ღონე, რომ ამოდენა შესძელიო.

არ უნდა ბიჭს თქმა, მაგრამ მაინც ათქმევინა ამ ქალმა. — ამ ქუდში დევები მყავსო.

ამ ქალმა ჩაინერგა გულში ეს სიტყვები ლამაზადა და ერთ დღეს დაალევინა ამ ბიჭს ბანგი, დაათრო და ჩააგდო საღორეში. იქვე ჩააგდეს ბებერიც. მოხვიეს ამ ქუდს ხელი ამ ქალმა და შავმა არაბმა, დასცხეს კეტები: — აბა წაგვიღეთ ჩქარა და ღვასა და ზღვას შუა ჩადგით ეს სახლი და ბაღიო.

ასწიეს დევებმაც და ჩადგეს ზღვასა და ზღვას შუა ეს სახლი არაბიანად და ქალიანად.

გათენდა დილა. გამოიღვიძა ამ ბიჭმა. საღორეშია ეს ბიჭი და ეს ბებერი. რას იზამს? დაიჭირა ბიჭმა ჭოხი, ჩაიცვა რკინის ქალამნები და წავიდა. ამ ბებერს უთხრა: — სამ წელიწადს მიცადე, თუ არ მოვიდე, მერე ჩაიცივი ჩემზე შავებით.

მიდის ეს ბიჭი, ჩვენი ენა მალე იტყვის, მიდის... ბოლოს შივიდა ისეთ ქვეყანაში, რომლის ხელმწიფესაც ხალხი არა ჰყავს. არის ხელმწიფე ნადირების, ბაყაყებისა და ფრინველების. მივიდა ხელმწიფესთან.

— დიღო ხელმწიფევ, ერთი სიტყვა მაქვს, თუ იკადრებ ამ სიტყვასო. ერთი სახლი დამეკარგა თავისი ბალით, თუ უნახავს ვისმეს თქვენს ქვეშევრდომსაო?

— დაიცა, მე გაგიგებ ამასაო. ჩემს ფრინველებს შევეკითხები, თუ ეცოდინებათ, მაგათ ეცოდინებათ, ცაში ესენი ფრენენ და ყველაფერს ხედავენო.

ერთი დაიკვილა ხელმწიფემ. მოვიდნენ ნადირები, მეორედ დაიკვილა და მოცვიდნენ ბაყაყები თუ სხვა ქვეწარმავალნი. დაიკვილა მესამედ და გაჩნდნენ ფრინველები. როცა დაბნელდა და ცა დაბლა ჩამოვიდა, უთხრა ხელმწიფემ ფრინველებს: — ამნაირი სახლი გადატანილი ხომ არ გინახავთო? — არავის ენახა.

დაითვალა ხელმწიფემ და ერთი პატარა ჩიტი აკლია — ღობემძვრალა. დაუკვილა ერთხელ — არ მოვიდა, დაუკვილა მეორედ — არ მოვიდა, დაუკვილა მესამედ და მოფრინდა. მუხლი მოიყარა ხელმწიფის ტახტთან. — სად იყავიო? — სად ვიყავი და ზღვასა და ზღვას შუა ერთი სახლი დაუდგამთ. იმ ქალმა დამიჭირა, არ მიშვებდაო. ერთი რომ დამიკვივლე, ცოცხალი ვიყავი, მეორედ რომ მომესმა შეი ხმა, სული მხდებოდა, მესამედ ხელში მოუუკვდიო. ქალმა ფანჯარა გააღო და გადამაგდოო. მეცა ჰაერი, გავცოცხლდი და გამოფრინდი კიდევცო. — უეჭველად ჩემი სახლია და ჩემი ცოლიო, — ბიჭი ამბობს. — შენ იქ ვერ მიხვალ, ისევ მე გწევ ბედსაო, — ნადირთ ხელმწიფე ეტყვის, — მართათობას თუ გამოიჩენ...

დაუძახა არწივს ხელმწიფემ. აიყვანა არწივმა ბიჭი და ზღვასა და ზღვას შუა მიიყვანა. ეს ბიჭი სახლის კარმიდა-

მოზე დადის. მოახლე გოგომ რო დაინახა, გაუხარდა, მიეგება. — შენს გაზრდას, ჩემი ქუდი მჭირდება, გამომიტანეო.

შავ არაბსა და ქალს სძინავთ გაბრტყელებულებს, ქუდი მალლა დაუკიდიათ. გამოიტანა ქუდი მოახლემ. დაარტყა ქუდს, ერთი დევი გამოვარდა. — წადი ოთახში და შეჰკარი არაბი და ჩემი ცოლიო.

ახლა სხვა დევეები გამორეკა და უკან წააღებინა ეს სახლი. იქვე დადგეს. დედობილს ძალიან გაუხარდა. გათენდა დილა, მივიდა ეს ბიჭი ხელმწიფესთან. — სად იყავ, როგორ იყო თქვენი საქმეო? — წამობრძანდი, შენი ქალი ნახეო.

მივლენ, ნახავს მამა, რაღას იტყვის. დასწევლა ქალი და არაბი, სათითაოდ მიაბა ცხენის კუდს და დახოცა. მეორე ქალი შერთო ხელმწიფემ.

გადაიხადეს დიდებული ქორწილი, გუშინწინ იყო, ვერ მიველ, დაპატოებული კი ვიყავი.

ისრის-მასრის სანდლის ქალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. დიდხანს შვილი არ ჰყავდა. დიდი ხნის შემდეგ მიეცა ბიჭი. ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდა. ბიჭი რომ მოწყენით არ ყოფილიყო; ხელმწიფე ყოველდღე იბარებდა თავის ვეზირის შვილებს, რომლებთანაც ყმაწვილი თამაშობდა, მხიარულობდა.

ერთხელ ჩვეულებისამებრ ვეზირის შვილი და ხელმწიფისა გავიდნენ მინდვრად და მშვილდ-ისარს ისროდნენ. ხელმწიფის შვილის ისარი მოჰხვდა წყალზე მიმავალ ბებრის კოკას და გაუტეხა. გაჯავრებულმა ბებერმა დადგა კოკა ძირს, მიუბრუნდა ყმაწვილს და უთხრა: — დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, და შენამც ჩაგვარდნია ისრის-მასრის ქალის სიყვარულიო!

ის იყო და ის, ჩაუვარდა ყმაწვილს იმ ქალის სიყვარული გულში, არ აძლევდა მოსვენებას, არც დღე და არც ღამე: განდა საბრალო, სანთელსავით დადნა. არც ჰამა იყო მისთვის და არც სმა. შეწუხდა ჩვენი ხელმწიფე. მოიწვია თავისი ექიმბა-

შები, მაგრამ შვილს ვერა უშველა რა. ბოლოს გადაწყვიტა, მოდი კვითხავ, იქნება საიდუმლო ნაღველი რამე აქვსო. — შვილო ჩემო, ერთადერთო თვალის ჩინო, რადა ხარ ეგრე დაღონებული, რატომ აღრინდელივით ტოლებში არ თამაშობო? ახლა კი ყმაწვილმა გაბედა და მოახსენა მამას თავისი გულის პასუხი, ესე და ესეა ჩემი ამბავი და თუ არ წავედი, ის ქალი არ ვნახე, მოვკლებიო.

დაღონდა და დაძმარდა დიდებული ხელმწიფე, იმ ერთ შვილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე და ისიც თავს ანებებდა, მაგრამ შვილის სურვილს უარს ვერ ეტყოდა.

მეორე დღეს ყმაწვილი მარტოდმარტო გაუდგა გზასა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი ქოხის კართან. დააკაყუნა. გამოვიდა ერთი გადახავსებული მოხუცი, გაუღო კარი სტუმარს და შინ შეიპატიჟა. ვაჟმა უთხრა: შენ დედა და მე შვილიო.

ბებერმა სიხარულით იშვილა ყმაწვილი, რადგან უშვილო იყო. ახალ შვილობილს ბებერმა ქათამი დაუკლა. დასხდნენ ორივენი ვახშმად. ვაჟმა ჰკითხა: მითხარი რა ამბავია ამ თქვენ სახელმწიფოშიო? ბებერმა უპასუხა: აბა, ჩემო შვილო, ყველას როგორ ჩამოსთვლის ადამიანის ენა, მაგრამ ამას კი გეტყვი, ჩვენს დიდად სახელგანთქმულს ხელმწიფეს ერთი მშვენიერი მზეთუნახვი ქალი ჰყავს. ეს ქალი თვალმიუწვდენელს კოშკში ზის. ის მთელ სახელმწიფოში არავის უნახავს. იმ გოგოებს გარდა, ვინც იმას საჭმელ-სასმელს უზიდავენ. როგორც მზე კარგა სადილობისაკენ გადაიხრება, გოგოები მოვლენ კოშკის ძირს და დაიძახებენ:

ისრის-მასრის სანდლის ქალო!

გადმოყარე გიშრის თმანი,

ამიყვანე, შენთან დამსვი,

შენი მესურვილებანი.

ისიც გოგოების ხმაზე გამოვა, გადმოშლის გიშრის თმას, აიტანს სასმელ-საჭმელს და ცარიელ ჭურჭელს უკან გადმოჰყრის.

გაათვა თუ არა ბებერმა ეს ამბავი, ვაჟმა ისეთი ამოიქშინა, რომ თითქოს ასლოდიანი საპალნე მოიშორა ზურგიდანო.

ბებერმა ჰკითხა: — შენ რად ამოიქმინეო?

ვაჟმა უთხრა: — ასე და ასეა ჩემი ამბავი, თუ ის ქალი არა ვნახე, მოვკვდებო.

— თუ ასეა, შვილო, ხვალვე იყიდე ერთი კაი ჰედილა, გაჭერი ოთხად და მისვლის უმაღლვე კოშკის ძირს ოთხი ქოფაკი გამოვარდება, იმათ მიუგდე, შენ კიდევ იდროვე და გოგოებს მიასწარი. როგორც გასწავლე, ისე შესძახე, მაშინ ქალი გადმოგიშლის თმებს, შენ მაგრა ჩაჰკიდე ხელები და აპყევი. იქ, შვილო, შენ იცი, ამას კი გეტყვი, ფრთხილად იყავი, თორემ ის ძალიან კუდიანი ქალია და ძაღლებს არ გააფუჭებინოს შენი თავი.

მეორე დღეს გადაიწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი და შეუდგა საქმეს; იყიდა ერთი კარგად გასუქებული ჰედილა, დაკლა. გაჭრა ოთხად, ჩადო ხურჯინში, გადაიკიდა მხარზე, დადგა კოშკის შორიანხლოს, მოათვალიერა-მიათვალიერა მიდამო და დაინახა, რომ ქალის ასავალ კარებში აფთარსავით ძაღლები არიან. მივიდა ამათთან და გადაუყარა ხორცი. თვითონ დადგა კარებში და ნაზის ხმით შესძახა:

ისრის-მასრის სანდლის ქალო!

გადმოყარე გიშრის თმანი,

ამიყვანე, შენთან დამსვი,

შენი მესურვილებანი.

ქალმა გადმოშალა გიშერივით შავი თმა. ვაჟმა მაგრად ჩასჭიდა ხელები და აპყვა ქალს კოშკში. ქალი და ვაჟი რომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ქალმა დიდხანს უყურა ვაჟსა და მერე უთხრა: — მე შენ ძლიერ მომწონხარ, მაგრამ მამაჩემი ჩემს თავს შენ არ მოგათხოვებს, სანამ ერთი კარგად არ გამოგცდის ვაჟკაცობაშიო.

ქალმა ვაჟს გადაახედა კოშკიდან და დაანახა თავის მამის სახლის გაღავანი, რომელსაც გარშემო სულ კაცის თავები ჰქონდა შემორტყმული. — აი, ხედავ იმ კაცის თავებს? ისინი სულ ჩემი მთხოვნელები იყვნენ: მამაჩემმა სუყველას თავები დასჭრა, რადგან მისი პირობის შესრულება ვერ შესძლეს.

ვაჟს ეცვალა ფერი, ჩაჰკიდა თავი ძირსა და ფიქრობდა: რა ვქნა, რითი ვუშველო თავსაო? ქალმა უთხრა: — ნუ გე-

შინია, მაგ გაჭირვებიდან მე დაგიხსნი, ოღონდ შენ სწორედ ისე მოიქეცი, როგორც მე დაგარიგოო. ხვალ დილით მიდი მამაჩემთან და მუხლმოდრეკით მოახსენე: დიდებულო ხელმწიფე მე მსურს შენი ქალი ვითხოვო-თქო. ის მაშინვე გეტყვის — კარგი და ჩინებულიო. აბა თუ მართლა ჩემი ქალი გინდა შეირთო, ეს კუნძი ნაფოტებად აქციეო. შენ გაგიხარდება, აიღებ ცულს ხელში. დაჰკრავ და ცულის ყური მოგიტყდება. ეს ჩემგან იცოდე, რომ ის კუნძი რკინისაა. მერე მოგცემს ხელში წყლით სავსე ჯამს და გეტყვის: ეს ჯამი ისე უნდა აიტანო ჩემ ალვის ხეზე, რომ ერთი ცვარიც არ დააქციოო.

ვაჟმა ქალის ამბავი რომ მოისმინა, შესძახა: — ვაიმე! — შეუძლებელი როგორ უნდა შევიძლოო.

ქალმა მაშინვე გამოიძრო ნეკის ბეჭედი, მისცა ვაჟსა და უთხრა: აი, ეს ბეჭედი, როცა ცული მოგცენ ხელში, ჩუმად გაიკეთე ნეკზე და ერთი თვალის დახამხამებაზე რკინის კუნძს ნაფოტად აქცევო; როცა წყლით სავსე ჯამი მოგცენ ხელში, მაშინ ჯამში ჩააგდე ბეჭედი და ერთი ცვარიც არ დაიღვრებაო.

მეორე დღეს ვაჟი მივიდა ქალის მამასთან და სთხოვა ქალი. ხელმწიფემ გამოატანინა ეზოში რკინის კუნძი და მისცა ვაჟს ცული. ვაჟმა ჩუმად გაიკეთა ბეჭედი და თვალის დახამხამებაზე ნაფოტებად აქცია. გაუკვირდა ხელმწიფეს.

მერე გამოატანინა წყლით სავსე ჯამი. ვაჟმა ჩუმად ბეჭედი ჯამში ჩააგდო, ჯამიც ისე აიტანა ალვის ხეზე, რომ ერთი ცვარიც არ დაუღვრია. მაშინ ხელმწიფემ გადაჰკოცნა ვაჟი და უთხრა: — აი, შენისთანა სიძე მინდაო!

შემდეგ გასცა ბრძანება, ვაჟი მოერთოთ ისე, როგორც ეკადრებოდა ხელმწიფის შვილსა, მერე მოიწვია ყოველი წარჩინებულნი, ნაზირ-ვეზირნი. ჩამოაყვანინა მზეთუნახავი ისრის-მასრის სანდლის ქალიცა, დასწერა ჯვარი და ისეთი სუფრა გაუშალეს მოწვეულებს, რომ ჩიტის რძეც კი თავსაყრელი იყო. მოწვეულები თორმეტი დღე ლხინობდნენ, მეცამეტე დღეს ვაჟი ავიდა კოშკში, გაიხედ-გამოიხედა, დაინახა თავისი მამის სახელმწიფო და დაღონებული ჩამოვიდა ძირსა. ქალმა ჰკითხა, რამ დაგაღონაო?

ვაჟმა უთხრა: მამაჩემს მკვდარი ვგონივარ და სახელ-
მწიფოსათვის შავი კარავი გადაუფარებიაო. ქალმა ურჩია:
ოღონდ ნუ დაღონდები და წავიდეთ შენს დედ-მამასთანაო.

ქალმა და ვაჟმა გამოუცხადეს ხელმწიფეს თავიანთი სურ-
ვილი; ხელმწიფემ თვალ-მარგალიტით დაატვირთინა ჯორ-
აქლემები და გაისტუმრა ქალ-სიძე. ბევრი იარეს თუ ცოტა
იარეს, მივიდნენ ერთ ზღვის პირას; ჩამოხადეს ჯორ-აქლე-
მებს და დასხდნენ. ვაჟს ძილი მოერია, მიღო ქალის მუხლზე
თავი და დაიძინა. ქალს წყალი მოსწყურდა. ზღვის პირას არა-
ბის ქალი იდგა. ქალმა სთხოვა, დედაშვილობას, ერთი ცვარი
წყალი ჩამაყლაპეო. არაბის ქალმა იწყინა, ხელი ჰკრა ისრის-
მასრის სანდლის ქალს და ჩააგდო ზღვაში. თვითონ წყნარად
აუწია ვაჟს თავი, დაიდო მუხლზე და დაჯდა. ვაჟმა გამოი-
ღვიძა თუ არა, შეხედა ქალს, შეეშინდა და ჰკითხა, — რა
დაგმართნიაო!

ქალმა უთხრა, — წყალთან არაბის დედაკაცმა სილა შე-
მომკრა და პირი ასე გამიშავდაო. დაღონდა და დაძმარდა
ვაჟი, მაგრამ რას იზამდა. გაუდგა გზას. მესამე ღლეს მივიდა
თავის მამის სახელმწიფოში. მამამ რომ გაიგო შვილის დაბრუ-
ნება, მაშინვე გადაჰხადა სახელმწიფოს შავი კარავი, მოიწვია
თავის ნაზირ-ვეზირი, გამართა ლხინი, მაგრამ ხელმწიფის შვი-
ლი კი დიდად მოწყენილი და ნალვლიანი იჯდა, ვერაფრით
ვერ გაამხიარულეს.

ჩვენი ისრის-მასრის სანდლის ქალი კი ოქროს თევზად
იქცა. ერთმა მეთევზემ დაიჭრა და დაღონებულ ხელმწიფის
შვილს მოჰგვარა გასართობად. ხელმწიფის შვილმა გააკეთე-
ბინა თევზი, მაგრამ დაჭრის დროს ერთი ფხა დერეფანში
დაეცა. ეს ფხა მშვენიერ ალვის ხედ იქცა.

დილით ხელმწიფის შვილი რომ კარზე გამოვიდოდა, ეს
ალვის ხე ჩამოუშვებდა ტოტებს, დაეკონებოდა კაცსა და ისევ
გასწორდებოდა, ღამე კიდევ ქალად გადაიქცეოდა, ქალი ორ-
სავე ხელებს მოხვევდა, იტირებდა, იტირებდა, ცრემლის
გუბეს დააყენებდა, გათენებისას ისევ ალვის ხედ იქცეოდა
ხოლმე. ვაჟს უკვირდა, — რა ვქნა, ვინ არის ჩემს ოთახში და
ვინ სტირისო და თქვა, ერთი თუ არ ვუღარაჯე, არ იქნებაო.

დალამდა თუ არა, ვაჟი ჩაწვა ლოგინში, ჩააქრო სანთლები და თავი მოიმძინარა. შუალამისას, ვნახოთ, ვილაც შემოვიდა მის ოთახში, მოეხვია ვაჟს და დაიწყო გულმოსაკლავი ტირილი.

ვაჟმა ჯერ ყური უგდო და მერე გულმა აღარ გაუძლო. დაუჭირა ქალს მაგრა ხელები და ჰკითხა: — მითხარ, რა სულიერი ხარ და ან რადა სტირი აგრე გულსაკლავადო? ქალმა უთხრა: — ანთე სანთელი და შენ თვითონ მიცნობ, ვინც ვარ.

ვაჟმა აანთო და დაინახა თავისი ისრის-მასრის სანდლის ქალი. ქალმა უამბო ვაჟს თავისი თავგადასავალი. მეორე დღეს ვაჟმა სიხარულით მიიყვანა თავის ცოლი დედ-მამასთან.

გახარებულმა ხელმწიფემ მეორედ გადაიხადა შვილის ქორწილი. ბოროტი არაბის ქალი კი კიდობანში ჩაასმევინა და წყალს მისცა.

ლალი, იადავარდი და ვარსკვლავა

ერთ ხელმწიფეს სამი ქალი ჰყავდა: ლალი, იადავარდი და ვარსკვლავა. ლალი დევსა ჰყავდა მოტაცებული, იადავარდი — ფერიების ხელმწიფეს, ვარსკვლავა გასათხოვარი იყო. ლალის თითო წვეთი სისხლი — ლალის თვალი იყო, იადავარდის სიცილი — თაიგულეზად სცვიოდა, ცრემლები თვალმარგალიტად, ვარსკვლავა — ანათებდა. ვარსკვლავას და ახალგაზრდა ვაჟს, აბესალომს, უყვარდათ ერთმანეთი. პირობა დადეს, რომ ერთ ღამეს გაპარულიყვნენ და ეცხოვრათ ერთად, რადგან ვარსკვლავას მამა უარზე იყო. ვარსკვლავა და აბესალომი მინდორში დანგრეულ ეკლესიასთან უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. დანიშნულ ღამეს ადრე მისულიყო აბესალომი, ვარსკვლავას ლოდინში ჩასძინებოდა. ეკლესიაში ერთი მთიული, სახელად აბესალომი, შესულიყო, მგზავრად მიმავალს დალამებოდა და ეკლესიაში თავი შეეფარებინა. ვარსკვლავა ოქრო-ვერცხლის ფულით დასაპალნებული ცხენებით მივიდა ეკლესიასთან და დაიძახა: — აბესალომი! — აუ, —

მისცა ხმა მთიულმა. — აბა, ცხენზე შეჯექი დროით, არ დაგვედევნონ, — უთხრა ქალმა.

მთიული მოახტა ცხენს. ვარსკვლავა რამდენსაც დაელაპარაკებოდა, მთიული პასუხად სულ „ჰოოს“ ეუბნებოდა. კარგად რომ გარიყრაჟდა, ვარსკვლავამ მოიხედა აბესალომისაკენ და დაინახა ტყაპუჭიანი, ბოხოხჭუდიანი, გუდააკიდებული მთიული. ვარსკვლავამ პირჯვარი გადაიწერა: ალბათ ეს ყოფილა ჩემი ბედი და რაც იქნება, იქნებაო. ჰკითხა, სადაური იყო, რა ერქვა. მთიულმა უთხრა ვინც იყო, აბესალომში მქვიაო, და აუხსნა საიდან გაჩნდა ეკლესიაში.

იარეს. ჩამოხტნენ წყლის პირას. პური ჭამეს. ქალს ძილი მოერია. მთიულის კალთაში ჩადო თავი და ჩაეძინა. ამ დროს წყალმა ჩამოატარა დიდი, წითელი თვალი, მთიულს მოეწონა, მძინარე ქალის თავი ნელა დაუშვა ძირს, წამოხტა, დაიჭირა თვალი და ჩაიღო გულში. ქალს რომ გამოეღვიძა, გაუდგნენ გზას. მივიდნენ ერთ დაცემულ მინდორზე. შორიახლო ქალაქი მოჩანდა. ქალაქსა და მინდორს შუა მდინარე ჩაუდის და მინდორს გარშემო წმინდა წყლები დის, ქალს გული შეუვარდა, იფიქრა: ამ მდინარეზე რომ ქალაქი გაშენდეს, საუცხოვო მდებარეობა არისო. შევიდნენ ქალაქში. ქალმა მთიულს უყიდა ტანისამოსი, ჩააცვა. საჭმელები მოიკითხა. ვერ იშოვეს როგორი საჭმელებიც შეუკვეთა სახლის პატრონს და უთხრეს: — მაგისტანა საჭმელებს ხელმწიფის მზარეული ფირუზა აკეთებსო.

მოაყვანინა ფირუზა. სთხოვა ქალმა მისთვისაც ეკეთებინა საჭმელები. მზარეულმა მოახსენა: — ხელმწიფე ნებას არ მომცემს სხვებსაც ვუკეთო საჭმელი. შეიდას თუმანში ვყევარ გირაოდ, თუ გნებავთ, დამიხსენით და სულ თქვენთან ვიქნებიო.

ქალმა ოქროს სინზე ოქრო-ვერცხლი დააწყო და გაუგზავნა ხელმწიფეს ფირუზას გამოსახსნელად. ქალმა ფირუზას ვეზირობა უბოძა. ფირუზას შემწეობით მინდორი შეისყიდა ხელმწიფისაგან, გააშენეს ქალაქი, დაასახლეს ხალხი, გაჩაღდა ღუქან-ბაზარი. ისე, რომ ძველ ქალაქს ბევრით დაემჯობინა. მთიულს სახელმწიფო ტანისამოსი ჩააცვეს. ხელმწიფედ გამოაცხადეს. ხელმწიფესი კიდევ ემართათ ფული. ოქ-

როს სინზე დააწყვეს თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი. დაარიგეს მთიულ-ხელმწიფეს ფრთხილად დაეჭირა თავი ხელმწიფესთან, არა წამოსცდენოდა რა. მთიულ-ხელმწიფე და ვეზირი მიდიან ცხენებით. იშვირა ფეხი მთიულ-ხელმწიფემ და გადმოხტა ცხენიდან, — პატარა რამ დამრჩა შინაო.

გაიქცა ჩარდახში, ავარდა, ამოიღო გუდიდან წითელი თვალი, წაიღო, თვალ-მარგალიტ-ოქრო-ვერცხლის ზემოდან დადო, ხელმწიფეს იამებოდა. ვეზირი წინააღმდეგი იყო: — ეს თვალი მეტი მოუვაო.

მთიულ-ხელმწიფემ ხანჯალი იშიშვლა: — სუ, თორემ აგკუწავო. ხელმწიფეს როგორც სურს, ისე მოიქცევიო!

ხელმწიფეს ყველაზე ძალიან წითელი თვალი მოეწონა. მას ახლდნენ ერთი გვარის ვეზირნი ბრძენი და თეთრწვერანნი. სულ უკანასკნელი ვეზირი ასოცი წლისა იყო. მთიულ-ხელმწიფე და მისი ვეზირი რომ მივიდნენ, მოხუც ვეზირს უჩვენა წითელი თვალი ხელმწიფემ და ჰკითხა ღირსება. ვეზირმა აუხსნა: ხელმწიფის ქალის ლალას სისხლის წვეთი არის და ლალად ქცეულაო.

ხელმწიფემ ჩაიღო გულში: მთიულ-ხელმწიფეს ომს ავუტებს და ქალაქს და ამისთანა ლალებს წავართმევო. მოხუცი ვეზირი წინ აღუდგა: — შენ ჯარით ზურგი მაგარი გაქვს, მთიულ-ხელმწიფეს სულ არა ჰყავს და უღონო კაცთან შებრძოლება სასიარცხვილო იქნებაო.

ხელმწიფეს ჭკლაში მოჰვიდა ვეზირს რჩევა, მაგრამ გულით უნდოდა მთიულ-ხელმწიფის ცხოვრება ენახა. ერთ დამეს მიიბარა, შეიხედა ფანჯარაში, დაინახა ქალის შუქზე მთიულ-ხელმწიფე და ფირუზა ვეზირი სხედან და მუსაიდობენ. ხელმწიფე გაოცდა ქალის ელვარებაზე და შურით კინადამ გული წაუვიდა. ამას ამისთანა ქალი უნდა ჰყავდეს ცოლად და მე კი არაო! იფიქრა, ჯერ რაიმე შარს მოვდებ, მერე ომს გამოვუცხადებ, ქალაქიც და ქალიც მე დამრჩებაო.

მივიდა სახლში, დილით კაცი გაგზავნა მთიულ-ხელმწიფესთან და შეუთვალა: — ბავშვები მიტირიან და ექვსი ამისთანა წითელი თვალი მიშოვეო.

მთიულ-ხელმწიფემ შეუთვალა: გინდა თორმეტს მოგართმევო. მონახა თავისი მამა-პაპური გუდა, ტანისამოსი, რო-

მელიც შენახული ჰქონდა, ჩაიცვა ტყაპუჭი, დაიხურა ბოხონი, წამოიკიდა გუდა და წავიდა წითელი თვლების საშოვნელად. ვარსკვლავამ და ვეზირმა ბევრი უშალეს, მაგრამ ყურიც არ გაიბერტყა. გაუდგა გზას. ფირუზა ვეზირს ეშინოდა, ძველ ხელმწიფეს ჩხუბი არ აეტეხნა მთიულ-ხელმწიფისათვის, არ დაემარცხებინა და ფირუზა მის ხელში არ ჩავარდნილიყო.

წყალთან, რომელშიც ლალი იპოვა, მთიულ-ხელმწიფემ დაიმკლავა, ჩაჰყო ხელი, აჰყვება, და ჩაჰყვება წყალს, ვერ პოულობს წითელ თვალს. ბოლოს აჰყვება, მისდევს და მისდევს. წყალი ხვრელივით გაყვანილ ალაგში გადიოდა, შეჰყვა იქაც. მთლად დაბურული ტყეა. მთიულმა მიიხედ-მოიხედა, ერთ გამოქვაბულსავით ალაგში ქალი თმითა ჰკიდიდა. ქალმა დაინახა მთიული, ჰკითხა: — ადამიანი ხარ თუ მავნე სული?

მთიულმა უთხრა: — ადამიანი ვარ, მაგრამ თვითონ შენ ვინ ხარ, თმით რადა ჰკიდიხარო?

უცებ შეინძრა მიწა, ახმაურდა ტყე, აშრიალდა ფოთლები.

ქალმა უთხრა: — აგერ ცხრა წელიწადი სრულდება, თმით ვკიდივარ, ცხრათვიანმა დევმა მომიტაცა, ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა, მე არ ვნებდები. მცემს, მტანჯავს, მაწვალებს, მაგრამ რაც ერთხელ ვთქვი, რომ არ მინდა ქმრად, ვერ გადამათქმევინაო. ახლა ეს ტყე რომ ხმაურობს, დედამიწა ინძრევა, ის მოდის, სადმე დაიმალე, თორემ მოგკლავსო. სახელად ლალი მქვიაო.

მთიული ბუჩქნარებში შეძვრა. სულგანაბული შიშით კანკალებდა. მოვიდა დევი და ქალს ჰკითხა: — არც ახლა დამნებდები, დავიწეროთ ჯვარი?

უნდა ცემა დაეწყო ქალისათვის. ქალმა უთხრა: — კარგი, დავიწეროთ ჯვარი, მომწყინდა, მოვილალე ამდენი ტანჯვითაო.

დევმა სუნვა დაიწყო და ჰკითხა: — ადამიანი ხომ არავინ მოსულაო?

ქალმა უთხრა: — ადამიანს აქ რა მოიყვანდა? ადამიანი მე ვარ, ჩემი სუნი იქნებაო, მაგრამ შენ რომ წახვიდე, უშენოდ როგორღა უნდა გავძლო, სად იქნება შენი სული, რომ მე იმ ადგილს მაინც ვესურვილოო?

დევის გაეხარდა და უთხრა: — აი, იქ კლდეში იქნებაო. ქალი მივიდა, ესურვილა, ეხვევა. დევი დარწმუნდა, რომ ქალს მართლა შეყვარებოდა დევი და უთხრა: — გამოგცადე, იქ ჩემი სული არ არის, — უჩვენა წყლით სავსე გუბე, — აი, ხედავ, როგორც ეს გუბე სავსეა წყლით, ჩემი ძალ-ღონეც სავსეა, თუ ეს წყალი ამოშრება, გამოიცვლება, ჩემი ძალ-ღონეც დაიცვლება.

გუბეს სანაპირო გაუჭრა. როგორც წყალი გადმოდიოდა, აკლდებოდა — დევის ძალ-ღონეც სუსტდებოდა. გუბეს ძირში ქვა იდო. გადააგორა ქვა, ამოიღო მწვანე წყლით სავსე შუშა: — აი, ჩემი სული ამ შუშაშია, თუ ეს შუშა გატყდა, წყალი დაიქცევა, თუ ვინმემ შუშა გატეხა, ნატეხს ფეხი დაადგა, მაშინვე მოგკვდებიო. ახლა ხომ გაიგე ყველაფერი და როცა გინდოდეს, ამ ადგილს ესურვილე, სანამ მოვიდოდეო.

შუშა ჩადგა, დაათარა ქვა, მიუგდო წყალი, გუბე აივსო, დევიც გალაჟღავნდა, გაივსო ძალ-ღონით რა წავიდა ერთ მაღალ კლდეში, სადაც ცხრა დღე და ღამე უნდა სძინებოდა და მერე დაეწერა ჭვარი. ერთი დღე-ღამე გავიდა, ქალმა დაუწყვო ძახილი მთიულს: — კაცო, გამოჩნდი, სადა ხარ!

მთიული შიშით ვერა ჩნდებოდა და გამოსძახა: — მეშინის, შენი კენესამე, მეშინისო!

ქალმა უთხრა: — ნუ გეშინია, ცხრა დღე-ღამე უნდა ეძინოსო.

მთიული გამოვიდა ბუჩქიდან, რაც დევის ელაპარაკა თავის სულზე, მთიულს სულ გაეგონა. ქალმა გუბე გახსნა. წყალი დაიცალა. მთიულმა ქვა გადააგდო, შუშა ამოიღო, უჭირავს ხელში. ქალმა ჰკითხა: — რატომ არ გატეხავო?

— თორმეტი ცალი წითელი თვალი მიშოვც და მაშინ გავტეხავო, თუ არადა არც მე გავტეხ, არც შენ გაგატეხინებო. შეინძრა დედამიწა, ახმაურდა ხე-ტყე, აშრილდა ფოთლები: დაინახა ქალმა, დევი მოდის, დაუყვირა მთიულს: — გავტეხთო, მოგცემ ლალებსაო.

გამოსტაცა შუშა, ის იყო დევმა მოატანა, ქალმა დაანარცხა შუშა, შუშა დაიმსხვრა, ქალმა ნატეხებს ფეხი გაუსვა და დევიც უსულოდ დავარდა ძირს.

მთიული და ქალი მიდიოდნენ. მთიული ეჩხუბებოდა გზადაგზა:

— წითელი თვლები შომეცი, არ მომატყუო, ხელმწიფეს დაეპირდიო.

გზაში იადავარდის თაიგული იპოვა მთიულმა. ჩაიგდო გულაში. მივიდნენ სახლში. ვარსკვლავამ და ქალმა იცვნეს ერთმანეთი, გადაეხვივნენ. დები იყვნენ ლალი და ვარსკვლავა. ლალმა მოაყვანინა დალაქი, ნექში სისხლი გამოაშვებინა, წყლით სავსე ოქროს თასში თორმეტი წვეთი ჩააგდო — ლალის თვლებად გადაიქცა. მთიულ-ხელმწიფემ და ფირუზამ წაუღეს თორმეტი ლალი ხელმწიფეს, მთიულს გზაში მოაგონდა თაიგული, გაიქცა სახლში, მონახა გულა. ამოიღო, მოიტანა, ლალებს ზემოდან დაადო თაიგული და მიართვა ხელმწიფეს. ხელმწიფეს ძალიან მოუვიდა თვალში და სთხოვა: — ამისთანა თაიგული კიდევ მიშოვეო.

მთიულ-ხელმწიფე შეპირდა, მოგართმევო.

მივიდა თუ არა სახლში, გაიხადა სახელმწიფო ტანისამოსი, ჩაიცვა ძველი მთიულური, წამოიკიდა გულა და დააპირა წასვლა. ლალმა და ვარსკვლავამ ჰკითხეს: — თაიგული სად იპოვნეო?

მთიულმა უთხრა ლალს: — მე და შენ რომ მოვდიოდით, მაშინ ვიპოვნეო.

დებმა დაარიგეს: — ამა და ამ ადგილას ორმოცი წლის კაცს ნახავ, მეორე ადგილას შეგხვდება სამოცი წლისა, მესამე ადგილას — ოთხმოცი წლისა. სამთავენი ძმები არიან, ფერიების ხელმწიფის მებაღეები. თუ გაშოვნინებენ თაიგულს, ისინი გაშოვნინებენ. რომ მიხვიდე, სამთავე ძმას ძმობა უთხარი, თორემ ცოცხალი ვერ გადარჩებიო.

მთიული მივიდა მოხუც კაცთან. — ძმობას, ერთი თაიგული მომეციო.

მოხუცმა უთხრა: — ძმობა არ გეთქვა აქვე გაგათავებდიო.

დასვა. საჭმელი მიუტანა, აჭამა პური. გაგზავნა შუათანა ძმასთან, თასი გაატანა ნიშნად. მთიულმა მეორე ძმასაც ძმობა უთხრა და თაიგული სთხოვა. შუათანა ძმამ დასვა, საჭმელი მიუტანა, აჭამა პური, გაატანა თასი, — გაგზავნა უმცროს ძმასთან და უთხრა: — უმცროსი ძმა ფერიების ბალის მებაღეა და ის გიშოვნის თაიგულსო.

მთიულ-ხელმწიფე მივიდა მესამე ძმასთან, უთხრა ძმობა და შეეხვეწა, თაიგული მიშოვნეო. უმცროსმა ძმამ უთხრა: — ჩაიარე, აუზს ნახავ. ფერიების ხელმწიფის ცოლი და ქალები იმ აუზში ბანაობენ. ჯერ ჩიტებად ჩამოვლენ, მერე მტრედებად იქცევიან, ძირს რომ ჩამოვლენ, ადამიანებად გადაიქცევიან. აუზთან ამოთხარე მიწა, ჩაიმალე. ზემოდან ტანისამოსზე სამკაულს დააწყობენ. პირველად დედა იბანავენ, მერე ქალები. დედის რაიმე ნივთი აიღე. თხოვნას დაგიწყებს. რადგან ველარ აფრინდება. შენ რაც გინდა მოსთხოვე, მაგრამ სანამ ლალი და ვარსკვლავა არ დაიფიცოს, არ დაანებო ნივთი, არც გამოჩნდე.

მთიულმა ამოთხარა აუზთან მიწა, ჩაიმალა, თავზე ფიცრები დაიფარა. ჩამოფრინდნენ მტრედები, იქცნენ ადამიანებად. დაიხადეს ტანისამოსი და დააწყეს ფიცარზე. მთიულმა ამოყო ხელი, ჩაიტანა დედის ბეჭედი. იბანავა დედამ. ჩაიცვა. ნივთი დაისაკლისა. მოჰყვა ძახილს: ვინ წაიღო ჩემი ბეჭედი, რა სულიერი ხარ, მომეცი და რასაც მთხოვ, მოგცემო.

მთიულმა ამოსძახა: — ლალი და ვარსკვლავა შემომფიცეო.

ქალმა დაიფიცა. მთიული ამოვიდა ორმოდან. მისცა ბეჭედი და უამბო თავგადასავალი: სად ცხოვრობდა, ვისთან, რისთვის იყო წამოსული. ქალმა დაიწყო ტირილი. დები მოაგონდა, გააგებინა, რომ ცოლის და იყო მისი. დაიბარა თერთმეტი ფერია ტახტრევანით, დასხდნენ იადავარდი და მთიული და ციმციმით წაიღეს ტახტრევანი ფერიებმა. ფირუზა ვეზირმა შორით დაინახა რაღაც ღრუბელივით. შეუტანა ამბავი ლალის და ვარსკვლავას. გამოვიდნენ, დაუწყეს ცქერა. იცნეს და შეექმნათ სიხარული. სიცილი, ხარხარი. მოეხვივნენ ტახტრევანს და გადმოიყვანეს. იადავარდი რამდენსაც გაიცინებდა, ია და ვარდის თაიგულები სცვიოდა. სიხარულის ცრემლი გადმოვარდებოდა — მარგალიტად ვარდებოდა ძირს. მთიულ-ხელმწიფე მოირთო. ოქროს თასზე დააწყო ია და ვარდის თაიგულები და მიართვა ხელმწიფეს.

ხელმწიფეს უკვირს, თუ სად შოულობს მთიული ასეთ ნივთებს. ერთ ღამეს მიიპარა კიდევ მთიულ-ხელმწიფის სახლთან, შეიხედა ფანჯარაში. მთიულ-ხელმწიფეს მოსხდომიან

სამი მზესავით მნათობი ქალი და სადილობენ, ხელმწიფე ავად გახდა ჯავრით. მივიდა სახლში, მოკლა მოხუცი ვეზირი, რად დამიშალა მთიულ-ხელმწიფესთან ომიო, აქამდის მთიულ-ხელმწიფის ბედნიერება მე მექნებოდაო. შეუთვალა მთიულ-ხელმწიფეს, ომს გიცხადებ და მზად იყავიო. იადავარდმა მაშინვე თერთმეტი ფერია გაგზავნა ფერიების ჯარის მოსაყვანად თავიანთი ხელმწიფით.

როგორც ხელმწიფის ჯარი წამოვიდა, მთიულ-ხელმწიფეზე საომრად, გაჩნდა ცეცხლის წვიმა, ჯარი სულ განადგურდა და ძველი ქალაქიც მთიულ-ხელმწიფეს დარჩა.

ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა — ერთი მთქმელსა, ერთი გამგონეთა, ერთი ამ ზღაპრის გამომთქმელსა.

ზღაპარი მინდორთ ქალისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი მდიდარი კაცი, ჰყავდა სამი ქალი და ერთიც ვაჟი. რომ დაბერდა და მოაწია სიკვდილის ჟამმა, დაიბარა მამამ თავისი ერთადერთი ვაჟი და უთხრა: შვილო, ღვთით და ბედით ამოდენა სარჩო შემიძენია, თავიც დამიშვრია, ხალხიც შემიწუხებია, თქვენც მომიზრდიხართ, ახლა ჩემი ამქვეყნად ყოფნის ბოლოც მოვიდა, ვკვდები, შვილო, და ერთი სურვილიც ამისრულე: ეს სამი ცოდვის შვილი, შენი ღები, გაათხოვე. საქმროებისათვის ნუ შეწუხდები: ვინც პირველი მოგივიდეს, იმას მიეციო. — მაგისა ნუ გეფიქრებაო, — უბასუხა შვილმა. მოკვდა ეს მდიდარი კაცი. დაასაფლავა შვილმა, როგორც წესი და რიგი იყო.

გავიდა რამდენიმე დღე, ვაჟი კარებზე ზის და უცქერის გზას. შორს სადღაც ერთი კაცი გამოჩნდა: იარა, იარა, მოვიდა ვაჟთან, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ უთხრა: „შენი უფროსი და მე უნდა მომცე ცოლადაო. ვაჟს მოაგონდა მამის ანდერძი და უთხრა უცნობ კაცს: კარგი, მოგცემდას, მაგრამ არ უნდა მითხრა შენი გვარი და სახელი, ან ვინა ხარ, სად მიხვალ, რა ხელობისა ხარ? არ გინდა, ან მგზავრი

მოვიდე შენთან, ან მტრის შეწუხებულნი, ან სამოკეთოდ? იქნება ერთი გავარდნილი მეკობრე ხარ, რა ვიცი; მე შენ და მოგცე, წაიყვანო და სატყვეოს გაჰყიდო. — მე შენთან არც გვარისა და სახელის სათქმელად მოგსულვარ და არც სალაპარაკოდ, თუ გინდა, შენი და მომეცი, არა და შენც მშვიდობით და მეცაო. — ის იყო, უნდა წასულიყო, მაგრამ ვაჟმა იფიქრა: კაცო, მამაჩემის ანდერძი ეგრეა და ჩემი ცოდვა ხომ არ იქნებაო. გამოიყვანა უფროსი და და მისცა. გადისვა უტნობმა კაცმა ეს ქალი ცხენზე და გაჰქრა.

გავიდა ხანი, მოვიდა მეორე კაცი და სთხოვა ვაჟს შუათანა და ცოლად. ვაჟმა მასაც ჰკითხა: ვინა ხარ, კაცო, სადაური ხარ, სად მიხვალ, რა გქვიან, რას აკეთებ, რჯულიანი ხარ თუ ურჯულოო. არ გინდა ამ სტუმრად მოგივიდე, ან მტრის გამოხვეწილი შენ სახლში შევეფარო, ან გზობას საგზალ გათავებული მოვიდე, ან გაჭირვებაში შევლა გთხოვო. ჩემი და არის, ჩემი სისხლი და ხორცი, აბა ვის უნდა თავისი და ან ძმა დაკარგულ-დავიწყებულიო. — მე შენ არცარა სახელს გეტყვი და არცარა გვარს. თუ გინდა, მომეცი შენი და ცოლად, არ გინდა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე ჩემთვის წავალ და შენ კიდევ შენთვის დარჩებიო, — უპასუხა სასიძომ. რაღას იზამდა ვაჟი, მისცა შუათანა დაც და ცოტა გული იმით გაიკეთა, რომ მამის ანდერძი იყო ეგრე; ჩემი ჰკუთხო ხომ არ მოვიხდინე ეგ საქმე და დები არ გადავყარეო.

მოვიდა ცოტა ხნის შემდეგ მესამე კაცი და სთხოვა მანაც და ცოლად. ვაჟმა მასაც ისე ჰკითხა და უთხრა, როგორც პირველს და მეორეს, მაგრამ მანაც ისე უპასუხა. რას იზამდა ვაჟი, მისცა მასაც უმცროსი და. წავიდა მესამე სიძე, წაიყვანა უმცროსი და. დარჩა ვაჟი მარტოკა. შემოეყარა გულს, იფიქრა: ეს მამაც მომიკვდა, ეს დებიც ისე გადავკარგე, რომ მათი საცხოვრებელი ადგილის მხარეც არ ვიცი, რიღას მუშა ვარ, რაღასთვის უნდა ვიცოცხლოო. ვეღარ გაუძლო დარღსა და სევდას. ადგა და ჩაჯდა საბნელოს. აღარც დღე გამოდის და აღარც ღამე. ზის იქ და ზის. გაიგონა ეს ხელმწიფემ, დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უთხრა, რომ ისეთი კაცი იშოვეთ, ის ახალგაზრდა ვაჟი საბნელოდან გამოიყვანოს და ამდენსა და

ამდენს მივცემო. ერთი ბებერი იპოვნეს. მან თქვა, რომ ერთი ოციოდე ბავშვი მომეცით, მე წავალ და მე გამოვიყვანო. — თუნდა ასი წაიყვანე, ოლონდ გამოიყვანეო, — უთხრეს ბებერს. მისცეს ბავშვები და დაუწყეს მოლოდინი.

წაასხა ბებერმა ბავშვები, მისცა ბურთი, მიიყვანა საბნელოს ბანზე და უბრძანა, რომ ეთამაშათ საღამომდის. გააბეს ბალღებმა თამაშობა. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ერთმანეთი საბნელოს ბანზე. ითმინა ვაჟმაც საბნელოში, ითმინა, ბოლოს მოთმინება გამოელა. გამოუვარდა ამ ბალღებს და გამოუდგა საცემად. რაკი ხელმწიფის კაცებმა დაინახეს საბნელოდან გამოსული ვაჟი, სწვდნენ და გააკავეს. გაკავებული ვაჟი მიიყვანეს ხელმწიფესთან. ხელმწიფემ გაანთავისუფლა და ჰკითხა: რა იყო მიზეზი, საბნელოს რისთვის ჩაჯექიო? — ერთი მამა მყავდაო, — უბასუხა ვაჟმა, — ისიც დავმარბე. სამი და მყავდა, ისინიც ისე გადავკარგე, ისეთ კაცებს მივეცი, რომ მათი კვალიც კი არ ვიცი, საითკენ წავიდნენო. — ვის მიზეზით მიეცი დები ისეთ კაცებსო? — ჰკითხა ხელმწიფემ. — მამის ანდერძი იყო, ვინც პირველი მოვიდოდა, ულაპარაკოდ იმისთვის უნდა მიმეცაო. — მაშ, თუ მამაშენის ანდერძი იყო, — უთხრა ხელმწიფემ, — ტყუილად შეგიწუხებია თავიო. მამაშენს რომ ჰქუა არ ჰქონოდა, მაგოდენა სარჩოს ვერ შეიძენდაო. ტყუილად სტირი, თავის დროზე დებსაც ნახავ და სიძეებსაც, გული გაიკეთე, ნუ სწუხარო.

დანიშნა ხელმწიფემ ჯარების უფროსად და დაიყენა გვერდზე. ერთხელ ჯარი სანადიროდ იყო გასული. ვაჟიც იქ იყო. შუა მინდორზე უცებ ერთი ქალი დაინახეს, ყვავილებზე დახტის, ხან ერთ ყვავილზე შეხტება და დაჯდება, ხან სხვაზე ისეთი ლამაზია, რომ უფრო მშვენიერს ვერც ნახავს კაცის თვალი და ვერც ინატრებს. შემოეხვევა მაშინვე ჯარები ამ ქალს დასაჭერად, მაგრამ ის აფრინდება, გადაუვლის თავზე ჯარს. გასცდება, გავა მინდორზე და ახლა იქ დაიწყებს თამაშობას. გამოუდგება მთელი ჯარი, ჯარების უფროსი ვაჟიც. მიხტუნავს ქალი, მიჰყვებიან ესენი უკან, მაგრამ ვინ დაეწევა? მირბის, მიფრინავს ქალი, მისდევს ჯარიც. ყველას დევნაში დაეხოცათ ცხენები, ვაჟს ისევა ჰყავს. ივლიან ქალი და ვაჟი, ივლიან, გადაუვარდა ვაჟსაც ცხენი, ვერ დაეწევა.

გასცდება ქალი და გაივლის. ვაჟი მიიხედ-მოიხედავს, სა-
დღაა ნაცნობი ადგილები: აღარსად ჯარია, აღარსად სოფელ-
ქალაქი. არც ერთი კაცი ჩანს და არც ერთი სახლი. შემოეყ-
რება გულს, დაჯდება და დაიწყებს ტირილს. მოვა ქალი ახ-
ლოს, ჩამოჯდება ერთ ყვავილზე, შემოიღებს ფეხს ფეხზე და
დაუწყებს ლაპარაკს: სირცხვილი არ არის. კაცი არა ხარ, რა
გატირებს! ადექი, გაიარ-გამოიარე, ქვეყანა ფართოა. შენ დამ-
ჯდარხარ, დაგიკრეფია გულ-ხელი და ქალივით სტირიო. ადგა
ვაჟი, მოიწმინდა თვალები, მიიხედ-მოიხედა და შორს ერთი
თეთრი სახლი დაინახა, გაეშურა კიდევ მაშინვე მისკენ.

იარა, იარა და მივიდა იმ სახლთან. ხელმწიფის სასახლე
უგონებოდა კაცს, ისეთი სახლი და კარი იყო. სახლის წინ
ერთი ვერცხლისლულიანი წყარო იყო. მივიდა ვაჟი მშვიერ-
მწყურვალ და დაჯდა წყაროსთან. გამოვიდა იმ სახლიდან
ერთი მოახლე გოგო და მოიტანა პატარა სურა წყლის წასა-
ღებად. ვაჟმა სთხოვა: დამალევინე წყალიო. გოგომ მისცა.
ვაჟმა წყლის სმაში თავის ბეჭედი სურაში ჩააგდო და მისცა
ქალს. გოგომ წაიღო სურა და მოუტანა თავის ქალბატონს.
ქალმა დალია წყალი და ბეჭედი კი წამოვარდა. ისეთი სურა
ყოფილიყო, რომ ერთხელ დაღვედა და გათავდებოდა. რო-
დესაც მოსწყურდებოდა, ახალ-ახალი შემოჰქონდათ. ქალმა
რომ დაინახა ბეჭედი, ერთი დაიკვივლა სიხარულისაგან. გოგოს
ჰკითხა: ვინ მოგცა ეს ბეჭედიო?! — ჩემთვის არავის არ მოუ-
ცია. მანდ, წყაროზე ერთი კაცი ზის, იმან მთხოვა სურა და
თუ ჩააგდებდა, ის ჩააგდებდა, სხვა არავინაო. მაშინვე გა-
გზავნა ქალმა გოგო და უთხრა: აქ მოვიდესო.

წამოვიდა ვაჟი და ქალმა და ვაჟმა ერთმანეთი კი ჩა-
ჰკოცნეს. ის ქალი ვაჟის უფროსი და იყო. ჰკითხა დამ მოსვ-
ლის მიზეზი. ძმამ უამბო, რომ მინდორში ერთი ქალი ენახე,
მისმა სილამაზემ დამწვა. გამოვუდექი, ვდიე, ვდიე, მაგრამ
ვერ დავიჭირე: თითო გუთნის გაშლაზე ხტებოდაო. მერე
ცხენი დამივარდა და დავანებე თავიო. საიდანღაც აქ მოვაგენ
თქვენ სახლს და მოვედი, თორემ საჩიტ-საყორნედ გავხდებო-
დი მინდორში უსმელ-უჭმელობითო. — ვაჰმე, ძმაო, გენა-
ცვალოს შენი დაო, — უთხრა დამ, — ის ქალი რო ეგეთი ად-
ვილი დასაჭერი იყოს, შენს სიძეს მე რად ვუნდოდი, იმას

მოიყვანდაო. ის ისეთი ქალია, ისეთი ბედი აქვს, რომ კაცი რომ დაეწიოს და დაიჭიროს, მაშინვე მოკვდებაო.

სალამოზე მოვიდა მისი სიძეც. დამ დამალა ვაჟი, უცებ რომ გნახავს აქ, ვაითუ მტერი ეგონო და მოგკლასო. დამალა და მოვიდა არწივიც: უფროსი დის ქმარს არწივი ერქვა. ცოლმა უთხრა, რომ აქ შენი ცოლისძმა არის და ხომ არაფერს დაუშავებო. — რას დაუშავებ, ძლივაც მოველი მის ნახვასაო, — უთხრა არწივმა, — მაჩვენეო. გამოვიდა ვაჟიც. გადაეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა. ჰკითხეს ერთმანეთს ამბავი და ჰკითხა არწივმაც მისვლას მიზეზი. ვაჟმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. არწივმა უთხრა: — ნუ გეწყინება კი, ცოლისძმავ, და იმას კი გეტყვი: მისი დაჭერა რომ როგორმე შეიძლებოდეს, მე შენი და რათ მინდოდა ცოლად, იმას მოვიყვანდიო. შენ ჯერ ჩემისთანა ვერა ხარ და აბა იმას როგორ დაიჭერო. ისევ ისა სჯობია, თავი დაანებო, ტყუილად არ იტანჯებოდე. ცოლსაც გიშოვით და ყველაფერს, იმას თავი დაანებეო. — არაო, — უპასუხა ვაჟმა, — ისევ მოვკვდები და იმას კი თავს არ დავანებებო. შენ, ჩემო სიძევ, უნდა იზარალო, მეტი ღონე არ არის და რაც უნდა დასაკლებარი იყვეს. შენთვის, ერთი ცხენი მომცეო. — ცხენისა რაღა თხოვნა გინდაო, — უთხრა არწივმა, — ჩემს ჯოგებს მთელი მინდვრები უჭერია, თუნდა მთელი ჯოგი წაასხი, თუ რასმე იზამ, მაგრამ მე გირჩევ ისევ თავი დაანებო. — იმას კი ვერ დავანებებ თავსა და ისევ იმის დევნაში კი მოვკვდებიო, — უთხრა გადაჭრით ვაჟმა. — მაშ მე ისეთ ცხენს მოგცემო, — უთხრა არწივმა, — რომ თითო გუთნის გაშლას გადადიოდესო. ვაჟს მოაგონდა რომ, ქალი თითო გუთნის გაშლას გადადიოდა, და ძალიან გაუხარდა.

მაშინვე შეჯდა ცხენზე, გამოეთხოვა მათ და გაუდგა გზას. მალე მინდორთ ქალიცა ნახა. ისევ გაექცა ქალი, მაგრამ ვაჟის ცხენი გადადის ერთი გუთნის გაშლაზე და ქალი კიდევორ გუთნის გაშლაზე ხტება. ქალსაც, ცოტა არ იყოს, მოსწონს ვაჟი, მაგრამ რომ დაეჭვებინოს, მოკვდება და იმიტომ არ ეჭვებინება. როდესაც ვაჟი ჩამორჩება, ქალი უცდის, ხტება ყვავილებზე, მათ წვეს წყლად სვამს და მათ მტვერს პურად ჭამს. ირბინა ქალმა, ირბინა ვაჟმა. გაუსქდა ცხენი და დარჩა

ისევ ხელცარიელი. დაჯდა და დაიწყო ტირილი. მოვიდა ქალი დაჯდა მის პირდაპირ ერთ ბალახზე. — არა გრცხვენია, კაცი არა ხარ, ქუდი არა გხურავს, რომ სტირიო, — უთხრა ქალმა, — რა გატირებს, შენ კაცი კი არა ყოფილხარ, ქალი ყოფილხარ. შენ ტირილის მეტი არაფერი გკოდნია, შენ მე როგორ დამიჭერო, ადექი, ქვეყანა განიერია, მიიხედ-მოიხედე, გაიარ-გამოიარე, წამალს თვითონვე იპოვიო.

ადგა, მართლაც, ვაჟი, დაანება ტირილს თავი, წავიდა. გაიხედა და შორს სადღაც დაინახა ერთი სახლი. წავიდა იმ სახლთან. იქ შუათანა და ჰყოლიყო ფასკუნჯს. იმასთანაც შევიდა, უამბო დას თავისი ამბავი, დამაც დაუშალა: ტყუილად ნუ ეწვალეები, თავი დაანებეო. შენი სიძეც კაი ბიჭია, მაგანაც სდია იმ ქალს დასაჭერად, მაგრამ სიკვდილის შვილი იმას ვერ დაიჭერსო. საღამოზე მოვიდა სახლში ფასკუნჯიც. ფასკუნჯსაც უამბო თავის თავგადასავალი ვაჟმა. უთხრა ისიც, საღაც მიდიოდა, მაგრამ იმან არ მოუწონა: შენი და რად მინდოდა, რომ ასეთი ადვილი დასაჭერი ყოფილიყო ის ქალიო? იმას თავი დაანებე, ტყუილად ნუ იკლავ თავსაო! — შენ ერთი ცხენი მომეციო, — უთხრა ვაჟმა, — შენი სხვა არაფერი მინდა, ეგ მიჭირს და სხვისა მე ვიციო. მისცა ფასკუნჯმა ისეთი ცხენი, რომ ორ გუთნის გაშლასა ხტებოდა. გამოეთხოვა დასიძეს ვაჟი, შეჯდა რაშზე და გასწია.

მირბოდა ქალი, ხტებოდა სამ გუთნის გაშლას, მიჰყვებოდა ვაჟი, მაგრამ ორ გუთნის გაშლას ძლივს გადადიოდა მისი ცხენი. ჩამორჩა ისევ უკან: დაუვარდა ცხენი და დარჩა ისევ ტრიალ მინდორზე. არსად კაცი და არსაც სხვა ცხოველი. შეწუხდა, ამოუჯდა გული და დაიწყო ტირილი. იტირა, ბევრს იტირებდა, თუ ცოტას, მოვიდა ქალი, დაუჯდა პირდაპირ ბალახზე, გადიდო ფეხი ფეხზე და დასცინა ისევ. მერე კი გაუჯავრდა: ადექი ფეხზე, თუ კაცი ხარ, თუ არადა, წადი სასიციოცხლო არა ჰყოფილხარო! — ადგა ვაჟი, დაანება ტირილს თავი, მიიხედ-მოიხედა, შორს ერთი სასახლე დაინახა. მაშინვე მისაკენ გასწია. სახლის წინ წყარო იყო. წყალი სწყუროდა. მივიდა იმ წყაროსთან და დაჯდა.

მოვიდა ერთი გოგო, მოიტანა ერთი პატარა სურა და მიუდგა ოქროს ლულას. ვაჟმა სთხოვა: დამალეინეო. მისცა გო-

გომაც წყლის ქურჭელი. ვაჟმა დალია წყალი, შიგ სურაში ბე-
ჭედი ჩააგდო და ისე მისცა გოგოს. გოგომ მიუტანა წყალი.
დალია ქალმა და ბეჭედი კი წამოვარდა იქიდან. ქალმა მა-
შინვე ჰკითხა გოგოს: საიდან იშოვე ბეჭედი, ვინ მოგცაო? —
არავინაო, — უპასუხა გოგომ, — იქ წყაროზე ერთი ვაჟი
იჯდა, წყალი დავალევი და იქნება იმან ჩააგდოო. — წადი
და ახლავე აქ მოიყვანე ის კაციო, — უთხრა ქალმა გოგოს.
მოვიდა ვაჟი და დაჰკოცნეს ერთმანეთი. ქალი უმცროსი და
იყო ვაჟისა. გამოჰკითხა ქალმა ძმას მოსვლის მიზეზი. ძმამაც
ყველაფერი უამბო. ვაი შენს დასაო, — უპასუხა დამ, — იმის
დაჭერა რომ ეგრე ადვილი იყოს, შენ სიძეს მე რად ვუნდო-
დი, იმას მოიყვანდაო. იმას ვერავინ ვერ დაიჭერს, რადგან
დაჭერაზე ჰკიდია მისი სიკვდილ-სიცოცხლეო. დამალა ძმა
დამ: სიძე რომ მოვა, უცებ რომ გნახავს, ვაითუ რამე გავნო-
სო.

სალამოზე მოვიდა გველგეშაპი. იკითხა: აქ ხომ არავინ
მოსულაო? ცოლმა უთხრა: არავინაო. მერე ჰკითხა: შენი ცო-
ლის ძმა რომ აქ საიდანმე მოვიდეს, რას იტყვდიო? — გა-
დავეხვევოდი და ვაკოცებდიო. გამოუჩინა მაშინვე ქალმა
გველგეშაპს ვაჟი. სიძე-ცოლისძმამ ერთმანეთი გადაჰკოცნეს. —
რისთვის გარჯილხარ, რა ქარმა შემოგაგდო აქაო? — ჰკითხა
სიძემ ცოლისძმას. სიძეს უამბო თავისი თავგადასავალი, თავ-
ვისი გაჭირვება და შეწუხება. — შე სიძე მომკვდარო, რაზე
შეიწუხე არა უბრალოზე თავიო. ის ქალი რომ ეგრე ადვილი
დასაჭერი იყოს, ხომ შენ დას აღარ მოვიყვანდი ცოლადო.
ისევ ისა სჯობია, თავი დაანებო და უკან დაბრუნდეო. —
არაო, — უპასუხა ვაჟმა, — ახლა ტყუილადღა ვინმე მეტ-
ყვის, თავი დაანებო. ახლა აღარ დავანებებ თავს, თუნდაც
ვიცოდე, რომ მაშინვე მოგვკვდები, როგორც კი შენს სახლს
გავცდები. თუ სიკეთეს მიზამ, სიძევ, მიყავ სიკეთე, შენი სხვა
არაფერი მინდა და ერთი ცხენი კი მომეც, რომ იმას გამო-
ვუღგეო. — ცხენის მოცემა რა ზარალია, თუნდაც ორმოცი
და სამოცი წაიყვანეო, — უპასუხა სიძემ, — მაგრამ კიდევ
გუუბნები, რომ ტყუილად ივლიო. — არა და არაო! ვაჟმა გა-
მოართვა ცხენი, სამ გუთნის გაშლაზე ხტებოდა, გამოეთხოვა
და-სიძეს და გამოეკიდა ისევ ქალს.

ბევრი იარეს, ცოტა იარეს, გავიდნენ სულ უცნობ ადგილას. ირბინეს ბევრი, ირბინეს, ეს ცხენი ხტება სამ გუთნის გაშლას, ქალი კიდევ ოთხს. დაუფარდა ბოლოს მესამე ცხენიც, დაჯდა და დაიწყო ისევ ტირილი. არსად კაცი ვინმე იყო, აღარსად სახლი და კარი. სიძეებსაც გამოსცდა, ვისთანღა მივიდოდა, გადაუწყდა იმედი და ტირის. მოვა ქალი, დაჯდება ვაჟის პირდაპირ ბალახის ფოთოლზე, შემოიღებს ფეხს ფეხზე და ეტყვის: კიდევა სტირი, კაცი არა ხარ, ფუი შენს კაცობას! აღეჭი, მიიხედ-მიიხედე, ან ავსა ნახავ, ან კარგს, ყველაფერი სასარგებლოდ მოიხმარეო. შერცხვება ვაჟსაც, ადგება და გაივლის ცოტა მინდორს. სამ ეშმაკს დაინახავს, ჩხუბობენ, ხოცავენ ერთმანეთს და არავეინ აშველებს კი, მათ მეტი კაცი იქ არავეინ არის. ვაჟი მაშინვე მივა იმათთან და ჰკითხავს: რა გაჩხუბებთ, რა გაქვთ გასაყოფიო? — ჩვენაო, — უთხრა ერთმა ეშმაკმა, — ერთი ხალიჩა გვაქვს, იმ ხალიჩას რომ უთხრა: — „ჰკა, ხალიჩაო“ და შეჯღე ზედ, სადაც გინდა, იქითკენ გაგიტაცებსო. ერთი სავარცხელი გვაქვს, უშველებელი კლდე რომ იყვეს, რომ კაცმა თვალი ვერ შეაწვდინოს, სავარცხელს რომ უთხრა: „ჰკა. სავარცხელო“, ისეთი კიბე აესხმის, როგორც მინდორი სარბენი. ერთი სალესავი გვაქვს, რომ უთხრა სალესავს: „ჰკა, სალესავო“ და ზღვაში რო ჩააგდო, სულ გააშრობს ზღვასაო. ახლა ეს ხალიჩა, სავარცხელი და სალესავი უნდა გავიყოთ და იმაზედა გვაქვს ჩხუბი და ვერ მოვშველებულვართ. თუ შეგიძლია, გაგვაშველეო. — ძალიან კარო, — უთხრა ვაჟმა, — მე გაგაშველებთ. აი გავკრავ ისარს, უნდა გაიქცეთ, ვინც პირველი მოხვალთ და მიატანთ ისარს, იმას ხალიჩა, ვინც მეორე — იმას სალესავი და ვინც მესამე, იმას სავარცხელი ერგებაო.

გაუხარდათ ეშმაკებს: ძალიან კარგი სამართალიაო. ჩადო ისარი ვაჟმა მშვილდში, მოსწია და გაისროლა. ისარი ცხრა მთას იქით გადავარდა, გაიქცნენ ეშმაკებიც მოსატანად. ვაჟსაც ეს უნდოდა. ისენი რომ გადაეფარნენ გორას, ვაჟი შეჯდა ხალიჩაზე აიღო სალესავი და სავარცხელიც, უთხრა: „ჰკა, ხალიჩაო“ და გაფრინდა ქარზე ჩქარა. გამოუდგა ქალს. ქალი მიხტოდა ჩქარ-ჩქარა, მაგრამ ხალიჩას ახლა ისე ვეღარ ასწრებდა.

გადაირბინეს მთელი მინდვრები და უშველებელ კლდეებს მოადგნენ. ქალი ჯერ ცოტათი შედგა, მერე ისკუპა და გადაფრინდა ზედ. — „ჰკა სავარცხლო“, — უთხრა ვაჟმა სავარცხელს და კლდეს სულ კიბე აესხა. ავარდა ხალიჩა ზედ და გამოუდგა ვაჟი ისევ ქალს. ირბინეს, ბევრი ირბინეს და მოადგნენ ერთ ზღვას. მოუცურდა ქალი და მიდის. — „ჰკა სალესაო“, — უთხრა ვაჟმა სალესავს, ჩააგდო ზღვაში და ზღვა სულ ერთიან ამოშრა. გაირბინა მშრალი ზღვის ძირზე ხალიჩამ. მირბიან, მირბიან და მიეწია ვაჟიც. ის-ის არის უნდა წაავლოს ხელში, შევარდა ქალი მამის სახლში და შეიჭრა კარებში. ვაჟმა ჩიქილის მოხდა კი მოასწრო, ხელში შერჩა. შევიდა ქალი მამასთან და მოეგება მამაც: რას გამოეჩე, შვილო, რა იყო, რამ დაგღალაო?

ქალმა უამბო მამას ესე, ესე ერთი ვაჟი გამომეკიდა, გამოვეჩე და კარებამდე მომყვა, ჩიქილა წამართვაო. მაშინვე გამოვიდა ქალის მამა, გადაეხვია ვაჟს და დაუწყყო კოცნა: როგორ სიძესაც ვთხოვდი ღმერთს, ისეთი მომცაო. შეიპატიეა შინ, მოუსვა ქალი გვერდს და გაუმასპინძლდა.

ახლა ქალის ბედი ისე იყო, რომ თუ ვაჟი ვინმე დაიჭერდა სახლამდის ქალს, ქალი მოკვდებოდა; თუ სახლამდის მიჰყვებოდა და ისეთი ყოჩაღი იქნებოდა, ქალი ცოლად გაჰყვებოდა. შეირთო მინდორთ ქალი ვაჟმა, დაიწერა ჯვარი და დაბრუნდა თავის სახელმწიფოში. მინდორთ ქალი და ვაჟი ახლაც ცოცხლები არიან. ხშირათა ხედავენ ხოლმე მინდორთ ქალს, ყვავილებზე მსტუნავს.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ქატო იქა, ფქვილი აქა.

ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,

მთქმელსა და გამგონებელსა

ჯვარი გეწეროთ ყველასა.

ზღაპარი ველის ყვავილისა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი კაცი, ჰყავდა სამი ქალი: უფროსი ია, შუათანა ვარდი და უმცროსი ველის ყვავილი. წავა მამა ტყეში, მოჰკრეფს იას, მოუტანს უფროს ქალს და გაახარებს. წავა ვენახში, მოჰკრეფს ვარდს, მოუტანს შუათანას ქალს და გაახარებს. წავა ტყეში, წავა ვენახში, დაბრუნდება ისევ, მაგრამ ველის ყვავილს კი ვერა პოულობს. არის უმცროსი ქალი გულნატკენად და დაღონებული. მამას უთხრა ერთხელ ველის ყვავილმა: მამავ, მე რაღა დაგიშავე, ოთხ ჩემს დებს ია-ვარდს უზიდავ და მე კი ერთხელაც არ მომიტანო? — შვილო, მეც მინდა მოვკრიფო და მოვიტანო, — უპასუხა მამამ, — მაგრამ ჩემი ცდა ტყუილად ჩამივლის ხოლმეო. მაინც ქალი ძალიან ჯავრიანად იყო. შეატყობს მამა თავის ქალს, რომ გულით უნდა ველის ყვავილი და ჯავრად ჩასჭრია გულშიო.

ადგება და წავა ველის ყვავილის საძებნელად. იელის ბევრს, ეძებს ველის ყვავილს, ვერსად შეხვდება და ბოლოს ერთ ადგილას მივა. იქ ძაღლის ტოლი გველი ნახა. ძალიან შეშინდა. გველმა ჰკითხა: სად მიდიხარ, რა საქმე გაქვსო? — ველის ყვავილს ვეძებო, — უპასუხა კაცმა. — ველის ყვავილს მე მოგცემ, თუ შენი გულის ყვავილს მე მომცემო, — უთხრა გველმა. თუ არ მომცემ და მე შენ შეგჯამო. სული ტკბილიაო, ნათქვამია. თავის სიკვდილს შვილის მიცემა არჩია კაცმა და გველს თვრამეტი დღის ვადა დაუდო: იმ ვადაზე მოდი და წაიყვანეო. მოუკრიფა ერთი კონა ველის ყვავილისა და მისცა კაცს.

მოუტანა მამამ ველის ყვავილს კონა ყვავილებისა და გაახარა. ქალი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა, დარბოდა, სუნავდა ველის ყვავილებს, ხან ჰკოცნიდა და ეტოლებოდა. ქალი დგას ბაღში და ესურვილება თავის ყვავილებს. ბაღს გარეთ ცხენის ჯოგია მომდგარი. უცებ ჯოგიდან ერთი ჯაგლაგი ცხენი დაიძახებს: — ველის ყვავილო, რომ იცოდე, რაც არის შენ თავს, ეგრე აღარ გაიხარებდიო — რათაო? — ჰკითხა ველის ყვავილმა. — იმიტომაო, — უპასუხა ცხენმა, — რომ მამაშენმა მაგ კონაში შენი სიცოცხლე მისცა გველსაო. თვრამეტი დღის შემდეგ მოვა გველი და წაგიყვანსო. რო-

დესაც გველი მოვა და გაგამზადებს, მამა გკითხავს: რა მოგ-
ცეო და შენ ჩემი თავი სთხოვეო!

გავიდა თვრამეტი დღე და მოითხოვა გველმა თავისი, მო-
ვიდა ველის ყვავილის წასაყვანად. მამამ ჰკითხა ველის ყვა-
ვილს: რა მოგცე, შვილოო? — ის ერთი ჯაგლაგი ცხენი რომ
გყავს, ის მომეციო, — უთხრა ქალმა. ჯერ არ აძლევდა მამა:
ეგ რად გინდაო, მაგრამ რაკი ქალმა არ დაიშალა, მისცა. რო-
დესაც წასვლა დააპირეს, ცხენმა უთხრა ველის ყვავილს: შენ
ერთი წმინდა სავარცხელი წამოიღე, ერთი მინა ზეთი და
ლურსმნებო. შეჯდა ქალი და გასწია. ცხენი ეტყვის კარგა
გზას რომ გაივლიან: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოდისო? —
მიიხედა ქალმა: — ძაღლის ტოლა რაღაცა მოგვდევსო! — გა-
დააგდე სავარცხელი და მე კი არ მომახვედროო! გადააგდებს
სავარცხელს. ისეთი ტყე გაჩნდა, ისეთი ჯაგი და ბარდა, რომ
ხოხობს გაუჭირდება ჩაძრომა. მოვა გველი, ეცემა ჯაგიანს,
დაიგლიჯება და კატის ტოლა კიდევ დარჩება. გასცდება ამ
დროს ქალი და წავა. ივლიან ბევრსა, ივლიან და ბოლოს ცხე-
ნი ეტყვის ველის ყვავილს: აბა მიიხედე, ხომ არავინ მოგვ-
დევსო? მიბრუნებს თავს ქალი. კატის ტოლა რაღაც მოგვ-
დევსო, — ეტყვის ცხენსა. — გადააგდე ლურსმნებო! —
ეტყვის ცხენი. გადააგდებს ლურსმნებს ველის ყვავილი. დაე-
ფინება აღმასი. მოვა გველი, დაიჭრება, დაიკუწება აღმასებ-
ზე. ბუზის ტოლა კიდევ გადარჩება. გასცდება ქალი და წავა.
ივლიან, ივლიან და ეტყვის ქალს ცხენი: აბა მიიხედე,
მოგვდევს რამე, თუ არაო? მიიხედავს ქალი: ბუზის ტოლა
რაღაცა მოგვდევსო. გადააგდე მინაო, — უთხრა ცხენმა. გა-
დაისროლა მინა და გაჩნდა ტბა, ჰღელავს და ექანება. ცხენი
ეტყვის: მე დაღლილი ვარ, დამეძინება, ის ბუზისტოლა გვე-
ლი ბებრად იქცევა, მოვა ტბასთან და დაგვიძახებს: შვილო,
ბეწვი გამოაძვრე ცხენს, გადმოდევ ტბაზე, გამოიყვანე, შე-
გაქცევო, — მაგრამ შენ არ შეცდეო. — დაიძინებს ცხენი.
მოვა გველი, მოადგება ტბას, იქცევა ბებრად, აუვლის და
ჩაუვლის ტბას. — შვილო, შენს ცხენს ბეწვი გამოაძვრე, ტბა-
ზე დააგდე, ხიდად იქცევა, გამოვალ, შეგაქცევო! — დაუძა-
ხებს გველი. — ვერა, ეტყინებო! — უპასუხებს ქალი. ვერ
აყდინა ბებერმა ქალი.

გაელვიძებმა რაშს, შეჯდებმა ქალი და გასწევენ. ცხენმა უთხრა ქალს: ჩვენ ქალაქში შევალთ და ვინც პირველად ხელი მომკიდოს, იმას გაჰყევით. მივიდნენ ერთ ქალაქში, ჩაიარეს ბაზარზე. ერთი ახალგაზრდა სოვდაგრის შვილი მოვიდა ცხენთან, დაუჭირა აღვირი და უთხრა ქალს: შენ ცოლი და მე ქმარიო. ქალი დათანხმდა. ვაჟი ძალიან მდიდარი იყო. წაიყვანა ქალი და გადაიხადეს ქორწილი.

ქალმა უამბო ყველა თავის თავგადასავალი ქმარს. ვაჟი ეტყვის: თუ არ წაველ და არა ვნახე ჩემი სიმამრი, არ იქნებაო. უშალა ცოლმა, უშალა, მაგრამ ქმარმა არ დაიშალა. შეჯდებმა ცხენზე და წავა: გონიერი ცხოველია, თვითონ მიმიყვანსო. შეჯდა, მაგრამ ცხენი ხმას აღარ იღებდა. გაჩუმებულები იყვნენ. საღამო უამს იმ გველის ტბასთან მივიდა, ჩამოხტა და დაისვენა. მოვიდა ისევ ის ბებერი ტბასთან და გამოსძახა: დედაშვილობას, ცხენს წამწამი გამოაძრე, გადმოგდე ტბაში. ხილად გაიდება, გამოვალ და შეგაქცევო! — რა იცოდა ქალის ქმარმა, გამოაძრო წამწამი და გადაუგდო. გამოვიდა ბებერი. იმ ღამეს ერთად იყვნენ, ბებერი შეაქცევდა.

გათენდა დილა. შეჯდა ცხენზე ვაჟი, უნდოდა წასვლა, მიიარ-მოიარა, მოძებნა გზა, მაგრამ ველარ იპოვა. ასე დაულამდა. გათენდება მეორე დღე. დაულამდება იქვე, ერთ ტანჯვაშია. ამ ხნობით ველის ყვავილს ვაჟი ეყოლება, მაშინვე გაგზავნიან მახარობელს სოვდაგრის შვილთან: ვაჟი გეყოლაო. მახარობელი მოადგება ველის ტბას და დაულამდება. მოვა იმასთანაც ბებერი და შეაქცევს; ჰკითხავს: სად მიდიხარ, შვილო, რა საქმე გაქვსო? — მახარობელი ეტყვის, რომ სოვდაგრის შვილს ვაჟი ეყოლა და ის უნდა ვახაროო. აიღებს ეს ბებერი და წერილს ასე შეუცვლის: შენ ცოლს ძაღლის ლეკვი ეყოლა და რას იტყვი, რა ვუყოთო. წაიკითხავს სოვდაგრის შვილი, ეცემა ელდა. აიღებს და მისწერს: აიღეთ, გაახურეთ საკირე და იმაში ჩაადგეთო.

დაბრუნდება მახარობელი, მოუტანს ამ წერილს. დაღონდება ვაჟის დედ-მამა, არ უნდათ შვილ-რძლის სიკვდილი, მაინც გაახურებენ საკირეს, უნდა ჩაადგონ. შეიტყობს ცხენი, დასწყვეტს თოკს და გაქანდება ქალისაკენ. ქალს ეტყვის: აიყვანე შენი ბავშვი ხელში, შემაჯექი და წავიდეთო. შეჯდა

ქალი, შესვა თავის შვილიც და გაფრინდა ცხენი. ბავშვს ქული გადმოუვარდა და დარჩა იქა. რაკი ქალს უბედურება გადაეკიდა, სოვდაგრის შვილსაც გზა გაეხსნა: იარა, იარა და მოვიდა სახლში. შეიტყო ყველაფერი. ბევრი ინანა, მაგრამ რაღას უშველოდა. იბოვა შვილის ქული, წაიღო და წავიდა: ვისაც ეს ქული გამოადგება, ის იქნება ჩემი შვილიო.

ცხენი და ქალი რომ წავიდნენ, ბევრი იარეს, ერთ მინდორზე გამოვიდნენ. დადგა ცხენი, ქალს უთხრა: — ჩამოდი, აიღე დანა და ყელი გამომჭერო. ასო-ასო დამჭერ, დამალაგე, მერე ინატრე რაც გინდა და იმად გექცევა ჩემი ნაჭრებიო. თუ მეც რამედ გინდოვარ, ჩემთვისაც გადადევ ერთი ნაჭერო. ქალი უარს ეტყვის: ვერ დაგკლავო. — არა, თვალები დახუჭეო, — უთხრა ცხენმა, — და ისე დამკალიო.

დახუჭა თვალები ველის ყვავილმა, დაკლა ცხენი, დაჭრა ასო-ასო და ინატრა. გაცოცხლდა ისევ ცხენიც და გაიმართა მშვენიერი ღუქან-ბაზრიანი ქალაქიც. გახდა ქალი ქალაქის უფროსად და პატრონად; ყველაფერი იმას ეკითხება.

ივლის ველის ყვავილის ქმარი, ატარებს ქულს, ხან ვის დაჰხურავს, ხან ვის, მაგრამ ვერ იბოვის შვილს, თუმცა ბევრ სოფელსა და ქალაქს გაივლის. ბოლოს მივა იმ ქალაქში, სადაც ველის ყვავილია უფროსად. ჩაატარებს ქულს ქუჩებზე და ხან ვის დაჰხურავს და ხან ვის, მაგრამ ვერ იბოვა. ბოლოს შეხვდება თავის შვილს; ძიძა ასეირნებდა. გადააგდებს ერთხელ ქულს, ქული დაეხურება ბავშვს და მოუხდება. გადააგდებს მეორედ, მესამედ და ქული კარგა მოსდის. გაჯავრდება ძიძა; რასა მასხარაობ, დაიკარგე აქედან, ჭკუიდან ხომ არ შეიშალეო!

ბოლოს წაიყვანენ სოვდაგრის შვილს ველის ყვავილთან. სოვდაგრის შვილი და ველის ყვავილი იცნობენ ერთმანეთს და მოეხვევიან. უამბობს ყველაფერს ქმარი ველის ყვავილს, შერიგდებიან, მორიგდებიან და დაიწყებენ წინანდლებურად ტკბილ ცხოვრებას.

ჭირი იქ დავაგდე.
ლხინი აქ მოვიტანე.
ქათო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

ზღაპარი ოსტატისა და შეგირდისა

იყო და არა იყო, რა, იყო ერთი კაცი და დედაკაცი, ჰყავდათ ერთი შვილი. როცა ბიჭი წამოიზარდა, ცოლმა უთხრა ქმარს: წაიყვანე, მიაბარე სადმე ხელობაზეო.

წაიყვანა კაცმა ის ვაჟი ხელობაზე მისაბარებლად. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მივიდნენ ერთ წყაროსთან და დაისვენეს. დაიბანეს ხელ-პირი და დალიეს. მამამ რომ დალია წყალი, თქვა: — ახ, რა კაი წყალი ხარო!

ამ დროს წყლიდან ამოძვრა ერთი კაცი და უთხრა: — აი, მე გახლავარ ახრაკაი, რა გნებავს, რისთვის მეძახდიო? — მე შენ არ გეძახდი, — უთხრა კაცმა, — წყალი დავლიე და წყალს ვუთხარი: — ახ, რა კაი წყალი ხარ-მეთქი! — მაინც სად მიხვალო? — ჰკითხა ახრაკამ. — ეს შვილი მიმყავს, მინდა ხელობაზე სადმე მივაბარო შეგირდადო, — უთხრა კაცმა. — მოდი, მე მომბარე. წლის თავზე მოდი და თუ იცან შენი შვილი, წაიყვანე, თუ ვერ იცან და მე დამრჩებო! — ძალიან კარგიო! — უპასუხა კაცმა.

ბიჭი იქ დარჩა, კაცი შინ წავიდა. გავიდა წელიწადი. მოვიდა კაცი შვილის წასაყვანად. დალია წყალი და თქვა: — ახ, რა კაი წყალი ხარო!

გამოვიდა ახრაკა და წაიყვანა კაცი თავის ბინაზე. თერთმეტი შეგირდი სხვა ჰყავდა, მეთორმეტე ის იყო. შეგირდები ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. კაცმა ვერ იცნო შვილი, შეიღმა კი იცნო მამა.

ახრაკას ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. ყველაზე მეტად ქალს იმ კაცის ვაჟი უყვარდა. მამა რომ მოუვიდა, ქალმა დაიბარა იმ კაცის ვაჟი და ერთი სხვა შეგირდი, დაარიგა: — სადილად რომ დასხდებით, ერთი იქით მიუჯექით, ერთი აქეთ, შენ მამაშენს სავსე ჰიქა დაუსხი, შენ კი ნაკლული. მამაშენს ეგრე უთხარი, ყური გიგდოთ და მაშინ გიცნობს. როცა გიცნობს, მამაჩემი გკითხავს: რა ისწავლე ჩემგანო? შენ ეტყვი: შენ რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლაო!

სუფრაზე რომ დასხდნენ, შვილი ჰიქას აუვსებს, ის მეორე ნაკლულად დაუსხამს. იცნო მამამ შვილი, ახრაკას აბა რას ესიამოვნებოდა! ბიჭსა ჰკითხა: — რა ისწავლეო? — შენთვის

რა იცოდი, მე რა უნდა მესწავლაო! — უთხრა ბიჭმა. მერე გზა დაულოცა ოსტატმა და გაისტუმრა.

წავიდნენ მამა და შვილი. შვილმა უთხრა: — იარე და მოგეწევიო!

მიუბრუნდა ჯაგებში, იქცა ოქროს ცხვრად, გამოვარდა, გაურბენს და გამოურბენს მამას წინა. დასდევს მამა დასაჭერად. შევარდა ისევ ჯაგებში, იქცა ბიჭად და გამოვიდა მამასთან.

მამამ უთხრა: — სად იყავ, შვილო? — ერთი ოქროს ცხვარი გამოვარდა ჯაგებიდან, ვლიე, ვლიე, მაგრამ ვერ დავიჭირეო!

ამ დროს თავადიშვილები მოდიან სანადიროდ.

შვილმა უთხრა მამასა: — მამა, მე ეს ხელობა ვისწავლე: რადაც მიინდა ვიქცევი. ახლა აი, თავადიშვილები რომ მოდიან, მწევრად ვიქცევი და შემოგვევაჭრებიან. რომ გკითხონ: ჰყვით? — ვყვითქო! — დაგაფასებინონ, სამოც თუმნად დამაფასე. თოკი კი არ გამატანო თანაო.

იქცა მწევრად. ისეთია სულ თითის ფრჩხილებზე დგება. ჩამოიარეს თავადიშვილებმა: — კაცო, მწევარს არა ჰყვით? — ვყვით, ბატონო! — რა ღირსო? — სამოცი თუმანიო!

მისცეს სამოცი თუმანი და წაიყვანეს. მოსამსახურეები თოკიანად ართმევდნენ. ბერიკაცი არ ანებებდა. მერე თავადიშვილებმა უთხრეს: აჩუქეთ ეგ თოკი, მაგით რა იქნებაო!

წაიყვანეს. გზაზე ერთი კურდღელი გამოუვარდათ. გამოუდგა მწევარი, დაიჭრა და მოუყვანა. მეორეც ასე დაუჭირა. მესამეს რომ მიუტიეს, შეჰყვა ტყეში, იქცა ბიჭად, მოეწია მამას და წავიდნენ გზაზე.

იარეს, იარეს და ერთი ხელმწიფის სახლთან მივიდნენ. შვილმა უთხრა მამასა: ოქროს ცხვრად ვიქცევი, წამიყვანე და ხელმწიფის კარზე გამატარე და გამომატარე. გეტყვიან: როგორ აძლევო? — შენ უთხარი: ას თუმნად-ქო. მოგცემენ. თოკი კი თან არ გამატანო.

მისცეს ასი თუმანი. ბიჭები თოკს ართმევდნენ, მაგრამ ხელმწიფემ დაუშალა: გაუშვით, წაიღოსო.

შეიყვანეს ცხვარი ხელმწიფის სასახლეში. როცა ფეხის ხმა მიწყდა, იქცა ბიჭად და წამოვიდა. დაეწია მამას.

— მე ჯორად ვიქცევი, შენ ზედ შემაჯექ და ამატარე და ჩამატარე ქალაქში, აღვირი კი თან არ გამატანო.

გაუგია ოსტატს, რომ ჩემს შეგირდს ჩემი ხელობა გაუტანიაო. წამოვიდა და შეხვდა ამ კაცსა. — ჰყიდი, ბერიკაცო, მაგ ჯორსა? — ვყიდი! — როგორ აფასებო? — სამას თუმნადო!

მისცა და გამოართვა ჯორი. აღვირს არ ანებებდა, მაგრამ ძალით წაართვა, შეჯდა, დაჰკრა მათრახი და ცას მიაკრა. კარგად რომ მოფეთქა, თავის სახლში წაიყვანა. მიაკრა ხეზე და ხმაღს დაუწყო ლესვა, თავი უნდა მოექრა.

სანამ ის ხმაღს გალესავს, ქალი მივიდა. წააძრო თავიდან აღვირი, იქცა ბიჭად და გაიქცა.

ოსტატმა ნახა, რომ ჯორი იქ აღარ ება. გამოუდგა უკან. მოიხედა ბიჭმა. ხედავს ოსტატი საცაა დაეწევა, იქცა ვაშლად. ხელმწიფის შვილს ქორწილი ჰქონდა. ნეფეს კალთაში ჩაუვარდა. ოსტატი იქცა დანად და ვაშლში ჩაერქო. შეგირდი იქცა ფეტვად და გაიფანტა. იქცა ოსტატი კრუხად, დაახვია წიწილები და დაუწყეს ფეტვს კენკვა. იქცა შეგირდი ნემსად, გაუძვრა ქვეშ და წავიდა. იქცა ოსტატი ძაფად, გაეყარა ყუნწში და გაჰყვა თან.

შეგირდმა დაინახა, მინდორში მწყემსებს ცეცხლი უნთიათ. გაიარა ნემსმა ცეცხლში და ოსტატი ცეცხლში დასწვა.

იქცა ვაჟად და წამოვიდა. მოვიდა ოსტატის სახლში, ქალს უთხრა: — შენ იმდენი სიკეთე მიყავი, რომ მე ვერაფრით გადაგიხდი, შენ და იყავ, მე — ძმაო — არა, — უთხრა ქალმა, — შენ ქმარი და მე ცოლიო!

ძალიან გაუხარდა. შეირთო ცოლად. დანარჩენი შეგირდები ყველა თავთავის სახლში გაგზავნა. რაც ქონება ჰქონდათ, წაიღეს თან დაიწერეს ჯვარი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

პირი იქა, ლხინი აქა,
ქათო იქა, ფქვილი აქა.

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟი. ვაჟი იზრდებოდა და ხედავდა, რომ იმის გარდა ყველას მამა ჰყავდა, მარტო ის ვერავის ეტყოდა მამობას. შვილი გადაეკიდა დედას: — დედავ, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არ მყავსო.

დედამ უთხრა: — მოკვდა, შვილოო. — მაშ ალარ მოვაო? ან რა არის სიკვდილიო? — ჰკითხა შვილმა — ის კი ალარ მოვა, შვილო, და ჩვენ კი წავალთ მასთანაო; სიკვდილს ვერავინ გადავურჩებითო, ყველა მიწად ვიქცევით, დავიხოცებითო.

— მე არ მიტხოვია ღმერთისათვის გამაჩინეო და რაკი გამაჩინა, რადლა უნდა მომკლასო? — თქვა ვაჟმა, — ისეთ ადგილას უნდა წავიდე, სადაც სიკვდილი არ არისო.

დედამ დააბრუნა შვილი, მაგრამ მან არ დაიშალა. მოიარა მთელი ქვეყანა, სადაც მივიდოდა, ჰკითხავდა, არის აქ სიკვდილიო? ყველასგან ერთი პასუხი ესმოდა, „არისო“. დაღონდა ვაჟი, ადგილი არ იყო, რომ სიკვდილი არ ყოფილიყო.

ამ დროს ვაჟი ოცი წლისაც გახდა. ერთხელ ერთ მინდორზე მიდიოდა, გაიხედა წინ და შორს ერთი ირემი დაინახა: მისი რქები ღრუბელში იყო აწვდილი. ვაჟი მიუახლოვდა ირემს, მოეწონა ძალიან მისი რქები და ჰკითხა: — შენი გამჩენის მადლს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, რომ სიკვდილი არ იყოსო? — ირემმა უთხრა: — მე ღვთის მოციქული ვარ და ღვთის დანაწესებს ვასრულებ, სანამ ჩემი რქები ცას არ მიეხირება, მეც ვიცოცხლებ, მისწვდება ჩემი რქები ცას და მეც მოვკვდებიო. თუ გინდა, შენც ჩემთან იყავი და სანამ მე ვიქნები, შენც იცოცხლებო. ვაჟმა უთხრა:

— თუ ვიცოცხლებ, მუდამ უნდა ვიცოცხლო, თორემ აქ მოუსვლელადაც მოვკვდებიო.

გაცდა ვაჟი და დაუდგა გზას. გაიარა მინდორი, ველები და გავიდა ტყიან და კლდიან ადგილას. ერთ ხევს მიადგა: სულ პიტალო კლდე იყო და ისეთი ღრმა, რომ თვალი ვერ ჩასწვდებოდა მის ძირს. ხევის პირზე, კლდეზე იჯდა ყორანი და ასკინტლებდა ხევში. ეს ყორანიც ღვთის მოციქული იყო.

ვაჟმა ჰკითხა ყორანს: — არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო? — ყორანმა უთხრა: — მე ღვთისგან დაწერილი მაქვს სიცოცხლე მანამდის, სანამ სკინტლით ამ ხევს არ ამოვაგებო. თუ გინდა ჩემთან იყავ და შენც ცოცხალი იქნები, სანამ მე არ მოვკვდებიო. არაფერზე არ დაგვჭირდება ზრუნვა, ყველაფერი მზა გვექნებაო. ვაჟმა ჩაიხედა ხევის უფსკრულში, მაგრამ მაინც ცოტად ეჩვენა. გასწი, გასწი შორსაო, — ეუბნებოდა რაღაც.

ამასაც გასცდა ვაჟი და მოათავა ხმელეთი და მიადგა ზღვის პირს; აუარა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე და ვერაფერს შეხვდა. მესამე დღეს დაინახა შორს სადაც მბრჭყვინავი სარკე. ვაჟი წავიდა მისკენ და ნახა, რომ ის მბრჭყვინავი სარკე სალი მინის სახლი იყო. შემოუარა ვაჟმა და ვერსად იპოვა კარები. ბოლოს ერთგან შენიშნა პატარახაზი, მივიდა იმასთან და ნახა, რომ კარი იყო; გააღო და შევიდა. ოთახში ისეთი ლამაზი ქალი იწვა, რომ მზეს შეშურდებოდა მისი სილამაზე. ვაჟს ძალიან მოეწონა ქალი და ქალსაც ვაჟი. ვაჟმა ჰკითხა: — მშვენიერო, მე სიკვდილს გამოვექეცი, და არ იცი იმისთანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყოლო?

ქალმა უთხრა: — მაგისთანა ადგილი არსად არ არის, რას ეძებ, ჩემთან იყავიო. — ვაჟმა უთხრა: — მე შენთან კი არ წამოვსულვარ, იმისთვის წამოვედი, რომ იმისთანა ადგილი ვიპოვო, სადაც სიკვდილი არ არისო.

ქალმა უთხრა: — მიწა თავისას მოითხოვს, შენ მაინც უკვდაობას ვერ შეიფერებო. აბა მითხარი, რამდენი წლისა ვიქნები მეო? — ვაჟმა დაჰხედა: ქალს ახლად აკოკრებული მკერდი აქვს, ვარდისფერი ლოყები ისეთი საუცხოო, რომ ვაჟს ერთ წუთში დაავეწყდა სიკვდილი. ვაჟმა უთხრა — ბევრი-ბევრი ხუთმეტეი წლისა იყოო.

— არა, — უპასუხა ქალმა, — მე ქმნილების პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარო; „ტურფა“ მქვიან და არც როდის დავბერდები, მუდამ ასე ვიქნები და არც მოვკვდებიო. შენ აქ იქნებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისევ მიწა მოგითხოვსო. ვაჟმა პირობა დაუდვა, რომ არასდროს არ მოშორდებოდა. დაიწყეს ქალმა და ვაჟმა ერ-

თად ცხოვრება. წლები წუთებზევით მიფრინავდნენ; ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი მოკვდა, ბევრი დამიწდა, ბევრი გაჩნდა, დედამიწა იცვლიდა პირს, მაგრამ ვაჟი ვერ ამჩნევდა დროის ფრენას. ქალი ისევ ისეთი ლამაზი იყო და ვაჟიც ისეთივე ახალგაზრდა.

გაფრინდა ათასი წელი. ვაჟს მოუხდა თავისი ქვეყნის ნახვა; თავისი დედისა და ნათესავების დანახვა მოსწყურდა. ქალს უთხრა: უნდა წავიდე და ვნახო ჩემი დედა და ნათესავებიო. ქალმა უთხრა: — ახლა მათი ძვლებიც აღარ იქნებაო. ვაჟმა უთხრა: — რას ამბობ, ეს სამი ოთხი დღეა, რაც მოვსულვარ და როდის დაიხოცებოდნენო? ქალმა უთხრა: — აკი გითხარ, მიწა თავისას მოითხოვს-მეთქი. კარგი, წადი და, რაც შოგივიდეს, შენს თავს დააბრალეო. — მისცა სამი ვაშლი და უთხრა, როდესაც იქ მიხვალ, მაშინ შექამეო.

წავიდა ვაჟი და აი, შემოხვდა ნაცნობი ადგილები. აი, ზევიც, ის უძირო უფსკრული. ყორანი მაშინლა მომკვდარიყო. ამოვესო ხევი და თვითონაც გამხმარი ეგდო კლდის წვერზე. ვაჟს თვალთ დაუბნელდა, მოაგონდა ქალის სიტყვები, გაბედა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა. ისევ წინ წავიდა. გასცდა კლდეებს და გავიდა ნაცნობ მინდორზე. გაიარა, გაანახევრა და ნახა, რომ ირმის რქა ცას მიჰყუდებოდა. ის იყო მაშინლა მომკვდარიყო ირემიც. ახლა კი დარწმუნდა ვაჟი, რომ მართლა კარგა ხანი გასულიყო.

მაინც გასწია თავისი ქვეყნისაკენ. მივიდა, მაგრამ ნაცნობი კი აღარავინ იყო. იკითხა დედა, მაგრამ მისი გამგონიც კი აღარავინ მოიპოვებოდა. ბოლოს ერთი ბერიკაცი ნახა. ჰკითხა თავისი დედის ამბავი და უამბო ყველაფერი, მაგრამ ბერიკაცმა არ დაუჯერა: — ის დედაკაცი, როგორც მამა-პაპას უთქვამს, ათასი წლის წინათ ყოფილა და როგორ შეიძლება, რომ მისი შვილი ახლა ცოცხალი იყოსო. ხალხს არა სჯეროდა და ამბობდა: ეგ ღმერთისაგან არის მოგზავნილი საიქიოდანაო. გავარდა ამაზე ხმა სოფლებში და ხალხი კალიასავით ედებოდა ამ ვაჟს სანახვად. ბოლოს ვაჟი მივიდა იმ ადგილს, სადაც მათი სახლი იყო; სახლის ყვითელი ხავსმოკიდებული ქვითკირის კედლები კიდევ დახვდა.

ვაეს მოაგონდა ყველაფერი, თავისი დედა, თავისი ბა-
ლობა, დაღონდა; ბოლოსა თქვა: — მოდი, ერთი შევექამ ერთ
ვაშლსაო. ამოიღო, შექამა, და ხავსივით წვერი ერთ წამში
დაეკიდა წელამდე, შექამა მეორე და მოეშვა მუხლები, ველარ
გაანძრია ხელი, გახდა კუტი მოხუცი. თავი შეზიზღდა; დაი-
ნახა ახლოს ერთი ვაჟი და დაუძახა, მოდი, ჯიბეში ერთი ვაშ-
ლი მაქვს, ამომიღეო. ბაღმა ამოუღო ვაშლი, შექამა ბერი-
კაცმა და განუტევა სული. გაიტანა სოფელმა და სამადლოდ
დამარხა.

არპიცინას ზღაპარი

ერთი ხელმწიფე იყო და მას ჰყავდა სამი შვილი. ამ ხელ-
მწიფეს ბალი ჰქონდა, ბაღში ყველანაირი ხილი ედგა, მხო-
ლოდ ერთი ვაშლი იდგა ისეთი, რომ ვერ გაეგოთ მისი გემო.
ვაშლი როდესაც საკმელათ შემოვიდოდა ხოლმე, ისე მოიპა-
რავდნენ, რომ ვერ გაიგებდა მებაღე. ერთ წელიწადს ამ ხელ-
მწიფემ თავისი უფროსი შვილი გაგზავნა ჯარით საყარაუ-
ლოთ: იქნება, ვაშლის ქურდი როგორმე დაეჭირათ, მაგრამ
ვაშლი მაინც მოიპარეს.

მეორე წელიწადს საშუალო შვილი გაგზავნა. მასაც გაა-
ყოლა მთელი თავისი ჯარი, მაგრამ მაინც ისე მოიპარეს, რომ
ვერ გაიგეს ვინ წაიღო.

მესამე წელიწადს გაგზავნა უმცროსი შვილი. უმცროსმა
შვილმა ჯარ არ ინდომა და წავიდა მარტოკელა. მთელი დღე
და ღამე არა სძინავს, სულ ვაშლის ტოტებზე ზის და იცქი-
რება აქეთ-იქით.

ერთ ღამეს მოფრინდა ერთი ფრინველი და მოგლიჯა
ერთი ვაშლი, ერთ ფეხში დაიჭირა, მეორე ვაშლი —
მეორე ფეხში და ერთი ვაშლიც პირში ჩაიდვა. ამ
დროს წასწვდა ეს ბიჭი და დაიჭირა ფრინველი. ბევრი იბრ-
ძოლეს, მაგრამ ბიჭმა დასძლია და დაატუსაღა.

მერე ჩიტმა უთხრა: გამიშვი, ხელმწიფის შვილო, ნუ ჩა-
შაგდებ მამიშენის ხელში. შენ ნუ გეშინიან: მამაშენი შენს
შოკვლას მოიწადინებს, მაგრამ ხალხი არ იზამს. გადაგიწყვე-

ტენ გადასახლებას, მაშინ აგერ იმ ტყესთან რომ მოხვალ, ერთ ადგილას ჩემი ნავალი შეგხვდება, ისეთი ნავალი, გეგონება, გუთნის კვალი არის გავლილი, იმ კვალს გამოყვები და მოხვალ პირდაპირ ჩემთანაო. მერე მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამ, როგორ დაგიხვდები და რა პატივისცემასაც გაგიწევო.

ეს რომ უთხრა ჩიტმა, გაუშვა ვაჟმა, მხოლოდ ვაშლები კი გამოართვა.

დილა გათენდა. წავიდა ხელმწიფის ვაჟი სახლში და თავის მამას მოახსენა: ქურდი დავიჭირე, მაგრამ ბევრი ვიომე, ბოლოს დამძალა და გამიფრინდა, მხოლოდ ვაშლები კი წავართვიო. ხელმწიფემ უთხრა: რომ ჩემი სიტყვა გაგეგონა და ჯარი წაგესხა, ის ქურდი აღარ გაგექცეოდა და ეხლა მე მოგივლი შენაო. დაუნიშნა თავის შვილს სასამართლო. ხელმწიფემ სთხოვა მოსამართლეს მისი დახვრეტა. ხალხმა უარი სთქვა: ხელმწიფის შვილი რომ დავხვრიტოთ სირცხვილია და მოდი ამ სახელმწიფოს მოვაშოროთო, ისე, რომ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღარ გავაჩეროთო. ასეც მოიქცნენ. გადუწყდა გადასახლება სხვა სახელმწიფოში. ხელმწიფის ვაჟი გაემგზავრა. მაშინ ხალხმა უთხრა ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევ, ფული მაინც მიეცი, თორემ რომ ვინმე შეხვდეს და უთხრას ვისი ხარო, შენი შვილი ხომ ეტყვის — ამა და ამ ხელმწიფისო და უფულოთა და მშვიერი რომ იყვეს, ეს უფრო სირცხვილი იქნებაო. ხელმწიფემ მისცა სამგზავრო ფული და გაუდგა გზას ბიჭი.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა იმ ტყესთან და იპოვნა ის ბილიკი, რომელი ბილიკიც ჩიტმა ასწავლა. მართალია, დღე იყო რომ მიდიოდა, მაგრამ ისეთი ხშირი ტყე იყო, რომ ძალიან ბნელოდა და სიარული უჭირდა. როგორც იყო, ბიჭი გავიდა ერთ მინდორზე და დაინახა ერთი კოშკი და პირდაპირ იმ კოშკთან მივიდა. მივიდა თუ არა შორი ახლო კოშკთან, გამოეგება ეს ჩიტი და იმდენი ჰკოცნეს ერთმანეთს, რომ მეტი აღარ შეიძლება. წაიყვანა სახლში ჩიტმა. აქ ჩიტი იქცა ადამიანათ და დაიწყეს ქეიფობა. რამდენიმე დღე რომ გავიდა, ჩიტმა უთხრა ვაჟს: ეხლა მახსოვს შენი სიკეთე და უნდა წავიდე, ისეთი ქალი მოგიყვანო ცოლათო, რომ იმისთანა ქალი დედამიწის ზურგზე აღარ იყვესო. ჩააბარა ყველა ოთახების

გასაღები და უთხრა ერთი ოთახისა, რომ იმ ოთახში არ შესულიყო. სთქვა ეს სიტყვა თუ არა, გამოისხა ჩიტის ბუმბული და გაფრინდა.

ჩიტი წავიდა. ბიჭმა იფიქრა: მოდი ამ ოთახს ვნახავ, ერთი რა ექნება შენახული, რათ დამიშალა, ამ ოთახში არ შეხვიდეთ. ერთი მივიდეთ ვნახო, რა აქვს ისეთი, რომ მე არ მენდობა ნახვასაო. სთქვა ესა და გააღო ოთახის კარები. შევიდა. დაინახა, რომ ცალმხარეზედ ქალები ჰყავს ჯაკვით დაბმული და თივა უყრიათ, მეორე მხარეს კი რაში აბია და ხორცი უყრია წინ. ქალები თივას არა სჭამენ, რაში კიდევ ხორცსა.

კარები რომ გააღო ბიჭმა, მაშინ ჩიტს უკვე ცხრა მთა ჰქონდა გადავლილი, მაგრამ გაიგო თუ არა კარების გაღება, სწრაფად უკან დაბრუნდა და ერთ საათში ფხაჭანი მოადინა. ჩიტმა უთხრა: ეს ერთი მიპატიებია, რადგან შენც სიცოცხლე მაჩუქე, ხელმწიფის ხელში არ ჩამაგდე და ამას იქით აღარ გაიმეორეო, თორემ მოგკლავო. უთხრა ეს სიტყვა და გაფრინდა ისევ ქალის მოსაყვანად.

ამ ბიჭს არ მოუთმინა გულმა და შევიდა კიდევ ოთახში და ხორცი ქალებს მიუტანა, თივა კიდევ რაშს დაუყარა. ეს ამბავი კიდევ გაიგო ჩიტმა და მოვარდა საჩქაროდ უკანვე. ეს ერთიც მიპატიებია, რადგან მენდუ და მეც დაგინდუ, თუ კიდევ გააკეთე ისეთი მიქარებები, მაშინ კი მოგკლავო. სთქვა ეს სიტყვა და გაფრინდა ისევ ქალის მოსაყვანად.

ამ ბიჭს მაინც არ მოუთმინა გულმა, შევიდა მესამედაც ოთახში. ამ დროს რაშმა ენა ამოიდგა და უთხრა ბიჭს: ეხლა კი უეჭველია, რომ აქ მოგასწროს — მოგკლავს. აუშვი, ეს ქალებიც წავიდნენ და ამიშვი მეც საჩქაროთ და წავიდეთ სადმეო. ბიჭმა აუშვა ქალები, წავიდნენ საჩქაროთ. შემდეგ გამოიყვანა რაში გარეთ და უთხრა რაშმა: შედი ემაგ ოთახში, ოქროს უნაგირი რომ არის, გამოიტანე და დამადგო. ბიჭი მივიდა და ჩუჩუნება ვერ აქნევინა, დაბრუნდა, მივიდა რაშთან და უთხრა: ვერ დავძარო. მაშინ რაშმა უთხრა: მოდი ემანდ რომ წყალი ჩამოდის ამღვრეული, იქ იბანავე და ღონე მოგემატებაო. მივიდა, საჩქაროთ იბანავე, შევარდა მერე, გამოიტანა უნაგირი და დაადგა რაშს. ეხლა უთხრა რაშმა: შედი ემაგ ოთახში, იმ წყეულის იარაღი აწყვია და აისხი მალეო.

შევიდა ბიჭი, მაგრამ ჩუჩუნება ვერ აქნევინა იარაღს. რაშმა უთხრა: მოდი ლურჯი წყალი რომ ჩამოდის, იმ წყალში იბანავე და ღონე მოგემატებაო. მივიდა, ბიჭმა იბანავა და ოქროს თმაც მოესხა და ღონეც მოემატა. შევიდა ოთახში, აისხა იარაღი და გამოვიდა კარში. ახლა კიდევ რაშმა უთხრა: აგერ იმ ქოხს ხომ ხედავ, იქ იმ წყეულის დედა სცხოვრობს და თუ ის წყეული არ მოგვკალით, ეტყვის თავის შვილს საით წავალთ და გამოგვედევნება და მოგვეკლავსო. მივიდა ეს ბიჭი იმ ქოხთან და გამოჰკრა ფეხი, ქოხი სულ არივ-დარივა, ბებერიც მოკლა, მოაჯდა რაშს და გაუდგა გზას.

ჩიტიც მალე მოვიდა. რას ხედავს! აღარც ქალები არიან: იქ, აღარც რაში, აღარც უნაგირი. გაიქცა თავის საომარ იარაღთან და აღარც იარაღი დახვდა იქ. დაღონდა ჩიტი და გაიქცა თავის დედასთან საკითხავათ: თუ საითკენ წავიდნენო. მივიდა დედასთან. ნახა ქოხი დანგრეულია და დედა კიდევ მკვდარი დახვდა. რა ქნას ჩიტმა, საით წავიდეს, ველარას ახერხებს.

ეს ბიჭი და რაში გავიდნენ ერთ ადგილას, სადაც ღობეს აშენებდნენ და როგორც კი აიყვანენ ნახევარზე კედლებს, მთელი დედამიწა ზანზარს დაიწყებს და კედლები დაენგრევათ, ისე ვერ აყენებენ კედლებს.

რაშმა უთხრა ვაჟს: მაგ ციხეს სადაც აშენებენ, იმ ადგილას დედამიწაში ჩემი ძმა არის დაბმული. ის რომ დაიხვივნება, დედამიწა იძვრება და იმაზედ ინგრევა კედლებიომიდი შენ და უთხარი: ამ კედლებს მე დავაყენებ. მხოლოდ მიწის თხრაში რაც ვიპოვო, ის ჩემი იყვეს-თქო, და თუ დაგთანხმდნენ, დაუწყე მიწას თხრაო.

მივიდა ბიჭი და უთხრა მუშებს: მოდი ამ ციხის კედლებს მე დავაყენებ, მხოლოდ რაც მიწის თხრაში ვიპოვო, ის ჩემი იყვესო. მუშები დასთანხმდნენ და დაუწყეს ამ ბიჭმაც: საძირკველს თხრა. ნახევარზე რომ დაიყვანა საძირკველი, იპოვნა ჯერ ერთი ბეჭედი, აიღო და გაიკეთა თითზე, ცოტა ძირს კიდევ რომ დასწია საძირკველს, ამოვარდა რაში და გაქანდა თავის ძმისაკენ. საძირკველი რომ დაამთავრა, მაშინ უთხრა, ეხლა დაუწყეთ შენებო. დაუწყეს აშენება ციხეს და ააშენეს. აღარც დაინგრა და აღარც სხვა.

შეჯდა ეს ბიჭი რაშზე, მეორე კიდევ ცარიელი წაიყვანა-
ერთ ადგილას საქონელი მოუდის და ერთი დიდმუცლიანი
ხარი მოჰყავდათ. რაშმა უთხრა ბიჭს: ის ხარი იყიდე, რაც
დაგიფასონ ათი იმდენი მიეციო. მართლაც, ასე მოიქცა ბიჭი.
მოურიგდა ამ ხარზე, დაკლა, გამოაცალა კუჭი, გარეცხა კარ-
გათ და დაიხურა თავზე. ხორცი ისევ მენახირეებს მისცა. გა-
უდგნენ გზას. მივიდნენ ერთ სახელმწიფოში. იმ სახელმწი-
ფოს ხელმწიფე ბალს აშენებს, მხოლოდ ხილს ვერ ახეირებენ.
რაშმა უთხრა: მოდი, დაიწყე მუშაობა, ვინც რა უნდა გით-
ხრას, შენ სხვას ნურაფერს ეტყვი, მხოლოდ, იძახე მარტო-
ნიშნათ: არ ვიცი, არ ვიციო. ორმოები როდესაც დასთხარო,
ადეჭი და ჯერ საქონლის პატივი ჩაუყარე ძირში, შემდეგ
დარგე რომელიც გინდა ხე იყოს. მარტლაც, ასე მოიქცა ეს
ბიჭი.

დაიწყო ხილის დარგვა. რაც ხილი დარგო, სულ წმინდათ
ახეირა. ბოლოს ხალხმა დაუწყო ლაპარაკი და უთხრეს: სადა-
ური ხარო. იმან უპასუხა: არ ვიციო. — რა გქვიან? — არ
ვიცი. უთხრეს: რათ მოხველ აქ? — არ ვიცი. ასე რომ სულ
იძახდა: არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიციო. შემდეგ მოახსენეს ხელ-
მწიფეს არვიციას ოინები და უთხრეს ისიც, როგორი ხილი
გააშენა.

არ ვიციამ გაიკეთა ერთი ქოხი ბაღში და დაიწყო იქ
ცხოვრება. ხელმწიფეს ჰყავდა სამი ქალიშვილი. ერთ მშვე-
ნიერ დღეს წამოვიდნენ ბაღში. ქალები რომ ბაღში ჩამო-
ვიდნენ, ამ დროს არვიციას ეძინა და ერთი თმა გამოსჩენი-
ყო. უფროსი დები წინ მიდიოდნენ, უმცროსმა დამ შენიშნა
ოქროს თმა. უმცროსმა ქალმა ჩუმათ შოხადა ხარისკუჭი თავ-
ვიდან და რას ხედავს: ვაჟკაცია, მართლა ისეთი, რომ იმის-
თანა ვაჟი სულ არ არის ამ სახელმწიფოში. ეს არვიციამ გაუ-
გო და ამ ქალს შეუბღღვრიალა თვალები: არსადა სოქვა,
თორემ მოგკლავო. მივიდა ქალი თავის დებთან და ბაღში
რომ მიიარ-მოიარეს, შემდეგ სახლში წავიდნენ.

ერთ დღეს ამ ხელმწიფეს დევმა შემოუთვალა: ამა და ამ
ადგილთან გამოგზავნე შენი უფროსი ქალი — უნდა შეეჭა-
მოვო. ხელმწიფესაც რა ექნა, ადგა და გაუგზავნა. ეს ამბავი
არვიციამ რომ გაიგო, მოიტანა ერთი ხე, დადვა ქოხში და

დახურა თავის ქუდი, თვითონ გავიდა ველზე, ინატრა თავისი რაში და იმ წამს იქ დაიბადა. შეჯდა ბიჭი რაშზე და მივიდა იმ ადგილას, სადაც დევმა დაიბარა. იქ ერთი ხიდი იყო. რაშმა უთხრა: შენ ამ ხიდს მოეფარე, მე უნდა ვეომოვო და მოვიდა კიდევ დევი, დაიწყეს ომი და რაშმა მოკლა. ქალი უკან დაბრუნდა. სახლში რომ მივიდა, ყველაფერი უამბო ხელმწიფეს ამ ვაჟის გმირობა. მოვიდა არვიცია, გაუშვა რაში და თვითონ ისევ ხარის ფაშვი დაიხურა.

ახლა ერთმა დევმა კიდევ შამოუთვალა ხელმწიფეს: შენი საშუალო ქალი გამომიგზავნე უნდა შევჭამოვო. ხელმწიფეს ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა, გაგზავნა დევთან თავისი ქალი.

ეს რომ გაიგო არვიციამ, გაუდგა გზას და წაიყვანა თავისი რაში, ბაღში კი ისევ ხე დააყენა დარაჯათ. მალე მივიდა ხესთან. დაიწყეს რაშმა და დევმა ჩხუბი. რაშმა ისიც მოკლა და ქალი უკან წამოვიდა. არვიცია გაუდგა თავის გზას. მივიდა ბაღში, დაიხურა თავისი ქუდი და დაუწყო ლოდინი.

მესამე დღეს მესამე დევმა შამოუთვალა ხელმწიფეს: შენი უმცროსი ქალი გამომიგზავნე უნდა შევჭამოვო. ხელმწიფემ ესეც გაუგზავნა. ეს, რომ გაიგო არვიციამ, ამაზედ უფრო რას არ წავიდოდა! გავიდა მინდვრთა და ახსენა თავისი რაში. რაშმა უთხრა: ეხლა ის წყეული ჩიტი არის მოსული და მე იმას შეკრული ვყევიარ, იმასთან ვერ მივალ და მოდი ჩემი ძმა წაიყვანე. ნუ გეშინიან, შენ მოჰკლავ, მხოლოდ თავს რომ მოსჭრი, მაშინ ის მოჭრილი თავი კიდევ დაგიძახებს: შე კაი კაცო, ძველი პურ-მარბილი მაინც აღარ გახსოვსო. მაგრამ შენ მაინც არაფერი უთხრა. დაჰკარო ხმალი და თავი ოთხათ გაჭერი. შეჯდა ვაჟი მეორე რაშზე და გაუდგა გზას. ხიდთან რომ მივიდა, ხიდმა სულ ზანზარი დაიწყო. ხიდს გამოღმა რომ გამოვიდნენ, შეეჭიდა რაში ჩიტს, მაგრამ ჩიტმა დაძალა რაში. მაშინ გადუხტა ბიჭი, წამოუხსვა ხმალი და თავი მოაგდებინა. თავმა დაიძახა: შე კაი კაცო, შენა, ძველი პურ-მარბილი მაინც აღარ გახსოვსო? რომ უთხრა — თავი ოთხათ გაუპო და მერე უთხრა ხელმწიფის ქალს: წადი ეხლა სახლში, მხოლოდ არსად არა სთქვა ჩემი გმირობა, თორემ სულ გაგწყვეტთ მთელ სახელმწიფოსაო. წამოვიდა ქალი და უფრო

მეტი სიყვარული ჩაუვარდა არვიციასი. ვაჟი კიდევ მოვიდა ბაღში საყვარულოთ და დაიხურა ისევ ხარის ფაშვი.

ერთ დღეს უმცროსმა დამ უთხრა თავის დებს: ასე ხომ არ უნდა დავებრდეთ, დრო არის ჩვენი დათხოვებისაო. უფროსებმა უთხრეს: ჩვენ ვერ გავუბედავთ მამას გათხოვებას და თუ გინდა ჩვენს მაგიერადაც შენ უთხარიო. უმცროსმა დამ გაგზავნა ერთი ვეზირი არვიციასთან და დააბარა: უთხარი მებაღეს, სამი კიტრი მოგლიჯოს—ერთი დიდი იყოს, ერთი საშუალო და მესამე კი ცოტა პატარაო და თვითონ მან წამოიღოს თავის ხელითვეო. ჩავიდა. ვეზირმა უთხრა მებაღეს როგორც დააბარეს. ამ კაცმა უთხრა: არვიციო და მოგლიჯა სამი კიტრი. მოუტანა ხელმწიფის ქალებს და მისცა კიტრები, თვითონ კი მაშინვე უკან წამოვიდა. უმცროსმა ქალმა დააწყო სამივე კიტრები თეფშზე, გაუკეთა სამივე კიტრებს სამივე დების დანა და მიართვა მამას. ამით მამამ უკვე გაიგო, რომ გათხოვება უნდოდათ.

ხელმწიფემ დაიბარა მთელი თავისი სახელმწიფოს ხალხი სულ და უთხრა თავის ქალებს: აბა, ვისაც ვინ გინდათ, იმას ჩაუჭექით კალთაშიო. უფროსმა ქალმა აიარ-ჩამოიარა და ჩაუჭდა ერთ ოფიცერს კალთაში. ამაზე ხალხმა თქვა: არ მოტყუვდაო. საშუალო ქალმა აიარა, ჩამოიარა და ჩაუჭდა ისიც ოფიცერს კალთაში. ხალხმა თქვა: არც ეს ქალი მოტყუვდაო.

უმცროსმა ქალმა აიარ-ჩამოიარა, მთელი ხალხი სულ დაათვალიერა, მაგრამ ვინც უნდოდა. ის იქ არ იყო. მამამ უთხრა: შეილო, ამოდელა ხალხში დავიჯერო ერთი აღარავინ მოგეწონათ. — ვინც მინდა, აქ არ არის და რა უყო, სხვას როგორ ჩაუჭდე კალთაშიო. მაშინ გასცა განკარგულება ხელმწიფემ, რომ ვინც აკლდა, ყველანი მოსულიყვნენ. მარტო არვიცია დაჰკლებოდა. გამოუცხადეს მებაღეს და ისიც წავიდა ხელმწიფესთან. გზაში ერთი კურდღელი დაიჭირა და უბეში ჩაისვა. მივიდა და დაჯდა სულ ბოლოში. ამ ქალმა აუარ-ჩამოუარა, ნახა მებაღე იქ იყო, მაგრამ უბეში რაღაც ჰყავდა და მისი ძალიან ეშინოდა, ამიტომ ვერ უჭდებოდა კალთაში. ხელმწიფემ ჰკითხა: შეილო, ეხლა ხომ სუყველა აქ მოვიდა და რაღა გინდა, მალე ხალხი დავითხოვო, სამუ-

შაოსა სცდებიანო. ქალმა უთხრა: ვინც მინდა, აქ არის, მხოლოდ უბეში რალაც უზის და მაშინებსო. მამამ უთხრა: შვილო, თვალები დახუჭე და ისე ჩაუჭეკი კალთაშიო. მართლაც, დახუჭა ქალმა თვალები და ჩაუჭდა კალთაში. ამ დროს დაიწყო არვიციამ კივილი: არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი! ხალხმა რომ დაინახა, ძალიან ეწყინათ და იძახდნენ: იქნება თვალები რომ დახუჭა, აერიო, მაგრამ ქალმა მაინც არაფერი არა სთქვა და იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ქალის მამაკი კინალამ ჯავრისაგახ გაგიყდა. იძახდა: ეს რა ჰქნა, როგორ თავი მომპკრა, ხალხში ხომ აღარ გამესვლებო. ხელმწიფე გახდა ჯავრისაგან ავათა.

იმ ორ სიძეს ძალიან კარგი სახლები მისცეს და მოახლეებიც დაუჭირა, მაგრამ უმცროსმა ქალმა რადგან თავი მოსპკრა, მისცა ერთი ოთახი, სადაც უწინ ბატები ჰყავდა. ხელმწიფე რომ ავთ გახდა, მოინდომა უკვდავების წყალი და წავიდნენ სიძეები უკვდავების წყლის მოსატანთ. არვიციამ უთხრა თავის ცოლს: მოდი უთხარი, ერთი ცხენი მოგცეს და მეც წავალ წყლის მოსატანათო. ქალმა სთხოვა მამას ერთი ცხენი და იმანაც ისეთი ცხენი მისცა, რომელიც უბედური ჰყავდა. გაჰყვა ქვისლებს არვიცია, ქვისლებმა გზაზე მას თითო მათრახი გადაჰკრეს და თვითონ გააჩქარეს ცხენები. ამ დროს ხელმწიფეც ფიქრობდა: იქნებ ცოცხალი ველარ მოვიდესო. ცოტა რომ გასცდა არვიცია, გადმოვიდა ცხენიდან, შეჯდა თავის რაშზე, ქვისლებს გადაუარა წინ და თითო მათრახიც მიართვა. მალე მივიდა წყალთან, აავსო ბოთლები და დალია თვითონაც, მოვიდნენ ქვისლებიც. გადმოვიდნენ ცხენებიდან და შორიდანვე მუხლის ჩოქით სთხოვეს არვიციას: თუ შეიძლება, ერთთი ბოთლი წყალი მოგვყიდე და რაც ღირს გადავიხდითო.

ვაჟმა უთხრა: მე წყალს ფულზე არ ვყიდდი და თუ გინდათ, ერთმა ნეკა თითი მოიჭრას და ის მომეცითო. მაშინ ერთმა სიძემ მოიჭრა ნეკა თითი და მისცა. არვიციამ გაახვია ცხვირსახოცში და შეინახა, სამაგიეროთ იმათ მისცა ერთი ბოთლი წყალი და ისინიც გაუდგნენ გზას. არვიციაც შეჯდა რაშზე და გაუდგა გზას. როცა დაუახლოვდა სახლს, გაუშვა რაში, შეჯდა ხელმწიფისეულ ცხენზე და მიუტანა წყალი

თავის სიმამრს. მაგრამ ქვისლებმა თავში ჩაარტყეს: განა შენისთანაებს მოაქვთ იქიდან წყალი. ეს წყალზე სადმე აგივსიაო.

ხელმწიფემ მოავადმყოფა თავი, რადგან არვიცია ისევ ცოცხალი დაბრუნდა. ხელმწიფემ ახლა მოინდომა ზღვის ღორის ჭიგარი: აბა, ვინ მომიტანსო და ხალხმა უპასუხეს: ვინ და შენი სიძეებიო.

სიძეებმა დაკმაზეს ცხენები და წავიდნენ. არვიციამაც შეკმაზა ცხენი და გაჰყვათ უკან. ქვისლებმა უთხრეს: ჩვენთან ნუ მოხვალ, რაზე გვარცხვენო და გარეკეს ცხენები ჩქარა. არვიციამაც გააგდო ცხენი მინდორში, შეჯდა თავის რაშზე და მივიდნენ ზღვასთან. აქ რაშმა უთხრა: აბა, მე ჩავალ საომრათ, მხოლოდ თუ სისხლმა ამოასხა, იცოდე რომ ჩემი დაქრილი იქნება და მოვკლამ და თუ ქაფმა ამოასხა, მაშინ კი მომეშველე, თორემ ღორი დამძალავსო. თქვა თუ არა, რაში ჩავიდა ზღვაში. ცოტა ხნის შემდეგ ამოასხა სისხლმა და გამოათრიეს მკვდარი ღორი. გამოშიგნეს რა დააწყვეს ყველა ასოები ცალ-ცალკე. ამ დროს მოვიდნენ კიდევ ქვისლები, შორიდანვე მუხლის ჩოქვით და ლოცვით. რომ ცოტა ხორცი მოგვეცი და ფული რამდენიც გინდა მიიღეო. არვიციამ უთხრა: მე თქვენი ფული არ მინდა, ერთ-ერთმა წიხლი უნდა დაარტყმევინოთ ჩემს რაშს და მაშინ მოგცემთ ჭიგარსაო. მართლაც, ასე მოიქცნენ: ჩაიხადა ერთმა შარვალი და რაშმაც რომ წიხლი დაარტყა, სამი გუთნის გაშლაზე გადააგდო. მოუჭრა ცოტა გულ-ღვიძლი და წამოვიდნენ ხელმწიფის სიძეები. არვიციამაც წამოიღო ხორცი და როდესაც მოახლოვდა, გაუშვა რაში, შეჯდა თავის ცხენზე და მიუტანა ჭიგარი ხელმწიფეს. ქვისლებმა თავში ჩაჰკრეს და უთხრეს: მეხი კი ჩამოგაყარე, მინდორში რასმეს ნახვდა ღორს და ის მოგიკლავსო.

არ გავიდა ბევრი ხანი, რომ ხელმწიფეს სხვა ხელმწიფემ ომი შემოუთვალა. დაიწყეს ხელჩართული ბრძოლა. მთელი ჯარები სულ გაუწყვიტა მეორე სახელმწიფომ. ახლა ჯერი მიდგა ხელმწიფეებზე და ქვისლებზეც. წავიდნენ, წავიდნენ საომრათ. არვიცია ბალში იყო საყარაულოთ. შეჯდა თავის რა-

შზე, აისხა საომარი იარაღი და ავიდა ერთ დიდ მთაზე და დაუწყო ყურება ომს. როდესაც სხვა სახელმწიფო მოვიდა საომრათ, ის-ის იყო ხელმწიფისთვის უნდა მოეჭრათ თავი, ამ დროს გააფრინა თავისი რაში და სულ გასწყვიტა მტერი. მერე ხმალზე ძალათ დაიჭრა მკლავი, მაშინ მივიარდა თავისი სიმამრი, ამოიღო ბაღდადი და შეუხვია მკლავი. ბიჭი ისევ შეჯდა რაშე და წამოვიდა სახლში, მოვიდა და დაწვა, თავი მოიკვამყოფა. ხელმწიფე თავისა ჯარებით გაკვირვებული იძახდნენ: იესო ქრისტე იყო, თუ ღმერთი ჩვენი მშველი, რომ ის გმირი გამოგვიგზავნა და ერთმა კაცმა ამდენი ჯარი გასწყვიტაო. მოვიდნენ სახლში. ხელმწიფეს უთხრა ცოლმა: ჩვენი უმცროსი სიძე ავით არის და წამოდი, გარედან მაინც დაელაპარაკე, თუ სიძე არ გენანება, ქალი მაინც არ გეცოდებაო. ხელმწიფე და მისი ცოლი მივიდნენ კარებთან და დაუძახეს სიძეს: როგორა ხარო. არვიციამ ამოიღო მკლავი ლოგინიდან და უპასუხა: რალა როგორა ვარ, მკლავი დავიჭერიო. ხელმწიფემ თავისი ბაღდადი რომ დაინახა, უთხრა: ეგ ჩემი ბაღდადი ვინ მოგცაო.

არვიციამ უთხრა, თქვენ არ შემეხვიეთ მკლავიო. ხელმწიფემ არ დაიჯერა, მაგრამ როცა ხარის ფაში მოიხადა თავიდან და მოიყვანა თავისი რაში, მაშინ ხელმწიფეს ძალიან მოეწონა.

არვიციამ უთხრა: ის უკვდავების წყალი მე გამოვიტანე კლდიდან და მე მივეცი ჩემ ქვისლებსაო და არ დაიჯერებთ. აბა ნახე მარჯვენა ნეკა თითი აქვს თუ არა ისევ ჩემს უფროს ქვისლსაო. ნახეს, მართლაც აღარ ქონდა. ამოიღო ცხვირსახოცი და შიგ გახვეულა თითი მისცა. შერე უთხრა: ღორიც მე მოვკალი და ჯიგარი რომ მივეცი, მეორე ქვისლს ჩემი რაშის დადი აქვს დასმული და თუ არ დაიჯერებთ, ისიც ნახეთო. გახადეს შარვალი, დაატოლეს რაშის ფეხი და ნახეს, მართალი იყო. მაშინ ხელმწიფემ ისინი ძირს ოთახში ჩამორეკა, არვიციას კი მალლა ოთახები მისცა, ხელმწიფობაც მას ჩააბარა და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

სამმტევან ჰაბუკიშვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რახრახ მეწისქვილე. მას ედგა ერთი ვაზი წისქვილის ახლოს და ზედ სამი მტევანი ყურძენი ესხა. დადგა ეს რახრახ მეწისქვილე და სამსაძალნიან ქვევრს დაუწყო რეცხვა. ამ დროს ჩამოიარა ერთმა მელიამ და უთხრა: — შენი ჭირიმე, ჩემო მეწისქვილე, ერთი მტევანი ყურძენი მომიწყვიტე და ბედსა გწევო! მეწისქვილემ უთხრა: — ჰმ, რას ამბობ, მელიავ, ამოდენა ქვევრსა ვრეცხავ ამ ყურძენის გულისთვის და ესეც შენ რომ მოგიწყვიტო, ქვევრში რაღა ჩავასხაო?

არ მოეშვა მელია და მოაწყვეტინა ერთი მტევანი ყურძენი. გაცუნცულდა მელია, იქვე შეჭამა ყურძენი და ისევ მოვიდა მეწისქვილესთან და უთხრა: — ჩემო მეწისქვილე, ერთიც მომიწყვიტე და ბედსა გწევო! მეწისქვილემ ისევ უთხრა: — რას ამბობ, კაცო, ამ ორი მტევნის გულისთვის ამოდენა ქვევრსა ვრეცხავ, ესეც რომ შენ მოგიწყვიტო, ქვევრში რაღა უნდა ჩავასხაო? — არა, არა, ჩემო მეწისქვილე, მომიწყვიტე და ბედსა გწევო!

ბევრი ხვეწნის შემდეგ მოუწყვიტა მეორე მტევანიც. გაიქცა, იქვე შეჭამა და ისევ მეწისქვილესთან მიიბრინა და უთხრა: — ჩემო მეწისქვილე, ერთიც მომიწყვიტე და ბედსა გწევო. დაფიქრდა მეწისქვილე და სთქვა: „აბა ვნახო, რა ბედსა მწევსო“, და მესამეც მოუწყვიტა.

მელიამ ისიც რომ შეჭამა, მივიდა მეწისქვილესთან და უთხრა: — მე უნდა წავიდე და მავან და მავან ხელმწიფის ქალი გითხოვო ცოლადო! — აა, რას ამბობ, ჩემო მელიავ, აბა, ის ხელმწიფე მე ქალს როგორ მომცემსო? მაგრამ მელიამ ერთი თავისებურად დაუტატანა: ვაი, შე უბედურო, მაგაზე მეტი როგორ არ იციო. შემდეგ ყურიც აღარ მიუგდო მეწისქვილეს და წავიდა ხელმწიფესთან ქალის სათხოვნელად.

მივიდა და ხელმწიფეს მოახსენა: — დიდებულო ხელმწიფე, სამმტევან ჰაბუკიშვილი ქალსა გთხოვთო! ხელმწიფემ უთხრა: — სამ რამეს დავავალებ ჩემ სასიძოს და თუ შემისრულა, მივცემ ქალს, თუ არადა, არ მივცემო. — აბა, რას გვიბრძანებო, — ჰკითხა მელიამ. ხელმწიფემ უთხრა: — თუ

შეუძლია ჩემ სასიძოს ჩემი სახლიდან თავის სახლამდე სულ ხალიჩა-ფარდაგი დააფინოს გზაზე, რომ სულ ველის ყვავილივითა ჰყვაოდესო? — ეჰ, ეგ ხომ არ გაუჭირდებაო! — უთხრა მელამ და წამოვიდა მეწისქვილესთან. — რა ამბავია, ჩემო მელიავ? — ჰკითხა მეწისქვილემ. მელიამაც უთხრა, თუ რას ავალებდა სასიძამრო. ამის გაგონებაზე წელი მოსწყდა მეწისქვილეს და სთქვა: მე სად შემისლია ან დავალეების შესრულებაო! მელიამ ჩაუთხლაპუნა თავში და უთხრა:

— მოიტა ერთი ტომარა ჩქარაო. მისცა ტომარა, გაიქცა ხელად მელია, ყველა სანაგვეზე მიირბინ-მოირბინა, გაავსო ტომარა ძველი თუ რამე მოხვდა გადაგდებული! ეს წინდისა იყო, თუ ტომრის ნაგლეჯები, ფარდაგის ნაგლეჯები, თუ ისე ძველმანი შეხვდა რამე. აავსო ტომარა, მოვიდა მეწისქვილესთან, მისცა ხელში და უთხრა: — წადი იმ ხელმწიფის კარზე დადექი და დაიწყე სულ უკუღმა გადაყრა და, სანამ შენ კარზე არ მოხვიდე, უკან არ მიიხედო.

მართლაც, წავიდა ჩვენი რახრახ მეწისქვილე. დაიწყო ხელმწიფის კარიდან და სანამ თავის სახლთან არ მოვიდა, უკან არ მიუხედავს. მოვიდა თავის სახლთან, მიიხედა უკან და რასა ხედავს! მთელი გზა ველის ყვავილივით ჰყვაოდა — ისეთი ხალიჩა-ფარდაგი იყო დაფენილი. მეორე ღლეს მიცუნცულდა ჩვენი მელია ხელმწიფესთან და მოახსენა: — აბა. გამოიხედე, დიდებულო ხელმწიფევე, და დაინახე შენს სასიძოს რა შესძლებია, ახლა რაღას დაგვავალეობო? ხელმწიფეს ძალიან მოეწონა და უთხრა: — ეს ძალიან კარგია! ჩემს სასიძოს თუ შეუძლია ამ გზის იქითა და აქეთ ისეთი ხეხილი დარგოს: რიგი მწიფდეს, რიგი ახლა ჰყვაოდეს და რიგიც ჩამოდიოდესო? — ეჰ, ეგ ხომ არ გაუჭირდებაო!

წამოვიდა და უთხრა მეწისქვილეს: — შენმა სასიძამრომ ასე დამაბარაო. უჰ, მოსწყდა წელი ჩვენ მეწისქვილეს: მე სად შემიძლიან ამ საქმის გაკეთებაო! მელიამ ჩაარტყა თავში და უთხრა: — მოიტა ჩქარა ტომარა, შე უშნოო. გამოართვა ტომარა და გაიქცა. მიამტვრ-მოამტვრია ყველა ხის კენწერო, აავსო ტომარა და დაბრუნდა მეწისქვილესთან, მისცა ტომარა და უთხრა: — წადი ხელმწიფის კარიდან დაიწყე გადაყრა და, სანამ შენ სახლთან არ მოხვიდე, უკან არ მიიხედოო. წა-

უიდა, მართლა დაიწყო ხელუკუღმა გადაყრა, და რომ მივიდა თავის სახლთან, გაიხედა და მშვენიერი სანახავი იყო: შუა გზაზე დაფენილი ხალიჩა-ფარდაგი და გზის იქით და აქეთ დახვადასხვა ხეხილი იყო ჩამწყკრივებული: რიგი მწიფდა, რიგი მყვოდა და რიგი ჩამოდიოდა.



ძეორე დღეს მიცუნცულდა მელია ხემწიფესთან, გამოიყვანა და გაახედა აყვავებული გზისკენ. ხელმწიფეს ძალიან შოეწონა და უთხრა: — ერთსაც დაგავალე და, თუ ამასაც შემისრულებთ, მე მზადა ვარ, ჩემი ქალი თქვენ მოგათხოვოთ. — აბა, რას გვიბრძანებთ? — უთხრა მელიამ. — ჩემს სასიძოს თუ შეუძლია მავან და მავან ადგილას გააშენოს ვენახიო. წამოვიდა მელია და მეწისქვილეს მოახსენა. უპ, ელდა ეცა უარესად: მე სად შემიძლია ეს საქმე შევასრულო!

მოუვიდა მელიას ბრაზი, წაავლო ხელი მეწისქვილეს და უთხრა: მომყევი ჩქარაო! წაილო ვაზის რქები დანიშნულ ადგილზე. მივიდა, ოთხივე კუთხეში დაურქო ვაზის რქები, ნაფოტებისაგან გააკეთა მარნები, მეზვრეებისათვის გააკეთა სახლები, ჯოხის კაცები და ჯოხისავე თოფებით დააყენა მწკრივებს შორის. გადასწერა ჯვარი და მთელი ეს ცარიელა ადგილი გადაიქცა მშვენიერ ზვარად. ზვარს შემორტყმული ჰქონდა მშვენიერი გალავანი. შიგნით გადაჭიმული იყო მარნები, მეზვრეებისთვის სახლები და მეზვრები კი თოფით ხელში უვლიდნენ ზვარს.

მეორე დღეს მივიდა მელია ხელმწიფესთან და უთხრა: — აბა, დაინახე შენს სასიძოს რა შესძლებიაო! გადმოიხედა ხელმწიფემ და დაინახა მართლაც მშვენიერი სანახავი. ძალიან მოიწონა და უთხრა: — მავან და მავან დღეს მობრძანდეს ჩემი სიძე და წაიყვანოს ქალიო.

წამოვიდა მელია მეწისქვილესთან და უთხრა: მავან დღისათვის წავიდეთ და მოვიყვანოთო. ჩვენს მეწისქვილეს უფრო ელდა ეცა. ეს მელია აღარა ხუმრობს, სახლი არა მაქვს და სად უნდა მოვიყვანო, ამ წისქვილის გაფქვილულ ოთახში ხომ არ შემოვიყვანო?!

დანიშნულმა დღემ მოაწია და მაყრიონი ქალის მოსაყვანად გზას გაუდგა. მელია დაწინაურდა და მინდვრის ყვავილი, ჩაყარა წყალში და თვითონ კი კივილით გაიქცა ხელმწიფესთან. ამ ხმაზე გამოვიდა ხელმწიფე და იკითხა მელიას კივილის მიზეზი. — რა გაკივლებს, ჩემო მელიავ, ხომ არაფერი დაგეშარათა, რა ამბავიაო? დაიწყო მელიამ უფრო ტირილი და თავში ცემა. — რალა რა ამბავია, ჩემო ხელმწიფევ, აბა, გაიხედე წყლისკენ, წითელ-ყვითლად რომ ჩანს, სულ თქვენი სიძის ტანსაცმელია, წყალმა წაგვართვაო. — მაგის გულისათვის რა გატირებსო? — უთხრა ხელმწიფემ, — წადი და, რომელიც საუკეთესო ტანსაცმელი იყოს, ჩამოუღეთ და გაატანეთო, — უთხრა თავის შინაყმებს. წამოიღო მელიამ ტანსაცმელი ნეფისათვის, ჩააცვა და უთხრა:

— არამც და არამც ტანსაცმელზე ყურება არ დაიწყო, თორემ შეგატყობენ, რომ ხამი ხარ და სირცხვილიაო. თავის

სიცოცხლეში მეწისქვილე პირველად ხედავდა ასეთ ტანისა-
მოსს და რას არ დახედავდა! მივიდნენ, ნეფიონი დასხდა,
მაგრამ ეს ჩვენი რახრახ მეწისქვილე სულ ზედ იყურება ტან-



საცმელზე. მეფის ვეზირები ეკითხებიან: --- მეღიავ, ეს ჩვენი
სიძე რათ იყურება ასე ტანისამოსზეო? მეღია კი, როგორც
წონგრეზებული სიტყვის პატრონი. უპასუხობს: — კაცო, ხომ
ღანახეთ, როგორი ტანისამოსი იყო შაჰისა, წყალს რომ მი-

ჰქონდა? თავის ტანისამოსთან არ მოსწონს და იმიტომ იყურებაო.

გათავდა ქალიანთა ქეიფი, შესხდნენ ცხენებზე და წამოვიდნენ.

დაწინაურდა ისევ მელია. წამოვიდა დევების სახლებისკენ და დაიწყო ყვირილი: — არიქათ, თავს უშველეთ, თორემ ჯარი მოდის და ყველას გაგწყვეტენო. გამოცვივდნენ დევები, დიდი და პატარა, და დაედევნენ მელიას: ჩემო მელიავ, ჩვენც გადაგვარჩინეო. — მომყევითო! — უთხრა მელიამ და გაუძღვა წინ. მიიყვანა თივებთან და უთხრა: — შეძვერით ქვეშ და რამდენიც დაგიძახოთ „გულთან“, თქვენ იმდენი გულში მიქუჩდითო. შეაძვრინა ყველა დევი, მისცა ასანთი გარშემო, აინთო ცეცხლი. ურბენს თვითონ მელია თივებს და ყვირის: „გულთან, გულთანაო!“ დევები უფრო გულთან მიიწვედნენ და სულ შიგ ამოიბუგნენ. გამოიქცა მელია, გააღო სახლის კარი და თვითონ ისევ შეეგება ნეფიონს. გამოუძღვა წინ და მიიყვანა დევების სახლში. მეწისქვილეს კი უთხრა: არამც და არამც აქეთ-იქით ყურება არ დაიწყეო. მივიდნენ, მაგრამ ჩვენი ნეფე პირლია იყურება ხან ერთი კედლისკენ და ხან მეორე კედლისკენ. უკვირს, ის პირველად ხედავს ასეთ მორთულ სახლს. უყურებენ ქალის მაყრები და ეუბნებიან მელიას: — კაცო, თუ ის ტანისამოსი სხვისი იყო და თავის ტანსაცმელთან არ მოსწონდა, ეს სახლი ხომ თავისია, აქ რაღა აქეთ-იქით იყურება, რაშია საქმეო? მელიამ ჩაიციინა და უთხრა: — იცით, რა ეშმაკი თვალისაა თქვენი სიძე? აი, იქ ერთი თვალი მარგალიტი აკლია და იმასა ნაკლისობსო, — იცრუა მელიამ.

შუა ღმერთში არიან და მელიამ მოიგონა ავადმყოფობა. მოახსენეს ნეფეს, რომ მელია კვდება და რა ვუყოთო. — გაიტანეთ და სახლის უკან გადაადგეთო, ბრძანა ნეფემ.

წამოხტა მელია, დაეჭიდა წვერებზე ნეფეს და დაუწყო რყევა, თან ეუბნებოდა: ვთქვა შენი კარგი კაცობა, ვთქვაო? შეშინდა ჩვენი მეწისქვილე, მართლა არაფერი თქვასო, და შეეხვეწა: — არა, არა, ჩემო მელიავ, ნუ იტყვიო, — და უთხრა თავის მოსამსახურეებს, — გაუშალეთ ფარჩის ლოგინი და ჩააწვინეთო! მერე მართლა მოკვდა ჩვენი მელია.

ცხენი ვიყიდე ახალი,
ახლად ამდგარი ჭანზედა.
კაცმა რო სიტყვა ამოსთქვას,
უნდა რამ იყვეს წარზედა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო ერთი დიდებული ხელმწიფე; ჰყვანდა სამი ვაჟი და სამი ქალი. უმცროსს ვაჟს ეძახდნენ ვაშლას. ხელმწიფე რო კვდებოდა, შვილებს ანდერძად სამი რამე დაუგდო: რომ მოვკვდები და დაშმარხავთ, სამ დღე-ღამეს მიდარაჯეთ რიგ-რიგათო. ეგ სამი ჩემი ცოდვის შვილები მაშინვე გათხოვეთ; ვინც პირველადა გათხოვოთ, იმას მიეცით და სპილენძის ქალაქში რომ სამი მზეთუნახავი ქალია, ისენი თქვენ წამოიყვანეთო. გარდაიცვალა ხელმწიფე, დაასაფლავეს, როგორც რიგი და წესი მოითხოვდა.

პირველსავე დღეს ჩამოწვა ღრუბელი ვაჟების კარებზედ, შეუგზავნა კაცი ძმებს, სთხოვა და ცოლად. ვაშლამ უთხრა ძმებს: ძმებო, მამის ანდერძს ნუ გავტეხთ, ქალის მთხოვარი მოგვივიდა, რას იტყვიოთ. ძმებმა უთხრეს: რაც გინდა ისე ქენო. გაიყვანა უფროსი და ვაშლამ, მისცა ღრუბელს და გაისტუმრა. ის იყო ღრუბელი წავიდა, მოვიდა არწივი. შეუგზავნა ძმებს კაცი და სთხოვა და ცოლად. ძმებმა უარი უთხრეს, ვაშლამ კი გაიყვანა საშუალო და და მისცა არწივს. არწივმა შეისვა ქალი მხრებზედ და გასწია თავის სახლისაკენ. არწივის შემდეგ ეშმაკი მოვიდა. უმცროსი და ვაშლამ ეშმაკს მისცა და შეასრულა ერთი მამის ანდერძი.


რო დაღამდა, ძმები სადარაჯოდ დაემზადნენ. წილი ყარეს და მამის საფლავის ყარაულობა წინა ღამეს უფროს ძმას ერგო. უფროსი ძმა წავიდა სადარაჯოდ. დაჯდა საფლავზედ და დაიწყო ლოდინი. ცოტა ხანი გავიდა და მაიღო საფლავზე გრიალი შავრაშინმა მხედარმა. მხედარი ყორანივით შავად იყო შემოსილი, რაშიც შავი ჰყავდა, იარალიც შავი ჰქონდა, შავი ნისლი ებურა. — ვინა ხარ, რას დაეთრევიო, — დაუ-

ძახა უფროსმა ძმამ. — წადი, შენს გზას გაუდგეო! შავმა მხედარმა შემოჰკრა რაშს და სიბნელეში მიიმალა. შუალამის დროს წითელი მხედარი მოვიდა. წითელი რაში ჰყავდა, წითელი ტანისამოსი ეცვა, წითელი აბჯარი ჰქონდა ასხმული, წითელი ნისლი ეხვია. ისიც გააფრთხო ვაჟმა და დაჯდა ისევ-თენების დროს თეთრი მხედარი მოვიდა, თეთრს ცხენზედ იჯდა, თეთრად შეკაზმულზედ, თეთრის საცმელით, თეთრის აბჯრით, თეთრით, როგორც წიშარო თოვლი, თეთრი ნისლი ეხურა პირზედ. ისიც გააფრთხო უფროსმა ძმამ და წავიდა ძმებთან. ძმებს უამბო: ესე, ესე, ისეთ-ასეთი კაცები მოვიდნენ და გავაფრთხო.

მეორე ღამეს საშუალო ძმა წავიდა. იმ ღამესაც ვახშმობის დროს შავი მხედარი მოვიდა, გააფრთხო. შუალამის დროს წითელი მხედარი, ისიც გააფრთხო. თენებისას თეთრი მხედარი მოვიდა, ისიც გააფრთხო. დილით დაბრუნდა სახლში და ძმებს უამბო, რომ წუხელ ასეთ-ისეთი კაცები მოვიდნენ და მე გავაფრთხო.

მესამე ღამეს უმცროს ძმაზედ ვაშლაზედ მიდგა რიგი. იმან აიღო მშვილდი და ისარი და წავიდა სადარაჯოდ. ვახშმობის დროს გამოჩნდა შავი მხედარი, მივიდა საფლავთან, ჯერ მიიხედ-მოიხედა, მერე გადმოხტა ცხენიდან, დაჰკრა ბარი სამარეს და სთქვა: აი, შე ასეთ-ისეთო, სანამ ცოცხალი იყავ, ვერაფერი გიყავ და ეხლა მკვდარი ხომ ჩემს ხელში ხარო. ამის თქმას და ვაშლასაგან მშვილდის დაზიდნება ერთი იყო. იქეჟა მშვილდმა და შავი მხედარი უსულოდ კი დავარდა. ადგა ვაშლა. გაჰხდა ტანისამოსი, აჰყარა აბჯარი, ცხენი წამოიყვანა, დამალა და თვითონ ისევ დაჯდა სადარაჯოდ. შუალამე რო გახდა, პირველი მამლის ყვილი, მოვიდა წითელი მხედარი. იმანაც ისე ჰქნა და ისა სთქვა, რაც შავმა მხედარმა. ვაშლამ ისიც მოჰკლა, აჰყარა იარაღები, გახდა ტანისამოსი, წაიყვანა რაშიც, ისიც დამალა და დაჯდა თვითონ ისევ სადარაჯოდ. თენების ხანს თეთრი მხედარი მოვიდა. ისიც მოჰკლა ვაშლამ და იმის მოკაზმულობაც შეინახა. გათენდა. მივიდა სახლში და ძმებმა რო ჰკითხეს: რა ჰქენო, იმან უთხრა: დავხოცე და მოვიშორეო. ძმებმა არ დაუჯერეს და არც ვაილამ შეატკია თავი. ორი ანდერძი რო აასრულა მამისა, ვაშლამ უთხრა ძმებს:

ძმებო, აბა ეს ორი ანდერძი რო აუსრულეთ მამას, ეს შესამეც
 ავუსრულოთ. ნუ შევრცხვებით ბოლოს, წავიდეთ და მამამ
 რო გვიჩივს ცოლებად ის მზეთუნახავები მოვიყვანოთ.
 ძმებმა დაჰცინეს: შენმა მზემ, შენ კი ეგ არა სამივეს ერთათ
 მოიყვან, თუ წახვედი შენ აღარა დაგიდგებო.



ადგა ვაშლა, შეკაზმა შავი რაში ჩუმად, ჩაიკვა შავი სა-
 ცმელი, შავი აბჯარი აისხა, შემოჰკრა და გააფრინა სპილენ-
 ძის ქალაქისაკენ. როდესაც სპილენძის ქალაქთან მივიდა ვაშ-
 ლა, ნახა, რომ ქალაქს ისეთი გალავანი არტყია, თვალი ვერ
 აჰწვდებდა. რაშმა უთხრა ვაშლას: გალავანთან რომ მივალთ,
 სამი ისეთი გადმომკარ, სამი შოლტი საქალმე ტყავი ამძვრეს.
 ზედ მარილი გადმომაყარე, გამაგრდი ზურგზედ და მე ვიცი
 და იმ ქალებმანო. მართლაც, გადაჰკრა ვაშლამ რაშს სამი მათ-

რახი, სამი პირი ტყავი აჰქვრა. ზედ მარილი გადააყარა. ისკუ-
მა რაშმა და გალავანს ზედ კი გადაეველო. მოიტაცა უფროსი
ქალი და გამოჰწია შინ. სახლში რომ მოვიდა, ვაშლამ დამალა
ქალიც, გაიხადა შავი ტანისამოსიც; შავი რაშიც დამალა და
ისე გამოეცხადა ძმებს. ძმებს არაფერი არ უთხრა. მეორე
დღეს ისევ გაემზადა ვაშლა და უთხრა ძმებს: აბა, ძმებო,
წავიდეთ, მზეთუნახავი მოვიყვანოთ. — აი, შენმა მზემაო,—
უპასუხეს ძმებმა. — გუშინ რო შავი მხედარი ყო, სუ იმას არ
ჰგებარო. წავიდა ვაშლა. შეკაზმა წითელი რაში, წითელი
უნაგირითა, წითლად შეიმოსა, წითელი აბჯარი აისხა. შეჭდა
ცხენზე და გაემართა ისევ მზეთუნახავებისაკენ. წითელმა
რაშმაც ისე უთხრა. გადმოიყვანა საშუალო ქალიც და მივიდა
სახლში. მეორე დღეს რო გათენდა. ვაშლა ისევ ადგა წასასვ-
ლელად, ისევ უთხრა ძმებს, მაგრამ რმათ ისევ უარი უთხრეს.

ადგა ვაშლა, შეკაზმა თავის თეთრი რაში, თეთრი ტანისა-
მოსი ჩაიცვა, თეთრი აბჯარი აისხა და გაფრინდა ქარივით
უმცროსი მზეთუნახავის წამოსაყვანად. გალავანთან რო მი-
ვიდა, რაშმა უთხრა: მოსართავეები მაგრა მამიჭირე, სამი მათ-
რახი გადმომკარ, სამი შოლტი ტყავი ამქვრება, ზედ მარილი
გადამაყარე, ლამე გადმოვიყვანო. ვაშლამ ყველაფერი ისე
ქნა, როგორც რაშმა ასწავლა. ისკუმა რაშმა, გადახტა და წა-
მოიყვანა უმცროსი ქალიც. მოვიდა სახლში, შეიყვანა ქალი
დებთან, რაში რაშებთან, თვითონ ძმებთან შევიდა. წამოიყვა-
ნა, ჯერ ქალებთან შეიყვანა: უფროსი უფროსს მისცა, სა-
შუალო — საშუალოს, უმცროსი თავად დაიჭირა. მერე რა-
შებთან შეიყვანა; შავი რაში უფროს ძმას მისცა და შავი ტა-
ნისამოსი და მორთულობა, წითელი — საშუალო ძმას და თე-
თრი თვითონ დაიჭირა. — აი, ეს რაშები და ეს ტანისამოსი
იმ კაცებისაა, თქვენც რო ჰნახეთ, მამაჩვენის საფლავზედ რო
მოდრიოდნენ. მე დავხოცეო. ეს ქალებიც მამაჩვენმა რო ან-
დერძად დაგვიგდო მზეთუნახავების ცოლად შერთვა, ისენი
არიანო. ის კაცები ერთხელ შავის რაშით რო ჰნახეთ, ქალი
რო მოიტაცა, ერთი წითლის რაშით და ერთიც თეთრის რა-
შით და თეთრის აბჯარ-აბგრით, მე ვარო. გაუხარდა ძმებს;
დაიწყეს ცხოვრება ტკბილად და გემრიელად.

ერთხელ ვაჟები სანადიროდ იყვნენ. მინდორში ერთი ციდამტკაველა კაცი ნახეს. თვითონ მუშტისტოლა მძლივ იქნებოდა და უღვაშები კი თითო ადლი ჰქონდა. უფროს ძმებს ძალიან გაუკვირდათ, სთქვეს კიდეც: წაიყვანათ, ჩვენს ცოლებს გასართობლად გამოადგებაო. ვაშლამ უშალა: ნუ გინდათ, უბედურებას რასმეს შეგვამთხვევსო, მაგრამ ვერ დააშლევინა. წამოიყვანეს ციდამტკაველა სახლში და წამოვიდნენ. ცოლებს ძალიან გაუკვირდა ციდამტკაველა და სუ იმის ჩანშილში იყვნენ. ერთხელ სამივე ძმა სანადიროთ იყვნენ. იმათ ცოლებმა გამოიყვანეს ციდამტკაველა კარში და ეთამაშებოდნენ. უცებ ეს ციდამტკაველა უშველებელ ვეშაპად კი იქცა, მოიტაცა ვაშლას ცოლი და ერთი გაუსო, წაიყვანა და წაიყვანა. დაბრუნდა ვაშლა სახლში, სადღაა ცოლი. შემოიკრა თავში და პირში, მაგრამ რას უშველიდა.

შეკაზმა ბოლოს თავის თეთრონი, ჩაიცვა თეთრი ტანისამოსი, თეთრი აბჯარი აისხა და გასწია საძებნელად. ბევრი იარა. ცოტა იარა, მოვიდა ღრუბლის სახლში. ღრუბელი სანადიროდ ყოფილიყო, უფროსი და კი შინ დაჰხვდა. დას ძალიან გაუხარდა ძმის მისვლა. გადაეხვივნენ ერთმანეთს, დაუწყეს კოცნა. ვაშლამ უამბო დას, რადაც მივიდა იმათას ან სადაც მიდიოდა. რო დასალამოვდა, დამ უთხრა ვაშლას: ძმაო, დაგმალავ, თორემ შენი სიძე მოვა და ვაითუ ვერ გიცნოს და ზიანი რამ გიყვასო. აქცია ვაშლად და დადო ტახტზედ. მოვიდა სალამოზედ ღრუბელი და ცოლს უთხრა: კაცის სული მომდისო. — აქ კაცს რა საქმე აქვს, — უთხრა ცოლმა; გადუქრა ლაპარაკი და მერე უთხრა ცოლმა ღრუბელს: აქ ჩემი ძმა რო ვინმე მოვიდოდა, რას უზამდიო. უფროსი იქნება, მწვადად ავაცვამ, საშუალო იქნება, დავციცქნი და თუ უმცროსია სულში ჩავისვამო. აილო ქალმა ვაშლი ხელში და უთხრა, რომ შენი უმცროსი ცოლისძმა არისო აქავო. ვაშლი იქცა ვაჟად და ვაშლამა და ღრუბელმა ერთმანეთი ჩაჰკოცნეს. ღრუბელმა გამოჰკითხა ყველაფერი ვაშლას. ვაშლამ უამბო, სადაც მიდიოდა ან რადაც და ჰკითხა: ხომ არსად გინახიაო. — ვნახეო, — უთხრა ღრუბელმა, — კიდეც გამოვუდექი, ხელსახოციც წავართვი ქალს, მაგრამ ის ისეთი ვაჟია, რომ იმას ვერავინ რას გამოართმევსო. მე არაფერი არ ვიცი სხვაო.

მისცა ხელსახოციც და უთხრა: როდესაც გაგიჭირდება, ეს ხელსახოცი გამოგადგე?ო. გამოეთხოვა ვაშლა და წავიდა საძებნელად.

გზაზედ არწივს შეეყარა. გამოეგება საშუალო და და დაუწყო კოცნა. შეიყვანა შინ და დაუწყო ამბის კითხვა. ძმამ უამბო ყველა თავის თავგადასავალი და უთხრა, რომ ეხლა საძებნელად მივალ და სიძეების თავი მჭირიაო. სადამო ხანი რომ მოახლოვდა, დამ უთხრა ვაშლას: ძმაო, თუ დაგმაღავ, თორემ შენს სიძეს ვაითუ სხვა ვინმე ეგონო და შეგამთხვიოს რამეო. აქცია ხელსახოცად და მუთაქის ძირში ამოდო. სადამოზედ არწივი მოფრინდა და სთქვა: სულიერის სული მომდისო. — აქ კაცს რა უნდა შენის შიშითაო, — უთხრა ცოლმა. — და გადაუკრა ლაპარაკი: ჩემი ძმა, საითმე მოვიდოდა აქ, რას იზამდიო. — უფროსი იქნებოდა მწვადად ავაცვამდი, საშუალო იქნებოდა წვრილად დავჭრიდი და უმცროსი იქნებოდა და სულში ჩავიძვრენდიო. — აქ არის შენი უმცროსი ცოლის-ძმაო, — უთხრა ქალმა, — და გადმოუჩინა ვაშლა. ვაშლამა და არწივმა დაჰკოცნეს ერთმანეთი და ჰკითხეს ამბავი. ვაჟმა უამბო, რადაც იყო მოსული, ბოლოს ჰკითხა: ხომ არსად გინახიაო. — ვნადირობდიო, — უთხრა არწივმა, — იმ დროს გადმოატარა ქალი, გამოუდევ, ქოშის წართმევა კი მოვასწარ და ვერ წავართვი კიო. ის იმისთანა ვაჟია, რომ ეგრე ადვილად იმას ვერავენ წაართმევსო. გაუვსო იქაც ჭიქა წყლით და უთხრა: სანამ ეს წყალი ჭიქაში ფერს არ იცვლის, ცოცხალი მიგულებთ, გაწითლდება და მკვდარი ვარო. გამოეთხოვა ამათაც მეორე დღეს და დაუდგა გზას.

ვაშლა მივიდა ეშმაკთან. გამოეგება უმცროსი და და დაუწყო კოცნა. შეიპატრეა სახლში, დასვა და დაუწყო ამბის კითხვა. ვაშლამ ყველაფერი უამბო დას, სადაც მიდიოდა და ან რადაც. სადამო რო მოახლოვდა, დამ ვაშლა წყლიან ჭიქად აქცია და ქმარს მარტო მაშინ გამოუჩინა, როდესაც ქმარმა უთხრა, რომ უმცროსს ძმას სულში ჩავიძვრენო. ვაშლამ უთხრა ეშმაკს, თუ რადაც გაისარჯა და მოვიდა იმასთან. ეშმაკმაც უთხრა: მეც ვნახე, მიჰყვანდა, დავედევნე კიდევ წასართმევად, მაგრამ მე იმას ვერ წავართვიო. ის ისეთი ვაჟია, რომ ჩემისთანები იმას ქალს ვერ ართმევენო. ეს კი იყო,

რომ ქალს ბეჭედი წავაძრე ხელიდგანაო. გამოთხოვების დროს აავსეს იქაც ჭიქა წყლით და უთხრა ვაშლამ ეშმაკს: თუ ჭიქაში წყალი გაწითლდა, მაშინ მკვლარი ვარო. გამოეთხოვა და გაუღდა თავის გზას.




ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა ვეშაპის სახლში, სადაც იმის ცოლი იყო. მივიდა თეთრცხენიანი ვაშლა ვეშაპის კარზედ, იცნო ცოლმა და ტირილით მიეგება წინ: რად მოხველ, რადლა დამაღონებ ისედაც დაღონებულს, ხო მოგკლავს ის უსურმაგიო. — ნუ გეშინიანო, — უთხრა ვაშლამ, — გამომყევ და იმან რაც უნდა ისა ქნასო. შეისვა ვაშლამ ქალი თავის თეთრონზედ და გაუღდა გზებს.

მოვიდა ცილამტკაველა შინ, მოიკითხა, — აღარსად ცოლი! მოაჯდა თავის სამფეხიან რაშს და გაუქროლა. ცოტა ხნის შემდეგ დასწვდა ვაშლას, წაართვა ქალი და უთხრა: ეხლა კი მიპატიებია, რადგანაც მეც მოგტაცე ცოლი და მეორედ კი აღარ გაჰბედოვო. გაუშო ვაშლა თავის გზაზედ, ქალი თვითონ

შეისვა ცხენზედ და გასწია სახლში. ვაშლამ ამით არ მოიშალა, ადგა ისევ და წავიდა ციდამტკაველას სახლში. ქალმა უარესად დაიწყო ტირილი: ეგ არი, აღარა გიხსნის, რად მოხვიდოდრი, რალა დაღონება და დაძმარება მაკლდაო. ვაშლამ მეორედ მოიტაცა ცოლი და გაუდგა გზას. გზაზედ ცოლმა ჰკითხა: რით, ან როგორ უნდა გავეხვეწოთ ციდამტკაველასაო. — სხვით არაფრით არ შეიძლება, იმას გაასწროს კაცმა, თუ ისეთივე რაში არ იშოვა, როგორც ციდამტკაველასა ჰყავსო. იმან ის რაში ზღვიდან გამოიყვანა. წავიდა ზღვის პირს, წაიღო სამი ღუმე, უსო, უსო ქვას ერთი ღუმე და გამოჩნდა რაში ზღვიდან. რაშს უკან სამი მგელი მოჰყვა. ის ორი ღუმე ორი მგლისთვის გადაეგდო, მესამე გაღეული ყოფილიყო და აბა მესამე მგელს რას გადაუგდებდა. იმ მესამე მგელს მოეჭამა იმის რაშისთვის მეოთხე ფეხი და ეხლა სამფეხა იმითა ჰყავსო. ესენი ამ საუბარში იყვნენ, რო ციდამტკაველა სახლში დაბრუნდა. ცოლი შინ ვერა ნახა: მაშინვე მიჰხვდა, ისევ ვაშლა წაიყვანდაო და გამოუდგა. დაეწია, დაკუწა, ჩაყარა გახურებულს რკინის ყუთში, დაკეტა და ზღვაში გადააგდო ვაშლა, ქალი უკან დააბრუნა და ავიდა სახლში.

აქ რო ვაშლა დაკუწა ციდამტკაველამ, იქ ღრუბლისას, არწივისას და ეშმაკისას ჭიქაში ჩაყენებული წყალი გაწითლდა, იქცა სისხლად. ღრუბელმა დაუარა სხვა სიძეებს და შეატყობინა, რომ ვაშლას საქმე უჭირსო. მაშინვე შეიყარნენ ერთად ღრუბელა, არწივი, ეშმაკი და გასწიეს ვაშლას საშველად. ჩაწვა ღრუბელა ზღვაში, ამოიღო ზევით ვაშლა, არწივმა დაუჭროლა, გამოიტანა ნაპირს, ეშმაკმა გატეხა ყუთი, გადაასხა ვაშლას ძვლებს უკვდავების წყალი და გააცოცხლა. ადგა ვაშლა, მაიფშვნიტა თვალეზი და სთქვა: ოჰ, რა ბევრი მძინებიაო. — ბევრი მაშინ გეძინებოდა, რომ ჩვენ არ შეგსწრებოდითო, — უთხრეს სიძეებმა, — და უამბეს, თუ მკვდარი როგორ იპოვეს და როგორ გააცოცხლეს. ვაშლა გაემზადა ისევ წასასვლელად. სიძეებმა უშალეს, მაგრამ არ დაიშალა. წავიდა ზღვის პირას, წაიღო ბევრი ღუმე, დაჯდა იმ ქვაზედ, რომელიც ცოლმა ასწავლა და დაუწყო ღუმის სმა ქვაზედ. ერთი ღუმე რო გალია, გამოჩნდა კიდევ ზღვიდამ რაშის ყუ-

რები. მერე რაშიც გამოვიდა და მოჰყვნენ მგლებიც. მგლებს ვაშლამ ღუმები გადუყარა, თითოს, მგონი, ხუთ-ხუთიც შეჰხვდა. იმათ ისენი დაირიგეს და ვაშლამ კი თავის რაშით მოუსო ციდამტკაველასაკენ. მოვიდა ქალთან, მოიტაცა და გააფრინა.



მოვიდა ციდამტკაველა, აღარ დაჰხვდა ცოლი და მაშინვე რაშთან მიიქრა. დავეწევით თუ არაო, — წინათაცა ჰკითხავდა ხოლმე რაშს და აჩქარებდა, მაგრამ რაში ეტყოდა: ფიქრი ნუ გაქვს, ვერსად წავგივლენო. ეხლა კი რაშმა გადაუწყვიტა იმედი: ეგ არი, იმათ ჩვენ ველარ მოვეწევითო. მაინც შეჯდა ციდამტკაველა რაშზედ, გამოუდგა ვაშლას, მაგრამ ვაშლას რაში სხვანაირად მოფრინავდა. ციდამტკაველას სამფეხი დარჩა და გავიდა სამშვიდობოს ვაშლა. გზაზედ შე-

უარა სიძეებს, ყველგან ლხინი გაუმართეს, და მერე გასწოთათვის სახელმწიფოში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა.
აქ სიცოცხლით გავვიძელით,
საიქიოს ცხონებითა.
ელასა-მელასა,
ძილი გაამოთ ყველასა.
მთქმელსა და გამგონებელსა,
ძილი გაამოთ ყველასა,
ჩიტი გაფრინდა ცხრა ფრთანი,
ასი ტყუილი — ერთი მართალი...

გრძნეული ცხენი



ერთი ხელმწიფე აუო, სამი შვილი ჰყავდა. ამ ხელმწიფის ცოლი დევებმა წაიყვანეს და ბავშვები დარჩა წვრილი. გაიზარდნენ ეს ბავშვები და დაიწყეს დაკარგული დედის ძებნა: ან მკვდარი უნდა ვნახოთ და ან ცოცხალიო. სულ პატარა შვილმა სთქვა: ეხლა მე უნდა წავიდეთ. — შვილო, ერთი მოხუცი ცხენია, ამას მოუარე და ამით წადიო. ამ შვილმა მოასუქა ეს ცხენი, აიღო მრავალი ფული და წავიდა. იარა, იარა

ამ ცხენით და ნახა გზაზე ერთი ძეგის ფრთა. აიღო და ხურჯინში ჩაიღო. ამ ცხენმა ენა იცოდა და უთხრა: მეფის შვილო, ჩემო ხელმწიფევ, თავი დავანებოთ ამ ფრთას, რადგან თავს აგვატყენსო, მაგრამ ხელმწიფის შვილმა არ დაუჭერა.

იარეს, იარეს და სხვა სახელმწიფოში გადავიდნენ. ქალაქში რომ მივიდა, თავლა მოიკითხა. ნახა და არის იქა. არავინ არ არის თავლაში იმის მეტი. მარტო ის კაცი გაჩერდა. ეს ფრთა ამოიღო და თაროზე დადო. ლოთები დადიან და ნახეს, რომ ამ თავლაში ცეცხლი აღის. ნამდვილათ ფრთა აშუქებდა. ეს ამბავი ხელმწიფემდი მივიდა. დაიბარეს ეს კაცი ხელმწიფესთან. ეს ფრთაც მოატანინეს, დასდეს და ნახეს, რომ აშუქებს. შეეკითხა ხელმწიფე: ეს რისი ფრთა არისო. — არ ვიციო, — უპასუხა ხელმწიფის შვილმა. ბოლოს ხელმწიფის ერთმა კოჭლმა გამოიცნო: ეს „ანყაყუშის“ ჩიტის ფრთა არისო. მერე ამ ხელმწიფემ ამ ფრთის აატრონ ბიჭს უთხრა: ამ ფრთის პატრონი ჩიტი უნდა მოგვიყვანო. უსიკვდილოთ უნდა მოგვიყვანო, თორემ თავს მოგჭრიო.

წამოვიდა ეს ბიჭი, მივიდა ცხენთან და ტირის. ცხენმა უთხრა: რატომ არ დამიჭერე, რომ ეს ჩიტის ფრთა თავს აგვატყენსმეთქი. მაგრამ ნუ გეშინიან, ადრე დავიჭირავთ ამ ჩიტსო. შენ მხოლოდ 40 დღე აიღე ხელმწიფისაგან, 600 აქლემი ქერით დატვირთული და ერთი აქლემიც დასაკლავად წამოიყვანე. წავიდეთ და სადაც მე გითხრა, იქ დაუშვათ საპალნეებიო.

იარეს, იარეს, ერთ უბირ ქვეყანაში ჩავარდნენ. მივიდნენ და ერთი ტრიალი მინდორია. ცხენმა სთქვა: აქ დაუშვათ საპალნეებიო. დაუშვეს. შემდეგ ქერი ჯიშრებიდან გადმოყარეს და გააპნიეს მინდორზე ხუთი გოჯის სიმალლეზე. ხოლო შუაში აქლემი დაკლეს და გაატყავეს. ის ხალხი გააბრუნეს, რომლებიც აქლემებს ახლდა, აქ რომ დარჩა მინდორზე მარტო ბიჭი და ცხენი. ამ ცხენმა უთხრა ამ ბიჭს: აქლემის მკერდში შედი და იქ დაიმალე. ქვეყანაში რაც ჩიტია ყველა აქ მოგროვდება და ქერის ჭამას დაიწყებენ, ხოლო იმ ფრთის პატრონი ჩიტი ქერს არა ჭამს გარდა ხორცისაო. ჯერ იცოდე, დაიწყებს ზეცაში ტრიალსა და შემდეგ ჩამოვა და დაგაჯდება. შენ კი, როცა დაჯდეს, აქლემზე ხელი არ მოჭკიდო. ჯერ გა-


ძღეს და რომ ამძიმებდა, მაშინ სტაცე და მეც მოგე-
ხმარებო. მოვიდა ეს ჩიტი და ხორცსა ჭამს. სხვა ჩიტები
ჭერსა ჭამენ. როცა გაძღა, მაშინ მოჰკიდა ბიჭმა ხელი ფრთებ-
ში და ცხენიც გამოიქცა იქიდან. დააწვა ზედ და ბაწარით
გაკოჭა ეს ჩიტი.

შეჯდა ცხენზე და გამოსწია ხელმწიფესთან. მოიყვანა ჩი-
ტი. კოჭლმა სთქვა: მე არა ვსთქვი ბიჭი მოიყვანს ჩიტ-
საო, აკი ხომ მოიყვანა დიდებულო ხელმწიფევე. ეს ჩიტი და-
დევს მეფის სასახლეზე და ამდენი შუქი მისცა, რომ ამერი-
კას დაინახავდი. ამ ჩიტმა არაფერი ჭამა, დაღონდა და ფიქ-
რობს. დაუძახეს ამ კოჭლს და ჰკითხეს: რა დაემართა ამ ჩიტ-
სო. კოჭლმა სთქვა: კვერცხები აქვს და სანამღი იმას არ მო-
ვიტანთ, მანამდე არაფერს ჭამსო. ხელმწიფემ დაიბარა ეს
ბიჭი და უთხრა: ეხლა ის კვერცხი მოგვიტანეო, თორემ იცო-
დე თავს კისერში წაგაგდებინებო.

ადგა ეს ბიჭი და დაიწყო ტირილი. რა ქრისტე ღმერთი
გამიწერა, ღამ ამალეზინა ის ფრთაო. მოვიდა ტირილით ცხენ-
თან. ცხენმა უსაყვედურა და ბოლოს უთხრა: ნუ ტირი, ესეც
ადვილი მოსაგვარებელიაო. წადი და ხელმწიფეს უთხარი,
რომ ერთი ცხვარი დაჰკლას, გაატყაოს და ხორცი, რაც იქნე-
ბა, მოიტანე აქაო. ეს ბიჭი წავიდა და დააკვლევინა ერთი ცხვა-
რი და ნახევარი ფუთი თივა ორად გაკოჭა, თანაც საგზალი
'რაც ეჭირვებოდა და მოვიდა ცხენთან. აჰკიდა ყველა ესენი
ზურგზე და წავიდა. იარეს, იარეს და ერთ კიდევ უბირ
კლდეებში მივიდნენ. ცხენმა უთხრა: აქ ჩამოდი და გამიშვი
მეო. შენ ადი და ნახავ, რომ იმ კლდეებს შუა იმისი ბუდეა და
ეს ხორცი და ეს თივა იქ მიიტანეო. რო აიტანო, კარზე აბია
ორი ვერძი ჯაჭვებით. აიღე ეს თივა და ერთი ათგირვანქიანი
ერთს მიეცი და მეორე მეორესო. ისინი ჭამას დაიწყებენ
ხორცი კი შიგნით შეიტანე და ვერძებს შიგნით ორი სპილოა
და ცხვარს რომ გაშორდები, ცხვრის ფეხს ერთს მისცემ პირ-
ში და მეორე მეორესო, ხოლო შიგ თაროზე სამი კვერცხია,
აიღებ და გამობრუნდებიო. ბიჭი მართლა ასე მოიქცა, კვერ-
ცხები წამოიღო და მოვიდა ცხენთან. შეჯდა ზედ, წამოვიდა
ხელმწიფესთან და მიუტანა კვერცხები. კოჭლმა სთქვა: აი

ხელმწიფევ, ხომ მოიტანა კვერცხებიო. ჩიტმა მოილხინა და დაიწყო საკმელის კამა.

ხელმწიფემ უთხრა ბიკს: შვილო, ვერ გაგიშვებთ შენაო. ერთი საქმე გვაქვს და თუ ის არა ქენი, შენი ისე სახლში წასვლა შეუძლებელიაო. — თუ ხელიდან გამამივა, ვიქ, თუ არადა, რა ვქნაო, — უთხრა ბიკმა. — არა და კისერს თავთან მოგაკრიო, — უთხრა მეფემ. — მიბრძანეო, — უთხრა ბიკ-



მა. — ეს საქმე შემდეგშია, — დაიწყო ხელმწიფემ. — ერთი დიდი ზღვა არის, ზღვებს შუა მიწა არის და იქ პატარა სოფელია. იქ არის ერთი ქალიშვილი, წყლის გოგოა და ქვეყნის ლამაზს რომ იტყვიან, ის არისო. იქნება ოცი წელიწადი, რაც მთელი ჯარი შევაწყვიტე და ვერ წამოვიყვანეო. აუცილებლად უნდა მოგვიყვანო ის ქალი, თორემ თავი კისერზე არ

შეგრჩებაო. თუ მომიყვან, თავისუფალს გაგხდი და ჩემზე იყოს, თუ კიდევ რას გაჩუქებო.

მოვიდა ეს ბიჭი კიდევ ცხენთან და დაიწყო ტირილი: რა ცეცხლში ჩავვარდი, რა იყო ეს ჩემ თავზეო. ცხენმა უთხრა: რა ვქნა, რა გიშველო, დაგვენებებია თავი, კარგი იქნებოდა, ეხლა კი გვიან არისო. ეხლა ჩემი საქმე არი და არა შენი. შენ მხოლოდ წახვალ მეფესთან და ეტყვი, რომ 40 ტყავი გიშოვოს კამეჩისა და ერთი ზირხლი იმ ზომისა, რომელიც მე ტანზე ჩამომეტევა და ზედ ზირხლზე წვეტები იყოს გარედმიდან. თითო მტკაველიანიო. წავა ეს ბიჭი ხელმწიფესთან და ყველა ამას მოაგვარებს. მოიტანეს 40 ტყავი ზღვის პირად და ამ ცხენმა ყველა ჩაიცვა ტანზე ისე, რომ მარტო თვალები უჩანდა. ზემოდან ეს ზირხლი ჩამოიცვა და უთხრა ხელმწიფის შვილს: შენ ეს ხალხი გაისტუმრე და მარტო შენ დარჩი. ამ ზღვაში ერთი წყლის ცხენია, მე იმას უნდა შევებო: ეს ზღვა სისხლად გადაიქცევა და შენ არ შეგეშინდესო. ორჯერ დავიძახებ და თუ მესამეც მოვაყოლო, მაშინ იცოდე გამარჯვებული ვარ, თუ მესამე ვერ დავიძახო, მაშინ მკვდარი ვიქნები და შენ ამ ნაპირს მოშორდი, თორემ ის წყლის ცხენი ამოვა და გაგაფუჭებსო.

შეტურდა წყალში ცხენი და შეიქნა ბრძოლა წყლის ცხენთან. სულ დახია წვეტებით ის ცხენი და დადგა სისხლის ზღვა. ბოლოს დაამარცხა და დაიძახა მესამედ. გამოვიდა ნაპირზე, შეისვა ეს ბიჭი ზურგზე. მივიდა იმ ქალის სამშობლოში და უთხრა ცხენმა: აქ არის იმ ლამაზი ქალის სამშობლო, მე გამიშვი აქ და შენ შედი პირდაპირ, ნუ გეშინიანო. ბიჭი მივიდა ქალთან და უთხრა: ასეა საქმე — ხელმწიფემ გამომგზავნა შენს წასაყვანად და უნდა წამომყვეო. ქალმა უთხრა: ჩემი სიტყვა ასეთი იყო, ვინც ჩემთან მოვიდოდა, მე იმისი ცოლი ვიქნებოდი და კიდევაც ვარ და ამიტომ შენი ხელმწიფე არ ვიცი და არც მინდა ვიცოდეო. ორივე შეჯდნენ ცხენზე და წამოვიდნენ. ქალმა წამოიღო ისეთი წამალი, რომელსაც შეეძლო კაცის გაქრობა. წამოვიდა ეს ბიჭი და მიიყვანა ეს გოგო ხელმწიფესთან. კოჭლმა სთქვა: ჩიტისა და კვერცხის მომტანი ბიჭი გოგოს როგორ ვერ მოიყვანდაო.

მთელი ქვეყანა ფეხზე ადგა. რამდენიც ჩიტი ანათებდა, ორ იმდონს ეს წყლის გოგო. ეხლა ამ ხელმწიფემ ჯვარი უნდა დაიწეროს. ამ დროს ქალმა შეიყვანა ხელმწიფე ოთახში და ერთ წამში გააქრო. ატყდა ლაპარაკი ხალხში, თუ ვინ უნდა იყოს მაგიერიო და ბოლოს სთქვეს, რომ ეს ბიჭი. უნდა იყოსო და სთხოვეს. ერთ ხანს ბიჭმა არ ქნა: მე სახელმწიფო მაქვსო, მაგრამ რადგან არ მოეშენენ, ბოლოს დასთანხმდა და დადგა ხელმწიფედ. იმეფა ცოტა ხანს და შემდეგ სთქვა: მე სხვაგან წავალ სანადიროთო. აპკიდა თუ რაიმე კარგი იყო ამ სახელმწიფოში სიმდიდრე, შეკაზმა აქლემები და დატოვა მის მაგიერი. მოჰკიდა ამ ქალს ხელი და წამოვიდა მის სამშობლოში. სასახლეში რომ მოვიდა, დიდი ქორწილი იქნა. ამ ქალმა ისეთი წამალი წამოიღო, რომ განკურნა ქმრის მამა. დარჩნენ ასე ცოტა ხანს. ბოლოს ამ ბიჭმა სთქვა: ბე კიდე უნდა წავიდე დედის საძებრად და რომ არ ვნახო, შეუძლებელიაო. ძმებმა სთქვეს: ჩვენი ძამია დედის ძებნაში გაკეთდა, მოდი ჩვენც: წავიდეთო და სამივე ძმები წავიდნენ დედის საძებრად.

იარეს, იარეს და კიდევ იარეს. მიაღვნენ ერთ სახელმწიფოს. დაჯდნენ ერთ ალაგას, სადაც წყაროა, და დაიწყეს საკმელის ქამა. ამ წყაროსთან სამი გზა ეყრება. ეს უმცროსი ძმა მივიდა და წყლის დასალევად ჩაეყუდა წყაროზე, ნახა რომ წყალში ერთი ბრტყელი ქვა გდია და ზედ აწერია: ამ ერთი გზით წამსვლელი ვერ მოვა, მეორე მარცხია და მესამე მშვიდობიანიაო. ეხლა უმცროსმა ძმამ უთხრა: ხომ ხედავთ, სამი გზა არის. თქვენ რომლითაც გინდათ, იმით წადით და მე კი რომელიც გინდათ ის დამიტოვეთო. უფროსი ძმა წავიდა მშვიდობიანი გზით, საშუალო მარცხით და უმცროსი დაუბრუნებელი გზით. შესხდნენ ცხენებზედ და გასწიეს. მშვიდობიანი და მარცხის გზა ერთ ქალაქში მიდიოჯნენ. შევიდნენ ეს ძმები ამ ქალაქში. ერთმა გააღო სასადილო, მეორემ ფურნე და ვაჭრობენ ისე, რომ არ იციან ერთმანეთი. უმცროსი ძმა კი წავიდა და ერთ ალაგას ნახა, რომ არის ერთი უზარმაზარი გალავანი ქვითკირისა და შიგ არის სასახლეები. არავინ სჩანს ცოცხალი არსება. ავიდა ერთ კბეზე და შიგ ჩაიხედა. ნახა, რომ თავების კოშკი დგას. იფიქრა: ვიცი რა დღეშიც ჩავარდიო, მაგრამ არა უშავს რა, რაც მომივა, ის

იქნებაო. ჩამოვიდა და მივიდა ერთ კართან. ნახა, რომ ეს კარი
 თავისით გაიღება და მოიხურება. როცა გაიღო კარი, ბიჭი
 უცებ შიგ შევარდა. ნახა, რომ ერთი უზარმაზარი დევი წევს
 და როცა სუნთქავს, ამოსუნთქული და ჩასუნთქული ჰაერის
 სიძლიერის გამო კარი იღება და იხურება. იმასთან ერთი დე-
 დაკაცია და ამ დევს ამ დედაკაცის ბაყვზე უდევს თავი. —
 შეილო, — უთხრა დედაკაცმა ამ ბიჭსა, — ამ დევს 40 ღლეა
 ზძინავს. ეხლა სამი საათი აკლია გამოღვიძებას, რომ გამო-
 იღვიძებს, ამ გალავანში კაცებია დამწყვდეული, შეჭამს 40
 კაცს და კიდევ დაწება. კაცსა სჭამს და მეტს არაფერსო.
 მოდი და შენ სახლში წადი. კარგი ბიჭი ხარ და ბედის წერას
 ნუ აუტანიხარო. — მე რა კაცი ვიქნები, რომ აქედან წავი-
 დე, — სთქვა ბიჭმა. იძრო ხმალი და ცხვირზე წაატაკა დევს.
 დევმა გამოაჭყიტა ცალი თვალი და უთხრა: აბა... აბა, საიდან
 მოსულხარ, ცოტა მაცალე და რომ გამოვიღვიძებ, გადაგყლა-
 ბავ, რა გაჩქარებსო. კიდევ ატაკა და დევმა კისერი წამოსწია.
 მაშინ გაჰკრა ბიჭმა კისერში და ნაწილობრივ დააქრა ძარ-
 ლვები. დევმა უთხრა: ერთი კიდევ შემომკარო. ბიჭმა უპა-
 სუხა: მე დედიდან ერთჯერ დავბადებულვარო და არ შემო-
 ჰკრა. მაშინ დევი გარდაიცვალა. დედაკაცი განთავისუფლ-
 და და უთხრა: წავიდეთო, მაგრამ ამ მოხუცს ლაქები დალ-
 პობოდა დევის თავის ნადები. წამალი წაისვა, მორჩა და წა-
 მოვიდნენ. გაულო გალავანის კარი დამწყვდეულ ხალხს და
 ყველა გაანთავისუფლა. შემდეგ წამოვიდა და ეს დედაკაცი
 წამოიყვანა. ბოლოს გაიგეს, რომ ეს დედაკაცი იმ ბიჭის დედა
 ყოფილა და ია კი მისი შეილი. გაუხარდათ, გადაჰკოცნეს
 ერთმანეთი და განაგრძეს გზა. მივიდნენ იმ ალაგას, სადაც
 წყარო იყო და ერთმანეთს დაშორდნენ ძმები, ეს ბიჭი დე-
 დაკაცით წავიდა სამარცხო გზით ძმების საქებრად. მივიდა
 ქალაქში და ერთ სასადილოში შევიდა, რომელიც თურმე
 იმისი ძმისა იყო. იცნო ძმა და უთხრა: რას შვრები ბიჭო
 აქაო? — რა ვქნა, ვვაჭრობო, — უპასუხა ბიჭმა. უმცროსმა
 უთხრა: ყოჩად ბიჭო, დედის ძებნის მაგიერ ვაჭრობა დაგი-
 წყიაო. აიკრეს ყველაფერი თუ რამე ჰქონდა და წამოვიდნენ
 უფროსი ძმის საქებნელად. ისიც ნახენ და დაბრუნდნენ ერ-
 თად სახელმწიფოში.

ამ ძმებმა იფიქრეს: ეს ჩვენი უმცროსი ძმა გაკეთდა, შოდი მოვკლათო და მოილაპარაკეს, რომ სანადიროდ წავიდეთ ტყეშიო. უმცროსი ძმაც დასთანხმდა. ეს უმცროსი ძმა ჭაწი ჩააგდეს და დაახრჩეს, მათი აზრით, მაგრამ ამ ჭას შიგნით თაროები ჰქონებია და ეს ბიჭი იქ შერჩა. მოვიდნენ სახლში ეს ძმები და უთხრეს, რომ გზაზე მოგვიკლესო. მოკლული ძმის ქალი ამბობდა, რომ ის მოკლული არ არისო, მაგრამ არ დაუჯერეს.



ერთ დღეს ამ ჭასთან ვაჭარი მივიდა და წყლის დაღევა უნდოდა. როცა სარწყული ჩაუშვა, ეს ბიჭი შემოახტა და ამოიღეს ზევით. შემდეგ ამ ვაჭარმა ეს ბიჭი გაყიდა, მაგრამ იქიდან გამოიპარა და მოვიდა თავის სახელმწიფოში. ნახა, რომ ერთ გლეხს კავი უბია და კავზე და ხელზე შავი უბია. — რატომ გაქვს ესაო, — შეეკითხა. — იმიტომ შვილო, რომ ჩვენს ხელმწიფეს ერთი შვილი ჰყავდა და იგი მოუყვდაო. ბოლოს ეს ბიჭი მივიდა თავის მამასთან. მამამ რო ეს ამბავი შეიტყო, დაუძახა უფროს ძმებს. გამოაბა ცხენების კუდ-

ზედა და ერთიანად სახალხოთ დააგლეჯინა, ხოლო სახელმწი-
ფო კი დარჩა უმცროს შვილს.

კირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ოპროსთმიანი ვაჟი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო
ერთი ცოლ-ქმარი და ჰყვანდათ ერთი ქალი. ცოლი ავად გახდა
და ქმარს უთხრა: მე ხომ ვკვდები და ისეთი ცოლი შეირთე,



ვისაც ეს ჩემი ქოშები გამოადგესო. მოკვდა. ქმარმაც დამარ-
ხა, როგორც შეეძლო, იგლოვა სურვილისამებრ და შემდეგ
აიღო ქოშები და შეუდგა ცოლის ძებნას. ვისაც ჩააცვა, არა-
ვის მოადგა, ზოგს დიდი მოსდიოდა, ზოგს პატარა. ბოლოს
შენ მოიტანა, ჩააცვა თავის ქალს და კარგათ მოუვიდა. ბევ-
რის ტარებით რომ დაიღალა, უთხრა ქალს: რადგან ვერაფერ
ვიშოვე ისეთი, რომ ეს ქოში კარგათ მოსვლოდა და შენ კი

კარგათა გაქვს, დედის ანდერძს ვერ გავტეხ და შენ უნდა შეგიერთო ცოლად. ქალი გაჯავრდა, დაიწყო ტირილი: ეგ როგორ გამიბედე, ჩემი მშობელი მამა ხარო. ბევრი იტირა, ბევრი იცა თავში, მაგრამ კაცი არ მოეშვა. ბოლოს ქალმა უთხრა: კარგი, რახან არ დაგიშლია, ამ სახლში ვერ დავიწერ ჯვარსა, ახალი ააშენე და ნება შენი იყოს, შენ ხელთა ვარო.

დაიბარა კაცმა ხურო-ღურგლები და დაიწყო ახალი სახლის აშენება. როდესაც შუაზედ დედაბოძს აკეთებდნენ, ქალმა მამის უჩუმრა ფული მისცა ღურგლებს და უთხრა: ამ დედაბოძში კარები გაუკეთეთ, შიგნიდან გული სულ ამოიღეთ, კარებს ჩასაკეტი ჰქონდეს და გარედან არ ემჩნეოდეს. მე შიგ დავიმალები და მამაჩემი რომ ველარ მიპოვნის, გეტყვი: აიღეთ, რათ მინდა, თითონ კი აღარ არის, სულ წყალში ჩაყარეთო. თქვენც ეს ბოძი პირქვე არ ჩააგდოთ, გულაღმა ჩააგდეთო.

როდესაც გაათავეს სახლის დედაბოძი, ქალი დაიკარგა. მამამ ბევრი ეძება და რაკი ველარა გაიგო რა, გაჯავრდა და უთხრა ხურო-ღურგლებს: იმისთვის ვაკეთებდი სახლს და ეხლა რაღათ მინდა, აიღეთ და სულ წყალში ჩაყარეთო. დაშალეს მაშინვე. ახლო დიდი წყალი იყო, შიგ ჩაყარეს და როგორც ქალმა უთხრა, ის ბოძი გულაღმა ჩააგდეს.

წყალმა ბევრი ატარა თუ ცოტა, გაიტანა ეს დედაბოძი ერთს სხვა სახელმწიფოში და ნაპირზე გარიყა. თურმე იმ ხელმწიფეს შვილი გასწყრომია: რატომ არ მაქორწინებო და დადის წყლის ნაპირებზე გასართობად. რა დაინახა, მოეწონა ეს ხე, ჩემი სახლისთვის კარგი იქნება დედაბოძადო და დაუძახა თავის მოსამსახურეებს: შინ წაიღეთო. გამოიტანეს და წაიღეს. იმ დროს აშენებდა სახლს და დააყენეს დედაბოძად. ეს ყმაწვილი იმ ახალს სახლში იძინებდა. თავით და ფეხით სანთელს უდგამდნენ შანდლებით და ორ ტაბაკ საკმელს უდგამდნენ თავ-ბოლოს, რადგანაც ასეთი ჩვეულება ჰქონდა. რა ის ბოძი შეიტანეს და დააყენეს სახლში იმ ღამეს დასუსტებული ქალი გამოვიდა, ნახა მძინარე ვაკი, მოეწონა, მერე მივიდა, ცოტა ერთი ტაბაკიდან შეჭამა, ცოტა მეორიდან, შანდლები შეუცვალა და შევიდა ისევ თავის ალაგას და ჩაიკეტა შიგნიდან.

მეორე დღით ნახა ვაჟმა: ტაბაკიდან კერძი აღებულა, შანდლები შეცვლილია. გაუკვირდა. დაუძახა თავის მოსამსახურეებს, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ის დღე ისე გაატარა. როცა დაღამდა, დაწვა დასაძინებლად. კიდევ დაუდგეს თითო ტაბაკი კერძი და შანდლებით სანთელი იმ ღამესაც, რო დაიძინა, კიდევ გამოვიდა ქალი, რამდენიც უნდოდა სჭამა, შანდლები შეუცვალა, გადახედა მძინარსა და შევიდა თავის სამალავში. მეორე დღეს, რო გაეღვიძა, ნახა შანდლებიც შეცვლილია, კერძიც აღებულა. ჰკითხა თავის მოსამსახურეებს. არავინ რა იცოდა. იმ ღამეს სთქვა ხელმწიფის შვილმა: უნდა ვუყარაულოვო. დაჯდა და დაიწყო ფანდურის დაკვრა. რომ არავინ მივიდა, სთქვა: ამ ხმაურობაზე ვინ მოვაო. დაწვა და განგებ ხვრინვა ამოუშვა. ამ ქალმა იდროვა, ეხლა კი სძინავსო და გამოვიდა: კერძი სჭამა, შანდლები შეუცვალა და ვაჟს დააცქერდა, უნდა ეკოცნა. ამ დროს ვაჟი ადგა, დაიჭირა და ჰკითხა: რა ხარ, რა სულიერი ხარ, საიდან გაჩნდიო. ქალმა მოკლეთ უამბო თავის თავგადასავალი. ხელმწიფის შვილს დიდად მოეწონა ქალი და დედ-მამას შეუთვალა: საცოლე ვიშოვე, ქორწილი მოამზადეთო. გაუკვირდა დედ-მამას, საიდან იშოვაო. დასწერეს ჯვარი და სცხოვრობდნენ ბედნიერათ.

დაორსულდა ეს ქალი და წლის თავზე ეყოლა ოქროს-თმიანი ვაჟი. ცალ მხარეს ხელმწიფე და მისი ცოლი იძინებდა, ცალ მხარეს ხელმწიფის შვილი და იმისი ცოლი, შუაზედ თოკი ჰქონდათ გაბმული და ბავშვი შიგ ეწვათ. როდესაც ბავშვი იტირებდა, იქიდან პაპა-ბებია ჰკრავდნენ ხელსა, აქედან დედ-მამა და აქანავებდნენ.


ერთი დრო არვის შერჩებო, იტყვიან, ამ ქალსაც ისე მოუვიდა ერთ საღმოს ეწვია ერთი გლახა და შეევედრა: ამალამ თქვენთან მომეცით ბინა, სხვაგან მეშინიანო. ქალმა იცნო, მამა იყო თავისი, და განგებ გლახათ მოაჩვენა თავი. — უარი ვუთხრათ, ნუ დავაყენებთო, — უთხრა ცოლმა ხელმწიფის შვილს, მაგრამ ვინ გაუგონებდა. ის კი ვერ გამოუცხადა, მამაჩემიაო, რადგანაც ეშინოდა, დასჯიანო. დაღამდა და დაწვნენ. ყველამ დაიძინა. ადგა ის მათხოვარი, ქალის ჯი-

ბიდან დანა ამოიღო, მძინარს ბავშვს ყელი გამოსჭრა და სისხლიანი დანა ისევ ჯიბეში ჩაუდვა ქალს.

გათენდა დილა. გაიღვიძეს ყოველთ და ბავშვი არ იღვიძებს ჩვეულებრივად, გაუკვირდათ. მივიდა დეად, ნახა, გულს შემოეყარა. — ვინ უყო, ვინ? — შეიქნა კითხვა. რას გაიგებდნენ. ის გლახა იქვე იყო და იმანა სთქვა: ვინც იზამდა, ცხადია, თითონ არ იტყვის და ვისაც ჯიბეში სისხლიანი დანა აღმოუჩნდება, ის იზამდაო. ძალაუწებურათ ყველამ ჩაიყო ჯიბეში ხელი და ქალმა კი ამოიღო სისხლიანი დანა. — როგორ თუ შენ ყმაწვილს ყელი გამოსჭერიო, დასთხარეს თვალები. დააჭრეს ძუძუები, ყელგამოჭრილი ბავშვი გულზედ შიაკრეს, გაიყვანეს უდაბურს მინდორზედ და დაანებეს თავი. დაიწყო უმოწყალოდ ტირილი, მაგრამ რას იზამდა, ძალა იმათ ხელში იყო.

გადიოდა დღეები, შველა არსაით იყო. გრძნობდა ქალი, რომ ბავშვი იზრდება და არც სუნი უდის, არც იხრწნება. იმდენი იტირა საბრალოშ, იმდენი, რომ მამა უფალს შეესმა მისი ხმა, გამოუგზავნა ყვავი და უთხრა: წადი, გაიგე ქვეყანაზედ რა ამბავიაო. ჩამოვიდა ყვავი, ძუძუების სისხლით გაძლა და წავიდა: არაფერი არ არისო. კიდევ ტირის ეს ქალი და სწუხს. მამა უფალმა ახლა გამოგზავნა მტრედი: წადი, ნახე რა ხმა არისო. მოვიდა მტრედმა, ფეხები დაისისხლიანა, — მას შემდეგ აქვთ მტრედებს წითელი ფეხები, — ავიდა და მოახსენა: ერთი ქალი ვნახე თვალეზდათხრილი და ძუძუებდაჭრილი, გულზედ ყელგამოჭრილი ბავშვი ჰყავს მიკრული, ზის და ტირისო. მამა უფალმა მისცა მტრედს ერთი ხელსახოცი და ერთიც პაწია ფიცრის ნაჭერი, ნაფოტი. — აი ეს ხელსახოცი თვალეზზედ მოუსვი — აეხილება, ძუძუებზედ მოუსვი — გაუმთელდება, ბავშვს მოუსვი — გაცოცხლდება და ეს ნაფოტიც გადაეცი, რასაც სთხოვს, სულ მიეცემაო. წავიდა მტრედი და შეასრულა ყოველივე. მოუსვა თვალეზზედ — აეხილა, ძუძუებზედ მოუსვა — გაუმთელდა, ბავშვს ყელზედ მოუსვა — გაცოცხლდა და უთხრა: აი, ეს ნაფოტი, შეინახე და რასაც ინატრებ, ყოველივე შეგისრულდებაო. წავიდა მტრედი და ხელსახოცი მამა უფალს მიუტანა.


ადგა ეს ქალი. საწყალმა ღმერთს მადლობა შესწირა გა-
 დარჩენისათვის. ინატრა სასმელ-საკმელი, ბავშვმაცა და თი-
 თონაც ჭამა, ინატრა სამოსელი — მიეცა; ინატრა: ღმერთო
 და ჩემო სიალამართლეე, სადაც ჩემი ქმარი ცხოვრობს,



ისევ იმ ქალაქს აქლოს მიმიყვანეო. ეს ნატვრაც აუსრულდა.
 მივიდა ერთს განაპირა სახლთან, ერთი ბებერი გამოვიდა,
 უთხრა: დედაშვილობას, ამაღამ შენთან შეგინახეო. ბებერმა
 უთხრა: შვილო. კარგს ვიქმესა ჰგევხარ და შენი გასამასპინ-
 ძლებელი არა ჰაქვს რა, შენს საკადრისად ვერ დაგიხვდებიო.
 ქალმა უთხრა: შენც მე შეგინახავ, შენი არა მინდა რაო. —
 კარგიო, — უთხრა ბებერმა, — მისცა თავის სახლში ბინა.
 იმ ღამეს ვახშამი ინატრა; ჭაქმეს, დაწვინენ და მოლაღულს
 კარგათ დაეძინა. მეორე დღით ინატრა საუკეთესო სახლე-
 ბი, დაედგათ თავზედ. ბებერი ჰკვირობს: ეს რა დღეში ჩა-
 ვვარდიო. ცხოვრობდნენ ტკბილათ.

ერთ დღეს ქალმა ჰკითხა: ამ ქალაქს ვინა ჰპატრონობს
 ან ხელმწიფე ვინ არისო. ბებერმა უამბო: ერთი ხელმწიფე
 ცხოვრობს, ძლიერ მდიდარი, ერთი ვაჟი ჰყავს. იმ ვაჟს ცოლი
 ჰყვანდა, თავის ბავშვს ყელი გამოსჭრა, სისხლიანი დანა ქა-

ლის ჯიბეში იპოვესო. დააპყრეს ძუძუები, დასთხარეს თვალე-
ბი, შვილიც გულზედ მიაკრეს, გაიყვანეს ტრიალ მინდორზედ
და არ ვიცით, რა იქნაო. — არ შეიძლება, ის ხელმწიფის
შვილი დაჰპატრონო. — ჰკითხა ქალმა.




ბებერმა გაკვირვებით შეხედა: ის მე რას მიკადრებს, სა-
საცილოთაც არ ვეყოფიო. — შენ სცადეო, — უთხრა ქალმა.

წავიდა ბებერი და ხელმწიფის შვილი დაჰპატრონა: დღეს
სადილათ ჩვენთან მობრძანდი თქვენის მზარეულით, რომ
თქვენი საკადრისი საქმელები მოგიმზადოსო.

ხელმწიფის შვილს გაეცინა: შენთვის რა გაქვს, მე რით
უნდა გამიმასპინძლდეო, უარი უთხრა. მაშინ ქალმა ინატრა
ერთი პარკი ოქრო და მიეცა. — აი, დედი, ეს პარკი წაუღე
და სთხოვე: ეს მანდ ინებეთ და თქვენის ჯარით მობრძანდი-
თქო. წაუღო ბებერმა და სთხოვა: აი, ეს აქ მიირთვიო და
თქვენის ჯარით მობრძანდიო. გაეცინა ხელმწიფის შვილს და
უთხრა: კარგი, მოვალთო. გაგზავნა თავისი მზარეულები სა-
დილის მოსამზადებლათ. რაც ხელმწიფის შვილს ეკადრებო-
და და ესიამოვნებოდა, იმისთანა სადილის მზადებას შეუდ-
გნენ. ერთ ოთახში ქალი იყო ცალკე, კარებზედ ფარდა ჰქონ-
და ჩამოფარებული. იმის პირდაპირ სამზარეულო იყო და,
როდესაც ფარდა აიხდებოდა კარებისა, ქალი სჩანდა სამზა-
რეულოდან. ეს ბავშვი კარგათ მოიზარდა. შეიკრებნდა დე-
დასთან, გაიკრებნდა სამზარეულოში და ასე ერთიდან მეო-
რე ალაგას მიკრებოდა, მეორიდან მესამეს და ერთობოდა.

ერთმა მზარეულმა შენიშნა ქალი ფარდის იქით და თვალი ველარ მოაშორა იმის სილამაზეს, როდესაც კი ფარდა გაინძრეოდა, თვალები სულ იქით რჩებოდა. მოვიდა ხელმწიფის შვილიც თავისი ნაზირ-ვეზირებით.



მიართვეს სადილი, რაც კი თვალსა და გულს ესიამოვნებოდა, მაგრამ როდესაც ხოხობი მიართვეს არამცთუ შემწვარი, დამწვარი ზევიდან და ქვეშითკი უმი, გაუჯავრდა თავის მზარეულს: ასე რათ გააფუქეო. მზარეულმა თავის მართლება დაიწყო. რა ვქნა, ბატონო, აქ იმისთანა არსება ზის, რომ იმის ყურებაში დამეწვაო. — კარგათა სთქვი, რას ამბობ; ვის ყურებაში დაგეწოვო. — აქ რომ ყმაწვილი შემობრბის, იმისი ღედა იქ არის, ფარდის იქით და რამდენსაც ყმაწვილი ფარდას სწევდა, იქით ვიყურებოდი და იმისთვის დამეწოვო. — დაუძახეთ ბებერსაო, — ბრძანა ხელმწიფის შვილმა. მოიყვანეს ბებერი. — ჩვენ გარდა თუკი სხვა სტუმარიცა გყავდა, რატომ ჩვენთან არ მოიყვანეო, — ჰკითხა ხელმწიფის შვილმა.

ბებერმა მოახსენა: ერთი ქალია თავისთვის ცალკე ოთახში, ის აქ არ გამოვაო. მოიწყინა ხელმწიფის შვილმა და წასვ-

ლა უბრძანათ: ჩქარა, ცხენებო! დაუწყეს კაზმვა, მაშინვე 'დედამ მისცა პატარა ყმაწვილს ერთი წკებლა და დაარიგა: როდესაც ხელმწიფის შვილი ცხენზედ ჯდებოდეს, აი, ეს წკებლა უზანგოში ჩაატანე და წასვლის დროს დაუძახე: ყმაწვილო, ყმაწვილო, წკებლა რატომ მოგიპარავსო. ის გეტყვის: მე არ გამიგია, აქ ვინ ჩამატანაო. შენ უთხარ: როგორც შენ ვერ გაიგე, ეგ წკებლა ვინ ჩაგატანა, ისე დედაჩემმა ვერ გაიგო, მე ვინ გამომჭრა ყელი-თქო. ის გკითხავს: რა თქვიო. შენ ეტყვი: დედაჩემმა უფრო ჯარგათ იცის-თქო.



ამ ყმაწვილმაც ყველაფერი ეს შეასრულა. როდესაც ცხენზედ ჯდებოდა ხელმწიფის შვილი, წკებლა უზანგოში ფეხ-ქვეშ ამოუდვა. ცოტა რომ გაიარა, მიაძახა: ყმაწვილო, ყმაწვილო, წკებლა რატომ მოიპარეო. დაიხედა ხელმწიფის შვილმა, მართლაც ჰქონდა და სთქვა: არ ვიცი, ვინ ჩამატანა, მე არ გამიგიაო. — ჰო, როგორც თქვენ ვერ გაიგეთ, წკებლა ვინ ჩაგატანათ, ისე დედაჩემმა ვერ გაიგო, მე ვინ გამომჭრა ყელიო, — უთხრა ყმაწვილმა. — როგორ, როგორ სთქვიო, — ჰკითხა ხელმწიფის შვილმა. — მე არ ვიცი, დედამ კარგათ იცისო, — უპასუხა ბავშვმა.

მაშინვე გადმოხტა ცხენიდან და უთხრა ყმაწვილს: აბა, დედაშენი მაჩვენეო. ყმაწვილმაც წაიყვანა თავის დედასთან.

ხელმწიფის შვილმა თავი დაუქრა ქალს და სთხოვა: ეს ყმაწვილი რას ამბობს, თქვენ კარგათ მიაამბეთო. ქალმაც აუსრულა თხოვნა და სულ უამბო ზღაპრათ: იყო ერთი ცოლქმარი და ჰყვანდათ ერთი ქალი. დედაკაცი რომ კვდებოდა, ქმარს ანდერძათ დაუტოვა: ვისაც ჩემი ქოშები გამოადგეს, ის შეირთეო. ესე რაც თავიდან აქნობამდე მოხდა, სულ უამბო და ისიც უთხრა, რომ ყველა ამ ამბის გმირი ქალი მე ვარო. ავიტანე მამიდანაც და თქვენგანაც ამდენი ტანჯვა და უსამართლობა და ღმერთმა სიმართლისათვის მიშველა: მეც გამანთავისუფლა და აი ეს ბავშვიც გამიცოცხლაო.

ხელმწიფის შვილის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, მაშინვე მოეხვია ცოლსაც, შვილსაც და პატიება და წარსულის დავიწყება სთხოვა. გაგზავნა მახარობელი დედ-მამასთან და დააბარა: ცოლიც და შვილიც უვნებელი ვიპოვე და შომყავსო. ბებერიც თავისთან წაიყვანა და მივიდნენ შინ. გარდინადეს დიდი ღვინი და ცხოვრობდნენ ტკბილათ და ბედნიერათ.

ქ-რა იქა, ღვინი აქა.

მზექალა და მზევარდა

1 იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი უშვილო ხელმწიფე და ჰყვანდა ერთი ცხენი. ერთხელ ხელმწიფემ შესთხოვა ღმერთს: ღმერთო, ერთი შვილი მომეცი, ნუ დამტოვებ უშვილოთ, ვის უნდა დარჩეს ჩემი სახელმწიფო და საცხოვრებელი და ჩემს ცხენსაც კვიცი მიეცი, იმის ჯიშს ნუ გამომიღევო. ქალი მომეცემა — იმ კვიცს სიძეს მივართმევ და ვაჟი მეყოლება — რძალსაო. უსმინა ღმერთმა და დაორსულდა დედოფალი და ცხენმაც იმაკა. ცხრა თვის შემდეგ მიეცა დედოფალს ქალი, მზგავსი მზისა და სახელათ უწოდა მზექალა, ცხენსაც ეყოლა კვიცი და უწოდეს მზევარდა. ისე გაზარდეს ორივენი, რომ იმათი სახელი არავის გააგონეს. როდესაც გახდა ქალი თექვსმეტის

წლისა, ხელმწიფემ მოუწოდა თავის სახელმწიფოს თავადსა და აზნაურს და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებრს ხელმწიფის შვილების და ხელმწიფეებს, სადამდინაც კი ხმა მისწვდებოდა. ყოველნივე შეკრბენ.

შეკრბილებს ხელმწიფემ გამოუცხადა: ეზოში რომ დიდი ქვა არის, იმაზე ვინც შედგება და დაიძახებს ან ქალს და ან კვიცს რა ჰქვიან სახელად, ქალს ცოლად შევრთამ და კვიცს სიძეს ვაჩუქებო.

მთელი ერთი წელიწადი ყოველდღე იმეორებდნენ სულ სხვადასხვა სახელებს, მაგრამ ვერავინ გამოიცნო. ერთ დღეს ერთი მათხოვარი მოვიდა ხელმწიფის მეზობელ ბებერთან და ჰკითხა: დედი, ა იქ რა ამბავია, ამოდენა ხალხი რისთვის შეკრბილაო. ბებერმა უამბო რისთვისაც იყვნენ. გლახამა სთქვა: ნეტავი ისეთი რა ჰქვიან, რომ ვერავის გამოუცვნიაო. — ქალს მზექალა ჰქვიან და კვიცს მზევარდაო, — უთხრა ბებერმა.

წავიდა ე! გლახა და ყვირის: მომეცათ მომეცათო! მოიხედეს, ერთი ღალიანი გლახა მოარღვევს აზვირსებულ ხალხსა და ყვირის: მომეცათ, გზიდან ჩამომეცათო! მივიდა, ავიდა ქვაზედ და დაიძახა: ქალსა ჰქვიან მზექალა და კვიცსა — მზევარდაო.

ისე მოსწყდა ხელმწიფეებს წელი და იმოდენა ხალხი ისე პირგამშრალი დარჩა, რომ ხმა ვეღარ ამოიღეს. თვით ქალის მამა გულშელონებული შეიყვანეს და ძლივს მოასულიერეს. ხელმწიფის ბრძანება არ გატყდებოდა. მაშინვე წაიყვანეს ეს გლახა აბანოში, აბანეს, სახელმწიფო ტანისამოსი ჩააცვეს, მაგრამ ღაღებს რა გამოუღვედა, ყურიდან, ცხვირიდან თუ თვალებიდან წყაროსავით მოსდიოდა. ეს ამოდენა ხალხი სულ მაყრათ გააყოლეს, გაატანეს მრავალი მზითვეი და გაგზავნეს. რასაკვირველია, ის კვიციც სიძეს შეუქმაზეს და შესვეს ზედ. იარეს ბევრი, გზა არ გამოილია და სახლი არ გამოჩნდა, რაც არა ჰქონდა, რა გამოჩნდბოდა?! დაიღალნენ და ერთ ტრიალ მინდორზედ დადგნენ დღისით დასასვენებლად. ისეთი დაღლილები იყვნენ ბევრი სიარულით, რომ მაშინვე დაეძინათ. მათხოვარიც მივიდა და სინებვირით ქალის კალთაზედ წამოწვა და დაეძინა.

ქალმა უყურა, უყურა და დაიწყო ტირილი. — რათა სტირიო, — ჰკითხა ცხენმა. — როგორ არ ვიტყვი, აბა უყურე, ეს რა სანახავი მიწევს კალთაზეო, — უპასუხა ქალმა.



ცხენმა დაავლო პირი და ერთი ბალიში მიუტანა: აი, ეს დაუდე თავით, შენ ადექი, ვაჟურათ ჩაიცვი, თმა აიკეცე, ქუდი დაიხურე და წავიდეთ, სხვა სახელმწიფოში მიგიყვანო. ქალმა მართლაც დაუდვა ბალიში თავით თავის ღალიან სატრფოს, ჩაიცვა ვაჟურად, აიკეცა თმა, დაიხურა ქუდი, შეჯდა ცხენზედ და წავიდა. გამოელვითათ, აღარც ქალი იყო სადმე და აღარც ცხენი. აბა, სადღა წავიდოდნენ, ყველანი თავ-თავის

სახლებში დაბრუნდნენ და ლაღიანი სასიძოც თავის გზაზე წავიდა.

ცხენმა ერთ სახელმწიფოს ბოლოზედ გაიყვანა. მინდორზედ ანწლის ქოხი აუგო და დააყენა. მოჰქონდა ნანადირევი და ქალსა ჰკვებავდა იმითი. ქალმაც ისწავლა ნადირობა და თითონაც ცოცხალ ხობობსა და კაკაბს იჭერდა.

ერთს დღეს, ვნახოთ, ჯარით მოვიდა ერთი ყმაწვილი, მეტად მშვენიერი, იშვიათის სილამაზისა. სანადიროთ წამოსულიყო. ის იყო ხელმწიფის შვილი, პატრონი იმ მიდამოსი, სადაც ქალი და ცხენი იყო დაბინავებული. დაიწყეს ნადირობა და მიადგნენ ქალის ქოხს. — გამარჯობა, ყმაწვილო, საიდან ბრძანდებიო, — გამოეხმაურა ხელმწიფის ვაჟი. — სხვა სახელმწიფოდანა ვარ, სანადიროთ წამოვედიო, — მიუგო ქალმა და თანაც მიუშველა თავისი ცხენით და დაიჭირეს ფეხდაფეხ ცოცხალი ნადირი და ფრინველი.

საღამოთი წავიდა ხელმწიფის შვილი სახლში და დედას უთხრა, — მამა დიდი ხანია, მოჰკვდომოდა, — ჩვენს ბოლოზედ ერთი ყმაწვილი დაბინავებულა, ცხენიც და თითონაც ისე ნადირობენ, რომ ვერც ერთი ფრინველი ვერ წაუვით, ცოცხალს იჭერენო. ამის შემდეგ დაიწყო ხელმწიფის შვილმა სანადიროთ სიარული და ყოველ კვირას ჩავიდოდა და ნადირობდნენ ერთად.

ერთ დღეს ხელმწიფის შვილმა უთხრა დედას: დედი, უნდა დავპატიყო ის ყმაწვილი, დიდად დავალეებულ ვარ მისგან. სულ ის მაძლევს რაც ნანადირევი ზომაქვსო. — დაჰპატიე. თუკი გესიამოვნებაო, — უთხრა დედამ.

კიდევ რომ წავიდა სანადიროთ, ის ქალიც დაჰპატიეა.

ქალი ცხენს დაეკითხა: ხელმწიფის შვილი მეპატიეება და წავიდე თუ არაო. — წასვლით წადრ, მაგრამ ვიცი, ღვინოს დაგაძალეებს და შენ კი სულ არ შეგიძლიან დალევა. რამდენი დალიო, შენს გულში იფიქრე: მზევარდას მუცელში-თქო. მე დავითვრები და შენ არა, მხოლოდ დამხურე კარგათ, რომ არ გავცივდეთ, — უთხრა ცხენმა.

ქალი წავიდა და ცხენიც თან წაიყვანა. მოვიდნენ სახლში. დედამ რა ნახა, შვილს უთხრა: შვილო, ქალი არისო. ვაჟმა უთხრა: როგორ შეიძლება, რომ ქალი იყოს, გაფრენილს

ხოხობს ფეხდაფეხ იკერსო. მოამზადებინა საუკეთესო სა-
დილი, მოიწვია დიდებულნი და კარგი დრო გაატარეს, ძრი-
ელ ბევრი ღვინო დალიეს. თუმცა ქალი სევამდა, მაგრამ არ
დაითვრა, თავის გულში ამბობდა ყოველ ჭიქის დაღევანედ:
მზევარდას მუცელშიო და არ მოეკიდა. სადილი ვახშმათ
გასტანა გავიდა ქალი თავისი ცხენის სანახავად. ცხენს სულ
ოფლი სდიოდა და უთხრა: კარგათ დამხურე, არ გავცივდე,
თორემ მოვკვდებიო. დახურა კარგათ, მისცა საკმელი თავის
ხელით და წავიდა დასაძინებლათ. მეორე დღეს, რომ გაიღვი-
ძეს, ვაჟმა უთხრა დედას: აკი სთქვი ქალიაო, რამდენი ღვი-
ნო დალია და არ დაითროვო. — მაინც ქალიაო, — უთხრა
დედამ.

სამი დღე გაატარეს ამ ყოფით, თუმცა ქალი არა დგებო-
და, მაგრამ ვაჟმა არ გაუშვა. მეოთხე დღეს ცხენმა უთხრა:
მე კი აღარ შემიძლიან ღვინის დაღევა, ჩემზედ ნულარ იტყვი
და თუ შეგიძლიან შენ დალიეო.

რას იზამდა, ვაჟის ხათრით კიდევ დარჩა ქალი. მაგრამ
ერთი ჭიქა რომ დალია, იქვე დაეძინა, ქუდი მოვარდა და თმე-
ბი ჩამოეშალა. მშვენიერი სანახავი იყო ამ დროს. აკი გით-
ხარ, შვილო, რო ქალია-მეთქი, — უთხრა დედამ ხელმწიფის
შვილს. — ქალი არის და უფრო კარგი, ცოლათ შევირთავ,
ღმერთმა მომცაო.

დაიწყეს მზადება და ქალმაც, რასაკვირველია, უარი არა
სთქვა. დაიწერეს ჯვარი, გადაიხადეს ქორწილი და სცხოვრო-
ბდნენ ბედნიერათ. ისე უყვარდა ვაჟს, რომ მეტი აღარ შეი-
ძლებოდა, მაგრამ მაინც ნადირობის სურვილმა გაიტაცა და
დააპირა ცხა მთას იქით სანადიროთ წასვლა და ქალს უთხრა:
შენი ცხენი უნდა მათხოვოო.

ქალი დაეკითხა ცხენს: შენს თავსა მთხოვს, ცხრა მთას
იქით სანადიროთ მიდის და ვათხოვო თუ არაო. — ათხოვებ,
ინანებ, არ ათხოვებ — ინანებ, რას იზამ, ათხოვე, მაგრამ
ავშარას ნუ გაატანო, — უთხრა ცხენმა.

ქალი წავიდა და უთხრა ვაჟს: ცხენს გათხოვებ, მაგრამ
ავშარას კი ვერაო. — ვის გაუგონია უავშაროთ ცხენის თხო-
ვებო?! — გაიკვირვა ვაჟმა.

წავიდა ქალი და ცხენს უთხრა: არა შერება უავშარო-
თაო. — ავშარი ათხოვე, ბორკილს მაინც ნუ ათხოვებო, —
უთხრა ცხენმა.

წავიდა ქალი და უთხრა ვაჟს: ავშარას გათხოვებ და.
ბორკილს კი ვერაო:

ვაჟმა უთხრა: არ შეიძლება, ცხენს ყოველივე თავისი
სამკაული ზედ უნდა ჰქონდესო. რაღას იზამდა, ცხენი ყო-
ველზე თავისი შეკაზმულობით მისცა. ქალი ფეხმძიმედ იყო
და ვაჟმა დაუბარა დედას: ყოველ კვირას შიკრიკი გამომი-
გზავნე და ცოლის ამბავი შემატყობინე და რა ეყოლება ისი-
ცაო. გამოემშვიდობა დედასაც, ცოლსაც და წავიდა. ცხრა.
მთას იქით გადავიდა და ერთს დედაბერთან დაიდვა ბინა.
დღისით სანადიროთ მიდიოდა და ღამე სახლში ბრუნდებო-
და. ერთს მშვენიერს დღეს დედამ მისწერა: შვილო, მშვიდო-
ბით მოილოგინა შენმა ცოლმა, ვაჟი ეყოლა ოქროსქოჩრი-
ანი, მოდი და ნახეო.

მიიღო გედაბერმა შიკრიკი, გამოართვა წერილი, წაიკით-
ხა და გადასწერა იმავე ხელზედ: შვილო, ცოლი მოგირჩა,
ძაღლის ლეკვი ეყოლა, მოდი და ნახეო.

ვაჟი მივიდა საღამოთი. დედაბერმა თავისი ნაწერი გა-
დასცა. ვაჟმა წაიკითხა და რა გაიგო ცოლი მშვიდობით-
მორჩაო, ღმერთს მადლობა შესწირა, დედას კი მისწერა:
ძაღლის ლეკვი ეყოლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდე დედაცა და
შვილიც კარგათ შემინახეო. როცა მეორე დღეს ვაჟი სანა-
დიროთ წავიდა, დედაბერმა გადასწერა ეს წერილიც და გაა-
ტანა შიკრიკს: ოქროსქოჩორიანი ვაჟი ეყოლა თუ რაც, ჩემს
მოსვლამდე დედაც და შვილიც, ჩვენს ბოლოზედ რომ საკი-
რეა, ის გაახურებინე, შიგ ჩაყარე და დაწვიო.

მოუვიდა დედას ეს წერილი და გაკვირდა: აქ გიჟდებო-
და ცოლისათვის და იქ რა დაემართაო. კიდევ მოსწერა: შვი-
ლო, აკი ძრიელ გიყვარდა ცოლი და მშვენიერი, ოქროსთმიანი
ვაჟიცა გყავს, რათ უნდა დავწვა, მოდი, ნახეო. შიკრიკმა
მიიტანა დედაბერთან. დედაბერმა წაიკითხა და კიდევ გადას-
წერა: შვილო, ძაღლის ლეკვი გეყოლა, შენი თვალით ნახეო.
მოვიდა ვაჟი საღამოთი და დაახვედრა თავისი ნაწერი. ვაჟმა
კიდევ დასწერა: დედავ, აკი მოგწერე, ძაღლის ლეკვი ეყო-

ლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდი კარგად შეინახე დედაცა და შვილიც. მეორე დღეს წავიდა სანადიროთ. დედაბერმა გადასწერა: ოქროსქოჩორიანი ვაჟია თუ რაც, ჩემს მოსვლამდე დედაცა და შვილიც საკირეში დასწვით. რა ქნას დედამ, ვაისაც ეშინიან და ვალალისაც. დასწვას, არ ემეტება არც რძალი და არც შვილი, არადა შვილი მოვა და რა პასუხი მის-



ცეს, რასაც სწერავს, რომ არ შეუსრულოს?! დააწყობინა ისევ საკირეში ბლომათ ხმელი შეშა და მოუკიდეს ცეცხლი. შე კი ვერ ვუყურებო, — სთქვა დედამ, — და გაატანა თავიანთ ჯარისკაცებს, რომ გახურდეს ჩაყარეთო. კარგად რომ

გახურდა საკირე, აიღეს და დედაცა და შვილიც ჩაყარეს შიგ, თითონ კი საჩქაროდ განშორდნენ, რადგანაც ძალიან ებრალებოდათ. მოვარდა იმ წამსვე ცხენი, დაავლო პირი და დედაცა და შვილიც ნაპირს გადმოყარა.

— აჟი გითხარ ავშარასა და ბორკილს ნუ ათხოვებ-მეთქი. რომ შევიტყვე, ავშარა გავწყვიტე და გამოვიქე, წელის ძვალი გამიტყდა; შუა გზას რომ მოველ, ბორკილიც გავწყვიტე და წელიც სულ მომწყდა. მე ველარ ვიცოცხლებ, ვიცი ჩქარა მოვკვდები, ჩემს ძვლებს ნურც ერთს ნუ გადააგდებ, აიღე და დიდ მინდორს გარშემო ღობესავით შემოავლე, შიგ როგორც გინდა სახლებისათვის შემოურიგე, შემდეგ დაიძინე და როცა გაიღვიძებ, გალავანი გექნება გარშემო და შიგაც სახლებიო. ეს უთხრა თუ არა, მოკვდა კიდევ სპწყალი ცხენი. აილო ამ ქალმა და ბევრი ტირილისა და ვაების შემდეგ, — ვილა მეყოლება პატრონიო, — გაატყავა ჯიბის დანით და ძვლები შემოურიგა მინდორზედ.

დაღამდა კიდევ. დაწვა უღაბურს მინდორზედ, თავისი პაწია შვილი ჩაიკრა გულში და დაიძინა. ადგა მეორე დღით, ნახა მშვენიერი გალავანი არტყია. ახლა დაურიგა სახლისათვის, რამდენიმე ოთახებათ დაჰყო და იმ ღამესაც დაწვა და დაიძინა. რა გაეღვიძა ნახა, რომ მშვენიერი სახლები ადგია თავს. შვილიც ეზრდებოდა. ვინც წლით იზრდება, ის დღით იზრდებოდა იმდენს. გაივსო ბაღის მთვარესავით, მშვენიერი გაიზარდა.

ხელმწიფის შვილმა, როცა გაიგო ცხენს აუწყვეტიაო, მაშინვე დაბრუნდა სახლში და იკითხა: ჩემი ცოლ-შვილი სად არისო. — დავწვიო, — უპასუხა დედამ. — როგორ თუ დავწვი, რა დაგიშავესო, — ჰკითხა შვილმა.

დედამ მოუტანა წერილები: აი მწერავდი და დავწვიო.

რა ნახა თავისი ნაწერი, იცნო, მაგრამ სიტყვები კი ვერა. გაუკვირდა: შენა მწერავდი, ძალის ლეკვი ეყოლა შენს ცოლსაო. აჟ კი ოქროსთმიანი ვაჟიო. გაუკვირდა დედასაც: რას ამბობ, შვილო, მე გწერავდი ოქროსთმიანი ვაჟი გყვოლა, მოდი და ნახეო და აი შენ რასა მწერავდიო. გაიგეს, რომ ბოროტი ბებრის ენა იყო. წაიშინეს თავში, იტირეს, იგლოვეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ.

გაიარა დიდმა ხანმა. დედამ ურჩია შვილს: სანადიროთ წადი, გულს გადააყოლებო. დაუჯერა დედას, ადგა და თავიანთ მამულის ბოლოზედ წავიდა. მიადგა ქალის სასახლეს და გაუკვირდა: ამისთანა სახლები ვის აუშენებიაო. შემოუ-



რა ვალავანს გარშემო, კარებს შეხედა, დაინახა მშვენიერი ქალი და პატარა ოქროსთმიანი ვაჟი. ძრიელ მოეწონა და გარეთ მარბენალს ყმაწვილს დაუძახა და ჰკითხა: ვინა გყავს პატარავ აქა, ვისთან სცხოვრობო. ბავშვმა უთხრა: ჩემი დედა და მე ვარო. ხელმწიფის შვილმა აღარ მოიშორა ეს ბავშვი, თან აიყოლია ნადირობაში, ერთი ხოხობი მისცა ბავშვსა და დააბარა: თუ შეიძლება დედაშენმა შეგვიწვას და გამო-

იტანე, ერთათა ვსკამოთო. ბავშვი გაიქცა, დედას ხოხობი მიურბენინა და დაბარებული გადასცა. ქალმა იცოდა, რომ თავისი ქმარი იყო, დაინახა თუ არა, ბავშვი განგებ გაუშვა სათამაშოთ. როდესაც შეწვა, უთხრა: წადი, შვილო, სთხოვე, — აქ მობრძანდეს და აქ მიირთვასო. გაიქცა ბავშვი და უთხრა, ხელმწიფის შვილი სინარულით გამოჰყვა, რადგანაც შემთხვევა ეძლეოდა ამბის გაგებისა, თუ ვინა სცხოვრობდა ამ სახლებში.



ქალმა ზრდილობიანათ მიიღო სტუმარი. ვაჟმა ვერ იცნო და გაუმეორა კითხვა, რაც ბავშვს ჰკითხა: ვინა სცხოვრობთ აქ, ან რამდენი, ან საიდანაო. წინათ არ იყო აქ არც ეს სახლები, არც გალავანიო, თუმცა აგერ სამი-ოთხი წელიწადია აქეთ აღარ გამომივლია, რადგან მიზეზი მქონდა არ გამომევლო, ჩემი ცოლ-შვილი ამ მინდორში დამეღუპაო.

ქალმა თავიდგან დაიწყო თავისი თავგადასავალი, თუ დედ-მამას როგორ მიეცა, როგორ აღზარდეს, როგორი ცხენი ჰყავდა, გლახას როგორ გააყოლეს, მინდორში ცხენმა და თითონ როგორ დაიწყეს მარტო ცხოვრება, ან ხელმწიფის შვილმა როგორ ითხოვა; ქმარის სანადიროდ ყოფნის დროს შვილი ეყოლა და როცა ეს ამბავი ქმარს შეატყობინა, რა პასუხი მიიღო, როგორ ჩაჰყარა დედამთილმა საკირეში. მერე ცხენმა დედაცა და შვილიც როგორ გადაანარჩუნა, როგორ მოკვდა ცხენი, იმის ძვლებით როგორ ააშენა სახლი და რა გაჭირვებით სცხოვრობს პაწია შვილით.

ეს ამბავი რომ მოისმინა, ხელმწიფის შვილი წამოხტა, მოეხვია ცოლსა და შვილს, დაჰკოცნა და დაიწყეს ტირილი. შემდეგ სთხოვა დაევიწყნა მისი მიზეზით მიყენებული უსიამოვნება, მით უმეტეს, რომ მე დამნაშავე არა ვყოფილვარ, სულ იმ ბებრის საქმე იყო. ცხენმა რომ დაიჭიხვინა და ავშარა ასწყვიტა, მეც თან გამოვეყე, ვგრძენ უბედურება რამ იქნება-მეთქი, იმას კი რა მომადიქრებინებდა, რაც მომხდარიყო. როდესაც მოველ და დედაჩემმა მიამბო და წერილები მაჩვენა, გავგზავნე იმ ბებრის სახლში და სულ მტვრათ ვაქციე თავის სახლ-კარიანაო.

გახარებულმა ხელმწიფის შვილმა დედასთან გაგზავნა კაცი: ჩემი ცოლ-შვილი ვიპოვე უვნებელი და შენც აქ მობრძანდიო. მაშინვე დედაც მიიყვანეს. რა ნახა თავისი რძალი და შვილი, დიდად გაიხარა, გაგზავნა კაციები, რაც საცხოვრებელი ჰქონდათ, სულ აქ მოატანინა; გააშენა ქალაქი, დაასახლა თავისი სახელმწიფო და ცხოვრობდნენ ბედნიერათ. მარტო ცხენისთვის-ლა დარდობდნენ, რომ აღარა ჰყვანდათ მოამაგე ცხოველი.

პირი იქა, ლხინა აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

ეშმაკი დედაბერი

იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელიწიფე. ამ ხელმწიფეს ჰყავდა სამი ვაჟი. ხელმწიფემ უთხრა შვილებს: შვილებო, მე სამი დღის მერე მოვ-

კვდებიო, მოდით ჩემი ქონება გაგიყოთო. სულ უფროსს. ვაჟს მისცა თავისი ხელმწიფობა: მე რომ მოვეკვდებიო, შენიქნები ჩემს ადგილსაო. შუათანა ვაჟს მისცა თავისი სიმდიდრე. სულ პატარამ უთხრა: მამაო, მე რალა უნდა მომცეო. ამოიღო ერთი კოლოფი და მისცა: აგერა შვილო, ეგეც შენაო, გაჭირვებაში გამოგადგებაო. ასწია ბიჭმა და ჩაიდვა ჭიბეში. ბიჭმა სთქვა: რათ მინდა ეს კოლოფიო, რატომ ქონება არ მომცაო.

გავიდა სამი დღე. მოკვდა ხელმწიფე, დამარხეს. ხელმწიფეთ სულ უფროსი ვაჟი დადგა. სიმდიდრე შუათანა ძმამ აიღო.

ერთხელ უფროსმა ძმამ სთქვა: მე სანადიროთ უნდა წავიდეო. ასწია ხმალი და თოფი, შეჯდა ცხენზე და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ერთ ტყესთან. ნახა იქ შველი, ესროლა თოფი, ვერ გაარტყა. წამოხტა შველი და გაიქცა, გაეკიდა ეს ბიჭი, ვერ დაეწია. გავიდენ ერ ტრიალ მინდორზე. იმ ბიჭმა დაინახა ერთი სახლი. ეს შველი რომ იმ სახლს მოეფარა, იქცა ქალად. წამოვიდა უკან. ამ ქალმა უთხრა: საით მიდიხარ ადამიანის შვილო? ბიჭმა უთხრა: აქეთ ერთი შველი გამომექცა და გამოვეკიდეო. ამ ეშმაკმა დედაბერმა უთხრა: იმას ველარ დაიჭერო, დალლილი ხარ, შემო, დაისვენეო. შევიდა ეს ბიჭი, დაჯდა, დაისვენა. ამ დედაბერმა უთხრა: შვილო, აქ ერთი სახელმწიფო არისო. ერთ ხელმწიფესო ჰყავს ერთი ქალიშვილიო, ვინც იმ ქალიშვილს ხმას ამოაღებინებს, ის ქალი იმისი იქნებაო. წადი, თუ შეგიძლია შენცო.

ადგა ის ბიჭი და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა იმ ხელმწიფესთან და უთხრა: მე ამოვალებინებ შენ ქალიშვილს ხმასო. ხელმწიფემ გაუშვა ბიჭი. ბიჭს რომ კარები უნდა გაეღო და შესულიყო, კარისკაცებმა უთხრეს: ნუ შეხვალ, ცოდვა ხარო, შენ მაგ გოგოს ვერ ამოაღებინებ ხმასო. ბიჭმა არა ქნა. შევიდა. მისცა სალამი გოგოს. გოგომ ხმა არ გასცა. ბევრი ელაპარაკა ბიჭი, მაგრამ გოგომ ხმა მაინც არ ამოიღო. ის თავის საათს უკვირდებოდა; შესრულდა თუ არა, დაიყვირა. შემოცვივდენ ვეზირები, გაიყვანეს ბიჭი და მოსჭრეს თავი. იმ სახლს ერტყა გარშემო ოთხმოცდაჩვიდმეტი ადამიანის თავი. ამ ბიჭიანათ გახდა ოთხმოცდა-

თვრამეტი. ბიჭმა რომ დაიგვიანა და თავის სახელმწიფოში არ მოვიდა, მეორე ძმამ სთქვა: მეც უნდა წავიდეთ და ჩემი ძმა მოვძებნო. ადგა, იმანაც ასწია თოფი, ხმალი, შეჭდა ცხენზე და წამოვიდა. მოვიდა იმ ადგილას, სადაც თავის ძმას შეხვდა შველი. ამასაც შეხვდა ის შველი. ესროლა



თოფი, ვერ გაართუა. წამოხტა ეს შველი და გაიქცა. გაევიდა ბიჭი, ვერ დაიჭირა. გავიდენ ერთ ტრიალ მინდორზე. ეს შველი იმ სასლთან რომ მივიდა, იქცა დედაბერად და უკან გამობრუნდა. ამ ბიჭს უთხრა: საით მიდიხარო. ბიჭმა უთხრა: შველი გამომექცაო და იმას გამოვეყიდეო. ამ დედაბერმა უთხრა: იმას ველარ დაიჭერო. შემოდი სახლში და დაისვენეო. შევიდა ბიჭი, ცხენი დააბა და იარაღი მოიხსნა. როცა დაისვენა, ამ დედაბერმა უთხრა: ამ სახელმწიფოში არის ერთი ხელმწიფეო. იმას ყავს ერთი ქალიშვილი, თუ იმას ხმას ამოაღებინებ, ის ქალიშვილი შენი იქნებაო, თუ არადა, თავს მოგჭრისო.

დასტოვა ბიჭმა თოფი, იარაღი და წავიდა ხელმწიფესთან. როცა მივიდა, ხელმწიფეს უთხრა: ბატონო ხელმწიფეო, გამიშვი შენ ქალთან, მე ამოვალე ბინებ ხმასაო. ხელმწიფემ მისცა ნება. ბიჭი შევიდა ქალთან. ბევრი ელაპარაკა, მაგრამ ქალმა ხმა არ გასცა. ქალი მაინც საათს უყურებდა. შესრულდა დრო თუ არაო, ქალმა დაიყვირა. შემოვიდნენ ვეზირები, გაიყვანეს ბიჭი და მოსჭრეს თავი. ამ ბიჭიანათ გახდა ოთხმოცდაცხრამეტი. ამ ბიჭმაც რომ დაიგვიანა, პატარა ძმამ სთქვა: ჩემს ძმებს რაღაც დაემართათო.

იმანაც ასწია თოფი, ხმალი, შეჭდა ცხენზე და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, მოვიდა იმ ტყესთან, საითქენაც თავის ძმები წამოვიდნენ სანადიროდ. იმ ადგილს, სადაც თავის ძმებს შეხვდათ შველი, ამ ბიჭსაც იმ ადგილს შეხვდა ის შველი. ბიჭმა ესროლა თოფი და ფეხში გააჩტყა. ეს შველი კოჭლა-კოჭლით გაიქცა, ბიჭი გაეკიდა უკან, მაგრამ ვერ დაეწია. გავიდნენ ტრიალ მინდორზე. შველი რომ მივიდა იმ სახლთან, იქცა ისევ დედაბერათ და კოჭლობით წამოვიდა. ის ბიჭი მიხვდა, რომ ის შველი იყო ის დედაბერი. დაიჭირა ეს დედაბერი და უთხრა: მითხარი, ჩემი ძმები შენ გეყოლებათ. დედაბერმა უთხრა: გამიშვი, გეტყვიო. ბიჭმა გაუშვა. დედაბერმა უთხრა: შენი ძმები ხელმწიფემ მოკლაო. ხელმწიფეს ერთი ქალიშვილი ჰყავსო, ვინც იმას ხმას ამოალე ბინებს ის ქალიშვილი იმისიაო. შენი ძმებიც იქ წავიდნენო, ვერ ამოალე ბინეს ხმაო და ხელმწიფემ თავი მოსჭრაო. ბიჭმა უთხრა დედაბერს: მეც იქ უნდა წავიდეო და ჩემს ცხენს და იარაღს შენ გაბარებო. თუ ცოცხალი მოველი, კარგო, თუ არადა, ეგენიო შენზე ალალი იყოსო.

აღგა ბიჭი და წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან და სთხოვა: ბატონო ხელმწიფეო, გამიშვი შენ ქალიშვილთანაო. მე ამოვალე ბინებ ხმასაო.

გაუშვა ხელმწიფემ. ბიჭი რომ უნდა შესულიყო, კარის კაცებმა უთხრეს: ნუ შეხვალ, ცოდვა ხარო. ამ დროს ჯიბეში რაღამაც დაიწყო ბზუილი. ბიჭმა ამოიღო კოლოფი, გახსნა და ნახა შიგ ბუზი ბზუოდა. ბუზმა უთხრა: სად მიდიხარ უჩემოთო, ჯერამ მე დამეკითხე და ისე შედიო. ჯერამ მე შევალო, ჩავძვრები იქ შადმებშიო. შენ რომ შემოხვალ ქალს

არ შეხედო, პირდაპირ შადმებისკენ მოიხედე და გამარჯობა სთქვიო. მე გეტყვი: გაგიმარჯოსო. მე და შენ დავიწყობ ზღაპარიო. მე რასაც ვიტყვი, შენ სულ ბრუდეთ სთქვიო. ის ქალი ამოიღებს ხმასო. ამოფრინდა ბუზი. ბიჭმა რომ კარი გააღო, ბუზი შევიდა და ჩაძვრა შადმებში (სანთლის ჩასაქრობი). ბიჭი შევიდა, უთხრა: გამარჯობა, შადმებსო! ბუზმა უთხრა: ადამიანის შვილო, რამე გეცოდინებაო, ილაპარაკეო. ბიჭმა უთხრა: მე შორი გზა გამომივლიაო, დაღლილი ვარო, თქვენ გეცოდინებათ რამე და ილაპარაკეთო.

ბუზმა დაიწყო: იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რა იქნებოდაო. იყო სამი ძმანი. ეს სამი ძმანი მიდიოდნენ ერთ ქალაქში სამუშაოთ. უფროსმა ძმამ სთქვაო, რომ წავიდე, პური ავიღო და მოვალო. დაუცადეს ძმებმა. აქა ეფროსი ძმა წავიდა, მივიღე ერთ ქალთან. ამ ქალმა მისცა ნახევარი ბატი, ნახევარი პური და მოვიდა. ახლა შუათანა ძმამ სთქვა: მეც წავიდე, ავიღო პური და მოვალო. წავიდა ეს შუათანა ძმა, მივიდა იმ ქალთან, სადაც ის უფროსი ძმა მივიდა: ამ ქალმა მისცა ამასაც ნახევარი ბატი; ნახევარი პური და დაბრუნდა ეს ბიჭი, მოვიდა ძმებთან. ახლა უმცროსმა ძმამ უთხრა: ძმებო, მეც დამაცადეთო. წავიდე, მეც ავიღო პური და მოვალო.

წავიდა ეს ბიჭი. მივიდა იმ ქალთან, რომელთანაც მისი ძმები მივიდნენ. ამ ბიჭმა წაართვა ქალს ნახევარი ბატი, ნახევარი პური; მოვიდა ეს უმცროსი ძმა თავის ძმებთან და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, ამათ პური მოშივდათ. მივიდნენ და წყაროსთან დაჯდნენ. ამოიღეს ყველამ პური. ნახეს, რომ ყველას პური და ბატი ტოლი იყო. უფროსმა ძმამ უთხრა: ვინ მოგცათ თქვენაო ეს ბატი და პურიო. ძმებმა უთხრეს: ამამავალმაო. — ეგ ხომ მე მიყვარსო. შუათანა ძმამ უთხრა: მეც მიყვარსო. უმცროსმა ძმამ უთხრა: მეც მიყვარსო. ამათ დაიწყეს აქ ჩხუბიო. ბუზმა უთხრა: აბა მითხარიო, რომელს ეკუთვნის ქალიო. ბიჭმა უთხრა: სულ პატარა ძმას ეკუთვნისო. ბუზმა სთქვა: არაო, შუათანა ძმას ეკუთვნისო. ამით ჩხუბში ქალმა დაიყვირა: რას ჩხუბობთ, ის ქალი ეკუთვნის სულ უფროს ძმასო.

გამოვიდა ბიჭი, მივიდა ხელმწიფესთან: ბატონო ხელმწიფე, ამოვალე ბინე ხმაო. ხელმწიფემ უთხრა: ეგ ერთი, თუ კიდევ ორჯერ ამოვალე ბინე ხმასო, ქალი შენი იქნებაო, თუ არადა, თავს მოგჭრიო. ამ ბიჭმა სთქვა: მე მეგონაო, რომ ერთპირ ამოვალე ბინე ხმასო. ადგა ბიჭი და წავიდა. როცა ბიჭი უნდა წასულიყო, ხელმწიფემ უთხრა: ორი დღის შემდეგ კიდევ მოხვალო. ბიჭი წავიდა, მოვიდა ერთი დედაბრის სახლში და უთხრა: დედაჯან, სტუმარი არ გინდაო. ერთი რამდენიმე დღეო შემინახეო. ქალმა მიიღო.

გავიდა ორი დღე. მოვიდა ბიჭი. მაშინ ხელმწიფემ შადმები გააკეთებინა ვერცხლისა. ბიჭი რომ უნდა შესულიყო გოგოსთან, ბუზმა კიდო დაიწყო ბზუილი. ბიჭმა ამოიღო კოლოფი და გახსნა. ბუზმა უთხრა: რომ შეხვალ, გოგოს არ შეხედო, მე შიგ ვიქნები შადმებშიო; სთქვიო: გამარჯობა ვერცხლის შადმებო, მაშინ მე და შენ ვიცოდეთო. ბიჭმა კარი გააღო. ბუზი შეფრინდა. ჩაძვრა შადმებში. ბიჭიც შევიდა: გამარჯობა ვერცხლის შადმებო. — გაგმარჯოს ადამიანის შვილო! გოგო გაშტერდა: ენა არა აქვთ და როგორ ლაპარაკობენო. ბუზმა უთხრა: ადამიანის შვილო, მოდი ერთი რამე დაიწყეო. ბიჭმა დაიწყო: იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რა იქნებოდა. იყო სამი ამხანაგო, ერთი ღვდელიო, ერთი ღურგალი, ერთიც მკერავიო. ესენი მიდიოდენ სადღაც ქვეყანაში. გზაში დაულამდათ. ღვდელმა სთქვა: ამ ტყეში რიგრიგობით დავიძინოთო. ჯერ დაწვენენ ღვდელი და მკერავი, ფხიზლობდა ღურგალი. ამ ღურგალს მოსწყინდა მოსჭრა ერთი ხე და გამოთალა ერთი ფიგურა. მოვიდა ახლა მკერავის რიგი. დაწვა ღურგალი. ამ მკერავსაც მობეზრდა მარტო ყოფნა. გაიხედა და დაინახა ხის ძირს რაღაც აყუდებულია თეთრათ. მივიდა, ნახა ღურგლის გამოთლილი ადამიანის სახე. მკერავმა შეუკერა შარვალი, ხალათი და პალტო. ჩააცვა. ისევ ააყუდა თავის ადგილას. მოვიდა ღვდლის რიგი. ადგა ღვდელი, დაწვა მკერავი. ღვდელმა გაიხედა და დაინახა ხის ძირას რაღაც დგას. მივიდა, ნახა, რომ ღურგალს გამოუთლია ადამიანის სახე, მკერავს შეუკერია ტანსაცმელი. მაშინ ღვდელმა სთქვა: მეც ჩაუდგამ სულსაო. აიღო თავის სახარება, იმდენი იკითხა, რომ ამ ხეს ჩაუდგა სული. გა-

თენდა დილა. ადგნენ სამივენი. დურგალმა სთქვა: ჩემია დედოფალა, მე უნდა წავილოო. მკერავმა სთქვა: არა ჩემიაო. ღვდელმაც სთქვა: არა ჩემიო. ბიჭმა სთქვა: ახლა შენ სთქვი, რომელს ეკუთვნისო. ბუზმა უთხრა: დედოფალა ეკუთვნის მკერავსაო. ბიჭმა სთქვა: არა, ღვდელს ეკუთვნისაო. ამათ ჩხუბში ქალმა წამოიყვირა: რას ჩხუბობთ, დურგალს ეკუთვნისო.

გამოვიდა ბიჭი უკან, მივიდა ხელმწიფესთან: ბატონო ხელმწიფეო, ხმა ამოვადებინეო. ხელმწიფემ უთხრა: წადი და სამი დღის შემდეგ კიდევ მოდიო.

ადგა, წავიდა ბიჭი. მივიდა დედაბერთან. ვნახოთ, ქალი გამოვიდა ოთახიდან და მივიდა მამამისთან: მამავო, წადი და ოქროს შადმები გააკეთებინეო. წავიდა ხელმწიფე, მივიდა ოქროს მჭედლებთან და უთხრა: ისეთი შადმები უნდა გააკეთოთ, რომ არ ილაპარაკონო. თუ ილაპარაკებს ყელს გამოგჭრიოთ. ამ ოქროსმჭედლებმა კი გააკეთეს შადმები, მაგრამ თვითონ გაიქცნენ.

დალამდა. ბიჭი სახლში ქეიფობს. გოგო შეიკაზმა ბიჭურათ და წავიდა ბიჭის სახლში. რომ მივიდა, დაარაკუნა კარზე. გამოვიდა ბიჭი. გოგომ უთხრა: ამალამ სტუმარი არ გინდათო. — მობრძანდიო. გოგოს უნდოდა გაეგო თუ რის ძალით ალაპარაკებდა შადმებს, მაგრამ ამ დროს ბუზმა დაიწყო ბზუილი. ბიჭი გამოვიდა გარეთ, ამოიღო კოლოფი და გახსნა. ბუზმა უთხრა: ეგ ის ქალიშვილი არისო, იმიტომ მოვიდა, რომ გამოგტეხოსო, თუ რის ძალით ალაპარაკებ შადმებსო. ახლა შენ ეცადე ეგ დაათრო, მხოლოდ შენ არ დათვრეო. ბიჭი შევიდა სახლში, მოუჯდა ამ გოგოს გვერდში და დაალევიან ღვინო. გოგო დათვრა, ბიჭი კი ფხიზელი იყო.

დალამდა. გოგო ველარ წავიდა სახლში. ღამე იქ დარჩა. დილაზე ადგა გოგო, ნახა რომ თავის სახში არ იყო. შეშინდა, საჩქაროთ ტანთ ჩაიცივა, მაგრამ ცხვირსახოცი იქ დარჩა. წავიდა გოგო, მივიდა ისევ თავის ადგილას. უკვე სამი დღე გასულა. ბიჭიც წავიდა. როდესაც მივიდა, ბუზმა დაიწყო ბზუილი: იქ არის გაკეთებული ოქროს შადმებიო და როცა შეხვალო, გოგოს ხმა არ გასცეო, პირდაპირ მე დამიწყე ლაპარაკიო. ჩვენ კვლავ დავიწყოთ ზღაპარიო. ბუზი

შევიდა, ჩაფრინდა შადმებში. ბიჭიც შევიდა: გამარჯობათ შადმებო! — გაგმარჯოს ადამიანის შვილო! — მოდი ერთი რამე დაიწყო. — ეპ, მე რა უნდა დავიწყო, წუხელის გავათენო. მოდი, შენ დაიწყო, სჯობია.



ბუზმა დაიწყო: იყო და არა იყო რა, იყო სამი ამხანაგი შორს ქვეყანაში. ერთ ქვეყანაში ჰყავთ საყვარელიო. ამ სამს უყვარს ერთი გოგო. ერთმა ამხანაგმა მიწას ყური დაადვა და გაიგო, რომ მისი საყვარელი ავათ არის. მეორეს აქვს ისეთი ვაშლი, იმისის ერთი ნაჭერი, რომ შეჭამოს, მაშინვე კარგად გახდება, მესამეც წუთში ხუთას ვერს გარბის. რომელიც წუთში ხუთას ვერს გარბის, იმან სთქვა: მე წაუღებ

და მოვარჩენო. ამ ბიჭმა წაიღო ვაშლი, მოუტანა და მოარჩინა. მერე დანარჩენი ამხანაგებიც მოვიდნენ. ახლა ჩხუბობენ: გოგო არა ჩემია და არა ჩემიო. რომელს ერგება? ბიჭმა სთქვა: ვაშლის პატრონს ერგებაო. ბუზმა სთქვა: არაო, მომტანს ერგებაო. დაიწყეს ამათ ჩხუბი. ვნახოთ გოგომ წამოიყვირა: რა გაჩხუბებთ, ვინც ყური დაუგდო იმას ერგებაო. ბიჭმა სთქვა: წუხელის მტრედი შემოფრინდა, მინდოდა მისი დაჭერა, მაგრამ ხელიდან გამექცა. აი, თუ არ გჯერავს, ფრთაში ვსტაცე ხელი და ბუმბული შემეჩიაო. ამოიღო ცხვირსახოცი და აჩვენა. ამ დროს ხელმწიფის ქალიშვილი გადაეხვია: მე შენი ვარო და შენ კი ჩემიო. შევიდნენ ხელმწიფესთან. ხელმწიფემ დიდი ქორწილი გადაუხადა. სამი დღის შემდეგ ხელმწიფე მოკვდა. ბიჭი დაჯდა ტახტზე და დაიწყო ტკბილი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ზღვის გულანდარა ძალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. მას ჰყავდა ორი მოჯამაგირე. ორივენი დილით კაზმავდნენ ვირებს და მიდიოდნენ შეშის მოსატანათ. მოჰქონდათ შეშა, უნთებდნენ ხელმწიფეს ცეცხლს, შემდეგ ისვენებდნენ. ხელმწიფეს არ ჰყოფნიდა ეს ორი მოჯამაგირე; არც ისეთი მარდები იყვნენ, რომ ყველაფერი დროზედ აესრულებინათ. ხელმწიფემ გადასწყვიტა ეშოვა მესამე მოჯამაგირე.

ერთხელ ხელმწიფეს ქალაქში ქუჩაზე შემოხვდა ერთი პატარა ბიჭი, უთხრა: შენ მოჯამაგირეთ ხომ არ დადგებიო. — კიო, — უთხრა ბიჭმა, — მაგრამ ადგილს ვერსად ვმოულობო. — ჩემთან წამოდი, მე წაგიყვანო, — უთხრა ხელმწიფემ. ბიჭმა ჰკითხა: დიდი დატვირთვა ხომ არ მექნებაო. — არაფერიო, — უთხრა ხელმწიფემ, — შენი მოვალეობა მხოლოდ ის იქნება, რომ დილით ჩემი ორი მოჯამაგირე გააღვიძო და გაგზავნო შეშაზედო და მე რომ ავდგები, ხელეები

დამბანე ხოლმეო. დათანხმდა პატარა ბიჭი და გაჰყვა ხელმწიფეს მივიდნენ სახლში, ჰამეს პური და დალამდა კიდევ. ხელმწიფემ იმ ლამეს პატარა ბიჭი თავისთან დააწვინა. გათენებას არც კი უცადა პატარა ბიჭმა, ადგა, გავიდა მოჯამაგირებთან და დააღვიძა: წადით, შეშა მოუტანეთ ჩვენს ხელმწიფესო. ადგა ხელმწიფე, ბიჭმა წყალი მოიტანა, დააბანინა ხელები და ჰამეს პური.

პატარა ბიჭმა ხელმწიფესთან ისეთი სიმარღე გამოიჩინა, რომ ხელმწიფემ დააჯილდოვა. ამით გათამამდა პატარა ბიჭი და ისეთი ადრე დგებოდა ხოლმე, რომ მამლები არ ყიოდნენ ჯერა. პატარა ბიჭი ხელმწიფემ ყველაზე წინ დააყენა და უფროს მოჯამაგირედ ითვლებოდა.

ერთ დროს შეშის მომტანმა მოჯამაგირეებმა განიზრახეს: მოდი, დილით ნუ ავდგებით, აბა რას გვიზამსო.

გათენდა მეორე დილა, გავიდა პატარა ბიჭი მოჯამაგირებთან, ეძახა, ეძახა და ვერ გამოალვიძა. გამოვიდა სახლიდან, შეკაზმა ორი ვირი და წავიდა თვითონ ტყეში შეშის მოსატანათ. მოკრიბა და წამოიღო შეშა. ამ დროს შემოეყარნენ ის მოჯამაგირეები, უნდოდათ პატარა ბიჭისათვის ეცემათ და აუდგნენ შარზე, წამოაქცია პატარა ბიჭმა ჯერ დიდი მოჯამაგირე, იმდენი სცემა, რომ კინალამ ცემით მოკლა. გაანება იმას თავი, დაედევნა პატარა მოჯამაგირეს, დაიჭირა გზაში და ძალიან მაგრადაც სცემა. მეორე მოჯამაგირემ უთხრა: მე კი ნუ მცემ, შენ რომ პატარაობისას ქალი გიყვარდა, დღეს იმის მამას იმ ქალის ქორწილი აქვს, წადი და იმას გაუმასპინძლიო. გაიგონა ბიჭმა ეს სიტყვები, გაანება მოჯამაგირეს თავი, წამოასხა ვირები, მოვიდა ხელმწიფესთან და უთხრა: დიდებულო ხელმწიფე, მე სახლში უნდა წავიდეო. — რათაო, — შეკითხა ხელმწიფე. — საქმე მაქვს და იმიტომაო.

ხელმწიფემ უარი უთხრა ბიჭს სახლში წასვლაზე, მაგრამ ბიჭი არ დადგა იქ, გაიქცა იმ სახელმწიფოში, სადაც მის საყვარელ ქალზე ქორწილი ჰქონდათ. შევიდა სახლში და ხალხს უთხრა: ჩვენში ასეთი წესი არის, როდესაც ქალს ვინმე წაიყვანს, ცალკე ოთახში უნდა გავიდეს და იქ გამოიცვალოს ტანისამოსიო. აუსრულდა წადილი პატარა ბიჭსა.

გავიდა ქალი ცალკე ოთახში, გამოიცვალა ტანისამოსი. მორეკა პატარა ბიჭმა ორი ცხენი, შემოისვა ქალი ერთ ცხენზე და წავიდა სხვა სახელმწიფოში. ქალმა უთხრა ბიჭს: მეფის სახლი არ დაიჭირო ბინად, თორემ ოინს გაკმევსო. ბიჭმა ბევრი იარა, მაგრამ საცხოვრებელი ბინა ვერ იშოვა. იძულებული შეიქნა დაეჭირავებინა ხელმწიფის სახლი. დიდხანს იცხოვრეს იქ.



ხელმწიფეს ჰყავდა ერთი ვეზირ-ვექილი და უთხრა ხელმწიფეს: დიდებულო ხელმწიფევე, შენს მდგმურს ასეთი ლამაზი ცოლი ჰყავდეს და შენ კი უცოლო უნდა იყოო. ხელმწიფემ უთხრა: რას ნიშნავს ეს შენი სიტყვაო. — იმას ნიშნავს,

რომ მაგ ბიჭს ეს ცოლი უნდა წავართოთ. — როგორ? — შეეკითხა ხელმწიფე. — ისე, რომ მოვიწვიოთ ერთ დღეს წვეულება, დავკლათ ცხვარი, დავპატიოთ ისინიც, როდესაც მოვა წვეულებაზე, დაჯდება, კერძს მე თვით მივუტან, ჩავუყრი საწამლავს და მოკვდებაო. მისი ცოლიც შენ დაგრჩებაო. დათანხმდა ხელმწიფე. ასრულებული იქნა ყველაფერი ნალაპარაკევი. მოიწვია ხალხი, დასხდნენ პურის ქამაზე და გაგზავნა ხელმწიფემ ვეზირ-ვექილი, უთხარი წამოვიდესო. ბიჭმა უთხრა: წადი და მეც ეხლავე მოვალო. უთხრა ცოლს: რისთვის მეძახიან? ცოლი ეუბნება: აკი გითხარ. ხელმწიფის სახლს ნუ დაიჭირავენ, თორემ ცუდ საქმეს გიზამსო. იმისთვის გეძახიან, რომ შენი მოკვლა უნდათ და ხელმწიფე დამისვამს ცოლადო. რომ ჩახვალ, დაჯდება პურის საქმელად, ხელმწიფის ვეზირ-ვექილი მოგიტანს კერძს, კერძი არ შეჭამო, საწამლავი იქნება მასში და მოკვდებიო. ერთი-ორი ლუკმა პური შეჭამე, მოიხადე ბოდიში და წამოდიო.

წავიდა ბიჭი, დაჯდა პურის ქამაზედ. მოუტანა ხელმწიფის ვეზირ-ვექილმა ჯამით კერძი, შეჭამა ბიჭმა ერთი ლუკმა პური, მოიხადა ბოდიში და წამოვიდა. გაბრაზდა ხელმწიფე, უბრძანა სხვა ვეზირ-ვექილებს, რომ მოეკლათ ის ვეზირ-ვექილი: როგორ მომატყუა და ამოდენა ფული დამახარჯინაო. ხელმწიფის ვეზირ-ვექილი შეეხვეწა: ნუ მომკლავ, ერთს კიდევ გეტყვი, თუ მაშინაც ვერ მოგკალით, მომკალიო. უთხრა ხელმწიფეს: დაიბარე ის ბიჭი და უთხარი, ამა და ამ ზღვაში ერთი ზღვის გულლანდარა ქალი არის, იგი მომიყვანე, ცოლად მინდა-თქო.

ხელმწიფემ დაიბარა ბიჭი და უბრძანა: წადი და ამა და ამ ზღვაში ზღვის გულლანდარა ქალი არის და მომიყვანეო. გავიდა ბიჭი ცოლთან. ცოლმა უთხრა: რა გითხრაო. ის მითხრა, რომ ამა და ამ ზღვაში ზღვის გულლანდარა ქალი არის, წადი და მომიყვანეო. ქალმა უთხრა: წადი და უთხარი ხელმწიფეს, მოგცეს ცხრა დღის საგზალი და არა გიშავს რაო.

წავიდა ბიჭი ხელმწიფესთან, უთხრა ყველაფერი ცოლის სიტყვები. მისცა ხელმწიფემ ცხრა დღის საგზალი, შეჯდა თავის ცხენზე და გაუდგა გზას. ისეთი იყო მისი ცხენი, რომ ერთი დღის სავალს ერთ საათში გაივლიდა. ერთ საათში რამ-


დენიმე კილომეტრი გაიარა. გავიდა ერთ მინდორზე, დაინახა, ვილაციეებს გუთანი ებათ. ამ გუთანზე მისი ნაცნობი ბიჭი იჯდა, რომელთანაც ერთად იყო მოჯამაგირედ. ამ ბიჭმა უთხრა მეგუთნეს: აი, იმ ცხენიან კაცს რომ ხედავ, ის კაცი მე მაჩუქებსო. მივიდა ეს ბიჭი მეგუთნეებთან და უთხრა: ზღვის გულანდარა ქალი ხომ არ იციოთ, რომელ ზღვაში არისო. მეგუთნეებმა უთხრეს: ზღვა კი არა ვიცით რა, მხოლოდ და-



ლიან ახლოს არისო. გადმოვიდა ის ბიჭი ცხენიდან და უთხრა იმ ბიჭს, რომელიც გუთანზედ იჯდა: აჰა, ეს ცხენი შენი იყოსო, რაღა იქ ვათრიოვო და მოშორდა ის ბიჭი მეგუთნეებს.

ბიჭი გავიდა ერთ ტრიალ მინდორზედ და დაინახა ერთი სახლი. ეს სახლი იყო ცხრათავიანი დევის ბინა. ამ დევის ჰყავ-

და ერთი ქალი. დევმა იცოდა სამი თვიდან ხუთ თვემდე ძილი. იმ დროს, როდესაც ეს ბიჭი მივიდა დევის სახლთან, დევი ერთი კვირის დაძინებული იყო. მივიდა ის ბიჭი სახლის კართან. სახლიდან გამოვიდა ერთი ლამაზი ქალი და ჰკითხა: აქ რამ მოგიყვანაო. ბიჭმა უპასუხა: მე ვეძებ ზღვის გულდან-დარა ქალს და ისე შემთხვევით მოვხდი აქაო. ხომ არ იცი, სად იქნება ზღვის გულდანდარა ქალიო. — მე კი არ ვიცი, მაგრამ მამაჩემს ვკითხავ, იქნებ იმან იცისო. შევიდა ქალი თავის მამასთან. ქალის მამას თავთან ერჭო ერთი ხმალი. იმ ხმალს როდესაც გადმოაქცევდნენ, დაეცემოდა თავზე და მაშინ გამოიღვიძებდა. გადმოაქცია ქალმა ხმალი, წამოდგა



ქალის მამა: რისთვის გამაღვიძეო. — მამავ, ზღვის გულდან-დარა ქალი ხომ არ იცი სად არისო. — ვიცი, შვილო, ჩვენი სახლიდან ერთი კილომეტრის მანძილზე არის აქამდეო. დაურ-ჭო ქალმა ხმალი ისევ და გამოვიდა გარეთ. უთხრა ბიჭს: ჩვენს სახლიდან ერთი კილომეტრის მანძილზე არის დაშორებულიო. ბიჭი ეუბნება: თუ შეიძლება გეკითხნათ, როგორ შეიძლება მისი წამოყვანაო. შევიდა ქალი მამასთან, გამოაღვიძა და მამამ უთხრა ქალს: შენ აქ ალბად ვინმე გყავს და იმისათვის მოდიხარ მალ-მალეო, იმისათვის მალვიძებო და წამოიწია ვეხზე. — არაო, მამავ, — უთხრა ქალმა და დააწვინა ისევ. მაშინ მამამ უთხრა: მხოლოდ ის გამოიყვანს იმ ქალს, ვინც ცურვა იცისო. იმ ზღვის შუაგულს ერთი დიდი ქვა არჰვია. როდესაც ამოვა იმ ქვაზედ და იხდის ტანისა-

მოსს და გადაფრინდება ისევე ზღვაში, ტანისამოსი უნდა მოიპაროს ისე, რომ ქალმა ზღვაში არ შეასწროს, თორემ იქვე გააქვავებსო. ქალმა დაურჯო ისევე ხმალი და გამოვიდა გარეთ. უთხრა ყველაფერი მამის ნალაპრაკევი ბიჭს.

გამოემშვიდობა დევის ქალს ბიჭი და წამოვიდა. მივიდა იმ ზღვის პირას. დაინახა — ამოვიდა ქალი ქვაზედ, გაინახა ტანისამოსი და ზღვაში გადაეშვა. ბიჭი იმ ხუჯილას გადაეშვა, სადაც ქალს ტანისამოსი ეყარა, მოიტაცა ქალის ტანისამო-



სი. ზღვის ნაპირზედ რომ გამოვიდა, შეასწრო ქალმა თვალი და გააქვავა იქვე. დევის ქალმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, შევიდა, გააღვიძა თავისი მამა და უთხრა: გაქვავებულის წამალი ხომ არა იცი რაო. — როგორ არა, შვილო, ჩვენს ბუხრის თავზე შავი თხის ნაღველი არისო, წაუხსომ იმასა და გაცოცხლდებაო.

ჩაურჭო ქალმა ხმალი ისევ, დაიძინა მამამ. ჩამოიღო ეს ნაღველა და წავიდა ზღვისაკენ. მივიდა იმ ადგილას თუ არა, სადაც გაქვავებული ბიჭი იყო, მოუსო ნაღველი და გააცოცხლა. გამოვიდნენ შემდეგ, დაიმალნენ ერთ ჯაგის ძირას, მოვიდა ქალი ზღვიდან, დაჯდა ქვაზედ, დაიხადა ტანისამოსი და გადაეშვა ისევ ზღვაში. გაკრა ბიჭმა ზღვას მკლავური და გაფარდა ქვასთან. მოიტაცა ქალის ტანსაცმელი, გამოვიდა ნაპირზედ, გამოყვა ქალიც თან. ჩაიცო ქალმა ტანსაცმელი და წავიდნენ სამნი ხელმწიფის სახლისაკენ.



ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ ხელმწიფის სასახლეში. იმ დროს იმ ბიჭის ცოლი ქმრისაგან მიცემულ დანას ლესავდა, უნდა თავი მოეკლა, რადგან ბიჭმა დაიგვიანა. ამ დროს შეაღო ბიჭმა სახლის კარი, ქალს ძალიან გაუხარდა და დანა ხელიდან დააგდო. მივიდა ბიჭი ხელმწიფესთან და უთხრა: ზღვის გულდანდარა ქალი მოვიყვანეო. ხელმწიფემ უთხრა თავის ნაზირ-ვექილებს, რომ ამდენი თანხა დაახარჯინეს. ხელმწიფეს შეეხევეწა ვეზირ-ვექილი: ერთს სიტყვა-

საც კიღევ გეტყვი, თუ მაშინაც არ მოკვდა, მერე მეც მომ-
კალითო. დადგი რამდენიმე საყენი შეშა, დაასხი ნავთი და
უთხარ მაგ ბიჭს: წადი დედაჩემთან, ჩემი ბეჭდები წაუღია
და მომიტანე-თქვა. საქორწილოდ ჰირდება, შენ ბიჭსო, ასე
უთხარიო.



დაიბარა ხელმწიფემ ბიჭი, უთხრა ყველაფერი. ჩავიდა
ბიჭი ცოლთან და მოახსენა, რაც ხელმწიფემ უთხრა. დევის
ქალმა უთხრა: არა გიშავს რა, შეჯექი იმ შეშის კონებზედ.
როდესაც ცეცხლს აანთებენ, კომლი ამოვარდებაო. აიფრინე
ჩვენს ბალკონში ისე, რომ ხელმწიფე ვერ შეგამჩნევსო.


დაჯდა ბიჭი შეშის საყენებზედა. წაუკიდეს ცეცხლი, ავარდა ძალიან დიდი კომლი, ისკუპა ბიჭმა, გადავიდა ბალკონში. დევის ქალს ყველაფერი წამოღებული ჰქონდა სახლიდან ბეჭდების გასაკეთებლად და შეუდგა მათ გაკეთებას. დააკეთა ისეთივე ბეჭდები, როგორიც თავის დედას გაატანა ხელმწიფემ. შეუტანა ბიჭმა ხელმწიფეს ბეჭდები.

ხელმწიფეს ძალიან გაუკვირდა ბიჭის გადაჩენა. მისცა ბიჭმა ბეჭდები და უთხრა: დედაშენს შენი ნახვა მონდომია და დამაბარა, წამოვიდესო.

ხელმწიფემ უთხრა ბიჭს: როგორ უფრო მალე ჩავალო. ბიჭმა უთხრა: დადგი ხუთი საყენი შეშა, დაასხი ორი კასრი ნავთი, შენც ზედ დაჭეკიო, წაუკიდებ მე ცეცხლს და მაშინ უფრო მალე ჩახვალო. მართლაც, ხელმწიფემ ყველაფერი დროზედ გააკეთა. ავიდა საყენის წვერზედ, წაუკიდა ბიჭმა ცეცხლი და ხელმწიფე დაიწვა. ბიჭი გახარებული ყო იმით, რომ ხელმწიფე მოკვდა. მთელი სახელმწიფო მის განკარგულებაში იყო და ზღვის გულლანდარა ქალიც გაგზავნა ისევე თავის ბინაში.

დევის ქალი მინამდვის იყო იქ, მანამ თავის მამას გაღვიძების დრო მოუვიდოდა. ერთი კვირალა აკლდა მის მამის გაღვიძებას და წავიდა დევის სახლში. მთელი სახელმწიფოს მმართველი ის ბიჭი გახდა.

კირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა,
ქიქა გეკიდათ ყველასა.
მთქმელსაც და გამგონებელსაც
ძილი გაამოთ ყველასა.



თქმა იყოს და გაგონება,
გორგოლაქის გაგორება.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი დიდი და დიდებული ხელმწიფე. იმ ხელმწიფეს ცხრა ვაჟი ჰყვანდა. ამდენ შვილებს იქნება სხვა კი გაეხარა, მაგრამ ხელმწიფე სულ სხვა თვალთ უცქერდა ამათ. რო ვისმე ეკითხა ხელმწიფისათვის: დიდებულო ხელმწიფევ, რა გახარებს, ერთის თვალთ რო იცინით და ერთი თვალთ სტირითო, ის ეტყოდა: ერთი თვალთ იმიტომ ვიციანი, შვილო, რომ ცხრა ვაჟი მყავსო, და ერთი თვალთ იმიტომ ვტირი, რომ ამ ცხრა ვაჟში ისეთი არავინ გამოეკრია, რომ ჩემი ნაქნარი ექნა, ჩემი ჩანადენი ჩაედინაო.

ერთხელ უფროსმა ძმამ გაიგონა მამის სიტყვები, მივიდა და უთხრა: მამავ, რა გაწუხებს, რაზედ სტირი, შვილები ამდენი გყევხართ, რამ დაგაღონაო. — იმანა, შვილო, — უპასუხა ხელმწიფემ, რომ ცხრა ვაჟში ერთი არ გამოხვედით იმისთანა, რომ ჩემნი საქმენი თქვენც გეთავათო. — იქნება ჩვენც შევიძლოთ, მამავ, წინადვე რად იტეხ გულსაო, — უთხრა შვილმა. ჯერ არ ეუბნებოდა მამა და, რაკი შვილმა მოაბეზრა თავი, უთხრა: მამ შეგიძლია შენ, სანამ ხოხობი

მოიხრაკებოდეს, წახვიდე და უკვდავების წყალი მომიტანოვო. — ვერაო, — უპასუხა შვილმა. მერე მერვე ვაჟი წამოდგა, იმასაც შეუკვეთა ხელმწიფემ. ასე ზოგი უარს ამბობდა წასვლაზედ, ზოგიც წავიდოდა, მაგარმ ხოხობი დანაცრდებოდა კიდევ იმათ მოსვლამდე. ბოლოს უმცროსი ვაჟი მივიდა მამასთან და უთხრა: მამავ, მე წავალ და მოვიტან, თუ შენ რაშს მომცემო. მამამ ძალიან უარი უთხრა. მაშინ ადგა ვაჟი, მოჰპარა მამას რაში. გადააჯდა ზედა და გაფრინდა რაში ჰაერში. მამამ რო გაიგო შვილის გაპარვა, დაჰწყევლა. ასემც წასულხარ, არამც მოჰსულხარო. მიფრინდა უკვდავების წყაროსთან და მიაწოდა თევზქალს ჩარეჟა წყლის ამოსაღებად. ის ქალი უკვდავების წყალში იყო. წელზევით ქალი იყო და წელქვევით თევზი. ქალმა უთხრა კაცს: დაბრუნდი, უკან ნულარ წახვალ, მამისგან დაწყევლილი ხარო; შენ მაინცდამაინც სიკეთე არ დაგეყრება, გზაზედ მ. კვდებიო.



ვაჟმა არ დაიშალა, გამოართვა უკვდავების წყალი, შემოჰკრა თავის რაშს მათრახი და გაეშურა სახლისაკენ. ვაჟს მთაზედ ლეკები დაჰხვდნენ, მოჰკლეს, დაჰკრეს და გადაჰკიდეს რაშს. რაში დაბრუნდა უკან და ჭიხვინით მოვიდა ქალთან.

ქალმა დააწყო ვაჟის ლეში ასო ასოზედ, გადაასხა უკვდავე-
ბის წყალი და გააცოცხლა. — ოჰ, რა ბევრი მძინებიაო, —
სთქვა ვაჟმა და მოიფშენიჭა თვალები. — აჟი გითხარი, —
უთხრა ქალმა, — რომ მამის წყევლას კაცი ვერსად წაუვა.
მე რომ არ დავსწრებოდი და ან შენი რაში, შენი ლეშიც
აღარსად იქნებოდა ეხლაო. შინ ნულარ წახვალ, — უთხრა
ქალმა, — და სადაც გინდოდეს, სხვაგან წადიო.

გამოეთხოვა ქალს ვაჟი, შემოჰკრა რაშს დეზი და გაუდ-
გა გზასა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს გამოვიდა ერთ
ღუზ მინდორზედ. გაიხედა და დაინახა, რომ მინდორში რა-
ღაც ბჭყვინავს. ისეთი საკვირველებაა, ისეთი ჭრელი რამ
არის, რომ იმისთანა არაფერი არ იქნება ქვეყანაზედ. მიუახ-
ლოვდა ვაჟი და ნახა, რომ ბუმბულია. რაშს ჰკითხა: რას მირ-
ჩევ, ავიღო თუ არაო. — აიღებ, ინანებ, — უპასუხა რაშმა, —
არ აიღებ, მაშინაც ინანებო. — რაც უნდა მომივიდეს, წავი-
ღებო, — სთქვა ვაჟმა. აიღო ფთე, ჩაიდვა უბეში და გაუდგა
გზას. ბევრი სიარულის შემდეგ ვაჟი ერთ ხელმწიფესთან მი-
ვიდა და დაუდგა მეჯინიზედ. მეორე დღეს გაიყოლა თავისი
რაშიც, ორი ბიჭიც სხვა წაიყვანა, წაასხეს ცხენები და გარე-
კეს მინდორში. ამოიღო ვაჟმა ის ბუმბული, დაიჭირა ხელში და
მთელი დღე იმას შესცქეროდა: ცხენებიც დაავიწყდა და წუთი-
სოფელიც ორი დღე კი უთმინეს ამხანაგებმა და მერე დაასმინეს
ხელმწიფესთან: ჩვენ ახალ მეჯინიებს, დიდებულო ხელმწიფე,
ერთი რაღაცა აქვს, ამოიღებს იმას და მთელი დღე შესცქე-
რის; არც არას თვითონა ჰამს და არც არას ცხენებს აკმევს.
საწყლებს მთელი დღე ფერდი ფერდზე აქვთ მიკრულიო. მა-
შინვე დაიბარა ხელმწიფემ ვაჟი და ჰკითხა: რა გაქვს ასე-
თი, რომ მთელი დღე იმას შესცქერაო. — რა უნდა მქონდე-
სო, — უპასუხა ვაჟმა, — რა რამე მქონიყო, ხომ არც თქვენ
დაგიდგებოდით მოჯამაგირედაო?! — არაო, — უთხრა ხელ-
მწიფემ, — აუცილებლად უნდა მომცეო. ამოიღო ვაჟმაც
ჭრელი ბუმბული და გადასცა ხელმწიფეს. ხელმწიფე ფრთისა-
გან გაკვირვებული იყო: გაეღო ხახა და შესცქეროდა ბუმ-
ბულს. სხვა ველარაფერი გაეგო იმის ცქერით, არც სასმელი
და არც საკმელი. — რა ხახა დაგიღია და შემცქერაო, —

უთხრა ბუმბულმა ხელმწიფეს. — მე კი არა ვარ საკვირველი, საკვირველი ის არის, ვისაც მე გავეარდიო. — ვინ მოიყვანს იმასო. — ჰკითხა ხელმწიფემ. — ვინც მე მომიტახსო, — უპასუხა ბუმბულმა. მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ ვაჟი და უთხრა: უნდა წახვიდე და, სადაც იქნება და სადაც არა, ის ფრინველი უნდა მოიყვანო, რომელსაც ის ბუმბული გავარდაო. ვაჟი



ძალიან შეწუხდა; წავიდა და შესჩივლა რაშს: ესე, ესეა საკმე; ხელმწიფემ შემოიკვთა, უნდა ის ფრინველი მოიყვანო, რომელსაც ეს ფთე გაჰვარდაო. — რა მეტი ღონეაო, — უპასუხა რაშმა, — უნდა წავიდეო და მოვიყვანოთო. შენ კი წადი

და ხელმწიფეს ერთი ჯორი გამოართვი, ერთი კვერი (ჩაქუჩი) და ცხრა მოსართავიო. წავიდა ვაჟი, გამოართვა ყველაფერი და მოიტანა რაშთან. — შემჯექ და წავიდეთო, — უთხრა რაშმა. შეჯდა ვაჟი და წავიდა იმ ფრინველის საძებნელად.

ერთს მთაზედ მივიდნენ. რაშმა უთხრა კაცს: იმ ფრინველებმა აქ იციან ჩამოსხდომა. ეგ ჯორი დაკალ, გამოაცალე წელები, ერთი დიდი რკინის პალო ძალიან მაგრა დაარტყე მიწაში, ზედ ჯორი დააბი, რომ ვერ წაილოს იმ ფრინველმაო. შენ ჯორის გვამში ჩაჯექ. ის ფრინველი მოვა, ჯერ ერთხელ დაუქროლებს, ჩაუყარის ბრჭყალებს წასაღებად, მაგრამ, რადგანაც დაბმული იქნება, ვერ წაილებსო. მერე მეორედ. რაკი ვერა და ვერ წაილებს, იმას ძალიან უყვარს ჯორის ხორცი, დაჯდება და დაუწყებს ჭამას. შენ მაშინ ხელი ჰტაცე, დაიჭირე, მეც მოგეშველები. ჯერ დავასუსტოთ, მერე მე დამაკარ, ზედ ცხრა მოსართავი გადააკარ, მერე შენც ზედ შემჯექ; რამდენიც აწიოს იმან, შენ კიდევ კვერი უკაკუნე თავშიო.

ვაჟმა ყველაფერი ისე ჰქნა, როგორც რაშმა უთხრა. მოვიდა ის ფრინველიც. ისეთი ტურფა რამ იყო, რომ იმაზედ ყარვს კაცის თვალი ვერაფერსა ჰნახავდა. ჯერ ერთხელ დაუტია ლეშს, ჩაუყარა ბრჭყალები, მაგრამ ვერ წაილო, ახლა მეორედ, მაგრამ ვერც მაშინ წაილო; მერე კი დაჯდა და დაუწყო გლეჯა ჯორის ხორცს. ვაჟი იქვე იჯდა, გამოაპარა ჩუმიად ხელი, ჰტაცა ფეხში ამ ფრინველს და დაიჭირა. დაიზიდა ფრინველმა, მაგრამ ამოუხტა კაცი, შეჰდგა ზედ წიხლით, გაუარა და გამოუარა; მოეშველა რაშიც და როგორც იყო დაიმორჩილეს. დასუსტებული ფრინველი დააკრეს რაშს და გადაუჭირეს ცხრა მოსართავი. ზედ თვითონ შეჯდა ვაჟი და გაჰწიეს. გზაზედ თანდათან ცოცხლდება ფრინველი, აიწევს ზევით და გაჰგლეჯს თითო მოსართავს. ვაჟიც უბრაბუნებს კვერს თავში, რაც ძალი და ღონე აქვს, მაგრამ იმდენს ვერაფერს აკლებს. რვა მოსართავი გაგლიჯა, ერთიდაა დაკარული და ის არის მივიდნენ ხელმწიფესთანაც. ყვირის ვაჟი: მომეშველენითო. მოეშველებიან მაშინვე და შეიყვანენ ფრინველს ცალკე ოთახში.

ხელმწიფე მისჩერებია ამ ფრინველს და თვალს ველარ აშოებს. — რა ხახა დაგიღია და შემცქერიო, — უთხრა

ხელმწიფეს ფრინველმა, — მე რა ვარ, საკვირველი ის არის, ვინც მე გამზარდაო. — ვინ მოიყვანს იმასაო, — ჰკითხა ხელმწიფემ ფრინველს. — ვინც მე მომიყვანაო. ჩემს მომყვანს არც იმის მოყვანა გაუჭირდებაო. მაშინვე დაიბარებს ხელმწიფე ვაჟს და ეტყვის: უნდა წახვიდე და, სადაც იქნება და სადაც არა, ამ ფრინველის გამზარდელი ქალი უნდა მოიყვანოვო. — მე საიდან მოვიყვანო, ბატონოვო, — ეტყვის ვაჟი. მე რა ვიცი სად არის ის ქალიო. — ეგ ჩემი საქმე არ არისო, — უთხრა ხელმწიფემ, — თავში ქვა უნდა იხალო და მოიყვანოვო. რაღას იზამდა საწყალი ვაჟი. დაღონებული დაბრუნდა რაშთან. — რამ დაგაღონა ჩემო პატრონოვო, — ჰკითხა რაშმა. — რას დაუფუკრებინარო. ჯავრს ნუ მიუშვებ გულადა, გულს უანგი მოეკიდებაო. — ესე, ესეა ჩემი საქმე, — ეტყვის ვაჟი, — და არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცეთო. — მაგისა ნუ გეფიქრებაო, — უთხრა რაშმა. წადი შინ, ორი ქილა ერბო და ორი ცხვარი გამოართვი და წავიდეთო. წავიდა ვაჟი ხელმწიფესთან, გამოართვა ორი ქილა ერბო, ორიც ცხვარი, შეჯდა და გასწიეს. ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ქალის სახლი იყო. რაშმა უთხრა: კარებზედ ორი ლომია, ისენი შეგვკვამენ, თუ ცხვრები არ გადაუგდებო; მირჩე ორი ძაღლია, იმათ ის ერბოიანი ქილები გადუყარე და გაგვიშვებენო. ქალის სახლში რო შეხვიდე, რაც გაშლილი დაგხვდეს, შეკეცე და რაც შეკეცილი — გაშალეო. იქ ათასი აბრეშუმეული და ფარჩეული — ოქროქსოვილი ჰყვანია, ქალი დამალულია და უიმისოდ არ გამოჩნდებაო.

აღგა ვაჟი და წავიდა ქალის სახლისაკენ. წინ ლომები შეჭხვდნენ, გადუყარა ცხვრები, გაჰცდა იმათ. ძაღლებს ერბოიანი ქილები მიუყარა და შევიდა ქალის ოთახში. რაც შეკეცილი და შეკრული ნახა — გახსნა და გაშალა, რაც გაშლილი ნახა — შეკეცა. გამოჩნდა კიდევ ქალი ისეთი მშვენიერი რომა, სანახავად სანატრელი იყო. შეისვა რაშზე ქალი ვაჟმა და გააფრინა ხელმწიფისაკენ. — მიშველეთ ჩემო ლომებო, — დაიძახა ქალმა. — მტერმა მომიტაცაო. — არა გვცალიან, ცხვრებისა კიდევ გვაკლია ცოტა რამ შესაქმე-

ლიო, — უპასუხეს ლომებმა. — მაშ თქვენ მაინც მომეშვე-
ლენითო, — დაუძახა ქალმა ძაღლებს, მაგრამ აღარც ძაღ-
ლებმა უგდეს ყური: არა გვცალიან, ერბოიანი ქილები მო-
სალოკები გვაქვსო. წაიყვანა, მოუყვანა ხელმწიფე: და უთხ-
რა: აო, ესეც თქვენი ქალიო.

ხელმწიფე სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მაგრამ მალე
კი გაუცედა სიხარული. ქალმა უთხრა: სანამ ჩემი ნების რა-
შების რძეს არ მომიტანთ და არ ვებანები, არ დავიწერ შენ-
ზედ ჟვარსაო. — ვინ მოიტანს შენი რაშების რძესაო, —
ჰკითხა ხელმწიფემ. — ვინც მე მომიყვანაო, — უპასუხა ქალ-
მა. ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა ვაჟი და უთხრა: უნდა წასვი-
დე და ქალის რაშების რძე მოიტანოვო. დაბრუნდა რაშთან
დაღონებული ვაჟი. — რამ დაგაღონაო, — ჰკითხა რაშმა
ვაჟს. — რამ არ დამაღონა, ახლა რაშების რძისათვისა მგზავ-
ნისო, — უპასუხა ვაჟმა. — შენ ნუ იღარდებო. — უთხრა
რაშმა. — წადი ხელმწიფეს ცხრა კამეჩის ტყავი გამოართვი,
ცხრა მოსართავი და ერთი მინა ზეთიო. წავიდა ვაჟი რაც ნათ-
ქვამი იყო, ყველაფერი გამოართვა. წამოიღო და წამოვიდა.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მივიდა ერთ ზღვასთან, რომელ-
შიაც ქალის რაშები იყვნენ. ჩამოხტა და დაისვენეს. რაშმა
უთხრა: მომაკარ ცხრა კამეჩის ტყავი, ცხრა მოსართავო. ჩა-
ვალ ზღვაში. ეგ ერთი მინა ზეთიც თანდათან ჩამოასხი ხოლ-
მე. თუ თეთრი ქაფი ამოვიდა, ცოცხალი მიგულე, ამოვალ
მეც. თუ არადა — მკვდარი ვარო, ჩემი იმედო ნუღარ გექ-
ნებო.

ჩავიდა რაში ზღვაში. დაირეკა ეს ქალის რაშები, ზოგ-
სა ჰწიხლავს, ზოგსა ჰკბენს, ერეკება ზევით, მაგრამ არც ისი-
ნი აყრიან სიკეთეს: ჰკბენენ, აგლეჯენ კამეჩის ტყავს და რაშს
კი ვერაფერს აკლებენ. ბოლოს ერთი კამეჩის ტყავიდა შერ-
ჩა: ჩაასხამს ვაჟიც ზეთს და ამოვა თეთრი ქაფი; იმედი მიე-
ცემა, რაში ისევ ამოვაო. ამოვა რაში და ამოირეკავს ქალის
რაშებსაც. პირობა ჰქონდა — ვაჟი ხეზე უნდა მჯდარიყო და
უცებ გადამჯდარიყო თავის რაშზედ. გაურბინა ქვეშ რაშმა,
შეხტა ზედ ვაჟი და მოქუსლეს. გაირეკეს რაშები და მიაღე-
ბინეს გრიალი ხელმწიფის კარზედ. შევიდა ვაჟიც ხელმწიფეს-
თან და მოახსენა რაშების მოყვანა. ხელმწიფეს ძალიან გაუ-

ხარდა. დაწველეს რაშები და უნდა იბანავონ. ისეთია რაშე-
ბის რძე, რო სუ ზეით ისვრის ქაფს: დულს, დულს და იქან-
ცება. — ჩადი ხელმწიფევე ჯერ შენაო. — ეტყვის ქალი. —
აბა, მე გაბანილიცა ვარ და სუფთაცაო, — უპასუხებს ხელმ-
წიფე. — მე გაბახა აღარ მინდაო. რაშმა უთხრა ვაჟს: მე დავ-
ბერავ. ჩადი, გაცივდება, შენ ებანე; ქალიც ჩამოვა, ისიც
ებანება. მერე ისევ დავბერავ — რძე აღულება, ხელმწიფე
ჩავა და რაც მოუვა, მოუვაო.



დაჰბერა რაშმა და ჩავიდა ქვაბში ვაჟი, ებანა მშვენივ-
რად და ამოვიდა; ისევ ჩაჰყვა ქალი, ებანა და ახოვიდა. ხელმ-
წიფემ კი სთქვა: ბიჭო, აუ ესენი ებანებიან და არაფერს
უშვრება. მე რაღა უნდა მიცოსო, ჩავიდა თვითონაც. და-
ჰბერა რაშმა, აღუღდა რძე და ეს ხელმწიფე გაშეშებული კი-
ამოიღეს ქვაბიდან. დაიწერეს ჯვარი ქალმა და ვაჟმა, სახელმ-
წიფოც იმათ დარჩათ და მსკელი იმათი საცხოვრებელიც. მერე
დედ-მამასთანაც წავიდა, წაიყვანა თავის ცოლიც და გაახა-
რა თავის დედ-მამაც. დალოცა მამამ ისევ თავის შვილი. და
დღესაც ტკბილად ცხოვრობენ, თეთრ პურსა ჰჭამენ და
წითელ ღვინოსა ჰსმენ.

კირი იქა, ლხინი აქა.

ქატო იქა, ფქვილი აქა.

ელასა-მელასა,

ქიქა მეკიდა ყელასა.

მოქმელსა და გამგონებელსაც

ჯვარო გეწეროს ყველასა.

ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რომ იცოდა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთსი რაღა იქნებოდა. იყო ერთი საწყალი კაცი. იმის ბედზედ არაფერი მოიპოვე-
ბოდა. იჭდა შინ და იყო. ცოლმა უთხრა: კაცო, წადი ითხოვე,
მოიტანე და მაჭამეო. კაცმა გაუგონა სიტყვა და წავიდა სათ-
ხოვნელად. მივიდა ერთ ქალაქში, დაიწყო თხოულობა, ზოგი
ერთ პურს აძლევდა, ზოგი ნახევარს. კაცს რაც ჰყოფნიდა,
იმათა სჭამდა, სხვას ზღვაში ჰყრიდა თითო ლუკმობრივ და
ქიტყოდა: ერთი ასსაო. ერთ ხელმწიფეს შემოაკლდა სალდა-
თისთვინ პური; იჭერდნენ იმ თევზსა, აცლიდნენ პურსა და
სჭამდნენ. მართლა ერთი ლუკმა ასსა ჰყოფნიდა მეორე მო-
სვლამდინ. ისრე გამოიყვანა ხელმწიფემ მთელი ჯარი.

კითხვა შეექმნა: ვინ არის, ვინც ჩემი ჯარი გამოიყვანაო.
ვინც იმას მომიყვანს, ბევრს ფულს ვაჩუქებო. გამოვიდა
ერთი თევზი და მოახსენა: ერთ ალაგს ერთი გლახა თხოუ-
ლობს, რაც თითონ ეყოფა იმას აიღებს და სხვას ზღვაში
ჰყრის და ამბობს: ერთი ასსაო. ხელმწიფემ უთხრა: მომი-
ყვანე ის კაცი და ვაჩუქებ რასმეო. თევზმა უთხრა: ის კაცი
არ მოვაო. — წადი, უთხარი, ხელმწიფე გიბრძანებსო. წავი-
და თევზი კაცთან და უთხრა: ხელმწიფე გიბრძანებსო. სა-
წყალმა კაცმა უთხრა: უნდა რომ თავი მომჭრასო. თევზი
წავიდა ხელმწიფესთან და უთხრა: არ მოდისო. ხელმწიფემ
უთხრა: წადი და უთხარი, რასა მთხოვ, გამოგიგზავნოვო.
წავიდა თევზი კაცთან და უთხრა: ხელმწიფემ შემოგიტვა-
ლა — ამოუშვი შენი პირით, რაც გინდა გამოგიგზავნოვო. სა-
წყალმა კაცმა უთხრა: არაფერი მინდა, შენი ჰირიმე. თევზი
წავიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: არაფერი მინდაო. თევ-
ზმა უთხრა ხელმწიფეს: რახან არ მოვიდა, მე მივცემ საჩუ-
ქარს, რომ შენ საჩუქარს სჯობდესო. — კარგიო, — უთხრა
ხელმწიფემ. თევზი წავიდა კაცთან და უთხრა: მოდი ენა-
ზედ ენა ამისვი, რაც ფრინველია სუყველას ენას გაიგებო.
ამასაც კი გეუბნები, არავის უთხრა, თორემ მოკვდებიო.

საწყალმა კაცმა გაუგონა თევზსა: მივიდა, თევზს ენა-
ზედ ენა აუსვა. მართლა ყველას ენა ესმის. თევზი წყალში
ჩავიდა, საწყალი კაცი შინ წამოვიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა შინ. ცოლმა უთხრა: რა მოიტანეო. კაცმა უთხრა: არაფერიო. წადი ეხლავე, ითხოვე რამე, მოიტანე და მაჭამეო. საწყალი კაცი წავიდა ხელმეორედ სათხოვნელად. ბევრი იარა, თუ ცოტა, მივიდა ერთ მუხასთან, დაიღალა და წამოწვა. იმ მუხაზედ შემოჯდა ერთი ყვავი და ბახალა ყვავისა. ბახალამ უთხრა: დედა, ჩავალ, აიმაკაცს თვალებს დავთხრიო. დედამ უთხრა: ნუ შვილო, კაცი ეშმაკია, არ ეძინებო, დაგიჭერს და მე ველარას გიშველიო;



მაგას ჩემს ენას ვერ გავაგონებ, ააასი ბევრი მივცეო. — არა, დედა, ჯერ ფეხებზე დავაჯდები, თუ ღვიძავს წამოდგება და გავფრინდებიო.

მართლა ჩავიდა, ჯერ ფეხზე დააჯდა. კაცმა თავი მოიმძინარა; მერე გულზედ და კაცმა სტაცა ხელი და დაიჭირა ყვავი ტირის: აკი გითხარი შვილო, დაგიჭერს-მეთქი. აბა რა გავაგონო ჩემი ენაო. ოღონდ გაგიშვას და ერთ ალაგას ერთი ქილა ფული ვიცი და მივცემო. კაცმა გაიგონა ის ლაპარაკი. ყვავს უთხრა: წამო, მასწავლე და გაუშვებო. ყვავი გაუძღვა და დააყენა ქილაზედ. კაცმა ამოიღო ისეთი ქილა, რომ ძლივს მოერეოდა, მაშინვე გაუშვა ბახალაცა. საწყალმა კაცმა შინ

წამოიღო ფულის ქილა. რომ მოვიდა, ძლივს შეიტანა კარებში. ცოლმა უთხრა: რა არის კაცო. — ფულის ქილაო, — უთხრა კაცმა. ცოლმა უთხრა: წადი, იყიდე გამომცხვარი პური და მოიტანე და ვჭამოთო. წავიდა კაცი საყიდლათ, იყიდა გამომცხვარი პური და მოიტანა შინა. მერე იყიდა ფქვილიც. ცოლმა უთხრა: კაცო, რაცა ხანია ჩემ სამშობლოში არ გამოვლია, მოდი წავიდეთო. გამოაცხეს პური, იჭირავეს ცხენი, ამ ცხენსა ჰყავდა კვიცი და მაკედაც იყო. დააკრეს საპალნე. ამ დედაკაცს ჰყავდა ერთი შვილი; შეჯდა დედაკაცი, ორსულად იყო, ზედ შემოისვა თავისი შვილიცა. კვიცი დავარდა და დაუძახა თავის დედას: დამიცადე, დედა, დავიღალეო, ველარ მოვდივარო. ახლა დედამ დაუძახა: შვილო, საიდან დაგიცადო, სამი ზედა მაჭის, ერთიც შიგ მიზისო და ეს ამოდოლა ხურჯინი მკიდილო.

კაცმა გაიგონა ეს სიტყვები და გაიცინა. ცოლმა ჰკითხა: რას იცინო. კაცმა უთხრა: არაფერსაო. ჩააცივდა ცოლი, კაცმა უთხრა: რაწამს გეტყვი, იმ წამს მოვკვდებო. — მოკვდი და მოკვდიო, — უთხრა ცოლმა. კაცმა უთხრა: კარგო, მივიდეთ პური გამოვაცხოთ. ჯერ გავახმოთ, დავფქვათ და გეტყვი, რა ვქნაო. დაბრუნდნენ შინ სიტყვისათვის, გამოზიდეს პური გასახმობად. კაცი წამოუწვა პურსა: მოვიდა ერთი მამალი და დაუძახა თავის დედლებს: მოდიო, ამ კაცს შენდობა უთხარით. თავის თავს ძალად იკლავსო, ცოლის სიტყვითაო. მე რომ იმ კაცის ვიყვე, შევალ მივცხოზ და მივცხოზ, მანამდე იტყვის, აღარ გეტყვი მითხარითო, — ამბობს მამალი. მართლა, წამოხტა კაცი, შეუვარდა კეტიტ. მისცხო და მისცხო, მანამ არ იტყოდა, — აღარ გეტყვიო, — ეხვეწება ცოლი, — აღარ გეტყვი მითხარი-მეთქი. დედაკაცს თავის დღეში აღარ გაუხსენებია. ასრე გადაარჩინა მამლის სიტყვამ.

ჰირი იქა, ლხინი აქა.

ოსტატი და შებირდი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. შაშვი იყო მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყვნენ ერთი საწყალი ცოლ-ქმარნი, უწყალოდ ღარიბნი და შვილი არ

ჰყავდათ. ენატრებოდნენ: ღმერთო ერთი შვილი მოგვეციო. გავიდა ხანი. შუახნის დროს ეყოლათ ერთი ვაჟიშვილი. როცა ვაჟი ათი წლისა გახდა, დასხდნენ ცოლ-ქმარი და რჩევა-დარიგებას შეუდგნენ: რა ხელობა ვასწავლოთ ჩვენს შვილსაო, რა უფრო გამოგვადგება ცხოვრებაშიო.

ცოლმა უთხრა: წაიყვანე კაცო, ქალაქში, მიიხედ-მოიხედე, მიდექ-მოდექი, შენზე დიდი აღარ ვარგა, შენზე პატარა რომელიც მოგეწონოს სწავლა და გამოგადგებოდეს საბოლოოდ, იქ მიიყვანე, ისწავლოს რამე. ჩვენ დავიხოცებით, ის კი ბედნიერი იქნება.

ერთ მშვენიერ დღეს დილით გაემგზავრა მამა თავისი შვილით. ბევრი იარა თუ ცოტა, დასვენება მოუხდათ. ამ დროს წყაროსაც დაუახლოვდნენ, მივიდნენ და დასხდნენ. ჩემოდანი გახსნეს, ამოიღეს ყველი, პური და წყაროსთან ისაუჭმეს. გაათავეს პურის ჭამა. აიკიდეს თავიანთი ბარგი და წასვლა დააპირეს. ამ დროს კაცმა სთხვა: ვახ, რა კაი წყარო ხარ, ნეტა ერთი ჩემს ეზოში იყოვო.

მაშინ ამ წყაროდან გამოვიდა თეთრწვერა ერთი კაცი. — რა გინდა ძმაო, ვახრაკა შე ვარო. — სად მიხვალთ? — ქალაქში, — უპასუხა კაცმა. — რათაო. — შვილი მიმყავს, სასწავლებელში უნდა მივაბარო. — მოდი და ბევრი რომ არ იწვალო, არ იარო. შე მომბაბარე შენი შვილი. — მართლა? — დიახ, მართლა. — წავიდეთ სახლში. მისდევს მოხუცი თავისი შვილით. მივიდნენ სახლში. აქ დასდეს პირობა, სამი წლის ვადით. — ამ სამ წელიწადს ვასწავლი შენს შვილს ყოველ ხელობას, რაც კი დედამიწის ზურგზე ისმის, დაბლა და მაღლა ცაში, ყველაფერს ვასწავლი. სამი წლის შემდეგ მოხვალ ჩემთან, მაშინ დამთავრებული ექნება სასწავლებელი, ყველაფერი ეცოდინება და შენც ბედნიერი იქნები. მაგრამ ერთი პირობით — სწერავენ ქალაქს, პირობის წერილს — თუ იცნობ შენ შვილს, შენი იქნება, თუკი ვერ იცნობ — ჩემი. მოხუცი სტოვებს თავის შვილს მასწავლებელთან. თითონ კი დაბრუნდა სახლში ცოლთან.

ცოლი ეკითხება:

— ვის მიაბარე? — ვახრაკასა. — როგორ თუ ვახრაკასა, არ გამიგონია მისი სახელი. — სამი წლის ვადით მივეცი.

უნდა ასწავლოს სუყველაფერი, რაც კი ქვეყანაზედ ისმის ენა და გამოცდილება. — მართლა? ოხ, ღმერთო შენ მიშველე, მაშინ რა ბედნიერი, ვიქნებით.

გავიდა სამი წელიწადი. მამა ემზადება შვილთან წასასვლელად. ცოლი შიშობს: კაცო, რომ ვერ იცნო შენი შვილი, მაშინ ხომ დავიღუპებით? — უნდა ვეცადო, დედაკაცო, რაც იქნება, იქნება, მადლობა ღმერთსა. მიღის მოხუცი. რამდენიმე დღე და ღამე იარა. ერთგან შეხვდა ერთი კაცი, კარგი გამოცდილი. — გამარჯობა! — გაგიმარჯოს! — საით მიბრძანდები, მოხუცო? — მივდივარ ვახრაკა რომ არის მასწავლებელი იმასთან, შვილი მივებარე, ხელობა უნდა ესწავლება. — ოხ, შე უბედურო, ის ისეთი კაცი არის, რომ შენ შვილს ვეღარ იცნობ. დაგიღუპნია თავი. — მაშ რაღა უნდა ვქნა, რაღა მეშველება? შინაცალარ მიმესვლება, შვილს რომ ვუქარგავ, ცოლი სახლში აღარ შემიშვებს, გამომაგდებს. მიშველე რამე შენი ჭირიმე, — ეხვეწება მოხუცი. — წამოდი, გამომეყე, ნუ დაიზარებ. — ვერა, მე რომ გამოგყვე, ის არ შემიშვებს. — მაშ, რა ვქნა კაცო? — მე გასწავლი, ხოლოთ არსად არა თქვა. — მითხარი, შენი ჭირიმე. — როცა მიხვალ, ვახრაკა ოთხპირად დააყენებს თავის მოწაფეებს, პატარ-პატარეებს შუაში. გეტყვის: დაათვალიერე შენი შვილიო. მაგრამ იცოდე არ მოსტყუვდე, თორემ ღარჩები უბედურიო; თუ ვერ იცან, შენ შვილს ვეღარ ნახავო. — როგორაო?! — ამ დროს შენს შვილს ებმება გულზე მარცხნივ ორთავიანი ქინძისთავი, შენც იმას უნდა დაადო ხელი; დაუკვირდი, არ მოსტყუვდე. — მშვიდობით, შენი ჭირიმე, — ეუბნება მოხუცი.

გადაჰკოცნის, მადლობას გადაუხდის.

მიღის მოხუცი გულის ღიმილით, რომ ის კაცი არ შემხვედროდა, ხომ დავიღუპებოდიო!

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ მშვენიერ საღამოს მივიდა მასწავლებელთან, ვახრაკასთან. — მობრძანდით გენაცვალე, მობრძანდით. თქვენ მოწაფის გამო ხართ? — დიახ.

იმ ღამეს კარგად ისაუბრეს. გათენდა მშვენიერი დილა. წყნარი ცა ლაქვარდისფრათ კამკამებდა, ბის ფოთლები ირხეოდნენ, თითქოს ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ამ დროს მი-

ართმევს პირსახოცს ვახრაკა და ეტყვის: გასუფთავდით მოხუცო, შეუდექით საუზმეს.

ისაუზმეს. საუზმის შემდეგ ვახრაკა ამზადებს მოწაფეებს; ოთხპირად დააყენებს. მიჰყავს მოხუცი. — აბა, აიარჩაიარე, ჩაათვალიერე. ხომ გახსოვთ ჩვენი პირობა, მას ვერ გადავუხვევთო.



ათვალიერებს მამა შვილს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ხედავს ერთი ვაჟის გულში საბრალოთ რგვალთავიანი ქინძისთავი ბრჭყვიალებს. უახლოვდება მოხუცი. ჩაჭიდებს მარჯვენა ხელში ხელს და იტყვის: ეს გახლავთ ჩემი შვილი. მართალია, თუ არა? — მართალი გახლავს, მოხუცო, თქვენი არის!

ტკბილათ ასადილებს ვახრაკა მოწაფესა და მის მამას, შემდეგ ამგზავრებს შინატყენ. — აბა, შენ იცი შვილო, რაც გასწავლე მოიხმარეო, — ეტყვის ვახრაკა წასვლისას. — გმადლობთ, მასწავლებელო, თუ სადმე შეგვხვდით, არ დაგვარგავთ.

მიდის მამა გახარებული: შვილს ვასწავლე, ეხლა რაღა მიჭირსო.

მშვენიერი საღამო იყო, წყნარი. ქუჩაში ხალხი იხსდა, ერთმანეთში საუბრობდნენ: შვილი მოჰყავს მოხუცს, ნასწავლი, უყურე!...

მივლენ დედასთან. დედას ძლიერ გაუხარდა. — მოგილოცავ შვილო, კარგათ ყოფნას. შენ იცი, შენი იმედი ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება. დიდხანს გააგრძელებს საუბარი. — მამავ, ეუბნება შვილი, დილა რომ გათენდება, მე ვიქცევი ცხენათ თავისი უძვირფასესი შეკაზმულობით. როცა შემაჯდეთ, არ შეგეშინდეს, წამიყვანე ქალაქში. დამატარე კოხტათ ისე, რომ მთელი ხალხი შენ დაგნატროდენ.

მართლაც, ცხენი არც იორღა, გაქანებული. შეჯდა ცხენზე მოხუცი, მოუსვა მათრახი და შევიდა ქალაქში. მთელი ქალაქი გაკვირდა; ამბობენ: ოხ, რა ცხენია, რა კარგია ამაზე ჯდომა.

შემოეხვივნენ გარშემო სოვდაგარმა, დაუწყეს ეპრობა. შვილს მამასთან ქონდა ნაქვეამი, როცა გამყიდო თოკი არ გამაყოლო თანაო. მაინც ასე ასრულდა. ერთ სოვდაგარმა მისცა ორასი თუმანი და აიყვანა ცხენი. მამა დაბრუნდა სახლში გახარებული. შეუდგა სახლების აშენებას. სოვდაგარი ჯდება ცხენზედ. უთხრა: კარგი ცხენი ვიყიდეო. მოიწყინა სოვდაგარმა სეირნობა, მივიდა სახლში, შეიყვანა საჯინიბოში ცხენი, დააბა და მისცა საკმელი.

შუალამის ხანს იქცა ეს ცხენი კაცათ და წავიდა თავის სახლში. მივიდა დედ-მამასთან. — როგორი ბიჭი ვარო დედ-მამავ, ვწოვე ფულეზი თუ არაო.

შეაკეთეს სახლები. შვილი ამბობდა: რაც შეიძლებოდა ჩვენი სახლის სახურავი ყველას გადასცქეროდას შადლიდანაო. — ახლა მამავ, — უთხრა შვილმა, — ვიქცევი ძროხათ. ძალიან კარგი სწველი გავხდები: ჯერზე სამ ვედროს მოვიწველი. განიყვანე ბაზარში და გამყიდე. ხუთას თუმან ნაკლებ ნუ მიმცემ. თოკი არ გამაყოლო, თორემ დამახრჩობენ.

ამ დროს გარეგნს განსაკუთრებით გადასწყვეტს იყიდოს ძროხა რამენაირად. გადაიცვამს უცხო ტანისამოსს და გავა ბაზარში. მოხუცებულს კი ძროხა უჭირავს ხელში გასაყიდათ. — გამარჯობა, მოხუცო. — გაგიმარჯოთ! — ამ ძროხას ყიდი? — ვყრი. — რა მიცე? — ხუთასი თუმანი. ოქროს ფული.

მობრუნ-მიბრუნდა ვახრაკა. — როგორ აფასებ, ძვირია! სხვებიც შეევაჭრნენ. მიდის ვახრაკა ისევ. ამოიღებს და დაუთვლის ხუთას თუმან ოქროს: წადი მოხუცო, გეყოფა შენს სიცოცხლეში.

მოხუცს სიხარულისაგან თოკი დააფიწყდა.

ვახრაკამ მიიყვანა ეს ძროხა საჯინიბოში, შეუტრა მაგრათ კისერი, მკერდი, რომ არ აშვებულყო. — დილაზე წაგაჭრი ადრიანად თავსაო, — დაეიჟქრა.

შუალამისას დიდი ხანი ეწვალეობდა ბიჭი და როგორც იყო, გაძვრა თოკიდან. მივიდა სახლში მშობლებთან.

გათენდა მშვენიერი დილა. ვახრაკა დანას ლესავს ძროხის დასაკლავად. შედის საჯინიბოში — ძროხა შიგ ადარ არის. — ვაი, დედაჩემის ღმერთს, შენ ცოცხალი გადარჩი. ფიქრობს ვახრაკა: რა მოუხერხო? ბოლოს გაჯავრებული ამ თავის მოწაფის სახლში მდის პირდაპირ. გამოდის მოწაფე მოულოდნელად ეზოში. სტაცებს ხელს ვახრაკა, მაგრამ შეგირდი უცბათ იქცევა მტრედად; მაშინ ოსტატი იქცევა შავარდნად და დაედევნება. დასდევს დასაპყვრათ, იქამდის სდია, რომ დაიღალა მტრედი. თითქმის შევარდენი უახლოვდება. ამ დროს ერთ ადგილას მეფის შვილს ქორწილი აქვს. ის დროა, რომ დედოფლის მოლოცვა იწყობა.


! შევარდენი იმორჩილებს მტრედს. მაშინ მტრედიც იქცევა ვაშლათ და ჩაუვარდება მეფეს კალთაში. შევარდენი იქცევა კაცათ, შევა სასახლეში, დაადგება თავზე, მეფეს სთხოვს: ვაშლი ჩამივარდა და მომეცი თო. დიდი თხოვნის შემდეგ მეფე ვაშლს აძლევს ვახრაკას. ეს ვაშლი იქცევა ნემსად, ვახრაკა — ძაფათ და გაეყრება კუნწში. ამ დროს ნემსი ცეცლში ჩავარდება და ძაფი დაიწვება. ნემსი იქცევა კაცად. დაბრუნდება სიხარულით სახლში, მივა მშობლებთან გახარებული. — ჩემს მასწავლებელს ჩემი სიკვდილი უნდოდა, მაგრამ ამოვიყარე მისი ჯავრი — შენ გენაცვალე შვილო, ეხლა ზომ აღარავისი გეშინია? — არა, ეხლა ღრთხილი ვარ.

შეაკეთეს სახლები.

ვაჟი დაქორწილდება. ცხოვრების კარებს გააღებს. ისეთ ფუფუნებაში არიან, რომ თვითონ თავს დანატრიან... მის ქორწილში მეც გახლდით, ჯამით იყო ღვინის სმა.

მთას ურემი ავიტანე,
ჩამოვიდა გორებითა.
აქ სიკაცხლით ბრძანდებოდეთ,
საიჭიოს ცხონებითა.
ტყეში საბრე გამოვსკერი,
გამოვიდა ნავათა.
თუ რომ სიტყვა შეგაწყინეთ,
ნურას უკაცრავათა.

მამაცაშვილი გიორგის თავგადასავალი



ერთი მონადირე იყო და ყოველდღიურად ნადირების დასახოცავად მიდიოდა. არც ერთ ღლეს არ მოვიდოდა ცარიელი. ერთ ღლეს მოუვიდა ერთი სტუმარი. სტუმარს უთხრა: სანადიროდ გავივლი, მოვკლავ რასმე და მალე დავბრუნდებიო. გამოიკრა ერთი პური და წავიდა. მთელი ღლე იარა,

მაგრამ ვერაფერი ვერ მოკლა რა. საღამო დროს, როცა სახლში ბრუნდებოდა, დაინახა ერთი ირემი. გაუწოდა თოფი, ესროლა და მოჰკლა. დაჯდა, დაანთო ცეცხლი. ჩამოატყავა ირმის ერთი ბარკალი, ამოჰკრა რა სამწვადე, აასხა შამფურზე, შესწვა ცეცხლზე. ამოიღო პური, დასჭრა ზედ და ხელეზის დაბანა დაიწყო. ვიდრე ხელებს დაიბანს, შემწვარი მწვადი მიეკრა ისევ ირემს ბარკალზე, წამოხტა ირემი და გაიქცა. მონადირემ სთქვა: რამდენი ხნის კაცი ვარ, სულ სანადიროდ დავდივარ და ჭერ ასეთი მაგალითი არ მინახავსო. მაშინ მოტრიალდა ირემი და მიამახა: ეს რა საკვირველია, შენ რომ მამაცაშვილი გიორგის თავგადასავალი გაიგო, საკვირველი ის არისო.

ირემს თავი გაანება მონადირემ, სტუმარიც დასთმო და გადასწყვიტა, ევლო ვიდრე ცოცხალი იქნებოდა და გაეგო გიორგი მამაცაშვილს რა გადახდა თავს.

გაუდგა გზას. ბევრი იარა. ბოლოს შეხვდა ერთი კაცი, მას მიჰყავდა ორი ვირი. ზედ ეკიდათ გოდრები იქით-აქეთ ზურგზედა, ეზიდებოდა ქვას. როდესაც იმ კაცთან მივიდა, უთხრა იმ კაცს: ჩემი საქმე ესეა, ესე და ხომ არსად გაგიგონია გიორგი მამაცაშვილიო. იმ კაცმა გაიცინა და უთხრა: რათა კითხულობ, ის კაცი მე თვითონა ვარო. — სალაპარაკო რამე მაქვსო, — უთხრა მონადირემ. — მაშ კარგი, თუ სალაპარაკო გაქვს, მუშას დავიჭერ, რომ ვირები ამუშაოს, არ გააცდინოს და ჩვენ ვიამბოთ რაც გვინდაო. ამ კაცმა იშოვნა ერთი მუშა და მისცა სახედრები სამუშაოდ.

მერე მონადირეს უთხრა: ეხლა ჩვენ წავიდეთ სახლშიო. სახლში როდესაც მივიდნენ, დაიწყო მონადირემ: ერთი ირემი მოვკალი, როდესაც გავატყავე ერთი ბარკალი, შევწვი მწვადად. შემწვარი მწვადს ვიდრე შევჭამდი, გაქანდა, მოკლულ ირემს მიეკრა ისევე და გაიქცა. ეს ძალიან გამიკვირდა. მე ირემმა მომამახა: ეგ რა საკვირველია, შენ რომ მამაცაშვილი გიორგის ამბავი გაიგო, საკვირველი ის არისო. დავინტერესდი თუ რა თავგადასავალი გადაგხდა და წამოვედი თქვენ საძებნელად და გიპოვნეთ კიდევაც.

ახლა დაიწყებს მამაცაშვილი: ჩვენა გყვანდა ცხვარი, ვიყავით სამნი ძმანი. ჩემი ორი ძმა დადიოდნენ ცხვარში, მე

კიდევ სახლში ვიყავი. ერთ დღეს წავედი მთაში საძოვრის დასაჭერათ, რომ ზაფხულში ცხვარი მთაზე ამერეკა. იქიდან რომ ჩამოვედი, წავედი ჩემს ძმებთან, რომ მეთქვა ცხვარი წაგვესხა მთაში. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად ვერა ვნახე, ვერც ცხვარი და ვერც ხალხი. შევჯექი ცხენზე და გადავწყვიტე— შეიძლება მთაში წაასხეს ცხვარიტო. წავედი მთისკენ. ცხვრისთვის ერთი თვის სავალი გზა არის, ცხენით მალე მივედი მთაზე, მაგრამ აქ არაფერი არა დამიხვდა რა, ისევ დავბრუნდი უკანვე.



დაღამდა კიდევ და შემომხვდა ერთი კაცი გზაში. — გამარჯობა გიორგი მამაცაშვილოვო, — დამიძახა. დამიწყო ლაპარაკი. დიდი ხანია შენი ნახვა მინდოდა და ძლივსლა გნახევიო. მე იმ კაცის ცნობა არა მქონდა. გამიპატიეა სახლში. მე აუხსენი ჩემი მდგომარეობა, რომ ცხვარი დავკარგე და მის საძებნელად დავდივარ-მეთქი. მან მიპასუხა: შენი ცხვრები იქ არიან, ძაღლებიცა და მწყემსებიცაო. დამაყენა ერთ ტყეზე. ძალიან ბნელოდა, მაგრამ წინ რომ გამიძღვა, მთელი ტყე-სულ შექდებოდა. ძალიან დაღმართი იყო. ჩავედი ერთ

ხევში. ერთი დაცემული ვაკე იყო, ცხვარი იყო იქ. მითხრა: აი, შენი ცხვარი ეს არისო. გავშინე ჩემი ცხვრის სერი, ჩემი ცხვარი იყო. მოვნახე ჩემი ძმები, იქ იყვნენ; ჩემი ძაღლებიც იქ იყვნენ. შემდეგ შემიყვანეს ერთ ოთახში. დამიწყო ლაპარაკი. სამი ქალი ყოფილიყო. ერთ ქალს დაუძახა: სუფრა გაშალეო. გამოიტანა ქალმა სუფრა და გაშალა. მეორე ქალს დაუძახა: პური გამოიტანეო. მეორე ქალმა პური გამოიტანა. მესამეს დაუძახა: ღვინო მოიტანეო. მოიტანეს ღვინო და დავიწყეთ პურის ჭამა.

პურის ჭამას რომ მოვრჩით, მორეკა სამივე ქალები და მითხრა: მე შენი სიძეობა მინდა. ამ სამ ქალში რომელიც მოგეწონოს, ის უნდა წაიყვანო ცოლადაო. ცხვარი იმიტომ დაგპარე, რომ აქ მომეყვანე შენ. გიორგიმ ეს ძალიან ითაკილა და უთხრა: მე შენ ოჯახში რომ შემოვედი და პური გავტეხე, ეხლა მაგისთანა საქმეს როგორ გავწევ, რომ შენი ქალი ცოლად წავიყვანოვო. ამ კაცმა მაინც ძალა დაატანა და უთხრა: აუცილებელია ერთ-ერთი ქალი წაიყვანოვო. რაკი აღარ დაიშალა, მე უმცროსი ქალი მომეწონა და გუთხარი: უმცროსი ქალი მინდა ცოლადაო. მაშინ თავის ქალს უთხრა: ადექი, გაუძეხ ცხვარს წინა, სანამ სახლში არ მიხვიდე, ცხვარი არსად გააჩეროთო. მე მაშინვე წელ-გული მომწყდა: ერთი თვის სავალი გზა ისე როგორ გავატაროთ, რომ ცხვარი არსად გააჩეროთ, ხომ სულ გამიწყდებაო? გამოუძღვა ქალი წინ; ერთი თვის სავალ გზას, ერთი საათი მოანდომა და მოვიდნენ კიდევ სახლში. სახლში როდესაც მივრეკეთ ცხვარი, ჩემი ძმები დადიოდნენ ცხვარში, მე და ჩემი ცოლი ვიყავით ხოლმე სახლში.

ერთ დამეს გვეძინა. მე და ჩემს ცოლს ძილში შემოგვესმა კარებს აფხაჭუნებდა რაღაცა და ძაღლივით წკმუტუნებდა. ერთხელ გავედი კარში, გამექცა. ისევ დავწექი. მოვარდა ხელმეორედ, კიდევ დაუწყო კარებს ფხაჭუნი. მაშინ მე ავიღე თოფი, გამოვადე კარები და ძაღლი გაიქცა. მე თოფი ვესროლე და წკმუტუნით წავიდა. ჩემმა ცოლმა დამიწყო წყევლა: შენამც მოგეკიდება ცეცხლი, როგორც შენ მამაჩემი მოჰკალიო. თურმე იმისი მამა ყოფილიყო. აილო ერთი წყეპლი ჩემმა ცოლმა, დამარტყა ზურგზე და მითხრა: შენამც

იქცევა ოთხფეხა ძალადაც. შაითლაც, ვიქეცი ძალად. მართალია, ძალი ვარ, მაგრამ ადამიანის გონება მაინცა მაქვს. ვარ მთელი დღე სახლში, არც პურს მაჭმევენ, არც წყალს მასმევენ. ბოლოს ჩემმა ძმამ შეიყვარა ჩემი ცოლი. მე გული აღარ მითმენდა. ავდექი და წავედი სახლიდან. გზადაგზა მივდიოდი. ერთი მღვდელი შემხვდა, ხურჯინი ეკიდა ცხენზე. მე მოველაქეუცი, იმანაც დამიძახა: ბროლა, ბროლიაო, და მეც უფრო კუდი მოუქციე და მოველაქეუცი. ამოიღო ერთი ქადა, შევჭამევი: ახლა მეორე ქადა მომცა კიდევ. ჩამოვიდა მღვდელი ცხენიდან, წამოწვა მინდორზე, აღვირი ხელში ეჭირა ისევ ცხენისა და დაიძინა. მე იმოდენა ვქენი, რომ მღვდელს ცხენი მკლავიდან გამოვადვრე და გაუშვი ცხენი საძოვარს. ერთი მგელი მოვიდა. დავახრჩე და დაუდე მღვდელს თავით. ახლა მეორე მგელი დავახრჩე და დაუდე ფეხით. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა მღვდელი, რომ დაინახა თავით და ფეხით დახოცული მგლები, დაიძახა: ვაიმე, ჩემი ცხენიო. მე წამოვხტი ფეხზე, მიუყვანე თავისი ცხენი. მაშინ მღვდელმა ამოიღო ხორცი და დამიგდო. ხორცი მოუხარშავი იყო და არ შევჭამე. შერე ისევ ქალები მომცა. ქალები ვჭამე და წავედით სახლში. სახლში რომ მიმიყვანა, მღვდელმა თავის ცოლშვილს უთხრა: ამ ძალს მოუხარშავი არაფერი აჭამოთ და როგორც თქვენა სჭამთ, ისე აჭამეთო.

მართალია, ჯერ ძალი ვიყავი, მაგრამ ზოგიერთ ადამიანზედ კარგი მოვლა და კვება მქონდა. ეს ამბავი გაუგია იმ ჩემს ძალს ცოლს, რომ ასეთ კარგ დღეში ვარ. ერთ მეცხვარეს მგელი ეტანებოდა თუმრე ძალიან, მიუსწავლებიათ იმათთვის — ამა და ამ მღვდელს ერთი ძალი ჰყავს, თუ მოგაშორებთ ნადირს ის, თუ არადა, თქვენი ცხვარი სულ მთლათ დაილუპებოთ.

წავიდნენ მღვდელთან მეცხვარეები ძალის სასყიდლათ. მღვდელმა ძალი არ მიჰყიდა. მხოლოდ თხოვებით იისცა. წაიყვანეს ის ძალი. მღვდელმა უთხრა მეცხვარეებს: უმს არაფერს არა სჭამსო და თქვენი ძალები სულ დააბითო.

წამიყვანეს მე მეცხვარეებთან, დამიკლეს ერთი ცხვარი, მომიხარშეს და მაჭამეს. დაღამდა კიდევ. დააბეს იმ ღამეს

ძალეები ერთად. გამიშვეს მე მარტოკა. იმ ღამეს ათი მგელი დავახრჩე. მეორე ღამესაც ისევე. თანდათანობით გავწყვიტე მგლების ნახირო. ისე მეფერებოდნენ ის მეცხვარეები, რომ ჩემი ცოლის ხელში არა ვყოფილვარ, რა ღღეშიაც მეცხვარეების ხელში ვიყავი. გაუგია ჩემს ცოლს, რომ კაი პირობები მქონდა შექმნილი. ამ დროს გამხდარა ერთი ხელმწიფის ვაჟი ავად და ჩემს ცოლს მიუსწავლებია. ამა და ამ მეცხვარეებს ერთი ძალლი ჰყავთ ესეთ, ესეთი ფერისაო, თუ იმ ძაღლის გულ-ღვიძლს აჭმევთ, თქვენი შვილი გასაღდება, თუ არადა, მოკვდებაო.

ხელმწიფე წავიდა მეცხვარეებთან, უთხრა იმ ძაღლის წაყვანაზედ. მეცხვარეებმა სხვა ძაღლი მიუყვანეს, მაგრამ ხელმწიფემ უკვე იცოდა ნიშანდობლივ იმ ძაღლი რომელი იქნებოდა.

მოიყვანა ის ძაღლი, შეაბა ყელზე თოკი და თან წაიყვანა სახლში. როდესაც მიიყვანა სახლში ძაღლი, ხელმწიფემ თავის მზარეულებს უთხრა: ძაღლი დაეკლათ და მისი გულ-ღვიძლი ეჭმიათ ავადმყოფისათვის. მზარეულები რომ გამოვიდნენ ძაღლის დასაკლავად, ძაღლმა მიიწია ავადმყოფისკენ. მივიდნენ მზარეულები ხელმწიფესთან და უთხრეს: ძაღლი ავადმყოფთან იწევს გაძალუმებული და რა უყოთო. ხელმწიფემ უთხრა: მოდი, ჯერ ნუ დაკლავთ, გაუშვით იყვეს ავადმყოფთან. ყური უგდეთ, რომ არ შეჭამოსო. ძაღლი ავადმყოფის ტახტის ქვეშ დაწვა, გარედან ყარაულები დაუდგნენ. შუალამე იქნებოდა, როდესაც ერთი ქალი შემოვიდა ავადმყოფთან, თავიდან დაუსომს ენას და ფეხებამდის გალოკავს. ავადმყოფი სულ წუხნდებოდა იმის ლოკვაზედ. ძაღლმა დაიჭირა ეს ქალი, თმები შემოახვია ყელზე. ეხვეწა ქალი ძაღლს, რომ გაენთავისუფლებია, მაგრამ ძაღლმა სანამდის ავადმყოფი სულ არ გაასაღებინა, არ გაუშვა. ძაღლმა გაუშვა ქალი, როდესაც ავადმყოფი კარგად გახდა. წავიდა ქალი თავის გზაზედ.

გათენდა. ავადმყოფმა ჩაიცვა ტანისამოსი, გამოვიდა კარში და პირს იბანდა. გაიქცნენ მაშინ ხელმწიფესთან და ახარეს: თქვენი შვილი უკვე კარგად არის და გარეთ პირს

იბანსო. ამ ძალს ხელმწიფემ ერთი ფულით საესე პარკი ჩამოჰკიდა ყელზე და გაუშვა.

— როდესაც ფული შემაბეს ყელზე, დავიწყე ფიქრი: მეცხვარეებთან წავიდე? მღვდლებიც კარგად მივიდნენ; არა-და რა ვუყო? ბოლოს მოვიფიქრე: მოდი ისევ ჩემს ცოლთან წავალ, ბევრ ფულს რომ მიუტან, იქნებ შემიბრალოს და ისევ აღამიანად მაქციოსთქვა. წავედი ჩემს ცოლთან. მომხსნა ფული ყელიდან, აიღო წკებლა, დამარტყა და მითხრა: შენამც იქცევი გვრიტათო. ვიქეცე გვრიტათ და დავიწყე ფრენა ჰაერში. დამინახეს ორმა მიმინომ და დამიწყეს დევნა. ხან იქით გავფრინდი, ხან აქეთ. ბოლოს ძნა მიჰქონდათ ურმით, გავქანდი და ურმის ქვეშ შევეგორდი. მეურმეებმა მომიარეს იქეთ-აქეთ და დამიჭირეს. წამიყვანეს სახლში. მიმცეს ერთ დედაკაცს და უთხრეს: ვიდრე მეორე ურემს მოვიტანთ, დაკალი, მოგვიხარშე და მზათ იყოსო. ისენი რომ ძნის მოსატანათ წავიდნენ, ამ ქალმა მითხრა: ჩავარდი ჩემს ხელში გიორგი მამაცაშვილოო, თუ არაო. დამიწყო ლაპარაკი: გახსოვს, ხელმწიფის ვაჟს რომ ვტანჯავდი და კინაღამ დამახრჩეო. ეხლა დაგკლა, თუ რა გიყოო? ბოლოს შევებრალე ქალს, აიღო წკებლა, დამარტყა და მითხრა: შენამც იქცევი ისევ აღამიანათო. მე შაშინათვე აღამიანათ ვიქეცი და ერთი ვარია დამაკვლევინა. იმ ბიჭებისათვის ის ვარია გააკეთა. მე კიდევ მომცა ერთი წკებლა და მითხრა: წადი ეხლა სახლში. დილით-ღამიანათ შენს ცოლს წყალზე წასვლას ვერავის დაასწრებსო. შენ უყარაულე, როდესაც შენი ცოლი წყალზე წავიდეს, შედი სახლში. წყლიდან რომ დაბრუნდეს, ეცადე შენ დაასწრო წკებლის დარტყმა და რათაც ვინდა, იმათ იქცევაო.

წამოვედი, წამოვიღე. ჯადოსნური წკებლა, მოვედი სახლში, ჩემი ცოლი წავიდა წყალზე, მე დავემალე კარებთან წყლიდან როდესაც მოვიდა, კოკა მოიხსნა ძხრიდან, დავარტყი წკებლა და ვუთხარი: შენამც იქცევი დედალ სახედრათაო. იქცა დედალ სახედრათ. მალე მოვიდა ჩემი ძმა, სახედარი რომ სახლში დადიოდა, წამოუარა ჯოხით, კარში უნდა გაეგდო. იმასაც წამოვარტყი წკებლა და ვუთხარი: შენც იქეცი მამალ სახედრად-თქო. იქცა ისიც მამალ სახედ-

რათ. იქ რომ სახედრები გაჩვენე, სწორეთ ისინი არიან. ისინი ერთი ჩემი ცოლია და მეორე ჩემი ძმა. სანამ ცოცხლები არიან, უნდა ვამუშაო ტიტველა ზურგით; იმ მთაზე უნდა ავზიდო ქვა იმ სახედრებით და ავაშენო ეკლესია.

მე ეგ გადამხდა თავსაო.

დაამთავრა თავისი თავგადასავალი გიორგი მამაცა-შვილმა და გაისტუმრა სახლისაკენ მონადირე.

ოპროს ხილი

იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა სამი შვილი. ხელმწიფეს მთაში ბალი ჰქონდა. ბალში ედგა ერთი შესანიშნავი ხე და ისხამდა ოქროს ნაყოფსა. ერთი ფრინველი შეეჩვია ბალსა, მიდიოდა ყოველთვის და მიჰქონდა ხილი.

ხელმწიფე ღიდად სწუხდა და უბრძანა თავის შვილებს: უდარაჯეთ ამ ხეს და ქურდი დამიჭირეთო.

პირველად წავიდა სადარაჯოდ ორი უფროსი შვილი, მაგრამ ვერ დაიჭირეს ქურდი. მერე წავიდა უმცროსი. ავიდა ხეზედ და დაუწყო ქურდს დარაჯობა. ამ დროს მოფრინდა ერთი უზარმაზარი ფრინველი, მოგლიჯა ნაყოფი და უნდოდა წაეღო. ყმაწვილმა ხელი სტაცა და დაიჭირა, მაგრამ ვერ შეიმაგრა, მხოლოდ ერთი ფრთა მოაგლიჯა, მიუტანა მამას და მოახსენა: ჩვენი ქურდი უზარმაზარი ფრინველი ყოფილა, თვითონ ვერ შევიმაგრე, ფრთა მოვგლიჯე და მოგიტანეო.

ხელმწიფემ მოიხმო თავისი შვილები და უთხრა: ჩემი შვილი ის იქნება, ვინც ამ ფრინველს მომგვრისო.

პირველად ორი უფროსი ძმა წავიდა. რადგანაც დრო გადავიდა და აღარ დაბრუნდნენ, ადგა და უმცროსი ძმაც წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთ ხის ძირსა. ხის ქვეშ ერთი ქვა იდო, და ზედ ეწერა: მარჯვნივ წახვალ წყალში ჩავარდები, მარცხნივ — ცეცხლში ჩავარდები, შუა გზაზე — მგელი შეგჭამსო. ყმაწვილმა მგლისკენ წასვლა ირჩია.

კარგა ხანს იარა და გავიდა ერთ მინდორში. იქ ჩამოხტა ცხენიდან და დაისვენა.

ამ დროს გამოვარდა მგელი, მივარდა ცხენს და შექამა. ყმაწვილმა ტირილი დაიწყო.

მგელმა გამოჰკითხა: ვინა ხარ, საიდან მოდიხარ და სად მიხვალო. ყმაწვილმა ყველაფერი უამბო.



მგელმა უთხრა: შემაჯექ ზურგზე და მე გიშველიო.

შეაჯდა ზურგზე ყმაწვილი. მგელმა სასახლეში მიიყვანა და უთხრა: აგერ იმ ფრინველის გალია; მიდი ჩუმად, გალიას ხელი არ ახლო, ფრინველი კი გამოიყვანეო.

ყმაწვილმა არ გაუგონა, გალიას ხელი ახლო, შეიქნა

საშინელი ზარის რეკა. გამოცვივდნენ მოსამსახურენი, დაიჭირეს ყმაწვილი და მიჰგვარეს ხელმწიფეს.

ხელმწიფემ ჰკითხა: ვინა ხარ, რომ აქ შემოსვლა გაბედვით ფრინველის მოსაპარადაო. ყმაწვილმა თავისი ამბავი უამბო, ხელმწიფეს უნდოდა მოეკლა, მაგრამ ყმაწვილი შეევედრა და ხელმწიფემ აპატია, მხოლოდ უბრძანა: ერთ მეფეს რომ ოქროსფაფრიანი ცხენი ჰყავს, წადი და ის მომგვარე, თორემ ჩაგიგდებ ხელშიო.

გამოვიდა დაღონებული ყმაწვილი და უამბო თავის მგელს ეს ამბავი. — შენ ნუ გეშინიან, შემაჯექ და ახლა იქ წაგიყვანო, — უთხრა მგელმა. შეაჯდა ზურგზე და წავიდა. იარა, იარა და მივიდა იმ მეფისას.

მგელმა უთხრა: აგერ ცხენი, მაგრამ ოქროს უნაგირს ხელს ნუ მოჰკიდებ, მხოლოდ ცხენი წამოიყვანეო.

ყმაწვილმა არც აქ დაუჭერა; მოჰკიდა უნაგირს ხელი, საშინელი ზარის რეკა ატყდა. გამოცვივდნენ, დაიჭირეს ყმაწვილი და მიუყვანეს მეფეს.

აქაც განურისხდა მეფე: როგორ, გაბედვით ეგ საქმეო. იმ პირობით მოგიტევებ, თუ სახვალ ერთ სახელმწიფოში, სადაც ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავთ, და იმ ქალს აქ მომგვარიო.

ეს ამბავიც უამბო თავის მგელს. მგელმა ზურგზე შეისვა და წაიყვანა. იარა და მივიდა იმ სასახლეში.

აქ მგელმა უთხრა: ახლა კი დამიჯერე რაც გითხრა, თორემ ვეღარას გიშველი. კოლოფი არ აიღო, მხოლოდ ახადე, ქალი ამოიყვანე და წამოიყვანე.

ყმაწვილი სწორედ ისე მოიქცა და გამოიყვანა მზეთუნახავი ქალი.

მაშინ მგელმა უთხრა: ამ მზეთუნახავ ქალს ნუ დავკარგავთ; მე გადავიქცევი მაგ ქალად და მე მაშინვე მიმიყვანე იმ ხელმწიფესთანაო. გადაიქცა ქალად მგელი. ყმაწვილმა მიჰგვარა ხელმწიფეს და მიიღო ოქროსფაფრიანი ცხენი.

ყმაწვილი წამოვიდა. მგელიც გამოექცა იმ ხელმწიფეს და დაუხვდა წინ ყმაწვილს.

ახლა ოქროსფაფრინ ცხენად გადაიქცა; ყმაწვილმა ცხენის სამაგიეროდ მგელი მიჰგვარა ხელმწიფეს და მიიღო ფრინველი.

მგელი იქიდანაც გამოიქცა და ყმაწვილს უთხრა: ახლა სამივე შენია, წადი და წაიყვანე, ნულარაფრისა გეშინიაო.

ყმაწვილმა მადლობა გადაუხადა, გახარებულმა სამივე წაიყვანა და მივიდა მშვიდლობით თავის მამასთან.

მონადირე



იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე. ერთხელ სანადიროდ წავიდა ტყეში, ბევრი იხეტილა, მაგრამ ვერაფერს შეხვდა. საღამო ხანზედ ხელცარიელი აპირებდა სახლში დაბრუნებას. დაჯდა დასასვენებლად. ამ დროს ველზედ ირმის ნუკრი გამოვიდა საძოვნელად. მონადირემ დაუმიზნა თოფი, ესროლა და მოჰკლა ირმის ნუკრი. გასატყავებლად რომ შეადგა, როგორღაც თავზედ გადააღაჯა. უცებ იქცა ეს მონადირე ლამაზ ქალად. მონადირე ძალიან შეწუხდა, მაგრამ აბა რაღას უშველიდა თავსა? აიხსნა რაც იარაღები ჰქონდა, დაჰკიდა იქვე ხეზედ და გასწია; თითონაც არ იცო-

და საღ მიდიოდა. ბევრი იარა, თუ ცოტა, მესამე დღეს ერთ უცხო ქალაქში შევიდა. დადის უპატრონოდ; ვის იცნობს, ვის ეტყვის თავის გაჭირვებას უცხო ქვეყანაში?

ამ დროს ერთ ბებერს ძროხები ჰყოლია დასაწველი. დაუწველია და მიაქვს თავის სახლში. ბებერმა შეატყო, რომ ეს ქალი იყო და გამოელაპარაკა: ვინა ხარ შეილო, ან საიდან ხარ, ამ დროს რა გინდა გარეთ, ნუთუ შენმა პატრონმა ისე გაგიმეტა, რომ ამ დროს ქუჩაში უპატრონოდ გატარებსო.

ქალმა შესჩივლა, რომ პატრონი არავინა მყავს და თუ იმდენ სიკეთეს მიზამ, რომ შენთან წამიყვან, შენ დედა და მე შეილი. ჯანი არ მაკლია და ღონე, რაც საქმე გექნება მე ზავაკეთებო.

გაუხარდა ბებერს, წაიყვანა ქალი შინ. ისეთი ყოჩაღია, ისე უვლის სახლს, რომ ბებერი სიხარულით ფეხზე აღარა სდგას.

გავარდა ქალის სილამაზის ზმა. ჰოსდის და მოსდის მთხოვნილი. ერთხელ იმ ქუჩაზედ გამოიარა ხელმწიფის შეილმა, დაინახა ეს ქალი და ჩაუვარდა გულში იმისი სიყვარული. დაბრუნდა სახლში დაღონებული. ათასნაირად ეცადნენ, მაგრამ ვეღარ გაამხიარულეს ეს ვაჟი. ხელმწიფე ძალიან დაღონდა. ჰკითხა შეილს მოწყენილობის მიზეზი. შეილი ჯერ უარზედ იდგა, მაგრამ ბოლოს გაუმჟღავნა, რომ ერთ ბებერს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავს და თუ ის არ მწევირთე, არ შემიძლია მეტიო.

მამამ მაშინვე გაგზავნა კაცები. აპოვინა ის ბებერი, წამოიყვანეს ქალი, დასწერეს ვაჟზედ ჯვარი.

ერთი წლის შემდეგ მიეცა ვაჟიშვილი. ერთხელ ამ ქალმა სთქვა: აბა წავალ ჩუმად და დავათვალიერებ, ჩემი იარაღები იქვეა. თუ წაიღო ვინმემო. იარა, იარა, და მოვიდა იმ ადგილას. ნახე ღვთის განგება: ეს ნუკრიც იქვე გდია და იმის იარაღებიც იქვე ხეზედ ჰკიდია.

ქალმა სთქვა: თუ მაშინ ზედ გადავალაჯე და ქალად ვიქეც. აბა კიდევ ვცდი, იქნება ისევ კაცად ვიქეცო. გადაალაჯა შუა წელზედ და იქცა ჰაკ ცხენად. მორბის ცხენი ჰიზვინით, მოვარდა მეფის სასახლესთან. ჰკვა კაცისა აქვს, მაგრამ ლაპარაკი კი არ შეუძლიან. ცხენი დაიჭირეს, თავ-

ლაში შეიყვანეს. ხელმწიფის რძალი ეძებეს, იკითხეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწიამ, იმისი ველარა გაიგეს რა. გავიდა ხანი და ამ ჭაკმა ცხენმა შობა ერთი კვიცი ისეთი რაშია, ზედ ვერავინ ბედავს შეჯდონას, თვალებიდან ცეცხლსა ჰყრის. ერთხელ ჭაკ ცხენზედ ჩუმად შემჯდარა ხელმწიფის ერთი მეჭინიბე, უფიქრია: შევჯდები და გავატარ-გამოვატარებო. მათრახის დაკვრას შეუჩვეველი ჭაკი, მოხვდა თუ არა მათრახი, ეცა მთასა და კლდეს. ერთონ კი მოკლულ ირმის ნუკრთან მოვარდა და წელს ქვემოთ გადახტა ზედა. გადახტა თუ არა, იქცა ცხენი ქოფაკ ძალლად. გაიქცა სასახლეში. ცხენი ეძებეს, ველარ იპოვეს. სამაგიეროდ სანაქებო ქოფაკი იშოვა ხელმწიფის შვილიშვილმა.

გავიდა ხანი. დაყარა ძალღმა ლეკვები. ისეთია ხელმწიფის შვილიშვილი არ იშორებს გვერდიდან არც რაშს და არც ამ ძალღსა.

ერთხელ ხელმწიფის შვილიშვილი თავისი რაშით და ძაღლით სანადიროდ წავიდა. ტყეში ერთი კურდღელი გამოუხტა. გამოეკიდა ძაღლი. მირბის კურდღელი, მისდევს ძაღლი. ირბინეს, ირბინეს და, სადაც მონადირემ ირმის ნუკრი მოკლა, სწორედ იმ ტყეში მოვიდნენ. გადახტა კურდღელი ირმის ნუკრის კუდზედ, გადაჰყვა ძაღლიც და ხელად ისევ მონადირედ კი იქცა ეს ძაღლი. ღმერთს მადლობა შესწირა მონადირემ, ჩამოიღო ხიდან თავისი იარაღები და გასწია შვილის საძებნელად. ხელმწიფის შვილიშვილიც, რაკი ძაღლი აღარ დაბრუნდა, გაჰყვა კვალზედ: არ უნდოდა იმისთანა კაი ძაღლის დაკარგვა. მოდის, ეძებს და ტყეში ერთ კოშკსა ნახავს. თავის მხლებელს ჰკითხავს: ვისია ის კოშკი ან ვინა სდგას შიგ, ან ამ უღრან ტყეში რათ აუშენებიათო. ამ კოშკში ერთი მზეთუნახავი ქალია, — მოახსენეს მხლებლებმა. ვინც იქ მივა, ქალი სამ სიტყვას ჰკითხავს: სამი ისეთი რამე უნდა უთხრას კაცმა, რომ ჯერ არც ეთქვას ვისმე, რომ არც დასაჯერი იყოს და მართალიც კი იყოს. იმ ქალს ერთი ოქროს ქვაბი უდგია ოქროს წყლით და ხორციით. თუ ვინმემ სთქვა ასეთი სიტყვა, იმ ოქროს ქვაბში ის ოქროს წყალი აღუღდება და იმ ოქროს ხორცს მოხარშავს. ის ქალიც

იმას ცოლად გაჰყვება და ვინც ვერ იტყვს-ს იმისთანა სამ სიტყვას. იმას თავს მოსჭრისო.

გასწია ვაჟმა ქალის კოშკისკენ. თუმცა იცის, რომ ისეთს ვერაფერს ეტყვის ქალს, რომ არავის ეთქვას, არც დასაჯერი იყოს და არც ტყუილი. მაგრამ ქალის ნახვა ძალიან მოუნდა: რაც მომივა, მომივა და უნახავს კი არ გავუშვებო. მოდის დაღონებული და შემოხვდება წინ მონადირე. ამის დანახვაზედ დადგა რაში, დაიწყო ჰიხვინი და მონადირისკენ წევა. ეს ლეკვები კიდევ ისეთებია, ეხვევიან ამ მონადირეს და ლოკავენ. სდგას გაკვირვებული და გაჯავრებული ვაჟი. უჯავრდება ცხენს, მაგრამ ცხენი არ იძვრის ადგილიდან. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ვაჟმა უბრძანა მხლებლებს მონადირის მოკვლა.

მონადირემ უთხრა: წამო, მე წამოგყვები იმ ქალთან, მე ვეტყვი ისეთ სიტყვებს, რომ ჩემმა სიმართლემ ქვაბში წყალი აადულოს და ის ქალი შენ დაგრჩესო. ვაჟს ძალიან გაეხარდა, გაიძლოლა წინ მონადირე და გასწიეს ქალის კოშკთან. რომ მოვიდნენ, კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: ამა და ამ ხემწიფის შვილიშვილი მოვიდა შორი გზიდან; ჰამი სიტყვა უნდა გითხრას, რომ შენს ოქროს ქვაბში ოქროს წყალი ადუღდეს და ოქროს ხორცი მოიხარშოს და, თუ ეს ასრულა, უნდა ცოლად გაჰყვეო.

მონადირემ უთხრა შვილს, ეს ვაჟი ხომ მაშინ შობა, როცა ქალად იყო ნაქცევი: როცა იქ მივიდეთ, შენ უკან იდექ, მე ვეტყვი — ჩემი ბატონი დაღალულია და მე დამავალა, მოგახსენოთ ის სამი სიტყვაო. ვაჟს გაეხარდა და დასთანხმდა. გაგზავნეს კაცი. ქალს თანხმობა გაეცხადებინა და შემოეთვალა მობრძანდითო. ქალი მალლა კოშკში ბრძანდებოდა და თან თავის ნაზირ-ვეზირები და მამაც იქვე ჰყვანდა მოწმედ. რო მივიდნენ მონადირე და ხელმწიფის შვილიშვილი, მონადირემ მისცა სალამი ხელმწიფეს, იმის ქალს და იქ შეკრებილს ხალხს და მერე მოახსენა: აი, ეს ვაჟია ჩემი ბატონი. რადგან დაღალულია, მე მიბრძანა, რომ მოგახსენოთ სამი სიტყვა. მიბოძებთ ნებას თუ არაო. — სთქვი, სთქვიო, — გადმოსძახეს ყველამ.

მონადირე მიბრუნდა, ხელი ვაჟისკენ გაიშვირა და
სთქვა: რას ფიქრობთ, მე ამ ვაჟის დედა ვარ თუ არა?

ამ სიტყვაზე ქვაბ ქვეშ ცეცხლი გაჩნდა.

მონადირემ განაგრძო: ან იფიქრებთ, რომ ეს რაშიც
ჩემი ნაშობიაო; თქვოს ქვაბში წყალი ადუღდა.

მონადირემ დაასრულა მესამე სიტყვით: დაიჯერებთ,
რომ ეს ლეკვებიც ჩემი ნაშობი შვილებია? ამ სიტყვაზედ
ქვაბში ხორცი მოიხარშა.

ვაჟმა ქალი წამოიყვანა და გადიხადა სანაქებო ქორწი-
ლი. მონადირე კი სადღაც გაქრა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვე-
ლარ იპოვეს.

ქირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

მეფე და სკვინჩა



იყო და არა იყო რა. იყო ერთი ძლიერი, მაგრამ მეტად
ხარბი და შეუბრალებელი ხელმწიფე; რასაც-კი რასმე
თვალსაჩინოს და მოსაწონს ნახავდა თავის საბრძანებელში,

ყველას ართმევდა, მხოლოდ თავის შინაობას, ნაზირ-ვეზირებს და დიდ კაცებს ამდიდრებდა და ალაღებდა...

მეფის სახელით ასე ცარცვა-გლეჯაში გაწვრთნილი და წათამამებული მოხელეები, ძლიერ აწვალებდნენ და ალატაკებდნენ მთელს სახელმწიფოს. ხალხის ნაცარცვისაგან ხელმწიფესთან ნახევარიც არ მიჰქონდათ, მაგრამ ვინ იყო მთქმელი? ვინ გაბედავდა — ჰეი, რას შერებითო, რომ ეთქვა მოხელეებისათვის ან ხელმწიფისათვის გაებედნა რამე? ამისთანებს მაშინვე თავს გააგდებინებდნენ, ანდა ხუნდებზეყრილებს სამუდამოდ დააკაპტოვებდნენ ბნელეთში.

ხალხი ძლიერ შეწუხებაში იყო, მაგრამ მხსნელი კი არსაიდან სჩანდა.

საიდან იყო და საიდან არა, ამ დროს გამოჩნდა ერთი მოლაპარაკე ჩიტი. ეს იყო სკვინჩა. ეს ჩიტი ხანდისხან მოფრინდებოდა მეფის ბაღში და მოსეირნე მეფეს რომ დაინახვდა, ჭიკჭიკით დასძახებდა:

ხანი სცარცავს ღარიბებს,

თვისიანებს ამდიდრებს.

ხანი სცარცავს ღარიბებს,

თვისიანებს ამდიდრებს!

ხან კიდევ სხვა ჰანგზედ შემოსძახებდა:

ხანი ხოცავს მართალ ხალხს,

არც კაცს ზოგავს, აღარც ქალს.

ხანი ხოცავს მართალ ხალხს,

არც კაცს ზოგავს, აღარც ქალს.

მეფე ხშირად რისხდებოდა ამ ჩიტზე და მის ასეთს თავხედობაზედ, მაგრამ დაჭერა გაუძნელდათ, ზოლოს-კი სასტიკი ბრძანება გასცა, რომ უნათლოდ დაეჭირათ ის სკვინჩა.

მეფის ბრძანება შეასრულეს და როგორც იყო ჩიტი დაიჭირეს და მოიყვანეს მეფესთან. სკვინჩამ რომ მეფე ახლოს ნახა, უფრო უარესი სიტყვები მიახალა პირში. მაშინ განრისხებულმა მეფემ ბრძანა: წაიყვანეთ ეს სკვინჩა სამზარეულოში, დაჰკალით, გაჰუტეთ (გაფუჭვენით), გააკეთეთ, შესწვით და სუფრაზედ მომართვიეთ.

მეფის ბრძანება მაშინვე შეასრულეს: დაკლეს ჩიტი, გამოკუჭეს, გარეცხეს, წამოაგის შამფურზედ, შესწვეს და

შიართვეს მეფეს სუფრაზედ, მაგრამ ერთი გასაოცარი ამბავი მოხდა ამ დროს: შემწვარმა ჩიტმა ჩვეულებრივად დაიწყო ძახილი:

მეფეს სუფრას დაუშვენებ,
მაგრამ კი არ მოუსვენებ;
მეფეს სუფრას დაუშვენებ,
მაგრამ კი არ მოუსვენებ.

ამ სიტყვების გამგონე გამწყრალმა მეფემ დაგლიჯა ჩიტი და შეჭამა.

სადილის შემდეგ მეფემ ჩვეულებრივად გაისეირნ-გამოსეირნა, მცირეოდენი სეირნობის შემდეგ მუცლიდგან მოესმა მეფეს ჩიტის ძახილი:

ღირსი იყო გავლანძღე,
შიოდა და გავაძღე.
ღირსი იყო გავლანძღე,
შიოდა და გავაძღე.

ამ ამბით მეფე ძლიერ შეშინდა: ვაითუ, მუცელში რამე მიყოსო. მოიხმო ექიმები და მიიღო წამლები, მაგრამ ჩიტის უსიკვდილოდ გაშვება არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა და თავიც გადაიცა.

მეფემ მაშინვე დაიბარა ვეზირები და კარის კაცები და უბრძანა: შამოდექით აქეთ-იქით შიშველი ხმლებით და თუ ვინცილობაა ჩიტი გამოხტეს, უთუოთ მოჰკალით, თუ არა ცოცხალი ვერ გადამირჩებიოთ.

ნაზირ-ვეზირები და კარის კაცები შიშმა აიტანა და ააკანკალა. ჩიტისაგან კი ამავე დროს მოისმოდა მეფისა და კარის კაცების საკიცხავძ სიტყვები.

ვეზირებმა და კარის კაცებმა ამოიღეს ხმლები და შამოდგნენ მეფეს. ამ მიხლა-მოხლისა და ფაცა-ფუცის დროს უცებ გამოვარდა სკვინჩა; ვეზირებმა სწრაფად მოუქნიეს ხმლები, მოახვედრეს მეფეს და მთელი უკანა ტანი ჩამოაქრეს.

უსამართლო ჰეფესა,
სულ მთლად ჩააფლეთესა.
უსამართლო მეფესა
სულ მთლად ჩააფლეთესა!

იყო ერთი დედაბერი. ხახგადასულს გოუჩნდა შვილი, მაგრამ რომ სულ არ გაჩენოდა. ის ერჩია — გველი დეებადა. დედას მაინც უყვარდა თავისი გველშვილი; ძუძუს აწოვებდა, უვლიდა და ზრდიდა. გველიც გეიზარდა, დამსხვილდა — ბუხუნხალა შეიქნა.

ერთხელ ამ გველმა ენა ამეიდგა და უთხრა დედას: წადი ჩვენს მეფესთან და მოახსენე ჩემმა გველვაჟმა შემოგივალა შენი შობილი მზეთუნახავი ქალი მამათხოვეთქო.

დედა შეშფოთდა. ის შეაშინა იმან, რომ მისი შვილი, და ისიც გველი, უბედავს მეფეს დასიძებას და კიდევ მეტათ იმან, რომ გველმა ენა ამეიდგა და დეიწყო კაცოვით ლაპარაკი. მაგრამ მეტი ჭანი არ იყო, ვაჟი არ აძლევდა მოსვენებას: წადი და უთხარიო.

— მომკლავს, შვილოვო, — ეუბნებოდა დედაბერი, მაგრამ არც არაფერი ამ უარმა გააწყო. ბოლოსაც წვეიდა, გაბედა დედაბერმა.

მივიდა დედაბერი მეფესთან სასახლეში. მიიწოდა მეფემ და ჰკითხა: რა გნებავს, დედაკაცოვო. — ჩემმა გველვაჟმა მოსვენება არ მომცა, თქვენს ქალს გთხოვთ საცოლეთაო და მოუყვა ყველაფერა. მეფემ არ გეიკვირიაკა, გულდასმით მოუსმინა და პასუხათ უბრძანა: ყველა ჩემმა ხელქვეითმა იცის, რომ მე ვარ ერთი ლარიბი მეფე. მომძალეობია ერთი მოსამზღვრე მეფე და განადგურებას მიქადისო. ახლაც გამოუგზავნია შუაქაცები და სამ კითხვას იძლევა ასახსნელათ; თუ არ ავუხსნი, დამარბევს და დამაქცევს. უთხარი შენს ვაჟგველს თუ მოახერხებს და ახსნის ამ სამ კითხვას, ქალსაც მივათხოვებ, რადგანაც განსაცდელს გადააშორებს თავზე ჩემს ქვეყანასაო.

პირველი კითხვა: მე მყავსო, ითვლევინება ის მეფე, ცხენის ჯოგი. გამეიცანი, რომელია დედა და რომელია შვილებიო. მეორე კითხვაა: აგზავნის ქვასანაყს და ითვლევინება, ამაზე ამოკერით ათასი წყდა თასმა და გამამიგზავნეთო.

მესამე კითხვა: ჩემს ქვეყანაში ერთი მხარეა უწყლო, წყარო არსაა და გოუჩინეთო.

დედაბერმა სთქვა: თუ გადევნიდივე ჭირი, ეს ახლა გადევნიდივო და კუნკულ-კუნკულით გამოქანდა შინისაკენ.



— რა ქენით, — კითხა გველვაჟმა. — რაღა რა ვქენით, — მიუგო ნერწყვგამშრალმა დედამ, — სიკვდილი გველის, მეტი არაფერიო. ამ ბოროტებას შენ გადამკიდევო და დეიწყო ქვითინი. — რა დაგემართა, რა იყოვო, — ჩააცვივდა გველი. — მე ის ხელმწიფე ვერ მამერევა, თუ ძალაზეაო.

დედას ამ სიტყვების გაგონებაზე სულელივით გვეციონა: მეფე ვერ მოგერევა ერთ ღვაფს გველფუშსაო. — ვერაო, — დარწმუნებით უთხრა გველმა. — აბა, კარგი და ოუხსენი ახლა ეს კითხვებით და მოუყვა რა კითხვებით იყო ასახსნელი.

გველი ერთ წუთსაც არ ჩაფიქრებულა და უთხრა დედას: წადი ახლავე და მოახსენე მეფეს. გაგზავნე შენი ვეზირი იმ მეფესთან და დააბარე — რამსისხო თასმა უნდა, ნიმუში ამოჭერი ამ ქვასანაყზე და მეც იმ ზომას გამოვ-

კრიო. ვერ აჭრის ამ ქვასანაყზე ნიმუშს და შერცხვენილი დარჩებაო. ცხენები დააწყურონ სამ დღეს და როცა გამოუშ-
ბენ. რომელიც დეიხვიხვირებს, ის იქნება დედა. სადაც დამ-
წყურვალებულია ხალხი, იმ ქვეყანაში ერთი მუხაა ამა და
ამ ადგილას; მოთხარონ ის მუხა და ამეიღონ იქ მაღალი
ორმო, სანამ წყალი არ ამევიდეს; ის იქნება ჭა და მისი წყა-
ლი იხმარონო.

გაფრინდა დედა მეფესთან. მივიდა. მთელი სასახლე
დამწუხრებული და უიმედო იყო. როცა მივიდა დედაბერი,
ყველას სიცილი აღტყდა ამ გაჭირვების დროსაც, მარამ,
როცა პასუხი გეიგეს, დიდი მოწიწებით მიიღეს. ეს სულ
ყოველივე გადასცეს შუაქაცებს, თან გაატანეს ვეზირი და
პირში ჩალა გამოვლებული დარჩა შარიანი მეფე. ეს კი გა-
დარჩა გასაჭირს და კიდევ გეიწვია თავისთან პირობის თა-
ნახმათ სახელგანთქმული გველი.

შემოზოზდა სახლში ბურუხუნა გველი. დიდი თავაზით
მიეგბა ყველა, უფრო ეშინიათ მისი. ვიდრე მოსწონთ.
შიშის ხათრია, რომ ეალერსებიან. მოუჯინეს გველს დედო-
ფალი, მზეთუნახავი გვერდით და გამართეს ქორწილი.


ისეთია დედოფალი, რომ დანა კბილებს ვეღარ უხსნის.
მის მწუხარებას ზომა და ანგარიში არა აქვს. მარამ რა
გეეწყობა — პირია მიცემული და ალბათ მისი ბედი ყო-
ფილა!

გეიყვანეს ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი სან-
თიობოში. მიხურა მეფემ სანთიობოს კარები თუ არა, წეივ-
ლო თმაში და წვერებში ხელები და ბურქვა-ბურქვა იბდღვ-
ნიდა: შექამს ის წყეული გველი ჩემს ქალსაო.

მარამ სანთიობოში კიდევ უფრო ძნელი საქმე ხდებო-
და. მზეთუნახავს კისერზე შემოხვეოდა გველი და ტკბილი
ალექსით ორათგაყოფილ ენას უყოფდა პირში. ქალი სულს
ლევდა, აღარც მკვდარი იყო და აღარც ცოცხალი; გაცივე-
ბულიყო და თითქოს აღარაფერი აღარ ესმოდა. გველი კი
ეუბნებოდა: ნუ შემიზიზღებ, ნუ დამერიდები, იქნებ ისეც
მოხდეს, რომ შენ მეალერსებოდე და მე კი აგრე გევიყი-
ნოვო. ამ ალერსში და ეშხში რომ არის, გაძვრა მეტისმეტი
სიყვარულით კანში და, ჰოი, სასწაულო! მზესავით მანათო-

ბელი ყმაწვილი გაშევიდა. ახლა კი შეაკუსა თვალები მას მზეთუნახავმა, გულმა საშინლათ დოუწყო ძგერა და ცეცხლი აენტო სახეზე; აპრიალდა, აპრიალდა, მზესავით ანათებდა. ამათ ნახვას აღარასფერი სჯობდა. ვაჟის ოქროს თმა მზის სხივებით ბრჭყვინავდა და ქალი სინაზით უსვამდა შიდ მარგალიტივით თითებს. ამ დროს ჭიჭიტალადან შეიხედა სანთიობოში ერთმა გადიამ — ეს რა სინათლე მოდის იქიდანაო. ვაი, ცეცხლი ამოუშვა გველმა პირიდან და დასწვა დედოფალიო. მარამ რა დეინახა! აღარაფერი ჯობდა სანახავათ ვაჟს და ორივეს ნეტარება აღარ ითქმოდა.

გამეიქცა გადია მტირალი მეფისთვის ამ ამბის მისახარებლათ. შეიქნა ხმაური, უღრიამული, მითქმა-მოთქმა; გაქანდენ სანთიობოსკენ. მეტისმეტი სიხარულით ჩაამტვრიეს კარები და მეფე ეცა გველის ხალათა-კანს.



შეკრთა ვაჟი, შეშინდა... დააპირა მალლა ახტომა, ჰაერისკენ შენავარდება და... გადაიქცა სპეტაკ ტრედათ. დეიწყო ფრიალ-ფრიალი სანთიობოში, ეძებს გამოსაფრენს კარს, სარკმელს. უკან დეედევნება და უნდა მიიღი დაჭერა მზეთუნახავს და გული მიუღის, ეშინია, აღარ დამეკარგოსო. თან ჩამოდის ცრემლები, თანაც იცინის. ბოლოსაც იშოვნა ტრედმა ღია კარი და გამოძვრა შიდ, გამოფრინდა. მიფრინავს ტრედი ნელ-ნელა. მზეთუნახავმა თხოვა მამა მეფეს თავისი

რაში. იმანაც მაშინვე მიაგება. შეჯდა ზელ მზეთუნახავი და გაჰყვა ფრენა-ფრენით თავის ტრედს.

მიფრინავს ტრედი და მილულუნობს, მიფრინავს რაში და მისდევს ტრედს კვალდაკვალ მზეთუნახავი. შეჯდება ხეზე ტრედი, მივა მზეთუნახავი, ტრედი აფრინდება და ნელა, აუჩქარებლათ მიფრინავს კიდე იქით. ამნაირ ფრენა-ფრენით მივიდენ ზღვის პირზე. ზღვაში პაწაწა კუნძული იყო კიდის მახლობლათ. კუნძულზე იდგა ერთი კოდალივით სწორი მაღალი ალვის ხე. ამ ხეზე შეფრინდა ტრედი და დეიწყო ლულუნი. გადააქანებს ნიავი ალვის ხის წვეროს, თან გადაყვება ლულუნით სპეტაკი ტრედი; გამოაქანებს, თან გადმოყვება. გააქანა მზეთუნახავმა რაში, ისკუპა რაშმა კიდიდან კუნძულზე, მაგრამ იმდენი ადგილიც აღარც იყო, რომ ოთხივე ფეხით დატეულიყო. მხოლოდ წინა ფეხებით დეეკიდა კუნძულს რაში. ალვის ხემ ქედი იხარა. წაატოტინა ტრედისკენ ხელი მზეთუნახავმა, მაგრამ ტრედმა ისკუპა, შეაჯდა მხარზე მზეთუნახავს და ყურებთან დოუწყო ლულუნი. ისკუპა უკანვე რაშმა, დახტა ზღვის კიდეზე. ტრედი ხან თავზე ევლება მზეთუნახავს და ხან ფეხებზე აჯდება, მარამ ყოველივე ცდა მზეთუნახავის, რომ მეიგდოს ხელში ტრედი, ამათ რჩება. დღესაც ასე დაფრინავს რაშით ეს მზეთუნახავი და ტრედიც თავზე ევლება, ხან მხარზე აჯდება მზეთუნახავს. იმათი ფოფინი და ფორტქინი დოუსრულებელია.

საწყალი კაციისა

ერთი საწყალი კაცი იყო, ერთი ცოლი ჰყავდა და ორი შვილი. ცხოვრობდნენ ტყეში და გაკეთებული ჰქონდათ ფოთლის ქოხი. ეს კაცი ყოველ დღიურად შეჰკრავდა ერთ გუდურა შეშას, წაიღებდა ქალაქში და გაჰყიდდა თითო აბაზად. ამ ფულით პურსა ყიდულობდა და ცოლშვილს ასაზრდოებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც შეშა წაიღო გასასყიდათ, ერთი ჯაგიდან ამოფრინდა ჩიტა. მივიდა, ნახა ის

ჯაგო. ბუდე იყო შიგ ჯაგში და ბუდეში ერთი კვერცხი ედვა. ამოიღო კვერცხი და წაიღო ბაზარზე გასასყიდათ. როდესაც შეშა გაყიდა, მერე გაყიდა კვერცხი ერთ მანეთათ. მაშინ ამ კაცმა იფიქრა — ამ კვერცხიდან უფრო შემოსავალი მექნებაო. ყოველდღიურად მიდიოდა იმ ბუდესთან, ამოიღებდა თითო კვერცხს, გაჰქონდა ბაზარზედ და ყოველთვის ერთი კაცი ყიდულობდა. ბოლოს ამ კაცმა უთხრა, ვაჭარი იყო ის კაცი: რომელი ჩიტიც ამ კვერცხებს სდებს, ის ჩიტი დაიჭირე როგორმე და ჩამომიყვანეო, რაცა ღირს ხუთი იმოდენას მოგცემო.

დაბრუნდა გლეხი ქალაქიდან სახლში. წამოეპარა ბუდეს, დაიჭირა ჩიტი და იფიქრა: ეს რომ წავიყვანო და მივცე იმ ურიას, ფული მალე დამეხნარჯებაო... მოდი მეყოლება სახლში და კვერცხებს დავუწყებ ისევ ყიდვას. ბოლოს ამ ვაჭარმა ჩიტი რომ ვერ იყიდა, წამოიღო საწვრილმანო სოფელში და შეუჟვარდა ამ გლეხის ცოლს. ვაჭარმა უთხრა ქალს: თუ მართლა გიყვარვარ, ეს ჩიტი დამიკალიო და მაგის ხორცი მაჭამეო. ქალმა ხათრი ვეღარ გაუტეხა. დაკლა ჩიტი და შოუხნარშა. კაცს ეძინა, სთქვა ქალმა: მინამდის გამოეღვიძება. წავალ, მე წყალს შოვიტანო. ქალი რომ წყალზე წავიდა, მისმა შვილებმა შეჭამეს ეს მოხნარშული ჩიტი. მოვიდა დედაკაცი წყლიდან, ჩიტის ხორცი შეჭმული დახვდა. დაუწყო ბავშვებს ცემა. ბოლოს უთხრა თავის მამულს: წაახსნი ორივენი და ტყეში რომ მირეკო, თავები დასტერიო.

ამ დედაკაცის მამულმა თავისი რძლის ხათრი აღარ გატეხა, წაახსნა თავისი ძმის შვილები, დასახოცად ვერ გაიმეტა და ტყეში გაუშვა. დაბრუნდა მამული სახლში. ეს ბავშვები დადიოდნენ ტყეში უპატრონოდ. მოილაპარაკეს ბავშვებმა: ცხოვრება შეგვიძლია, ჩიტი რომ შეჭამეს, რო იფურთხებოდნენ, სულ ოქრო გადმოსდიოდათ პირიდან. ეს ოქრო ბევრი გვაქვს. მოდი და გავთავადღეთ — ერთი იქით წავიდეთ და ერთი აქეთაო. ასეც მოიქცნენ. სადაც ეს მოილაპარაკეს, იმ ადგილას ერთი დიდი ქვა იყო. ამოიღეს ორივემ დანები და იმ ქვის ქვეშ შეაწყვეს. — შეიძლება კიდევ ერთმანეთს შევხდეთ ამ ქვასთან. ვინც ამ ქვასთან წინ მოვიდეს, იმან მოიცადოსო. წავიდნენ ცალ-ცალკე.

უფროსი ბიჭი რომ გასცდა ტყეს, ერთი მინდორი მო-
ეწონა და გადაწყვიტა იმ მინდორზე გაეშენებინა ახალი სა-
ხელმწიფო. მართლაც, ასეც მოიქცა. ოქრო ბლომად აჰქონ-
და, მუშები დაიჭირა, თუ ღირდა მუშა ათი შაური, მანეთს
აძლევდა და მთელი ხალხი სულ იმასთან მუშაობდნენ.

უმცროსი ძმა როდესაც გასცდა ტყეს, ერთ მინდორზე
სამი ბიჭი რაღაზედაც ჩხუბობდნენ. მივიდა ეს ბიჭი იმ სამ
ვაჟთან და უთხრა: რა გაქვთ გასაყოფი, რაზედ სჩხუბობთო.
ბიჭებმა უპასუხეს: ჩვენ ვიპოვეთ სამი ნივთი — ერთი ხა-
ლიჩა, ერთი ქუდი და ერთი სუფრა. ხალიჩას აქვს ის თვი-
სება, ზედ რო დაჯდება კაცი, სიციხე ეტყვის იქ გააფრენსო.
ამ სუფრას კიდევ ისეთი თვისება აქვს, რასაც ინატრებ —
სუყველაფერზედ გააშლებათ, მთელი სასმელ-საჭმელიო.
ამ ქუდს კიდევ უჩინმაჩინს ეძახიან, ვინც დაიხურავს, კაცი
აღარა სჩანს. ჩვენ სუყველას უფრო სუფრა გვინდა, რადგან
მოქიფე ბიჭები ვართო.

ამ ბიჭმა უთხრა: ამ ნივთებს მე ვაგვიყოფთ. აილო ერთი
დიდი ქვა და უთხრა ბიჭებს: აი, ამ ქვას ვავისვრი, რომელიც
იმ ქვასთან წინ მივა, იმას ერგება სუფრა, მეორეს ხალიჩა
და მესამეს კი ქუდიო. გაისროლა ქვა. გამოუდგნენ ბიჭები.
ეს ბიჭი დაჯდა ხალიჩაზე, დაიხურა ქუდი უჩინმაჩინისა და
უთხრა ხალიჩას: აბა, ხალიჩავ, გაფრინდი და ერთ რომელი-
მე სახელმწიფოში მიმიყვანეო. ბიჭებმაც როდესაც დაინა-
ხეს, რომ ხალიჩა გაფრინდა, ბევრი ქვები ისროლეს, თავი-
რი იმტკრიეს, მაგრამ ველარ მოეწივნენ.

ხალიჩა ჩამოფრინდა ერთს სახელმწიფოში წყაროსთან.
იმ წყალზე ერთი ბებერი დედაკაცი იყო და ბიჭმა უთხრა:
დედაშვილობას წყალი დამალევინეო. დედაკაცმა მიიხედ-
მოიხედა, რომ ვერავინ დაინახა, პირველად გადაიწერა და
სთქვა: ღმერთო მიშველე, ეს რა მომელანდაო. მაშინ ამ ვა-
ჟმა მოიხადა თავიდან ქუდი და უთხრა: ნუ გეშინიან დედი,
ადამიანი ვარო. მიაწოდა, წყალი დაალევინა და მაშინ უთხ-
რა: თუ შეიძლება ამაღამ შემინახეო. — რატომ შეიძლო,
სტუმარი ღვთისააო და წაიყვანა სახლში. როდესაც დაღამდა,
უთხრა ბებერს ამ ვაჟმა: ხელმწიფე როგორი რამე გყავთო.—
ხელმწიფე ძალიან კარგი გყავსო, წელიწადში ათი კვერცხი

მიწერია და იმასაც ზოგჯერ მაპატიებს ხოლმე, მაგრამ ერთი ქალი ჰყავს, იმ ქალის გულისათვის ასამდე ვაჟი ეყოლება მოკლული. ვინცა სთხოვს ქალს, თუ ვერ შეუსრულებს დავალებას, მაშინათვე მოჰკლავს ხოლმეო.



გათენდა დილა. მივიდა ეს ვაჟი ხელმწიფესთან და მოახსენა: თუ შეიძლება მოჯამაგირეთ დაგიდგებიო. ხელმწიფემაც უარი არ უთხრა. დაიყენა მოჯამაგირეთ და ეზოებს ახვეტინებდა. ამ ბიჭმა ნელ-ნელა სახლშიაც დაუწყო დაგვა და დალაგება ოთახს. ერთხელ ხელმწიფის ქალს ძალინ მაგრა ეძინა. ბიჭმა მოიტანა თავისი ხალიჩა, დასვა ზედ ხელმწიფის ქალი, დაიხურა უჩინმაჩინის ქუდი და უთხრა ხალი-

ჩას: აბა, ხალიჩავ, გაფრინდი და ერთი ზღვის კუნძულზე
 სადმე დაგვაბინავეო. ხალიჩაც გაფრინდა. ჩამოვიდა ერთ
 კუნძულზე. ქალსაც გამოელვინა. დაიწყეს იქ ცხოვრება,
 ხელმწიფემ მოიკითხა თავის ქალი და ვერ ნახა, მაშინვე გა-
 მოყო ბევრი მძებნელები, მაგრამ ვერ იპოვნეს. ბოლოს მი-
 ვიდა ბებერი დედაკაცი და უთხრა: ოღონდ ჩემს შვილს
 ჯარში ნუ წაიყვან და შენს ქალს გიპოვნიო. ხელმწიფეც შე-
 პპირდა — იმის შვილს გაანთავისუფლებდა ჯარიდან. ბებერ-
 მა დედაკაცმა უთხრა ხელმწიფეს: ერთი ბოთლი ბანგი მო-
 მეციო. მისცა ხელმწიფემ და გაუღვა ბებერი გზას.



მივიდა ზღვის პირას ბებერი, ჩაჯდა ნავში. გავიდა ერთ
 კუნძულზე და იპოვნა იმ ხელმწიფის ქალი. მივიდა იმათთან

და უთხრა: დედაშვილობას ნავიდას გადმოვევარდი, წყალმა აქ გამომრიყა, შემინახვეით. ერთი ლუკმა პუროი მაქამეთ მარტო, თქვენი სხვა არა მინდა რაო, ყველაფერზე გემსახურებითო. ამ ვაჟს შეეცოდა ბებერი და უთხრა: სახლში მობრძანდიო. როდესაც დაღამდა და დაიწყეს პურის ჭამა, მოიტანა ამ ვაჟმა ღვინო და დაიწყეს სმა. ბებერმა ამოიღო ჭიბიდან ბოთლი და უთხრა: აბა ჩვენი მოტანილი ღვინო დელიე, როგორიაო. ბიჭმა რა წამსვე დალია, ძირს დაეცა. შემდეგ ბებერმა უთხრა ქალს: წამოხვალ კარგია, არადა ჯარი მყავს მოყვანილი და მოგაკვლევინებო. ქალი დასთანხმდა. დასხდნენ ხალიჩაზე, დასვეს ბიჭი ზედ და გაფრინდა ხალიჩა. ის ბიჭი ერთ კუნძულზე ჩამოაგდეს ხალიჩიდან ძირს.

როდესაც გამოფხიზლდა ბიჭი, ნახა იმ კუნძულზე დიდი ჩალა იდგა, სულ გველებითა და ნადირით იყო სავსე. ბიჭს ძალიან შეეშინდა, ბოლოს რაღაც ყვირილის ხმაც მოესმა. ადგა და იქითკენ გასწია, თურმე ერთ დევს ფეხში მარგილი შერჭმია. ბიჭმა, რომ დაინახა დევი, ძალიან შეეშინდა და დევმა დაუძახა: თუ ქრისტიანი ხარ, არაფერს დაგიშავებ, ფეხში ეკალი შემერჭო, ვკტები, მოდი მიშველე, გამომიღე როგორმეო.

მივიდა ეს ბიჭი. ეწეოდა მარგილს, მაგრამ ვერ გამოცალა. იქვე ახლოს ერთი ტირიფის ხე იდგა. დევმა ამოიღო დანა ჭიბიდან, მისცა ბიჭს და უთხრა: მიდი აგერ იმ ტირიფზე წნელები დაშკერო. მივიდა ბიჭი, დაჭრა წნელები, დაგრიხა და ეს მარგილი მოაბა ხეზე. დევმა გაიწია და გამოიღო ფეხიდან. დევმა უთხრა ბიჭს: ეს სიკეთე რომ მიყავი, პატივისცემა რითი გადაგიხადოო. ბიჭმა უთხრა: შენი არაფერი მინდა; ამ ზღვაში გამიყვანე როგორმეო, მაშინ დევმა უპასუხა: მეც მინდა ზღვის გაღმიდან გასვლა, მაგრამ ვერ გავდივარო. აგერ იმ ხეს ხომ ხედავ, ერთი მაგის ცალი ხე ზღვის გაღმითა სდგას. დილით ის ხე წამოვა აქეთკენ, ეგ ხე კიდევ იქეთკენ, შუა ზღვაზე რომ მივლენ, ერთმანეთს მოეხვევიან, აკოცებენ და ისევ ერთი იქით წავა და მეორე აქეთ წამოვა. თუ გაგიყვანს ეგ ხეები, თუ არადა ვერ გასვალ შენ გაღმით.

ბიჭი გამოემშვიდობა დეეს და გაუდგა გზას.

ბოლოს დევმა მოაბრუნა ისევ და ამოსტაცა ერთი მათ-
რახი: ამ მათრახს ისეთი თვისება აქვს, აღამიანს რომ დაარ-
ტყა, რათაც გინდა იმათ აქცევ. წავიდა ეს ბიჭი და ავიდა
ხის წვერზე. ეს ხე ნელ-ნელა გადაიხარა, იქიდან კიდევ სხვა
ხე წამოვიდა. შეხვდნენ ერთმანეთს, მოეხვივნენ. ამ დროს
ბიჭი მეორე ხეზე გადავიდა. მეორე ხემ გაიყოლა ზღვის გა-
ღმიდან. ჩამოვიდა ბიჭი ამ ხიდან, წავიდა ისევ იმ ხელ-
მწიფესთან და დაუდგა მოჯამაგირეთ.

ხელმწიფემ ჩააბარა ერთი ფაშატი ცხენი და ურემი.
ეზიდებოდა ხოლმე ნაკელს. ერთხელ ამ ცხენზე წაედავა ერთი
რუსის ბიჭი — ჩემიყო. ამ ბიჭმაც მისცა ეს ცხენი რუსის
ბიჭს. წამოებარა მერე ხელმწიფის ქალს, დაარტყა მათრახი
და უთხრა: შენ ამ წუთსვე იქეცი ნემსათაო. ქალი იქცა
ნემსათ. ნემსი ჩამოიტანა დაბლა, დაარტყა მათრახი და უთ-
ხრა: შენამც იქეცი თეთრ ფაშატ ცხენათაჲ. იქცა ხელ-
მწიფის ქალი ცხენათ. დღისით ამ ქალს ორთვალაში ამუ-
შავებდა, ლამე ქალათ აქცევდა და ერთად იწვნენ.

ხელმწიფემ ბევრი აძებნინა თავისი ქალი, მაგრამ ვე-
ლარ იპოვნა. ბოლოს ხელში ჩაიგდო ამ ვაჟმა თავისი ქუდი,
ხალიჩა და სუფრა. ცხენი თავის ურმიანათ დააყენა ხალი-
ჩაზე, დაჯდა თვითონა ზედ და უთხრა ხალიჩას: აბა, ხალი-
ჩავ, გაფრინდი და სადაც ჩემი ძმა იყოს, იქ ჩამოემვიო.
გაფრინდა ხალიჩა. იტრიალა, იტრიალა ჰაერში და ბოლოს
ჩამოვარდა ერთ ახლადგაშენებულ სახელმწიფოში. ბიჭმა
ხალიჩა, ქუდი და სუფრა შეინახა. მივიდა ხელმწიფესთან
და სთხოვა, რომ დღიურათ ემუშავნა იმასთან. ძმას უკვე
კოლი მოეყვანა. სახელმწიფოს კიდევ ამშვენებდა — ის
დიდი ტყე სულ წმინდათ გაეკაფა. მხოლოდ ქვის ქვეშ რომ
დანები შეაწყვეს, იმ ქვასთან დაეყენებინა სამი ყარაული.
ყარაულებისათვის ეთქვა ამ ხელმწიფეს: ამ ქვასთან თუ ვინ-
მე მივიდა სანახავათ, ის კაცი დაიჭირეთ და აქ მომიყვანე-
თო. ამ ბიჭმა რომ დაიწყო ცხენის ურმით მუშაობა, იმ ქვას-
თან მარჯვეთ მუშაობდა. როდესაც დაისვენეს მუშებმა, ეს
ბიჭი აზრზე მოვიდა, რომ იმ ქვის ქვეშ იყო მათი დანები.
მივიდა და დაუბრა ალებს ამ ქვას, მაშინ დაიჭირეს ყარაუ-

ლებმა და წაიყვანეს ხელმწიფესთან. ხელმწიფესთან რომ მიიყვანეს, უთხრა ხელმწიფემ: იმ ქვას რათ იღებდიო. ბიჭმა უთხრა: ჩვენ ორი ძმანი ვიყავით. იმ ქვის ქვეშ დანები დავმალეთ. მინდოდა მენახა — იქვე იყო თუ არაო. მაშინ მოეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა.

უფროსმა ძმამ უთხრა თავის ძმას: შე უკვე ცოლი მყავსო და შენც მე მგონი უკვე საცოლე ხარ, და უნდა ერთი ქალი ვნახო შენთვისაო. ძმა დასთანხმდა. თორმეტი სახელმწიფოს ქალი მოიყვანა. ამ თორმეტში რომელი ქალიც მოგეწონოს შენი საცოლე ის უნდა იყვესო. ბიჭმა დაათვალიერა ეს ქალები, მაგრამ თავისი ცოლისთანა არც ერთი არ იყო. უთხრა თავის ძმას: მოდი ერთი ქალი მყავს, იმას მოვიყვანო. თუ მოგეწონა, ის იყოს ჩემი ცოლი, თუ არადა რომელ ქალზეც მეტყვიო, იმ ქალს შევიერთავ ცოლადო. ჩავიდა დაბლა გომურში, დაარტყა ცხენს მათრახი და აქცია ქალათ. ამოიყვანა, იმ ხელმწიფეს ქალებთან დააყენა, მაგრამ თორმეტივეს ერთადა სჯობდა, მაშინ ამ ხელმწიფემ დაითხოვა ქალები.

სახელმწიფო როდესაც დაამთავრეს, უმცროსმა ძმამ უთხრა: მოდი წავიდეთ ჩვენი მშობლების სანახავადო. მოიხმო უფროსმა ძმამ ფაიტონები და უთხრა ძმას: მზათ არიან ფაიტონები და წავიდეთო. უმცროსმა ძმამ უთხრა: ცხენებს ნუ დასტანჯავო. მოიტანა თავისი ხალიჩა, ქუდი და სუფრა, დასხდნენ ზედ თავიანთი ცოლებით და წავიდნენ მშობლების სანახავად.

მივიდნენ მშობლებთან. ნახეს, რომ ვაჭარი და მათი დედა ქალბატონებივით ყოფილან და ამ ბიჭის მამა და ბიძა კი მოჯამაგირეებათ გაუხდიათ. მაშინ შეილებმა ორივე დახოცეს — ვაჭარი და მათი დედა. მამასა და ბიძას უთხრეს წაყოლოდნენ თან, მაგრამ მამამ და ბიძამ უპასუხეს: შვილო ჩვენ მიწა-წყალს ვერ დავთმობთ, თქვენ წადით და თუ რამე გამეტებათ აქ მოგვერთოსო.

ძმებმა დაუტოვეს სუფრა და წამოვიდნენ თავიანთ სახელმწიფოში და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.



იყო ერთი მეცხვარე. ერთ ღღეს ცხვარი გრილოში გარეკა. ამ ღროს დაინახა მოდიოდა სამი კაცი: წმინდა გიორგი, ელია და ქრისტე. დაისვენეს ერთ ადგილას და ერთმანეთს უთხრეს: ერთი ცხვარი ვიშოვოთ და პური ვჭამოთო. მაშინ მივიდა ელია მეცხვარესთან და უთხრა: ერთი ცხვარი მომეციო. მეცხვარემ ჰკითხა: შენ ვინა ხარო. ელიამ უპასუხა: მე ელია ვარ, ისა, რომელიც სეტყვას ვაჩენ ხოლმეო. მაშინ მეცხვარემ წამოავლო ჯოხს ხელი: შენ ცხვარს როგორ მოგცემ, მთელი ხალხი დალუპული გყავს, წამსა და უწამს სეტყვას აჩენო.

, მოვიდა ელია და უთხრა თავის ამხანაგს: არ მომცა ცხვარიო და აბა, თქვენ წადითო.

, ადგა ქრისტე და მივიდა მეცხვარესთან და უთხრა: ერთი ცხვარი მომეციო. მეცხვარემ ჰკითხა: შენ ვინა ხარო. ქრისტემ უპასუხა: მე ქრისტე ღმერთი ვარო. წამოავლო მეცხვარემ ჯოხი და მოუქნია: შენი პატრონიო, ერთი შვილი რომ ჰყავდეს ადამიანს, გაუხდი ავად, რამდენიც უნდა გეხვეწოს, მაინც მოუკლავ და გააბრუნა უკან. ცარიელი ქრისტე რომ მივიდა, ამხანაგებს უთხრა: არც მე მომცაო.

წავიდა მერე წმინდა გიორგი. მივიდა მეცხვარესთან და უთხრა: თუ შეიძლება, ერთი ცხვარი მომეციო. მეცხვარემ უთხრა: შენ ვინა ხარო. მაშინ წმინდა გიორგიმ უპასუხა თუ ვინ იყო. როდესაც გაიგო მეცხვარემ, რომ ის კაცი წმინდა გიორგი იყო, უთხრა: შენს მადლსა და სახელს კი ვენაცვალეო. მოდრი რომელი ცხვარიც მოგეწონოს, ის წაიყვანეო.



წაიყვანა ერთი ცხვარი წმინდა გიორგიმ. დაკლეს და ჭამეს პური. როდესაც წასვლა დააპირეს, სადაც ისინი იყვნენ, ის ადგილი იქნებოდა ერთი გექტარი სულ ხრიოკი ადგილი, სთქვეს. ამ ადგილს გაუგდეს რამე თვისებო. ქრისტე ღმერთმა სთქვა: აქ ვინც მოხნას, რაც დასთესოს, ერთი ორათ მოვიდესო და წავიდნენ. მაშინ წმინდა გიორგიმ უთხრა მეცხვარეს: იზოვნე გუთნები და რაც გინდა დაგიჯდეს, ეს ადგილი მოხანი, რასაც დასთესამ სულ ზღვასავით იქცევიო. მეცხვარემ იზოვნა გუთნები, მოხნა და დათესა პური. მთელი სოფელი სულ სასაღლოდ იგდებდნენ, მაგრამ ყანა მოვიდა ისეთი, რომ შიგ ალარ ეტეოდა.

ერთ დღეს მეცხვარე ყანასთანა დგას და ამ დროს გამოიარა ქრისტემ და უთხრა მეცხვარეს: ვისია ბიჭო, ეს ყანაო. მეცხვარემ უპასუხა: ყანა ჩემი არისო. მაშინ ქრისტემ უთხრა ელიას: აბა, ელია, ეს ყანა მეცხვარესი ყოფილა და ამაღამ ერთი დიდი სეტყვა დასცხე ამ ადგილას მარტოო.

ეს რომ წმინდა გიორგიმ გაიგო, უთხრა მეცხვარეს: ეგ, ყანა დღესვე გაყიდე როგორმე, თორემ ამაღამ ელია სეტყვამს შენს ყანასაო. მეცხვარე მივიდა შეყრილ ხალხთან და სთქვა: ყანას ვყიდი და ხომ არავის უნდაო. ერთი საწყალი კაცი იყო, უღელი კარგი ხარები ჰყავდა და იმან უთხრა: მე მომეცი და ჩემს ხარებს მოგცემო. იმ მეცხვარემაც მისცა. მაშინვე და წაასხა ორივე ხარები საჩქაროთ. ხარები რომ



წაასხა, სულ ორი საათი არ გამოვიდოდა და დასცხო ერთი მაგარი სეტყვა ისე, რომ სულ გაანადგურა ყანა. გავიდა მეორე დღეს ეს საწყალი კაცი ყანაში და დაიწყო ტირილი. ამ დროს გამოიარა ქრისტემ და უთხრა: რა გუტირებსო. საწყალმა კაცმა უპასუხა: რაღა რა მატირებს, გუშინ ყანა

ვიყიდე და დღეს უკვე აღარ არისო. მაშინ ქრისტემ უთხრა ელიას: აბა, ის ყანა გაუყიდნია იმ მეცხვარეს ერთ საწყალ კაცზე და თავს იკლავს. ეხლა უნდა მოაყოლოო თბილი წვიმები ისე, რომ რაც იყო ორი იმდენი გახდესო. წმინდა გიორგი კიდევ მოვიდა მეცხვარესთან და უთხრა: ხარებო მიეცი და ისევ შენი ყანა გამოართვიო, თორემ რაც იყო ორი იმდენი უნდა გახდესო. მეცხვარემაც მიურეკა თავისი ხარები და უთხრა: რა გატირებს შე კაი კაცო, განა მე კი მოვიწადინებ შენს დაღუპვას! აი, შენი ხარები. წმინდა გიორგიმ უთხრა: მეცხვარე, რაც შეიძლო ბევრი მუშა დაიჭირე და მალე მომკვიციო. მართლაც, მეცხვარე ასე მოიქცა. მომკო საჩქაროთ და გაიგეს კიდევ ქრისტემ და ელიამ, რომ ეს ყანა ისევ მეცხვარეს დაუბრუნებია და მოუმკია კიდევცო. სთქვეს: აბა, ეხლა რალას უზავთ, მოდი და თითო ურემი ძნიდან თითო კოდი პურის მეტი ნუ დადგებაო.

1 მაშინ წმინდა გიორგიმ უთხრა მეცხვარეს: შენ რაც შეიძლო, გინდა გიყი დაგიძახონ, თითო ურემზე თითო ძნა დაუდე და სულ ისე მოზიდევით, რადგან ერთ ძნიდან ერთი კოდი უნდა დადგეს და გინდა ასი დაუდო იმაზეც ერთი კოდიო.

2 მეცხვარეც ასე მოიქცა, ზიდა თითო ძნა და იმდენი პური მოუვიდა, რომ ველარსად სტევდა მეცხვარე.

ს კ ვ ი ნ ჩ ა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაბერი და ბერიკაცი. ქვეყანაზე არაფერი გააჩნდათ. ერთხელ დედაბერმა მახე დააგო და მეორე დღეს უთხრა ბერიკაცს: წადი და ნახე, ხომ არაფერი გაბმულა მახეშიო.

1 წავიდა ბერიკაცი და ნახა, რომ ერთი სკვინჩა გაბმულიყო ადგა და შინ წამოიყვანა. გზაში სკვინჩამ უთხრა: გამიშვი და შენის სიყმაწვილის დღეს დაგიბრუნებო. ბერიკაცი გაბრიყვდა და სკვინჩა გაუშვა. მივიდა შინ.

2 — რა ჰქენიო, — უთხრა მოხუცმა ცოლმა. — რა ვქენი და ერთი ჩიტი იყო გაბმული, მაგრამ ასე და ასე მითხრა და ამიტომ გავუშვიო.

დაიწყო ყვირილი ცოლმა, გაჯავრდა და სულ ცხვირ-პირი ჩაუმტვრია საწყალ ბერიკაცს. მერე უთხრა: წადი და ეხლავე მომიყვანე ის ჩიტო. ბერიკაცი წავიდა სკვინჩას საძებნელად. იარა, იარა და მივიდა ერთის ხის ძირში. იქ დახვდა ერთი კაცი. — გამარჯობა! — გაგიმარჯოსო. — საით მიდიხარ? — ჰკითხა კაცმა. — სკვინჩას სახლშიო, — უპასუხა საბრალო-ბერიკაცმა. — იქ ამაღამ დიდ პატივსა გცემენ, ხვალ დილას კი გკითხავენ: საჩუქარი რა გნებავსო; შენ უპასუხე: შენი წისქვილის მეტი არაფერი მინდა-თქო. ისინი მოგცემენ და შენც წამოიღეო.

წავიდა ბერიკაცი. მივიდა და მართლაც იმ ღამეს დიდი პატივი სცეს. მეორე დილას ჰკითხეს: საჩუქარი რა გნებავსო. შენი წისქვილის მეტი არაფერი არ მინდაო, — უპასუხა ბერიკაცმა. გამოუტანეს მაშინვე წისქვილი და მისცეს ხელში.



1. მოიკიდა ბერიკაცმა ზურგზე და წამოიღო.

2. მოაქვს თავისთვის; ვნახოთ, შეხვდა ისევ ის კაცი, რომელმაც ურჩია წისქვილის თხოვნა. დასხდნენ ორივენი დასასვენებლად. ამ კაცმა უთხრა წისქვილს: დატრიალდი, წის-

ქვილო, და, რაც კარგი საქმელი იყოს, ყველაფერი გააჩინეო.

მართლაც, დატრიალდა წისქვილი და გადმოყარა სხვადასხვანაირი საქმელები. რაც უნდოდათ, ჰამეს და, რაც დარჩა, ამ კაცმა წაიღო.

აიკიდა ბერიკაცმა წისქვილი და მივიდა შინ თუ არა, მაშინვე დიდგულად უთხრა დედაბერს: ადექ და სახლი დაგვეო.

დედაბერი დატრიალდა და ერთს წამში დაგავა და დაასუფთავა სახლი. ბერიკაცმა ახლა წისქვილს უბრძანა: აბა, წისქვილო, დატრიალდი და რაც კაი საქმელებია, სულ აქ გააჩინეო.

დატრიალდა წისქვილი და გადმოყარა საქმელები. დასხდნენ ბერიკაცი და დედაბერი საქმელად, რაც ჰამეს და, რაც ვერ შეჰამეს, გადაყარეს.

ეხლა რაღა არა ჰქონდათ: სული და გული მეტს ველარას ინატრებდა. დაჰპატიუეს ხელმწიფე, დიდი პატივი სცეს. მეორე დილას დედაბერმა მოახსენა: საჩუქარი რა გნებავსო.

ხელმწიფემ უბრძანა: შენი წისქვილის მეტი არაფერი მინდაო.

დედაკაცმა ბერიკაცს გამოატანინა წისქვილი და მიართვა ხელმწიფეს. ხელმწიფემ დიდი მადლობით წაიღო.

დედაბერმა კი დაუწყო საშინელი წყრომა ბერიკაცს: რად მიეცი ხელმწიფეს წისქვილიო, წადი ეხლავ სკვინჩასასაო.

ბერიკაცი წავიდა. იარა, იარა და მივიდა ხის ძირში, სადაც წინად იყო და დახვდა ისევ ის კაცი. — გამარჯობა! — გაგმარჯოსო, — უთხრა. — სად მიდიხარო, — ჰკითხა კაცმა. — სკვინჩასასაო, — მიუგო ბერიკაცმა. — იქ დიდ პატივსა გცემენ და მეორე დღეს გეტყვიან: რა გნებავს საჩუქრადო. შენ უთხარი: შენი ცხენის მეტი არაფერი მინდაო. მოგცემენ და წამოიყვანე.

მივიდა ბერიკაცი სკვინჩასას და მართლაც იმ ღამეს დიდი პატივი სცეს და დილა გათენდა თუ არა, ჰკითხეს: საჩუქარი რა გნებავსო.

ბერიკაცმა უთხრა: შენი ცხენის მეტი არაფერიო. გამოიყვანეს ცხენი და მისცეს.

წამოიყვანა და მოუყვანა ამ კაცს. კაცმა უთხრა: ერთი დაიხიხვიანე და ოქრო-ვერცხლში დამალე ბერიკაციო.

ცხენმა დაიხიხვინა და ბერიკაცი მთლად დაიმალა ოქრო-ვერცხლში.

მერე იმავე კაცმა უთხრა ცხენს: ამოიყვანეო.

დაჰკრა ცხენმა ფეხი და ამოათრია ბერიკაცი. — წადი ახლავ, — უთხრა ბერიკაცს.

ბერიკაცი წავიდა თავის ცხენით. მივიდა შინ თუ არა, უთხრა დედაბერს: ერთი წყალი დამალევიანეო.

დედაბერი საჩქაროდ გაიქცა ჭაბუ, მოუტანა ახალი წყალი და დაალევიანა.

ადგა და ცხენს უთხრა: დაიხიხვიანე და თექვსმეტთვლიანი სახლი დადგეო.

ცხენმა დაიხიხვინა და თექვსმეტთვლიანი სახლი დადგა. ახლაც ყველაფერი შეიძინეს. დაჰპატიყცეს ხელმწიფე, დიდი პატივი სცეს. მეორე დილას ჰკითხეს: საჩუქარი რა გნებავსო. — შენი ცხენის მეტი არაფერიო.

მიართვეს ხელმწიფეს ეს ცხენი. ხელმწიფე რომ წავიდა, დედაბერმა სცემა ბერიკაცს და უთხრა: წადი და ეხლავე სკვინჩა მომგვარეო.

წავიდა კიდევ ბერიკაცი. იარა, იარა, მივიდა იმავე ხის ძირში: ის კაციც ისევ იქ ნახა. კაცმა ჰკითხა: სად მიდიხარო. — სკვინჩასასაო, — მიუგო ბერიკაცმა. ამაღამ დიდ პატივსა გცემენ და დილას გკითხავენ: საჩუქარი რა გნებავსო. შენ უთხარო: შენი ჯოხის მეტი არაფერი-თქო.

მივიდა ბერიკაცი სკვინჩასას. იმ ღამეს დიდი პატივი სცეს. დილა რომ გათენდა, ჰკითხეს: საჩუქარი რა გნებავსო. — შენი ჯოხის მეტი არაფერიო, — მიუგო ბერიკაცმა.

მისცეს ჯოხი ხელში. წამოვიდა ბერიკაცი, ძივიდა იმ ხის ძირში და ის კაციც იქვე ნახა. კაცმა უთხრა ჯოხს: დატრიალდი და კი ნუ მოჰკლავ, მაგრამ კარგად სცემე ამ ბერიკაცს, რომ მოსვენება აღარ მომცაო.

მართლაც, ჯოხი დატრიალდა და კარგა მიბერტყა ეს ბერიკაცი.

ბერიკაცი შინ როგორც მივიდა, უთხრა ჯოხს: აბა, დატრიალდი და კარგად სცემე დედაბერსაო.

ჯოხი დატრიალდა და კარგა ლაზათიანად მიზურგა დედაბერი. მეორე დღეს დედაბერმა დაიპირა ჯოხი ხელში და იახლა ხელმწიფეს. კარებთან რომ მივიდა, არ შეუშვეს. გულმოსულმა დედაბერმა უბრძანა თავის ჯოხს: აბა, ჯოხო, ერთი დატრიალდი და კარგა ლაზათიანათ მიტყიპე ყველანო.



ჯოხმა ყველას წესი აუგო და მაშინ, მეტი რა ღონე ჰქონდათ, შეუშვეს დედაბერი. მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა: ახლავ ჩემი წისქვილი და ცხენი მომეცი, თორემ აქვე გაგათავებო. ხელმწიფესაც გული მოუვიდა და უბრძანა კარისკაცთ: ეს დედაკაცი ამავე წამს გააგდეთ აქედანაო.

მაშინ დედაბერმა უბრძანა თავის ჯოხს: აბა, ჯოხო, თუ შეგიძლიან, ახლა გამოიჩინე შენი ძალა და ღონეო.

ჯოხი თავისებურად დატრიალდა და ხელმწიფემ ბრძა-

ნა: ჩქარა მიეცით ამ ქოფაკს წისქვილიც და ცხენიც, ფულიც ზედ დაუმატეთო.

1 დედაბერმა ამნაირად დაიბრუნა ცხენიც, წისქვილიც და ფულიც ბევრი მოიტანა თავის სახლში.

ხელმწიფის შვილი



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე. სიკვდილის დღე რო მოუახლოვდა, დაიბარა თავისი შვილი და შემდეგი დარიგება მისცა: შენ ღვეში დასავლეთისკენ სანადიროთ არ წახვიდე და აი, ეს კოლოფი კიდევ — გქონდეს შენახული და გახსენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალიან გაგიჭირდეს.

მეფე გარდაიცვალა. როგორც ეკადრებოდა, ისე დაასაფლავეს. მეფის შვილი ძლიერ დაღონდა და შინიდან კარში არ გამოდიოდა. ერთხელ რამდენიმე ნაზირ-ვეზირი შევიდნენ ახალ მეფესთან და სთხოვეს გარეთ გამოსულიყო, წასულიყო სანადიროთ საიძმე და გული გაერთო. მეფეს ძა-

ლიან მოეწონა ეს აზრი და მაშინვე თავისი ამლით წავიდა სანადიროთ დასავლეთისკენ.

ბევრი ნადირი დახოცეს და დაბრუნდნენ სახლში. გზაში მეფემ მოჰკრა თვალი დიდ მანძილზედ კოშკსა და მოინდომა გაეგო — რა არის იმაში; თხოვა ერთ ვეზირს — წასულიყო და გაეგო, ვეზირი დასთანხმდა, მხოლოდ მოახსენა: სამი დღის ვადა მიბოძეთ და თუ ამ ხანში დავბრუნდი ხომ კარგი, თუ არა ცოცხალი აღარ ვიქნებიო.

გავიდა სამი დღე და ვეზირი არსად გამოჩნდა. მეფემ გაგზავნა მეორე ვეზირი... მესამე, მეოთხე და არც ერთი არ დაბრუნდა. ადგა და წავიდა თვითონ. კოშკთან რო მივიდა, კარებზედ წაიკითხა შემდეგი: შემოხვალ ინანებ, არ შემოხვალ და მაინც ინანებ. — ე, ხო ორივე ერთია, — იფიქრა, — და ბარემ შევალ.

შეაღო კარები და შევიდა. კარებშივე თორმეტი შეიარაღებული, ხმალამოღებული კაცი დახვდა. მოავლეს ხელი და წაიყვანეს. გაატარეს თერთმეტი ოთახი და მეთორმეტეში რო შეიყვანეს, იქ ერთი ოქროს ტახტი ნახა და ზედ მწოლარე თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკი, რომელიც თვალეზღაბული იყო და არავის ხმას არა სცემდა. მეფეს უთხრეს: შენ ამას სამი კითხვა უნდა მისცე და თუ არც ერთზე არ მოგიგო, პასუხის ღირსი არ გაგხადა, ეხლავე თავს მოგკვეთთო.

მეფე ძლიერ დაღონდა. ბოლოს მოაგონდა მამისაგან მიცემული კოლოფი, იფიქრა: ამაზედ მეტ გაჭირვებას სადღა შევხვდები, თავსა მჭრიანო. ამოიღო კოლოფი და გახსნა. იქიდგან ერთი ვაშლი ამოვარდა და ტახტზე გორაობა დაიწყო. აბა, ამან მე რა უნდა მიშველოსო, — გაიფიქრა მეფემ.

მაგრამ ვაშლმა დაიწყო ლაპარაკი და უთხრა ჭაბუკს იგავი: გზას ერთი კაცი თავისი ცოლით და ძმით მიდიოდნენ, დაუღამდათ და საჭმელიც შემოთაკლდათ. ქალის მაზლი ახლომახლო სოფელში პურის საშოვრად წავიდა. გზაში ყაჩაღები დახვდნენ, გაცარცვეს და თავი მოსჭრეს. მაზლი რო აღარ დაბრუნდა, მერე ქალის ქმარი წავიდა. ისიც ამავე ალაგას გაცარცვეს და მოსჭრეს თავი. მეორე დღეს იმათ საძებნელად საწყალი ქალი წავიდა და ერთ ალაგას ნახა

თავისი ქმარი და მაზლი თავებმოკვეთილები; გარშემო სის-
ზლის ტბა ედგათ. დაჯდა ეს ქალი, წაიშინა თავში და ტი-
რილი დაიწყო. ამ დროს გამოძვრა თავის წრუწუნა და სის-
ზლს ლოკვა დაუწყო. ქალმა აიღო ქვა, ესროლა და წრუწუნა
იქვე მოჰკლა. გამოძვრა დედა თავვი და უთხრა ქალს: და-
გიდგა თვალი. მე ამას მალე გავაცოცხლებ, მაგრამ შენ კი
რას უხამ შენ ქმარსა და მაზლსაო. ამ სიტყვით მოსწყვიტა
ერთი ბალახი, მოუსვა შვილს, გაცოცხლდა და ორივე ისევ
სოროში შეძვრნენ. ქალს ძალიან გაუხარდა ეს რო დაინახა.
იმანაც მოსწყვიტა ის ბალახი, თავები ტანს მიადო, მიუსვ-
მოუსვა და გააცოცხლა. ქმარ-მაზლი გააცოცხლა, მაგრამ
შეცდომით მაზლის თავი ქმრისათვის მიება და ქმრისა მაზ-
ლისათვის. — აბა, ბრძენო ჭაბუკო, ახლა შენ მითხარ, რო-
მელი იქნება ქალის ქმარი? — დააბოლოვა ვაშლმა.

ჭაბუკმა აახილა თვალები და სთქვა: ის, რომელსაც მისი
თავი აბია.

მეფეს ძალიან გაუხარდა. — ღურგალი, დერციკი და
მღვდელი მიდიოდნენ გზასა, — განაგრძო ვაშლმა. ერთ
ტყეში დაულამდათ. გააჩინეს დიდი ცეცხლი, ივანშემეს და
მერე სთქვეს: რომ ნადირმა არა დაგვაკლოს რა, მოდი სა-
თითაოდ ვიდარაჯოთ. ჯერი ერგო ღურგალს. ღურგალმა მუქ-
თათ ყოფნას მუქთათ შრომა ირჩია და გააკეთა ხის კაცი.
მერე იმან დაიძინა და ყარაულობა დერციკს ერგო. დერცი-
კმა დაინახა ხის კაცი, აიღო ტანისამოსი, შეუკერა და ჩაა-
ცვა. უკანასკნელი რიგი დარაჯობისა მღვდელს შეხვდა. როცა
შეხვდა ხის კაცს, სთქვა: მოდი ვილოცავ, რომ ღმერთმა ამ
კაცს სული ჩაუდგას. ილოცა და მართლაც ისე მოხდა.

— აბა, ჭაბუკო, ბრძანე, ვის ეკუთვნის ეს კაცი? — იმას,
ვინც სული ჩაუდგა. მეფეს იამა და იფიქრა: ეს ორი.

ვაშლმა კიდევ დაიწყო: იყო ერთი გულთმისანი, ექიმი
და ფეხმარდი. გულთმისანმა სთქვა: მავანი მეფის შვილი ძა-
ლიან ავად არის ამა და ამ სატყვიართათ. ექიმმა სთქვა: მე
წამალი ვიციო. — მე კიდევ გავურბეინებო, — სთქვა ფეხ-
მარდმა. ექიმმა წამალი მოამზადა, ფეხმარდმა მიასწრო.
ახლა შენ მითხარ, ვისი მორჩენილია მეფის შვილი? —
ჰკითხა დასასრულ ვაშლმა. — ვინც წამალი გაუკეთა, — მი-
უგო ჭაბუკმა.

რაკი სამი პასუხი ათქმევინა, ვაშლი ისევ კოლოფში ჩავარდა და მეფემ ჯიბეში ჩაიდვა. მწოლიარე კაცი წამოდგა, მოეხვია მეფეს და გადაკოცნა: რამდენი კაცი ეცადა და მე სიტყვა ვერ მათქმევინეს! რაც გინდა დამავალე, ეხლა ყველაფერს აგისრულებ.



მეფის თხოვნით მისი ნაზირ-ვეზირნი ისევ გააცოცხლეს და ყველანი მდიდრად დასაჩუქრებულნი გამოგზავნეს.

მ ე თ ე ვ ჯ ე

ერთი კაცი იყო, რომელიც ყოველდღიურად დადიოდა სათევზაოთ და ამითი ცხოვრობდა. ერთ დღეს წავიდა სათევზაოთ და დაიჭირა ერთი დიდი თევზი, გამოტანისთანავე გასჭრა თევზი, გადმოაყრევინა ნაწლავები და წამოვარდა ერთი ჭიქა. ეს ჭიქა ჭუჭყიანი იყო. გამორეცხა და წყალი რომ გადმოღვარა, სულ ოქროთ იქცა. მეთევზემ რამდენჯერმე აავსო ჭიქა წყლით და დასცალა ხოლმე. ასე ერთი ტომარა ოქროთი გაავსო და წამოვიდა სახლში. მეთევზეს მხო-

ლოდ ერთი დედა ჰყავდა მარტო, სხვა არავინ და უთხრა დედას: აჰა ეს ოქრო, ვიდრე ცოცხალი ხარ გეყოფა და მეკი სხვაგან მივდივარო.



გამოცემუვიდობა შვილი დედას და გაუდგა გზას. იარა, იარა და მივიდა ერთ სახელმწიფოში. იმ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი მზეთუნახავი ქალი. ხელმწიფის ქალი ნეკა თითის დანახვანზე ბევრ ფულს ლებულობდა და იმის ნეკა თითის ნახვის გულისათვის ემართებოდა დიდი რიგ-

ერთ დღეს მივიდა ეს მეთევზე და ჩადგა რიგში, რომ ნახოს მზეთუნახავი ქალის თითი. რიგში სადაც იდგა, იქვე წყალი იყო გამოყვანილი მილით. მეთევზე აავსებს ქიქას წყლით და დაიგროვებს ხელზედ ოქროს. რამდენჯერმე აავსო ქიქა წყლით, ვიდრე ჯიბეებს აავსებდა ოქროთი. ეს ბიჭი

რომ ჰიქიდან ოქროს წამოყრიდა ხოლმე, შენიშნა მზეთუნახავმა ქალმა და დაითხოვა სხვა ხალხი, მხოლოდ თავის მოსამსახურეს უთხრა: წადი და აგრე წყალთან რომ კაცი დგას, იმას უთხარი, ჩემთან ამოვიდეს ცოტა ხანსაო.

წავიდა მოსამსახურე და უთხრა: მზეთუნახავი ქალი გიბარებსო. ბიჭს ძალიან გაუხარდა: მზეთუნახავ ქალს თავიდან ფეხებამდე სულ დაათვალიერებდა და გაჰყვა ქალს, როდესაც ბიჭი შევიდა ხელმწიფის ქალთან, ქალმა სკამი მიართვა და უთხრა: დაბრძანდიო. მეთევზე უსაზღვროდ გახარებული იყო. მეთევზე დაჯდა სკამზე.

ქალმა დაუწყო ჰიქაზე ლაპარაკი და უთხრა, რომ ეგ ჰიქა უნდა მომცე და რასაც დააფასებ, გადაგიხდიო. მეთევზეს ეს ლაპარაკი ჰკვამი არ მოუვიდა და უთხრა: ჩემი ცხოვრებაც ეს არის და ჩემი ქონებაც, ეს რომ მოგცე, სულ უნდა დავიღუპოვო. მზეთუნახავმა ქალმა მაინც შეაცდინა და ვაჟმა უთხრა: რაკი აღარ დაგიშლია და ძალიან გულით გინდა, სამ ღამეს დამაძინე შენთან და მოგცემო. ქალმა თავისთან დაწოლაზედ უარი გამოუცხადა, მაგრამ ბოლოს დაფიქრდა და თანხმობა უთხრა მეთევზეს. დაიწყეს ერთად დამძინება სამ ღამეს. როცა ვადა გაუვიდა მეთევზეს, ადგა და წავიდა, თან წაჰყვა რაც ჯიბეებში ოქროლა ჰქონდა. ეს ოქრო რომ დაეხარჯა, მერე დადიოდა მშიერი და ბევრს ნანობდა, მაგრამ რაღას მიეწეოდა.

ხელმწიფე თავის ქალს ყოველ დღიურად სწონიდა, რომ გაეგო დღეში რას მატულობდა, ან რას იკლებდა. მამამ მალე გაუგო ქალს, რომ დაორსულდა. ქალმა ძალიან მოიმატა წონაში. ხელმწიფემ შეამოწმებინა ექიმებს და ექიმებმაც დაადასტურეს, რომ ნამდვილათ ორსულად იყო. ხელმწიფემ გასცა განკარგულება: წაეყვანათ ქალი და ისეთ ადგილას შოეკლათ და გადაეგდოთ, სადაც არც ყვავი და არც ყორანი მიუღებოდა.

ვეზირებმა შეაბეს ცხენის ურემი და წაიყვანეს მოსაკლავად. ქალმა ეს ჰიქაც თან წაიყოლა. ვეზირებმა ქალი გაიყვანეს ერთი უღრან ტყეში, მოსაკლავად ვერ გაიმეტეს და გაუშვეს ტყეში და თვითონ უკან დაბრუნდნენ.

ხელმწიფის ქალმა იარა, იარა და გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე, იქიდან დაინახა რაღაც სოფელი და გასწია იქითკენ. სოფელში რომ მივიდა, იქ იყიდა ქიზიყური ტანისამოსი ვაჟკაცისა და ჩაიცვა. მერე მივიდა ერთ კაცთან, რომელსაც ღუქანი ჰქონდა გაღეაული წკრილმანისა. ქალმა უთხრა: თუ შეიძლება მოჭამაგირეთ დაგიდგები, შენი არაფერი არ მინდა, მარტო პური მაჭამეო.



მედუქნემ უბასუხა: მთელ ღღეში ორ შაურს ვვაჭრობ. ეს ორი შაურის პური შენ გაჭამო, მე ვჭამო, თუ ცოლ-შვილი ვაცხოვროო. ამაზე ქალმა უბასუხა: კარგი, რადგან ეგრეა საქმე, ამაღამ მაინც შემინახეო. მედუქნემ ამაზე კი უთხრა: სტუმარი ღვთისა არისო. მობრძანდი, ისე შენასცეო გინდა ერთი კვირა შეგინახავო და წაჰყვა ეს ქალი მედუქნეს სახლში.

! გათენდა დილა, ქალმა უთხრა მედუქნეს: აბა, ერთი იქნებ როგორი იღბალი მქონდეს, ამ დილით მე ვივაჭრებო. მედუქნემ თანხმობა გამოუცხადა და წავიდა ქალი დუქანში და თან წაიღო ერთი კოკა წყალი. ეს წყალი სულ ამ ჭიქით დაღვარა და კალთა აივსო ოქროთი.

! დუქანი ძალიან პატარა იყო და სულ ათი თუმნის საქონელი არ იქნებოდა, გადაასხა ნავთი, მისცა ასანთი და გააჩინა ცეცხლი. დუქანი როცა სულ დაიწო, ქალმა შეიტანა ოქრო სახლში და მაგიდაზე დააგროვა და მედუქნეს შერცხვენით უთხრა: დუქანი დაიწო, მხოლოდ ვყვიროდი: გათბობა ორი შაური-მეთქი და ამის მეტი ვერ მოვაქუჩიეო. მედუქნემ უთხრა: მაგაზე რა გადარდებს შვილო, რაც ოქრო მოიტანე, მთელი ჩემი სახლები, ჩემი ცოლ-შვილიანათ რომ სულ დავყიდულიყავით, მაგოდელა ოქროს მაინც არ მოგვეცემდენო.

! ამ ოქროთი ააშენეს კარგი სახლები, გააღეს ერთი დიდი დუქანი და დაიწყეს ვაჭრობა. ქალმა ისე ააშენა ეს დუქანი, რომ იმ ქალაქში თითქმის აღარავინა სჯობდა მას. რამდენიმე ხნის შემდეგ მუცელი ასტკივდა და მედუქნის ცოლს უთხრა: მე ქალი ვარ მხოლოდ ვაჟკაცურად მაცვია, ახლა ორსულადა ვარ, მიშველე რამე, მუცელი ამტკივდაო.

მედუქნის ცოლმა ამშობიარა და გაუჩნდა ვაჟიშვილი. ბავშვსაც უყიდა ქიზიყური ტანისამოსი და იმ ქალაქში უკვე ორი ქიზიყელი იყო. ვაჟი გაიზარდა. ქალმა მედუქნეს მისცა ბლომად ოქრო და უთხრა: ეხლა მე სხვაგან უნდა წავიდეო. გამოემშვიდობა მედუქნეს და გაუდგნენ გზას.

ბევრი სიარულის შემდეგ გავიდნენ ერთ ტრიალ მინდორზე, თავისი მამის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ქალმა გაუგზავნა მამას კაცი და სთხოვა ორასი ჰექტარი მიწა მომეცი და ფასიც შემოსთვალეო. ხელმწიფემ შეუთვალა: თუ მომცემ სამ ტომარა ოქროს, მოგცემ მაგ მიწებს, თუ არადა ზედაც არ გაიაროვო. ქალმა შეუთვალა: თუგინდ ოთხი ტომარა გამომიგზავნე და ოქროს ისე გამოგიგზავნიო. ხელმწიფემ გაგზავნა ოთხი ტომარა და ოთხი კაცი გაატანა. ამ ქალმა ისე გაუვსო ტომარი ოქროთი, რომ მუშებს კინალამ წელეები დასწყვიტა ზიდვით.

მერე ქალმა დაუწყო სახლებს კეთება ერთი მდინარის პირას. მუშები ძალიან ბევრი ჰყავდა, რადგან თუ მუშა ღირდა ორი მანეთი, ის აძლედა ხუთ მანეთს და მთელი მუშა სულ იქ მუშაობდა. ასე დაამთავრა მშენებლობა.

ერთხელ ნახა, რომ იმ ჰიქის პატრონი იქ მუშაობდა ჩამოგლეჯილი ტანსაცმელით. ქალმა თავის ვაჟს უთხრა: შვილო, აი იმ კაცს ხომ ხედავ, იმას სუყველაზე ბოლოს მიეცი ფული და უთხარი, რომ ჩემთან გამოცხადდეს. ეს ბიჭიც ასე მოიქცა, ფული ყველაზე ბოლოს მას მისცა და უცბად დაავიწყდა, რომ ეთქვა წამოდით. ბოლოს მოაგონდა და მოაბრუნა. ამ კაცმა უთხრა: რაც ფული მომეცი, აი ნახე, ჯერ ჯიბეში არ ჩამიდვიაო. იმას ეგონა: ფული გადმომაცოლა ზედმეტი და იმიტომ მომდევსო. მაშინ ვაჟმა უპასუხა: წამოდი სახლში, სათქმელი რამე გვაქვს შენთანაო. წაიყვანა სახლში. დასხდნენ, ჯერ პური ჰამეს, შემდეგ თავის შვილს ქალმა უთხრა: ეს მამაშენი არის, ამასთან მე სამ ღამეს დავწევი და ეს ჰიქა ამის მოცემულიაო. მისცა ჰიქა. ქალმა მეთევზეს ჩააბარა ხელმწიფობაც და გააფრთხილა აღარვინ შეგაცდინოს და გამოგართოს ჰიქაო.

მაშინ ქალმა გარხადა კაცური ტანისამოსი და ჩაიცვა ქალის ტანსაცმელი. კარგათ მოეწყო და შეუთვალა მამას, ამა და ამ დროს ჩემთან მობრძანდით მთელი შენი საყმოსამოქალაქოთი და თუ ვინმე ნაცნობი ამხანაგები გყავს ხელმწიფები, ისინიც დაპატრეე ჩემს მაგიერო.

ხელმწიფეს გაუკვირდა და სთქვა: სულ ორი თვე არ არის, რაც სახლები გააკეთა და სადა აქვს იმდენი შეძლება, რომ მე მპატრონობსო ჩემი საყმო-სამოქალაქოთი და სხვა სახელმწიფო რომ დაუპატრეო, ხალხი სად უნდა დასტიოსო. ხელმწიფემ დაუპატრეა ერთი თავისი კარგი ბეგობარი ხელმწიფეც და მივიდნენ დანიშნულ დროს. ამ ქალმა უფროსი უფროსის ადგილას დასვა, უმცროსი უმცროსის ადგილას და სკამები კიდევ დარჩა ცარიელი, ქეიფი რომ გათავდა, ყველა ხალხი თავის გზას გაუდგა. ქალმა თავის დედა და მამა არ გაუშვა. ხელმწიფემ უთხრა: ამდენი ფული სად იშოვნე, რომ ასე ჩქარა გააკეთე ეს სახლებიო: მაშინ ქალმა ამოიღო ჰიქა, ჩაასხა, წამოასხა ძირს და სულ ოქროთ იქცა. ხელმწიფემ უთხრა: რას მთხოვ ჰიქა რომ მომცეო. ამ ქალმა უთხრა: თავი-

სი სახლის წინ მოდიოდა ერთი დიდი აღორებული წყალი, თუ დატიტვლდებით ორივე ცოლ-ქმარი და ამ წყალში იბანავენ, მაშინ ამ ჰიქასაც მოგცემთ, თუ არადა — არაო.

ორივე ცოლ-ქმარნი გატიტვლდნენ და ის იყო უნდა გადაფრენილყვნენ წყალში, ამ დროს სტაცა ქალმა ხელი, უკან მოატრიალა და უთხრა: ეხლა თქვენ ამ ჰიქის გულისათვის წყალში სცვივით და წყალს ატყობთ კიდევ, რომ დაგახრჩობთ და ჰიქა ველარას გიშველითო. მე თქვენი ქალი ვარ. აი, სწორეთ ამ ჰიქამ შემაცდინა, რომ დაორსულდიო. ეს ბიჭი არის ჩემი ქმარი, ეს ჰიქა ამისი იყო და ეს კიდევ ჩემი შვილი არის. ვეზირებმა რომ წამყვანეს, სასიკვდილოთ ვერ გამიმეტეს და ცოცხალი გამიშვესო. დავდიოდი დღემდის უსახლკაროთ, სხვის არემარეში, დღეს კი სახლები დავდგიო, დედა და მამა მოეხვივნენ თავიანთ ქალს და სთხოვეს: გვაპატივე ეს შეცდომაო. ქალმაც აპატივა. შერიგდნენ და დაიწყეს ნათესაურათ ერთმეორეში სიარული.

დაჰქარ კომბალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყვნენ ღარიბი ცოლ-ქმარი, ამათ ერთი შვილი გააჩნდათ და ძალიან უვლიდნენ. ერთ დღეს მამამ შვილი ტყეში წაიყვანა. დაშქრეს შეშა და დაიწყეს ქალაქში ზიდვა. დიდი ხნის შემდეგ ბიჭმა შეაგროვა ერთი თუმანი და მამამისს უთხრა: მამა, ახლა მე უნდა წავიდე ქალაქში სავაჭროთო. გაუშვა მამამ შვილი.

დაადგა ბიჭი გზას და მიდის. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ჩავიდა ერთ სახელმწიფოში. ნახა, რომ ერთ კაცს უჭირავს კომბალი და გაიძახის: კომბალი თუმანი. კომბალი თუმანი, კომბალი თუმანი მივიდა ეს ბიჭო. დაევაჭრა ამ კაცს და ჰკითხა: რა მარიფათი აქვს შენს კომბალსო. კომბლის პატრონმა უთხრა: დაჰქარ კომბალ თუმანიო. იმ წამსვე წაართმევსო. ჩხუბში გამოგადგებაო, მისცა ბიჭმა თუმანი, თუმცა მეტი ფული არ ჰქონდა და გაუდგა გზას. ცოტა მანძილი რომ აიღო, სთქვა: მოდი ერთი ვსინჯო თუ მართალიაო. — კომბალ, წადი და იმ კაცს თუმანი წაართვიო. გაეკიდა კომბალი, დაჰქარა თავში, ცხვირ-პირში და თან ეუბნება: თუმანი მომეციო. დასისხლიანებულმა კაცმა უთხრა: ოღონც ნუ

მომკლავ და ა შენი თუმანიო. ამოილო და მისცა თუმანიო. მაშინათვე დაბრუნდა კომბალი უკან. პოუტანა და მისცა პატრონს. პატრონმა სთქვა: თუმანიც მაქვს, კომბალიც მაქვსო.

გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, გავიდა ერთ ქუჩაზე, ნახა, რომ ერთი კაცი გაჰყვირის: ცხვირსახოცი, ცხვირსახოცი! — რა ღირს შენი ცხვირსახოცი, — დაეკითხა




ბიჭი. — თუმანიო. — რა მარიფათი აქვსო. კაცმა უთხრა: რაგორც რომ ბნელი ღამე იყოს, ამოიღე და იმ წამსვე გასინათდებაო. მისცა ბიჭმა თუმანი და იყიდა ცხვირსახოცი. ცოტა გზა რომ გაიარა, გაუშვა კომბალი: დაჰკარ კომბალ

თუმანიო. გავარდა კომბალი, საწყალ კაცს დაუმტვრია მთლად სახე. თავპირდასისხლიანებულმა კაცმა ამოიღო და მისცა უკან თუმანი. აიღო ბიჭმა ცხვირსახოცი და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, შეხვდა ერთი კაცი და გაიძახის: ბექედი, ბექედი, ბექედი! ბიჭი შეეკითხა: რა ძალა აქვს შენს ბექედსო. კაცმა უთხრა: რაწამს რო უხსენო ერთი კაი სუფრა გაშალეო, იმ წამს გაიშლება; რამდენი ათასი ჯარიც გინდა, დააჯინე და აკამეო. — რა ღირსო, — ბიჭი დაეკითხა. ბექედის პატრონმა უთხრა: თუმანიო. მისცა ბიჭმა თუმანი და იყიდა ბექედიც. ცოტა გზა რომ გაიარა, გაჰკიდა უკან კომბალი და იმასაც წაართვა თუმანი.

გაიარა კიდევ ცოტა გზა და შეხვდა ერთი კაცი, რომელიც გაიძახის: კოლოფი, კოლოფიო. ბიჭი შეეკითხა: რა ღირს შენი კოლოფიო. — თუმანიო. — რა ძალა აქვს შენს კოლოფსო. — როდესაც ამ კოლოფს ახდი, რამდენ ათას ჯარისკაცსაც ინატრებ, იმდენი ამოვაო. მისცა ბიჭმა თუმანი და წავიდა. ცოტა გზა რომ გაიარა, გაჰკიდა კომბალი და მოიტანა კომბალმა თუმანი და ჩააბარა პატრონს.

მიღის ბიჭი და გაიძახის: კომბალი მაქვს, ცხვირსახოცი მაქვს, ბექედი მაქვს, კოლოფიც მაქვს, თუმანიც მაქვს! მოვიდა სახლში. დედ-მამას უთხრა: ჩვენ ერთი კარგი სახლი უნდა ავაგოთ და ხელმწიფე დავიბატიყოთო. აავო ბიჭმა მშვენიერი ხუთსართულიანი სახლი და მოიწვია ხელმწიფე თავისი დიდებული-ვეზირებით და ჯარისა. მოვიდა ხელმწიფე, შეხედა სახლს და მოეწონა. — როგორ ააგე ესაო, — უთხრა ბიჭს. ამან რაც რომ გულში დარდი ჰქონდა, ყველაფერი უთხრა. შემდეგ ამოიღო ცხვირსახოცი და ჩამოკიდა ჰერზე და გაანათა მთელი ოთახი. ამოიღო ბექედი და ინატრა: ბექედო, გაშალე კაი დიდი სუფრაო. შემოიყვანა ხელმწიფე თავისი ჯარით და ჩაასირავა (ჩაამწყრივა) სკამებზე. შემდეგ ახალა თავის კოლოფი და ამოუშვა ჯარი ხუთმეტრი ათასი კაცი. მიიყვანა კომბალიც და დააყენა კარებთან ყარაულათ. ხელმწიფე როცა მორჩა ჰამას, გულში დარდი ჩაუვარდა: მე ამ კაცს უნდა ვეჩხუბოვო. ადგა და იმ დღესვე გაგულსებული წამოვიდა სახლში. მერე გამოუცხადა ბიჭს, რომ ამა და ამ ადგილზე გიწვევ ჩხუბშიო. ბიჭმა უარი არ შეუთვალა: მობრძანდიო.

გავიდა ბიჭი ერთ ტრიალ მინდორზე, ამოიღო ცხვირ-სახოცი და გაანათა იქაურობა. ინატრა ბეჭედი და გაიშალა დიდი მშვენიერი სუფრა. ახადა კოლოფი და ამოვიდა ჯარი. დაასხდინა და სუყველა დააძღო.



გათენდა დილა. ხელმწიფემ გამოუცხადა — ვიწყებ ომსო. ბიჭმაც გამოაცხადა: მზათ ვარო. შეხვდნენ თითო ვერსის დაშორებით ხელმწიფე და ბიჭი. ხედავს ხელმწიფე, რომ ბიჭს კომბლის მეტი არაფერი არ მოსდევს. გაგზავნა ჯარი ხელმწიფემ, ბიჭმაც აქიდან გაუშვა კომბალი და უთხრა: დაჰკარ, დააწვინეო. დაერია კომბალი, დახოცა ყველა. ხელმწიფემ დახედა, საქმე ცუდად მიდის. გამოგზავნა ჯარი. ჩხუბის დროს კომბალი წელში გადატყდა. დაიწყეს ნამტვრევებმა

ბზრიალი ფეხებში. აწვენს ხალხს ისე, როგორც ჩალა. მაშინ ბიჭმა ადგა და ახადა კოლოფს, ამოუშვა ჯარი. იბრძვის ხელმწიფის ჯარი და ბიჭისა. ბოლოს, დიდი ჩხუბის შემდეგ გამარჯვება დარჩა ბიჭს და ხელმწიფის ადგილზე თვითონ დადგა.

სამი ძმის ზღაპარი

სმენა და გაგონება, გაკვრა და გაგორება! იყო და არა იყო რა. იყო ერთი მდიდარი კაცი. ამ კაცს ჰყავდა სამი ვაჟი-შვილი, ორი ცოლშვილიანი, ერთი უცოლშვილო. პქონდათ აუარებელი ქონება. მშობლების სიკვდილის შემდეგ უთხრეს უმცროს ძმას: წავიდეთ და ყაჩაღობა დავიწყოთო. ძმა თანახმა არ გახდა. მაინც ძალა დატანეს: მოგკლავთ, თუ არ წამოხვალთ. უმცროსმა ძმამ უპასუხა: მაშ კარგი, წავიდეთ, მაგრამ გზაში ვინც შეგვიხვდეს, რა დარიგებაც იმან მოგვცეს, ჩვენც იმის მიხედვით დავიწყოთ ყაჩაღობაო.

წავიდნენ სამივე ძმები. გაუდგნენ გზასა. ერთგან დაუხვდათ ერთი დედაკაცი. უმცროსი ძმა შეეკითხა: ჩვენ აუარებელი ქონება გვაქვს, ჩემი ძმები ძალას მატანენ, რომ ყაჩაღობა დავიწყოთო. ახლა თქვენ გვირჩიეთ, დავიწყოთ თუ არა ყაჩაღობაო. ამ დედაკაცმა უთხრა: დაიწყეთ და უფრო შეემატება თქვენ ქონებასო. მაშინ ამ ძმამ მთელი ქონება დაუტოვა ძმებს და თვითონ გადავარდა ერთ ადგილს, ერთ ქალაქში. მივიდა ქალაქში, სადაც ერთი ქუჩა და რამდენიმე ღუქანი იყო, ერთი ქვით ნაშენი იყო. გაიარ-გამოიარა ღუქანის წინ. დაინახა ღუქანის ბატონმა და დაუძახა: რას დაიარები აქაო. — სამსახურს ვეძებო, — მიუგო ვაჟმა. მოდი და ჩემთან იმსახურეო. დააყენეს ეს ბიჭი მოსამსახურეთ და გადააბარა ღუქანის მთელი ქონება. ეს კაცი თვითონ იყო უშვილო.

დახედა მეღუქნემ — კარგი ვაჟი იყო, გამოუცხადა: უნდა გიშვილოვო. ბიჭი თანახმა გახდა. ერთი წლის შემდეგ მოიწადინა დასახლება. მოიპატოჯა იმ ქალაქში გასათხოვარი ქალიშვილები და უთხრა: შვილო, რომელიც მოგეწონოს, იმას შეგერთამ ცოლათაო. ბიჭმა დაათვალიერა და არც ერთი

არ მოეწონა. უთხრა მამას: აქ ჩემი შესადერი არავინ არისო. მომეცი ფული, წავალ და ჩემთვის საცოლეს მოვიყვანო.

მეორე დღეს მისცა ფული მამამ და გაისტუმრა. წავიდა ეს ბიჭი. მივიდა ერთ სოფლის ბოლოს წყაროსთან, აქ დაინახა ერთი დედაკაცი. რომელიც წყალით კოკას ავსებდა. ვაჟმა სთხოვა: წყალი დამალევინეო, ქალმა ღააღევინა წყალი. ვაჟმა ნახა, რომ მშვენიერი ქალი იყო და გამოუტყხადა პირდაპირ — ცოლად უნდა წაგიყვანოვო. ქალმა უთხრა: არა ვარ შენი საკადრისი, ღარიბი გლეხის შვილი ვარო. ვაჟმა უთხრა: მე მაინც თანახმა ვარო, წავიდეთ შენს მშობლებთანო.



მივიდნენ ქალის მშობლებთან, ნახა ქალის მამა დახეულ-დაფლეთილი ტანითაა. ვაჟმა გამოუტყხადა: შენი ქალი უნდა წაგიყვანო საცოლეთაო, ამოიღო და მისცა ფული ქალის მა-

მას: ჩაიცივი ტანი, იყიდე ერთი ცხენი და ხვალ საღამოზე მოდი ჩემს ჯვრისწერაზე. ვაჟმა ქალი წამოიყვანა და წამოვიდა. იმ დღეს დიდი ქორწილი ჰქონდათ. ქორწილში ქალის მამა მოვიდა ისევ იმ ძველი ტანით, რომელიც სახლში ეცვა, დაინახა თუ არა ვაჟის მამამ, სთქვა: იმ მათხოვარს რამე მიეცით და გაისტუმრეთო. ვაჟმა უთხრა: არა მამა, ეგ ჩემი ცოლის მამა არისო. გადაუხადა იმ დამეს ქორწილი და მეორე დღეს მამამ გამოუცხადა: აღარ მინდა შენი შვილობა, წაიყვანე შენი ცოლი და მომშორდიო. მისცა აუარებელი ქონება და გაისტუმრა.

ვაჟი გადავიდა სხვა ქალაქში, იქ მოაწყო სავაჭრო დუქნები და დაიწყო ვაჭრობა. ისრე ვაჭრობდა, რომ ყველა იმასთან მიდიოდა.



დაინახეს სხვა ვაჭრებმა, რომ იმათთან მუშტარი აღარავინ მიდის. დაიბარეს ერთი კუდიანი ბებერი და უთხრეს: რა მოგცეთ, რომ შენ ამ ვაჟს რამე აუტეხო და აქედან მოგვეცილდესო. ბებერმა უთხრა: ძალიან კეთილიო, მე ყველაფერს აგისრულებთო. ბებერს ჰქონდა ერთი ბეჭედი და მიიტანა ამ ბიჭთან გასაყიდათ. უთხრა: აი, შვილო, ეს მაქვს გასაყიდი და იყიდეთ. ბეჭედი იყო დაჯადოებული. იყიდა ვაჟმა ბეჭედი და მისცა ღირებული ფასი. ჩაავდო თავის დახლში

და ვაჭრობა განაგრძო. მუდამ დღეს მასთან მოდიოდნენ მოსამსახურეები და ეძახდნენ სახლში ჩაის დასალევათ, იმ დღეს კი არავინ არ მოუვიდა. მოსამსახურეებმა იცოდნენ, რომ ქალი უეჭველათ ცხრა საათზე დგებოდა. იმ დღეს შუადღე გახდა და ქალის ოთახი მაინც არ გაღებულა. წავიდნენ, შეატყობინეს ამ ვაქს: დღეს ქალბატონი არ გამოსულა ოთახიდანო. ვაქმა დაკეტა დუქანი და წავიდა სახლში. გატეხა კარი და ნახა, რომ მისი ცოლი უკვე მკვდარია. ამ ვაქს ჰქონდა დედისგან დარჩენილ ერთი თილისმიანი ვაშლი, რომელიც მკვდარს აცოცხლებდა. წავიდა მღვდელთან და უთხრა: დღეს ჩემი ცოლი უნდა გავასვენოთ და ამაღამ ეკლესიაში დასტოვეო. მღვდელი თანახმა გაუხდა. ვაქმა ღამით წაიღო ორი ბოთლი კონიაკი, დაალევინა ყარაულებს, ამოუღო ჯიბიდან გასაღები და გააღო ეკლესიის კარი. შევიდა ეკლესიაში, გახსნა კუბო, დაადვა გულზე ვაშლი და ქალი გააცოცხლა. მერე ჩააწყო კუბოში ქვა, წამოიყვანა ცოლი და წამოვიდა. როცა სახლში მოვიდა, დაუბარა ცოლს: ამ სამს დღეს კარში არ გამოხვიდეთ. ეს ქვით სავეს კუბო კი მიიბარა მიწას. დაიწყო მეორე დღეს საქონლის გაყიდვა. თუ ღირდა მანეთად — აძლევდა ნახევარ ფასში, მერე მოჰკიდა ცხენებს ქონება და გადასახლდა სხვა ქალაქში.

გააღო იქაც დუქნები. დაიწყო ვაჭრობა. მისი დუქნის პირდაპირ ცხოვრობდა ერთი ჯარის უმფროსი გენერალი. ქალმა დაიწყო ამ გენერალთან სიარული. ვაქმა შეამჩნია და მისცა წინადადება, რომ აღარ გაემეორებია ეს, მაგრამ ქალმა თავისი ნება შეისრულა და გაჰყვა გენერალს ცოლად. მაშინ ბიჭმა გაყიდა საქონელი და წავიდა იმ ჯარში, სადაც ის გენერალი მსახურობდა. შევიდა თავის ნებით სამსახურში. ერთი თვის მერე სთხოვა უფროსს: მე გამგზავნე დარაჯათ იმ გენერალთან, რომელმაც ჩემი ცოლი წაიყვანაო. მართლაც, გაგზავნეს დარაჯათ. იმ დღეს გენერალი არ იყო სახლში. ბიჭი იჯდა ბალკონზე. გამოვიდა გენერალის ცოლი და მოსამსახურე ფეხზე არ აუდგა. ქალმა დაუძახა: რატომ არ დგები ფეხზე, მე გენერალის ცოლი ვარო. — შენ გენერალის ცოლი კი არ ხარ, ჩემი ცოლი ხარო. ადგა და წავიდა ბიჭი.

როდესაც გენერალი დაბრუნდა, ცოლმა უამბო ყველაფერი. გასცა ბრძანება გენერალმა, რომ ხვალ საათის თერთმეტზე ესა და ეს ჯარისკაცი უნდა დაიხვრიტოს, ვინაიდან ჩემს ცოლს შეურაცხოვა მიაყენაო. ბრძანება როცა მოუვიდათ, ღამე საათის ცხრაზე წაუკითხეს ყაზარმაში ყველა დამსწრეს. ჯარისკაცებმა რომ დაიძინეს, შევიდა ფერთებელთან და უთხრა: აგერ, ეს ორი ყუთი ფული. ეს ფული უნდა იყვეს შენთან, მხოლოდ ერთ რამეს შეგეხვეწები: როდესაც დახვრეტენ, მოდი გახსენ ჩემი საფლავი და ეს ვაშლი დამადე გულზეო. მაშინ გავცოცხლდები, წავალ და უშველი ჩემს თავსაო.



ვაჟის დახვრეტის შემდეგ ღამე მივიდა ფერთებელი, გახსნა საფლავი, დაადვა ვაშლი გულზე, გააცოცხლა ჯაეი და წამოიყვანა თავის კაბინეტში. ერთი ხელი ტანისამოსი მამეცი, რომელზედაც იყოს შენი გვარი, სახელი და ბეჭედიო. მისცა ტანისამოსი, დაარტყა ბეჭედი და თავისი გვარი-სახელიც მისცა. ბიჭმა სთხოვა ფერთებელს: ამ ფულით სადაც შეხვიდე ღუქანში და დალიო, ყველგან ჩემი სადღეგრძელო სთქვიო.

ადგა და გაუდგა გზას, მივიდა ერთ ქალაქში. ნახა ქალაქი სულ შავათ არის მორთული. შეეკითხა ერთ პატარა ბავშვს: რათ არის ეს ქალაქი შავად მორთულიო. — ეს იმიტომ, რომ ხელმწიფეს ერთი ქალიშვილი ჰყავს, ის ავით არის და კვდებაო. მაშინ მოახსენა ვაჟმა: წადით, შეატყობინეთ ხელმწიფეს, მე კარგი ექიმი ვარ და მოვარჩენო. მართლაც, შეატყობინეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ დაიბარა ეს ვაჟი, მაგრამ არ წავიდა: თვითონ მოვიდეს ხელმწიფი და წამიყვანოსო.

მივიდა ხელმწიფე თავისი ეტლით და წაიყვანა. გამოუცხადა ამ ბიჭმა, სასახლე უნდა დაცალო ისე, რომ ადამიანის შვილი არ იყვეს აქანეო. ამ ბიჭს იმედი ჰქონდა, რომ ვაშლით მოარჩენდა, მაგრამ ვაშლით არაფერი ეშველა. თუ ქალი არ გაცოცხლდებოდა, მაშინ მესამე დღეს ვაჟისთვის თავი უნდა მოეჭრათ. ორ ღამეს არაფერი ეშველა ვაშლითა. მესამე ღამეს ბიჭმა სთქვა: მაინც ხვალ უნდა მომკლანო და ამდამ მაინც დავიძინებო, დაიძინა. გამოეცხადა დედა სიზმარში და უთხრა: შეილო, რათ იტანჯები ეგრე, სადაც ეგ ქალი წევს, მაგის ქვეშ ერთი დიდი ბაყალიაო. ამოიღე ეგ ბაყაყი, დანაყე წყალში, აბანე ქალი და ჯანმრთელი გახდებაო. ადგა დილით ადრე. ახადა იატაკი, ნახა რომ ნამდვილათ იყო ბაყაყი. დანაყა წყალში, აბანა ქალი და გახადა ჯანმრთელი. დილით გაგზავნა ხელმწიფემ კაცი: ნახეთ თუ რა მოუვიდა, აქამდის რატომ არაფერი ამბავი არ არისო. მოსამსახურეებმა ნახეს. რომ ქალი და ვაჟი დარბაზში დასეირნობდნენ. შეატყობინეს ხელმწიფეს: თქვენი ქალი ჯანმრთელი გამხდარაო. წავიდა თვითონ ხელმწიფე და იმანაც ნახა, რომ ნამდვილი ამბავი იყო. მაშინ ხელმწიფემ ეს ვაჟი გაიხადა თავის შვილობილად და ქალიშვილიც უნდა შერთოს ცოლად. ვაჟი ამაზე დათანხმდა.

ერთი თვის შემდეგ ვაჟმა სთხოვა ხელმწიფეს ნებართვა, რომ წასულიყო იმ პოლკში სადაც თავისი პირველი ცოლი იყო და დაეთვალეებოთა ჯარის მდგომარეობა. ხელმწიფემ მისცა ნებართვა და ვაჟიც გაუდგა გზას. როცა მიახლოვდა

ქალაქს, დაუხვდნენ უფროსები და მოახსენეს: თქვენთვის ბინა გვაქვს გენერალის სახლშიო. ხელმწიფის შვილობილი ამაზე თანახმა არ გახდა: მე თვითონ ვიშოვნე ჩემთვის ბინასაო. გაიარა ბაზარში. ერთ ადგილზე დაბალ სართულში სასმელების დუქანი იყო, ჰაღალა კი დასასვენებელი ადგილი იყო. ავიდა ამ დასასვენებელ ადგილში, გამოიცვალა ტანი და ჩამოვიდა დუქანში. აქ ნახა, რომ ის ფერთებელი, რომელსაც ფული დაუტოვა, სვამს. მოითხოვა თვითონაც სასმელი. დაასხა ორი ჭიქა და უთხრა ფერთებელს: ასწიე და ჩემი სადღეგრძელო დალიეო. ამ ფერთებელმა უთხრა: შენს სადღეგრძელოს ვერ დავლევ, მე იმ კაცის სადღეგრძელოს დავლევ, ვინც მე ქონება დამიტოვაო. მერე წავიდა ეს ხელმწის შვილი თავის ოთახში, გამოიცვალა ისევ ტანი, ჩაიცვა სამხედრო ტანისამოსი და დაიბარა ფერთებელი თავის ოთახში. დაუსხა სასმელი: მაშ ეხლა ჩემი სადღეგრძელო სვიო. უარი უთხრა კიდევ ფერთებელმა: არ შემიძლია, შენ სადღეგრძელოს ვერ ვსვამო, — მაშ აპა, გახსენი ის ჩემი ყუთი, ამოიღე ტანისამოსი შიგ რაც არისო. ამოიღო ფერთებელმა. — აპა, გადაშალე და ნახე რა აწერია მანდ ზედაო. მალე ნახა — თავისი გვარი, სახელი და ბეჭედი. მაშინ გაიცენეს ერთმანეთი.

უთხრა ხელმწიფის შვილმა: ხვალ დილაზე მოდი იქ კიდევ, დალიე რამდენიც გინდა, მე დილით ჯაჯი უნდა დავათვალიეროვო. შენც იქ უნდა დამიხვდეო. გენერალმა რომ ბრძანება მისცესო, შენ ჯარი აურ-დაურეიე სულაო. ფერთებელმა შეასრულა. გავიდა ჯართან, მისცა ძახილი გენერალმა. ფერთებელმა სხვა განკარგულება მისცა და ეს ჯარი სულ აირ-დაირია. გენერალმა თითი დაუქნია ფერთებელს.

ხელმწიფის შვილმა დაუარა ჯარისკაცებს, ყველა დაასაჩუქრა და გაისტუმრა. ფერთებელს მოჰკიდა ხელი, მიიყვანა იქ, სადაც იყვნენ ბევრი აფიცრები და გამოუცხადა ყველას: ვინც ცოლიანები ხართო ყველამ აქ უნდა მოიყვანოთ თქვენი ცოლებიო, ისინი ჩემგნით მიიღებენ საჩუქარსაო. ყველანი მივიდნენ. დაასაჩუქრეს დედაკაცები, გარდა გენერალის ცოლისა. მაშინ უთხრა ხელმწიფის შვილმა გენერალს: ეს ქალი თქვენი საკუთარი ცოლიაო. — არაო, ეს

ვილაც ვაჭრის ცოლია და მე გამომყვავ. — რათ იკადრე შენ, როგორც დიდიკაციო. მაშინ გამოუცხადა აფიცრებს, ამ დედაკაცს თქვენ მიეცით სასჯელიო, გენერალს კი უთხრა: გაიხადე ტანისამოსიო. ფერთებელსაც უთხრა: შენც გაიხადეო. ხელმწიფის შვილმა გენერალის ტანისამოსი ფერთებელს ჩააცვა, ფერთებლის ტანისამოსი გენერალს და უბრძანა. ფერთებელს: ამ ჯარის სარდალი დღეის იქით შენ იქნებო. ის გენერალი გახდა უბრალო ჯარისკაცი. დედაკაცი კი მოკლეს. ამის შემდეგ ხელმწიფის შვილი დაბრუნდა სასახლეში და შეირთო ხელმწიფის ქალი.

ჰირი იქა, ლხინი აქა,


ქატო იქა, ფქვილი აქა.

ზღაპარი სპილენძის მგლისა

თქმა იყოს და გაგონება, მუშტის კვრა და გაგორება. იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი ხელმწიფე. ამას ჰყავდა სამი ბიჭი, სამთავენი უცოლოები იყვნენ. ერთ ალაგას ცხოვრობდა ერთი მზეთუნახავი ქალი, იმასა ჰყავდა იადონი და ბულბული. ისა ჰყავდა დევს დაჩემებული. უფროსებმა სთქვეს: წავიდეთ და მოვიყვანოთო. წავიდნენ უფროსები. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შეხვდნენ ერთ მგელსა. — გამარჯობათ ყმაწვილებო. — გაგიმარჯოს მგელოო. მგელმა უთხრა: სად მიბრძანდებითო. უთხრეს ბიჭებმა თავიანთი ამბავი. მგელმა უთხრა: ერთი ლუკმა მომიგდეთ და მე გასწავლით იმის გზასაო. ბიჭებმა უთხრეს: ლუკმას კი არა, შავ ჰირს მოგიგდებთო, დასწყევლა მგელმა ისინი და იქცნენ ქვებად. ეს მგელი უო სპილენძისა.

გაიარა ხანმა და უამმა და არ მოვიდნენ შინა. დედ-მამა ძლიერ დაღონდნენ. უმცროსმა სთქვა: უნდა წავიდე, მოვნახო ძმებიო. წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, შეხვდა იმ მგელსა. — სად მიდიხარო, — ჰკითხა მგელმა. ბიჭმა უთხრა: ძმების საძებნელადო და ქალის მოსაყვანადო. ერთი ლუკმა.

მომიგდე და გეტყვი იმის ამბავსაო. ბიჭმა იყიდა ცხვარი და შეაჭამა. მგელმა უთხრა: დამკალი და ამომაცალე თვალი; ზღვაში გადააგდე და დაშრება და ისე გადი. რო წამოიყვან იმ ქალს, ქვა, კლდე, ღრე ყვირილს დაიწყებს: წაიყვანეს ქალი, იადონი და ბულბული, და არ შეგეშინდესო. მერე რო გამოიარო, ისევ აიღე თვალი და ჩამ-რქეო და გავცოცხლდებიო.



როგორც უთხრა, ასე მოიქცა ბიჭი. წამოიყვანა ქალი, იადონი და ბულბული. მართლაც, ყველაფერმა ყვირილი დაიწყო, მაგრამ არ შეშინდა, წაიყვანა იადონი, და ბულბული და ქალი.

ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა იმ ზღვაზედ, აიღო თვალი და გაერთდა ზღვა. მივიდა იმ მგელთან, ჩაუსვა თვალი

და გაცოცხლდა მგელი. ბიჭმა უთხრა: შენ იცი ჩემი ძმე-
ბიო. — მართალია, — უთხრა მგელმა, — გავაცოცხლებ, მა-
გრამ გიღალატებენო. — შენ წადი შინ და გავაცოცხლებ და
გამოვგზავნიო, — უთხრა მგელმა. — არ იქნება, უნდა ეხ-
ლავე გამიცოცხლო, რასაც მთხვოვ მოგცემო. მგელმა უთხ-
რა ბიჭს: წყალი რომ მოსწყურდეს, შენ არ წახვიდე, ისინი
გაგზავნენ, თორემ გიღალატებენო. გააცოცხლა ძმები მგელმა
და კიდევ გაისტუმრა. წამოვიდნენ ერთად. მოსწყურდა წყა-
ლი ქალსა, არსად არ იყო წყალი. ბევრი იარეს თუ ცოტა,
მიადგნენ ერთ ქასა. უფროსს უთხრეს: ჩადი წყალი მოგვა-
წოდეო. ჩავიდა, დაიძახა: დავიწვი, ამწიეთო. ამოიყვანეს,
ჩასვეს ახლა შუათანა ძმა. იმანაც ისე დაიძახა. ამოიყვანეს
ესეც. ქალი ისეთია, რომ ლამის მოკვდეს უწყლობისაგან.
უმცროსმა უთხრა: ჩამსვით და ჩამდენიც დავიძახო — დავი-
წვი, იმდენი ჩამიშვითო. ჩავიდა და მოაწოდა წყალი. და-
ლიეს. მე რე ამწიეთო, ამოსძახა ქვევიდან, მაგრამ ძმებმა
გაუჭრეს თვკი. ის ქა ისეთი იყო, რომ ერთი გაგეშვა თოკი,
ქვესკნეთს წავიდოდა. წავიდა ბიჭი ქვესკნეთს. წამოიყვანეს
ქალი უფროსებმა და მოიყვანეს სახლში. დედ-მამამ ჰკითხა:
ის არ გინახავთო. — არაო.

ჩავიდა ქვევით ქვეყანაში, მივიდა ეს ბიჭი ერთ ბებერ-
თან. პური მოშვიდა ბიჭს და უთხრა: დედა პური მაქამეო. —
დაიცა შვილო, გამოვაცხოვო. გასტრა ფქვილი, გადაალაჯა
ზედ, უნდა დაეფსა და ისე მოეზილა. — რასა შვრები,
დედა, მაგასაო. — შვილო, წყალი ვინ მოგვცა, გველუშაპს
აქვს დაჩემებული, ვინც ერთ შვილს მიუყვანს, ერთ ლიტრა
წყალს წაიღებს. მე ვინ მამცა შვილი, რომ მიუყვანო. —
შოიტა ჭურჭელი, მე მოვიტან და მე შემეჭამოსო, — უთხრა
ბიჭმა. მისცა კოკები. — სხვა არა გვაქვს რაო, — უთხრა
ბებერს ბიჭმა. ქვევრები არა გვაქვსო? — მაქვსო, მივიდა
ბიჭმა მოგლიჯა, წყალზედ წავიდა. ბიჭი რომ მივიდა წყალ-
ზედ. ნახა იქ ქალი ტირის, რომ იმის ცოდვით ქვა იწვის.
თურმე ხელმწიფემ ჩაიყვანა ეს ქალი და წაიღო წყალი. ბიჭმა
უთხრა: ნუ ტირი, მე გიშველიო, ემ წყალს წავიღებ და აქ
მოვალო. მიუტანა ბებერს წყალი და გამოუცხო პური. ბიჭმა
ჭამა პური და წავიდა ისევ ქალთან. მივიდა ქალთან. ქალმა

უთხრა: წადი შინა. თავად მე უნდა წამახდინოს, ცოდო ხართ მაგისტანა ყმაწვილი რომ წაგახდინოსო. ბიჭმა უთხრა: შენ კალთაზედ დავიძინებ, როცა წამოვიდეს, გამაღვიძე და მე მოურიგდებიო.



გაიღო ცა და წამოვიდა რუხრუხით გვკლესაპი. ქალმა გააღვიძა ბიჭი. ბიჭმა ჰკრა ისარი და გააპო შუაზედ. მართლა, იმ მგელმა მისცა ერთი ბანალი, თანაც ეს უთხრა: საცა გა-

ვიჭირდეს, იქ ამოიღე და საცა ქვეყანაზედ ნადირია იქ დაიბადება. გამოსხნა ბეწვი და იქ დაიბადნენ, სადაც რამ ნადირი იყო. დაიძახა ბიჭმა: არიქა ნადირო, მიშველეთ, ეხლა მჭირდება თქვენი თავიო. ეცნენ გველეშაპს და მოჰკლეს. ქალმა უთხრა: ჩვენსა წამოდით. ბიჭმა უთხრა: ვერ წამოვალ და იქამდინ მომიცადე სამ თვესა, სამ დღესა, სამ საათსა და სამ წამსა და მაშინ მოვალო. ბიჭმა დაუჭირა ეტლი და გაისტუმრა შინ. მეეტლემ უთხრა: თუ ხელმწიფეს ესრე ეტყვი — მეეტლემ მოკლაო, თუ არადა ეხლავ მოგვლავო. ქალმა უთხრა: ვეტყვიო. ხელმწიფემ რო დაინახა თავის ქალი, ძლიერ გაეხარდა: შვილო აქ რამ მოგიყვანაო. — მამა, მეეტლემ მათრახი გადაჰკრა და მოკლაო.

გავიდა ერთი დღე. ხელმწიფემ წაიყვანა მეორე ქალი, უნდა წყალი წამოეღო. ჩაიყვანა და წამოიღო წყალი. მივიდა ის ბიჭი ქალთან, ქალი ტირის, რომ იმის ცოდვით ტყე ირყევა და ქვა იმტვრევა. ბიჭმა უთხრა: ნუ სტირი, მე გიშველი, ჰატარა ხანს შენს კალთაზედ თავს დავდებ, დაღალული ვარო და სხვაფრივ არა სთქვა რაო. გაიღო და წამოვიდა მეორე გველეშაპი ცეცხლების ყრით. როგორც დაუახლოვდა იბათა, ქალმა გააღვიძა ბიჭი, ბიჭმა თვალეზი მოიფშვნიტა ჰკრა მშვილდ-ისარი და გააპო შუაზედ. — არიქა ნადირნო, მიშველეთო, — დაიძახა ბიჭმა. მაშინვე ნადირები მოცვიდნენ და გველეშაპს მიესივნენ. ბიჭმა უთხრა ქალს: მომიცადე სამ თვესა, სამ დღესა, სამ საათსა და სამ წუთსა. დაუჭირა ეტლი და გაისტუმრა. მეეტლემ უთხრა ქალს: თუ ხელმწიფეს ესრე ეტყვი — მეეტლემ მოკლაო, თუ არადა ეხლავ მოგვლავო. ქალმა პირობა მისცა — ვიტყვიო. მიიყვანა ქალი შინ ხელმწიფემ უთხრა: შვილო, ვინ მოგიყვანაო, გველეშაპის პირიდან ვინ გამოგაცალაო. ქალმა მიუგო: მამა, მეეტლემ მოკლაო. ხელმწიფე ამბობდა: მე უნდა ტახტიდან გადმოვიდე და ეგ უნდა დავსვაო. ხელმწიფემ ჩაიყვანა მესამე ქალი და წაიღო წყალი. მივიდა ის ბიჭი, ქალს უთხრა: შენ კალთაზე თავს დავდებ და როცა გველეშაპი წამოვიდეს, გამაღვიძეო.

გაიღო ცა და წამოვიდა რუხრუხით მესამე გველეშაპი. ქვეყანა ირღევა იმის ხმით, ბიჭი რომ ქალთან დაინახა. ქალმა გააღვიძა ბიჭი. წამოხტა, ჰკრა ისარი და გააპო შუაზედ.

დაიძახა ბიჭმა: არიკა ნადირნო, მიშველეთო. ის არის უნდა ღასძალოს ბიჭი ნახევარმა გველეშაპმა. მიეხვიენენ და ისიც მოკლეს. ქალმა უთხრა: ჩვენსა წამოდით. ბიჭმა პირობა მისცა მოსვლისა, როგორც იმათ. ისე დაუჭირა ეტლი და გაისტუმრა შინ. მეეტლემ იმასაც ისრე უთხრა, როგორც მის დებს. ხელმწიფე გადმოვიდა ტახტიდან და მეეტლე დასვა ხელმწიფედ. ბიჭი დაიღალა და ნადირს უთხრა: უნდა დავიძინო და მიყარაულეთო, რადგანაც მეეტლეს იმის მოკვლა უნდოდა. ყარაულობა მელას არგუნეს, უფრო ფხიზელი არისო. მელასაც დაეძინა. გადმოეპარათ მეეტლე და ყელი გამოსჭრა ბიჭსა. გამოედვიდათ ნადირებსა, ელდა ეცათ, ბიჭი რომ მოკლული დაინახეს.



ერთ ალაგას იყო ერთი წყარო, ვისაც წაუსვამდენ კვადრს, იმ წამს გაცოცხლებოდა. გაგზავნეს იმის მოსატანად მელა. წავიდა მელია, როგორც აავსო და მოდიოდა, ეს-

როლეს თოფი და მოკლეს დევებმა. მელამ დაიგვიანა. ახლა კურდღელი გაგზავნეს. იმასაც ისრე უყვეს.



ახლა დათვი წავიდა წყლის მოსატანად. ერთ ალაგას ერთ თევზს გამოუხსხამს ორი შვილი. დაჰკრა ფეხი და დაუხოცა შვილები. თევზმა უთხრა: რაზე დამიხოცე შვილებიო. დათვმა უთხრა: წადი ა იმ წყაროზედ, მომიტანე და გაგი-

ცოცხლებო. თევზი წავიდა, წყალი მოუტანა. დათვმა მიუსვ-
 მოუსვა და გაუცოცხლა შვილები. წამოიღო წყალი. დათვმა
 თავი ტანზე მიუდო, წაუსვ-წამოსვა და გააცოცხლა ბიჭი.
 ბიჭმა სთქვა: რა ბევრი მეძინა. ნადირთა მიუგეს: შენს მტერს
 ეძინოს ისრე, როგორც შენ გეძინაო. ბიჭმა დაითხოვა ნადირ-
 ნი და წავიდა იმ სახლში, სადაც ქალები იყვნენ. მივიდა. ქა-
 ლებმა რო დაინახეს ბიჭი, გაქანდნენ და ყელზედ შემოეხვი-
 ნენ. ხელმწიფეს ძლიერ გაუკვირდა ვინ არი ეგა, რომ ჩემი
 ქალები აგრე ეალერსებიანო. ქალებმა უთხრეს: მამა, მაგან
 დაგვიხსნა გველეშაპისაგან, განა მართლა მეეტლემაო. მან
 ისრე გვათქმევინაო. ხელმწიფემ გამოიყვანა მეეტლე, მო-
 აბმევინა ცხენის კულზედა და სულ დააგლეჯინა. ბიჭს უთხრა:
 რასა მთხოვ, მოგცეო. — არაფერი არ მინდა, ოღონდ მაღლა
 ქვეყანში ამიყვანეო. ხელმწიფემ გამოაცხობინა პური, დაქ-
 ლა ორი ძროხა და ჩაულაგა. იშასა ჰყავდა ერთი ფრინველი,
 იმას უნდა აიყვანა. ხელმწიფემ უთხრა: რამდენიც ფრთა
 აიქნიოს, იმდენი ნაჭერი ჩაუდე და ერთი პურიო. ბიჭი გაი-
 სტუმრა. რამდენიც ფრთა აიქნია, იმდენი ნაჭერი ჩაუდო და
 იმდენი პური შეაჭამა. ბოლოს როგორც უნდა აიყვანოს, იმ
 დროს დააკლდა ხორცი, ბიჭმა მოიჭრა კუნთი და შეაჭამა.
 ფრინველმა სთქვა: უჰ, რა გემრიელი ხორცი იყოო. როცა
 აიყვანა, ბიჭმა კოჭლობით გაიარა. ფრინველმა ჰკითხა: რათა
 კოჭლობო. ბიჭმა უთხრა: ხორცი გამოვიჭერი და ის გაჭამეო.
 ფრინველმა გამოიძრო ფრთა, წაუსვა და გაუმთელა.

წამოვიდა ბიჭი შინ და მივიდა. რო დაინახეს იადონმა
 და ბულბულმა, გალობა მორთეს, მინამ კი ხმაც არ ამოუ-
 ლიათ. ბიჭმა ყველაფერი უამბო მამას. მამამ ჰკითხა: დავხო-
 ცო, თუ რა ვუყოვო. ბიჭმა ჯვარი დაიწერა იმ ქალზედ, ქა-
 ლიც იმას ელოდა. ძმებს გაეყარა. მეც იქ ვიყავი იმათ მე-
 ღიატორეთ.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

ელასა მელასა, ჭიქა მეკიდა ეელასა, აქ სიცოცხლით გამიძღვებით,

მთქმელსა და გამგონებელსა

საქიოს ცხონებითა.

ძილი გაამოთ ყველასა.



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იცენ ერთ სოფელში ორნი ძმანი: ერთი ყმაწვილი, მეორეს კი ორი შვილი ჰყავდა. უშვილო ოქრომკედელი იყო და ძალიან მდიდრად ცხოვრობდა. მეორე, რომელსაც შვილები ჰყავდა, დარიბი გლეხი იყო. იგი დადიოდა ტყეებში, აქუჩებდა შეშის კონებს და ყიდიდა ქალაქში. მისი ბავშვები ორივე სკოლაში დადიოდნენ. ერთ ღროს, როდესაც მის ბავშვებს დასვენება

პქონდათ, წაიყოლია ბავშვები მამამ თან ტყეში, ძალიან ბევრი კონები მოაქუჩა და იქ შემოულამდათ. როდესაც ხის ძირას დაწვინენ, უმცროსმა ბავშვმა შენიშნა მეორე ხის ძირას რაღაცა ბრჭყვინავდა და უთხრა მამას: მამავ, იმ ხის ძირას რამე ბრჭყვინავსო. მამამ არ დაუჯერა: დაიძინე შეილო, არაფერიც არ არის რაო. ბავშვს გულმა მაინც ვერ მოუთმინა და მივიდა ხის ძირას და ნახა, რომ ოქროს ჩიტის ფრთა ეგდო ხის ქვეშ. გათენებამდის აღარც კი მოიცადა ბავშვმა, გაიქცა ბიძასთან და მოუტანა ეს ოქროს ბუმბული და უთხრა: ბიძავ, ოქროს ჩიტის ბუმბული მოგიტანეო. ბიძამ ბავშვს ორასი თუმანი აჩუქა ფრთის მოტანისათვის. ბავშვი ისევ დაბრუნდა იმ ტყეში, საიდანაც ოქროს ბუმბული მოიტანა. მივიდა იმ ხის ძირას და აშკარად შენიშნა, რომ იმ ხეზედ ბუდე იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ და შვილებმა წაიღეს ეს შუშის გუდურები (კონები) ქალაქში და მალევე გაყიდეს. ისევ დაბრუნდნენ ტყეში, რადგან ბავშვს ოქროს ჩიტი ისევ იმ ტყეში ეგულებოდა. იქვე შემოულამდათ და მიაშურეს იმ ხეს, სადაც წინათ ეძინათ. როცა გაიხადა ტანისამოსი და დაწვა, მის მამასაც დაეძინა. ადგა ჩუმათ, მივიდა იმ ხესთან, სულ გატიტვლდა და ავიდა ხეზედ. ხეზედ ასვლისთანვე ბუდეში დაიჭირა ოქროს ჩიტი და გახარებული გაეშურა თავის მამისაკენ.

მეორე დილას გათენებას არც კი უყურა, წავიდა ისევ ბიძასთან, რომ შეეტყობინებინა ოქროს ჩიტი დავიჭირეო. გაიგო თუ არა ბიძამ, რომ ძმისწულს ოქროს ჩიტი დაუჭერია, უთხრა: მე მომიყვანეო, შენ აბა რათ გინდაო. მიუყვანა ბავშვმა ოქროს ჩიტი და, ბიძამაც დაასაჩუქრა ძმისწული.

მეორე დილას, როდესაც ოქრომჭედელი სამკედლოში მიდიოდა, ცოლს უბრძანა: ჩიტი დაეკლა და ბუმბული სულ გადაეყარა, თვითონ ჩიტი კი მოეხარშა. ქმრის დავალება ცოლმა შეასრულა. ამ დროს ბავშვები სკოლაში იყვნენ, როცა დაბრუნდნენ, სახლის კარი დაკეტილი დახვდათ. ბიძის სახლიც დაკეტილი იყო და შინ არავინ სჩანდა. უფროსმა ძმამ უთხრა უმცროსს ძმას: მოდი ძმაო, ბიძის სახურავში ავიდეთ.

მე თოკს მოგაბამ და ჩაგვამ ბიძის სახლში და იქიდან პური ამოიტანე, ძალიან მშერებები ვართო. ძმების განსრახვა მალე შესრულდა. უმცროსმა უფროსს ამოსძახა: ძმაო, ცეცხლზე ქვებით რალაცა დგასო. ეტყობა, ქვაბში ქათამი უნდა იყოსო. უფროსმა დაუძახა: ამოილე კუჭი და გული, ერთი პურიც მოაყოლეო. ძალუა ჩვენსას ძალიან ვუყვარვართ და არ გავგიჯავრდებო. ძალუა მივიდა და ნახა, რომ კუჭი და გული აღარ იყო ქვაბში, ძალიან გაუწყრა ბავშვებს. — ძალუავ, ნუ გაბრაზდები, ერთი ქათამი დავკლათ და ის მოუხნარშოთ ბიძა ჩვენს, ვერაფერს ვერ გაიგებსო. ძართლაც, დაკლეს ერთი ქათამი და ბიძამ ვერაფერი ვერ გაიგო. ჩიტის ხორცი ბავშვებმა სჭამეს. ჩიტის გულ-ღვიძლს შექმისთანავე ორივე ბავშვი ძილის დროს კვერცხისოდენა ოქროს ამოყრიდნენ პირიდან. იქამდის გაამდიდრეს თავსი მამა, რომ თითქმის ოქროს შენობები დადგეს.

ოქრომჭედელმა თავის ძმას ურჩია: ძმაო, ეს ბალღები წაასხი საღმე, დაკარგე აქედან, თორემ ოინებს გიზამსო. შეგამჩნევს ვინმე, რომ ამოდელა ოქროები გაქვს, მოვა ღამით, თავს დაგესხმის, შენც მოგკლავენ და ოქროებსაც წაიღებენო.

მამა შევიდა და უთხრა ეს თავის ცოლს. ცოლმაც მოიწონა ქმრის სიტყვები: მოვიშორეთო.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ბალღები დაბრუნდნენ სკოლიდან, დედა ქაღებს აცხობდა, ბავშვებმა ჰკითხეს: რად გინდა, დედავ, ამოდენა ქაღებით, ხატობა ხომ არსად არ არისო. — დიახ, შვილო, — მიუგო დედამ, — სვალ არის ხატობა, თქვენ და მამათქვენი უნდა წახვიდეთ ხატშიო.

მეორე დღეს მამა და შვილები გაუდგნენ გზას. თითქმის ერთ კვირამდის იარეს და გზას დასასრული მაინც არ ჰქონდა. გავიდნენ ერთ უღრან ტყეში და იქ შემოულამდათ. დასხდნენ ხის ძირას და საუბარი დაიწყეს. მამამ ამოიღო ქაღები და დაურიგა ბავშვებს და უთხრა: ხომ ხედავთ, აი, ცეცხლი რომ ანთია, წავალ და მოვიტან, შეგცივდათ თქვენც და მეცაო. შეიძლება დამაგვიანდეს და არ იდარდოთო.

გავიდა კარგი დრო და მამა არ მოვიდა. ბავშვები ტიროდნენ ისე, რომ ფრინველებსაც ეცოდებოდათ. ამათ ტირილში და ამათი ცოდო-ბრალით ერთ მონადირეს არეოდა

გზა. გაიგონა თუ არა ბავშვების ტირილი, მაშინვე გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც ბავშვები ტიროდნენ. ამ ტირილში ბავშვებსაც ჩაეძინათ და გაჩუმდნენ.



მონადირე მივიდა იმ ადგილას, სადაც ტირილი მოისმა და შენიშნა, რომ რაღაცა ბრკვინავდა იქ. ნახა, ორი ბავშვი იწვა და თავთან უკან კვერცხისოდენა ოქროები ეყარა. მონადირემ ერთ ბავშვს ჩუმაღ წასჩურჩულა: არ შეგეშინდეთო. წამოდგა ბავშვი და დაიყვირა: მამავ, იოხვედიო? — დიას, მოვედიო, — უპასუხა მონადირემ. ბავშვმა ეს კაცი რომ დაინახა და მამა არ იყო, ტირილი განაგრძო, გამოელვინა მეორე ბავშვსაც.

მონადირემ უთხრა: ნუ ტირით, შვილებო, რა გატირებთ, მე თითონ წაგასხამთო, და გამოკითხა მათი ვინაობა, თუ როგორ და საიდან მოხვდნენ ამ ადგილას. ბავშვებიც მოუყვინენ თავგადასავალს და ტირილიც შესწყვიტეს.

მონადირემ წამოასხა ბავშვები თავის სახლში. სახლში დაბანა ცოლის დახმარებით. ბავშვები ფუფუნებაში იზრდებოდნენ მონადირესთან. მონადირეც გაამდიდრეს ოქროთი და ამით ძალიან შეუყვარდა მონადირეს ეს ბავშვები.

ერთ ღროს ბავშვებმა მონადირეს სთხოვეს ტყეში წასვლა, მაგრამ მონადირემ უთხრა: არა შვილებო, ჯერ პატარები ხართ და არ შეგიძლიანთ ნადირობაო.

გავიდა ხანი და დაიზარდნენ ბავშვები. ისე გავდნენ ერთ-მანეთს, ვერც კი შეამჩნევდით რომელი იყო დიდი და რომელი პატარა. ერთხელ ბიჭებმა გადაწყვიტეს სხვა სახელმწიფოში გასულიყვნენ. მოვიდა მონადირე ტყიდან და ძმებმა უთხრეს: მამავ, თუ რამეს გვარგებ, მოგვეცი, სხვა სახელმწიფოში სადმე უნდა გავიდეთო. მონადირე არ თანხმდებოდა, მაგრამ რაკი ველარ დააჯერა, უთხრა: მე მოგცემთ ერთ დანას და როცა გახვალთ ტრიალ მინდორზე, ამ ტრიალ მინდორზე დგას ერთი დიდი ხე. იმ ხის წვერზე ადით რომელიმე და ეს დანა იქ დაუტყვიითო. თუ ცალ-ცალკე წახვედით, ის დანა იქვე ერჭობა, არ დაიკარგება და რომელიც მოკვდებით, ის პირი დაჟანგდება და ამით გაიგებთ, რომელი ძმა მოკვდაო. თუ პატარა პირი დაჟანგდა, პატარა ძმა მოკვდება, თუ დიდი, უფროსი ძმა მოკვდებაო.

მისცა აგრეთვე ძმებს თითო თოფი და თითო მწვეარი და წავიდნენ სანადიროთ. გამოვარდა ერთი ჩიტო, ესროლა მონადირემ და ვერ მოკლა. გაიარეს ცოტა გზა. გამოვარდა კურდღელი, ესროლა უმცროსმა ძმამ და მოკლა. გაიარეს ცოტა კიდევ და გამოხტა მელა. ესროლა უფროსმა და მოკლა. მონადირემ უთხრა: ნადირობა თქვენ გცოდნიათ და მე რათ მეძახოდით მონადირესო. ამით ძმები ძალიან გახარებულნი იყვნენ. სახლშიც კი არ წაყვნენ მონადირეს, გამოემშვიდობენ და ტყიდანვე გაუდგნენ გზას.

გაიარეს ბევრი ტყე და მინდორი. გავიდნენ იმ ადგილზე, სადაც ის დიდი ხე იდგა, წინათ რომ მონადირემ უამბო. დაისვენეს იმ ხის ძირას. უთხრა უმცროსმა ძმამ: აი, სწორედ ეს იქნება ის ტყე, ჩვენმა მამამ რომ გვითხრაო. უფროსმა უთხრა: ადი და ეს დანა იმ ხის წვერზე დაუტყვიო. ავიდა უმცროსი ძმა, დაუტყო ის დანა ხის წვერზე და დაინახა თავისი სოფელი და ტირილი მოუვიდა. ჩამოვიდა ხიდან და გაუდგნენ გზას. გაიარეს ერთი ტყე. ტყის პირიდან გამოუვარდათ ერთი კურდღელი. გადაულობა უფროსმა ძმამ თოფი, უნდა მოეკლა და შეეხვეწა კურდღელი: ოლონდ ნუ მომკლავთ, ორი შვილი მყავს და ორივეს აქ მოგიყვანთო. მოუყვანა კურდღელმა ორივე შვილები. ერთი ერთმა ძმამ ამოისო უბეში, მეორე მეორემ.


გაიარეს კიდევ რამდენიმე გზა. ტყიდან გამოვარდა ერთი ლომი. დაუღერა უმცროსმა ძმამ თოფი, უნდა მოეკლა, ლომი შეეხვეწა: სუ მომკლავთო. ორი შვილი მყავს და ორივეს აქ მოგირეკავთო. მოურეკა ლომმა თავისი შვილები. ერთი ერთმა ძმამ ამოისო, მეორე მეორემ.

კიდევ გაიარეს ცოტა გზა. გამოუვარდა ახლა სპალო. დაუღერა ისევ უფროსმა ძმამ, უნდა მოეკლა სპილო და სპილოც შეეხვეწა: ნუ მომკლავთო. ორი შვილი მყავს, ორივეს აქ მოგირეკავთო. მოურეკა შვილები. ერთი ერთმა წაიყვანა, მეორე მეორემ და კიდევ დაშორდნენ ძმები ერთმანეთს; ერთი აღმოსავლეთით წავიდა, ერთი დასავლეთით.

უმცროსი ძმა გავიდა ერთ სახელმწიფოში. ნახა, რომ იმ სახელმწიფოს სულ შავი თალხი ჰქონდა გადაკრული. შევიდა ერთ სასადილოში, თავის ნადირებს აჭამა სადილი და თვითონაც ისადილა. სადილის მომტანს მისცა ერთი კვერცხისოდენა ოქრო და წავიდა. გაიარა რამდენიმე მანძილი და დაფიქრდა და დაინტერესდა თუ რათ ჰქონდა ამ სახელმწიფოს შავი თალხი გადაკრული. წავიდა ისევ იმ სასადილოში. მივიდა კერძის მიმტანთან და ჰკითხა: მითხარი, რათა აქვს ამ სახელმწიფოს შავი თალხი გადაკრული და რამდენი ოქროც გინდა, გაჩუქებო. დასთანხმდა კერძის მომტანი ამ ბიჭს და უთხრა: ჩვენს სახელმწიფოს ერთი ლამაზი მზეთუნახავი ქალი ჰყვანდაო, დევმა მოსტაცა და იმას ვგლოვობთო. ახლა იმით დაინტერესდა ბიჭი, გაეგო, თუ სად იყო დაჭერილი ის ქალი და უთხრა კერძის მიმტანს: მითხარ, სად არისო. გამოიყვანა კერძის მომტანმა და დაანახვა: აი, იმ ქედს ხომ ხედავ, იმ ქედზედ სახლები არის, იმ სახლში არის ის ქალიო. ბიჭი მიბრუნდა და უთხრა: კინალამ ისე არ წავედი და მომკლავდა კიდევადო და გასცილდა კიდევ სასადილოს. წავიდა იმ ადგილას, სადაც დევის სახლი იყო. მივიდა სახლში. იმ ღროს დევი წასული იყო სანადიროთ. შევიდა თუ არა სახლში. დაინახა ქალი ზის ტახტზე და რალაცას ლაპარაკობს; ბიჭი რა წამს დაინახა, თვალები გაუშტერდა და უთხრა: აქ რამ მოგიყვანაო. ბიჭი მივიდა და მაშინვე იმის კალთაზე დაწვა. ბიჭმა შეამჩნია ქალს, რომ მუხლს ქვეშ გასაღებები ეყარა და ჰკითხა: ეს გასაღებები რისააო. ქალმა უთხრა: ძირა

სართული დევს დაკეტილი აქვს, რამე აქვს შენახულიო და მე დამავალა — არავის მისცეო, თუ ვინმე მოვიდა და მე აქ არ ვიქნებო.

1 ბიჭი დაინტერესდა, თუ რა იყო იმ სახლში შიგ. მოპარა ქალს გასაღებები, გააღო სახლის კარები და შევიდა. ხელავს, ბოძზედ ერთი დიდი ხმალი ჰკიდია, საცადაზე სამი ტაბაკი წყალი დგას, ხმლის ქარქაშზე აწერია: ვინც სამ ტაბაკს წყალს დალევს, ხმალსაც ის დაძრავს და დევსაც ის მოკლავსო. დაეწათა ბიჭი ერთ ტაბაკ წყალს; დაცალა სულ. აწია ხმალი და ჩამოიღო ბოძიდან. ამოსწია და ვერ ამოაძრო. დალია მეორე ტაბაკი წყალიც და ამოაძრო ნახევრად. ამოსწია და ვერ აძრობს. დალია გაჭირვებით მესამე ტაბაკი წყალიც და ისე დატრიალდა იმის ხელში ხმალი, როგორც პატარა სახრე. გამოვიდა გარეთ, შევიდა და დაწვა ისევ ქალთან. დაწოლის წინ ლომებს უთხრა: თუ დევი აქ მოგიშვიათ, სულ თითო კბილს დაგაძრობთ. როდესაც მოვა დევი კარებში,



მე გადმოვფრინდები, ხმალს შემოვკრამ და თქვენ ისევ კარებში გადმომავდებითო. მართლაც, გაიხედა და დაინახა, რომ შორიდან მოდის დევი. დევმა რა დაინახა, მის კარზე ვილაც

იწვა, შორიდანვე ცეცხლი აუშო და ისე წამოვიდა. მივიდა თუ არა, გადაფრინდა ბიჭი, შემოჰკრა დევეს ხმალი და ლომმა ისევ უკან გადმოაგდო ბიჭი. ისე აკუწეს დევი, რომ საუნობით დადგა მისი ლეში. შევიდა ბიჭი დაღლილი და დაქანცული, დაეგდო ქალის კალთაზე და დაეძინა.



ერთხელ ქალის მამის ვეზირ-ვექილი წამოსულიყო სა-
ნადიროთ, გამოეგლო იმ ადგილას და დაენახა, რომ დევი
ვისმეს მოეკლა და მიეშურა იმ სახლისაკენ. შევიდა სახლ-
ში, აიყვანა ქალი, ბიჭი დააგდო ტახტზე დაჰკრა ხელმწიფის
ვეზირ-ვექილმა ბიჭს ხმალი და მოჰკლა. მიიყვანა ხელმწიფეს-
თან ის ქალი და უთხრა: დევიც მოვკალ და შენი ქალიც გა-
ვანთავისუფლეო. ვეზირ-ვექილმა წინწინვე დაარიგა ქალი,
რომ არ ეთქო დევი სხვამ მოკლაო. ხელმწიფემ გადახადა

თავის სახელმწიფოს შავი თალხი, შემოიპირა ის ვეზირ-ვე-
ქილი — უნდა მისთვის მიეცა თავისი ქალი.

ერთხელ, როცა ლომი და სპილო თამაშობდნენ, დევის
ქამარზე ბიჭთან ახლოს კურდღელი იჯდა და დაუძახა ლომს:
მანდ ნუკი თამაშობთ, მოდით ჩვენი პატრონი გავაცოცხლო-
თო და კურდღელი გაიქცა მაშინვე ტყისაკენ. გამოიტანა.
ერთი ბალახი, მოუსვა თავის პატრონს კისერზედ, მიაღო.
თავი და გაცოცხლდა, ადგა, მოიფშენიდა თვალები ბიჭმა და:
თქო: რამოდენა მძინებიაო, მოიკითხა ქალი და იქ არსად.
იყო. თქვა: მოდი წავალ იმ სახელმწიფოში, თუ ის შავი თალ-
ხი გადახდილი არის, მიყვანილი იქნება, და გაუდგა გზას.

მივიდა ისევე იმ სასადილოში, სადაც წინ-წინ ჰამდა სა-
დილს, და მოატანინა კერძი თავისი ნადირებისათვის. სახელ-
მწიფოსაც თალხი გადახდილი ჰქონდა. შეეკითხა კერძის მომ-
ტანს: რათა აქვს ეგ თალხი გადახდილი ამ სახელმწიფოსო. —
იმიტომ, რომ ხელმწიფის ვეზირ-ვექილმა მოკლა დევი და
ქალი გაანთავისუფლაო. იმ ბიჭმა უთხრა კერძის მომტანს:
თუ შეგიძლიან შენ ხელმწიფის პურ-მარილი მოიტანო და
აქ ვჭამოთო. კერძის მომტანმა უთხრა: მე ვერ შემიძლიანო. —
აბა მაშ კარგი, შენ თუ არ შეგიძლია, მე თითონ მოვიტანო.
მითხარი იმ ქალის ბინის ნომერიო. უთხრა ყველაფერი კერ-
ძის მომტანმა. — წადი კურდღელო, — უთხრა ბიჭმა, —
ხელმწიფის ქალთან და უთხარი — პურ-მარილი გამოგზავ-
ნოს რომელიმე ვეზირ-ვექილითაო. კურდღელი გაეშურა იმ
ადგილისაკენ, სადაც თავის მეპატრონემ უთხრა. იმ დროს
ქალი ტახტზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. კარი ცოტა ღია-
იყო. გაქანდა კურდღელი და იმ ტახტის ქვეშ შეხტა. ქალი
წიგნს კითხულობს, გაყოფს კურდღელი თათს, ჩამოაფხაპნის
ფეხზე, გაიქნევს ქალი ფეხს და მოეშვება კურდღელი. რამ-
დენიმეჯერ გაიმეორა კურდღელმა ასე. ქალმა შემდეგ შეი-
ხედა ტახტის ქვეშ, იცნო ის კურდღელი, რადგან როცა მო-
დიოდა იქედან, ქალმა წითელი ნაჭრები შეაბა ნადირებს კი-
სერზე და უთხრა: რისთვის მოსულხარო. კურდღელმა უპა-
სუხა: ჩემი პატრონი არის ზევით სასადილოში და იმან გა-
მომგზავნაო. პურ-მარილი გამოატანეო რომელიმე ვეზირ-
ვექილით სასადილოში. ქალმა დაიბარა ერთი ვეზირ-ვექილი

და გაატანა ხელმწიფის პურ-მარილი. ბიჭმა რამდენიმეჯერ გამოატანინა კურდღელს ხელმწიფის პურ-მარილი. შემდეგ გაუგეს იმ ქალს, რომ ვიღაცას უზიდავს სასმელსაო და ხელმწიფემ გაგზავნა კაცები იმ ბიჭის ჩამოსაყვანათ. მივიდნენ თუ არა სასადილოს კარებზე, ბიჭმა უბრძანა ლომს: ერთიც არ მოუშვა აქ, სულ დახოცეო. მაგრამ ერთი გაიქცა ხელმწიფესთან და უთხრა: ჩვენ ვერ შეგვიძლიან იმ კაცის ჩამოყვანა, თუ ჯარი არ გავგზავნეთო. ხელმწიფემ გაგზავნა რამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცი და უთხრა: ის კაცი უეჭველად ჩამოიყვანეთ აქო. დაინახა თუ არა ბიჭმა, რომ ჯარისკაცები მოდიოდნენ, უბრძანა სპილოს: ერთიც არ მოუშვა აქო. მართლაც, ერთიც არ მოუშვა, ეს ჯარი სულ ერთიანად გაანადგურეს.



ბიჭი თვითვე წავიდა ხელმწიფის სასახლეში, სადაც ქალი იმყოფებოდა. ნადირები კი გაგზავნა სოფელში: ვინც კი გზაში შეგხვდეთ ყველა დაჭამეთო. ჩავიდა ის ბიჭი ხელმწიფესთან და უთხრა: რაჯნდ მრბარებდით? მოვიდნენ თუ არა

ლომი და სპილო ხელმწიფეს კარზედ, ბიჭმა უბრძანა: მან-
დვე დაწექითო.

ხელმწიფემ ბიჭს გამოჰკითხა: თქვენ ჩემს ქალს საიდან
იცნობთო. ბიჭმა უთხრა: თქვენი ქალი მე გავანთავისუფლეო.
ხელმწიფე გადაეხვია ბიჭს და უთხრა: მაშ, შენ ჩემი სიძე
ხარო. დააქორწილა თავის ქალზედ და ცხოვრობდნენ ერთად.

გავიდა ხანი. მოინდომა ამ ბიჭმა უფროს ძმასთან წასე-
ლა. ქალი ტირილა და ეხვეწებოდა: აღმოსავლეთით არ წახ-
ვიდე, ძალიან, ბევრი ნადირებია და შეგკამენო. ბიჭმა გაია-
რა რამდენიმე გზა. გზაში დახვდა ერთი დიდი ღორის ტახი.
დაუღერა ბიჭმა თოფი, უნდა მოუსხლტეს და ტახი გადა-
ფრინდა იქით; მეორეთ დაუღერა და მოკლა ტახი. გაატყავა
ღორი, დაანთო ცეცხლი და აასხა მწვადებზე. წვავს მწვადებს.

ამ დროს ერთი ბებერი გამოჩნდა ჯაგებიდან. ხელში
ერთი წკეპლა ეჭირა და იძახის: მცივა, მცივა! ბიჭმა დაუძახა:
გცივა და მოდი: ცეცხლთან გათბიო. მოვიდა ბებერი,
გათბა ცეცხლთან. ჰამეს მწვადები. დაეძინა ბიჭს. ადგა ბე-
ბერი დედაკაცი, დაკრა ბიჭს წკეპლა და გააქვავა. დაკრა
ახლა ნადირებს და გააქვავა ისინიც.

ამ დროს აღმოსავლეთიდან წამოვიდა უფროსი ძმა უმ-
ცროსი ძმის საძებნელად. მივიდა იმ ხესთან, სადაც დანა
დაარქეს, ნახა, რომ პატარა პირი დაქანგებულიყო და წა-
მოვიდა მაშინვე ძმის საძებნელად. მივიდა იმ ადგილას. სადაც
წინ-წინ მის უმცროს ძმას ტახი აუჩნდა. უფროს ძმას იმ ად-
გილას აუჩნდა დიდი უშველებელი საცალე ირემი. დაუღერა
თოფი, უნდა მოკლას, გადახტა ირემი იქით, დაუღერა მეო-
რეთ და მოკლა ირემი. გაატყავა ირემი, აასხა მწვადები, და-
უწყო წვა. გამოჩნდა იმავე ჯაგებიდან ის ბებერი და დაიძა-
ხა: მცივა, მცივაო. ბიჭმა დაუძახა: გცივა და მოდი გათ-
ბიო. ბიჭმა უმალვე ეჭვი ამ ბებერზე მიიტანა. მისი ძმა იმი-
საგან უნდა ყოფილიყო მოკლული. თავის სპილოს და ლომს
უთხრა ჩუმად, რომ მოვიდეს აქ, დაიჭირეთო. მივიდა თუ არა
ცეცხლთან ბებერი, წაწვდნენ მაშინვე და დაიჭირეს.

ამოიღო ძმამ ხმალი, მივიდა და უთხრა: მითხარო ჩემი
ძმა შენ მოკალი თუ არაო. ბებერმა დედაკაცმა უთხრა: გა-
მიშვი და ისევე გამოვაცოცხლებო. ბიჭი არ დათანხმდა და

ლომს დააჭერინა. წამოუარა ბებერმა. დაჰკრა თითო წკებლა ყველას და გააცოცხლა. წამოდგა უმცროსი ძმა, უნდა მოეკლა ეს ბებერი დედაკაცი. უფროსმა უთხრა: მოიცა ჯერაო. ბებერს უბრძანა: თუ რამე გყავს კიდეც გაქვავებული, დააცოცხლეო.

წამოუარა ბებერმა, დაჰკრა თითო თითო ქვას წკებლა და ხან ცხენს მიაჭენებდა კაცი, ხან ურემი მიჰქონდათ, ისე დაექვავებინა. უფროსმა ძმამ უბრძანა მეურმეებს — მოეტანათ შეშა. დადგეს რამდენიმე საყენი, დაასხეს ნავთი, დააჭერინეს ორივე სპილოებს, შეაქანავეს და საყენის მალღათავზე დასვეს. წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს ბებერი დედაკაცი. გაუდგნენ ორივე ძმები ისევე გზას. მივიდნენ თუ არა სახელმწიფოში, ხელმწიფემ გზაში გამოაგება თავის სიძეს ეტლი და ვერც კი ცნობდა რომელი იყო თავისი სიძე, ისე გვანდნენ ერთმანეთს. უმცროსმა ძმამ თავისი უფროსი ძმა მეორე სახელმწიფოში დააქორწილა. ხელმწიფემ თავის სიძეს დაუთმო თავისი ტახტი და დასვა ხელმწიფეთ.

ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

სამი ძმანი

იყო სამი ძმანი. ამ სამ ძმაში ერთი უმცროსი ძმა იყო უკეთესი. ე ძმები დადიოდნენ სანადიროთ ტყეში. ერთხელ ინადირეს ერთ მთაზე, გადავიდნენ მეორეზე, მერე — მესამეზე. მესამე მთაზე შეხვდათ ქალი მზეთუნახავი. ქალი ძალიან ლამაზი იყო და მოეტაცებიათ დევებს — ცხრა ძმას. მზეთუნახავმა უთხრა ამ კაცებს: ნუ მოდიხართ, თორემ დევები შეგჭამთო. ორი ძმა დაფიქრდა და — დავბრუნდეთო, — თქვეს. მესამე ძმამ უთხრა: ჩვენი ვაშკაცობა რა ვაშკაცობა არის, თუ იქ ვერ გადავალთ და ვერ ვინადირებთ? ამ დროს გაიხედეს ძმებმა და შეხედეს, რომ მოდის უმცროსი დევი, მოუთხრია წიფელა და მოაქ. ორი ძმა შეშინდა. მესამემ, უმცროსმა ესროლა ჯიხამშვილდი და მოკლა დევი. ქალმა ურჩია: ეს ყველაზე პატარაა, დანარჩენები როგორც

ქი გნახავთ, შეგკამენო. მაშინ უმცროსმა უთხრა თავის ძმებს: ჩვენ ის დევები ყველა უნდა ვნახოთო, უნდა გავიგოთ რა ბიჭები არიანო. მერე ამ ქალს უთხრა: მე უნდა წამოვიდე შენს სახლში და დევები ვნახოვო. მზეთუნახავი უარს იყო, ყველას შეგკამთო, მაგრამ მაინც წავიდენ ეს კაცები.



მივიდენ თუ არა პირველ სახლში, უმცროსმა ძმამ გამოუცხადა ამ ქალს: დევები უნდა დავხოცო და შენ კი ცოლათ წავიყვანოვო. ქალმა ბეური არ დააყონა და თანხმობა მისცა. მერე ასწავლა დევები სად იყო; მეცხრე ოთახზე მიუთითა — იქ არის რვა დევით. ამ ბიჭმა უთხრა ძმებს: თუ ივარგებთ, ივარგებთ, თუ არა ორივეს აქ მოგვლავთ, დევები უნდა დავხოცოთ და ქალი ცოლათ წავიყვანოვო.

მივიდნენ ოთახზედ. ქალმა გოულო კარები დევებს და გამეიყარენ გარეთ. დევებმა სტაცეს ამ ბიჭის ძმებს ხელი. ამ უმცროსმა ძმამ, გვერდზე იყო გამდგარი, რომელსაც მოარტყა ჯიხამშვილდი — ცოცხალი არ გოუშვა. ბეური იბძოლეს, ბოლოს გვექცათ დიდი ცხრათავიანი დევი. ძმებმა ეს

ქალი წამოიყვანეს და წამოვიდნენ. გზაზე ქალმა უმცროსი ძმა გააფთხილა: შეიძლება ჩემი ქმარი გზაზე შეგხვდეთ და ჩემი თავი წაგართვათ. მაშინ დევი წამოიყვანს და ჩამოიყვანს ძირს მიწაში. ეს ჩემი ქმარი სანადიროდ წავა, შენ დოჟღარაჯდი. როცა ის წვეიდეს, თუ ძმები არ გიღალატებენ, ჩამოგიშვან ბაწრით ჩემთან და ორივე ამოგვიყვანონო.

გასწიეს და წვეიდენ. მართლაც, გზაზე დახვლათ დიდი დევი და წაართვათ ქალი. ძმებმა მოიგონეს ქალის დანაბარები და დაუღარაჯეს. დევი სანადიროთ წავიდა, უმცროსმა ძმამ უთხრა: მე ძირს მივალ და არ მიღალატოთ, ან მკტარი და ან ცოცხალი მალლა ამოიყვანეთო. ძმებმა შეფიცეს და ჩაუშვეს. ამ ბიჭმაც ჭიხამშვილდი წაიღო და მიდის ძირს. კაცი ჩვერიდა უკვე. მივიდა ქალთან და უთხრა: წადი შენო. ქალმა უბასუხა: ჯერ შენ ადი, თორემ ძმები გიღალატებენ როცა მე დამინახავენო. ქალი გულშეგარია და იცის, რომ ძმები ღალატობენ. მაგრამ ბიჭმა მაინც არ დაუჯერა და პირველათ მზეთუნახავი გამოუშვა. ქალმა წასვლისას კიდევ დაუბარა: აქ არის რაშები, თუ ძმებმა გიღალატონ, და კლიტეც მისცა იმის, საცა ისინი იყვენ. თეთრი რაში მალლა ქვეყანაში მიდის, შავი რაში კი ქვედა ქვეყანაში. ეცადე, რომ თეთრი რაში არ გაგექცეს. ქალი წავიდა. ძმებმა ბაწარი მეორეთაც ჩამოუშვეს. უმცროსმა ძმამ საცთელად ბაწარს ჭირკი გამოაბა — აბა თუ ამოიყვანებენო. ასწიეს ბაწარი. ჭირკი შუამდი ეიტანეს, შუის მერე უშვეს ხელი ბაწარს და ძირს ჩამოაგდეს. ეს კაცი ძალიან დაჯავრიანდა, რომ ძმებმა ასე ურცხვად გასწირეს და უღალატეს. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მიმართა რაშებს. მივიდა ოთახთან, გააღო კარი, მაგრამ თეთრი რაში გაექცა. სტაცა ხელი მაინც შავ რაშს, შეჯდა და გააქან მან ქვედა ქვეყანაში. ქალს კი დაბარებული ჰქონდა: სამწელიწადს და სამ დღეს გიცდი და ამასობაში მოდიო.

კაცი ქვედა ქვეყანაში ჩავიდა. მივიდა იქ ერთ ქალთან. ეს კაცი ძალიან დაქანცულა და ათხოვა წყალი. ქალმა უთხრა: შეილო, წყალი ქე ვან მოგცვა ჩვენ. გველეშაპი დგას წყალზე და თუ თითოს სულ კაცს არ მივიყვანთ, ისთე წყალს არ გვაძლევსო. — აბა საცმელი მაინც მაქამეო, — უთხრა კაცმა. ქალი შევიდა სახლში და შარდით მოცომა დაიწყო


საკმელისა. ამ კაცმა შეხედა და მიაყვირა: რას შობიო. — აბა რა ვქნა, ჩვენ წყლის მოტანა არ შეგვიძლიაო, — უთხრა ქალმა.

კაცმა აღარაფერი უპასუხა, მოსცილდა ამ ქალს და თან წაიღო წიხამშვილდი. მივიდა წყალთან. იქ დახვდა ერთი ბოში, რომელიც მალე გველეშაპმა უნდა შეჭამოს. კაცი შეეკითხა: რატომ სტირიო. ამაზე ბოშმა უთხრა: აწი საცხაა გველეშაპი უნდა მოვიდეს და შემჭამოსო. კაცმა გადასწყვიტა მოეცადა გველეშაპის მოსვლამდე. ბევრი უცადა, მაგრამ ის უწმინდური მაინც არ მოვიდა. მეტე დაიძინა, რადგან დაღალული იყო, და ბოშს უთხრა: როცა გველეშაპი წამოვიდეს, გამაღვიძეო. თავი კალთაში ჩაუდვა და დაიძინა.



რამდენიმე ხნის შემდეგ ბოში ხედავს, რომ გველეშაპი მოდის, მარა ამ კაცს გაღვიძებას ვერ უბედავს. უცფად ცრემლი დაეცა ლოყაზე და ეს კაციც წამოხტა. შეხედა გველეშაპს, ესროლა ჯიხამშვილდი და სუაზე გააპო. გახარებული ბოში დაბრუნდა სახლში. პატრონები გავიდნენ: რათ დავგვლუპე, გველეშაპი ამუა და ყველას მოგვსპობსო. ბოშმა უთხრათ: იქ ერთი კაცი მოვიდა და გველეშაპი მოკლაო. ხალხმა არ დოუჯერა და წვევიდნენ სანახავად. როცა მივიდნენ,

გველშაბი ამოჩეხილი იყო და ცხრა საჯნათ იყო დამდგარი. ხალხი სიხარულისაგან ჰკუას კარგავდა, კაცს კი ეძინა. ხალხი მაშინათვე გაიქცა და ხელმწიფეს მიახარეს: ვილაცა კაცს ჩვენი მტერი გველშაბი მოუკლავსო. ხელმწიფეც მიდის წყალზე და ნახულობს ამ კაცს. გამოაღვიძა და ჰკითხა ამბავი. ამ კაცმა ყოლისფერი უთხრა. მე ზედა ქვეყნიდან ვარ ჩამოსულიო. ამ ხელმწიფემ უთხრა: რას მთხოვ, რომ ღირსეულად დაგასაჩუქროვო. კაცმა უთხრა: მე არაფერს არ მთხოვ, თუ შეგიძლია ჩემ ქვეყანაში ამიყვანეო.



ხელმწიფემ საშუალება ვეფერი გამოწახა. ბოლოს უთხრა: რადგანაც ასეთი გმირი ხარ შენ, თორემ სხვა ვერ გაბედავს, ამა და ამ მთაში არწივი არის ერთი და იმას შეუძლია შენი ზედა ქვეყანაში აყვანა, ხარჯი კი ჩემზე იყოსო. კაცი იმ წუთში წავიდა არწივთან. მივიდა, მაგრამ არწივი შინ არ დაუხვდა, შვილებმა კი უთხრეს: წადი, თორემ მამაჩვენი მუა და შეგჭამსო. მაშინ ამ კაცმა უთხრა: მე ასეთი სიკეთე გიყავითო.

არწივი მოვიდა, შვილებმა ეს კაცი დამალეს. — აქ კაციის სუნი დისო, — მამა ეუბნება შვილებს. შვილებმა

უთხრეს: აქ ის კაცი არი ხორციელი, რომელმაც გველეშაპი მოკლაო და სათხოვარი აქესო. — მომიყვანეთო, — სთქვა არწივმა. კაცი გამოიყვანეს და ნახა არწივი. არწივმა უთხრა: რას მთხოვო. — მე გთხოვ, რომ ზედა ქვეყანაში ამიყვანეო, ხარჯი რაც დაგჭირდება, ხელმწიფე გვაძლევსო. არწივმა უთხრა: მოპწენით დიდი ჩელტი. დაკალით სამას სამოცდასამი სული მსხვილი საქონელი, რომ ხარჯი არ შემომაკლდეს გზაზე და, რადგანც ასეთი სიკეთე გვიყავი, წაგიყვანო. ამ კაცმა ხელმწიფეს უთხრა, რაც არწივმა ითხოვა. დაკლეს სამას სამოცდასამი სული მსხვილი საქონელი, ჩააწყეს ჩელტში, დაადგეს არწივს ფრთებზე და მიჰყავს არწივს ეს კაცი ზედა ქვეყანაში. იარეს და იარეს. არწივი რამდენს შემოტრიალებდა, იმდენი ლუკმა ხორცი უნდა მისცეს პირში.

იარეს და იარეს. გზას დასასრული აღარ უჩანს, ხორცი კი თანდათან ილევა. აგერ მიუახლოვდნენ. ცოტა უკლია, რომ უნდა ავიდეს და ხორცი შემოაკლდათ. კაცი შეშინდა, არ იცოდა რა ექნა, არწივმა კი დაუძახა: მშიაო. მაშინ კაცმა მოითალა ფეხზე ხორცი და, როცა არწივი შემოტრიალდა, მისცა პირში და ავიდენ კიდევაც. არწივმა უთხრა: ეს ბოლო დროს რომ ხორცი მომეცი, რა ტკბილი იყოვო. ამაზე კაცმა უპასუხა: ეს მე მოვიჭერი ფეხზეო. არწივს ეწყინა: ასე რომ მგონებოდა, აქ ცოცხალს არ ამოგიყვანდიო. კაცი არწივს დაემშვიდობა და დასცილდნენ ერთმანეთს.

შესრულდა სამი წალიწადი და სამი დღე. ამ კაცმა იმდენი იარა და იარა, რომ მიაღწია სახლში. კაცი იმ დროს მივიდა სახლში, როცა ძმა ჯვარს იწერს მზეთუნახავზე. სწორეთ ამ დროს შევიდა სახლში. ძმებმა ვერ იცნეს, ქალმა კი იცნო. გამოიქცა და ამ კაცს შემოეხვია. ამან მაშინვე დახოცა მოღალატე ძმები და ის ქალი შეირთო ცოლად.



იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს ჰყავდა ცოლი და ერთი ვაჟიშვილი. ამ ხელმწიფეს ისეთი ლამაზი ცოლი ჰყავდა, რომ მთელს ქვეყანას ენატრე-

ბოდა მისი მშვენება. ერთს ადგილს თილისმიანი დევი სცხოვრობდა და იმასაც შეეტყო ამ ხელმწიფის ცოლის სილამაზის ქება და მოისურვა ქალის მოტაცება. ერთს დღეს მოუვარდა უკვე მოსატაცებლად და ხელმწიფემ მრავალი ჯარი მიუსივა დევს საომრად, მარამ დევს, რადგან თილისმიანი იყო, დიდხანს, ომი არ დასჭირდა. ხელმწიფეს ჯარი სულ გაუქვავა და ცოლიც მოსტაცა და შეირთო ცოლად; ხელმწიფემ თუმცა ბევრი ეცადა დევის მოკვლას, მაგრამ დარწმუნდა, რომ ყოველივე მისი ცდა ამაო იყო და ვერას დააკლებდა, რადგან, ვინც დევის ახლო მივიდოდა კაცი, ყველას ქვად აქცევდა ხოლმე.

გავიდა დრო და ჟამი და რამდენიმე წელიწადები. ხელმწიფის შვილი ორის წლისა იყო იმ დროს, როდესაც დევმა დედა მოსტაცა. ახლა კი, როცა წამოიზარდა და დავაჟკაცდა, თავის ტოლებში იყო და თამაშობდა. თავის ამხანაგთა შორის ერთმა გაჯავრების დროს წააყვედრა ხელმწიფის შვილს: შენ თუ კარგი ყმაწვილი კაცი იყო, დედაშენი დევს არ ეყოლებოდაო. ხელმწიფის შვილმა არაფერი არ იცოდა თავის დედის მოტაცების ამბავი, რადგანც თვითონ პატარა იყო იმ დროს და მამასაც არა უთქვამს რა მისთვის. ამის გამგონი მაშინათვე წამოვიდა შინ დაფიქრიანებული და, შინ რომ მოვიდა, თავის მამას ჰკითხა: მამავ, დედაჩემი სად არისო. — შვილო, დედაშენი დიდი ხანია, რაც აღარ არის. შენ ორი წლისა მყვანდი, როცა მომიკვდაო. — არა, მამავ. დედაჩემი არ მომკვდარა, სწორად მითხარ, სად არისო. რაკი შვილი აღარ მოეშვა და ძალა დაატანა, თუ არ მეტყვი, თავს მოვიკლავო, მამამ მაშინ ყოველივე უამბო.

შვილმა მოისმინა და მაშინათვე მოამზადებინა საჯდომი ცხენი და მოინდომა წასვლა დედის სანახავად. მამამ ბევრი ეხვეწა და უშალა: შვილო იმას შენ ვერა ნახავ და თილისმიანი დევი ქვით გაქცევსო, მაგრამ შვილმა არ დაუჯერა მამას და გასწია, ან ვნახავ დედას და ან თავს შევწირავო.

ბევრი იარა, ცოტა იარა და მიადგა ერთი ბებერი დედაკაცის სახლს. ღამე იყო და სთხოვა: მგზავრი ვარ და, დედაშვილობას, დამაყენეო. ამ დედაკაცმა დიდის სიხარულით მიიღო: ხვთისაა, შვილო, სტუმარიო. კარგათ პატივი სცა და

ცკითხა: ვინა ბრძანდები, შვილო? საიდან ხარ და ან სად მისდიხარო. ხელმწიფის შვილმა უთხრა თავის ვინაობა და რისთვისაც წამოსული იყო. ამ დედაკაცმა უთხრა: შვილო,



დევის დრო მე ვიცი, როდესაც შინ არის და როცა სანადიროდ მიდის ხოლმეო, და იმის ციხის გაღვენის გაღებაც მე ვიციო. მე მაქვს ერთი ხელსახოცი, რომელიც დევს დაჰკარგოდა და მე ვიპოვნეო. აი, ამ ხელსახოცს რა წამსვე დაარტყავ მისი გაღვენის კარებს, მაშინვე გაიღება და შიგნით ლომები ჰყავს კარის მცველებად, იმათაც ამ ხელსახოცს დაანახვებ და მაშინვე მოგილაქუცებენ და აღარ გერჩიანო. ხვალ, როცა სანადიროდ წავა დევი, მე გეტყვი და მაშინ წადიო.

1. მეორე დღე გათენდა თუ არა და იმ ბებერ დედაკაცმა როცა შეიტყო, დევი ახლა კი სანადიროდ წავიდაო, უთხრა: ღროა შენი წასვლისაო. ხელსახოცისათვის ხელმწიფის შვილმა მრავალი ფული აჩუქა დედაკაცს და წავიდა. როდესაც მივიდა, როგორადაც დაარიგა ბებერმა, ისე მოიქცა: ხელ-

ცახოცი დაარტყა გალავნის კარებს, მაშინვე კარი გაიღო და
შევიდა შიგ გალავანში. ლომები გამოქანდნენ შესაჭმელად,
მარამ ხელცახოცი იმათაც დაანახა თუ არა, მაშინვე ალერსი



და ლაქუცობა დაუწყეს. კარებიდგან იყურებოდა დედა ამ
ყმაწვილისა და ჰხედავდა მისკენ მიმავალ ყმაწვილს კაცს,
ძლიერ უკვირდა ამ ყმაწვილის მისვლა, გაოცებული თავის


თავს ეკითხებოდა: ნეტა ვინ უნდა იყვეს, ადამიანი აქ მოსული?! რამდენი წელიწადია არავინ დამინახავს თვალითო. ამ დროს მიუახლოვდა შვილი დედას და შვილი ტირილით მიესალმა: — საყვარელო ჩემო მშობელო, განა ვერა მცნობ? ორი წლისას რომ თავი დამანებე, შენი შვილი ვარო.



ამის მნახელი და შემტყობი მშობელი თავის შვილს ჩაეკონა და მდულარეს ცრემლებით ეკითხებოდა: შვილო, როგორ, რამ მოგიყვანა, როგორ შეიძელ აქ შემოსვლაო. შვილმა ყოველივე უამბო და ბევრის ალერსის და ხვევნის დასასრულიც მოახლოვებული იყო.

დევის მოსვლის დროა და დაგმაღავ შვილო, აქ ხვალამდის და ხვალ, როცა სანადიროდ წავა, მაშინ გამოგიყვანო, თორემ თილისმიანი დევი ქვად გაქცევსო. შვილმა სთხოვა დედას: როცა დევი მოვა, ჰკითხე, მაგის თილისმიანი სული რაში სდგასო. როცა დაინახა აგერ დევიც მოდისო, მაშინვე დამალა შვილი. დევი ჩვეულებისამებრ მოვიდა, პური სჭამა და დაიძინა. როცა გაიღვიძა, უთხრა ქალს: ძილში ცუდი სიზმარი ვნახეო. ქალმა ჰკითხა: ნეტავი ერთი ვიცოდე, შენი თილისმებიანი სული რაში გიდგაო. დევმა უპასუხა: ჩემი სული სდგას ისეთს ადგილას, რომ ქვეყანა ვერ შესძლებს მის პოვნასაო. — მაინც როგორ? განა ისეთს ადგილას სად არისო, — ჰკითხა ქალმა კვლავ. — იმ სახელმწიფოს, სადაც „ზღვათა სახელმწიფო“ ჰქვიან, იქ ზღვაში არის ერთი ზღვის

ლორი და იმ ღორის თავში პატარა კოლოფია (ყუთი) და ამ კოლოფში სხედან სამი ჩიტო. აი, სწორედ ამ ჩიტებში სდგას ჩემი თილისმიანი სულიო. სანამ ეს ჩიტები არ დაიხოცებიან, მე ვერავინ რას დამაკლებსო და ამ ღორის მომკვლელი ჯერ არავინ არ დაბადებულაო. იმ ქვეყანაში, სადაც



ეს ღორი გამოდის ხოლმე, ყოველ გამოსვლის დროს თითო ადამიანი ჰყავთ გადადებული მისთვის საკმელად. თუ არ დაახვედრეს მზათ მსხვერპლი, მთელს ქალაქს ააოხრებსო. ეს ყოველივე შეიტყო ამ ქალმა დევის ნაამბობი და მეორე დღეს, დევი რომ სანადიროდ წავიდა კიდეც, დედამ შვილი გამოიყვანა დამალული და უამბო ყოველივე. შეეხვეწა თავის შვილს: იქ კი არ წახვიდე შვილო, თორემ ის ღორი შენც შეგკამსო. შეიღმა საღამომდის დედასთან გაატარა სიამოვნებით დრო და საღამოთი დაეთხოვა, ნახვამდისო. ტირილით

მოშორდნენ ერმთანეთს. შვილი პირდაპირ წავიდა იმ ქვეყანაში, სადაც ღორი სცხოვრობდა და ეძახდნენ „ზღვათა სახელმწიფოს“.

ბევრი იარა, ცოტა იარა და მივიდა იმ ზღვის პირას, ქალაქის მახლობლად და ნახა ზღვის პირას ერთ დიდ ხეზედ ერთი ქალია მიბმული, ცხარეს ცრემლით მომტირალი. მივიდა ახლოს და ჰკითხა ამ ქალს: შენ აქ რათა ხარ მიბმული და ან რა გატირებსო. ქალმა უამბო ყოველივე: აი, ეხლა ამ ზღვიდგან ღორი ამოვა და უნდა შემჭამოსო. ყმაწვილმა ანუ-გეშა: ნუ გეშინიან, ვეცდები, არ შეგჭამოსო და თვით ზედ ხეზედ ავიდა და შვილდ-ისარი მოიმარჯვა და დაუწყო ღორს ლოდინი. აგერ დაინახა კიდევ, რომ ღორი საშინელის სახით და ღრუტუნით ამოვიდა და ქალის შესაკმელად გამოისეირნა. ამ დროს ზევიდგან მარჯვედ დასცა თავში ყმაწვილმა ისარი და მძიმეთ დასჭრა. ღორმა მორთო საშინელი ყვირილი. მის ყვირილზედ მთლად მთელი სახელმწიფო შეიძრა. ჩამოხტა ყმაწვილი ხიდან და ლუქმა-ლუქმა აკუწა ხმლით დაჭრილი ღორი. მთელი სახელმწიფო გააკვირვა და დაიხსნა ამისთანა საშინელის მტრისაგან. ყველა იმ ყმაწვილს ეხვეოდა და სიხარულით აღარ იცოდნენ რა ექნათ. ხელმწიფემაც რომ შეიტყო (ამ ზღვის მეფემ), ყმაწვილს დიდ საჩუქარს დაჰპირდა და სიძეობა სთხოვა. ყმაწვილმაც უარი არ უთხრა სიძეობაზედ, მხოლოდ პირველად დედის გამოხსნის დარდი ჰქონდა. ღორის თავი გასჭრა და გამოლო შიგნიდან პატარა კოლოფი. ნახა, შიგ, მართლაც, სამი პატარა ჩიტები ნახსდომა. ამ ზღვათა ხელმწიფესაც უამბო თავისი ყოველი ამბავი და ყველა, მთელი სახელმწიფო და თვით ხელმწიფეც, გამოჰყვენენ დევის მოკვლის სეირის საყურებლად. ნახევარი გზა რომ გამოიარეს, შუა გზაში ამოიყვანა ყმაწვილმა ერთი ჩიტი და წაჰგლიჯა ყინწი და მოკლა. დევი იმ დროს სანადიროდ ყოფილიყო და იქ მაშინვე შეიტყო, ჩემ თავს ერთი რამ უბედურება არისო. მუხლებში სიდუნე იგრძნო და გამოექანა შინისკენ, მარამ ძლივს მოლახლახებს კოკლობით. გზაში ფიქრობდა: მივალ და ქალს მოვკლავ, სწორედ ეს იმის საქმე იქნებაო.

სანამ დევი მოვიდოდა შინ, იმაზედ წინ მრავალის ჯარითა და ჯამაათით შემოვიდა მისი სულთამხუთავი. ამ დროს

დევიც მოვიდა კოკლობით. დაინახა თუ არა ყმაწვილმა დევო-
მაშინვე მეორე ჩიტსაც წაჰგლიჯა ყინწი. დევი კარებთან მი-
სული უძრავად დაეცა ძირს და ადგილიდან ვეღარ იძროდა
და სული კი ედგა. მივიდა დედასთან ყმაწვილი და გამოი-
ყვანა სიხარულით აღვსილი. დევსაც უღელი კამეჩი მოამბე-
ვინა და თრევით თავის სახლამდის წამოიყვანეს და ყველანი
დიდის სიხარულით მოვიდნენ თავის ბინაში. იქ მამამაც და
შვილმაც ქორწილი და დროს გატარება გამართეს და სია-
მოვნებით იწყეს ცხოვრება. მესამე ჩიტსაც მოჰგლიჯა ყინწი
ყმაწვილმა და დევმა სამუდამოდ განუტევა სული.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ქატო იქა, ფქვილი აქა.

დევების კოზაძი



იყო და არა იყო რა. იყო ერთი მეფე. ეს მეფე იყო
უშვილო. მას ძალიან უნდოდა შვილი და ამ მიზეზით მოიწვია

თავის სახელმწიფოს და უცხო ქვეყნების აქიმი-მეცნიერი, რომ მოერჩინათ უშვილოსნობისაგან დედოფალი, მაგრამ საუკეთესო აქიმების ცდამ ამაოდ ჩაიარა.



ერთხელ დილას მეფესთან მივიდა ერთი მოხუცი მონაზონი და უთხრა მეფეს: მეფევ, მე მოვარჩენ დედოფალს უშვილოსნობისაგანაო. — როგორ, — გაიკვირვა მეფემ, — როცა საუკეთესო აქიმებმა ველარაფერი მოახერხეს, შენ როგორ შეგიძლია უაქიმო დედოფალს. ეს სასაცილოა, სასაცილოა! კარგი... თუ თქვენ არ დამიჯერებთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, და ამ სიტყვებით მონაზონი მიბრუნდა კარებისაკენ და გასვლა დააპირა. — მაპატიე, მაპატიე, მონაზონო, ჩემი მოუფიქრებელი სიტყვები! ოღონდ შვილი მე-

ყოლოს და ოქრო და ვერცხლი რამდენიც გინდა, იმდენი წაიღეო. — ოქრო და ვერცხლი! თქვენ მეფეებს მხოლოდ ოქრო და ვერცხლი გახსოვთ, — ზიზღით წამოიძახა მონაზონმა. — ოქროსა და ვერცხლს წყნარი და ტკბილი სიტყვა მეფისა სჯობია ქვეშევდომისათვის! ჰოდა დავივიწყებ ამ ჩემს პატარა უსიამოვნობას და დავისახელებ უშვილოსნობისაგან



მოსარჩენ წამალს. გაგზავნე პაწია მდინარეზე მეთევზეები და დააჭერინე წითელი თევზი, შეაწვევინე კარგად და დედოფალს შეუგზავნე მის ოთახში საკმელად. რამდენიმე კვირის შემდეგ შენ გეყოლება ლამაზი პაწია შვილი.

ამ სიტყვებით მონაზონი სადღაც დაიკარგა.

1 მეფემ მაშინვე გაგზავნა თორმეტი მეთევზე პაწია მდინარეზე. მეთევზებს გაჰყვა ჭკუანაკლები ბიჭი, რომელიც იყო

ძმა ერთი მეთევზისა. ამ კკუანაკლებმა ბიჭმა წაართვა ერთს მეთევზეს ბადე, ჩავიდა წყალში და დაიწყო თევზაობა. არ გასული ხუთი წუთიც, რომ ამ ბიჭმა დაიჭირა წითელი თევზი... მან წითელი თევზის დაჭერა არავის არ უთხრა, გაისროლა ბადე შორს განზე, გამოვიდა ნაპირზე და წავიდა მეფის დიდებულ სახლისაკენ.

— მეფესთან მიმიყვანე ჩქარა! — დაუძახა ერთს მოსამსახურეს მედიდურად მან. — ჩქარა, დიდი საქმე მაქვს მე მასთან!

მოსამსახურემ შეიყვანა ის ბიჭი მეფის ოთახში და გამოვიდა.

— შენ რაზე მოსულხარო, — ჰკითხა მეფემ. — წითელი თევზი მოგიტანე, — მიუგო ბიჭმა და მიართვა მეფეს თევზი.

მეფეს გაუკვირდა: როგორ დაიჭირა ამ ბიჭმა წითელი თევზიო, და კარგად დასაჩუქრებული გაუშვა ბიჭი, რომელიც თევზის დაჭერის შემდეგ ძლიერ კკუიან კაცად გადაიქცა.

მზარეულმა კაცმა და მზარეულმა ქალმა შეწვეს წითელი თევზი. თევზს ისეთი საამური სუნი ჰქონდა, რომ მზარეულებმა ვერ მოითმინეს და ცოტა შექამეს. რამდენიმე თვის შემდეგ დედოფალს და მზარეულ ქალს ეყოლათ შვილები — ორივეს ვაჟები. მზარეული კაცი ავად გახდა და მუცელი ძლიერ გაუდიდდა: თურმე ისიც დაორსულებული ყოფილა. დიდი წვალების შემდეგ მას გაეხსნა ერთი გვერდი და დაეზადა ვაჟიშვილი. სამივე ბავშები იზრდებოდნენ ერთად მეფის პალატაში.

გავიდა ხანი და მეფის შვილი, მზარეული კაცის და მზარეული ქალის შვილები გაიზარდნენ და ისეთი ლამაზი ვაჟ-კაცებად გადაიქცენ, რომ ყველა მათი ყურებით სტკებებოდა. ეს სამივე ყმაწვილები ერთად იზრდებოდნენ და ისე უყვართ ერთმანეთი, რომ ერთმანეთს ძმას ეძახდნენ.

ერთხელ ივანე გვერდიშვილმა დაუძახა თავის მეგობრებს და ალექსის უთხრა: აბა, ალექსი, წადი და სთხოვე მეფეს, რომ გაგვიშვან მის სახელმწიფოს გარედ უცხო ქვეყნების დასათვალიერებლად.

ალექსი დიდი სიხარულით დაეთანხმა ივანეს. გამოსთხოვა მეფეს როგორც იყო ნებართვა უცხო ქვეყნების დასათვა-

ლიერებლად წასვლაზე და მეორე დღეს დილით სამივე შე-
იარაღებული სამს ერთმანეთზე უკეთეს რაშებზე მსხდომნი
გაუდგენ გზას.



i ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, მიადგნენ ერთ უზარმა-
ზარ ციხე სახლს, რომელსაც ეკავა ერთი ქცევა მიწა. ფან-

ჯრები ამ სახლისა იყო ამოქედილი რკინებით. სამივე ცხენოსანი ჩამოხტენ სახლის წინა კარებთან და გვერდიშვილმა კარს მაგრად დაუკაკუნა. გამოვიდა დიდი კოჭლი ბებერი დევი.

— ვინ ცხოვრობს ამ სახლში? — ჰკითხა ივანე გვერდიშვილმა კოჭლ დევს. — ამ სახლის პატრონები! — დაცინვით სთქვა დევმა და მთემზადა სახლში შესასვლელად, მაგრამ ამ დროს გვერდიშვილმა მოიქნია თავისი ხანჯალი და დევს სული იქვე გააგდებინა. გვერდიშვილი იყო სულთმცნობი. ის მიუბრუნდა თავის მეგობრებს და უთხრა: ჩვენ არ უნდა შევიდეთ ჯერ ამ სახლში, თორემ ჩვენ დავიღუპებით. ამ სახლში ცხოვრობენ სამი მზეთუნახავი ყმაწვილი ქალები. ჩვენ, რასაკვირველია, გავანთავისუფლოთ ასინი, მაგრამ ჩვენი გამარჯვებისათვის უსათუოდ საჭიროა ამ სახლს პატრონების — დევების და მათი დედისა და დების — მოკვლა; დავკეტოთ კარები, ვითომც არასფერი არა მომხდარა და გაეუდგეთ გზას დევების საძებნელად.

ამ სიტყვების შემდეგ ივანემ დევის გვამი ჩააგდო ორმოში. შეჯდა ცხენზე და სამივე მხიარულად გაუდგენ გზას.

იარეს, იარეს და ბოლოს ერთს გძელს ხიდს მიაღწენ. აქ გვერდიშვილმა შეაჩერა ცხენი და მიუბრუნდა თავის თანამგზავრებს: აქ, ამ შუალამეს გაივლი: სამთავიანი დევი, რომელიც, ალექსი, შენ უნდა მოჰკლა. ხვალ ღამეს ამავე ხიდზე გაივლის მეორე ექვსთავიანი დევი, რომელიც შენ, პავლე, უნდა ეცადო მოჰკლა. ზეგ კი შუალამეს მე უნდა მოეკლა რამეფერად თორმეტთავიანი დევი, რომელიც ამავე ხიდზე გაივლის. შემდეგ კი ჩვენ უფრო ადვილად მოვახერხებთ მზისუნახავ ქალების განთავისუფლებას. ეს დასახელებული დევები არიან იმ ციხე-სახლის პატრონები.

ეს სიტყვები რომ გაიგონეს, ალექსის და პავლეს ბევრი აღარ უფიქრიათ, სიხარულით დაეთანხმენ ივანეს გეგმას.

სამივე ყმაწვილი კაცები შევიდენ თავის ცხენებით ტყეში, რომელიც მდებარეობდა ხიდთან ახლო.

სადამოა.

ალექსი შევიდა ხიდის ქვეშ სადარაჯოთ. გვერდიშვილი და პავლე დარჩენ ტყეში ცეცხლთან, რომელზედაც იწვებო-

და ირმის მწვადი. შუალამემდინ ერთი საათილა რჩებოდა, როცა ალექსის დაეძინა, გვერდიშვილმა ეს შეიტყო თავის სულთმცნობობით, შეხტა რაშზე და გააქანა ხიდისაკენ. ხილთან ივანე ჩამოხტა რაშიდან, შევიდა და თან შეიყვანა ხიდის ქვეშ რაში, დაჯდა და დაიწყო დარაჯობა.

თორმეტი საათია, შუალამე.

აჰა, მოდის და მოსტეხს გზაზე ხეებს რალაც უზარმაზარი მშვენიერს რაშზე... ეს იყო სამთავიანი დევი. რაში მივიდა ხიდის თავთან და მოულოდნელად დაეცა წინა ფეხებზე. — აღეკ, შე ოხერო, ივანე გვერდიშვილი ხომ არ შეგხვედრია?! — თუ არ შეგხვედრია, იმასაც გაჩვენებ! — მეხივით დაიძახა ივანემ და ხმალამოღებული გაექანა დევისაკენ. — აჰა, ივანე გვერდიშვილი! — დაიძახა ივანემ და, სანამ დევი მოემზადებოდა თავის დასაცავად, გაჰკრა-გამოჰკრა დევის თავებზე ხმალი და დევის უსულო გვამი გადაადგო მდინარეში.

1 გვერდიშვილი დაბრუნდა ტყეში, მიწვა ცეცხლის ახლო და დაიძინა ამირანსავით. დილას ადრე მოვიდა ტყეში ალექსი და მეგობრებს კითხვაზე: რა ჰქენიო — მიუგო, რომ დევი მოკვალაო.

ივანემ ამაზედ მხოლოდ გაიღიმა.

მეორე ღამეს სადარაჯოდ წავიდა პავლე. ის შევიდა ხიდის ქვეშ და დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ მასაც დაეძინა. ეს გაიგო ივანე გვერდიშვილმა, შეჯდა რაშზე და გაექანა ხიდისაკენ. ხილთან ივანე ჩამოხტა რაშიდან, შევიდა და შეიყვანა თავისი რაში ხიდის ქვეშ.

დადგა შუალამე.

აჰა. მოდის რალაც წითელი, უზარმაზარი. ეს არის ექვსთავიანი დევი. რაში, რომელზედაც იჯდა დევი, მივიდა თუ არა ხიდის თავთან, დაეცა წინ ფეხებზე. — რა ოხრობა დაგემართა რაშო, ივანე გვერდიშვილი ხომ არ შეგხვედრია? — დაუძახა დევმა თავის ბედაურს. — თუ არ შეგხვედრია, იმასაც გაჩვენებ! — შესძახა გვერდიშვილმა და ხმალამოღებული გაექანა დევისაკენ. დიდი ბრძოლის შემდეგ ივანემ გაიმარჯვა და დევის გვამი მდინარეში გადაადგო. წყალი სულ გაწითლდა დევის სისხლისაგან. მეორე ივანე შეჯდა რაშ-

წე და შივიდა თავისი და მეგობრების ღროებით სადგომზე.
 | დილას მოვიდა პავლე და უამბო თავის დიდ „ბრძოლა-
 წე“ ექვსთავიან ღევთან მეგობრებს.



დადგა მესამე ღამე.

ივანე გვერდიშვილმა და მისმა მეგობრებმა კარგად ივა-
 ხშმეს ირმის მწვადით და შემდეგ სამივე შეჯდნენ რაშებზე
 და მივიდნენ ხილთან. აქ ისინი ჩამოხტენ რაშებიდან და ივა-
 ნემ უთხრა თავისს მეგობრებს: შუალამისას ამ ხილზე გაივ-
 ლის თორმეტთავიანი ღევი, რომელსაც მე უნდა შევებრძო-
 ლო და მოვკლა. თქვენ ეხლა დაწეით და მოისვენეთ. თუ
 სისხლმა აგაცურათ ზევით, ჰე, მაშინ დამეხმარეთ ორივემ.—
 ყარგი, ძალიან ყარგი! — დაიბედეს პავლემ და ალექსიმ.
 მიწვენ დასასვენებლად და ცოტა ხნის შემდეგ გაისმა მათი
 ჭვრინეაც — ნიშანი ღრმა ძილისა.

1. შუალამეა. ხიდის იქითურ თავზე წითლად გამოანათა ჯალაცამ და გაისმა გზაზე ხეების მტვრევა. მეორე წუთში გამოჩნდა რაშზე მჯდომი უზარმაზარი თორმეტთავიანი დევი.

1. დევის რაში მივიდა ხიდის თავთან თუ არა, უცებ დაეცა წინა ფეხებზე. — რა მოხდა, რაშო, ივანე გვერდიშვილი ხომ არ შეგხვედრია?! — წამოიძახა დევმა. — აჰა, ივანე გვერდიშვილიც აქ გახლავს! — შესძახა ივანემ და ხმალ ამოღებული გაექანა დევისაკენ. დევი ჩამოხტა რაშიდან, მოიმარჯვა ხმალი და გაექანა ივანე გვერდიშვილისაკენ. ივანემ დაიხია უკან, ნაპირისაკენ, რადგანაც საშიში იყო ხიდზე ბრძოლა ამ საშინელ დევთან.

1. გაიმართა ისეთი ბრძოლა ივანესა და დევს შორის, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყანას არ უნახვს. ივანემ ჰკრა თავისი ხმალი დევის ხმალს და ორივეს ხმლები დაიმტვრენ. მაშინ იტაცეს ცულები და ეხლა უფრო გამწვავდა ბრძოლა. ივანე რამდენჯერაც მოსჭრიდა დევს თავს, იმდენჯერ ორი ძახალი თავი ემატებოდა, ბოლოს ნაჯახებიც დაიმტვრა, ორივემ ხელი ხელს მოჰკიდეს და დაიწყეს სასიკვდილო ჭიდაობა. დევმა აიყვანა ივანე და დასცა მიწაზე. ივანე ჩაიძირა მიწაში ქამრამდე. აისროლა ეხლა ივანემაც დევი მალლა და დევი ჩაიძირა მიწაში კისრამდინ. მაგრამ დევის სიმძიმისაგან, როცა პირველი ჩაიძირა მიწაში, ჩასძირა ივანეც კისრამდინ, რადგან მას არ გაუშვია დევისთვის ხელი. ვერც ივანემ და ვერც დევმა ვერ მოახერხეს მიწიდგან ამოსვლა. სისხლმა ააცურა ზევით ალექსი და პავლე. ივანემ დაუძახა მათ და ამ ძახილზე გაელვიათ.

1. — პავლე, ივანეს უჭირს! აბა, ხმლები და მივეშველოთ! — და ორივენი გაექანენ. ივანე ამოიყვანეს მიწიდან, მისცეს ხმალი და მივადენ თორმეტთავიან დევთან.

1. — აბა, პავლე, ცეცხლი დაანთე და ნაცარი მოიტა! — დაიძახა ივანემ. გაჩაღდა ცეცხლი და ხუთი-ექვსი წუთის შემდეგ პავლემ ნაცარი მოარბენინა. — მე რომ მოვჭრი დევს თავს, — უთხრა ივანემ თავისს მეგობრებს, — თქვენ მაშინვე მოაყარეთ ნაცარი კისერზე!

1. ალექსი და პავლე ასეც მოიქცენ და არ გასულა ორი წუთიც, დევი მოკვდა.

დილას გვერდიშვილმა უთხრა მეგობრებს, რომ დევე-
ბის დედა როკაპი გამოედევნება მათ და, თუ ისინი დროზე
ვერ უშველიან თავს, დაიღუპებიან. სამივემ შეკაზმეს რაშე-
ბი და გაემგზავრა სამკედლოსაკენ, რომელიც ძალიან შორს
იყო და ოდნავად მოსჩანდა დიდ ველზე. ივანემ და მისმა
მეგობრებმა გააჭიანეს რაშები და რამდენიმე წუთის შემდეგ
ივანემ უკან მოიხედა და მიუბრუნდა თავის ამხანაგებს: აბა
გამოიხედეთ უკან, ხომ არ ხედავთ რასმეს? — რალაც პატა-
რა, ჩიტის ოდენა-ლა მოსჩანს, — სთქვა ალექსიმ. — ეს რა-
ლაც თანდათან იზრდება და ჩვენსკენ მოეჩქარება. თითქო
ჩვენი დაჭერა ჰსურს, — წამოიძახა გაკვირვებულმა პავლემ,
როცა გავიდა რამდენიმე წუთი და უკან მოიხედა.

1 — ეს როკაპია, — სთქვა ივანემ. — თუ ჩვენმა რაშებმა
ვერ გვიშველეს, მაშინ ჩვენ მისი სადილი გავხდებით!

1 — აბა, დაუჩქარეთ, ბიჭებო! — ცოტა ხნის შემდეგ
ცხენოსნების უკან დეხების ბრაგაბრუგუნნი მოისმა. პავლემ
პირველად მოიხედა უკან და დაიძახა: როკაპი! როკაპმა
ერთი ჩაისუნთქა ჰაერი და ალექსი და პავლე თავის ცხენე-
ბით ჩაყლაპა იმ საშინელი პირით, რომლის შეხედვით კაცს
სული კოჭში ჩაუვარდებოდა. გადარჩა მხოლოდ ივანე, რად-
განც მისმა რაშმა ფეხი წაჰკრა ქვას და ძირს დაეცა. სანამ
როკაპი დაინახავდა, ივანემ ააყენა რაში და შეხტა თავისი
რაშით დიდს სამკედლოში.

1 — აბა, თუ ღმერთი გწამს, ერთი დიდი რკინა გაახურე!
როკაპი მომდევს. თუ გკითხოს... — შედი იმ ოთახში, მე ვიცი
რასაც ვეტყვი, — გააწყვეტინა სიტყვა ივანეს მკედელმა.
ივანე შევარდა ოთახში და მკედელმა დაიწყო რკინის გახუ-
რება. — კაცი ხომ არ გინახავს აქ ახლომანლო? — ჰკით-
ხა როკაპმა მკედელს. — არა, არა, ბატონო როკაპო, — მიუ-
გო მკედელმა. როკაპი მოსცილდა სამკედლოს. მკედელმა
გახურებული რკინა მისცა ივანეს.

— უზომო დიდ მადლობელი ვარ, გულკეთილო მკედე-
ლო, — უთხრა ივანემ მკედელს და დასტაცა გახურებულ
რკინას მარწუხით ხელი, გამოვიდა გარეთ და როკაპს პირ-
ში ჩაუგდო ეს რკინა. — გამოაგდე ჩემი მეგობრები პირი-
დან, თორემ უარესს დღეს დაგაყენებ! — დაუძახა ივანემ

როკაპს. სამი მზისუნახავი ქალებიც გამოაგდე, თორემ მოვიდა შენი აღსასრულის დღე!

როკაპმა გამოაგდო პირიდან ალექსი და პავლე მათი რაშებით, სამი მზისუნახავი ქალი და მრავალი სხვა კაცები და ქალები. ყველამ დიდი მადლობა გადაუხადა ივანეს და გაემგზავრნენ თავთავის სახლებისაკენ.



ივანემ წაჰკრა როკაპს თავისი ახალი ხანჯალი, რომელიც მკედელმა აჩუქა და როკაპის უსულო გვამი დაეცა მიწაზე.

სამი მზისუნახავი აღმოჩნდნენ სამი მეფის ქალიშვილები.

ერთმა ქალიშვილმა, რომელიც ყველაზე ულამაზესი იყო, უამბო ივანეს და მის მეგობრებს შემდეგი: ჩვენ ვართ, — ასე დაიწყო მან, — სამი მეზობელი მეფეების ქა-

ლიშვილები. ჩვენი მამები ძალიან დიდი შეგობრები იყვნენ. ჩვენც, მათი შვილებიც დავმეგობრდით. ერთხელ, როცა სამივე ერთად ვიყავით მამაჩემის ბაღში, მოფრინდა ერთი დიდი არწივი და სამივენი წაგვიტაცა პაერში. რამდენიმე წუთი და ჩვენ უკვე ვიყავით დევების სახლში. აქ არწივი იქცა როკაპად და ჩვენ, საბრალონი, ჩაგვამწყვდიეს ციხეში, რომელიც მიწის ქვეშ იყო. ჩვენი სიცოცხლე ისეთი მწარე იყო, რომ თავის მოსაკლავად ხანჯალსა ვტაცეთ ხელი, მაგრამ შემოგვივარდებოდა როკაპი და ცემა-ტყეპით გვიმასპინძლდებოდა. მას მისი საშინელი შვილების საცოლეებად ვუნდოდით. დღეს დილას შემოვარდა ჩვენს ოთახში როკაპი და დაგვიყვირა: ჩემი გულიანი შვილები მომიკლა ივანე გვერდიშვილმაო, იმათ უნდათ თქვენი განთავისუფლება და ცოლად შერთვა (აქ ქალი გაწითლდა), მაგრამ ამას ისინი ვერასოდეს ვერ მიაღწევენ! და ჩვენ გადაგვყლაპა. დანარჩენი თქვენც იცით, გმირებო.

მეორე კვირას ამ ქალის მამის სამეფოში გამართული იყო დიდი სეფა. იქ იყვნენ ამ ქალების მამებიც. ივანე დაქორწილდა ყველაზე უმშვენიერეს ქალზე და ალექსი და პავლე კი ორი დანარჩენი მეფის ქალებზე. ივანემ და პავლემ მიიღეს ნახევარ-ნახევარი სამეფოები და თავიანთი სამართლიანი მართვა-გამგეობით გააკვირეს მთელი ქვეყნიერება. ალექსი, ახალგაზრდა ცოლით და აუარებელი მზითევით, დაბრუნდა სამშობლოში. მამა დიდი სიხარულით მიეგება შვილსა და რძალს და დაუთმო შვილს თავისი სამეფო ვერგვინი.

ჰია-ჰია-ჰიანური,
ამის გამგონ მხიარული.

ბოლოლა

იყო ერთი ხელმწიფე. ცოლი ჰყავდა და შვილი კი არ ეძლეოდა.

ერთს დღეს მეფე საგონებელს ჩავარდა, გამოვიდა სასახლის აივანზე, სავარძელზედ დაჯდა და მიეცა ფიქრს.

ამ დროს გამოიარა ერთმა ზანგმა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევე, რას დაფიქრებულხარ? ხელმწიფემ უპასუხა: რას დავფიქრებულვარ და აგერ ოთხმოცი წლისა ვარ და შვილი არა მყავს; ვფიქრობ, ეს ჩემი სახელმწიფო ვის ჩავაბარო. კარგი, დიდებულო ხელმწიფევე, მე ისეთს წამალს მოგცემ, რომ სამ წელიწადში სამი შვილი გეყოლოს, ერთი მე და ორი თქვენაო.



ხელმწიფემ უბრძანა: ოლონდ შვილი გეყოლოს და ორი შენ და ერთი მეო. — არა, ბატონო, ერთი მე და ორი თქვენაო, — მოახსენა ზანგმა.

ეყოლა. თუ სხვანი წლითა და თვით იზრდებოდნენ, ისინი კვირათა და დღითა.

შვიდი წელიწადი რომ გავიდა, მოვიდა ზანგი და მოახსენა ხელმწიფეს: აბა, პირობაზე როგორა ხარო. — მე ძალიან კარგად ვარ და არც ჩემს პირს გადავალ, რომელიც ვინდა, წაიყვანეო

დაიბარა უფროსი შვილი და უთხრა. აი შვილო, მე ოთხმოცი წლისა ვიყავი და შვილი არა მყავდა, მერე ამ კაცმა ისეთი წამალი მომცა, რომ სამს წელიწადში სამი შვილი მომეცა და პირობა კი ისე გვქონდა, რომ ამ სამ შვილში ერთი ამისათვის უნდა მიმეცა და უნდა უენ გაჰყვეო. ვაჟმა უთხრა: აქედან გამეცალოს, თორემ ასეთს წამალს მივცემ, გზა ველარ გაიგნოსო.

მეორემაც ასე უთხრა:

ბოლოს დაიბარა უმცროსი შვილი. უმცროსმა შვილმა მოახსენა: რა უშავს, მამა, ეგეც ადამიანია და თქვენცა, გაყვებიო.

გამოესალმა დედ-მამას და გაჰყვა.

ზანგი შეჭდა ცხენზე და ყმაწვილი უკან შემოისვა და უცებ გაჰქრა. ზეფემ და დედოფალმა ტირილი დაიწყეს: ნეტავი ან გვარი გვეკითხა ან სახელი, თუ ცოცხალს ველარ ვნახავდით ჩვენ შვილს, მკვდარი მაინც გვეპოვნათ.

ამასობაში ზანგმა იარა, იარა და მივიდა ბინაზედ. მეფის შვილი ცხრა კლიტულში შეიყვანა და უთხრა: დაჯე შვილო, სადილს მოვიტან და ერთად ვჭამოთო.

ზანგი გამოვიდა, ცხრა კარი დაკეტა, გასაღები და ერთი დანა თავის დედას გადასცა და უთხრა: ცხრაკლიტულში ერთი ცხვარი დავამწვდიე და ეგ დანა სამი დღე და ღამე ღლესე, ის ცხვარი დაჰკალ და მუჟუჟეად ჩასდეო.

დედაბერმა სამი დღე და ღამე ღლესა ის დანა, მეოთხე დღილა რომ გათენდა, ადგა ცხრაკლიტული კარები გააღო და სთქვა: სად ხარ ჩემი შვილის მოყვანილო ბატკანო, უნდა დაგკლაო. მეფის შვილი გამოვიდა და ჰკითხა: რა იყო დედიო.

დედაბერმა უპასუხა: დედა არ გეთქვა, ეს დანა შენთვის მომქონდა, ყელი უნდა გამომეჭრაო.

მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა. აჰამა პური, მასუკან ბოსიელში შეგზავნა და უთხრა: რომელი რაშიც მოგეწონოს, გამოიყვანე, შეჭეჟ და წადიო. მისცა სამი ნივთი: სავარცხელი, ერთი შუშა ზეთი და სალესავი ქვა.


მეფის შვილი წავიდა. გზაში რაშმა უთხრა: ზანგი რომ ეხლა რაშზე ზის, ის რაში დედაჩემი არის. ვიცი, გამოგვიდ-

გება, ეტყვის ზანგს: შენი მოყვანილი მეფის შვილი წავიდა, ჩემს შვილზე ზის და ისე მიდის. ააღ-მალ მიიხედე უკან, თორემ დაგვეწევა და დაგვიჭერს, შენც მოგკლავს და მეცაო. დედაჩემი რომ გამოჩნდეს, სავარცხელი გადააგდე და ატყდება ტყეო. სანამ იმას გაკადავს, ჩვენ კარგა გზას გავივ-



ლითო. მერე თუ კიდევ დაგვეწიოს, გადააგდე სალესავი, ამო-სკდება კლდე. სანამ ამ კლდეს გასტეხს, კიდევ კარგა გზას გავივლით და, თუ კიდევ დაგვეწიოს, უკან-უკან აქციე ზეთი, ერთი წვეთი წინ არ გადმოგივარდეს, თორემ გაჩნდება ზღვა და ზღვასა და ზღვის შუა მოვემწყვდევითო.

მიიხედა უკან მეფის შვილმა და უთხრა თავის რაშს: ბუ-
ზის ტოლი მოსჩანსო. — მაშ ჯერ გზას გავყავლიო. მიდიან. —
აბა კიდევ მიიხედეო. მიიხედა და უთხრა: არიქა, ხელი მტა-
ცაო. — გადააგდე სავარცხელიო. გადააგდო სავარცხელი
და წავიდა. გაჩნდა ტყე.



i კარგა გზა რომ გაიარეს, რაშმა უთხრა: აბა მიიხედეო.
მიიხედა და უთხრა: ბუზის ტოლი მოსჩანსო. — მაშ ჯერ
კარგა გზას გავივლიო. მიდის ყმაწვილი. რაშმა უთხრა: აბა,
კიდევ მიიხედეო. მიიხედა და უთხრა: არიქა, ხელი მტაცაო. —
გადააგდე სალესავიო. გადააგდო და გაჩნდა კლდე.

გაიარეს დიდი გზა და რაშმა უთხრა: მიიხედეო. — ბუ-
ზის ტოლა მოსჩანსაო. გაიარეს კიდევ კარგა გზა. — აბა, მიი-
ხედეო, — უთხრა რაშმა.

• მიიხედა და უთხრა: არიქა, ხელი მტაცაო. — უკან-უკან აქციე ზეთიო. ყმაწვილმა უკან-უკან აქცია ზეთი. ერთბაშად აიქნია შუშა და ერთი წვეთი კი წინ გადმოუვარდა.

• დარჩნენ ზღვასა და ზღვის შუა. რაშმა უთხრა: ჩამოხტი, ახლა დავისვენოთო. ყმაწვილმა რაში გაუშვა და თვითონ წამოწვა. ზანგი კი სცემდა რაშსა: ზღვაში გადი, უნდა დავიპირო მეფის შვილიო. — ვერ გავალ, შენც დაიხრჩობი და მეცაო, — უთხრა რაშმა. ზანგი მაინც სცემდა: უნდა გახვიდე, არ შეიძლებაო.

მეფის შვილის რაშმა დედას დაუძახა: კარგი, აღარა გრცხვენია, რომ მეც მომკალი, შენი თავიც მოიკალი. ახლა გატრიალდი უკანვე, თორემ თქვენი გამოსვლა და დახოცვა ერთი იქნებოდა. რაშმა უთხრა ზანგსა: აგერ რას მიქადის ჩემი შვილიო. ადგა ზანგი და უკან გამობრუნდა. მაშინ რაშმა უთხრა მეფის შვილსა: ადე, შემკაზმე და ისე მომიპირე მოსართავეები, რომ ხელი შემომხვიო ზედაო. ყმაწვილმა შეკაზმა, შეჭდა. რაში შეცურდა ზღვაში და გავიდა მეორე ნაპირს.

• მიდიან გზა-გზა და დაუღამდათ. რაშმა უთხრა ყმაწვილს: ხედავ სინათლეს, ნეძსის ყუნწის ოღნავ რომ მოსჩანს? მეფის შვილმა დაიხაზა. აი, იმდენი უნდა ვიაროთ, რომ იმ სინათლესთან მივიღეთო.

• იარა ბევრი და მივიდნენ. იქ დახვდათ რვა ძმაკაცი. დიდი ცეცხლი ენთოთ, ზედ ედგათ საარაყე ქვაბი, ზორციო სავსე. გადმოხტა მეფის შვილი. მიიხედ-მოიხედა, დაინახა რვა ძმაკაცი ნაბადში გახვეული და გვერდით ცხენებიც ებათ. მისწივ-მოსწია და თავისი რაში შუაში ჩააბა, დაუყარა თივა ქერი, თვიტონ მივიდა ცეცხლთან, საარაყე ქვაბი ნეკებით გადმოდგა, ამოიღო ზორცი, შეჭამა რამდენიც უნდოდა, მერე თვითონაც შუაში ჩაუწვა რვა ძმაკაცს. დილა რომ გათენდა, აიშალნენ, თავ-თავიანთ ცხენებს მისცვივდნენ. ნახეს ერთი ცხენი მეტი იყო და გაუკვირდათ: ეს ვილასიაო. მერე ნაბდებო დასინჯეს და ნახეს კაცი იწვა. მოვკლათო, — უთხრეს ერთმანეთს. უფროსმა ძმამ სთქვა: გაიღვიძოს და ვნახოთ, რას იტყვისო.

• შუა ღლე გადავიდა და კიდევ ეძინა.

ბოლოს წამოდგა, მიიფშენიტ-მოიფშენიტა თვალეზი და უთხრა ყველას: გამარჯობა ძმებო. სალამი მისცეს და უთხრეს: გამარჯობა კი, მაგრამ აი, იმ ბაირალს ხედავ, იქ რომ არჭვია და ცისტვის წვერი მიუბჯენია? კაი ბიჭი იქნები, იქ ახვალ; ზევით რომ ბალდადია, მოხსნი და ჩამოიტან. თუ ვერ ჩამოგიტანია, თავს მოგჭრითო. — მეტს ნურათფერს შემომიკვეთავთ და მაგას ამ საათში შევასრულებო, უთხრა მეფის შვილმა. გაიხადა ფეხთა, ავიდა და მოხსნა ბალდადი. ძმებს გაუკვირდათ: თხუთმეტი წელიწადია ამ ბალდადს დაეტრიალებთ, ვერ მოგვიხსნია და ის როგორ ხსნისო.

ბოლოს მეფის შვილმა სრულებით მოხსნა ბალდადი, დაკეცა, ჩაიდო ჯიბეში და ჩამოსვლა დააპირა. ამ დროს წივილ-კივილით წამოვიდა ზემოდან ქალი, დააფრინდა და მალა აიტაცა.

ვაჟმა იმდენი ღონე იღონა, რომ ქალს თმაში წაავლო ხელი. გაჩნდა საშინელი ბრძოლა. ბოლოს ვაჟმა აჯობა, ქალს მარჯვენა ოქროს ქოშიც წაართვა და მერე ძირს დაეშვა გამარჯვებული. — წავიღოთ და ქოში გავყიდოთ, — უთხრეს ძმაკაცებმა.

წაიღეს გასასყიდად ეს ქოში. შეხვდათ ურია, გამოართვა ქოში, შინჩვა დაუწყო და უთხრა: ეს ხომ ჩემი ცოლის ქოშიაო. წაიყვანა რვა ძმა და დააჭერინა. — მაშ კარგიო, — უთხრა მეფის შვილმა: მე წავალ და ვადაც დამიდე სამი წელიწადი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე, სამი საათი, სამი წამი. თუ ამ დროზე მოვედი და ამ ქოშის ცალიც მოვიტანე, ხომ კარგი, თუ არადა, ეგენი დაახრჩე.

მეფის შვილი წავიდა, დაინახა, ერთ ადგილს ჯარი რადასაც ეხვია. მივიდა და ჰკითხა: რა ამბავიაო. — ეს ერთი მეფის შვილია, თხუთმეტი წელიწადია ერთი ჯადოქალი მოდის, ღღისით ქვად გადააქცევს და ღამით აცოცხლებს, გათენებინას კი ხელახლა აქვავებსო.

მეფის შვილმა უთხრა: ცოცხალი რომ გაჩვენოთ, რას მომცემთო.


ეს რომ გაიგონეს, გაიქცნენ მეფესთან და მოახსენეს: ესეთი კაცი გამოჩნდა, თქვენი გაქვავებული შვილის გამოცოცხლებას ღამობსო.

დაიბარეს მეფის შვილი.

ადგა და მოვიდა, მეფემ ჰკითხა: თქვენ გამიცოცხლებთ ჩემს შვილსა, თვალთ მაჩვენებთო.

მეფის შვილმა მოახსენა: დღესვე ერთი ოთახი დამიდგით, ორი სარკმელი და ორი კარი დაატნეთ, შიგ ტახტი, დადგით და ზედ ის გაქვავებული ვაჟი დაასვენეთო.

გაუკეთეს ისე, როგორცა სთქვა.



ბოლოლამ, ეს სახელი ერქვა მეფის შვილს, კარი ცოტა ღია დასტოვა, თვითონ ტახტ ქვეშ შეძვრა. მოვიდა ქალი, გამშალა კარი და შევიდა, მიიხედ-მოიხედა, არავინ დახვდა. ამოიღო ჯიბიდან სამი წკებლა, დაარტყა ერთი, შეინძრა, დაარტყა მეორე, შეინძრა, მესამე რომ დაარტყა, ყმაწვილი გაცოცხლდა. გათენებისას ისევ გააქვავა. ბოლოლა გამოძვრა ტახტის ქვეშიდან და ნახული დაისწავლა.

მეორე ღამეს კიდევ უდარაჯა.

ქალი მოვიდა, წკებლები რომ ხელში აიღო, ბოლოლა მიფარდა და წაართვა.

ქალ-ვაჟმა იმდენი იომეს, რომ ვაჟს კაბის ნაჭერი ხელში შერჩია.

ბოლოლამ დედ-მამასთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა: მოდით, თქვენი შვილი ნახეთო.

ამოიღო წკებლები, დაარტყა. ერთი დაარტყა და შეინძრა, მეორე დაარტყდა და შეინძრა, მესამე რომ დაარტყა, ყმაწვილი წამოვარდა და ბოლოლას გადაეხვია, დაუწყო კოცნა. — არ შეგეშინდეს, მე ვარო, — უთხრა ბოლოლამ და პკითხა: რამდენი წელიწადია, რაც ეგრე ხარო.

იმან მიუგო: თხუთმეტი წელიწადია, რაც ამ ყოფაში ვარო. — დედ-მამა არ გინახავსო? — არაო. — გინდა გაჩვენოვო? — როგორ არ მინდაო.

დედ-მამა შემოცვივდნენ, მოეხვიენენ ბოლოლას და კოცნა დაუწყეს: მეფედ შენ უნდა დავსვათ და შვილიც შენ იქნები ჩვენიო. — მე მეფობა არ მინდა, — უთხრა ბოლოლამ, — მომეცით ექვსი გემი პური, სამი დაფქული და სამი ცდასაფქვავეი.

ყმაწვილის დედ-მამა დიდ უარზედ იყო, მეტის ღირსი ხარო, მაგრამ ბოლოლა თავისას არ იშლიდა.

აიღეს და მისცეს ექვსი დატვირთული გემი. თვითონ უკანა გემში ჩაჯდა და გაუდგა ზღვას. ზღვის ნაპირსა ის ქვეყანა იყო, სადაც ერთ დროს ცხოვრობდა ზანგი. შუა ზღვაში რომ შევიდა, შეიტყო, რომ გემი იღუპება, ძირს მიდის ბოლოლა გადახტა წინა გემზე, ჩაიხედა ზღვაში და დაინახა, რომ ქალმა შუბი ამოატაკა. ბოლოლა სწვდა მაჯაში, შუბიც წაარძვა და სამაჯურიც წააძრო მაჯიდან. გაიტანა გემი და გავიდა ნაპირს. პური ზოგი გაყიდა და ზოგი მშიერ ხალხს დაურიგა.

ბოლოლამ სთქვა: წავალ, ერთი ვნახავ, ზანგი ცოცხალია, თუ არაო. მივიდა ზანგის სახლში, შევიდა ცხრაკლიტულში, მიიხედ-მოიხედა, არავინ დახვდა. კარში გამოვიდა და ნახა, რომ ერთი ბებერი კაცი მოდის. — შენ ის შეჩვენებული ზანგი იქნებიო, — სთქვა ბოლოლამ, შემოჰკრა და იქვე მიწაზე გაამტვერა. შევიდა ისევ იმ სახლში, ნახა გაშლილი სუფრა და ზედ სამი კერძი და სამი ხელადა ღვინო, თითო-თითო ჭიქაც უდგა თითო კერძს. სამივედგან თითო ლუკმა შექამა, სამი ჭიქა ღვინოც დალია და მერე ტახტ ქვეშ შეძვრა.

სამი ქალი გამოვიდა ოთახიდან და საკმელად დასხდნენ. უფროსმა სთქვა: ჩვენ კერძს აკლიაო. დანარჩენებმაც იგივე სთქვეს. დაიწყეს ჭამა. დაასხა უფროსმა ქალმა ერთი ჭიქა ღვინო და სთქვა: ღმერთმა აცოცხლოს ის ყმაწვილი, ბაირაღიდან რომ ბაღდადი ჩამოხსნა და მე ფეხიდან ქოში წამაძრო და წაიღო. — ამინო, — გაიმეორეს და დალიეს.

დაისხა შუათანამ: ღმერთმა აცოცხლოს ის ვაჟი, თხუთმეტი წელიწადი ერთს ყმაწვილს რომ ღამე ვაცოცხლებდი და დღე ვკლავდი და იმან გაანთავისუფლა. — ამინო, — სთქვეს.

ახლა მესამე ქალმა დაიძახა: თხუთმეტი წელიწადი ერთი მხარე მშიერი მყავდა და მეორე მაძლარი, ზღვაში გემებს ეღუპავდი და ერთმა ყმაწვილმა კი ისეთი საქმე დამმართა, რომ შუბიცი მომტაცა და სამაჯურიც წამაძრო მაჯიდან. ღმერთმა აცოცხლოს ის ყმაწვილი. — ამინო, და დალიეს ეს მესამეჯერაც.

რა დალოცეს, ბოლოლა გამოძვრა ტახტის ქვეშიდან, მივიდა სუფრასთან, ერთი ჭიქა ჭვინო დაისხა და ზადლობა გადაუხადა სადღეგრძელოსათვის. უფროს ქალს ქოში მიართვა და ბაღდადი, შუათანას წკეპლები და კალთის ნახევი და უმცროსს შუბი და სამაჯური.

მისცვივნენ სამივე ქალები: არა მე უნდა შემირთო, არა მეო. — მომეცით ამ ქოშის ცალი და მე თქვენ პატრონს გაგიჩინო.

• გააღეს ოთახი და მისცეს ერთი ცალი ქოში.

• ბოლოლამ ქოში წაიღო, მივიდა რვა ძმასთან სწორედ იმ დროს, როდესაც კიდევ უნდა დაეხრჩოთ.

ბოლოლამ უთხრა: აი მოვიტანე ცალი ქოშიც და ამ ჩემს ძმებს ნულარ დასჯითო.

მერე ბოლოლა ქალებთან დაბრუნდა, გამოიყოლა სამივე ქალი, მივიდა შინ და უფროსი ქალი უფროს ძმას მიათხოვა, შუათანა — შუათანას და ბოლოლა თვითონ ბოლოლამ შემირთო.



იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხენმწიფე და ჰყავდა ორი შვილი. უმცროსს ერქვა გოგია და უფროსს სიმონაი. ხენმწიფე რომ მოხუცდა, დაიბარა ორივე შვილი თავის კოშკში და უთხრა: მე, შვილებო, მოვხუცდი, ამ სიბერის დროზე თვალსაც დამაკლდა და ყურსაც, სახენწიფოს შართვა-გამგე-

ობა მე არ შემიძლია და ხენწიფეთ უნდა ვაკურთხო ჩემი უმ_
ფროსი შვილი სიმონაი. სიმონამ თუ ვერ შესძლო მართვა-
გამგეობა სახენწიფოსი, მაშინ შენ გეკუთვნის უმცროსო
შვილოვო. თუ თქვენ ჩხუბი მოგივათ, მაშინ ისევ მე ვიქ-
ნებიო. ორ ნაწილათ სახენწიფოს ვერ გავყოფ, იმიზა, რომ
მტერი უფრო ადვილათ მოგერევათო. აბა, მოიტანეთ ორი-
ვემ თავ-თავის ისარი და ვნახოთ თითო-თითოთ, რაფერი აღ-
ვილი იქნება მისი გადატეხა, ახლა შევკრათ ორივე ერთათ
და ვშინჯოთ რაფერი ძნელი იქნება მისი გადატეხაო. დაი-
ბარა ხენწიფემ თავისი ხუთა ვეზირი და უბრძანა, რომ ტახ-
ტზე აღის ჩემი უფროსი შვილი სიმონაი და დღეიდან თქვენ
უნდა ემორჩილებოდეთ მის ბრძანებასო. ამას იქით მას ეკუ-
თვნის, მას აქ უფლება სახენწიფოსი მართვა-გამგეობისაო.



აი რომ მამამ თქვა, უმცროს შვილს გოგიას რაცხამ რე-
ნჩხა გულში. — შენ მე კაინათ გადამაქციეო, — უთხრა მა-
მას, — გაკუქდა და გავიდა გარეთ. მამამ უთხრა: ასე თქვენ
მაინც ვერ შერიგდებითო, მარა მე რომ გითხრა, ისთე მო-

იქეცითო. აბა, დამიგდეთ ყური ორივემ და იმისანა ამბავს
 რეტყვით, იმისანას, რომ ორივე გაკვირდეთო. მე, შვილებო,
 მოხუცებული კაცი ვარ, ცალი ფეხი მიწაში მიდგია
 და ცალი ზეით. ჩემ მამას ჰყავდა ორი შვილი, ერთი
 უძირო ზღვაში დაირჩვა და ერთიც მე ვარო. რა-
 ფერც თქვენ მოგივიდათ ჩხუბი, ისთე მოგივიდა, ჩვენ-
 ცო . მამაი რომ მოხუცდა, დაგვიბარა ორივენი და
 გვითხრა, რომ უფროსი შვილი უნდა ავიდეს ტახტ-
 ზეო. უფროსი მე ვიყავი და მე. ჩამაბარა ხენწიფობა.
 უმცროსო არ დაგვეთანხმა. ატყდა ერთ დიდი გირგლი და
 მამამ იფიქრა: აგინი ერთი-ერთმანეთს მოკლავსო და მოგვან-
 დო ერთი სისხლივით ვარდის კონა. ერთ ზღვას გაღმა ერთი
 წითელი ვარდია, ვინც იქინეო გავა, ამ ვარდს მოწეკვს და
 მომიტანს, მას ეკუთნის ხენწიფობაო. ჩვენ მაშინათე წა-
 ვედით იქით. ვიარეთ, ვიარეთ და მივედით ერთს ალაგას.
 ორივე ძალიან დავილაღეთ. მე ვუთხარი, რომ ორივეს ქვშია
 და კიდევაც ღამდება, მე მოვიციდი აქანაი და შენ წადი სა-
 ნადიროთ-მეთქი. ჩემი უმცროსი ძმა მაშინვე წევიდა სანა-
 დიროთ. დიდი ხნის სიარულის შემდეგ მისულიყო ერთს ალა-
 გას. იქინეი თურმე იმისანაი სიცხე ყოფილიყო, რომ სულ
 იწობოდა ყოლიფერი. ამ დროს კიდევაც დაღამებულიყო. იმ
 ქვეყანას ხეი არ ყოფილიყო არსად. რა ექნა ძმას?! გეიხე-
 და თურმე ერთი მხარისკენ და დეინახა, რომ მიწიდან ფუტი
 ამოდის. იარა, იარა თურმე და მივიდა იმ ალაგას, სადაც
 ფუტი ამოდიოდა. მოუტრიალდა და თურმე განის კარი ქო-
 ნებოდა. მისულიყო ამ კართან და დაეძახა: მაინძელიო. ამ
 სიტყვის დაძახებაზე ვინცხამ გაალო თურმე კარი. გამოვიდა
 ერთი ქალი თურმე, მარა არ იტყვი რაფერი? იმფერი ლა-
 მაზი, იმფერი ლამაზი, რომ ქვეყანას გადარევიდა თურმე.
 მარა ჩემი ძმაიც ძალიან ლამაზი იყო. ამ ქალს ისთე მოწო-
 ნებოდა ჩემი ძმაი, რომ კელამ გადარეულიყო. შესულიყო
 ჩემი ძმა მზისუნახავის მიწის სახლში და ორივეს ძალიანი
 შესიამოვნებინ თურმე. მარა ვაი უბედურობას! თურმე ამ
 მზისუნახავის ქმარი მდევია და იგი რომ მოსულიყო, ერთ
 დამწლაქუნებაზე გადაყლაპავდა ჩემს ძმას.

მე კი უცდიდი, უცდიდი, მარა არსად არა სჩანდა. გე-
ფიდა ერთი ღღეი, ორი ღღეი და მესამე ღღეს მოვიდა ჩემი
ძმაი. მე კი შიმშილით კვტარი ვიყავი. მან მოიტანა ერთი
აღმასის თვალი, რომელიც იმ მზისუნახავს ეჩუქებია. უთხრა
და მაშინათე გააჩინა საკმელი. ჩვენ ვივახშმეთ და მერე კი
ღღეიძინეთ. დილას ადრე ავღექით, მოვეწყვეთ და წავედით
შამაჩემის სიტყვის შესასრულებლად. ვიარეთ, ვიარეთ და მი-
ვედით ერთ უკიდო ზღვის პირზე. ამოიღო ჩემმა ძმამა ალ-
მასის თვალი, ახსენა ნავი და იმ წამში ნავი გაჩთა ჩვენთან.
ჩავექეთ ნავში და წავედით.



1) ვიარეთ, ვიარეთ და მივედით შვა ზღვაზე, მარა ვაი შენ
მტერს, ამოვარდა ქარბუქი, იმისანაი, იმისანაი, რომ ავი
ჩვენი ნავი თავზე კილამ დაგვახურა როგოსავით. გამოვართვი
ჩემს ძმას აღმასის თვალი, ვახსენე დარი, მარა სანამ დარი
გამოვიდოდა, ჩემი ძმა კი გადავარდა აღელვებულ ზღვაში და
დაიღჩვა. მე კი აი ახლა გადავარდე, აი ახლა, მარა მომისწრო
დარმა და გადავრჩი. წინ წასვლა არ შეიძლებოდა, რადგან,

ჯერ ერთი, რომ შორე იყო, მეორე, კი დამაგვიანდა და მეც თავს აღარ ვილუპავდი. გამოვბრუნდი ისევ უკან. შინ რომ მოვედი, ყველაფერი მამაჩემს ვუთხარი. მამაჩემმა კი მე მაყურთხა ხენწიფეთ. აღმასის თვალი რომ მივუტანე, ძალიან გაუხარდა მამაჩემს, მარა ერთხელ ამ და ამ ხენწიფე დაგვეცა უცეფ თავზე თავის ჯარით, მეტი ვეფერი და იგი აღმასი წამართვა. ვინც იმ აღმასს იშონის, იმას შეუძლია იმ სისხლივით წითელი ვარდის შონაო. ასეთე იყო საქმე, ახლა თქვენ ორში ვინც იშონის იმ ვარდს, იმას ეკუთვნის ხენწიფობაო.

• ორივე შვილი დაეთანხმა მამის სიტყვას და წავიდენ. მამამ უთხრა: ორივემ ერთათ არ წახვიდეთო.

• ერთი — უფროსი წავიდა პირდაპირ იმ ზღვისკენ, მეორე კი პირდაპირ იმ ხენწიფის კოშკისკენ, რომელშიაც ეგულვებოდა აღმასის თვალი. მივიდა ამ ხენწიფის შვილმა იმ კოშკთან, ლტრიალა, უტრიალა და შესავალი კარი ვერ უნახა, მერე დაბრუნდა უკან და მას შემოეყარა გზაზე ერთი ქალი. ხენწიფის შვილმა უთხრა ამ ქალს: შენ თუ ამ ხენწიფის კოშკის ასავალ კარებს მასტავლი, ათ ოქროს მოგცემო.

• ქალმა უთხრა: მე რა ვიცი, ჯუჯუავ, აგი უნდა იცოდეს ერთმა მალაზონმა. იგი მალაზონი ამ და ამ უდაბნოშიაო. წამოვიდა ამ ხენწიფის შვილმა უდაბნოსკენ. იარა, იარა და გზაზე დეინახა, რომ მელამიას დასევია ბუიორა ჩიტები და წიწკნავენ. ხენწიფის შვილს შეეცოდა მელამიას! და ჩიტებს ქვა ესროლა. გადაფრინდენ ჩიტები. მელამიამ უთხრა ხენწიფის შვილს: რადგან შენ გადამარჩინე სიკვდილს, აი ჩემი ფთაი, რომ გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე, მე იმავე წამში იქინეი გავჩიდები და გაჭირვებას გადაგარჩენო.

ხენწიფის შვილმა იფიქრა: თუ ისე წახთა ჩემი საქმე, რომ მელამიას გადასარჩენი შევიქენი, ჩემ საქმეს მაინც საშველი არ ქონიაო. კაი, რაც იყო, იყო. გამოართვა მელამიას ფთაი და გზას გაუდგა. იარა, იარა და მივიდა ერთ ალაგას. გეიხედა, რომ აგერ თავს მისდევს ერთი კატა. ხენწიფის შვილმა შეუძახა — ცაცხაო. კატამ მაშინათე მოშორდა თავს და თავი გადარჩა სიკვდილს.

თავგმა უთხრა: რადგან შენ გადამარჩინე სიკვდილს, აი ჩემი კუდის ნაწყვეტი, გამომართვი და თუ გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენეო.

ხენწიფის შვილმა იფიქრა: ბიჭო, რა დამემართა აგი საშინელი, ჩემი საქმე თუ მელამიაზე და თავგზე არის დამოკიდებული მაინც უსაშველო ყოფილაო. გამოართვა თავს კუდის ნაწყვეტი და წავიდა. პატარაი რომ კიდევ გეიარა, უცბათ ფხიჭვას დააბიჯა ფეხი და კალამ გაჭარჭყა ელანძე. ფხიჭვამ უთხრა: თუ არ მომკლავ, გაჭირვებ-ს დროზე გიშველიო. ხენწიფის შვილმა გეიცინა ერთი და გაანთავისუფლა ფხიჭვაი. ფხიჭვამაც მოიგლიჯა ფხარის ნაწეკვი, მისცა და უთხრა: რომ გაგიჭირდეს, მახსენე და გიშველიო.



ამ დროს ხენწიფის შვილმა კიდევაც მივიდა იმ მალაზონთან. — რეიზა მოსულხარ, შვილო? — კითხა მალაზონმა. — მე წამოვედი ამ და ამ სახენწიფოდან შენდა სანა-

ხავად. აქაურ ხენწიფეს ჩემი მამის წანართმევი ალმასის თვალი ჰქონია და თუ შენ მასწავლი, რაფერ შეიძლება ამ ხენწიფის კოშკში ასვლა, ას ოქროს მოგცემო, — უთხრა ხენწიფის შვილმა. — ალმასის თვალი კი აქ ამ ხენწიფეს, მარა იმას იგი ყლაპავსო, — უპასუხა მალაზონმა, — მარა მე მაინც გასტავლი, როგორ უნდა ახვიდე: მიდი კოშკის ახლო, დაახრავუნე და ვეზირები გამოვა, შენ ღამის გათევილება სხთოვე და თუ გაგათევიეს, მაშეინ კოშკშიაც აღვილად ახვალო.

ხენწიფის შვილმა მადლობა გადაუხადა და წამოვიდა. რომ მოვიდა კოშკთან, ისეთ მოიქცა, როგორც მალაზონმა ასტავლა: დაახრავუნა და გარეთ გამოვიდა ერთი ვეზირი. — რა გინდაო, — ჰკითხა ვეზირმა. — ღამის გათევა მინდაო, — უპასუხა ხენწიფის შვილმა. — მობრძანდიო, — უთხრა ვეზირმა, — გაალო კარი და შეიყვანა სახლში. შევიდა თუ არა კოშკში ხენწიფის შვილმა, მაშეინათე შეუდგა იმის ფიქრს, როგორ შეიძლება ალმასის თვალის წართმევაო. მარა უბედურობაც ის იყო, რომ ხენწიფის ოთახში ვერ ავიდოდა ვეზირი, გარდა ერთი ვეზირისა. ამ ფიქრში რომ იყო, მოაგონდა მელამიის, თავის და ფხიჭვიას დაპირება: თუ გაგვირდეს, გვახსენე და გიშველითო და ახსენა სამივე თავ-თავის რიგზე. იმ წამში ყველაი იქინეი გაჩთა. — რა გაგვირვებია, ჩემო ძამიაო, — ჰკითხეს. — რავა რაიო, ასთე და ასთე არის ჩემი საქმეო, ამ ხენწიფეს ერთი ალმასის თვალი აქ და თუ იმას მაშონიებთ, ჩემს სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთო, — უპასუხა ხენწიფის შვილმა. — მარა ავი უნდა იცოდეთ, რომ ხენწიფე იმ ალმასის თვალს ყლაპავს და მუცლიდან უნდა ამოართვათო. — აბა ჰე, — დეიძახა თავგმა, — და დეიწყო ჟერ კედლების და მერე მალლა იატაკის ხვრა. ხრა, ხრა თავგმა და შუალამემდის გამოხრა ყველაი. როცა გაატიალა ხვრიტინე, ყველა თავ-თავის რიგზედ შეძვრა შით. თავგმა მიირბინა და თურმე აგერ ერთი გობი ძმარია და ამოსვარა კუდი წიგ. მელამიამ აფრინდა და თურმე მოწამლული მფხარი ჰქონია, გიეკრა ცხვირზე ხენწიფეს და ხელათ მიადინა. ფხიჭვამ შემუძვრა ცალ ცხვირში და გაუჩერდა იქინეი. მელამიამ გულზე დაუწყო ხიცინი. თავგი მიცუნცულდა და ძმარში ამორებული კუდი შეუყარა ტხვირში. ხენწიფე მუცელზე გეიბერა

და ერთი იმფერი დააქსიტა, იმფერი, რომ მუცელზე კალამ
ქასკდა ელანძე. აგი აღმასის თვალი რომ ამოაგდო პირიდან,
კედელი კილამ გააგლეჯია. თავგმა პირი წამოავლო აღმასის
თვალს და ხვრიტინაში წამოცვანცვალდა. მას თან გამოყვენ
მელამიაი და ფხიკვა და მიუტანეს ხენწიფის შვილს. ამ დროს
ყიდევაც გათენდა. ხენწიფის შვილს ისთე გაუხარდა, ისთე,
რომ ზეცას კილამ აფრინდა. თავგი, მელამიაი და ფხიკვაი გა-
ქრენ უჩინარივით. ხენწიფის შვილმა ადგა, აღმასი გადა-
ყლაპა, ვეზირებს დაემშვიდობა და წამევიდა. მოდიოდა გზა-
ზე და თან ფიქრობდა: ხე, ქვა, მიწა, ნადირი, ფრინველი,
რაც კი არსებობს ქვეყანაზე, ყველაფერი ეს თურმე კაციზა
ყოფილა გაჩენილიო.

ი იარა, იარა და ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ
თვალუწვტენელ ზღვაზე. ამ ზღვას გაღმა უნდა გასულიყო
და შეესრულებია მამის სიტყვა. ამოილო პირიდან აღმასი
და ახსენა ნავი. ნავი იმ წამში იქინეი გაჩთა. ჩაყდა შით
და წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთს ალაგას. ამ ალაგას
ზღვაში ერთი დაყუდებული ქვაია თურმე. ამ ქვას რომ გას-
ცილდები, მერე აფერი არ გიჭირს. აქანაი ამეიქრა იმისანა
ქარბუქი, რომ კალამ დაძირა ელანძე, მარა ახსენა აღმასის
თვალთან დარი და იმ წამში იმფერი დარი დადგა, იმფერი,
რომ მაღლი იყო მისი ყურება. ამოვიდა მზე და ზღვა ქლა
თქროს ფრად გადაიქცა. მერე კიდევ ერთი კვირა იარა და
ბოლოს ეღირსა ზღვის გაღმა გასვლა. მარა რას ნახავ, არ
იტყვი? ქლა ყველაფერი ამწვანებულია. იმფერი ვარდები
კია, იმფერი, რომ გაღირეოდა კაცი იმის ნახვით. იმან ბევ-
რი იარა, სეირნობდა იქით-აქეთ, გუნება ელამაზა და აქეთ
დაბრუნება არ უნდოდა, მარა რას იზამდი? მაშინ უმფროსი
ძმა, სიმონაი მიიღებდა ხენწიფობას და გოგი კი პირში ჩალა-
გამოვლებული დარჩებოდა. ამ ხენწიფის შვილმა ერთს იმ-
ფერ ვარდს შიაგნო, რომ ქლა სისხლივით წითელი იყო. იფი-
ქრა: ეგება აგი ვარდი არის მამაჩემმა რომ. დაშაბარაო. მო-
სწყვიტა ერთი ხუთი ვარდი, შექრა წირეხეთ და გამოხვია
ყარგათ, რომ მზეს არ დაეჭკნო. ახლა იფიქრა წავალ და
წვიღებო.

; მოვიდა ზღვის პირას, ამოიღო ალმასი, ახსენა ღმერთი ჯერე, პირჯვარიც დაიწერა და შერე კი ნავი ახსენა. ნავი იმ წამში იქინეი გაჩთა. ჩაუღა ნავში და წამოვიდა. იარა, იარა და რომ მოაწია შვა ზღვაში, იფიქრა: მოდი, ვნახავ ვარდსო.



გაშალა და ეს ვარდები ყველა გათეთრებულიყო. ხენწიფის შვილმა გაკვირდა და თან კუჭიც მოჰვიდა: ეს რა ეშმაკე-ბიაო. რა ექნა? უვარდოთ შინ ვერ წავიდოდა. დაბრუნდა ისთევლე უკან, მივიდა იმ ადგილას, სადაც წინათ იყო, და მონახა კაი სისხლივით წითელი ვარდები, შეკრა კიდევ წი-რეხეთ და წამოიღო, მარა, რამდენათაც აქეთ იცვლის, იმ-დენათ ეს ვარდები თეთრდება. ხენწიფის შვილი კი მაინც ვუღს არ იტეხდა, ფიქრობდა: აგი ტყუილათ მზიდან არის,

რომ თეთრათ მოჩანსო. რომ მოაწია ზღვის პირას, ახსენა ნავი და ნავი იმ წამსვე იქინეი გაჩთა. ჩაუღა შით და წამოვიდა თავის სახში.

1 იარა, იარა და ბოლოს მოვიდა იმ დაყუდებულ ქვაის ძირში, რომელიც ქლა უწინა ნახა. აქანაი ნახა ვარდები, კიდომ არ გათეთრებულიყოსო, მარა რას ნახავს დასაფსები თვალებით! ყველაი არ გათეთრებულიყო!.. ხენწიფის შვილს გულზე შემოუვიდა, ეს რომ ნახა. ერთ საათს იყო გაბურსალელებული ნავში, მარა მერე იფიქრა: ფუი ამფერ ცხოვრება-



ხო. თურმე კაცი ყოფილა კაცის მტერიო. მამა ყოფილა შვილის მტერი, ძმაი ძმის მტერი, შვილი მამის და ყველაყაი ყველაის წინააღმდეგ. თურმე კაცზე უფრო კეთილი გულის ყოფილა ფხიჭვაი, თავვი და მელამიო, კაცი კი ბოროტა ყოფილაო. ეილო ყველა ვარდი და გადაუძახა ზღვის გორე-ბსავით აღელვებულ ტალღებში. ერთი კიდომ ჩააფურთხა და წამოვიდა სახში. მარა ამ სიარულში ერთი წელიწადი ღააგვიანდა. ხენწიფეს ეფიქრა: იმას ან მხეცი დაქამდა და ან

საცხა ზღვაში დეირჩობოდან და უმფროსი შვილი ეკურთ-
ხებია ხენწიფეთ, თუმცა მას არც ვარდი მოუტანია და არა-
ფერი. აგი რომ შეიტყო ხენწიფის შვილმა, თქვა: თურმე
ყაცს არ შეძლებია მიზნის მიღწევად. მერე უთხრა ალმასის
თვალს და მამამისი გადააქცია სამ რქიან ეშმაკათ, უწმინ-
დურ სულათ.

ი იგი იყო ჭირში და ჩვენ ვიყავით ლხინში.

მ გ ე ლ კ ა ც ა

ი იყო და არა იყო რა. იყო ერთი მგელკაცა. მგელკაცა
ქვეყანაზედ დადიოდა, ვისაც შეხვდებოდა, სულ სჭამდა და
ანადგურებდა. სხვათა შორის მგელკაცამ დაიბრძოვა ერთი
სამეფო ქალაქი და სულ გადაჭამა მცხოვრებნი დიდინ-პა-
ტარიანათ და საქონლიანათ, მხოლოდ გადაარჩინა ორნი და-
ძმანი, ეს დაძმანი დააყენა ამ გაცივებულ ქალაქში და
უთხრა: არსად წახვიდეთო, თავად კი წავიდა შორ ქვეყანა-
ში სანადიროდ.

ცხოვრობდნენ დაძმანი, თუმცა ყველა მრავალი მათ
ხელთ იყო, მაგრამ ვერაფერი გულს ვერ უმხიარულებდათ,
რადგანც ვერა ცხოველს ვერ ჰხედავდნენ. ერთ დღეს ვნახოთ,
ერთი მგზავრი კაცი შემეძღარა მშვენიერ ცხენზედ და შევიდა
ამ ქალაქში, მიხედ-მოიხედა და ნახა, რომ მშვენიერი ქალა-
ქია; დუქნები ღიაა, ძვირფასი ნივთები, ოქრო-ვერცხლი-მარ-
გალიტი და სხვა უპატრონოდ ჰყრია. მგზავრს ძრიელ დაენა-
ნა ეს მშვენიერი ქალაქი და ერთი პირი კარგად იტირა და
შემდეგ გაუდგა გზას. პატარა ვაიარა ქალაქში და შეამჩნია,
რომ ერთი სახლიდან ბოლი ამოდის. აქ ცხოვრობდნენ ის
დაძმანი. მოვიდა ის კაცი და ჰკითხა დაძმას: თუ ეს რა
უბედურება არის ამ ქალაქის თავსო. დაძმამ, რასაკვირვე-
ლია, უამბეს: ერთმა მგელკაცამ გადაჭამა სულ მცხოვრებ-
ნი და მარტო ჩვენ-ღა გვინახავს, არ ვიცით რაღა დღისთვი-
საო. — ოჰ, რაკი ეგრეა, შვილებო, წამოდით ჩემთან, გადა-
გარჩინოთ განსაცდელსაო. — არაო, — უპასუხეს დაძმამ. —
ის ისეთი მგელკაცა არის, რომ მოგვეწევა და შეგვეჭამსო. —

რას ამბობთ, შვილებო? — უთხრა მგზავრმა, — ცხენი მყავს, დილის ნიაგიაო, ის როგორ მოგვეწვევაო. — რა იქნებაო, — დაჰყაბულდენ, დაჰყენენ ნებას და-ძმანი.



1. შემოუსხდნენ მგზავრს და გაუდგნენ გზას. მგლეკაცა ამ დროს თუმცა შორს იყო, მაგრამ გაიგო ეს ამბავი, გამო-უდგა უკან, დაეწია, ჩამოსხა და-ძმანი, მგზავრიც შეჭამა და მისი ცხენიც, და-ძმას კი უთხრა: ეს ერთი კი მიპატიებია და.


თუ მეორეზედაც შესცდით, აღარ გაპატიებთო. მიიყვანა ისევ იმავ ქალაქში, დააყენა და თვითონ კი წავიდა სანადიროდ.

: გავიდა კიდევ დრო. ვნახოთ, რომ ერთი ცხენოსანი მგზავრი კიდევ წაადგა ამ გაცივებულ ქალაქს, ცხენს ჰყავს ზირველზედ უკეთესი. მიიარ-მოიარა ქალაქში. ამანაც იტირა კარგა ხანს და მერე წაადგა ერთ სახლს, საიდანაც ბოლი ამოდიოდა. მივიდა მგზავრი და დაუძახა: ოჯახის შვილებოთ. გამოხედეს და-ძმამ. მგზავრმა პირველივით ჰკითხა და-ძმას. მათაც, რასაკვირველია, უამბეს მას ყველაფერი. — ოჰ, რაკი ეგრეა, წამოდით შვილებო, გადაგარჩინოთო. — არა, არ იქნება. დაგვეწევა და შეგეჭამს მგელკაცაო. მაინც მგზავრმა შეაეცდინა და-ძმანი კიდევ. შემოისხა იგინი ცხენზედ და გაუდგა გზას. გაიგო კიდევ მგელკაცმა, გამოუდგა და დაეწია. ჩამოსხა და-ძმანი, — მგზავრიც შესჭამა და მისი ცხენიც. წამოიყვანა და-ძმანი ისევ ქალაქში და უთხრა: ის ერთი ხომ თქვენ გაპატივეთ, ეს მეორეც ღვთისთვის მიპატიებია და, თუ მესამედაც შესცდით, აღარაგზით აღარ გაპატივებთო. წავიდა ისევ ჩვეულებრივ სანადიროდ მგელკაცა.

გავიდა დრო- უიმი. ვნახოთ, ერთი მგზავრი შემეჯდარა კამეჩზედ და მოადგა ამ ქალაქს. წინანდელი მგზავრებივით ამანაც, რომ დაინახა ქალაქი უპატრონოდ, ჯერ ერთი პირი იტირა, შემდეგ გაიარა ქალაქში და დაინახა, რომ ერთს სახლში ბოლი ამოდიოდა. მივიდა ეზოს კარებზედ და დაუძახა, გამოვიდნენ და-ძმანი. მგზავრმა ჰკითხა: რა არის ქალაქის თავსაო. რასაკვირველია, უამბეს, ასე არის საქმე და ჩვენ კი გვინახავს მგელკაცია, არ ვიცით რა შავი ღლისთვისაო. — ოჰ, რაკი ეგრეა, შვილებო, არიქა, წამოდით, გადაგარჩინოთო. — ჰეი, რას ამბობ. მამობილო, — უთხრეს და-ძმამ, — დილის ნიავ ცხენზედ ისხდენ და მათ ვერ გადაგვარჩინეს და შენ შენი კამეჩით როგორ გადაგვარჩენო. რაღა გავაგროძელო, არ მოეშვა ეს მგზავრი, შემოისხა და-ძმანი კამეჩზედ და გაუდგა გზას.

: მგზავრი რამდენს სახრეს მოჰკრავს კამეჩს, შილის ეს კამეჩი, რომ თვალს ველარვინ ასწრობს. გაიგო მგელკაცამ და გამოუდგა უკან. მოახწია თუ არა ზღვის ნაპირს მგზავრმა

კამეჩით და ისე მგელკაცაც მოეწიათ. ის იყო უნდა ეტაცნა პირი უკან ბარკალში და შეცურდა კიდეც კამეჩი ზღვაში. რაღას იზამდა, დარჩა მგელკაცა და კამეჩი გაცურდა მეორე ნაპირს. გადმოხტნენ კამეჩიდგან. მგზავრმა უთხრა და-ძმას: ეს კამეჩი თქვენთვის მიჩუქნია, დაჰკალით, შესჭამეთ ხორცი, გაიკეთეთ ქოხი, ტყავი ზედ გადაათარყა, და იცხოვრეთო, მერე აიღეთ კამეჩის სამი გვერდის ძვალი და, რაც ინატროთ, იმ სამი ძვლით აგისრულდებათო.



მართლაც, და-ძმამ დაკლეს კამეჩი, ქოხიც გაიკეთეს. რომ გამოვლიათ კამეჩის ხორცი, დაღონდა ძმა: რა ვქნათ, რით ვიცხოვროთ, ნეტა ერთი მშვილდ-ისარი მაინც მქონდესო. ამ ფიქრში მოაგონდა, ამეილო კამეჩის სამი გვერდი: მოდი ერთი ვინატრებ, იქნება აღმისრულდესო. მართლაც, უმაწვილმა ინატრა: ღმერთო, ერთი კარგი მშვილდ-ისარი მომეცესო. თქმა იყო და მშვილდ-ისარი გადაეკიდა მხარზე. ახლა მეორე ძვლით ინატრა: ღმერთო, ორი კარგი ძალღი მომეცით. ვნახოთ, ორი ძალღიც ამოუდგა გვერდში. ახლა მესამე ძვლით ინატრა: ღმერთო, ერთი ისეთი ხელის ბეჭედი

მომეცი, რომ საცა წავიდე, ყველგან გზა ხსნილი მქონდესო. მართლაც, ხელზედ გაუყეთდა ერთი საკვირველი ბეჭედი, საცა მიდიოდა, ყველგა გზა ეხსნებოდა. აგრეთვე დადიოდა სანადიროდ თავისი ძაღლებით, ხოცავდა ნადირს, მოჰქონდა და იყვებობოდნენ და-ძმანი.

ერთხელ ჩვეულებისამებრ ძმა წავიდა სანადიროდ და ბეჭედი შინ დარჩა. მისი და ადგა და მივიდა ზღვის პირას სარეცხის დასარეცხად. გაჰხედა. რომ მგელკაცა ზღვის გაღმა ნაპირზედ გადი-გამოდის. ეს ქალი რომ დაინახა, გამოსძახა: რა ჰქენით, მე კი არ გილალატეთ და თქვენ რად მილალატეთო. — რაში გილალატეთ? — გასძახა ქალმა. — იმაში რომაო, — დაუძახა მგელკაცამ, — შენ მინდოდი ცოლად შემერთე და შენი ძმისთვის ჩემი და უნდა მიმეცა ცოლადაო. ქალმა ეს სიტყვა გაიგონა თუ არა, ჩაუვარდა სიყვარული მგელკაცასი. გამობრუნდა ქოხში, წაიღო თავის ძმის ბეჭედი. მოაბა წვრილ თოკზედ, გადაუგდო გაღმა მგელკაცას, გაუხსნა გზა და გადმოიყვანა თავისთან. ეხლა უთხრა ქალმა მგელკაცს: თუ მოჰკლამ ჩემს ძმას, ხომ შეგიერთავ, თუ არადა, არაო. მგელკაცამ უთხრა: მე კი ვერ მოვჰკლავ, ღმერთთან აღთქმა მაქვს მიცემულიო. მოდი ასე ვქნათ: შენ მოიავადმყოფე თავი, რომ მოვიდეს შენი ძმა და გკითხოს, რა ფარგებსო. უთხარი, რომ რა ვიცი რა მარგებს, ამაღამ სიზმარსა ვნახავ და ხვალ გეტყვი, რაც მარგებს-თქო. მერე მეორე დღეს უთხარი: ამა და ამ მთაში ერთი ღორია, თუ მომიტან მისი შვილის გულ-ღვიძლს, მოვრჩები, თუ არადა, არა-თქო. ის იქ წავა მოსატანად და იმ ღორს ველარ გადაურჩებო.

მართლაც, მოვიდა საღამოზედ ძმა. ვითომდა ავად იყო ისე დაიწყო კენესა დამ და ლოგინში ჩაწოლილი დახვდა. საბრალო ძმას გულს შემოეყარა: რა იყო რაო, რა მოგივიდა, რა გარგებსო. — რა ვიცი, რა მარგებსო, ამაღამ სიზმარსა ვნახავ და დილაზედ გეტყვი, რაც მარგებსო. საბრალო ძმამ იმ ღამეს ტირილით გაათენა დის სიმწუხარით, მეორე დღეს ცვენესით წამოიწია დამ და უთხრა: ამა და ამ მთაში რომ ღორი არის, თუ იმისი შვილის გულს მომიტან, მოვრჩები, თუ არა, არაო. — შენი ქირიმე დაო, ოღონდ შენ კარგად

ჩყავი და მამ, შენი ძმა მოგიკვდევს, თუ ვერ მოგიტანო. სდგა ეს ყმაწვილი, ახსენა ღმერთი, გადიგდო მშვილდ-ისარი, ფაიყოლა ძალები და გასწია.

1 იარა, იარა, მივიდა დანიშნულ მთაში, დაებჯინა მშვილდ-ისარზედ და გაჩერდა. გაიგო ღორმა თუ არა, წამოვიდა ისეთი ამბით, რომ თიქოს ის მთა თან მოჰქონდა, ისეთი შხუილით მოდიოდა. შეხედა, რომ ეს ყმაწვილი გაშეშებული დგას. ღორი შედგა და დაიწყო: ეს ამდენი ხანია მე პირდაპირ ვერავინ დამდგომია და ეს რა სულია, რომ ესე თავგადადებული დგასო. უთუოდ ამ საწყალს რამე გაჭირვება ადგას და მოდი ვიკითხავ და მერე ისე შევქამო. მართლა, დაუძახა ღორმა: რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ეგრე პირდაპირ დამიდექიო. ყმაწვილმა მოიხადა ქუდი და დაუძახა: შენი ჭირიმე ერთადერთი და მყავს და მიკვდება. შენი შვილის გულღვიძლი მასწავლეს წამლად, გინდა მომეცი და გინდა აქვე შემჰამეო. — კარგი, შვილოო. მაგაზედ რამ შეგაწუხა, სამი შვილი მყავს, ერთი შენ წაიყვანე და ორი მეო.

1 მისცა ღორმა ერთი გოჭი და უთხრა: თუ სადმე გაგიჭირდეს, შემატყობინეო. წამოიყვანა ყმაწვილმა გოჭი, მიიყვანა, გასჭრა, შეაჭამას დას და, აბა რა მორჩინა უნდოდა, კარგად მყოფი წამოდგა ფეხზედ. მეორე დღეს ისევ სანადიროდ წავიდა ყმაწვილი. მგელკაცასთან კიდევ მივიდა მისი და და უთხრა: მოუხერხე რამე ჩემს ძმას, რომ მოკლაო, თუ არა, არ ვიცი რას გიზამო. უთხრა მგელკაცამ: რა ვქნა, მე ვერ მოვკლავ და კიდევ მოიგონე ავადმყოფობა, და ერთ მთაში ერთი ირემია, იქ გაგზავნე, იმას კი უთუოდ ვეღარ დაეხწყევაო.

1 მივიდა საღამოზედ ნადირით დატვირთული. ძმამ შეხედდა, რომ მისი და ლოგინში ჩაწოლილა და კვნესის. — რა იყო დაო, რა დაგემართა, რა გარგებსო, — უთხრა ძმამ. — რა ვიცი რა მარგებსო, — მიუგო დამ, ამდამ სიზმარს ვნახავ და ხვალ გეტყვი, რა მარგებსო. იმ დამეს საბრალო ყმაწვილმა ტირილით და გმინვით გაათენა, თვალზედ ცრემლი არ შემრბობია. მეორე დღეს ადგა და უთხრა დამ: ამა და ამ მთაში ერთი ირემია, თუ მისი შვილის გულღვიძლს მომიტან,

მოვრჩები, თუ არადა, არაო. ძმამ უთხრა: ოღონდ შენ კარგად მომიჩი დაო, და მაშ, შენი ძმა მოგიკვდეს, თუ ვერ მოგიტანოსო. დაიწერა პირველი ყმაწვილმა, გადიგდო მშვილდისარი, წაიყვანა თავისი ორი ძალი და გაუდგა გზას.



იარა, იარა. ცოტა იარა თუ ბევრი, მიადგა ირემის ბინას, დაიბჯინა იქ მშვილდისარი და დაადგა. გაიგო ირემმა თუ არა, წამოვიდა ყმაწვილისკენ ერთი ვაი-ვაგლახით, იმის რქებს სულ ლაწალუწით გაჰქონდა სახერხი ხეები. რომ მოატანა ყმაწვილს, შესდგა, იციქრა: ამას უთუოდ უჭირს რამე, თორემ ესე შაგრად, გაბედვით კაცი არვინ დამდგარა ჩემს წინ და ეს როგორ დამიდგაო. ყმაწვილმა მოიხადა კიდევ ქული და შესტირა: შენი ჭირიმე, ერთად-ერთი და მყავს, მიკვდება და შენი სჯილის გულ-ღვიძლი მასწავლეს წამლად,

გინდა მომეცი, გინდა აქვე მომკალიო. — კარგი, შეილო, — უთხრა ირემა, ოთხი შვილი მყავს, ერთი შენ და სამი მეო და, თუ კიდევ გაგიჭირდეს რამე, მაცნობეო.

; ყმაწვილმა წამოიყვანა ირმის ნუკრი, მოიყვანა, გასჭრა, აჭამ გულ-ღვიძლი დას და, ვითომდა ავად იყო, მორჩა, წა-
შოდგა ფეხზედ. მეორე დღეს კიდევ არხეინად სანადიროდ წავიდა საბრალო ყმაწვილი. ქალი მაშინვე გაექანა მგელკა-
ციასთან, მივიდა და მუქარით უთხრა: ერთი სიტყვით, თუ
გამაგზავნიებ ძმას ისეთ ალაგას, რომ მოჰკლან, ხომ კარ-
გი, თუ არადა, ვეტყვი ჩემს ძმას შენს აქ ყოფნას და მოვა-
ყვლევინებ შენს თავსაო. მგელკაცი დაღონდა და უთხრა
ქალს: მაშ, რაკი ეგრეა, ამა და ამ მთაში ფაშკუნჯი ბუდობს.
ქოიგონე კიდევ ავადმყოფობა, იმის შვილის გულ-ღვიძლის-
თვის გაგზავნე და უთუოდ იმას მაინც ცოცხალი ველარ და-
ეხსწევაო. მართლა, ქალი ჩაწვა კიდევ ლოგინში. მივიდა სა-
ქლამოზედ მისი ძმამ, შეხედა, რომ მისი და ლოგინში წევს და
მწუხარებით კვნესის. ყმაწვილი კიდევ შეეკითხა ტირილით:
დაო, რა იყო, რა გტკივა, მითხარი. რა გარგებს? — მე რა
ვიცი, რა მარგებსო, — უთხრა ქალმა. ამაღამ სიზმარს ვნა-
ჩავ და ხვალ გეტყვი, რაც მარგებსო. ქალი კვნესით მიესვე-
ნა და თვალებს დაუწყო ხუჭვა. საბრალო ძმამ იმ დამესაც
ტირილით და ვაებით გაატარა. მეორე დღეს უთხრა დამ:
ქმაო, ამა და ამ მაღალ მთაში ფაშკუნჯი ბუდობს. თუ მო-
ჭიტანს მისი შვილის გულ-ღვიძლს მოვრჩეები, თუ არადა,
არაო. — ოღონდ შენ კარგად იყავი, — უთხრა ძმამ, — და
მაშ, შენი ძმა მოგიკედეს, თუ ვერ მოგიტანოო.

ყმაწვილმა გადიგდო მშვილდ-ისარი, გადაიწერა პირ-
ჯვარი, გაიყოლა თან თავისი ერთგული ორი ძაღლი და გას-
წია. ყმაწვილმა იარა, იარა და მიადგა ერთს საშინელ მა-
ღალ მთას. შეხედა ერთს დიდს კლდეში, დაინახა, რომ ვე-
ბერთელა ხეები არის აჩირჩხლილი. გუნებაში სთქვა, რომ
ჟუთუოდ ეს იქნება ფაშკუნჯის ბუდეო და დადგა მის პირდა-
პირ მშვილდ-ისარზედ დაბჯენილი. შუადღის დრო იქნებო-
და, რომ მოვიდა ფაშკუნჯი და დაინახა თუ არა ყმაწვილი,
დაეშვა მისკენ უხუილით. რომ შეამჩნია ყმაწვილი არ იძრო-
და, სთქვა გუნებაში: ეს რა კაცია, რომ არ იძვრისო. მეორე

დაუძახა: რა ხარ, რა კაცი ხარ, რომ ჩემი შიშით აქ მოსულ-
ხარ? სთქვი რა გაჭირვება გაქვს, თუ არა კლანჭებით დაგგ-
ლიჯავო. ყმაწვილმა მოიხადა ქუდი და დაჩოქილმა შესტი-
ტირა: შენი ჭირიმე, ერთად ერთი და მყავს და მიკვდება,
მენი შვილის გულ-ღვიძლი მასწავლეს და გინდ მომეც და
ჯინდ აქვე შემჭამეო. — კარგი, შვილოო, — უთხრა ფაშკუნ-
ჯმა, მაგისტვის რა გაწუხებს, ხუთი შვილი მყავს, ერთი შენ
და ოთხი მეო.

1 მისცა შვილი ფაშკუნჯმა და უთხრა, თუ რამე გაგიჭირ-
დეს შემატყობინეო. მოიყვანა ფაშკუნჯის შვილი, გასჭრა,
აქამა გულ-ღვიძლი დას. და წამოდგა, ვითომდა მარგო და
მოვრჩიო. მეორე დღეს გულდამშვიდებული კიდევ სანადი-
როდ წავიდა ყმაწვილი. მისი და და მგელკაციკიდევ ერთად
შეიყარნენ. ქალმა კიდევ დაუწყო მგელკაცას: გინდა თუ არა,
მოკალი ჩემი ძმაო. მგელკაცამ უთხრა: რა ვქნა, მე ვერ მოვ-
კვლავ ჩემი ხელით, ღვთისთვის ფიცი მიმიცია. მერე წავიდა და
საიდგანდაც მოიტანა ერთი საარაყე ქვაბი და ერთი მსხვი-
ლი ჯაჭვი და უთხრა ქალს: აი, ეს ჯაჭვი, შენი ძმა რომ მო-
ვიდეს სადამოთი, სანამ დაღლილი იყოს, გამოჰკითხე რაში
აქვს ძალ-ღონე, მოტყუებით მკლავები ერთმანეთზედ მიუ-
ყარი ამ ჯაჭვით, მერე მე დამიძახე და, რაც გვინდა, იმას
წუზამთო.

1 მოვიდა სადამოზედ დაღლილი ყმაწვილი. და მიეგება
ალერსით, სკამზედ დაჯდა თუ არა, პატარა ხანს შემდეგ დამ
მოიტანა ჯაჭვი და უთხრა ძმას თვალთშაქცობით: ძმაო, გე-
ნაცვალოს და, სულ გარეთ გადიხარ უდაბურ ალაგს, ჩადიხარ
საკვირველ მამაცობას და მე კი არ ვიცი, რა ღონე და რა
შეძლება გაქვს. აბა მოდი, ამ ჯაჭვით ხელები შეგიკრა, გას-
წყვიტავ თუ არა, ვნახო მეც შენი ღონეო. ახლა ძმამ უთხრა:
დაოჯან, ძრიელ დაღლილი ვარ, თავი დამანებე ეხლა და
ხვალ რასაც მეტყვი, აღვისრულებო. — არაო, — არ მოე-
შვა და, ეხლა უნდა მაჩვენო შენი ღონეო. ძმამაც ხატრი
არ გაუტენა. ადგა გაშალა ყმაწვილმა მკლავები, ხელის გუ-
ლები ერთმანეთზედ მიაკრა, დამახვიე ჯაჭვი მკლავებზედაო.
დამ დაახვია, გასწია ყმაწვილმა და გაგლიჯა ჯაჭვი. — ისე

რაც უნდა იყოს გავგლეჯავო, — უთხრა ძმამ. — მაშ როგორ ვერ გაჰგელჯავო, აბა ერთი შეგიკრაო. მაშინ დაიკრიფა გულ-ხელი ყმაწვილმა და უთხრა დას: აბა ეხლა შემიკარო. დამ შეუტრა მკლავები ჯაჭვით. ყმაწვილმა გასწია და ვერ ფაგლიჯა. — აბა რაც ძალა და ღონე გაქვს, გასწიეო. გასწია ყმაწვილმა, ჯაჭვმა სულ ხორცები წააგლიჯა და სისხლი წასცადა. — ვერ გასწყვიტეო? — უთხრა დამ. — ვერა, დაო, ვერა ხედავ სისხლი წამსკდა, გამიხსენიო. — ვერ გაწყვიტეო, — კიდევ ჰკითხა ქალმა. — ვერა, დაო, გამიხსენი ხელეზიო.

იმ საათში დაუძანა დამ მგელკაცას. მგელკაცამ ქვაბი შემოარბენინა. აიღეს საბრალო ყმაწვილი, ჩასვეს ხელებგაკრული საარაყე ქვაბში, გადუღესეს თავი ფისით და მისცეს ზღვას. საბრალო მისმა ერთგულმა ძაღლებმა, დაინახეს თუ არა პატრონი, მისდიეს ყმუილით ნაპირ-ნაპირ.

ზღვამ ატარა-ატარა ქვაბი, ერთ კუნძულში მიიტანა, მიადგო და დააყენა. ძაღლები დადგნენ, უცქირეს და იყმუელებს. მერე მოაგონდა ღორის სიტყვა, რომ უთხრა ყმაწვილს: თუ რამე გაგიჟირდეს მაცნობეო. მაშინვე ერთი ძაღლი ღორთან გაიქცა და მეორე იქ დარჩა ყარაულად. ძაღლი მივიდა ღორთან. ღორმა შეხედა თუ არა, იცნო და სთქვა: უთუოდ რაღაც ამბავია ჩემი ძმობილის თავსაო, და უთხრა ძაღლს: ირემთან იყავიო? ძაღლმა უთხრა თავის გაქნევით, არას ნიშნად. მაშ, წადი, შეატყობინე ირემს და მეც მოვდივარო. ძაღლი მივიდა ირემთან, ირემმაც რო დაინახა, იცნო და ჰკითხა: ფაშკუნჯთან იყავიო. ძაღლმა თავი აუქნია არას ნიშნად. — მაშ წადი, შეატყობინე და მეც მოვდივარო. ძაღლი ახლა მივიდა ფაშკუნჯთან. ფაშკუნჯმა დაინახა თუ არა, მანაც იცნო. ის იყო ფაშკუნჯს ერთი შეკაზმული რაში მოემზადებინა ძმობილისთვის საჩუქრად. იმ საათში ფაშკუნჯმა რაში და ძაღლი შეისხა ფთებზედ და გასწია ზღვისაკენ. მივიდა, ნახა, რომ ღორი ეწვდება ეშვით და ვერა სწვდება ქვაბს, ხან ირემი რქით და ვერც ის სწვდება. მერე ფაშკუნჯმა უთხრა: გამოტანით კი გამოვიტან, მაგრამ ვერ გავტეხავ ქვაბსაო. ეხლა ღორმა სთქვა: ოღონდ შენ კი გამოიტანე და სულ ლუქმა-ლუქმად ვაქცევო. — მაშ, კარგო. შეფრიდა ფაშკუნ-

ჯი ზღვაში, წამოუჭროლა ქვაბს და ცივ-ცივად გადმოაგდო ქვაბი ნაპირს ისე, რომ ყმაწვილი არც კი შენძრეულა შიგ-მაშინვე მივარდა ღორი და სულ ლუკმა-ლუკმა აქცია ქვაბი.

ჩახედეს, ნახეს, რომ ყმაწვილს გული წასვლია, მკლავები დასივებია და ჯაჭვი შიგ ჩასჯდომია ხორცში. ღორი ეწვავლა, როგორც იყო მოავლო ჯაჭვს კბილი სიფრთხილით, ისე, რ.რ.მ ზორცისათვის არ მოევლო კბილი, მოუჭირა და კნაწა გაადინა ჯაჭვს. გაეხსნა ყმაწვილს ხელი. დაუშაშეს დასივებული მაჭები, შეუხვიეს და მერე ყმაწვილმა დიდი მადლობა გადაუხადა. ფაშკუნჯმა რაში აჩუქა ყმაწვილს და გამოემშვიდობენ.

ეხლა უთხრა ძაგის ერთგულ ძაღლებს ყმაწვილმა: აბა, ჩემო ერთგულებო, ერთი ეს სიკეთეც მიყავით: როგორმე ჩემი მშვილდ-ისარი იქნება მომიტანოთო. ძაღლები წავიდნენ და ქოხის გარშემო დაიწყეს ტრიალი. დაინახა თუ არა ყმაწვილის დამ, გამოვარდა და დატუშინა ქვეები და დაუწყო ლანძღვა: წადით, საცა თქვენი პატრონი ჩაიხრჩო, თქვენც იქ ჩაიხრჩვით. საბრალო ძაღლები მაინც არ მოეშენენ, იმდენი უთვალთვალეს, სანამ ქალი გარეთ გავიდოდა. მერე შეცვივდნენ, მოიტაცეს ისარ-მშვილდი და მიუბრუნებინეს პატრონს.

ყმაწვილმა ღმერთს მადლობა შესწირა, პირჯვარი გადაიწერა, შეჯდა თავის რაშზედ და გასწია ქოხისაკენ. მივიდა და შეხედა, რომ მისი და და მგელკაცი ერთმანეთს ეხვევიან. აღარც აცივა და აღარც აცხელა. სტყორცნა ისარი და დაც მოკლა და მგელკაციც. იქიდგან გამობრუნდა უკან თავისი ერთგული ძაღლებით და გაუდგა ერთ ტრიალ მინდორს. რომ მიდის ამ ტრიალ მინდორზედ ყმაწვილი, ისე დაცხადაცხა, რომ საბრალო ძაღლებმა თითო ადლი ენა წამოჰყარეს. გახედა მერე ყმაწვილმა და ერთგან ალვის ხე დაინახა. მიბრუნდა იქ, გადმოხტა, რაში მიაბა და წამოწვა ჩრდილში. ყმაწვილს დაღლილობამ და სიცხემ ძალა დაატანა და მიიძინა. ძაღლები წყურვილმა შეაწუხა, წავიდნენ იქით-აქეთ მიიბრბინ-მოიბრბინეს და იპოვნეს წყარო, წყალი დალიეს და შემდეგ გაიბანენ. ამოვიდნენ თუ არა წყლიდან ძაღლები, ოქ-

როს თმით შეიმოსნენ. წამოვიდნენ, ნახეს, ყმაწვილს ისევ ეძინა. ძაღლებმა გამოაღვიძეს ყმაწვილი. შეხედა ყმაწვილმა ძაღლებს და დიდად გაჰკვირდა. შემდეგ ძაღლები გაუძღვნენ წინ და მიიყვანეს წყაროსთან. ყმაწვილმა ნეკი ჩაჰსდო გასა-
მინჯად წყალში, ვნახოთ, რომ ოქროს სალტა შემოვკრა ნეკ-
ზედ. ყმაწვილი გაჰკვირდა. შემდეგ დაიბანა თავი, თმა ოქროს
თქმა ექცა. გაიხადა, ტანისამოსი, სულ ოქროთი შეიმოსა.
შერე მოხსნა რაშს იარაღი, გავლო წყალში (წყაროში) და
ოქროთი შეიმოსა ფაფარი; ძუაჯ დაუსველა რაშს და ოქრო-
თი შეიმოსა.

ერთი სიტყვით, ოქროთი შემოსილი ყმაწვილი გაუდგა
გზას. მიდის და თან მიანათებს. იარა, იარა და მიადგა ერთ
გორას. შეხედა, რომ მეცხვარეს ცხვრის ფარა გადმოუშლია
გორაზედ, ჩამოწოლია ჩომბახს და ღლინებს. მივიდა ეს
ყმაწვილი და დაუძახა მეცხვარეს. მეცხვარემ დაინახა თუ
არა ყმაწვილი, რომ ოქროში ბრწყინავდა, პირველად წერა
დაიწყო: ეგონა წმინდა გიორგიაო. დაუძახა ყმაწვილმა მეც-
ხვარეს: ცხვარს არ გაყიდო? — რა გაყიდვა მინდა, შენი
მადლის ჭირიმე, რამდენიც გნებავს, მიირთვიო. — არა შეი-
ლო, მე უფასოდ არა მინდა რაო. მოიყვანა ერთი ცხვარი,
რაც ღირს, ფასი მიიღე, დამიკალი და ხორცი შენ და ფაშვი
მეო.

მეცხვარეს დააკვლევინა ყმაწვილმა ცხვარი. ხორცი
იმასვე დაუგდო, ფაშვი წაიღო და გამოშვიდობების დროს
ჰკითხა მეცხვარეს: აქ ახლომახლო ან სოფელი ან ქალაქი
ხომ არსად არისო. — როგორ, არა, შენი მადლის ჭირიმე,
ე მაგ გორას გადაივლი თუ, არა, ერთი ქალაქია და ხელმწი-
ფეც შიგ მაგ ქალაქში ცხოვრობსო. ყმაწვილი გაუდგა გზას.
ავიდა გორაზედ. ერთი უზარმაზარი ქვა იღო. ასწია ის ქვა
რაშის მორთულობა და თავის ოქროთი შემოსილი ტანისამო-
სი ქვას ქვეშ ამოსდო. რაში და ძაღლები გაუშვა და უთხრა:
როცა ეს აღვირი გავაჩხაკუნო, აქ გამოცხადდითო, თვითონ
ცხვრისა ფაშვი წაიკრა თავზედ, რომ ოქროს თმა-ქოჩორი არ
გამოჩნდესო, გასწია და შევიდა ქალაქში. ყმაწვილმა იარა და
მივიდა ხელმწიფის სახლში. კარის კაცს ჰკითხა: დიდებულ
ხელმწიფეს მოჯამაგირე ხომ არ უნდაო. — როგორ არაო, —

უთხრეს. შევიდნენ, მოახსენეს ხელმწიფეს და დაიყენეს მებალედ ეს ყმაწვილი.

ყმაწვილი ბაღს მშვენიერად ინახვდა, ერთის სიტყვით, ბაღში გაუჩენელს აჩენდა. ერთხელ გააკეთა მშვენიერი ნობათი ამ ყმაწვილმა და ხელმწიფეს მიაართვა. ხელმწიფეს ჰყვანდა სამი ქალი. ორი ქალი თითქმის ხანში იყვნენ შესულნი და მესამე კი ყმაწვილი იყო. ქალებმა ნობათი ძრიელ მოიწონეს და სთქვეს: რამდენი მებალე გვყოლია და ასეთი ხილი, ასეთი ნობათი არც ერთ მებალეს არ მოუერთმევიაო და მოდი ერთი გავიაროთ ბაღში და ვნახოთ, რა ხეზედ ასხია ეს ხილიო, — უთხრეს ერთმანეთს ქალებმა. მართლაც, გამოსთხოვეს მამას ნება და წავიდნენ ბაღში. ქალები ცალ-ცალკე მხარესკენ წავიდნენ. უმცროსმა ქალმა იმდენი ჰქნა, რომ მებაღის ქოხისკენ წავიდა. მივიდა, ნახა, რომ ყმაწვილს დასძინებია და ცხერის ფაშვი ცოტა გვერდზე მოქცევია. ქალმა შეამჩნია, რომ რაღაც უბრწყინავდა. მივიდა ქალი ნელა, ცოტა კიდევ გადაუწია ფაშვი და ნახა ოქროს ხუჭუჭიანი თმა. აქამდინ კი ქაჩალ მებალეს ეძახდენ ყმაწვილს. მაშინ გამობრუნდა ქალი, მოგლიჯა სამი კიტრი — ერთი სულ ყვითელი, მეორე ცოტა შეყვითლებული და მესამე მწვანე. წამოიღო ეს კიტრები, მოიტანა, დაუწყო მამას და უთხრა: გამოიცან. რას ნიშნავს ესენიო. ხელმწიფემ ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერ გამოიცნო. მერმე დაუძახა თავის მოხუც ვეზირს და უთხრა: აი, ასე არის საქმე და რას იტყვიო, ვერა გამიგია რაო. ახლა ვეზირმა უთხრა: დიდებულო ხელმწიფე, ეგ სამი კიტრი ნიშნავს შენს სამს ქალს. ეს ორი ყვითელი კიტრი იმის ნიშანია, რომ დრო გადასვლიათ და მესამეს ეხლა აქვს და თხოულობენ გათხოვებასაო. მაშინვე გასცა ბრძანება ხელმწიფემ, შეჰყარა თავის დიდებულნი კაცნი, გაუმართა ნადიმი. მერე უთხრა თავის ქალებს: აბა, შვილებო, ვისაც ვინ გინდათ, ამოირჩიეთო.

უფროსმა ქალებმა ამოირჩიეს თავიანთთვის: ერთმა ნაწირი და მეორემ ვეზირი. ეს ემცროსი, აუელის და ჩამოუვლის. მერე მამამ უთხრა: რა ჰქენი, შვილო, არვინ მოგეწონაო? ახლა ქალმა: რა ვქნა, მამავ, მე ვინც მინდა, ის აქ არ არისო. მაშინვე დაუძახა კარისკაცთ ხელმწიფემ და

უთხრა: ხომ აღარავინ დაგრჩენიათ კიდეც მოსაწვევიო? — არავინ, თქვენი ჰირამე, დიდებულო ხელმწიფე, მხოლოდ ერთი თქვენი ქაჩალი მებაღე არ გახლავთ აქაო. — წადით, ჩქარა მოიყვანეთ, — ბრძანა ხელმწიფემ. ქაჩალი მებაღე მოიყვანეს. გზაზედ მებაღეს კურდღლის ბაქია დაეჭირა და უბეში ჩაესო. ქალმა დაინახა თუ არა მებაღე, წავიდა მისკენ, მაგრამ დაუპირისპირდა ქაჩალ მებაღეს ოა შედგა. მამამ შე-



ნიშნა ეს. მერე ჰკითხა ქალს: რა ჰქენი, შვილო, არ მოვიდა კიდეც, ვინც შენ გინდაო. — აქ არის მამა, მაგრამ რალაც უზის უბეში და ვერ მძმბედნია, მეშინიაო. ახლა მამამ: ნუ გეშინია, შვილო, დახუჭე თვალები და ჩაუვარდი კალთაშიო. მართლა, დახუჭა თვალი ქალმა, გაეჩანა და ჩაუვარდა ქაჩალ მებაღეს კალთაში. ოჰ, ღმერთმა თქვენ კარგი მოგცეთ. დაინახეს თუ არა, ამოდენა ხალხმა, შეჰქნა კვინა: რა ჰქნა, ქაჩალ მებაღე აირჩიაო. რაღა იქნებოდა, უფროს სიძეებს კი დიდი ქორწილი გადაუხადა ხელმწიფემ, მაგრამ ეს უმცროსი სიძე-ქალი დაიხსოვა და ერთი უბრალო საქათმე მისცათ საცხოვრებლად.

1 გავიდა დრო, გახდა ხელმწიფის ცოლი ვად. მკურნალებმა რომ ველარ უშველეს რა, მერე აწაველეს, რომ ირმის

რძე მოარჩენს მაგისტანა ავადმყოფსო. რასაკვირველია, ხელ-
მწიფემ მაშინვე დაუძახა თავის უფროს სიძებს, მისცა ჯარი
და გაგზავნა ირმის რძის საშოვნელად. ესენი რომ წავიდნენ,
მერე ქაჩალმა მეზალემ, ე. ი. უმცროსმა სიძემ, უთხრა თავის
ცოლს: ადუ, წადი ერთი ცხენი სთხოვე მამაშენს, რომ მეც
წავიდე, იქნება მე ვიშოვნო ირმის რძეო. მართლა, შავიდა
ქალი და უთხრა მამას: მოიტა მამა, ერთი ცხენი ჩემს
ქმარსაც მიეცი, ისიც წავიდესო.



ქალი მამამ სასაცილოდ აიგდო. შენი ქმარი აქ ხომ სა-
კვირველ ამბებს სჩადის და იქ რომ წავიდეს, რასაკვირველია,
ქვეყანას გადააბრუნებსო. ახლა ცოლმა უთხრა ქმარს (ხელ-
მწიფეს): მიეცი, კაცო, ერთი ცხენი ვითომც არ გყოლია, რა
იქნებაო. რალა იქნებოდა, გამოუყვანეს ერთი კოჭლი ცხენი
და მისცეს ქაჩალ მეზალეს. ესეც შეჯდა და ჩაქჩაქით და კო-
ჭლობით გაუდგა გზას. ბაზრისკენ რომ ჩაიარა, ბაზრის
ხალხმა დასცეს კიყინა, ზოგი დამპალ საზამთროს, დამპალ
ვაშლს ესროდა და ზოგი რას. ქაჩალ მეზალემ ყურიც არავის
უგდო, ჩაიარა ბაზარი.

იარა, იარა და მივიდა იმავე დიდ ქვესთან, სადაც ჰქონ-
და თავისი რაშის იარალი და თავისი ტანისამოსი. ასწია ქვა,
გამოიღო ალვირი. დააჩხაკუნა თუ არა, მივარდენ იმ საათს

რაში და ორივე ძალები. ქაჩალ მებაღემ კოჭლი ცხენი ძალებს ჩააბარა. უყარაუღეთ ჩემ ამოსვლამდინაო, თვითონ შეიმოსა თავისებურად ოქროში შექედელ ტანისამოსში, შეკაზმა რაში და მოაჩტა ზედ. მოჰყურცხლა საჩქაროდ, ცის ელვასავით და ჯერ შუა გზა არ ჰქონდათ გავლილი მის ქვისსლებს, ისე მოეწია უკან. აბა იმათ რა იცოდენ, თუ მათი ქვისლი იყო, რომ გაუქროლა გვერდით, მისმა ქვისლებმა და ჯარმა ქულები იძრეს და პარჯვრისაწერა დაიწყეს: ეგონათ ან ქრისტეა ან წმინდა გიორგიო.

იარა, იარა ქაჩალ მებაღემ და მივიდა თავის ძმობილ ირემთან, მისი ძმობილი ირემი იყო ირემთ ხელმწიფე. მივიდა თუ არა, არქა, ჩქარა, შეაგროვე შენი საბრძანებელი ირემი, თორემ ორი დასტა ჯარი მოდის ხელმწიფის გამოგზავნილი და დაგხოცავენ ირმებსაო. ირემი მაშინვე ერთ დიდ ქვას დაადგა. ქვა შეინძრა, ვნახოთ. მორბიან ყველა მხრიდან ირმები და შეიკრბნენ ერთ ბაკში. მხოლოდ ერთი კოჭლი ირემი უკან დარჩენილიყო და ესეც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მორბოდა. ეს კოჭლი ირემი იპოვნეს ხელმწიფის გამოგზავნილმა ჯარმა, გამოედევნენ უკან ერთი ჰაიპუით და ის იყო, რომ უნდა დაეკირათ, ისე კიდევ შემოეძრია ისიც ირმის ჯოგს. რა იქნებოდა, ორი ქვისლი თავისი იჯარებით მოადგენ ირმის ჯოგს. შეხედეს, რომ ქაჩალ მებაღე ირმის ჯოგში დაიარება არხეინად.

ქაჩალ მებაღე გამოვიდა, მიეგება ჯარს და უთხრა თავის ქვისლებს: რა გინდათ, რისთვის გარჯილხართო. ამათ ქულები მოიხადეს, პირჯვარი დაიწერეს და უთხრეს: ესე არის საქმე, შენი შადლის ჭირიმე, ესე და რძისთვის გეახელითო. — ძალიან კარგიო, — უთხრა ქაჩალ მებაღემ, — მაგრამ თუ უფროსი უკანა ბარძაყზედ ჩემი რაშის დამლას დაიკრავს, უმცროსი მარჯვენა ყურის ბიბილოს მომაჭრევენებთ, ხომ მოგცემთ ირმის რძეს, თუ არადა, არაო. მეტი რა გზა ჰქონდათ, დასთანხმდნენ. მაშინვე ქაჩალ მებაღე შევიდა ისევ ჯოგში, მოღწველა ერთი კოჭლი ირმის რძე და მისცა და გაშლისტუმრა. შემდეგ შევიდა ისევ ჯოგში, მოსწველა ირმის რძე, რომელიც ნამდვილად მარგებელი იყო, შეჭდა რაწხედ, წამოიღო რძე და წამოვიდა.

ერთი გაუტია თავის რაშს და მოეწია თავის ქვისლებს. იმათ დაინახეს თუ არა, კედევ პირჯვრისწერა დაიწყეს. ქაჩალ მებაღე მოვიდა თავის ქვასთან, გადმოხტა რაშიდან, მოცვივდნენ მისი ერთგული ძაღლებიც და მოიყვანეს კოკლი ცხენიც. ქაჩალ მებაღემ ტანისამოსი გაიხადა, შეინახა ქვას ქვეშ, შეჯდა თავის ჯაგლაგ კოკლ ცხენზედ. წამოვიდა ჩაქჩაქით, მოვიდა შინ. მის უფროსს ქვისლებს მოუტანიათ რძე და უთქვამთ ხელმწიფისათვის, რომ ამდენ და ამდენ თუმნად ვიყრდეთო. დაუღევია ხელმწიფის ცოლს, მაგრამ არაფერი არა ურგია რა. ახლა ქაჩალ მებაღემ უთხრა ცოლს: წადი ერთი, წაუღე დედაშენს ეს რძე და დააღევინე, იქნება არგოსო. მართლაც, ამ ქალმა წაიღო, მიიტანა რძე და უთხრა



დედას: აბა, დედი, ეს რძე ჩემმა ქმარმა მოიტანა და ნახე, იქნება გარგოს რამეო. უფროსმა დებმა სასაცილოდ აიგდეს და უთხრეს: წადი, დაიკარგე აქედან, შენი ქმარი რა არის, რომ მისი მოტანილი რძე რა უნდა იყოსო. აღბად, მანდ ვინმეს ძროხას მოსწველიდა ეგ უხეირო და ის მოუტანიაო. ხელმწიფის ცოლმა მაინც მოისურვა, მოიწაფა ლიტრით რძე. ცოლმა დაღრა თუ არა, სულ მორჩა, განთავისუფლდა. ოჰ,


გაუქვირდათ ძლიერ და დიდის საჩუქრით გაისტუმრეს დედ-
მამამ თავიანთი უმცროსი ქალი.

გავიდა დრო-ჟამი, ხელმწიფეს მოუხდა სხვა ხელმწიფეს-
თან ომი. მან დიდი ჯარით გაგზავნა თავისი უფროსი სიძეე-
ბი საომრად. ახლა კიდევ უთხრა ცოლს ქაჩალ მებაღემ:
წადი ერთი, გამომითხოვე მამაშენს ერთი ცხენი და მეც წა-
ვალ ჯარში საომრად. ქალი მივიდა მამასთან და უთხრა:
მამა, მიეცი ერთი ცხენი ჩემს ქმარსაც, წავა ისიც ომში, იქ-
ნება ცოტა რამ შემოგეშველოთ. გაიგონეს თუ არა იქ მყო-
ფებმა და თვითონ მამაძაც, სასაცილოდ აიგდეს უმცროსი
ქალი: წადი, აქედან მოგვეშორდი, სირცხვილით როგორ უნდა
გავურიო ჯარში შენი ქმარიო. მისცა ხელმწიფემ ერთი კოჭ-
ლი ცხენი და ქალმაც წამოუყვანა თავის ქმარს. ქაჩალ მე-
ბაღე კიდევ შეჯდა კოჭლ ცხენზედ და ჩაიარა ბაზრისაკენ.
დაინახეს თუ არა ბაზრის ხალხმა, დასცეს კიყინა, ზოგი რას
ესროდა, და იგდებდნენ მასხარად. მან მაინც ყური არ უგდო,
გაიარა თავისთვის, მივიდა კიდევ თავის ქვასთან, ასწია ქვა,
გამოიღო, დააჩხარუნა აღვირი თუ არა, მოვარდა რაშიც ძალ-
ლებით. მაშინვე შეიმოსა თავისებურად, კოჭლი ცხენი ისევ
თავის ერთგულ ძაღლებს მიაბარა, მოახტა რაშს და მოკურ-
ცხლა.

იარა, იარა, და მივიდა იქ, სადაც თავისი სიმამრი ომობ-
და. ის იყო უნდა დამარცხებული მტრისგან, რომ ჩაერია
ქაჩალ მებაღე, საითაც კი გაუტია თავისს რაშს, სულ ღო-
ბესავით ჰფინა მტერი. ეს რომ დაინახა მისმა სიმამრმა
(ხელმწიფემ), სთქვა გუნებაში: ღმერთო, მაღლობა შენთვის,
ეს უთუოდ დამხმარე ანგელოზია, ღმერთმა გამომიგზავნა
მამველადო. დადგა და დაიწყო პირკვრისწერა და ლოცვა.
ამ ქაჩალ მებაღეს ზველთ ჯამარჯვა მისმა სიმამრმა. მერე
რომ გათავდა ომი, ქაჩალ მებაღე მობრუნდა უკან და თავის
ხმალს რომ აგებდა ბუდეში, ამ დროს თავისავე ხმლით ცოტა
ხელი გაიჭრა. დაინახა თუ არა ხელმწიფემ, გაქანდა მაშინვე,
ამოიღო თავისი ჯიბის ბაღდადი და შეუხვია დაქრილი ხელი.

ქაჩალ მებაღემ ისევ თავისებურად მოსხლიტა თავისი
რაში და მივიდა თავის ქვასთან. გადმოხტა ისევ, ჩაიცვა თა-
ვისი ძველი ტანისამოსი, გაუწვა რაში და ძაღლები, გამო-

გლიჯა რაშს ძუა და უთხრა: როცა ეს ბეწვი დავტუსო, მაშინვე გამოცხადდა ჩემთანაო. შეჯდა ისევ კოჭლ ცხენხედ და გაუდგა გზას. მივიდა შინ, წამოწვა ტახტხედ და მიეძინა. მძინარეს დაქრილი ხელი გადმოუვარდა გვერდზედ. ცოლმა დაინახა, შეხედა ხელზე და იცნო, რომ მისი მამის ბაღდადით ჰქონდა ხელი შეხვეული მის ქმარს. გამოიღვიძა თუ არა ქაჩალ მებაღემ, ყველაფერი უამბო ცოლს, რაც გარდახდა და როგორ შეუხვია ხელმწიფემ ხელი. ქალსაც, რასაკვირველია, ძლიერ ესიამოვნა, რომ გაიგო თავისი ქმრის გარემოება.



! ხელმწიფე ომიდან რომ დაბრუნდა გამარჯვებული, შეჰკრიბა თავისი დიდკაცობა, ნაზირ-ვეზირნი და წვეულობა გაუმართა. აბა ქაჩალ მებაღეს და მის ცოლს ვინ ახსენებდა? ეს რომ გაიგო ქაჩალ მებაღემ, შეიხსნა ხელმწიფის ბაღდადი, მისცა ცოლს და უთხრა: წადი მამაშენის სახლში, როგორც იყოს შედი. ნებით არავინ გათამაშებს და, როცა შენმა უფროსმა დებმა ითამაშონ და დადგნენო, მაშინვე აღარავის დააცალო, გადაერიე შენც, ამოიღეს ეს ბაღდადი, გაშალე და დაიწყე თამაშობაო. მართლა, ქალი ასე მოიქცა, როგორც ქმარმა დაარიგა. დარბაზში ითამაშეს უფროსმა დებმა. დადგნენ თუ არა უფროსები, გაიკრა ხელი ჯიბეს უმცროსმა დამ, ამოიღო სისხლიანი ხელსახოცი, გაშალა და დაიწყო თამაშობა. მამამ, ხელმწიფემ დაინახა თუ არა ბაღდადი, დააყენა თავისი ქალი და გაჯავრებით შეუტია: შე ასეთო-ისეთო,

ვინ მოგცა შენ ეგ ბაღდადიო. — ჩემმა ქმარმა მოიტანა, შენ რომ ხელი შეგეხვიაო, — უთხრა ქალმა. — შენს ქმარს იქ რა უნდოდა, მე მაგრი ღვთისაგან გამოგზავნილ ანგელოზს შევეუხვებო ხელი და შენ, შენს ქმარს იმას აბადლებო, — დაუწყო ჯავრობა. ახლა ქალმა უთხრა: რას მიჯავრდები, მამი, თუ არა გჯერა, გაგზავნე კაცები ჩვენს ქოხში და მოაყვანინე შენი სიძეო.



1 შართლაც, ოთხი კაცი გაგზავნა ხელმწიფემ ქაჩალ მებალის მოსაყვანად. ქაჩალ მებალეს დაუძახნია რაშისათვის და თავისი ძაღლებისათვის, მოუტანინებია თავისი ბრწყინვალე ტანისამოსი, ჩაუცვამს, წამოწოლილა ტახტზე და დასძინებია. მოვიდნენ ხელმწიფის გამოგზავნილი კაცები. შეაღეს ქოხის კარი, შეხედეს, რომ ქაჩალ მებალე ოქროში ბრწყინავს. იმათ ანგელოზი ეგონათ, დაიწერეს პირჯვარი და გაბრუნდნენ უკან. მივიდნენ ცარიელნი ხელმწიფისთან და უთხრეს: ესე

იყო შენი ჰირიმე. ქაჩალ მებალე ვერ ვიპოვნეთ, მარტო ერთი ანგელოზი თუ რაღაც იწვა ქოხშიო. — როგორ თუ ანგელოზიო, — შეუტია ხელმწიფემ. წადით ჩქარა უთხარით, რომ მოეთრეს. თუ არ წამოვიდეს, წამოათრიეთო. მივიდნენ ხელმეორედ, შეიხედეს კიდევ ქოხში, ისევ ისე ბრწყინავდა მწოლარე. ეს კაცები კანკალით შევიდნენ შინ, ყმაწვილმაც გამოიღვიძა და ჰკითხა ყმაწვილებს: რა გინდათო. — არაფერი, შენი მადლის ჰირიმე, ხელმწიფე გეძახის, თუ შეიძლება მობრძანდითო.

მაშინ მოახტა ქაჩალ მებალე რაშს, გაიყოლა ძაღლები და ელვასებრ გაჩნდა ხელმწიფის კარზე. გაივლის და გამოივლის სასახლის წინ, ხელმწიფემ გადმოჰხედა, გამოგზავნა რვა-ათი მეჩინიბე რაშის დასაქერად, ჩამოსართმევად. ქაჩალ მებალემ განგებ მისცა რაში. რაშმა გაიქნია აღვირი და ათივე გადაჰყარა აქეთ-იქით. მერე ყმაწვილმა გამოართვა რაში, მისცა ძაღლებს და ძაღლებმა გაატარ-გამოატარეს. შემდეგ ყმაწვილი შევიდა დარბაზში. ყველანი სიფრთხილით და მოკრძალებით თავს უკრავდენ. ხელმწიფემაც მოკრძალებით ჰკითხა ქაჩალ მებალეს: ვინა ბრძანდებით თქვენაო. — მე თქვენი უმცროსი სიძე ვარო, — უპასუხა ქაჩალ მებალემ. ხელმწიფე მეტად გაჰკვირდა. მერე მოახსენა ამ ყმაწვილმა; ხელმწიფეც, ირმის რძისათვის რომ გაგზავნეთ თქვენი სიძეები, საიდან მოიტანესო. — იყიდეს ამდენ ათას თუმნადო, — უპასუხა ხელმწიფემ. — მაშ, თუ შეიძლება გაუსინჯეთ უფროსს სიძეს ბარდაყი და მეორეს ყურის ბიბილო. მაშინვე დაუძახა უფროს სიძეს. თუმცა ძლიერ უარზედ იდგა, მაგრამ ძალით მიიყვანეს რაშთან, გაუსინჯეს ბარდაყი და სწორედ მოუვიდა რაშის უკანა ფეხის დამლა. ახლა დაუძახა მეორე სიძეს. მას ქუდი მოექცია გვერდზედ, მოჭრილი ყურის ბიბილოსაკენ, არ გამოჩნდესო. მოიხადე ქუდიო და არ იხდის. მერე ძალად მოახდევინეს, ამოიღო ჯიბიდან ბიბილო ქაჩალ მებალემ, დაატოლეს და დარწმუნდენ, რომ მისი იყო. მაშინ უამბო აქამდე ქაჩალ მებალედ წოდებულმა, როგორც მისცა რძე ქვისლებს და, რაც სხვა რამე მოიმოქმედა, ყველაფერი. ხელმწიფე დიდად გახარებული დარჩა. რომელიც კარგი სასახლები ჰქონდა, უმცროსს სიძეს დაულოცა და

უფროსი სიძე-ქალები მოსამსახურედ დაუყენა... ნათქვამია, რომელმაც უფრო მოითმინა, ის უფრო ცხონდაო, ისე მოუგოდა ქაჩალ მებადესაც.

კირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

კაციჯამია ხელმწიფე



ერთ დროში ცხოვრობდა ძლიერ ღარიბი ცოლ-ქმარი. შათ ერთი ქცევა მიწისა და ერთი კატის მეტი არა გააჩნდათ რა. ცოლმა უთხრა ქმარს: პეტრე, შე წავალ მეზობელთან და ერთი ბათმან სიმინდს გამოვთხოვ. ეს სიმინდი ჩვენ წრეულს დავთესოთ კიდევ, თუმცა შარშან ჩვენ მოსავალი ვერ მოგვივიდა. — კარგი, — დაეთანხმა ქმარი, — ეგებ წრეულს რამე მოგვივიდესო ცოლმა ისესხა ერთი ბათმანი სიმინდი მეზობელ ქალთან და იმ წელს პეტრემ დათესა დიდი მონდო-მებით თავისი მიწა, მოსავალი მშვენიერი დადგა, მაგრამ,

როცა სიმინდმა მწიფობა დაიწყო, ყანას რაღაცა შემოეჩვია და ნახევარი ყანა სულ გაანადგურა.

ერთ ღამეს პეტრე წავიდა სადარაჯოდ. ყანაში დაინახა ერთი დიდი უცნაური ფრინველი. ნელა, შეუმჩნევლად მივიდა და სტაცა ხელი: შე ოხერო, შენ იყავი რომ მე მლუპავდი! — დაიძახა გახარებულმა და ამოიღო ჭიბიდან ერთი დაქანგული ჭაყვა ფრინველის მოსაკლავად. ამ დროს ფრინველმა უცებ შემოსძახა კაცის ხმით: პეტრე, ნუ მომკლავ და ისეთ მდიდრად გაგხდი, რომ შენისთანა მდიდარი არც ერთი თავადი დედამიწის ზურგზე არ იქნება. მე მეფე ვარ ჩემს სახელმწიფოში, რომელიც იმყოფება თქვენი სამეფოს აღმოსავლეთის მხარესაკენ. გეფიცები, რომ არ გატყუებ. — აბა კარგი, მე ფიცი მწამს და ამისათვის მიჩუქნია შენთვის სიტოცხლე. ხვალ საღამოს მე შენთან ვიქნები. ამ სიტყვებით მან გაუშვა უცნაური ფრინველი, რომელიც გაფრინდა აღმოსავლეთისაკენ.




1 პეტრე დაბრუნდა სახლში და უამბო ცროს რაც მოხდა. — ა, შენ გლახაკო... შენ განა კაცი ხარ... შენ ღირსი ხარ: გაყავდეს ცოლი?! — დაუწყო წყევლა ცოლმა, მაგრამ პეტრემ ის ყურადღების ღირსადაც არ გახდა. მეორე დღეს, დილას, გაუდგა გზას აღმოსავლეთისაკენ. საღამოს მივიდა იმ სამეფოში, რომელსაც ეძებდა. მივიდა ერთს ქალაქში და შევიდა დუქანში ღამის გასათევად. როცა სკანზე ჯდებოდა, მოვიდა

დუქანში ერთი კარგად გამოწყობილი კაცი და იკითხა: მეფეს ღომ არ დაუბარებია ვინმე თავისთან? — არა, არა! — მიუგეს პატივისცემით იქაურებმა. — აბა, ხო, არ მოსულა სხვა ქვეყნიდან ვინმე მეფის დაბარებით? — ისევ იკითხა შან. — მე ვარ დაბარებული სხვა ქვეყნიდან მეფის მიერ! — დაიძახა მაშინ პეტრემ. — აბა, მობრძანდით და დასხედით მეფის საკუთარ ცხენზე, — პატივისცემით დაუხარა მან თავი პეტრეს და გაუღო დუქნის კარები. ყველამ პატივისცემით დაუქრეს მას თავი და ერთმა თეთრებით შემოსილმა მოხუცმა წყნარად ჩასჩურჩულა გასვლისას: ჩვენი მეფე კაცი-ქამიაა, მოუფრთხილდი: პეტრემ მადლობის ნიშნად თავი დაუქნია და გავიდა დუქნიდან. შეხტა მშვენიერს რაშხედ და ცხენოსნები, რომლებს რიცხვი დიდი იყო, გაუდგნენ გზას. ესენი იყვნენ მეფის რჩეული ჯარისკაცები.

ერთი საათის სირბილის შემდეგ ცხენოსნები შევიდნენ ქალაქში, მიადგნენ მეფის დიდებულ პალატას. უფროსმა დაუძახა ერთს მოსამსახურეს და უთხრა: დაბანეთ, დალაქმა გაალამაზოს კარგად და მორთეთ ძვირფასი ტანისამოსით. შემდეგ წარუდგინეთ მეფეს! — თქვეხი ჩრძანება იყოს, — დაბალი თავის დაკვრით მიუგეს უფროსს.

ერთი საათის შემდეგ პეტრე წარსდგა მეფის წინ. — ააა, გამარჯობა პეტრე, ვერ მიცანი? — სიცილით მიეგება მეფე. — რასაკვირველია, მეფევ, იმ დამეს..., — სთქვა პეტრემ. — კრინტი ამაზე! — გააწყვეტინა მეფემ მას სიტყვა. ეხლა კი ჩემო პეტრე, ვივანშმთ ჩემს ცოლ-შვილთან. — სიამოვნებით, მიუგო პეტრემ. ივანშმეს. პეტრე ცალკე ოთახში მოსასვენებლად წაიყვანეს. მეორე დღეს მეფემ საუზნის შემდეგ უთხრა პეტრეს: ძლიერ დაგასაჩუქრებ, მაგრამ უნდა მემსახურო ვეზირად ორი წელიწადი და ერთი თვე. თუკი ჩემს სიტყვებს აასრულებ, შენისთანა მდიდარი ქვეყანაში მეფის შემდეგ არ იქნება. კარგი? თანახმა ხარ? — ო, აბა რა გაეწყობა, — სთქვა ბოლოს პეტრემ. ოღონდ კი დაიფიცე, რომ მეტს აღარ მაწვალებ, როცა ვადა, ე. ი. ორი წელი და ერთი თვე, შესრულდება. მორიგდნენ. პეტრე დარჩა ვეზირად.

გავიდა ორი წელიწადი და ერთი თვე. მეფემ უთხრა თავის ვეზირს: აბა, ჩემო პეტრე, დღეს გათავდა შენი სამსახურის ვადა. ეხლავე მიიღებ აუარებელ სიმდიდრეს, მაგრამ ერთი პირობით: როდესაც მიხვალ შენს სახლში, პირველი, ღინც წინ შეგვხედება შენი სახლიდან, უნდა მე მომიყვანო. ის შემდეგ ჩემი იქნება. რას იტყვი ამაზე? — კარგი, მასე იყოს, — სთქვა დიდი ხნის შემდეგ პეტრემ. მეფემ მისცა აუ-



რებელი სიმდიდრე: ოქრო, ვერცხლი და მრავალი სხვადასხვა ფერის ალმასები. ორმოცი აქლემი დატვირთა და გაუდგა გზას დასავლეთისაკენ.

ერთს მოსამსახურეს, რომელიც თავდადებული იყო პეტრესათვისა, პეტრემ უთხრა: წადი ჩემს სახლში (ჯერ მან უჩვენა გზა, რომლითაც უნდა მისულიყო მოსამსახურე) და უთხარი ჩემს ცოლს, რომ, როცა მე მოვალ სახლში, არაკაცი არ გამოვიდეს ჩემს დასახვერდად. პეტრე განგებ გაჩერდა ერთს ქალაქში ერთი დღე, რომ მოსამსახურისათვისა საშუალება მიეცა დროზე მისულიყო სახლში.

მეორე დღეს პეტრე შევიდა თავისს ეზოში. წინ გამოეგება ორი წლის მშვენიერი შვილი, რომლის არსებობა პეტრემ არც კი იცოდა. ყაცი ძლიერ დაღონდა, მაგრამ რალას იზამდა? გავიდა ერთი თვე და პეტრემ შვილი მაინც არ ჯაუგზავნა. ერთს დღეს მოვიდა ჯორზე მჯდომი თვით მეფე.

ის ძლიერ განრისხებული იყო. — ა, ასე ასრულებ შენს სიტყვას?... მაიტა ჩქარა შვილი, თუკი გინდა ცოცხალი იყვე! — წაიყვანეთ, ბატონი ბრძანდებით, — სთქვა საწყალმა პეტრემ ტირილით. — შენი შვილი დაადგეს ჯორის კვალს და თვითონ მოვა ჩემს სახლში! — დაიძახა მეფემ და უკან გაუდგა.

მშობლებმა დაკოცნეს თავისი შვილი და ტირილით გაუშვეს ჯორის კვალზე. ბავშვი ნელ-ნელის ხტომით ჯორის კვალს გაჰყვა.

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ბავშვი მივიდა ერთი ზღვის პირთან. დაღალულ-დაქანცული დაჯდა ხის ძირას და დაიძინა. ძილში დაესიზმრა, ვითომც მონაზონი მივიდა მასთან, პირჯვარი გადასწერა და რძე დააღვინა. როცა ბავშვმა გაიღვიძა, ადგა და წავიდა მონაზონის საძებრად. ბოლოს ნახა ზღვის პირად მდგარი მონაზონი, მივიდა მასთან და უთხრა: მონაზონო, შენ იყავი რძე რომ დამაღვინე? — ჰო, მშვილო, მე ვიყავი. საით მიდიხარ? ბავშვმა უამბო ყველაფერი. მონაზონმა ამოხენწით უთხრა: ო, ნუ მიხვალ საშინელ კაცობაშია მეფესთან, თორემ შეგკამს. — მე არ მეშინია იმ მეფისა! — წამოიძახა ბავშვმა. მაღლობელი ვარ, მონაზონო, რძისთვის, ნამეტანი მშიერი ვიყავი. ეხლა მშვიდობით მივიდივარ თქვენთვის საშინელ მეფესთან. — მოიცა, შვილო, მოიცა, მე დაგასწავლი რაღაცას, — გააჩერა ბავშვი მონაზონმა. ცოტა ხნის შემდეგ აქ მოფრინდებიან მეფის ქალიშვილები თავისი პერანგების ძალით და დაიწყებენ ზღვაში ბანაობას. როცა ისინი ჩამოისხნიან პერანგებს და შევლენ წყალში, შენ გაიხადე ყველაფერი და ჩაიცივი ყველა პერანგები ისე, რომ შიშველ ტანზე გეცვას უმცროსი ქალის პერანგი. უმცროსს ქალს აქვს ერთი ფეხსაცმელი და ერთი შავი ალმასის ბეჭედი, მათი ძალით მას უპერანგოთაც შეუძლია გაფრენა. დაიმალე ამ ხის ფოთლებში და, როცა მოფრინდებიან და შევლენ ზღვაში, მოიქეცი ისე, როგორც მე ფითხარი, მხოლოდ კი არაფერი გზით არ გაიხადო უკანასკნელი პერანგი.

ბავშვი ავიდა ხეზე და დაიმალა ფოთლებში. გაიარა რამდენიმე წუთმა, მოფრინდენ ყმაწვილი ქალები, რომლე-

ბისაგანაც უმცროსი იქნებოდა მხოლოდ სამი-ლა წლისა. უმცროსი ქალი ორივე დებსაც კი სჯობდა. ქალები ისე მოიქცნენ, როგორც მონაზონმა სთქვა. ბავშვი ჩამოხტა, ჩაიცვა ყველა პეგანგი ისე, როგორც ურჩია მონაზონმა და წამოჭდა ხის ძირს.

მეფის ქალიშვილები ამოვიდნენ ზღვიდან და მივიდნენ ხესთან, სადაც დასტოვეს ტანისამოსი. აქ დაინახეს პეტრეს შვილი, რომელიც იჭდა ხის ძირას და იცინოდა. — ახ, შეგლახაკო, როგორ გაბედე ჩვენი პერანგების ჩაცმა?! ამ სიტყვებით ორმა უფროსმა ქალიშვილმა ჩამოაძვრეს თავისი პერანგები, მაგრამ მესამეს კი ბავშვმა დიახათაც არ მისცა.

მრცხვენია, ამის მეტი არასფერი მაქვს, ნუ წამართმევთ! — წამოიძახა ბავშვმა. მეფის ქალიშვილებმა გულიანად გაიციინეს. — აბა, შეგვკრემანო, შენ იცი აჩუქებ პერანგს თუ არა! შეგვკრემანი სახელი იყო უმცროსი ქალიშვილისა, იმან გაიღიმა და სთქვა: ე, ჰქონდეს, თუკი მას... — თუკი მას, — გააწყვეტია უფროსმა დამ, — შენი თავი ეყვარება, არა?! უფროსმა დებმა გაიციინეს. — აბა, რაებს ბოდავთ! აი, თქვენ, ჩქარა ისე წამოიზღებით, რომ რაინდი მეფეები მოგძებნიან, ჩვენ ჯერ ბავშვები ვართ. პატარა დამ გაიწვია უფროსი და გვერდზე და რალაც წასჩურჩულა ყურში. უფროსი ძლიერ გაწითლდა. მერე გამოიწვია შუათანა და და ისიც ძლიერ გაწითლდა. გაწითლებული დები შეგვკრემანის სიტყვებით გაფრინდნენ ქალაქისაკენ. — ბიჭო, რა გქვია სახელი? — ჰკითხა პეტრეს ბავშვს შეგვკრემანმა, როცა მისი დები ჰაერში აფრინდნენ. — არჩი, — მიუგო ბავშვმა. — აბა, შენც ჩვენთან წამოფრინდი და როცა მივალთ ჩვენს პალატაში, ჯერ მეფეს დაუკარი თავი, მერე დედოფალს და შემდეგ კი ჩვენ. მეფე კაციჰამაია, ეცადე თავი მოაწონო. არჩი და შეგვკრემანა გაფრინდნენ და ჩქარა დაეწიენ მეფის უფროსს ქალიშვილებს.

როდესაც მიფრინდნენ მეფის პალატაში, მეფე და დედოფალი მაგიდასთან ისხდნენ და უცდიდნენ შვილებს. ქალიშვილები შევიდნენ ოთახში და მიესალმნენ მშობლებს. მათ შეეყვა არჩიც და დაუკრა თავი ჯერ მეფეს, შემდეგ დედოფალს და ბოლოს მეფის ასულებს. მეფეს ეს მოეწონა და

სტქვა: ჩემ სამ ჩიტებთან მოფრენილა კიდევ მეოთხე ჩიტი. ვინა ხარ შენ, ბავშვო? პეტრეს შვილი ხომ არ ხარ? — დიას, ჩემო ბატონო, მე მისი შვილი ვარ არჩი და პირდაპირ თქვენთან მოვდიოდი. — კარგი, არჩი კარგი! შენ ამაღამ ზღვის პირად, სადაც იყავი ეხლა, უნდა ააშენო ორმოცდათორმეტოთახიანი ისეთი მაგარი ციხე, რომ მტერმა ვერ სძლიოს. ზვალ დილით მოვალთ. თუკი ასეთს ციხეს ააშენებ, კარგად დაგასაჩუქრებ. — კარგი, მეფევ, ვეცდები, — უთხრა არჩიმ. შუალამისას ყველა წავიდა თავ-თავის ოთახში. არჩის მიუჩინეს ერთი ოთახი, რომელიც იყო შავგვრემანას ოთახის გვერდით. როცა ყველა დაწვა და ღრმად დაიძინა, შავგვრემანა შევიდა ბიჭის ოთახში და უთხრა: არჩი, რაღას აპირობ? — რა უნდა ვქნა, ციხის აშენება კი არა, პატარა სალორეს გაკეთება არ შემიძლია. — აბა, ადექ, წავიდეთ ზღვის პირას, მე დაგეხმარები.



ნელა, ჩუმად გაფრინდნენ ისინი ზღვისაკენ და, როცა მივიდნენ დანიშნულ ადგილს, შავგვრემანამ გამოიძრო ბეჭედი თითიდან და სტქვა: აბა, შავი ალმასის ბეჭედო, გააჩინე ამ ზღვის ნაპირზე ორმოცდათორმეტველიანი ციხე-კოშკი ისეთი მაგარი, როგორიც ანდამატი, და ისეთი ლამაზი, რომ ცის ქვეშე ამაზე უმშვენიერესი არა მოიპოვებოდეს რას იმ

წუთშივე გაჩნდა დიებულო ციხე, ისეთი დიდი, როგორც მეფის სატახტო ქალაქი; ისეთი დიდი ოთახებით, რომ შიგ შიეიძლებოდა მეფის მთელი პალატის მოთავსება, და ისეთი ლამაზი, რომ გეგონებოდათ ალმასებისაგან არის აშენებულიო. შავგვრემანამ კიდევ უბრძანა ბეჭედს ჩაქუჩისა და ლურსმების გაჩენა და, როცა ესენიც გაჩნდნენ, არჩის მიუბრუნდა და უთხრა: აბა, ეს ლურსმები. დილას ჩვენ მოვალთ და შენ აჩვენე თავი მეფესა და დედოფალს, როგორც მომუშავე. — კარგი, კარგი, მაგრამ მაღლობა როგორ გადაგიხადლო? — მაღლობა? — გაიღიმა შავგვრემანამ.

გათენებას ცოტა აკლდა. არჩიმ ძილს თავი წაართვა და დაიწყო ლურსმების ჩასმა ზოგიერთ ადგილებში. შვიდ საათზე მოვიდა მეფე ცოლ-შვილით და ვეზირებით. ყველა აღტაცებული იყო ციხით, მაგრამ მეფემ ვერ დასძლია თავის მადას კაცის ხორცზე და უთხრა არჩის: თუკი შენ ამ ღამეს კიდევ გამიკეთებ დიდს, გრძელს ხიდს ამ ზღვაზე გადაგდებულს, შეამკობ უმშვენიერესი ბალით. ხიდის აქით მოთავსებ საუკეთესო შავი ყურძნის ვენახსა და ხიდის იქით კი თეთრი ყურძნის ვენახს, მაშინ შენ არათუ გაჩუქებ სიცოცხლეს, არამედ ისე გაგაბედნიერებ, რომ შენზე უფრო ბედნიერი მთელს ქვეყანაზე არავინ იქნება. ა, რას იტყვი? — თქვენ ოღონდ მიბრძანეთ, მეფევ!

შუალამეს არჩის ოთახში შევიდა შავგვრემანა. ის ისეთი ლამაზი იყო ამ დროს, რომ არჩი პირდაფრენილი შეჰყურებდა მას. — აბა, არჩი, ეხლა რას იზამ? — ჰკითხა ქალიშვილმა. — აბა რა უნდა ვქნა, რა შემიძლია? ის ბეჭედი რომ მქონდეს. — ჩემი შავი ალმასის ბეჭედი? — გაიცინა შავგვრემანამ. ო, ამას ვერ მოგცემ. შენ თვითონ შენი თავი გაინთავისუფლე აწი. მშვიდობით! და შავგვრემანამ დააპირა კარში გასვლა. — ეი, შენ მტოვებ ამ გაჭირვებაში მე აწი არაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ მამაშენის კუჭში ვიმოგზაურო! — მართლა გეგონა, რომ დაგტოვებდი? არა, აბა გავფრინდეთ! — უთხრა შავგვრემანამ.

ორივე გაფრინდნენ ზღვის ნაპირისაკენ. შავგვრემანამ ბეჭედს უბრძანა და ზღვაზე მშვენიერი ხიდი გაიღვა.

— აბა, შედი ეხლა, არჩი და ჩვენ დილას მოვალთ. მეფე ძლიერ მოგიწონებს და მართლაც შეასრულებს თავისს სიტყვას. მშვიდობით!

დილით მოვიდა მეფე ცოლ-შვილით და თავისს ვეზირებით. მათ გამოყვა აუარებელი ხალხი, რომელთაც გაეგონათ უცნაური ყმაწვილის ამბავი. მეფე ალტაცებაში მოვიდა და დაიძახა: ვაჟა, ჩემს სახელმწიფოს და არჩის! — გაუმარჯოს! — დასძახა ხალხმაც და ქუდიც მალლა ისროლეს.

— სწორედ რომ გათენებამდინ დავასრულე, — უთხრა არჩიმ მეფეს. — იყავ ჩემი შვილი და ტახტის მემკვიდრე! — დაიძახა მეფემ ხმამალა, რომ ყველას გაეგონა. მეფემ აღზარდა არჩი და მიუყენა თავისს ქალიშვილებთან ერთად კარგი მასწავლებლები.

არჩილი გაიზარდა. გაიზარდნენ მეფის ქალიშვილებიც. უფროსს უსრულდებოდა ოცი წელი, შუათანას — ცხრამეტი. უმცროსს — თვრამეტი, არჩილი კი ჩვიდმეტი წლის მშვენიერი ყმაწვილი იყო. ერთხელ მეფემ დაუძახა არჩილს და უთხრა: მე მინდა შენი მეფეთ დანიშვნა, მაგრამ იმ პირობით, თუ შენ დაიწერ ჯვარს ერთ-ერთ ქალზე. აირჩიე რომელიმე. თანახმა ხარ? — თანახმა ვარ, — უთხრა გახარებულმა არჩიმ.

მეფემ გამართა დიდი სეფა, მოიწვია დიდებულები. — აბა, აირჩიე, რომელი ქალი გინდა ცოლად, — უთხრა მეფემ არჩის. — შევგვრემანა! — წამოიძახა არჩიმ. მეფემ შეაერთა მათი ხელები და ხალხისგან გამოგზავნილმა პირებმაც მიულოცეს გაბედნიერბა. დედოფალს ეწყინა, რომ არჩიმ აირჩია შევგვრემანა და არა უფროსი და. დედოფალმა მოიწვია თავის ოთახში მეფე და უთხრა: შენ სულელო, ვის მიეცი შენი ასული? შენა გგონია, რომ იმ ბიჭმა გააკეთა ციხე ერთ ღამეში, ან ხიდი-ბალი? ის აწი შენს მოკვლას ეცდება. წადი, შედი მათ ოთახში და ორივე მოკალი, თუ გინდა იცოცხლო და იმეფო. — სიძეს ან შვილს, როგორ მოკვლავ?! — წამოიძახა მეფემ. — თუკი შენ ამას არ იზამ, მე ეხლავე წავალ ჩემი უფროსი ქალიშვილებით! — კარგი, კარგი, მივდივარ, — სთქვა მეფემ. შეიარაღდა და გასწია ახლად დაქორწინებულთა ოთახისაკენ. — გაააღეთ კარი, სიტყვა მაქვს თქვენთან! —

დაუძახა მეფემ. მაშინ შავგვრემანამ უთხრა: ახლა შუალამეა, გვეძინება. ხვალ გვითხარი მამა, რაც გინდოდეს, და ესლა თავი დაგვანებეთ. მეფე გაბრუნდა. — აბა, არჩი, თავს ვუშველოთ, მამაჩემი უსათუოდ მოგვკლავს. გააღეს ფანჯარა და გაფრინდნენ.



1 მეფე-დედოფალი მალე შემოვიდნენ ოთახში, მაგრამ შიგ არაეინ იყო. — გაქცეულან, — უთხრა ქმარს დედოფალმა. მაშინვე ორივე გაფრინდნენ შავგვრემანასა და არჩილის საძებრად. ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს ერთმანეთი ორივემ. დედოფალმა ჩაიყო ხელი ჯიბეში და ამოიღო გასაქვავებელი წამალი. ეს დაინახა შავგვრემანამ, წამოიძრო ბეჭედი და უბრძანა: აბა, შავი ზღმასის ბეჭედო! ის მეფე-დედოფალი, ჩემი დედ-მამა მოკალი და პალატში შეიტანე მათი გვამები.

1 შავგვრემანას ბრძანება მოყვანილი იქნა სისრულეში. მერე ცოლ-ქმარი დაბრუნდნენ თავიანთ ოთახში.

1 მეფე-დედოფლის სიკვდილის ამბავი მთელმა სახელმწიფომ გაიგო. ხალხი ძლიერ მოხარული იყო კაციკამია მეფის სიკვდილით და ერთხმად აღიარა მეფედ არჩი და დედოფლად გულკეთილი შავგვრემანა.



იყო სამი ძმა, ჰყავდათ ერთი და. დედ-მამამ სიკვდილის შემდეგ ხარისა და ძროხის ჯოგი დაუტოვა შვილებს. და გამხეცებული რამ იყო და მუდამ ტყეში ცხოვრობდა. მიეჩვია თავისი ძმების ჯოგს. ყოველ ღამე ჯოგში საუკეთესოს ირჩევდა, ტანს სჭამდა, თავს კი სადღაც შორს გადაადგებდა. შეწუხდნენ ძმები, არ იცოდნენ, რით დაეცვათ ჯოგი თავის დის ღორმუცელაობისაგან. იეზირეს და ისე გადასწყვიტეს: თითო ძმას ყოველ ღამე მორიგათ უნდა ედარაჯნა ჯოგისათვის.

პირველ ღამეს უფროს ძმას შეხვდა ჯოგის დარაჯობა. დარაჯობს უფროსი ძმა შუალამემდის, შუალამის მერე ძილი მოერია და დაიძინა. გათენებისას მოვიდა და, ხარი აირჩია ჯოგში, ტანი შეჭამა, თავი იქვე დაადგო. ნახა ეს მეორე დღეს უფროსმა ძმამ, ძლიერ ეწყინა, მაგრამ რას უშველიდა. შინ წამოვიდა.

1. მეორე ღამეს საშუალი ძმა წავიდა სადარაჯოთ. შუაღამემდის ამანაც უყარაულა ჯოგს, შუალამის მერე დაეძინა. გათენებისას ისევ მოვიდა და, საუკეთესო ძროხა ამოირჩია, სტაცა ხელი, ტანი შეჭამა, თავი იქვე დააგდო. საშუალი ძმაც შეწუხებული დაბრუნდა შინ.

1. მესამე ღამეს უმცროსი ძმა წავიდა ჯოგის სადარაჯოთ. შუაღამემდის იძინა, ნაშუალამეს გამოიღვიძა. გათენებისას მოვიდა კიდევ ამათი და და ჩაერია ჯოგს, იქა-აქა მოჭვინა ყველა, ყველას მოერია, მხოლოდ ერთი „ბაბუა“ (უჩქო ხარი) ვერ დაიმორჩილა. ამ ღამეს ჯოგში ვერც ერთი საქონელი ვერ დააშავა. მეორე დღეს უმცროსი ძმა შინ მოვიდა. უთხრა თავის ძმებს, რომ გავიყარნოთო. ჩემ წილად არაფერი მინდა სხვა, მხოლოდ ბაბუ მომეცითო. — თუ არ გეცოტავენა წილად, ბაბუს როგორ არ მოგცემთო, — უთხრეს ძმებმა.

მიიღო წილად უმცროსმა ძმამ ბაბუ, ჩააბა ბაწარი და გასწია თავის გზაზედ. იარა, იარა, ორ ზღვას შუა მივიდა. აქ ერთი დევი ცხოვრობდა. მიადგა დევის კარს და დაუძახა: დედავ, კარი გამიღე! — ჰე, ისემც აშენებულხარ, ვილამც ხარ, მე დედის დამძახებელი ვინმე მყავდეს: ერთი შვილი მყავდა და ისიც შარშან ლაშქარს მომიკლეს! — არა არ მოუკლავთ, მე ვარ შენი შვილი!

1. დევმა ვერაფერი სთქვა, ჩაჯდა, ხელები დაიბანა, გობი გამორეცხა და ფქვილი მოცომა. — დედა რას შვრები მაგასო, — ჰკითხა ამ კაცმა. — აბა რა უნდა ვქნა, მყავე წყალი აქვე გამოდის, მაგრამ სამი დევი დაეპატრონა და მე არ მანებებენ. გავიდა ეს კაცი, მყავე წყალი ნახა, გასინჯა, ისეთია, რომ მისთანა თავის დღეში არ უნახავს რა: ფუცხუნა ძლიერ, ოქროს ღარი უდგია, ოქროს ქვიშა ვარს არტყია. დაბრუნდა დევთან, წყლის ჭურჭელი აიღო, წავიდა მყავე წყალზე, ჭურჭელი აავსო. დევს მოუტანა, მერმე ბაბუ წაიყვანა წყლის დასალევათ. ბაბუ რომ მყავე წყალზე მიიყვანა, დაინახა ისეთი დიდი შავი დევი მოდის მისკენ, რომ მიწას ანძრევს: იმდენი ხარისა და ძროხის ჯოგი მოჰყავს, რომ იქა-ურობა აავსო. დაინახა ეს კაცი დევმა და დაუძახა: ვილამც ყაცუნია ჩემს მყავე წყალზე ხარ, თუ მანდ დამხვდი შენს

რბილს შევკვამ და ძვალს დავნაყავი — ჰა, შე, ბილწო, შენმა სიცოცხლემ, გამოვლევ მე შენს მკავე წყალს რაღა!
 ! არ მოერიდა დევს და აქვე დაუცადა. მოვიდა დევი. ჯერ ხარის ჯოგი მოუშვა წყალზე, მერმე ძროხისა. როცა ამათ წყალი დააღვინა, უთხრა ამ კაცს: მოდი ერთი შენი ბაბუ და ჩემი ჯოგი დავაჯახოთ. — ჩემმა ბაბუმ როგორ უნდა გაუძლოს შენს ჯოგს, მაგრამ შენი ნება იყოს, რაც იქნება, იქნება, — უთხრა კაცმა. მიუშვეს ერთმანეთათნ ამ კაცის ბაბუ და დევის ჯოგი. ეძგერა ბაბუ ჯოგს, ისე დაიმორ-



ჩილა, რომ კლდის ძირში მიიმწყვდია მთელი ჯოგი. დევო გლახა გუნებაზე დადგა. რას იფიქრებდა თუ ერთი ბაბუ მოერეოდა მის ურიცხვს ჯოგს. უთხრა კაცს დევმა: ვხედავ რომ შენმა ბაბუმ აჯობა ჩემ ჯოგს, მოდი ეხლა მე და შენ ვიჭიდაოთ. ამ კაცს არ უნდა, მაგრამ ნება-უნებურად ჩაითრია დევმა, მოჰკიდა ხელი და როგორც უნდა, ისე აბურთავებს მას. ესეც არის მიწას უნდა დახეთქოს და ამ დროს დაიძახა: აბა, ჩემო ბაბუ, ხომ ხედავ გასაჭირში ვარ, მიშველე რამე! გამოვარდა ბაბუ, ეცა დევს, ამოკრა თავი, დევს გული შეულონდა და იქვე დაეცა მიწაზე. კაცი ზედ დააჯდა დევს, მოკვლას უპირობს. დევმა უთხრა: ნუ მომკლავ და ჩემი ჯოგის.

ჩახევიარს შენ მოგცემ. კაცი ბაბუს დაეკითხა: აუშვი თუ არა დევიო. — აუშვი და კეთილსაც დაგაყრის: ჩემს თავს წაგართმევს და შენც მოგკლავს. მოუქნია დაშნა ამ კაცმა და კისერი გააგდებინა დევს. ეს აქ დატოვა, მოსდვა ხელი მის ჯოგს და ნაცნობ დევსას მირეკა. მეორე დღეს დაბრუნდა მკავე წყალზე. ბაბუც თან წაიყვანა. გაიხედა მოდის წითელი დევი, ისეთი ღიღია, რომ სიმძიმით დედაშიწას ანძრევს. დევი თან შოერეკება ცხერისა და თხის ჯოგს. დაინახა ეს კაცი მკავე წყალზე და დაუძახა: ვილაც ხარ მანდ, ნუ დამხედები, თორემ უბედურ დღეს დაგაყენებ! — შე, ბილწო, შენმა სიცოცხლემ, ამოწურავს მკავე წყალს ჩემი ბაბუ განა?

1 მოვიდა დევი, ჯერ ცხერის ჯოგს დაალევირა წყალი. მერმე თხისას. შემდეგ უთხრა ამ კაცს: მოდი ბაბუ და ჩემი ჯოგი შევაჯახოთ ერთმანეთს. — კარგო, — უთხრა ამ კაცმა. მიუშვეს ერთმანეთზე ბაბუ და დევის ჯოგი. ბაბუმ დაიმორჩილა ჯოგი. ძლიერ ეწყინა ეს დევს, მაგრამ რას რზამდა. უთხრა კაცს: აბა ეხლა მე და შენ ვიჭიდავოთ. არ უნდა ამ კაცს, მაგრამ უარის თქმა ველარ გაბედა. ეცა დევი, ბურთით აათამშა ხელში ეს კაცი. ესეცაა უნდა დაახეთქოს მიწას, ამ დროს კაცმა დაუძახა თავის ბაბუს: აბა, ჩემო ბაბუ! მიშველე რამე, თორემ ცუდათაა საქმე. გამოვიდა ბაბუ, ეძგერა დევს. თავბრუ დასხმული გაშხლართა იგი მიწაზე. კაცმა ამ დევსაც თავი გააგდებინა. ამის ჯოგს თვითონ დაეპატრონა და წამორეკა ნაცნობ დევსას.

1 მესამე დღეს წავიდა ეს კაცი მკავე წყალზე. გაიხედა მოდის თეთრი დევი, ისეთი ხმაურობა გაქვს, რომ გეგონება დევთან ერთად მთა და ველი მოდისო. დევს ურიცხვი ცხენის ჯოგი მოჰყავს. დაუძახა ამ კაცს: ვილაცა ხარ, ჩემს მკავე წყალზე დამდგარხარ, გირჩევნია თავს უშველო, თორემ შავს დღეს დაგაყენებ! — შე ბილწო! რას გიშავებ აქ, იქნება გგონია ჩემმა ბაბუმ ამხელა წყალი ამოწუროს! მოვიდა დევი, ცხენის ჯოგს დაალევირა და მერმე ამანაც ისე უთხრა, როგორც წინა დევებმა. ბაბუმ ამ დევის ჯოგსაც აჯობა. დევს ეწყინა და აღარც კი უკითხავს, ისე ეცა ამ კაცს. ესეცაა უნდა გაათავოს კაცი, ამ დროს ისევ ბაბუს დაუძახა:

ქბა, ჩემო ბაბუ, ეხლა მიჭირს შენი ხელი! მოუქნია კაცმა
დაშნა, შემოჰკრა კისერზე, მაგრამ ტყავიც ვერ გაუჭრა. ამ
დროს დევის პირიდან თავუნა ამოძვრა. — ჰ, შე საწყალო
კაცო! ამას შენ რომ გგონია, ისე ვერ მოჰკლავ, მაგრამ მე
ფასწავლი ხერხს. ამ დევს საკუთარი ხმალი აქვს, ამოიღე
როგორმე, დაადევი კისერზე. შენ უსვი ხმალი და მე წყალს
გისხამ. მარტო ასე შეიძლება იმისი თავის გაგდებინება.

| ამ კაცმა ასე ქნა: თვითონ ხმალს უსვამს, თავგი წყალს
უხსნამს. ცოტა უკლია კაცს, რომ კისერი გააგდებინოს დევს
და ამ დროს თავუნამ ურჩია: ასე უთხარი დევს, რაც შენ
სიცოცხლეში ადამიანი და პირუტყვი გადაგიყლაპია, ყველა
ესენი ფეხზე დამიყენე და არ მოგკლავო. კაცმა აგრე უთხრა
დევის. დევმა მიუგო: ფერდის ძვალი გამოიღე და, რაც ადა-
მიანთ და პირუტყვი ჩამიყლაპავს, ყველანი ცოცხლად გა-
მოვლენ. კაცმა ერთის მაგიერ ორი გამოიღო. იმდენი კაცი
და საქონელი გამოვიდა ფერდითგან, რომ სავსებით აავსო
მინდორი. ყველაზე ბოლოს წმინდა გიორგის მწევრები გა-
მოვიდნენ, მაგრამ ისინი ბრმანი იყვნენ. — ჰა, შე, ბილწო,
ბრმა მწევრები რად მინდა! ეხლავე აუხილე თვალები, თო-
კრემ ესესაა გაგათავე! — ოჰ, დაგწყევლა ეშმაკმა, — სთქვა
დევმა, — ცოტა ღვიძლი მომჭერი, ცოტა ფილტვებს, წაუს-
ვი მწევრებს თვალებზე და აეხილება. კაცმა ბლომად მოს-
ჭრა გულს, ღვიძლს, ფილტვებს, წაუსვა მწევრებს, იმათ თვა-
ლები აეხილათ. ბოლოს მაინც გააგდებინა კისერი. თეთრი
დევის ჯოგი ნაცნობ დევისას მირეკა და უთხრა მას: შინ მე
ორი ძმა დამრჩა, იმათი უნახაობა არ მარგია. სანამ დავ-
ბრუნდებოდე, წმინდა გიორგის მწევრები კარგად შემინახე.

| შეჯდა თერს ცხენზე და გასწია. თავგუნია თან წამოი-
ყვანა. მოვიდა შინ და ნახა, რომ მის მხეცს დას ჯერ ჯოგი
შეუჭამია და მერმე ძმები. ძმების თავები ხელში აქვს სათა-
მაშოთ. ამას რომ შეხედა, გული მოუკვდა, და მიეგბა ძმას და
უთხრა: შეიძობით შენი მოსვლა ჩემო ჯუმდა-ბუმდა. მოჰკი-
და ხელი უნებურად, სახლში შეიყვანა, თვითონ გამოვიდა
და ამის ცხენს დაუწყო ჭამა. უცებ გამოგლიჯა ერთი ბარ-
ქაყი, მერმე ძმასთან შემოვიდა და უთხრა: ჩემო ძაშია, შენი
ცხენი სამფეხიანიაო. ძმა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და კიდევ

გავიდა კარში და მეორე ბარძაყი მოგლიჯა ცხენს. მერე შე-
ბრუნდა შინ ისევ და უთხრა ძმას: შენი ცხენი ორფეხიანიაო.
გამოვარდა ამ დროს თავგუნია და უთხრა ამ კაცს: შენ რაღა
უბედურებას უცდი აქ? ჯერ ცხენი არ მოუთავებია შენს
ქლას, თორემ ასე გგონია, შენ დაგზოგავს თუ?! — მაშ რა
გქნა? — უთხრა კაცმა — რა და სამი კარვა ნაცარი სხვენზე
შესდგი და შენ როგორმე ღარბაზის კარში გაიპარე. კაცმა
ქლაიჭერა თავგუნიას რჩევა. ამ დროს და კარში იყო ძმის
ცხენს შეექცეოდა. შემობრუნდა შინ, მარტო თავგი დახვ-
და. — თავგუნია, სად არის ჩემი ძამია? მოთხარი, თორემ
სურტყულ-ბურტყულ. — შე ბილწო, მე რა ვიცი სად არის!

1. ქალმა თავგი გადაყლაპა. იგი უკან გაუძვრა. ისევ აპი-
რებს გადაყლაპვას, თავგი შეშინდა: შე ბილწო, დამაცა, გეტ-
ყვი სადაც არის შენი ძმა, ის ეხლა სხვენზეა. იშოვე საჩე-
ჩელი, ერთიმეორეზე დაადგი, აპყევი და შენს ქვებზე ახვალ.
ქალმა ცხრა საჩეჩელი იშოვა, ერთი მეორეზე დაადგა. ესე-
ცაა მიაწია სხვენს, თავგმა ძირს საჩეჩელი გამოაცალა, გადმო-
ვარდა ქალი, გადმოჰყვა ორი კარვა და თვალეში ჩაეყარა.
ქალს თვალეში მოეწვა და ფშვინტა დაუწყო. ისარგებლა
იმით თავგმა და გამოძვრა კარში; მოეწია ამ კაცს და უთხრა:
შენი მხეცი და უკან გამოგეკიდება, მაგრამ მე რომ გითხრა,
ასე მოიქეცი და ეგება თავს უშველო. მისცა ერთი სალესი
და სამი ჩერია (თითისტარი). როდესაც შენი და მოგიახ-
ლოვდეს, ეს სალესი მიწას დაარტყი და უშველებლი კლდე
გაჩნდება. მართალია შენს დას ვერაფერი უძლებს, კლდეს
გახვრეტს, მაგრამ ამასობაში შენც რამდენსამე მანძილს
გაივლი. როდესაც კლდე გახვრიტოს და ესეცაა გეწეოდეს,
ერთი ჩერია მიწას დაარტყი. ჩერია ალვის ხედ გადაიქცევა,
შენ იმაზედ აღი. შენი და ხეს ხვრას დაუწყებს და, როცა
მან ხე წამოქცევაზე მიაყენოს, მაშინ მეორე ჩერია ჩამოაგ-
დე. მეორე ჩერიაც ალვის ხედ გადაიქცევა. ამასაც დახ-
რავს, მაშინ მესამე და იმაზე გადადი, მანამდის ეგებ შენც
ქრამე მოიგონო.

1. კაცმა ყველაფერი ასე ქნა. მიაღგა მხეცი და კლდეს,
ხვრიტა, ხვრიტა და საურამე გზა გააკეთა კლდეში. ესეცაა
დაეწია ძმას. იმან ჩერია დაარტყო მიწას, ჩერია ალვის ხედ

ფადაიქცა. ამ ხეზე ავიდა ძმა. დამ ხერა დაუწყო ხეს და წაქცევასზედ რომ მიიყვანა, ჩამოავლო ძმამ მეორე ჩერია, მერმე მესამე და ესეცაა ეს მესამე ხეც ყუყუზე მიდგა. ამ დროს კაცმა დაიძახა: აბა, მწვევრებო, თუ ერთგულნი ხართ, ეხლა მიშველეთ. გაიგონეს მწვევრებმა ეს და უცებ გაჩნდნენ ამ კაცთან. გაიდვეს მხრებზე ეს ხე და ეს კაცი დევისას მითანეს. მხეცი და აქაც გამოეკიდა და შექმას უპირებდა ძმას. ეცნენ აქ მწვევრები მხეც ქალს: ერთმა იქით, მეორე ხქეთ და შუაზე გახლიჩეს იგი. იმდენი სისხლი დაიღვარა მისი ღვამისაგან, რომ იქაურობა აავსო. მწვევრებს მადლობა გადაუხადა კაცმა შველისათვის და გაათავისუფლა. თვითონ აქ დაესახლა. სანამ ეს მართალი არ იყოს, მანამ არაფერი გეტყინოთ.

დედინაცვალი და გერი

! იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ქალი.

: მომაკვდავმა დედამ შვილს ერთი ფინია და ერთი ძროხა დაუტოვა. თანვე ანდერძად დაუგდო: ვინიცობაა, შვილო, მამაშენმა მეორე ცოლი შეირთოს და ძროხა დაჰკლას, შენ იგ ძროხის ზორცი არ ჰკამო და ძვლებს კი თავი მოუყარე და სორმოში ჩაყარეო. შამა მისმა მართლა მეორე ცოლი შეირთო.

| დედინაცვალი გერს გადაეკიდა. სულ იმის ფიქრში იყო, რა ხერხი ეხმარა, რომ დაეჩაგრა.

i ადგა და ავამდყოფობა მოიგონა, ლავაშები დააცხოზონა, ზედ ლოგინი გაიშალა და დაწვა. გადაბრუნდებოდა, ლავაშებს მტვრევა გაჰქონდათ, გადმობრუნდებოდა და აგრეთვე ამტვრევდა. ქმარმა რომ ნახა, ჰკითხა: ქალო, ავად რითი ხარო. — გვერდები მტკივა და შემტვრევაო, — მიუგო ცოლმა. — მერე რითი უნდა იწამლოო, — ჰკითხა ქმარმა. — ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღველას არ დაღვე, არა გეშველება რაო, — უთხრა ცოლმა.

• კაცმა იტირა: დედამ ერთი ძროხა დაუტოვა თავის ქალს და როგორ დაუქლო. რადგან არაფერი გაეწყობოდა, ძროხა დაჰკლეს. მაშინ ადგა გერი, ერთ დედაბერთან წავიდა და შესჩვილა: დედაჩემის დატოვებული ძროხა დამიკლესო. — დედაშენმა რა გითხრაო, — ჰკითხა დედაბერმა. ქალმა უთხრა: ასე მითხრა, ძროხის ხორცს ნუ სჭამ და ძვალს კი ზავი მოუყარეო. დედაბერმა დააჩივა: წადი, შვილო, ბაგას ქვეშ ორმო გათხარე და ის ძვლები შიგ ჩაყარეო.

• გერი დაბრუნდა, ბაგას ქვეშ ორმო გათხარა, ძროხის ძვლები, ტყავი და თავ-ფეხი შიგ ჩაყარა და ზედ ფიცრები დაწურა.

• დედინაცვალმა ნაღველი დალია და მორჩა. ადგა და გერი სამწყემსურში გაგზავნა. ერთი პური გატანა და უთხრა: ეს პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა აჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო. გერი წავიდა. ტყეში რომ შევიდა, მალღობზე შედგა, ტირილი დაიწყო და აბრეშუმის რთვას მოჰყვა. მალლიდან გადმოიხედა და ერთი სახლ-კარი დაინახა, შიგ დედაბერი იყო. გერს კვირისტავი ჩაუვარდა და ჩასძახა: დედაშვილობას ეგ კვირისტავი მომაწოდეო. დედაბერმა ასძახა: აჰა, შვილო, კვირისტავიო. მერე უთხრა: ჩამოდი ძირს, ერთი სახლი დამიგავეო.

• გერი ჩავიდა, სახლი დაუგავა, დაუწმინდა, — ერთი ქურჭელი დამირეცხეო, — უთხრა დედაბერმა, დაურეცხა, დაუსუფთავა და დაულაგა. — ერთი ქვევრებიც დამიხედო. წავიდა დახედა და მოახსენა: უჰ, რა კარგი და სუფთა ქვევრები გქონიაო. ბოლოს უთხრა: შვილო, რათა ტიროდიო. — დედინაცვალმა ეს აბრეშუმში და ეს პური გამომტანა. პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა აჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო, აბრეშუმშიც დამირთვიო.

• დედაბერებმა თავის პური აჭამა, მისი კი უკანვე მისცა, აბრეშუმის დართვაშიაც მოეხმარა. დაღამებისას გერი შინ დაბრუნდა. გერი დედაბერს მიეჩვია და ყოველთვის, როცა სამწყემსურში წავიდოდა, იმას ესტუმრებოდა. ერთხელ გერი რომ მორჩა სახლ-კარის დაგვა-დაღაგებას, დედაბერმა, თითქოს მადლის გადასახდელად, უთხრა: წადი, შვილო, აგერ მდინარე წყალი მოდის, ნაპირას დაჯექ. თეთრმა წყალმა რომ

ჩამოიაროს, არ იბანაო, არც შავში, არც ვირის ფერში, ოქროსფერმა რომ ჩამოიაროს, იმაში კი თავი დაისველე და ჩექთან მოდიო.

გერმა ოქროსფერ მდინარეში თავი დაისველა და დედაბერთან მოვიდა. ოქროს თმა გამოსვლოდა. თავი მაგრა შეუხვია და საღამოს შინ გაისტუმრა. გერი დედინაცვალს ეშალებოდა: ვაითუ თმა დამინახოსო და მოშკლასო. მაგრამ მის თმის ბრწყინვას დედინაცვალმა თვალი მოჰკრა, მივარდა, თავს გადახადა, დახედა, გაოცდა და შურით გლეჯა დაუწყო. მერე დაწვრილებით გამოჰკითხა და, როცა გერის თავგადასწავალი შეიტყო, იმის მაგივრად ახლა თავისი საკუთარი ქალი გაგზავნა სამწყემსურში, თანაც დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყო. პური და აბრეშუმ-თითისტარი გაატანა და რაც თავის გერს, ისევ იმას დააბარა.

წავიდა ქალი. ტყეში შევიდა, შედგა დედაბერის სახლის ბანზე და ხელი მიჰყო აბრეშუმის რთვას. კვირისტავი ჩაუვარდა და გადასძახა: შე ქოფაკო, დედაბერო, ეგ კვირისტავი მომაწოდეო. ჩამოდი და აიდეო, — უთხრა დედაბერმა. ქალი ჩავიდა. — აბა ერთი სახლი დამიგავეო, — უთხრა დედაბერმა. შევიდა სახლში და ყველაფერი პიუმტვრ-მოუმტვრია. — ერთი ჭურჭელი დამირეცხეო. ჭურჭელიც სულ დაუმტვრია. — ერთი ქვევრებს დამიხედო. — ფუჰ, ფუჰ, რა მყრალი ქვევრები გქონია, უწმინდურობით არის სავსეო. — აბა, შვილო, წადი, — უთხრა დედაბერმა, — და ამა და ამ ადგილას დაჯექი, რამდენიმე წყალი ჩამოივლის, მაგრამ თავი არ დაისველო, სანამ ვირისფერმა წყალმა არ ჩამოიაროსო.

ქალი წავიდა, ვირისფერ წყალში დაისველა თავი და ვირის ყურები გამოება. ადგა და დედასთან გაეშურა ტირილით და თავისი ამბავი შესჩივლა. დედამ რომ ნახა, თავში ხელი იცა და ბევრი იდარდა, მაგრამ რალას გააწყობდა.

ხანი გავიდა. დღესასწაულმა მოატანა. დედინაცვალი თავისი ქალით თემობაზე წავიდა და გერი კი სახლში დატოვა. ერთი კოდი ფეტვი დაუყარა და საცეხველი დაუდგა: ცრემლით ააგროვე ფეტვი, ისე აკრიფე, ერთი მარცვალი არ დარჩესო.

: გერმა ტირილი მართო, წავიდა დედაბერს შესჩივლა: ასეა ჩემი საქმე და რა ვქნაო. — ნუ გეშინიან, შვილო, მე წამოვალ და საქმეს გამოვაკეთებო. წამოჰყვა, დაუძახა ქვეყანაზე რაც ფრინველი იყო და უთხრა: ეს მარცვლები აკრიფეთო.

! ფრინველებმა აკრიფეს და საბათმანოში ჩაჰყარეს. გაივსო. მერე საცეხველში წყალი ჩაასხა, მარილი ჩაჰყარა და უთხრა გერს: ადე, შვილო, ხელ-პირი დაიბანე, წადი და საცა ძროხის ძვლები ჩაჰყარე, იმ ორმოს ახადე და ასე სთქვი: რაშო, ყველაფერთ გაწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანეო.

: წავიდა, ორმოს თავს დადგა, ყველაფერი უთხრა, როგორც დედაბერმა დაარჩია. რაში შეკაზმული ამოვიდა და გერის ტანისამოსი ამოიტანა. ჩაიცვა გერმა და რაშზე შეგდა. დედაბერმა უთხრა: წადი ახლა დღეობაში, ცალ ხელში თვალ-მარგალიტი დაიჭირე, ცალ-ხელში ნაცარიო.

! გერი წავიდა. რაშიანი ქალი რომ ნახეს, გაუკვირდათ. მაშინვე თვალ-მარგალიტი მამისკენ გადაჰყარა, ნაცარი დედინაცვლისკენ და საჩქაროდ გამობრუნდა, რომ შინაურები-სათვის შინ მოესწრო. მაგრამ მდინარე წყალში გასვლის ღროს ცალი ქოში ჩაუვარდა. შინ რომ მივიდა, ტანთ გაიზადა, ტანისამოსი შეაჩვია და რაშს დააკრა, ბაგაზე შეიყვანა და უთხრა: რაშო, ჩაბრძანდი შენი გაწყობილობითაო.

რაში ჩავიდა, გერმა ორმოს დაახურა, შემობრუნდა შინ, ძველებურადვე მობუდნული დაჯდა კერასთან და დაიწყო ტირილი. დედინაცვალი რომ დაბრუნდა, გერს თავში ჩაჭკრა და უთხრა: შენმა სიცოცხლემ, სწორედ შენა გგავდა დღეობაში რომ ქალი ვნახეთო.

! იმ მდინარე წყალზე, სადაც გერს ქოში ჩაუვარდა, ხელმწიფის მეჯინიბეებმა ცხენები ჩაიყვანეს წყლის დასალევი-ნებლად. ცხენები დაფთხნენ და წყალი აღარ დალიეს, რაკი მძიგ ოქროს ქოში ბრწყინავდა.

! ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა: მდინარეში რაღაც გდია, ცხენები დაფრთხნენ და წყალი არ დალიესო. ხელმწიფემ მაშინვე მცურავები გაგზავნა. მცურავებმა ქოში ამოიღეს და ხელმწიფეს მიაართვეს. ხელმწიფემ ქოში იასაულებს მის-

კა და უბრძანა: რკინის ქალამნები ჩაიცივით, რკინის ჯოხები დაიჭირეთ, წადით, ცისქვეშეთი დარარეთ, სადაც ქალამანი ჯაგრიცვდეთ და ჯოხი გაგიტყდეთ, იქ იქნება ამის ჩამცემელი ქალი და ის ქალი წამოიყვანეთ.

ქვეყანა მოვლეს, მივიდნენ იმ გლეხისას, სადაც ის ქალი იყო, ჯოხიც იქ გატყდა და ქალამნებიც იქ გაცვდა. — სახლში შეგვიშვით, უნდა დავიაროთო, — უთხრეს იასაულებმა.

დედინაცვალმა არ შეუშვა, ხელი ჰკრეს, შეცვივდნენ და ძებნა დაუწყეს. დედინაცვალმა გერი საჩქაროთ თონეში ჩააგდო, ქილობნი გადააფარა, ზედ სიბინდი დაყარა და კრუხ-წიწილს დაუძახა. მივარდა თავის ქალს, ქოშის ცმევა დაუწყო, მაგრამ არ არგო. იასაულები გავიდნენ ეზოში, ნახეს, ფინია თონეს გარშემო ურბენდა და იძახდა: თეთრი ქალია თონეში, თეთრი ქალია თონეშიო.

მივიდნენ, თონეს ახადეს და მშვენიერი ქალი კი ამოიყვანეს. ქოში რომ ნახა, სთქვა: ჩემიაო. ჩაიცივა და არგო. წაყვანა დააპირეს, მაგრამ გერმა მოახსენა: აქ მომიცადეთ და ეხლავე გიახლებით. წავიდა, ორმოს თავს დაადგა, ახადა და უთხრა: რაშო, ყველაფერით გაწყობილი ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანეო.

რაში მაშინვე ამოვიდა. ქალმა ტანთ ჩაიცივა, მზეს დაემსგავსა. შეჯდა რაშზე და იასაულებს წაჰყვა. დედინაცვალიც მოახლედ წაიყვანეს და მასთან მისი ქალიც. გზაში მდინარე წყალი დახვდათ გასასვლელი.

დედინაცვალს თურმე კალთაში კატა გაეხვია. წყალს რომ მიუახლოვდნენ, კატა გაუშვა და დაიყვირა: არიქა კურდღელი. კურდღელიო. იასაულები გამოუდგნენ.

დედინაცვალი მაშინვე გერსა სწვდა, ტანსაცმელი წაგლიჯა, თავის ქალს ჩააცვა და რაშზე შესვა, გერს კი ხელი ჰკრა და წყალში ჩააგდო. გერი თევზმა ჩაყლაპა. ქალი ხელმწიფეს მიჰგვარეს. იქორწილა. ვირის ყურები რომ უნახა ქალს, არ იამა, მაგრამ რას იზამდა.

ერთი მეზადური თურმე იმ მდინარეზე თევზაობდა, ზადე ისროლა და ნახა, რომ დიდი თევზი მოედო. გამოიტანა, თევზი გამოფატრა და ცოცხალი ქალი გამოიყვანა.

მებაღური თითონ უშვილო იყო და სთქვა: ღმერთმა შვილი მომცაო.

ქალმა უთხრა: რადგან წყლიდან გამომიყვანე და ქვეყნიერება დამანახვე, წამიყვანე და ბედსა გწევო.

მებაღურმა ცოლს მიჰგვარა და უთხრა: მაინც შვილი არა გვყავდა და ახლა ღმერთმა ეს ქალი მოგვცა შვილადაო. კარგად მოუარეს, ჩააცვეს და დაახურეს. გერი თუ უწინ კარგი იყო, ეხლა ერთიორად უკეთესი გახდა. კარგა ხანს დაჰყო მებაღურთან და ერთხელ უთხრა: მამავ, ესა და ეს ხელმწიფე დამიპატიეო. — შვილო, ჩვენ რა გვაქვს მისი საკადრისი ან რა ღირსი ვართ, ხელმწიფე დავპატიოთო.

შვილობილმა უთხრა: შენ ნუ გენადვლება, მე მხალს გავაკეთებ და იმაზე მოვიწვევო. ხელმწიფე სანადიროდ დადიოდა. მებაღური შემოეყარა და მოახსენა: ხელმწიფევ, თხოვ ღირსის ოჯახში მობრძანდეთო.

ხელმწიფემ სთქვა: რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან, რომ მპატიებდესო, და ეწვია. სახლში რომ შევიდა, სკამი მიართვეს. ხელმწიფე დაბრძანდა. ქალმა მხალი, პური და ღვინო მიართვა. ქალს პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული. — ჩემო ხელმწიფევ, მე ამის მეტი შეძლება არ მქონდა, რომ გაგმასპინძლებოდითო.

ხელმწიფე გაჰკვირდა და სთქვა: პირახვეული რად არისო?! ქალმა მოახსენა: სიტყვა მაქვს მოსახსენებელი, იმიტომ გავბედე და გავკადნიერდი, შენ დაპატიუებას მამაჩემი ვერ ბედავდა, მაგრამ ძალა დავატანეო. — აბა პირს აიხადე და მითხარი რა გაქვს სათქმელიო.

ქალმა პირბადე აიხადა. ხელმწიფემ რომ შეხედა, მისი მშვენიერებით გაოცდა და ოქროს თმამ გააკვირვა.

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი, ყოველივე, თუ როგორ იტანჯებოდა დედინაცვლის და მისი ქალის ხელში.

ხელმწიფემ მაშინ იასაულები გაგზავნა, ორივე დედაშვილი მოაყვანინა, ცხენის კუდებზე გამოაბმევიანა ორივე და აათრევინა.

ქალი წაიყვანა, მეთევზე და მისი ცოლი თან გაიყოლა. შინ რომ მივიდა, იქორწილა და იწყეს ბედნიერი ცხოვრება. მათი ნახვა მტერსაც კი უხაროდა.

სამი ვაშლი მქონდა, სამი ბროწეული,
ღმერთმა ყველას მოგახმაროთ თქვენი მამის მოწეული.
ელასა, მელასა, ძილი გაამოს ყველასა.

მზეთუნახავი ქალი და თორმეტი თვენი

ერთს სოფელში (ოქროს მადნის) მთის პირზე სცხოვრობდა ქვრივი ვინმე დედაკაცი, რომელსაც ჰყვანდა ორი ქალი: ერთი ნამდვილი თავისი შვილი, მეორე გერი. პირველს ერქვა სოფიო და მეორეს მარიამი.

ამ დედაკაცს თავისი ქალი სოფიო ძალიან უყვარდა, გერი კი ჭირივით ეჯავრებოდა. სოფიო ცუდის სახისა და მახინჯი იყო, შარბიამი ანგელოზივით მშვენიერი და სასიამოვნო. შინაურს საქმეს სულ საწყალი მარიამი აკეთებდა: სახლს ალაგებდა, რეცხავდა, სწმენდდა, ჰკერავდა, ქსოვდა, ქათმებს უვლიდა, ერთის სიტყვით როგორც უბრალო გოგო, ისე ემსახურებოდა თავის დედინაცვალსა და სოფიოს. ასე ზღასინჯე საქმელსაც თითონ ხარშავდა. მთელს დღეს ფეხს და ხელს არ დააყენებდა და როცა დაღამდებოდა, ყველაზე გვიან მოწყვეტილი და მოქანცული ჩაეგდებოდა ხოლმე ლოფინშია. ეს საცოდავი, რაც უნდა არ მუშაობდა სახლში და ჭიანს იმათ საქმეს არ ალევდა, შაინც კიდეც დედინაცვალს და სოფიოს ეჯავრებოდათ და თვალში ხიკვავდა ჰქონდათ; უფრო ამისათვის, რომ მარიამი დღითი დღე ლამაზდებოდა. — რა ვქნა, რა უყო მე ამას? ეს რომ სახლში იყოს, ჩემი სოფიო თავის დღეში არ გათხოვდება, — იტყოდა დედინაცვალი.

მარიამს დედინაცვლისაგან შეწუხება და ლანძვან უფრო მოემატა: დღით საღამომდის მოსვენება აღარა მქონდა. თვალები ბევრის ცრემლის დენით ჩაუსისხლდნენ და საზრდო მარიამი მალ-მალ, როცა კი შეიძლებოდა და

მურიანი სოფიო და დედინაცვალი იქ არ იყვნენ, გაიხედებოდა ფანჯარაში, რომლითგანაც სოფლის სასაფლაო სჩანდა და ამოოხვრით ჩაიბუტბუტებდა ხოლმე: ოხ, ღმერთო ჩემო, ის დროც იქნება, რომ მეც ჩემს დედ-მამის გვერდზედ, აი, იმ სასაფლაოზედ განვისვენო და ჩემს დედინაცვალს და სოფიოს მოვრჩე. დედამიწაში წოლა უფრო სასიამოვნოა სამისთანა სიცოცხლესო.

ერთს ზამთრის დღეს უსაქმურმა და ზარმაცმა სოფიომ ყვავილის კონა მოინდომა. — მარიამ, — უთხრა სოფიომ თავის დას: წადი ტყეში, ყვავილები მომიკირფე! მე ძალიან მამინდა იმათი სუნით. — მაგას რას ანობთ დაო, — უპასუხა კეთილმა მარიამმა. თოვლქვეშ რა დროს ყვავილებია? ფაზანულამდის მორცადეთ და მაშინ იმტელს დაგიკრეფავ, რა ერთიც გნებაესო. — აი, შე საძაგელო, შენა! — დაუყვარა დედინაცვალმა. ყველა საქმეზედ შენ უარს ანობფ, გინდა რომ სულ გულხელდაკრეფილი იყო და მუქთად პურს ფაქმევედო. ამ საათში ტყეში წადი, თორემ ამ ქვას შიგთავში გთხლეშამო: — უთხრა და კინწის კვრით კარში გააგდო.

მარიამმა არ იცოდა თუ რა ექნა. ღმერთი ახსენა ტირილით შთას შეუდგა ტყისაკენ. მუხლამდის თოვლი იყო, ფაფურცვლილი ხეები კვდრებივით გაშეშებული იდგნენ. ფეხის გზა სრულებით არსად სჩანდა. უბედური ქალი ალალებდათ მიდიოდა.

საბრალო მარიამი სიცივისაგან ლილასავით გალურჯებულიყო და კანკალით ფეხებს ძლივსლა მიათრევდა თოვლში. ამ წვალებაში ბევრჯერ ინატრა სიკვდილი და სიცოცხლის იმედიც აღარა ჰქონდა. ცოტა მაღლა რო ავიდა, პატარა მოედანზე უეცრად დაინახა ცეცხლის ალი. მარიამი სამინლად გაოცდა ამ მოჩვენებაზე და შეკრთა. თავათ ნახევარი სული აღარ ედგა და ეხლა თითქმის სუნთქვა შეიწყვიტა. ამ შიშის მიზეზი მარტო ერთი ცეცხლი არ იყო: იმას ჭარშემო შემოსხდომოდნენ თორმეტნი კაცნი, რომელნიც თორმეტნი თვენი იყვნენ, სხვადასხვა სახისა და ასაკისანი. სამნი მათგანნი თეთრწვერიანი იყო, სამნი ჭალარანი, სამნი ჭითქმის მოსული ვაჟკაცნი და უკანასკნელი სამნიცა მშვე-

ნიერი და ტანოვანი ახალგაზრდანნი. მხოლოდ ერთის მოხუცის, იანვრის გარდა, რომელიც ამალღებულ სახელმწიფო ტახტზედ იჯდა და ხელში ყავარჯენი ეჭირა, ყველანი ერთგვარ ქვებზედ გაჩუმებული ისხდნენ და ცეცხლის აღს შესცქეროდნენ. ქართულად იტყვიან „სული ტკილიაო“, მარიამს რაკი სიცოცხლის იმედი, ცეცხლი თვალწინ წარმოუდგა, გული გაიმაგრა და მივიდა ამ კაცებთან. თავი დაუკრა და დიდის შიშითა და კანკალით ორი სიტყვა უთხრა: კეთილნო კაცნო, ღვთის გულისათვის ნება მომეცით გავთბე.

1 ტახტზედ მჯდომარმმა იანვარმა ნიშნად თანხმობისა თავი დაუქნია და ჰკითხა: ქალო, რას ეძებ, ამ სიცივეში და ქვისხეთქვაში აქ რად მოსულხარო. — ყვაილებს ვეძებ მამაო, — უპასუხა მარიამმა. — რას ანბოფ, ზამთარში ყვაილებს რა უნდა! ვითომც პოვნის იმედი გაქესო? — მე სრულებითაც არა მაქეს იმედი, მაგრამ ჩემმა დედინაცვალმა და დამ გამამაგდეს ყვაილების დასაკრეფად. მე შინ რალა მიმასწევინებს, ამ მთებში გავიყინები, — სთქვა ესე და ტირილი ამოუშვა კეთილმა მარიამმა.

1 — ნუ სტირი, — უთხრა იანვარმა, — ბოროტებს ერთი დრო არ შერჩებათ. ტახტიდან წყნარად ძირს ჩამოვიდა, შიუახლოვდა მარტსა და მისცა თავისი ყავარჯენი და უთხრა: ძმაო მარტო, მიიღე ბრძანებულობა.

1 მარტი ტახტზედ ავიდა და ყავარჯენს ქნევა დაიწყო თუ არა, ჟეცრივ აღმა მალად აიწია და გამოსცა სიმრგვლივ სიცოცხლის მომცემელი სიტფო. თოვლმა და ყინულმა გადნობა დაიწყო, ხეები ფოთლებით და ბუტყებით შეიმოსენ, ბალახი ამწვანდა, მინდვრები ყვაილებით დაიფინა. დაღვა გაზაფხული, მშენიერი და სასიამოვნო დრო წლისა. ერთს ბუჩქ ქვეშ გაიშალნენ ის ყვაილები, რომელიც სოფიომ მოინდომა.

— დროით, დროით! — მიამახა მარტმა მარიამსა, რო მელსაც სიხარულსაგან აღარა ესმოდა რა, სულ ბღკაბლუჯა ჰგლეჯდა ყვაილებს. დაჰკრიფე ყვაილები და ძინ წადი, მაგრამ არამც და არამც არავის უთხრა, რაც დღეს მენ შეგემთხვა და ნახეო. მხოლოდ ერთი ამით შეგიძლია ჩვენი მომადრიელება.

კარგი კონა რომ შეჰკრა, მადლობა უთხრა და გამოეთხოვა. დედინაცვალს და სოფიოს იმედი არ ჰქონდათ მარიამის ჟეჟან დაბრუნებისა. იმისათვის გააგდეს, რომ გაფიჩხებულიყო საღმე და თავიდან მოეშორებინათ. საშინლად გაოცდნენ, მარიამი რომ დაინახეს ყვავილების კონით. კარები გაუღეს, მარიამი შევიდა თუ არა, სახლი მშვენიერი სურნელებით ფაიმსო.

— ეს ყვავილები სად დაჰკრიფე, — ჰკითხა სოფიომ. — ხაგერ, აიქ, აიმ მთის წვერობაზედ ბუჩქების ქვეშ ბალახებში სამსეაო. — ბალახებში? მთაზე? საკვირველებაა?!

ყვავილებს სუნვა დაუწყო. მეორე დილას სოფიო ჩვეულებისამებრ ნაცარქექიასავით ბუხარს მიჯდომოდა და უსაქმობით ამთქნარებდა. სოფიოს საქმის გაკეთება სძულდა. ცოტა ხნის შემდეგ გრევივით წამოიძახა: ახ, ღმერთო, რანაირად მამინდა მარწყვიო. მარიამ წადი ტყეში და ამ საათში დამიკრიფეო, — ჰსთქვა და დაამთქნარა. — მარწყვი, იანვარში?! უჰასუხა საწყალმა მარიამმა. საყვარელო დაო, მასხარად რად მიგდებ. ამ დროს მარწყვი ვინ ქნა, სად უნდა დაეკრიფო? — საცა ყვავილები იშოვნე, იმასაც იქ დაჰკრეფ! მე შენ გასწავლი დას როგორ უნდა ემსახურო, — დაუყვირა დედინაცვალმა, — და ცოცხს ხელი წამოავლო.

მარიამს მეტი ღონე არა ჰქონდა, უნდა როგორმე მარწყვი ეშოვნა. ისე იმ მთას შეუდგა და, შინამ თავის კეთილისმყოფელთ იპოვინდა, პირველს წასვლაზედ მომეტებული წვალემა გამოიარა. ძლივსყოფით ცეცხლს მიაგნო და დაეჩქარა რა გატფობას, მოხუცმა იანვარმა ჰკითხა მარიამს: ქალო, ამ დროს კიდევ რისათვის გარჯილხარო. ხომ ხედავ, კანაირი ქარიშხალი და სიცივეა, ეხლა ბუხარის წინ სახლში უნდა იჯდეო. — მამაო, შეწუხებისათვის მომიტევეთ, რა იქნა, ჩემა დამ და დედინაცვალმა მარწყვისათვის გამომაგდეს და უკან მამძახეს, თუ არ მიუტან, ცემით მამკლავენო. — ზამთარში მარწყვი ვის გაუგონია? აბა რასა იქო. — შინამ ღონე მომდევს, ვივლი ამ მთებში, მერე (ტირილი დაიწყო) ამ თოვლში ჩაეწეები და საუკუნოს ძილით განვისვენებო. — ქალო, ნუ ჰსწუხდები, — უთხრა მაშინ იანვარმა, — ბუნება, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, ცდილობს, რათა

ქენი თვისნი დაიკვას, — კსტქვა ესე და ჩამოვიდა თავის ტახტიდან, მივიდა ერთ წვერთან იმა შეკრებილებისა, მისცა მას ყავარჯენი თვისი და უთხრა: ძმაო იენისო, მიიღე ბრძანებლობა! მეფე ზაფხულისა იენისი ტახტზედ აბრძანდა და ყავარჯენის ქნევა დაიწყო. ცეცხლის ალი გახშირდა და მაღლა აიწია, თოვლი და ყინული გადნა. დედამიწა ყვავილებით და ბალახებით მოიფინა, ხეები ფოთლებით შეიმოსა და დაიწყეს ფრინველებმა უღივ-უღივი, სიმღერა, სტვენა... დადგა ფაზაფხული რაც სულს უნდოდა, ყოველნი ყვავილნი გაიშალნენ. მარწყვიც აყვავდა. ცოტა ხანს უკან მარიამი თვალით ჰხედავდა, მარწყვი როგორ მომწიფდა და თითქოს თათვლით იმსებოდა.

— ქალო, დროს ნულარ ჰკარგავ, — უთხრა იენისმა, — დაკრიფე რა ერთიც გინდა და წაიღე. მარიამმა ერთი კალთა იგაავსო მარწყვით, მადლობა უთხრა თავის კეთილისმყოფლებს და შინისაკენ გასწია. დედინაცვალს და სოფიოს მარიამის მოსვლის იმედიც არა ჰქონდათ და ძლიერ გაუკვირდათ, რომ მარიამმა მარწყვით სავსე კალთა სახლში შეიტანა. დედინაცვალი და სოფიო მარწყვს გაოცებულნი მივარდნენ და ქამა დაუწყეს, მარიამს კი ერთი მადლობაც არ უთხრეს: ეტყობოდა უკმაყოფილნონი იყვნენ, რადგან უნდოდათ მარიამი სადმე გაფრინებულიყო. ეს დღე არაფერი. მეორე დილაზე სოფიომ ქლიავი მოინდომა: მარიამ, ქლიავი მამინდა, წადი ტყეში და მამიტანეო. — დიდი ხანია ქლიავის დრო წავიდა, — მშვიდად უპასუხა მარიამმა. — ვიცი, მაგრამ საიდანაც ყვავილები და მარწყვი მოიტანე, ქლიავსაც იქიდან მოიტანო. — ყოველთვის ხომ ერთი ბედი არ მექნება, რაზე მტანჯავთ დაო, ისეთი რა დაგიშავეთ? მე ყოველთვის თქვენს სიამოვნებას ვსცდილობ, თქვენ კი უღმერთოდ შეკიდებით. აგრე არ უნდა, თორემ თქვენი ნება არისო. — ეე! განა შენ ჩვენგნით მადლიერიც არა ხარ?! მაგეების თქმა როგორ გაბედე? იქნება შენ გწადია ჩვენი სიკვდილი? მუ მოთხრილო, საძაგელო! აი შენის ცუდის ზნეობით სადამადის მიახწვევინე შენი თავი!... — ჩვენთან ცხოვრებას შენ არავინ გთხოვს, — დაუყვირა ბოროტმა დედინაცვალმა, — თუკი გეჯავრებით, სადაც გინდა იქ წაეთრიე, ოთხკუთხივ

გზა გქონია, შენი ხელის დამკერი არავინ არის, შე საძაგელო შენა! მუშტი მოუღერა. მარიამმა ტირილი დაიწყო და სთქვა: რა ვქნა, ვის უნდა მივადგე ახალგაზრდა ქალი, გლახასავით კარ-კარ სიარულს და თხოვნას ხომ ვერ დავიწყებო? — იგლახაკე თუკი მოწყალეების თხოვნა გინდა, თუ არა, ვინც ვაქმევს და გასმევს, რასაც გეუბნებიან, გაუგონეო. ერთი სიტყვით ქლიავისათვის წადი და ხელცარიელი მოსვლა არ გაბედო, თორემ ამას უყურეფ?! — მუგუზა-ლისაქენ გაიშვირა ხელი დედინაცვალმა.

მარიამი აკანკალებული კარში გავარდა და მთას შეუდგა. თავდაღუნული მიდიოდა. სულ თავბედს იწყევლიდა, რომ ამათანა ბოროტების ხელში იყო. შემდეგ ბევრი ტანჯვისა იპოვნა მან თავის კეთილისმყოფელნი. ისინი იმავე რიგით ისხდნენ, როგორც წინათ, უფროს-უნცროსობა წმინდათ იცვებოდა მათ შორის. ჯერ მარიამი ცეცხლთან არ მისულიყო, რომ იანვარმა შემოსძახა: ნუთუ ამ თოვლში თავის დაღუბა გინდა, შვილო ჩემოვო. სულ მთებში რას დაეხეტები, ნაცვლად იმისა, რომ სახლში იყო და ბუხარ წინ იხურებოდეო. თუ ჰქუა გაქვს, შენ ზამთარს ნუ ეხუმრები. შინ წადი, ან ჰქსოვე, ან შეეკრე. ან სხვა რამ საქმე გააკეთეო. — რა ვქნა მამო, გიჟი ხომ არა ვარ, რომ ამ ზამთარში მუხლზედ თოვლს ურევდე და მთა-მთა დავდიოდე. უწინაც მომიხსენებია, ჩემი აქ მოსვლის მიზეზი ჩემი და და დედინაცვალია. ჩემმა დამ დღეს ქლიავი მოინდომა და თუ არ უშოვნის, სახლიდან გაგდებას მიპირებენ და აბა რა ვქნა? — დიდი ხანია რაც შემოდგომა გავიდა, ხეებს არა თუ ქლიავი, ფოთოლიც არ შერჩენიათ! — კეთილნო კაცნო, თქვენ იყავით აქამდის ჩემი მფარველნი, მხოლოდ ერთს თქვენგან ვარ მადლობელი, ვიცი რომ ეხლაც არ მოინდომებთ ჩემს დაღუპვას, — უბასუხა ტირილით. — შენი განთავისუფლების დრო მოსულა, — უთხრა მარიამს იანვარმა და მივიდა ერთს თმა ქალარაინს კაცთან, მისცა მას თავის ყავარჯენი და და უთხრა: ძმაო ენკენისთვევ, მიიღე ბრძანებლობა!

ენკენისთვე დაბაისლურად ტახტზე ავიდა და ყავარჯენის ქნევა დაიწყო. ცეცხლი გაძლიერდა და ისეთი სიციხოვანე გამოცდა, რომ სიმრგვლივ ქვეყანა გათბა. თოვლი

და ყინული იმ წამსვე გადნა. დედამიწა ბალახებით დაიფრ-
ნა, ხენი ფოთლებით შეიმოსნენ. თითქო ბუნება ცუდს დარს
და სიცივეს მოელოდა, ფოთლები სცვინდებოდნენ და სა-
ითყენაც უნდოდა იქით მიაჩვენებოდა. ცოტა მოშორებით
ქლიავის ხე იდგა, რომელსაც ისე ესხა, რო თითქმის ტო-
ტები ენტვრევოდა.

• მარიამმა დაინახა თუ არა, მივარდა და ბევრი არყია,
მაგრამ ოთხის მეტი ვერ ჩამოაგდებინა.

• — გეყოფა, გეყოფა, — დაუყვირა ენკენისთვემ, —
მეტის იმედი ნულარა გაქვს, გეყო რაც ჩამოაყრევიწყო. მა-
რიამი დაემორჩილა, ეს ოთხი ქლიავი ჯიბეში ჩაიწყო, შად-
ლობა უთხრა ამ კაცებს და შინ წავიდა. სოფიომ რომ დაი-
ნახა მარჯამი, დედას უთხრა: დედავ, მგონია მარიამი ცარი-
ელი მოდისო. — მეც ეგ მინდოდა, — უპასუხა ბებერმა, —
ფეხს აოვკრამ და საუკუნოდ მოვრჩებიო.

• ამ ლაპარაკში მარიამი სახლში შევიდა, ის ოთხი ქლია-
ვი დედინაცვალს და სოფიოს მისცა. როცა შექამეს, მარიამს
ჰკითხეს: რატომ ბევრი არ მოიტანეო, ამის მეტი არ იყო-
ვო. — ბევრი იყო, მაგრამ ხე აღარ დამანძრევიწენს, რომ ჩა-
მომეყრევიწენებინაო. — აი, შე საძაგელო, შენა! — მიუგო
ბებერმა, — იმათი რას გეშინოდა, იმათ ყურს რათ უგდებ-
დიო. — სტყუის, — წამოიძახა მახინჯმა და ცუდის ზნისამ
სოფიომ, — გზაზე გახეთქილა და ჩვენ კი ოთხი მარცვალი
მოგვიტანა, ასე ჰგონია სასუნებლად გვინდოდაო. — ეს ქლი-
ავი სად დაჰკრიფეო, — ჰკითხა დედინაცვალმა. — აგერა,
აი ამ მთის უკან წვერობაზეო. — მე თუ სწორედ არ გავიგე,
ნაჩ იქნება, — სთქვა სოფიომა. — უთუოდ მე თითონ იქ
ყუნდა წავიდეო. რას ანობ, საბატონო ქლიავია, მაგრამ ვაი
შენი ბრალი, თუ გვატყუეფო. — რას ანობ, სად მიხვალ, —
რამდენჯერ უთხრა სოფიოს თავის დედამ. ერთხელაც იქნება
გავიგებთ, შენ ტყუილათ რად მიხვალო.

უბრალოდ სცდილობდა დედა, რომ სოფიო დაეყენებინა...
სოფიო თავისნება და შეუპოვარი ქალი იყო. დედის სიტყვას
თავის დღეწიერ არ შეიღმენდა ხოლმე, წინააღმდეგ დედა
უფრო ასრულებდა ქალის წადილსა. მთას რო წვერზედ მო-
ექცა, უეცრად ცეცხლის ალი დაინახა. რომლის გარშემო

თორმეტი კაცი მშვიდათ ისხდნენ და ცეცხლს შესქეროდნენ. მათგან ერთი იანვარი, უმაღლესი სხვათა, იჯდა და ხელში ყავარჯენი ეჭირა. შეუპოვარმა სოფიომ იმ კაცებს სალამიც არ მისცა და პირდაპირ ცეცხლთან გასათბობათ მივიდა. — ქალო, შენ რა გინდა. — ჰკითხა სოცივის მეფემ და ბრძანებელმა. — არა, შენ რა გნებავეს, შე ცეტო ბებერო, შენაო, — უპასუხა სოფიომ — ახლა კი დრო მოვიდა! — აღმოსთქვა საშინელის ხმით გაბატონებულმა იანვარმა. ცა ღრუბლებით მოიცვა, მოხუცმა წარბები მოიხმუჭა და ყავარჯენის ქნევა დაიწყო. ცეცხლი თითქმის ჩაქრა, საშინელი ქარი ამოვარდა და თოვლი დაიწყო. ისე ეგონებოდა კაცს — ცა და ქვეყანა შეერთებულაო.

სოფიოს შიშით გული გაუსკდა და შინისაკენ ფეხი გააჩქარა, მაგრამ იანვარს სად წაუფიქროდა. ბუქს პირზედ აყრიდა და თვალებს უბნებდა. ყელამდი თოვლი შემოადგა, ისე გაუჭირდა, რომ არამცთუ ფეხსაც ველარ აღგამდა, ვერც კი ინძრეოდა და შიგ თოვლში დარჩა.

იმისი დედა ამ დროს ფანჯარაში იყურებოდა და საშინლად ჰსწუხდა, რომ სოფიომ დაიგვიანა. დრო გადიოდა, მაგრამ ქარი კიდევ თავისას არ იშლდა. ბებერმა თავის ძონძი ქათები გადაიცვა, შალი მოიფარა და ქალის საძებნელად წავიდა. ქარი უფრო საშინლად ამოვარდა და თოვლი ისე აურია, რომ თვალში თითი გეტაკებინა, არა ჩანდა რა. ქარი ბებერს ხან საით სტყორცნიდა და ხან საით, ხან თოვლში ჩაჰფლავდა და ზედ თოვლს გადააყრიდა. ამ შეწუხებაში მაინც კიდევ სოფიო არ ავიწყდებოდა და იმის სახელს ჰყვიროდა: სოფიოჯან, შვილო, სად ხარ, დამენახვე! მაგრამ პასუხი არსაიდან იყო. ქარი ბლუილით თითქოს ეუბნებოდა ბებერსა: შენზედ ახია, შენ რომ მარიაში ასე არ გეტანჯა, ეგ საქმე არ მოგივიდოდაო. უფრო ჩამობნელდა. ბებერს სრულებით არ ენშოდა საით მიდიოდა. უეცრივ ერთს ხეს ისე დაეჯახა, რომ გულ-მუცელი ჩაიმტვრია. ხის უკან ყმუილი შეესმა, მივრდა და ნახა თავის ქალი სოფიო მკვდარივით თოვლში ჩაფლული, ძლივს ყოფით ფეხზედ წამოაყენა. — სოფიოჯან! სოფიო! ადგე შვილო, შინ წავიდეთ, თორემ ვიღუპებით! — რალა უნდა წავიდეთ, დაუხრჩობელი ველარ

გადავრჩებით, — ძლივს უპასუხა ნახევრად კვდარმა სოფიომ. ეს სულ მარიამის ბრალია, აქ, აიმ წვერობაზედ თორმეტნი თვალთმაქცინი ისხდნენ. ქარიც იმათ ამოაგდეს, თოვლიც მოიყვანეს... ჩვენ რომ იმას კარგათ ვეკიდებოდით, ეს იმის მაღლობაა, იმის, საძაგლის იმისაო... დამაცადოს ერთი შინ მივიდე ჯერაო. — მართალია, შვილო, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩემი გერა და შენი დაა. ვინ მოიფიქრებდა თუ ჩვენ ის აქამდის მოგვახწევიანებდა... ადე შვილო წავიდეთ, ერთი კი შინ მივახწიოთ და მერე გაურიგებ იმასაო...

ქალი წამოაყენა. ორიოდ ნაბიჯი გადასდგეს თუ არა, ისეთი თოვლი დაუშვა და ქარი ამოვარდა, რომ ხეებს ჰგლეჯდა და აბა იმათ რას უზამდა?... ორთავენი თოვლში წაიფლნენ და ერთი ადლი მქტი თოვლი თავზე დაეყარათ.

მარიამი დედინაცვლის და სოფიოს დაგვიანებისათვის ზაწინლად ჰსწუჯდა, მალ-მალე ფანჯარაში იხედებოდა, მაგრამ ისეთი კორიანტელი იყო, რომ სრულებით ვერას არჩევდა. — რა ვქნა? რა იქნენ? უბედურება ხომ არ შეემთხვათო. — ბევრჯელ ამბობდა კეთილი მარიამი. ფანჯარაში სანთელი აანთო, რომ ეგება ამის შუქზე გზა გამოაგონო. ღმერთს ეხვეწებოდა იმათ მშვიდობით დაბრუნებასა. თოვლი გადაიდო, ქარიც ჩავარდა, მაგრამ ისინი კიდევ არსადა, სჩანდნენ. კეთილსულოვან მარიამს იმედი ჰქონდა, რომ დილით უთუოდ მოვიდოდნენ, მაგრამ დილითაც არავინ მოვიდა.

მარიამმა მეზობლები მოაგროვა და საძებნელად გავიდა. ბევრი ეძებს, მაგრამ ვერ იპოვნეს. გაზაფხულის ერთს დღეს, როცა თოვლი სრულებით აღარ იყო, დედა-შვილი სოფლის მეცხვარეს ეპოვნა. მარიამმა შეიტყო თუ არა, საქრისტიანოს წესით, როგორც რიგი იყო, დაამარხვინა და, რაც იმათ მამული ჰქონდათ, სულ ამას დარჩა. ჩვიდმეტი წლისა რომ შეიქმნა, უფრო გალამაზდა. ბევრი კაცი კვდებოდა იმისათვის, ღლო მარიამი სულელი არ იყო, რომ როგორმე შეცთენილიყო. წვრილად მოიკითხა და ერთი თავისათვის კეთილი ახალგაზრდა შეირთო და ბედნიერად სცხოვრობდა.

იყო ერთი საწყალი კაცი და დედაკაცი, ღარიბები. ამ კაცს ეყოლა სამი ქალი, ცოლი მალე მოუკვდა და დაქვრივდა. რადგან ოჯახს ესაჭიროებოდა, მეორე ცოლი მოიყვანა. ცხოვრობდნენ ერთად რამდენიმე წელიწადი. შეიჯავრა ბავშვები ამ დედაკაცმა. ქმარს ეუბნება. თუ დამაშორებ ამათ, თუ არადა, თავს მოვიკლავო. ეს კაცი ეუბნება ცოლს: რა ვქნა, რა წყალში გადავარდე, ხომ არ დავხოცავო.

იქამდის აიძულა ეს კაცი ცოლმა, რომ შეუდგა ბავშვების დაღუპვას. ერთ დროს ბავშვებს უთხრა: მივდივართ ტყეში, საცა ბევრი ვაშლი და მსხალი ასხია, დასაკრეფად, შვილებო.

1 გამოაცხო სამი დიდი ხმიადი და წავიდნენ. ბევრი იარკეს თუ ცოტა, ავიდნენ ერთ დიდ მთაზე. წყაროზე მამამ ბავშვებს წყალი დაალევინა, პური აჭამა. — აი, ეხლა შვილებო, ხმიადს დავაგორებ ფერღობზედ, ვინც წინ მიხვალთ, როცა ეს ხმიადი დადგება, იქ არის დიდი ბალები, მსხალი, ვაშლი და ლეღვები.

1 დააგორებს ხმიადს. — აბა, გაჰყე უფროსო ქალო, სადაც დადგება — ვაშლები დაკრიფე, მე აქ მოგიცდი! დაგორდა ხმიადი ფერღობზედ. ქალი მიზღევს უკან. შევიდა ერთ ლდაბურ ქალაში ხმიადი. ქალიც მიყვა. უყურებს, აქ არაფერი არ არის.

1 ახლა მეორესაც დაუგორა ხმიადი, მერე მესამესაც. ბოლოს შეიყარნენ სამივე დები. დარჩნენ რამდენიმე დღე და ღამე ქალში. უძახიან მამას: მამი და მამი! მაგრამ მამა იქ აღარ არის.

1 მამა დაბრუნდება ცოლთან და ცოლი გახდება დამშვიდებული, გახარებული, მოიშორა ობლები. — ეხლა მიყვარხარ, კარგად ვიქნებით, აღარც ტირილი ბავშვებისა, აღარც დარდი, აღარც ბორბორი, ვიცხოვროთ ტკბილად. ეხლა რას მეტყვი, ხომ არა გწყინს, — ეუბნება ცოლი. — არ ვიცი, ჩემო კარგო.

1 ეს ბავშვები დარჩნენ ქალაში დიდი ხანი. ხეს ფოთოლი იფასცივდა. ბავშვები საზრდოობდნენ მაქალოთი. მოაგრო-

ვეს რამდენიმე თვის საზრდო, გააკეთეს ქოხი ჩალისა, ფოთლისა და დაიწყეს ცხოვრება იქ. არსაიდან ხმა არ ისმის. როცა შემოვლიათ პანტა-მაჟალო ეკითხებიან ერთმანეთს: რაღა ვქნათ, რაღა ვკამოთ, სად რა ვიშოვოთ. ბოლოს გადასწყვიტეს, რომელსაც მოვერევით; ის უნდა შევკამოთო. მაშინ თქვა უმცროსმა: ხომ იციან, რომ მე მომერევიო! დრო მომეციოთ რამდენიმე დღე, წავალ, ვივლი, იქნება, ვიშოვო რამე.

აღდა უმცროსი ქალი და წავიდა. ორნი დარჩნენ ქოხში. ბევრი იწვალა ბეჩამა. ბოლოს მიაღდა მეფის სასახლეს. ვერ გაუბედნია მისვლა. ერთ ღამეს შეიპარა საჯინბოში. მეჯინბემ რომ კარები შეაღო, შეიპარა ეს ქალი და დაიმაღლა კუთხეში. როდესაც ცხენებს მოუარა მეჯინბემ, დაუყარა ნუში და ქიშმიში, ამ ქალმა გაივსო კალთა, ჯიბეები და ჭამოპარა, მოუტანა დებს საზრდო.

1 კვებას დებს ასე ცხოვრობენ. ყოველთვის მიდის, პარამს რამეებს, ნუშ-ქიშმიშს და მოაქვს. ერთ დროს მეფემ ჭამააშვებინა რაშები დასაკმაზათ. შეხედა მეფემ, რაშები დამხდრები იყვნენ. მეჯინბეს ეტყვის: რათ არიან დამხდრები, ამოდენა ნუშსა და ქიშმიშს გაძლევეო. — მე კი უტყუერად ვაჭმევ და არ ვიცი ბატონო. — უნდა უყარაულო, იქნება გპარავს ვინმე. თუ დაიჭერ, თუ არადა, დაგახჩობო. დაუდარაჯდა, მაგრამ მეჯინბემ მაინც ვერ მოასწრო ქალს. დაიბარებს მეჯინბეს მეფე, გახდის ტანისაიოსს და ჩაიცივამა მეჯინბის ტანისამოსს, თავისას კი მეჯინბეს ჩააცმევს. დაუღებება ყარაულად რაშებს საჯინბოში, მეჯინბე კი შეყავს თავის კაბინეტში და ჩემს მოსვლამდე იყავი აქო.

2 შეუღამის დროს მოდის უპატრონო ქალი საჯინბოში. მეფე იჭერს ქალს, კალთა გატენილს ნუშითა და ქიშმიშით. იტყვანს თავისთან, ეკითხება: ვისი ხარ, საიდან მოდი? — ჩვენ გახლავართ სამნი დანი, გვყავს დედინაცვალი. დედინაცვალს არ ვუყვარდით. მამამ წაგვიყვანა ერთ ჭალაში და გაგვანება თავი. აღარა გქონდა საჭმელი, არც სახლი, არც ტანისამოსი. შიმშილმა შეგვაწუხა; ვისაც მოვერეოდით, ის უნდა შეგვეჭამა. ვიცოდი, რომ ისინი დიდები არიან და მოქეორცოდენ, ამისთვის ვეცადე, ბევრი ვიწვალე და მოვატა-

ნე თქვენს სასახლეს. თქვენთან მეშინოდა, რომ მოვსულიყავი. — როგორ შედიოდი საჯინბოში? — ბატონო მეფევ, როცა მეჯინბე კარებს შეაღებდა, მაშინ შევიპარებოდა ხოლმე. გავიმსებდი უბეს, ჭიბეს, კალთას და სანამ კარებს დაჰკეტავდა, ისევ გავიპარებოდი ხოლმე. მიმქონდა და ვასაზრდოებდი დებს. ამით გადავრჩით ცოცხლები. შიმშილი ქნელი ყოფილა, ყველაფერს აფიქრებინებს ადამიანს. — ეხლა სად ცხოვრობ? — ერთ უდაბურ ჭალაში. არც ხმა ისმის, არც ყური, არც საქმელი გვაქ, არც პური.

მეფე გასცემს განკარგულებას: წაიყვანეთ ეს ქალი თავის ბინაში და ის ქალები ერთად მოიყვანეთ აქაო. წავლენ. მოიყვანეს მეფის სასახლეში ყველანი ერთად. ქალებს ჩააცვამენ ტანისამოსს, დაჰბანენ, დაწმენდენ.

ემსახურებიან ბატონს. ეკითხება ბატონი უფროსს: შენ რა ხელობა იცი? — ბატონო მეფევ, მე ისეთი ხელობა ვიცი, რომ ერთ ხალიჩას მოვქსოვ და მთელი შენი საყმო და სასახლე ზედ დაეტიევაო.

ეხლა საშუალოს ეკითხება: შენ რაღა იცი? — მე იმდენ ერბო-კვერცხს მოეწვავ, რომ შენს ჯარს ეყოსო.

ახლა მესამეს ეკითხება: შენ რაღა იცი? — მე ამტონა ფარდაგს მოვქსოვ, რომ შენს ჯარს სულ გადააფარო და როცა ავდარი იქნება, არც ერთი არ დასველდებაო.

მისცეს მასალა ქალებს, მოქსოვეს ხალიჩა და ფარდა-ციც, ერთ დროს ქალმა მაიწვია მთელი ჯარი, მეფის საყმო, სასახლო, მოსწო ერბო-კვერცხი და დააკმაყოფილა ყველა.

მეფეს ძალიან გაუხარდა. მეფეს ჰყავდა სამი ვაჟი. მეფე აქორწილებს თავის ვაჟებს ამ ქალებზე.

იბარებს ამ ქალების მშობლებს, ისინიც მოვიდნენ ბატონთან — ეს ბავშვები თქვენები არიან? რათ გაუშვიტ ქალაში, რამ ავიძულათ? — მე არ მიყვარდნენ, ჰეტათ ცელები იყვნენ, ამიტომ დავიშორე, — ამბობს დედინაცვალი. — კაცო, შენ რაღას ფიქრობდი, ნუთუ შენი შვილები არ გიყვარდნენ? — მიყვარდნენ, მაგრამ ცოლის ხათრი ველარ გავტეხე. ცოლი მეუბნებოდა, თუ შვილებს არ მოიშორებ, მოგშორდებიო. ამიტომ დავყარე ქალაშიო. ვიტანჯებოდი, მაგრამ რას ვიზამდი, ცოლი გამირბოდა. — ეხლა რომ ნახოთ, იცნობთ თქვენს შვილებს? — არ ვიცი, ბატონო, ცოცხლე-

ბი არიან თუ მკვდრები. რამდენიმე წელიწადმა განვლო აღარ მინახავს.

გამოიყვანენ სამთავეს, რომლებიც ახლა დედოფლები არიან.

— იცნობთ თუ არა? — ვერა, გენაცვალე, ბატონო, ისინი ცოცხლები არ იქნებიან, მგლები დასჯამდენ.

ქალები სცნობენ მშობლებს.

— ბატონო მეფევ, მოგვეცით უფლება სალამი მივსცეთ მამას. — გაძლევთ, შვილებო, ნებას.

დეეხვიენენ, კოცნიან ერთმანეთს. ახლა მეფე ეკითხება ქალებს: რადგან ასეთი სასჯელი მოგაყენათ თქვენ მშობლებმა, დავსაჯოთ თუ არა? — შენი ჭირიმე, ბატონო, მამას ნუ დავსჯით, დედინაცვლისთვის კი ჩვენი ხელით დავგათხრევიენე თვალები.

მართლაც, მისცა მეფემ უფლება ქალებს. სამივემ ერთად დათხარეს თვალები — დედინაცვალს. მერე უთხრეს ბატონს: წაიყვანეთ და იქ გადაახედეთ, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით მშვიერი და მწყურვალეები, მოინანიოს იმანაც.

მამა რჩება ქალებთან განარებული. მეფემ კარგად მიიღო თავისთან. ასე ცხოვრობდნენ უძვირფასესად. გახდნენ ბედნიერები.

დევთაგანისა და იმისი ძმისა

იყო და არა იყო რა, დეთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი კაცი. ცოლი მოუკვდა და ერთი ქალი დარჩა. კაცმა მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვალმა ძალიან ამოითვალწუნა გერი. ქმარს უთხრა: თუ მე ცოლად გინდივარ, ეგ ქალი უნდა გადალუპო სადმეო. კაცს ეცოდებოდა თავისი შვილი, მაგრამ რას იზამდა? წაიყვანა ქალი ერთ ტყეში. იქ ერთი წითელი ვაშლი იდგა. კაცი ავიდა და ის ვაშლი დაბერტყა.

მამა ჩამოვიდა. ქალს უთხრა: შენ აკრიფე. სანამ მოვიდოდე, ერთად მოაგროვე, მერე მოვალ და წაგიყვანო. მამა წავიდა. ქალმა მოაგროვა ვაშლი, დაჭდა და დაუწყო მამას ლოდინი. გავიდა ხანი, მაგრამ მამა აღარ მოვიდა. დარჩა ქალი მარტოკა, ზის და ტირის.

• იქნა ღვთისა ნება, დაორსულდა ეს ქალი და ეყოლა ერთი ვაჟი. ვინც წლით იზრდებოდა, ის ვაჟი ღლით იზრდებოდა. რო მოიზარდა, დაიწყო მშვილდ-ისრით ნადირობა. ნადირობს და ისე არჩენს დედას. რომ სანადიროდ დადის, ამის დედას ერთი დევი შეეჩვია. ერთხელ ნადირობიდან რო დაბრუნდა ვაჟი, დედას უთხრა: აქ სურიელის სული მომდისო. — აბა აქ სურიელს რა უნდა, შვილოვო? ბოლოს გამოუჩინა ის დევი და უთხრა: ეგ მამა იქნება, შვილო, და შენ შვილიო.



დაორსულდა ეს დედაკაცი და ეყოლა ერთი ვაჟი. ამ ვაჟს დაარქვეს დევთაგანი. ვინც წლით იზრდებოდა, ის ღლით. რო გაიზარდა, დაიწყეს ძმებმა ნადირობა. ისე უყვართ ძმებს ერთმანეთი, რომ მეტი აღარ შეიძლება. დედამ ამოიმძულარა პირველი შვილი. მოინდომა იმისი მოკვლა. ერთხელ ისა და დევთაგანი სანადიროდ იყვნენ, ამოათხრევიანა დედამ კარებთან ერთი ღრმა ორმო, ზედ ფარდაგი გადააფარა: რო მოვა შინ, ჩავარდებო. დევთაგანი გულთმისანი იყო. ნადირობიდან რო დაბრუნდნენ, დევთაგანმა იმას

უთხრა: კარებთან რო მივალთ, ჯერ მე გადავხტები და მერე შენ გადმოხტო. ისეც მოიქცნენ. კარებთან რო მივიდნენ, ჯერ დევთაგანი გადახტა და მერე უფროსი ძმა. ასე გადარჩა სიკვდილსა.

მეორე დღეს კიდევ წავიდნენ სანადიროდ.

ცოლმა და ქმარმა ახლა სხვა ხერხი მოიგონეს. აიტანეს სხვენში ერთი დიდი ქვა: როცა სახლში შემოვა, დავცეთ და მოვკლათო.

ნადირობიდან რო დაბრუნდნენ, დევთაგანმა უთხრა ძმასა: დედაჩემს და მამაჩემს შენი მოკვლა უნდათ და ნუ გეშინიან, მე გადაგარჩენო.

სახლში რომ უნდა შესულიყვნენ, დევთაგანმა გადახვია ხელი ძმასა და ისე შეიყვანა სახლში. აბა, ქვას როგორღა დასცემდნენ თავში, ხომ დევთაგნსაც დაეცემოდა და იმათ ყი დევთაგანის მოკვლა არ უნდოდათ. ახლაც ასე გადაარჩინა ძმა.

რომ ველარაფერი მოიგონეს, ცოლმა უთხრა დევსა. წადი ტყეში, კაცად მოეჩვენე და მერე შეჭამეო.

წავიდა დევი და, როცა ძმები ნადირობდნენ, კაცად მოეჩვენა: უნდა მოიტყუილოს და შეჭამოს. დევთაგანმა უთხრა ძმასა: ეგ კაცი მამაჩემია, კაცად გეჩვენება, შენი შეჭმა უნდაო. ვესროლოთ და მოვკლათო. ესროლეს ისრები და მოკლეს დევი.

სახლში რომ დაბრუნდნენ, დევი აღარ მოვიდა. დედამა ჰკითხა მამათქვენი ტყეში წამოვიდა და ხომ არ შეგხვედრიათო. — როგორ არა, ჩვენ უცხო მტერი გვეგონა და მოვკალითო. ერთ დილით დედამ გააკეთა ფაფა. თავისთვის და დევთაგანისთვის კარგი დაასხა და უფროს ვაჟს კი მოუწამლა.

დევთაგანი გულთმისანი იყო, გაიგო რომ ძმის კერძი მოწამლული იყო. დედას უთხრა: დედა, დედა, აბა გაიხედვრა ირმები მოდიანო, შედი მშვილდ-ისარი გამომიტანეო. დედა რო წამოხტა მშვილდ-ისრის გამოსატანად, დევთაგანმა დედას კერძი შეუცვალა, ძმის კერძი დედას დაუდგა და დედის კერძი ძმასა. დედამ გამოუტანა მშვილდ-ისარი. დედამ შეჭამა ფაფა და მაშინვე იქვე მოკვდა. მოსწყინდათ

ძმებს იმ ალავას ცხოვრება, სთქვეს: მოდი ისრები გავკრათ და ვისი სადაც დაეცეს, იქ ვიცხოვროთო.

გაჰკრეს ისრები. უფროსი ძმის იპარი ერთი ხელმწიფის ბანზედ დაეცა. წავიდა, შაირთო იმისი ქალი და დაიწყო იქ ცხოვრება. გაჰკრა დევთაგანმა ისარი და ერთ ტყეში დაეცა. წავიდა ისიც იქ საცხოვრებლად.



ერთხელ ამ უფროსმა ძმამ ცოლსა ჰკითხა: აქ ტყე არ არის რომ ვინადირთვო. — როგორ არ არის, მაგრამ ვინც მიდის, აღარ მოდისო. — მე წავალ, არა უშავს რაო, — სთქვა ვაჟმა. აიღო მშვილდ-ისარი და წავიდა. ძალიან კარგი ჭანადირო გამოდგა, ბევრი ნადირი დახოცა და დაისვენა.

დაანთო ცეცხლი და სწავეს მწვადებს. პურის ქამა რომ დაიწყო, შოვიდა ერთი დიდკბილება ბებერი და დაუძახა: შვილო, პატარა ცეცხლი მომეციო. — მოდი და წაიღეო, — დაუძახა ვაჟმა. მისცა ცეცხლი. რო გამაართო, ბებერმა უთხრა: ე მწვადებიც მომაწოდეო. მწვადებიც მისცა. ბებერმა ხელად გადაყლაპა. მერე უთხრა ვაჟსა: ე მწვევრებიც მომეციო. ბებერმა ისინიც გადაყლაპა. მწვევრებს რო მორჩა, ახლა თვითონ ვაჟიც გადაყლაპა და წავიდა.

დევთაგანს გულმა გაუგო, რომ ჩემს ძმას შავი დღე აღეგიაო. აიღო მშვიდ-ისარი და წამოვიდა. მივიდა იმის ცოლთან. დევთაგანი ისე ჰგავს თავის ძმას, რომ ქალმა ვერ იცნო, ქმარი ეგონა და იმ ღამეს იმასთან დაწვა. ვაჟმა ხმალი დადო შუაზედ, რომ ამას აქეთ არ მოსწვეო. მეორე დღეს უთხრა რძალს, რომ მე შენი მაზლი ვარ და ჩემი ძმა სად არისო. რძალმა უთხრა, რომ ამა და ამ ტყეში წავიდა სანადიროდ და აღარ დაბრუნებულაო. ვინც წავა იქ სანადიროდ, ცოცხალი აღარავინ მოსულაო. აიღო დევთაგანმა მშვილდ-ისარი და წავიდა იმ ტყეში სანადიროდ. ინადირა, ნადირი დახოცა, დაისვენა, ცეცხლი აანთო, მწვადები შეწვა და პური უნდა ქამოს.

ამ დროს მოდის ის დევების დედა. დევთაგანს უთხრა: პაწა ცეცხლი მომაწოდეო. — მოდი და წაიღეო. — მომაწოდეო. მიაწოდა. დევთაგანმა გულთმისანი იყო და იცოდა, რომ ამ ბებერმა ჩაყლაპა იმისი ძმა.

ბებერმა კიდევ უთხრა: ე მწვადებიც მომაწოდეო. მაშინ წამოხტა დევთაგანი და შამფური მუცელში უნდა ჩაეცა. ბებერმა უთხრა: შენი ძმა მე შეეკამე. შამფურს კი ნუ შამირჭობო, გამიჭერ მუცელი და შენი ძმა იქ არისო. გაუჭრა დევთაგანმა მუცელი და თავისი ძმა ცოცხალი გამოიყვანა. გადაეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა.

დევთაგანმა უთხრა ძმასა: წუხელ თქვენსა ვიყავ, შენმა ცოლმა ვერ მიცნო, შენ ვეგონე და ჩემთან დაწვაო. ხმალი დავიდე შუაზეო. თუ ჩემი ფრთხილი მიჰკარებოდეს შენ ცოლს, ამ ხმალმა დამჭრასო და დამკუწოსო.

თურმე რო დასძინებია, ფჩხილი მოუხვედრებია რძლის
კალთისთვის. მართლა დაიჭრა და დაიკუწა დევთაგანი. ტი-
რის, ტირის ეს ძმა, თავს იკლავს.

შეესმა ღმერთს იმისი საცოდაობა. გამოგზავნა ყვავი:
აბა წადი, ნახე, რა ამბავიაო. ყვავი გაძლა ლეშით და გას-
წია ღმერთთან: იქ არაფერი ამბავიაო. მერე გამოგზავნა
ღმერთმა მტრელი. მტრელში მოისვარა ფეხები სისხლში და
ღმერთს აუტანა ამბავი: ამისთანა და ამისთანა ამბავიაო.



გამოატანა მაშინ ღმერთმა ერთი ხელსახოცი: წადი, მო-
უსვი და გაცოცხლდებიო. წამოიღო მტრელმა და გააცოცხ-
ლა.

ამის შემდეგ დაიწყეს ძმებმა ერთათ ცხოვრება, აღარ მოშორებიან ერთმანეთს.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა-მელასა,
ქიქა შეკიდა ყველასა.
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა.

და-ძმის აზვავი



იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს ჰყავდა ქალ-ვაჟი, რომელნიც სახით და სილამაზით ერთმანეთს არ ერჩეოდნენ. ამ ხელმწიფეს შეუჩნდა ერთი გველვეშაპი და აღარ ეშვებოდა: გინდა თუ არა, შენი ქალი მე უნდა მომცეო. დღეს, ხვალ და რო აღარ იქნა, გველვეშაპმა მუქარით უთხრა ხელმწიფეს: თუ მომცემ. მომცემ შენს ქალს, თუ არად, შენს ქალაქში მცხოვრებთაც ვშთანთქავ და შენცაო. ხელმწიფეც შეშინდა და უთხრა: ამა და ამ დროს მოდი, მოვამზადებ ქალს და წაიყვანეო. ხელმწიფემ ქალი კი ვერ გაიმეტა, ვაჟი მოამზადა გველვეშაპისთვის.

დანიშნულ დღეს ჩააცვა ქალურათ ვაჟს და გამოიყვანა აივანზედ. მოვიდა, რასაკვირველია, გველვეშაპიც და შეატყობინა ხელმწიფესაც: აბა როგორა ხარ პირობაზედაო. ხელმწიფემაც აიღო და მისცა ქალურათ მორთული თავისი ფაჟი. გველვეშაპი წამოვიდა, რამდენიმე გზა რომ გამოიარა, იგულში გაიფიქრა: ხელმწიფემ ქალის მაგივრად, ვაჟი ხომ არ შემომატყუაო. ნახა, მართლაც, რომ მოტყუებული გამოდგა. — აბა თუ აგრეაო, ადგა, ამ ვაჟს უდაბურ ტყეში გაანება თავი, თავად კი გაბრუნდა ისევ ხელმწიფისკენ, მიჰყო ცაჯავრებულმა და სულ შთანთქა იმ ქალაქში მცხოვრებნიც და ხელმწიფეც. ხელმწიფე ადგა და წინათვე თავისი ქალი ცხრაკლიტულში ჩასო. ქალაქი რომ გაათვა, ახლა მოადგა ამ ცხრაკლიტულს გველვეშაპი. დილიდგან საღამომდინ ჟომა, მაგრამ ვერაფერი ვერა დააკლო რა, ამნაირად დღეში ერთხელ ყოველდღე მოდიოდა გველვეშაპი და ეომებოდა ამ ცხრაკლიტულს, მაგრამ ვერას აკლებდა.

ხელმწიფის ვაჟი, რომელიც გველვეშაპმა დასტოვა უდაბურ ტყეში, რამდენიმე დღეს ტირილით ატარებდა. ერთ ღღეს გამოიარა ერთმა მდიდარმა სოვდაგარმა. ყმაწვილი მტირალი რომ ნახა, ღმერთს მადლობა შესწირა: შვილი არა იყვანდა, ღმერთმა შვილი მომცაო. ადგა და წაიყვანა ყმაწვილი. იარეს და მიაღწიეს ერთ ქალაქს. სოვდაგარმა ქალქს ჭარეთ ერთს ყორულში ჩამოხადა თავის ჯორ-აქლემს და დაბინავდა. თურმე, ნუ ბრძანებთ, რომ ამ ქალაქის ხელმწიფეს შვილი არა რჩება. ერთი ვაჟი გაუჩნდა და ისიც გაჩენის დღიდან სულ ერთთავად სტირის, რომ ვერაფრით ვერ აჩუმებენ. ყოველდღე ამ ყმაწვილს ახალ-ახალ ძიძებს უცვლიან, მაგრამ ვერავინ აჩუმებს. ამიტომ ხელმწიფეც აჭრევინებს ძიძის თავებს და თავის ბალის მარგილზედ აცმევინებს. ბოლოს ერთი ძიძა კიდევ მოაყვანიდა ხელმწიფემ და უთხრა: ჩომ ხედავ ამ თავებს, ასს ერთი-ლა აკლია, თუ შენც ვერ ღააჩუმე ჩემი ვაჟი, იცოდე, შენც თავს მოგჭრიო.

იმ ღამეს ეს ყმაწვილი ისევ ისე სტიროდა, მეორე დღეს ძიძამ წამოიყვანა ყმაწვილი და სთქვა: მოდი მინდორში წაიყვან, იქნება რითმე გავაჩუმოვო.

მართლაც, წაიყვანა ძიძამ ყმაწვილი. იარა, იარა და სოვ-
დაგართან კი მივიდა. ძიძამ უთხრა სოვდაგარს: ეს სად აძო-
ვებთ ყორულში, რომ გაგიგოს ხელმწიფემ, ხომ დაგატუსა-
ლდებსო? ახლა სოვდაგარმა უთხრა: შენ დალოცვილო, მგზავ-
რები ვართ და, თუ არ დაგვაბეზლებ, კარგია და თუ არადა,
რა ექნაო. ძიძამ დასო ხელმწიფის ყმაწვილი ძირს. ყმაწვილ-
მა დაიწყო თამაში სოვდაგარის ნაპოვნ ყმაწვილთან და ის
იყო გაჩუმდა ტირილისაგან. სალამოზედ ძიძამ მოიყვანა ყმა-
წვილი შინ. ხელმწიფემ ჰკითხა ძიძიას: როგორ მოხდა, რომ
დღეს ყმაწვილი აღარა ტირის, რითი გააჩუმეო. ძიძამ ყვე-
ლა უამბო. თქვენს ყორულში ერთს სოვდაგარს საპალნე ჩა-
მოუხდია, იმას ერთი მშვენიერი ყმაწვილი ჰყავს, იმ სოვდა-
გარის ყმაწვილთან თამაშობა დაიწყო და გაჩუმდაო. მაშინ-
ვე ხელმწიფემ გაგზავნა ნაზირ-ვეზირნი და დააძახებინა სოვ-
დაგარისათვის. საწყალს სოვდაგარს გული წაუვიდა. იფიქრა,
რით უთუოდ ძიძამ დამაბეზლა და იმიტომ მიბარებს ხელმწიფეო.
აღდა, ოქროს სინი გაამსო თვალ-მარგალიტით. ზედ გადაა-
ფარა ოქრომკერდით ნაქსოვნი ხელსაწმენდი, მივიდა ხელ-
მწიფესთან და მიართვა ძღვენი.

ხელმწიფემ უთხრა: ძღვნისთვის მადლობელი ვარ, მაგ-
რამ ორი მაგოდენა ჩემგან მიიღე. მხოლოდ ერთი სათხოვა-
რი მაქვს და ის ამისრულეო. სოვდაგარმა მოახსენა: დიდე-
ბულო ხელმწიფეო, თუკი რამე შემეძლება, თქვენი ჰირის
სანაცვლო გახდესო. რასაკვირველია, ხელმწიფემ სოვდაგარს
უთხრა: ასე არის ჩემი შვილის საქმე და გუშინ შენთან
ერთი ყმაწვილი უნახავს და გაჩუმებულა და ის ყმაწვილი
უნდა დამითმოვო. სოვდაგარმა მოახსენა: ის ყმაწვილი მეც
ნაპოვნი მყავს, მაგრამ ჩემი ნამდვილი შვილიც რომ გახლ-
დეთ, მაინც მოგართმევდიო. რასაკვირველია, ყმაწვილი მო-
აყვანიანა სოვდაგარმა, დაულოცა ხელმწიფეს და თვითონ
ცაუდგა გზას.

ის დღე იყო და ის, ხელმწიფის შვილს აღარსად უტირ-
ნია.

ხელმწიფემ სოვდაგარის ნაჩუქარი ყმაწვილიც შვილად
მიიღო და სახელები დაანათლა: თაჯისას — ალია, სოვდაგ-
არის ნაჩუქარს — ალიმირზა. ეს ყმაწვილები იყვნენ ერთად.

ვინც თვით იზრდებოდა, ესენი დღით ერთმანეთს ძმებს ეძახდნენ. ერთხელ ორთავე ძმებმა დაიწყეს კოჭით თამაშობა. სამ დღეს ჯერ კოჭებს თამაშობდნენ, სამ დღეს ჭიდაობდნენ და სამ დღეს ბურთაობდნენ. ამნაირად ატარებდნენ დროს. ერთხელ ალიამ უთხრა ალიმირზას: ახლა რაღა გავაყვითოთ? — მოიცა და სალამოზე გეტყვიო, — უთხრა ალიმირზამ.



სალამოზედ ალიმირზამ გაგზავნა ალია მამასთან და უთხრა: წადი, მამაჩვენს უთხარი, ორი გრდემლის ბურთი ჩამოახსმევინოსო ისეთი, რომ თითო თხუთმეტი ფუთი იყოსო. წაიღონ ჩვენს მოედანზედ და ერთი თავში დააგდონ, მეორე ბოლოშიო. წამოავლეს თითო ბურთს ხელი, ესვრიან ერთმანეთს და იჭერენ ხელში. ასე იბურთავეს სალამომდენ და

სალამოზედ მოვიდნენ შინ. სალამოზედ კიდევ უთხრა ალიამ: ძმას: ხვალ რაღა გავაკეთოთ? ალიმირზამ მიუგო: ხვალ: დავისვენოთ და ხვალ ღამ გეტყვი, რაც გავაკეთოთ. მართლაც, ამ ყმაწვილებმა მეორე დღეს დაისვენეს. სალამოზედ ალიმირზამ უთხრა ალიას: წადი, მამაჩვენს უთხარი: ორი რკინის პერანგი ჩამოასხმევინოს ისეთები, რომ თითო ჩვილმეტი ფუთი იყოს და დილაზედ ერთი ჩვეწი მოედნის თავში იღოს და მეორე ბოლოშიო.

გათენდა დილა. ორივე ძმები გამოვიდნენ მოედანზედ, წამოჰკრეს ხელი პერანგებს, საჩქაროთ გადაიცვეს, დაიწყეს თამაშობა და შემდეგ ჰიდაობა. ერთმანეთს რომ მოიქნევიდნენ, მიწას ზანზარი გაჰქონდა. სალამომდენ იჭიდავეს, სალამოზედ ალიმირზამ შეატყო, რომ ალიას დასძალა, მაგრამ არ გალახა, გაშველდნენ და წავიდნენ შინ. სალამოზედ კიდევ ჰკითხა ალიამ: ხვალ რაღა გავაკეთოთ? — ხვალ შევისვენოთ და ხვალ სალამოზედ გეტყვი, რაც უნდა გავაკეთოთ. მართლაც, მეორე დღეს შეისვენეს სალამომდემ. სალამოზედ ალიმირზამ უთხრა ალიას: წადი, ძმაო, და მამაჩვენს უთხარი, თითო თოფი გაგვიკეთებინოს ისეთი, რომ: მისი ნასროლი ტყვია ძალიან შორს მიდიოდესო. მართლაც, ალიამ მოახსენა თუ არა, ხელმწიფემ დაიბარა მეთოფე, გააცეთებინა თოფები, წააღებინა და თავის შვილების სასახლის ყარებთან მიაყუდებინა. მეორე დღეს ორივე ძმები ადგნენ, წამოავლეს თოფებს ხელი და გასწიეს სანადიროდ. ყოველდღეს ასე ახლომახლო დადიოდნენ, ხოცავდენ წვრილ ნადირს და მოჰქონდათ შინ.

ერთ დღეს ალიამ უთხრა ალიმირზას: წავიდეთ სადმე. შორს, იქნება დიდი ნადირი მოვკლათ რამეო. ძმები, მართლაც, გამოემშვიდობნენ მამას და უთხრეს: ჩვენ სამი დღით მივდივართ და ჩვენი დარდი ნუ გექნებაო. აიღეს ძმებმა იარაღი, საგზალი და გაუდგნენ გზას. იარეს სამს დღეს და ვერა მოკლეს რა. ალიამ უთხრა: ეს რა ამბავია, სამი დღე დავდივართ და ერთი მტრედიც ვერ მოვკალითო? ალიმირზამ მოიხედა უკან, ნახა, რომა ჯარი მოსდევთ იმდენი, რომ დედამიწას მოაბნელებენ. ალიმირზამ უთხრა ძმას: აბა, ძმაო, შეხედე, მათი ფეხის ხმაზედ რაღა ნადირი დადგებოდა აქაო.

თურმე ხელმწიფეს გამოეგზავნა ჯარი შვილების ყურის საგ-
დებლად. რომ იცვნეს, ჩვენი ჯარიაო, ალია მიუბრუნდა ჯარს
და უთხრა: წადით, მოახსენეთ მამაჩვენს, ჩვენი დარდი ნუ
ექნება, ჩვენც ეს არის მოვლივართო. ჯარი უკან გააბრუნეს
და თავათ კი ისევ გაუდგნენ გზას.

იარეს და წააწყდნენ ერთ მელიას. ირბინა მელიამ და
მიჰყვნენ ძმებიც. ამნაირად მელიამ ერთ სერზედ აიყვანა
ორივე ძმები. მელია გადაეშო იქით ფერდოში და ძმები კი
დარჩნენ სერზედ. მშვენიერი ნიავი უბერავდა. ძმებმა საგ-
ზალი ამოიღეს, სუფრა გაშალეს და საუზმეს შეექცეოდნენ.
ალიამ უცბათ მოიხედა და დაბლობში რაღაც თეთრად დაი-
ნახა. მოუბრუნდა ძმას და უთხრა: ეგ ზღვა არისო. ზღვა რა
არისო, — უთხრა ალიამ. — ზღვა წყალი არისო, — უპასუ-
ხა ალიმირზამ. — შიგ რომ შავად მოცურამს, ის რაღა არი-
სო? — ის გემი არის, ხალხი მიჰყავს ერთი კიდიდგან მეორე
კიდემდეო, — მიუგო ალიმირზამ. საუზმის ჭამის შემდეგ
ჩამოვიდნენ ორივე ძმები ზღვის ნაპირას. ალიამ უთხრა
ძმას: მოდი, ჩავსხდეთ გემში და გავისეირნოთ. ძმები მოვი-
დნენ, მეგემეს სთხოვეს: გაგვატარ-გამოგვატარეო. ახლა მე-
გემემ უთხრა: ნაპირზედ გემის გატარება არ შეიძლება, ჭარი
რომ ამოვარდეს, გემს გადააბრუნებს და თქვენც და მეც და-
ვიღლებითო. — არა უშავს რა, ცოტაზედ მაინც გაგვატარე,
ვნახოთ, როგორ დადის გემიო, — უთხრა ალიამ მეგემეს.

მეტი გზა არ იყო, მეგემემ ჩასხა ყმაწვილები და გაატა-
რა. გემი როგორც კი აპირებდა მობრუნებას, ისე დაუბერა
ძლიერმა ჭარმა, გადააბრუნა და დაამსხვრია. ალია და ალი-
მირზა შერჩნენ თითო ფიცარზედ, ასე რომ ორივე ძმებს ხე-
ლიხელს უვლიათ და არ უშვებენ. რამდენიკე დღე ასე იწვა-
ლეს და, შიმშილმა რომ შეაწუხათ, ძმებმა ტანისამოსის კალ-
თები შემოიკამეს. მერე საბრალოთ დაუწყეს, რაზედაც ის-
ხდნენ, იმ ფიცრებს ღრღნა. რამდენიმე დღეს კიდენ ასე ტან-
ჯვით იარეს. მერე ალიმირზამ უთხრა ალიას: ძმაო, როდემ-
დის უნდა ვეწვალოთ ასე, დავანებოთ ერთმანეთს თავი და,
თუ გადავრჩეთ, გლახათ ვიაროთ და უერთმანეთოთ კი ცოლს
ნუ შევირთავთო. გადაჰკოცნეს ერთმანეთი და დაშორდნენ.

1 ალიმირზა ზღვამ ნაპირას გარიყა. ერთმა მეწისქვილემ დაიჭირა და გაუშვა თავისთვის. მართლაც, ალიმირზამ დაიწყო გლახად სიარული. ალია კი დიდის წვალეების შემდეგ მიადგა ერთს თვალშეუწვდენელს კლდეს, შეახტა და დაებღაუჭა კლდეს. მოუქნევს ალია მუშტს და, რამდენიც მოხვდება კლდეს, იმდენ სახლის ოდენა ქვას მოგლეჯავს. ამნაირად გაიკეთა კიბეები და ავიდა მაღლა. მიიხედ-მოიხედა, იშვენიერი დაცემული ვაკეა.



იარა, იარა და მიადგა ერთს სოფელს, ნახა, რომ სახლებიდან ნაირ-ნაირი ბოლი ამოდის: წითელი, ყვითელი, თეთრი, მწვანე, შავი და სხვა და შიგ კი არავინ ცხოვრობს. ერთგან შეხედა რომ ნამდვილი ცეცხლის ბოლი ამოდის. შევიდა სახლში, ნახა, რომ კერის პირს ერთი ბებერი ზის და

წინდას ქსოვს. ალიამ უთხრა: დედი, სტუმარი არ გინდაო?—
 რატომა, შვილო, სტუმარი ღვთისაა, მოდიო. ალია შევიდა
 და ჰკითხა: დედი, ეს როგორი სოფელია, ათასნაირი ბოლი
 ამოდის და შიგ კი არავინა სდგასო. — აქ ვინ უნდა იდგეს,
 შვილო, ეგ ბოლები ზოგი წითელია, ზოგი ყვავილი, ზოგი
 ხორველა და ზოგი რაო. ალიამ ეს რომ გაიგო, შეეშინდა:
 წავიდე აქედან, არაფერი შგმეყაროსო. ბებერს რაც მოე-
 ჰოვებოდა, ძველი ტანისამოსით შემოსა ალია.



ალიაც ადგა და გაუდგა გზას. იარა და მიადგა ერთს გა-
 ტიტვლებულ ქალაქს. ეს ალია დადის ქალაქში, ხედავს, რომ
 დუქან-ბაზარი გაჩაღებულია და შიგ კი არავინ არის. ბო-

ქლოს მიადგა ცხრაკლიტულს, იფიქრა: უსათუოდ ამ ქალაქის
ჩაღბი აქ უნდა იყოს შეკეტილიო. დაჰკრა წიხლი და ჩაამ-
ტვრია. შიგ რომ შევიდა, ქალმა დაინახა თუ რა ალია, გული
შეუღონდა. ალიამ ქალი მოაბრუნა, მერე ჰკითხა თავგადა-
სავალი, მანაც უამბო: ეს ქალაქი ჩემი გულისათვის არის
აკლებული გველვეშაპისაგან. ახლაც ყოველდღე მოდის
გველვეშაპი, ომობს ხოლმე ამ ცხრაკლიტულთან, მაგრამ ვე-
რას ხდება. დღესაც უნდა მოვიდეს და შენც შეგჭამსო და
მეც წამიყვანსო.

ალიამ ქალი ანუგეშა და — იმას ვერ მოვერევიო? მხო-
ლოდ დაღლილი ვარ და გთხოვ ცოტა მომასვენო და როცა
მოვიდეს გველვეშაპი, მაშინ გამაღვიძეო. ადგა, კალთაში
ჩაუღო ქალს თავი და დაიძინა ალიამ. ეს ქალი დაფიქრდა
და მოუვიდა ტირილი. თვალიდგან ცრემლები ჩამოუვარდა,
ლოყაზედ დაეცა ალიას და დასწო. გამოიღვიძა ალიამ და
უთხრა: რა არის, მოდის გველვეშაპიო? — არა, კი არ მო-
დის მაგრამ, საცაა დრო კი აქვს მოსვლისაო. — მაშ რა სა-
ჭიროა ლოდინი, მასწავლე, სად ბუდობს და მე თავად წავა-
ლო. ქალმა ასწავლა, ამა და ამ ხევშიო. გველვეშაპმა ალია
რომ დაინახა, გაეხარდა და სთქვა: კარგია, კიდევ დამრჩენია
ვიღაც შესაჭმელიო. ახლა ალიამ უთხრა: ჰაი, შე მყრალო,
აქ მოხვალ, პასუხს გაგცემ და შორიდგან მყეფარიც იყე-
ფებო.

რასაკვირველია, ეს რა გაიგო გველვეშაპმა, დააღო
პირი და მოაშურა ალიას. ალიამ მომართა ისარ-მშვილდი
ესროლა და შუაზე გადასწყვიტა გველვეშაპი. მოვიდა ალია
და უთხრა ქალს: აბა, გახედე გველვეშაპის სისხლის ღვრასო.
ეს ამბავი ქალს ძლიერ გაუკვირდა, გაეხარდა და უთხრა ალი-
ას: გინდ შენ ძმა და მე დაო, გინდ შენ ქმარი და მე ცო-
ლიო. ალიამ უთხრა: სანამ ჩემს გულის წადილს არ მოვე-
წყევი, არც ძმობას გეტყვი და არც ქმრობასო. ამნაირად დაი-
წყეს ცხოვრება ქალმა და ალიამ. დღე სანადიროდ დადიო-
და ალია, საღამოთი კი მოდიოდა. ღამე ერთათ ლოგინში წვე-
ბოდნენ ქალი და ალია და შუაში ხმაღს იღებდენ.

ერთ დღეს ალია სანადიროდ რომ მიდიოდა, ქალმა უთ-
ხრა: დღეს თავი უნდა დავიბანო, ცოტა გვიან მოდიო. ალიამ

გასწია სანადიროდ, მაგრამ როგორღაც ეჭვი აიღო: დღე და ღამე ერთათ ვართ და არ მეხატრება და ახლა თავის ბანა-ზედ რას მერიდებო? ალიამ ცოტა გზა გაიარა და ისევ მალე დაბრუნდა შინ. მოვიდა ჩუმათ და დაუწყო ქალს თვალიერება. ნახა, რომ ეს ქალი ცალი ხელით საპონს ისვამს და ცალი ხელით წყალს ისხამს. 'შიიხედა ალიამ, იქვე კუნძულში ქალის კაბა ეკიდა. შევიდა ჩუმათ, ჩაუყო ხელი კაბის ჯიბეში, ამოიღო გასაღები და იქვე გვერდით ოთახი გააღო. შეხედა ოთახში, ნახა, ერთი პერანგი ჰკიდიან, რომელიც ისე ანათებს, როგორც სანთელი. ალიამ ჩამოიღო პერანგი, იღლიაში ამოიღო, ოთახი ისევ დაკეტა, გასაღები კაბისვე ჯიბეში ჩადო, ჩუმათ გამოიარა და გაუდგა გზას.

მიდის ალია. ერთ ალაგას გზას იქით გადადგა, პერანგი კი გზის პირას დადო. სად იყო, სად არ იყო, დაეშო ყვავი, მოიტაცა პერანგი, წაიღო და ზღვას გაღმა ერთს უდაბურ ტყეში დააგდო. ალია საშინლად დაღონდა და საღამოზედ დაბრუნდა შინ. ქალმა ნახა, რომ ალია ძლიერ დაღონებულია. რომ აღარ მოეშვა ქალი, ალიამ უთხრა: გეტყვი, რადაც ვარ დაღონებული, მაგრამ გეწყინებო. ალიამ უამბო ქალს: მენ რომ მითხარი, გვიან მოდიო, მე ეჭვი ავიღე და დავბრუნდი. მარტო რომ თავს იბანდი, ჩუმათ შემოვედი, შენი ჯიბიდან გასაღები ამოვიღე, ოთახი გავაღე, სანთელივით მანათებელი პერანგი გამოვიტანე. რომ წავიღე, გზაზედ ყვავმა მომტაცა და ამიტომ ვარ დაღონებულიო. ქალმა ამოიოხრა და სთქვა: შენი გამფუჭებელიც ახლა მოვა და ჩემი წამყვანიცაო. ახლა ალიამ უთხრა: შენ ნუ გეშინიან, ისეთი ვინმე ყოვა, მე რომ მოვკალი გველვეშაპი, იმაზედ მეტი შეეძლოსო?

სადაც ყვავმა პერანგი დააგდო, იმ სახელმწიფოში მენახირეებს ნაქირი მინდვრად ედგათ. ღამე ძლიერ ცუდი წვიმიანი დაიქირა. ცეცხლი გაუქრათ და რითი აენტოთ, არ იცოდენ. მენახირეებმა გაიხედეს, ერთ ტყიან სერზედ ცეცხლის შუქი სჩანს. ერთი ამხანაგი წავიდა ცეცხლის მოსატანად. იარა და მიატანა ცეცხლის შუქს, ნახა პერანგი იყო. მენახირეს გაეხარდა, აიღო, დაახვია, გუდაში ჩადო და სთქვა: ამას ჩვენს ხელმწიფეს მივართმევ და მენახირობიდან აღარ გამომწირავსო. დაბრუნდა, მოვიდა ამხანაგებთან

და უთხრა: ის ოხერი ცეცხლი კი არ იყო, რაღაც მტრედო
იყო. მივედი თუ არა, აფრინდა და წავიდაო.



გათენდა მეორე დღე. ამ მენახირემ ამხანაგებს უთხრა:
წავალ მე და შინიდან პურს მოვიტანო. ამხანაგებშიც ნება
დართეს. წამოვიდა მენახირე შინ, მოვიდა პირდაპირ ხელ-
მწიფესთან და მოართვა პერანგი. ხელმწიფეს ძლიერ გაე-

ხარდა. მერე უთხრა მენახირეს: რა გინდა გაჩუქოვო? — არაფერი, თქვენა ჰკირიმე, თუ თქვენი წყალობა იქნება, მენახირეობიდგან ნუ გამომწირავთო — წადი, მომიცია შენთვის და შენი შთამომავლობისთვის მენახირეობაო, — უბრძანა ხელმწიფემ. მენახირე, რასაკვირველია, გახარებული წამოვიდა.

ხელმწიფემ იფიქრა: ეს პერანგი ასეთია, ვისაც ეს ეცვა ის რაღა იქნებაო. გამოსცა ბრძანება: ვინც ამ ქალს მომიყვანს, ამდენს და ამდენს საჩუქარს მიიღებსო. ვერავინ ვერ იტვირთა. მერე წამოდგა ერთი ბებერი და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, შე მოგიყვანთ იმ ქალს, მხოლოდ მომეცით ერთი ქვევრი, ერთი თონე პური, ერთი ჩაფი ღვინო, ერთი ფუთი ხორცი, ერთი ბოთლი ბანგი და ერთი ცოცხიო. ხელმწიფემ მისცა ყველა ესეები.

ბებერმა ქვევრი მოატანინა ზღვის პირზედ; ქვევრში ჩაიწყო ესენი, ჩაჯდა თავად, გაჰკრა ცოცხი და გააგორა ზღვაში. კიდევ გაათავა ბებერმა ეს საგზალი და კიდევ გავიდა ზღვაში ნაპირას. მშრალზედ რომ გავიდა, დაჯდა ქვევრზედ და დაიწყო ტირილი. აღია სანადიროდ ყოფილიყო, გამოიარა, შეხედა, რომ ბებერი ზის და ტირის. შეეცოდა და ჰკითხა: რა გატირებს, დედი, რა ამბავია შენს თავსაო. — რაღა რა ამბავია შეილო, სალოცავში მივდიოდით, მისი მადლი გწყალობდეს, ქვევრით ზედაშე მიმქონდა, ურემი გადაგვიბრუნდა, მე და ქვევრი გადავარდით წყალში. ახლა მეც და ეს ქვევრიც აქ გამოგვკრიცა და არ ვიცი, საით წავიდეო. — წამოდდი, დედი, დედა არა მყავს და შენ დედა და მე შევილიო.

აღიამ ბებერი მოიყვანა შინ. შეხედა ქალმა თუ არა, უთხრა აღიას: შენი გამფუჭებელიც ეგ არის და ჩემი წამყვანიცაო. ახლა აღიამ უთხრა: ქალო, რას ამბობ, ამ ბებერს რა შეუძლიანო. მართლაც, დედასავით უვლიდა ეს ბებერი აღიას და ქალს. ერთ დღეს ბებერმა დაიწყო ტირილი და უთხრა აღიას: შეილო, ხან ამ მთას დადიხარ, ხან იმ მთას, შითხარი, შენი ჯანი რაშიაო. — ჩემი ჯანი კრიალოსანშიაო, — უთხრა აღიამ. ბებერმა აიღო და დაიჭირა ხელში კრიალოსანი. ზიზილ-პიპილებით მორთო და უბიდგან აღარ იშორებ-

და, ჰკოცნიდა. ერთ დღეს თონეში პურს აკრავდა ბებერი. რომ ჩაეწოდა თონეს, ვითომდა უნებურად მომივიდაო, კრი-
ალოსანი თონეში ჩააგდო და დასწვა, თავად მორთო ტირი-
ლი.

სალამოზედ მოვიდა ალია, შეხედა, ბებერი ტირის. —
რა გატირებს, დედიო, — ჰკითხა ალიამ. როგორ რა მატირ-
ებს, შვილო, შენი ჯანი დამეწვაო. — ჩემს ჯანს კრიალო-
სანში რა უნდა, ჩემი ჯანი ცოცხშიაო, — უთხრა ალიამ. —
მაშუ მაგით როგორა ვგვითო, — აილო ცოცხი, მორთო ათას
ყვავილებით და ხელიდან აღარ იშორებდა. ერთ დღეს ბებე-
რი კდევ თონეში პურს აკრავდა. ცოცხი თონეში ჩააგდო და
დასწვა, თავათ კი დაიწყო წირპლვა. სალამოზედ მოვიდა
ალია და ჰკითხა ბებერს: რა გატირებს, დედიო. — შენი
ჯანი თონეში დამეწვა, შვილო, როგორ რა მატირებსო. —
ნეტა, რას ამბობ, დედი, ჩემს ჯანს ცოცხში რა უნდაო, —
უთხრა ალიამ. — მაშუ რაშია, შვილო, რატომ სწორედ არ მე-
უბნებო, — წუწუნით უთხრა ბებერმა. რო აღარ იქნა და
შობებურდა ალიას, მერე კი სწორედ უთხრა: ჩემი ჯანი, დედი,
ჩემს ხმალში არის. უკუღმა რომ ჩავაგო, აღარც ნახევარი
! გვერდი და აღარც ჯანი არ მექნებაო.

ბებერმა ხმა გაიწყვიტა. ერთ დღეს ბებერმა უთხრა:
შვილებო, მოდი ერთი კარგი სადილი გავმართოთო. ესენიც
დაჰყაბულდნენ, გამართეს კარგი სადილი. რომ დაიწყეს სმა,
ამ სულკრულმა ბებერმა ალიას ცხრა დღის ბანგი შეაპარა
და დააძინა. მაშინ იდროვა, რასაკვირველია, ბებერმა. ჩამო-
ილო ალიას ხმალი, ამოაძრო და უკუღმა ჩააგო. მერე უთხრა
ბებერმა ქალს: იარე, მომყე, თორემ აქვე გაგათავებო. ქალმა
უთხრა: ხვალამდინ მაცალე, მოვემზადო და მეტი რა გზაა,
წამოვალო. ამ ღამეს ქალმა ალიასთან წერილი დაწერა და
იქვე მუთაქას ქვეშ ამოდო. წერილში ასე ეწერა: მე მივყა-
ვარ ბებერს, როცა გამოგვეღვიძოს, მანდვე ქვესკნელს დავ-
რიშები არიან, მამაჩემის სულისათვის პარაკლისს ხდილო-
ბენ, მაგათ ჰკითხე და გასწავლიან ჩემს გზასაო. მე ვის-
თვისაც მივჰყავარ, ერთი წლის და ორი თვის ვადას მივსცემ.
ამ ვადაზედ თუ ვერ მოხველ, მაინც არ დავნებდები და თავს
მოვიკლაეო.

გავიდა ცხრა დღე. ალიას გამოეფხიზლა, წამოიწია, თვალები მოიფშენიდა. დაინახა, რომ ღონე აღარა აქვს. როგორც იყო, მივიდა თავის ხმალამდინ, დიდის წვალეებით ამოაძრო და წალბა ჩააგდო და მოვიდა თავის ჯანზედ. მერე წამოჰკრა მუთაქას ხელი და წერილი გამოვარდა. წერილი რომ წაიკითხა, ყველა გაიგო. ჩავიდა ქვესკნელს და ჰკითხა დავრიშებს: საით წაიყვანა ბებერმა ქალიო. დავრიშებმა მისცეს ბეწვი ალიას და უთხრეს: მიდი ზღვის ნაპირას, მოტრუსე ეს ბეწვი, ზღვიდან გამოვა რაში, შეჯექ და ზღვაში გაიყვანს. მხოლოდ ნაპირს რომ გახვიდეთ, სიმშრალეზედ არ გაიყვანო. წყალშივე გადმოხტი, თორემ გაგაფუჭებსო. მართლაც, ალია მივიდა ზღვის პირას, მოტრუსა ბეწვი და გამოვიდა რაში. ალია მოაჯდა ზედ. რაშმა გააქნა და გაიყვანა იქით ნაპირს. მშრალზედ არ გავიდა, ისე გადმოხტა და გაუდგა იგზას.

იარა და მიადგა მეჯოგებს. გამარჯვება უთხრა, მერე ჰკითხა: თუ გყავთ გასაყიდი, ერთი ცხენი მომყიდეთო. მეჯოგებმა ერთმანეთს უთხრეს: მოდი ჩვენი რაში მიყვიდოთ, რომ მაინც ვერავინ მოიხმაროს იმას და უკან მოვაო. მერე უთხრეს ალიას: ცხენი არა გყავს, რაში გყავს თუ იგინდაო. ალიამ ჰკითხა: ფასი რა იქნება რაშისაო. მეჯოგებმა ოც თუმნათ დაუფასეს. ალიამ უთხრა: ოცდაათ თუმანს მოგცემთ, კარგი უნარიგი დამიდგით და შვიდი მოსართავი მოუჭირეთო.

მეჯოგებმა დაუდგეს უნაგირი, მოუჭირეს შვიდი მოსართავი რაშს, შესვეს ალია, გზა დაულოცეს და გაისტუმრეს. იგასცდა თუ არა ალია მეჯოგეებს, რაში გაქანდა ზეცას, უნდა ცას მიარტყას მხედარი და ალია მუცელზედ მოექცა. დაეშვა რაში დედამიწას, უნდა მიწაზედ დაარტყას და ალია ზურგზედ მოექცა. გაქანდა მარჯვენა ცის კიდისკენ, ალია მარცხნივ მოექცა, გამოქანდა მარცხენა ცის კიდისკენ, ალია მარჯვნივ მოექცა. ახლა კი დამშვიდდა რაში და უთხრა ალიას: ჩემი კბილის მხედარი გიშოვნე და გასწი, რა საქმეზედაც მიდიხარ, ნუ გეშინიან, მეც შენი ქომავი ვიქნებიო.

გამოსწია ალიამ. ერთი კვირის სავალს ერთ დღეს მიდის. მიატანა ერთ ქალაქს, ჩამოხტა ერთი ბებრის ეზოში და შესძახა: დედი, სტუმარი არ გინდაო? — რატომა, შვილო,

სტუმარი ღვთისაა, მაგრამ არა მაქვს რა და პატრივი რითი
ფცხო. ალიამ უთხრა: ნუ გეშინიან. დედი, ყველაფერი მე
მაქვსო. ამოიღო ალიამ ერთი თუმანი და მისცა ბებერს: წადი
და რაც გინდოდეს, იყიდე და მოიტანე ვახშმათაო.

ბებერმა, რასაკვირველია, კარგი ვახშამი მოამზადა.
როცა დასხდნენ ვახშმათ, ალიამ ჰკითხა ბებერს: რა ამბავი
არის ამ თქვენს ქალაქშიო. ახლა ბებერმა უთხრა: ჩვენმა
ქელმწიფემ ერთი მზეთუნახავი ქალი მოიყვანა საიდგანლაც
და მთელი სახელმწიფოს ხალხი მის სანახავად მოდის ყოველ-
დღე. ზეგამდისინ ვადა აქვს და ზეგ კი ჯვარი უნდა დაიწე-
როს ხელმწიფემაო. — შენ არსადა ყოფილხარ სანახავა-
დაო, — ჰკითხა ალიამ ბებერს. — მე საწყალი ვარ, შვილო,
რით უნდა მივცდო. მეორე დღეს ალიამ გაუკეთა თავისი
ბეჭედი ბებერს: წადი და, კიბესთან რომ მიხვდე, ბეჭდიანი
ხელი მაღლა აიშვირე ასე, რომ ქალმა დაგინახოსო. მარ-
თლაც, ბებერი ასე მოიქცა. მივიდა კიბესთან თუ არა, აიშვი-
რა ხელი. ამ დროს შემოჰკრა ხალხს ტალღამ და საბრალო
ბებერი კიბიდან ძირს ჩამოვარდა. ბებერმა მორთო ყვი-
რილი: ვაიმე, მკლავი მომტყდაო, და თან ბეჭდიანი ხელი
მაღლა აქვს აშვერილი. ჯვარილზედ ქალი გამოვიდა და ბე-
ჭედს თვალი მოჰკრა.

ქალმა დაიბარა ხელმწიფე და საყვედური უთხრა: რა
არის, რომ მარმუნათ გამხადე და ამოდენა ხალხს აგროვებ
ჩემს სანახავადო. ბარემ მომაბი ჯინჯილი ყელზედ, გამიყვა-
ნე გარეთ და მაიმუნეით მათამაშეო. მომიყვანეთ საწყალი
ბებერი, ვნახო, რა ეტკინაო. ეს ამედნი ხანო ჯერ ხმა არ
ცაეცა ხელმწიფესათვის.

ხელმწიფეს ძლიერ გაეხარდა ქალის ხმის გაცემა და მო-
ყვანა ბებერი საჩქაროდ. ქალმა ხელმწიფეს სთხოვა, რომ
გარედ გასულიყო, რომ ბებერი გაესინჯა თავად ქალს. ხელ-
მწიფე რომ გარედ გავიდა, ბებერს გამოჰკითხა ქალმა: ვინ
მოგცა ეს ბეჭედიო. — ერთი მშვენიერი ყმაწვილი სტუმრად

მოვიდა ჩემთან და ბეჭედი მისი არისო, — მოახსენა ბე-
ბერმა. ქალმა ბებერი დაასაჩუქრა და უთხრა: წადი და იმ
ყმაწვილს უთხარი ჩემს მაგივრად: ზეგ ჯვარი უნდა დაი-
წეროს ჩემზედ ხელმწიფემ და, თუ შეგიძლიან რამე, შენ
იცი-თქო.

მოვიდა ბებერი და ალიას უამბო. წამოდგა ალია მაშინ-
ვე და გამოსწია ხელმწიფის სასახლისკენ. ვინც რომ შეხვ-
დება გზაზედ, ჰგლეჯს თავს წიწილასავით და ისვრის აქეთ-
იქით. ეს ამბავი ხელმწიფეს მოახსენეს. შეჰყარა ჯარი ხელ-
მწიფემ და გამოგზავნა ალიასკენ საომრად. ალია გამობრუნ-
და და მივიდა თავის რაშთან, უთხრა თავის რაშს: ასეა საქმე
და რა ვქნაო. რაშმა მიუგო: შენ ოღონდ მაგრად შემეჯეპი
და ხმალი ამუშავე და ფიქრი ნუ გაქვს, მე ვიციო.



ალია მოახტა თავის რაშს და გამოსწია ჯარისკენ. მი-
ჰყო ხელი და, რაც თავათ ხმალით ხოცავს, ორს იმდენს
ქრაში ფეხით ხოცს; ასე რომ სულ გასწყვიტეს ჯარი. თავისი
სახელმწიფო სულ მოაგროვა ხელმწიფემ, მაგრამ ველარავინ
ბედავდა ალიასთან უებრძოლებას. მერე უბრძანა ხელმწი-
ფემ თავის ნაზირ-ვეზირს: აღარავინ არის კაცი ჩემს სახელ-
მწიფოში? — აღარა, დიდებულო ხელმწიფევ, მარტო ერთი
'კოჭლი გლახადა გახლავთო. — წადით, მოიყვანეთ ჩქარაო.
მოიყვანეს გლახაც. ხელმწიფემ უბრძანა: გლახა, თუ აგერ
იმ მეომარ ყმაწვილს მოჰკლავ, ამ ქალაქსაც შენ მოგცემ და

ჩემს ხელმწიფობასაცაო. ახლა გლახამ მოახსენა: იმოდენა
ჯარი ვაწყვიტა და მე სად შემიძლიან, უენი ჳირიმე, მაგისი
შებრძოლებაო. — სცადე, იქნება მოერიოო, — უბრძანა
ხელმწიფემ გლახას. — თქვენი ნება ასრულდესო, მაგრამ
ითუ ვინიცობაა დამძლიოს, ჩქარა მომაშველეთ ვინმეო, —
მოახსენა გლახამ.



გავიდა გლახა მოედანზედ. გამოვიდა ალიაც. ეცნენ
ერთმანეთს, ხან ერთი მოიქცევს და ხან მეორე. ისეთი ამ-
ბავია, რომ სულ დედამიწას ზანზარი გააქვს ამათის ბრძო-
ლით. საღამომდენ ასე იბრძოლეს. ბოლოს მოიქნია გლახამ
და დასცა გულადმა ალია. მერე ამოლი ხელად დანა და, ის
იყო, უნდა გამოსჭრა ყელი, ამ დროს მიაძახა ალიამ: დაიცა,

ერთი ორი სიტყვა მათქმევიანე მაინცაო. — სთქვიო, — უთხრა გლახამ. ახლა ალიამ სთქვა: ჰაი დედასა, სადა ხარ, ჩემო ჩმპო ალიმირზა, რომ მე გლახა ზევიდგან მაზის, ყელსა მჭრის და შენ კი ვერა ხედავო. — კიდენ განიმეორე ეგ სიტყვაო, — უთხრა გლახამ. ალიამ კიდენ განიმეორა თავისი სიტყვა — ალია ხარ შენაო, — ჩაეკითხა გლახა. — ბარემ ვარო, — უთხრა ალიამ. — ოჰ, შენი ჭირიმე, ძმაო, მეც ხომ ალიმირზა ვარო და დაეკონა თვალეზში და დაუწყო კოცნა.

ხელმწიფეს ეგონა, უთუოდ მოჰკლა და სისხლსა სვამსო. მოვიდა და ეუბნება: გლახა, აბა ერთი მეც დამალევიანე ჩავისი სისხლიო. წამოვარდა ალიმირზა, მოჰგლიჯა თავი ხელმწიფეს და გადაისროლა. ალია და მისი რაში აქამდინ თუ ორნი იყვნენ, ახლა სამნი გახდენ. მიჰყვნენ ამ ხალხს, სულ მუსრი გავლეს. მერე ორი-სამი მოხუცი წამოდგნენ და ჟუბრეს ალიას და ალიმირზას: თქვე დალოცვილებო, ხალხის რა ბრალა, ვინც ეს ქალი მოიყვანა, ბარემ ის მოჰკალითო? ფამოიყვანეს ახლა ბებერი, შუბზედ ააგეს და სულ ლუქმა-ლუქმა აკუწეს. რასაკვირველია, ძმებმა წამოიყვანეს ქალი, ფამოსწიეს და წამოვიდნენ.

იარეს და მოადგნენ აოხრებულ ქალაქს. ალიმირზამ აოხრებული ქალაქი რომ დაინახა, შეუღონდა გული. როგორც იყო, მოაბრუნეს და ჰკითხეს: რა იყო, რა ანბავიაო. — რალა რა ანბავიაო, ეს ქალაქი მამიჩემისაა; მე ერთი და მყვანდა, გველვეშაბი სთხოვდა მამაჩემს, მამაჩემმა ჩემი დის მავივრად მე მიმცა და ახლა ალბად გველვეშაპს აუოხრებია ეს ქალაქიო. როგორც გაათვა ლაპარაკი და ახლა ქალს შეუღონდა გული. როგორც იყო, ძმებმა მოაბრუნეს ქალი და ჰკითხეს: რა იყო. რა ანბავიაო. — რალა რა ანბავია, შენ ხომ ჩემი ძმა ყოფილხარ, მე ვარ ის ქალიო. რასაკვირველია, დაძმანი გადაეხვივნენ ერთმანეთს. ალიმირზამ თავისი დეა ალიას მიათხოვა, დიდი ქორწილი გამართეს და დაიწყეს ცხოვრება.

ერთ დღეს ალიმირზამ უთხრა ალიას: წავიდეთ ძმაო, ახლა მამაშენი ვნახოთო. დაიწყეს სიარული და გაუდგნენ ჯზას. იარეს და, რომ მიატანეს ალიამ მამის ქალაქს, შეხედეს, რომა ქალაქს შავი აქვს გადაკრული. რასაკვირველია,

ხელმწიფეს კაცი გაუგზავნეს, შენი შვილები მშვიდობით მოდიანო. ხელმწიფემ მაშინვე სამგლოვიარო გადახადა ქალაქს და სასიხარულო გადააქრა. ძმები მოვიდნენ, ნახეს, რომ ხელმწიფე ღრმად მოხუცებულა. რასაკვირველია, დიდი მხიარულობა გამართა ხელმწიფემ, ალიმირზასაც ცოლი



წმერთო და შვიდი დღე-ღამე ქორწილი ჰქონდათ. მერე ხელმწიფემ ხელმწიფობა ალიას დაულოცა როცა ალია სადმე იყო, ხელმწიფის მაგივრობას ალიმირზა ეწეოდა და ძმები ზმნაირად მშვიდობით და ტკბილათ უვლიდნენ სახელმწიფოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ს ა მ ი დ ა, ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. ქართული ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ“, თბ., 1909 წ., ხალხური სიტყვიერება, ტ. V, 1956 წ.

ლ ე რ წ მ ი ს ქ ა ლ ი, მთქმელი არჩ. თაბორიძე, სოფ. ბაზალეთი; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1956 წ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ზ ლ ა პ ა რ ი, მთქმელი არჩ. თაბორიძე, სოფ. ბაზალეთი; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1956 წ.

ც ხ ვ რ ი ს შ ვ ი ლ ი, მთქმელი თ. მთიბელაშვილი, სოფ. ჩარგალი; ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

შ ა ვ - თ ე ი მ უ რ ა ზ ი, მ ზ ე - თ ე ი მ უ რ ა ზ ი და მ თ ვ ა რ ე - თ ე ი მ რ ა ზ ი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ზ ლ ა პ ა რ ი ი ვ ა ნ ე ც ი ს კ რ ი ს ა, ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

მ ზ ი ს ა ს უ ლ ი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ხ ა ს ა ნ - ხ უ ს ა ნ ა, მთქმელი ს. ფეიქრიშვილი, ახალციხე; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

ც ხ რ ა ძ მ ა, ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ლ ა პ ა რ ი უ ხ ე ი რ ო ს ი, ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

მ ე ც ხ ვ ა რ ე, ბ რ მ ა დ ე ვ ი და ფ ე ი ქ რ ი ს შ ე გ ი რ დ ი, ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

დ ე დ ა ბ რ ი ს შ ვ ი ლ ი, ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზ ლ ა პ ა რ ი ტ ი ტ ვ ე ლ ი მ გ ლ ი ს ა, ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ი ა დ ო ნ ი და ბ უ ლ ბ უ ლ ი „აკაკის კრებული“, IV, 1899, „ფოლკლორული არქივი“, (საქ. მეც. აკად. რუსთაველის სახ. ქართულ ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი).

ხელმწიფის სამი ვაჟი, მთქმელი ს. ფეიქრიშვილი, ასაღ-
ციხე; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I,
მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1938 წ.

მონადირის შვილი, ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში
შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ოქროკაცა, მთქმელი ს. ფეიქრიშვილი, ასაღციხე; ჩამწერი აბ. მა-
ხარძე, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედაქ-
ციით, 1938 წ.

საწყალი კაცი და მისი შვილი, მთქმელი გ. მრელა-
შვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერ-
ება, II ტ., 1952 წ.

ჯეირანის ქალი, მთქმელი გ. მრელაშვილი, ს. იყალთო; ჩამწე-
რი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ბერნაძის შვილი, მთქმელი გ. მრელაშვილი, ს. იყალთო; ჩამ-
წერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გა-
უჩნდა, მთქმელი ი. ზარაფიშვილი, ჩამწერი ა. ზარაფიშვილი, ხალხური
სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ხელმწიფის შვილი, ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

კონსტანტინეს ზღაპარი, ხალხური სიტყვიერება, II ტ.,
1952 წ.

უჩინმაჩინის ქუდი, ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.
თუშის შვილი და ძეფის შვილი, ხალხური სიტყვიერ-
ება, II ტ., 1952 წ.

დათუა, ჩამწერი კუპატაძე, საზანო; ხალხური სიტყვიერება, II ტ.,
1952 წ.

ორმოცშვილიანი ხელმწიფე, ჩაწერილი მესხეთ-ჭავჭავთ-
ში 1930 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ელენე მშვენიერის ზღაპარი, მთქმელი გრ. ხითარიშვი-
ლი, სოფ. ხიზაბავრა; ჩამწერი ზეიდაძე. ხალხური სიტყვიერება, II ტ.,
1952 წ.

ჩაქუჩა, მთქმელი ი. კონქაძე, სოფ. ყვავილი; ჩამწერი გ. ჩაჩუა.
1940 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ერთშვილიანი ხელმწიფე, მთქმელი ი. კონქაძე, სოფ. ყვა-
ვილი; ჩამწერი გ. ჩაჩუა 1940 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ცხრა ძმისა, ჩამწერი თავისუფალი სვანი (მ. ნიჟარაძე), ზემო
სვანეთი; „სვანური ზღაპრები“, ქუთაისი, 1893 წ.

საწყალი კაცის ზღაპარი, მთქმელი ე. ლალიაშვილი, სოფ.
ბაზალეთი; ჩამწერი ქ. სიხარულიძე, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II
ტ., 1952 წ.

მონადირის შვილი, მთქმელი ი. პაპიაშვილი, სოფ. ბაზალეთი,
ჩამწერი ქ. სიხარულიძე, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

უკვილო ხელმწიფე, მთქმელი დ. კონჭაძე, სოფ. ყვავილი; ჩამწერი გ. ჩაჩუა, 1940 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მგნახირე, ქ. სიხარულიძე, ზღაპრები, 1938 წ.

უკვდავების წყალი, მთქმელი ი. არსენიშვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზღაპარი საკვირველი ქალისა, მთქმელი ი. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

გველადქცეული მზეთუნახავი, თვითჩამწერი ა. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა, თელავი, ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

კოკლი კამეჩი, ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ლურჯი თევზი, ჩამწერი მ. ჩიქოვანი, სოფ. იყალთო, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

უზუნდარას ზღაპარი, მთქმელი თ. მამულაშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ოქროსთიანი ქალეაქი, მთქმელი ა. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა; ჩამწ. მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

საკვირველი ფრთა, მთქმელი გ. ლაცაბიძე, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი. 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

გლეხი კაცი და ჩიტი, მთქმელი ვ. მრელაშვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი მ. ჩიქოვანი. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მონადირე და მისი რაში, თვითჩამწერი ა. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა; ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ლილოველი მონადირე, თვითჩამწერი ლ. კოტორლიშვილი, სოფ. აკურა; 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მათხოვარა და ხელსახოცი, ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

საწყალი ცოლ-ქმარი, მთქმელი შაშიაშვილი, სოფ. იყალთო; ჩამწერი აპ. მახარაძე, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

კოკლი მონადირის შვილი, მთქმელი გ. ლაცაბიძე, სოფ. იყალთო; ჩამწერი აპ. მახარაძე, 1938 წ., ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მზის დედა, მთქმელი გ. კირვალიძე, სოფ. აკურა; ჩამწერი აპ. ცანავა, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მადლიერი მკვდარი, მთქმელი ვ. ლამაზოშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი აპ. ცანავა. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მამის პოვნის ამბავი, მთქმელი გ. ლაცაბიძე, სოფ. იყალთო; ჩამწერი აპ. მახარაძე, 1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ასფურცელა, მთქმელი შ. შიშნიაშვილი, სოფ. აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მონადირე და მისი ასული, თვითჩამწერი ვ. ლამაზოშვილი, ს. აკურა, 1949 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზღაპარი ხელმწიფის შეილისა, რომელსაც სწავ-
ლა არ უყვარდა. მთქმელი ი. ზარაფიშვილი, კახეთი; ჩამწერი
ა. ზარაფიშვილი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

მზეთუნახავი ქალი, თვითჩანაწერი დ. კირვალიძე, სოფ.
აკურა, 1948 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ბროწეულის ზღაპარი, მთქმელი ი. ზარაფიშვილი, კახეთი;
ჩამწერი ა. ზარაფიშვილი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ზღაპარი ყაჩაღებისა, მთქმელი ი. კულულაშვილი, სოფ.
აკურა; ჩამწერი მ. ჩიქოვანი, 1949 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ.,
1952 წ.

ზღაპარი ცხრა ყაჩადისა, მთქმელი ი. ზარაფიშვილი, კა-
ხეთი; ჩამწერი ა. ზარაფიშვილი, 1939 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ.,
1952 წ.

თერთმეტი ძმა, თვითჩანაწერი ვ. მრელაშვილი, სოფ. იყალთო,
1938 წ. ხალხური სიტყვიერება, II ტ., 1952 წ.

ერთი ბიჭის ზღაპარი, მთქმელი ე. გუჭეჭიანი, ს. მულახი;
ჩამწერი ქ. სიხარულიძე, 1945 წ. ქართული ხალხური სიტყვიერების
ქრესტომათია, I, შემდგენელი ქ. სიხარულიძე, 1956 წ.

ხრიტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკი,
ჩაწერა სამეგრელოში ი. ყიფშიძემ; „მეგრული ზღაპრები“.

ივანე ფლავიანი, თვითჩანაწერი ვ. ბეწუკლიშვილი, 1939 წ.
რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II ტ., ე. ვირსალაძის რედაქ-
ციით, 1958 წ.

მეფე მუზარბი, ჩაწერილია სამეგრელოში ი. ყიფშიძის მიერ;
„მეგრული ზღაპრები“.

ღვევბით საესე ქუდი, მთქმელი გ. მაისურაძე, სოფ. ბერუ-
ლა, ლიხვის ხეობა; ჩამწერი ე. ვირსალაძე, 1946 წ. რჩეული ქართული
ხალხური ზღაპრები, II ტ., ე. ვირსალაძის რედაქციით, 1958 წ.

ისრის-მასრის სანდლის ქალი, ჩამწერი ეკ. ასათიანი, ახალ-
ციხე. რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II ტ., ე. ვირსალაძის რე-
დაქციით, 1958 წ.

ლალი, იადავარდი და ვარსკვლავა, ჩამწერი ა. კაპა-
ნაძე; რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, II ტ., ე. ვირსალაძის რე-
დაქციით, 1958 წ.

ზღაპარი მინდორთ ქალისა, ხალხური ზღაპრები კახეთსა
და ფშავეში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზღაპარი ველის ყვავილისა, ხალხური ზღაპრები კახეთ-
სა და ფშავეში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

ზღაპარი ოსტატისა და შეგირდისა, ხალხური ზღა-
პრები კახეთსა და ფშავეში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

მიწა თავისას მოითხოვს, ხალხური ზღაპრები ქართლში
შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, 1909 წ.

არქიტყიას ზღაპარი, ჩამწერი მ. ჩიქოვანი. მთქმელი არჩილ

თაბორიძე, ს. ბაზალეთი. 1939 წ. დუშეთის სამეცნიერო ექსპედიციის მასალებიდან. ფ. არქ. № 21490. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

სამშტეტევან ქაბუკიშვილი, მთქმელი თ. თალიაშვილი-ჩაფუარიშვილისა, სოფ. ფშაველი, თელავის რაიონი, ჩამწერი ნ. ჩაფურიშვილი, 1937 წ. ქართული ხალხური ზღაპრები, I, მ. ჩიქოვანის რედ., 1938 წ. ვაშლა, ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. ფშავი. „ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ“, თბილისი, 1909 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

გრძნეული ცხენი, ჩამწერი ალექსანდრე ჩავლეიშვილი. მთქმ. თაზი ცუხიტიშვილი. სოფ. სვირი, მესხეთ-ჭავჭავთი, 1930 წ. ლიტ. მუზ. ყ. 94, 8512-ბ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ოქროსთმიანი ვაჟი, ჩამწერი ვაქირელი ქალი (ა. კარგარეთელი). სოფ. ვაქირი, ქიზიყი. კრებული „ძველი საქართველო“, ტ. IV, 1915 წ. (ჩამწერის შესახებ იხ. მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერება, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. V, 1949, გვ. 332—334. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

მზექალა და მზევარდა, ჩამწერი ვაქირელი ქალი ა. კარგარეთელი). სოფ. ვაქირი, ქიზიყი. სრებული „ძველი საქართველო“, ტ. IV, 1915 წ. (იხ. შენიშვნა № 152). ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ეშმაკი დედაბერი, ჩამწერი მ. ჩიქოვანი. მთქმ. გიგო ყაზარაშვილი. ქ. ახალციხე. 1937 წ. მესხეთ-ჭავჭავთის სამეცნიერო ექსპედიციის მასალებიდან (ექსპედიციის ხელმძღვანელი მ. ჩიქოვანი). ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ზღვის გულდანდარა ქალი. ჩამწერი მასწავლებელი გიორგი ჩაჩუა. მთქმ. ისაკი ივანესძე კონჭაძე. მოწაფე. სოფ. ყვავილი. დუშეთის რაიონი, 1939 წ. ფ. არქ. № 21937. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ხელმწიფისა და იმის ცხრა ვაჟის არაკი, ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. სოფ. ვეჯინი, ყოფ. სიღნაღის მაზრა. „ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ“, თბილისი, 1909 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველები ენა რომ იცოდა, ფ. არქ. № 102.

ოსტატი და შეგირდი, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. მთქმ. გიორგი მრელაშვილი. სოფ. იყალთო, თელავის რაიონი. იყალთოს სამეცნიერო ექსპედიციის მასალებიდან. (გ. მრელაშვილის შემოკმედების შესახებ იხ. ჩვენი წერილი: „ქართული ზღაპართმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი“, წიგნში „ქართული ხალხური ზღაპრები“, ტ. II, 1952 წ., უფრო ადრე: „ქართული ხალხური ზღაპრები“, ტ. I, 1938 წ.). ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

მამაცაშვილი გიორგის თავგადასავალი, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. მთქმ. არჩილ თაბორიძე. სოფ. ბაზალეთი, დუშეთის რა-

ონი. 1939 წ. დუშეთის სამეცნიერო ექსპედიციის მასალები ფ. არქ. № 21477. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ოქროს ხილი, შემკრები პ. მირიანაშვილი. დაბეჭდილია წიგნში: „ზღაპრები“, ქართველ ქალთა წრის გამოცემა (№ 2), 1902 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

მონადირე, ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. „ხალხური ზღაპრები ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ“, 1909 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

მეფე და სკვინჩა, ჩამწერი სოსიკო მერკვილაძე. იმერეთი. დაბეჭდილია 1902 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

მკვლევარი, ჩამწერი სევ. გაჩეჩილაძე. სოფ. წვევა, ზემო იმერეთი. კრებული „ძველი საქართველო“, ტ. I, 1909 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

საწყალი კაცისა, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. მთქმ. არჩილ თაბორიძე. სოფ. ბაზალეთი, დუშეთის რაიონი, 1939 წ. ფ. არქ. № 21482. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ზღაპარი მეცხვარესი, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი, მთქმ. არჩილ თაბორაძე. სოფ. ბაზალეთი, დუშეთის რაიონი, 1939 წ. ფ. არქ. № 21493 წ. ხალხური სიტყვიერება, V, 1956 წ.

სკვინჩა, შემკრები პ. მირიანაშვილი. გადმობეჭდილია წიგნიდან „ზღაპრები“, ქართველ ქალთა წრის გამოცემა (№ 2), 1902. ხალხური სიტყვიერება, V, 1956 წ.

ხელმწიფის შვილი, ჩამწერი მიხ. ნასიძე. „ნობათი“. 1885 წ. ხალხური სიტყვიერება, V., 1956 წ.

მეთევზე, ჩამწერი მ. ჩიქოვანი. მთქმ. არჩილ თაბორიძე. სოფ. ბაზალეთი, დუშეთის რაიონი, 1937 წ. ფ. არქ. № 21488 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

დაქვარ კომბალ, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი, მთქმ. ს. ფეიქრიშვილი. ქ. ახალციხე, 12. VII. 1937 წ. ფ. არქ. № 13061 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

სამი ძმის ზღაპარი, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. მთქმ. დანიელ ბაპაშვილი. ქ. ახალციხე. 1937 წ. ფ. არქ. № 13071. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ზღაპარი სპილენძის მგლისა, ჩამწერილია ქართლში. ფ. არქ. № 286. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ორი ძმა, ჩამწერი გ. ჩაჩუა. მთქმ. ი. ჭონჭაძე. სოფ. ყვავილი, დუშეთის რაიონი. ფ. არქ. № 21936. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

სამი ძმანი, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. მთქმ. გიორგი ხვადაგიანი. სოფ. ალპანა, ცაგერის რაიონი. ჩამწერილი 20. VIII. 1935 წ. საკუთარი მასალებიდან. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

თილისმიანი დევი, ფ. არქ. № 506. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

დევეების კოშკი, ჩაწერილია სამეგრელოში. ფ. არქ. № 128. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ბოლოლა, შემკრები პ. მირიანაშვილი. „ზღაპრები“, ქართველ ქალთა წრის გამოცემა (№ 2), 1 902 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ალმასის თვალი, შემკრები კ. კალანდაძე, გურია. კრებული „ძველი საქართველო“, ტ. IV, 1914 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

მგელკაცა, ჩამწერი ქართველი ოსებში (ნ. ბაკურაძე). მთქმ. ნ. ხინანაშვილი. თელავი. ფ. არქ. № 136. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

კაციკამია ხელმწიფე, ფ. არქ. № 130. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

სამი ძმა და მათი და, ჩამწერი თავისუფალი სვანი (ნიკარაძე). ზემო სვანეთი. „სვანური ზღაპრები“, 1893 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

დედინაცვალი და გერი, ჩამწ. პ. მირიანაშვილი. „ზღაპრები“, № 2, 1902 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

მზეთუნახავი ქალი და თორბეტი თვენო, ჩამწერი ქართველი ოსებში (ნ. ბაკურაძე). ფ. არქ. № 133. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

ზღაპარი სამი დისა, ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. სოფ. იყალთო. თელავის რაიონი, 1938 წ. ფ. არქ. № 17014. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

დევთაგანისა და იმისი ძმისა, ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. კახეთი. „ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავეში შეკრებილი თედორაზიკაშვილის მიერ“, თბილისი, 1909 წ. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

და ძმის ამბავი, ჩამწერი ქართველი ოსებში (ნ. ბაკურაძე). მთქმ. მიტო გაბაძე. სოფ. თონეთი. „აკაკის კრებული“, № 4, 1900 წ. „ალია და ალიმირზა“. H 2639. ხალხური სიტყვიერება, V ტ., 1956 წ.

სარჩემვი

თერთმეტი ძმა	3
ერთი ბიჰის ზღაპარი	14
ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკი	21
ივანე ფალავანი	41
მეფე მუზარბი	50
დევებით საესე ქუდი	56
ისრის-მასრის სანდლის ქალი	60
ლალი, იადავარდი და ვარსკვლავა	65
ზღაპარი მინდორთ ქალისა	72
ზღაპარი ველის ყუაველისა	81
ზღაპარი ოსტატისა და შეგირდისა	85
მიწა თავისას მოითხოვს	88
არეციას ზღაპარი	91
სამტევან კაბუქიშვილი	101
ვაშლა	107
გრძნეული ცხენი	116
ოქროსთმიანი ვაჟი	124
მზექალა და მზევარდა	132
ემშაკი დედაბერი	142
ზღვის გულანდარა ქალი	150
ხელმწიფისა და იმის ცხრა ვაჟის არაკი	160
ზღაპარი საწყალი კაცისა, ფრინველების ენა რომ იცოდა	168
ოსტატი და შეგირდი	170
მამაცაშვილი გიორგის თავგადასავალი	176
ოქროს ხილი	183
მონადირე	186
მეფე და სივინჩა	190
გველვაჟი	193
საწყალი კაცისა	197
ზღაპარი მეცხვარესი	205
სკვინჩა	208
ხელმწიფის შვილი	213
მეთევზე	216
დაქრ კომბალ!	222
სამი ძმის ზღაპარი	226
ზღაპარი სპილენძის მგლისა	233
ორი ძმა	241
სამი ძმანი	252
თილისმიანი დევი	258
დევების კოშკი	265
ბოლოლა	276
ალმასის თვალი	286
მგელკაცა	296
კაციკამია ხელმწიფე	317
სამი ძმა და შათი და	327
დედინცვალი და გერი	333
შხეთუნახავი ქალი და თორმეტი თვენი	339
ზღაპარი სამი დისა	348
დეუთავანისა და მისი ძმისა	351
და-ძმის ამბვი	357
შენიშვნები	376

სბ № 5201

რედაქციის გამგე თ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი
რედაქტორი ნ. ბ უ ხ რ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი გ. ზ ა კ ა ლ ა შ ვ ი ლ ი
ტექნიკური რედაქტორი ზ. მ ა ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი
ჟორექტორი ნ. ქ ა ფ ი ა ნ ი ძ ე

გადაეცა ისაწყობად 25.02.94. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.09.94.
ქალაქის ზომა 84X108¹/₃₂. საბეჭდო ქალაქი № 1. გარნიტურა ვენა,
ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდო თაბახი 24. პირ. ნაბეჭდო თაბახი 20,16.
პირ. საღებავ-გატარება 20,48. სააღრ. საგამომცემლო თაბახი 18,56.
ტირაჟი 5.000. შეკვ. № 419.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის № 50.

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“,
თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19